იოსებ ომაძე

ვირუკაზე უკულმა შავჯექ!

რომანი-ექსტრავაგანცა

თბილისი, 2010 წ.
Copyright: იოსებ ომაძე, 2010 წ.

ISBN 978-9941-0-3371-1

sar Cevi

წინათქმა 1
კარი I. ვირუკაზე უკუღმა უნდა შავჯდე – ქვეყნიერება მოვიარო! 5
კარი II. ბოდბისხევს მივდივარ ვირუკას საყიდლადა, მაშა! 9
კარი III. მე და ვირუკა ვიწყებთ მოგზაურობას და ვეცნობით ერთმანეთსა.
"ჩემი დეკლარაცია" 10
კარი IV. ჩემი წიგნები 20
კარი V. ვუბრუნდები ჩემს ბიოგრაფიას. ჩემი დედა, მამა, ბებია 32
კარი VI. სოლომონ ბრძენი მიყვება საკუთარ და პაპა სულხანის ამბავსა.
შემდგომ ვაგრძელებთ საუბარს 44
კარი VII. თავიდანვე რადა უბედურ გვირაბში შემაყოფინე თავი, დიდყურავ?!.
სამწუხაროდ, ჩემგან კარგი გეოლოგი ვერ დადგა... 55
კარი VIII. ვაჰ, რა საშინელ ხაროში ჩაგვაგდეს... „ვირის არაკი".
„ერთი ბებერი ვირის ამბავი". ჩემი ბიბლიოთეკა 64
კარი IX. მივფრინავთ, მივფრინავთ!.. პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ
ასპარეზზე. ჩემს მეგობართა წიგნებზე მუშაობა 73
კარი X. ღმერთები გავხდით, მაშა!.. 86
კარი XI. გავიპარეთ... ალი ბაბა ერთობა – ტბის პირას
მინისტრთა კაბინეტის სხდომას მართავს.
შემოგვეყარნენ ყაჩაღნი. დავბრუნდით დედაქალაქში 100
კარი XII. მზადება სილამაზის კონკურსისთვის. აჯანყება. ისევ გავიპარეთ.
"ოქროსნალებიანი ვირის ზღაპარი" 110
კარი XIII. ტყის პირას კოცონს ვეფიცხებით... სკოლაში სწავლისა და
სტუდენტობის წლები 117
კარი XIV. მდინარე გადავლახეთ... ყველა მენავეს ნუ ენდობი!
წვიმაში მოვხვდით... ზაფხულობით გურიას ვსტუმრობ 130
კარი XV. ზღვა გვაკლდა კიდევ ჩვენ?!. ზაფხულობით მწვანე კონცხს
ვსტუმრობ 135
კარი XVI. ვარსკვლავებისკენ მოგზაურობას გაუმარჯოს! 142

წინათქმა

ძალიან მიკვირს – ამ ბოლო დროს ფრიად უცნაური რომანების გამოცხობა დავიწყე! ერთში მაწანწალა ძაღლი ჰყვება თავის თავგადასავალს, მეორეში – მაგიდა იხსენებს მის გარშემო მსხდომთა მონათხრობს, მესამეში – პიანისტის ხელის მტევნები, პატრონის დაკვრით უკმაყოფილონი, აჯანყდებიან, გაექცევიან და მათ საოცარ თავგადასავალს ვაცნობ მკითხველს... და ამ ახალი წიგნის სათაურიც ხომ ცხადად მიანიშნებს, რომ ამჯერადაც მთლად ჩვეულ მონათხრობს არ ვთავაზობ მკითხველს...

სხვათა შორის, "უცნაურია", არატრადიციულია ჩემი სხვა რომანებიც, ოღონდ – სხვა მხრივ, ახლა ამაზე აღარ გავაგრძელებ საუბარს, რადგან ერთი გრძელყურა და, სხვა დროს ფრიად მომთმენი, ამჟამად კი, – ამ რომანის ფურცლებზე, – ჩემი ერთგული მეგობარი და თანამგზავრი, ხშირად – განსხვავებული შეხედულების მქონე და მწვავედ მოპაექრეც, მოუთმენლად აბაკუნებს ჩლიქებს: ე, ბიჭო, დააყენე საშველი, დავიძრათ ადგილიდან, ისედაც წელიწადზე მეტი გავიდა ამ რომანისთვის პირველი ჩანაწერების გაკეთების დროიდან – 2009 წლის 6 აპრილიდანო!

მართალს ბრძანებს, ხომ იცი! 2010 წლის გაზაფხული მობრძანებულა, ფრინველთა გადაფრენის დროც დამდგარა! აგე – ოთახში საიდანღაც გამომტყვრალი დიდი, შავი ბუზიც დაფრინავს და გულის გამაწვრილებლად დაბზუის!.. რას გვერჩის, აქამდე სად იყო? ალბათ სადმე თბილ კუნჭულში ეძინა... თხლაპ! – ოთხად მოკეცილი გაზეთი ვუთავაზე წამით მაგიდაზე დამჯდარს: სუფრაზე ვინ დაგპატიჟა? საწყალმა, მაშინვე სული განუტევა – გაზეთში ძალიან მძიმე ამბებზე იყო საუბარი და ვერ გაუძლო, ბედკრულმა. ჩემი სიტყვების დასტურად, შემიძლია, წერილთა მხოლოდ ზოგიერთი სათაური მოგახსენოთ და დანარჩენი თვითონ წარმოიდგინეთ:

"ოქროს ნაკეთობათა გამყალბებელი დააკავეს!";

"ურთიერთობის სისხლიანი გარჩევა ვაკეში – სამი ახალგაზრდა საავადმყოფოშია მოთავსებული!";

"ახმეტაში კატამ ძაღლი დაბადა!";

"ადიდებულმა ალაზანმა ხუთი სოფელი დატბორა!";

"თბილისის წყალსაცავში კაცი დაიხრჩო!";

"მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ლუდის ქარხანასთან მთვრალი ახალგაზრდა მტკვარში გადახტა!";

"რუსეთში ასეულ ათასობით ჰექტარზე ტყის ხანძრები მძვინვარებს, დაღუპულთა რიცხვმა რამდენიმე ათეულს მიაღწია";

"სარკინიგზო კატასტროფა ინდოეთში!";

"ვულკანის კატასტროფული ამოფრქვევა პერუში!";

"სომალელმა მეკობრეებმა კიდევ ერთი გემი დაატყვევეს!";

"ხმელთაშუა ზღვაში შეჯახების შედეგად ორი გემი ჩაიძირა!";

"სისხლიანი ტერორისტული აქტები პაკისტანსა და ავღანეთში!";

"აფეთქებათა სერია ერაყში!"...

კიდევ შემეძლო, გამეგრძელებინა, მაგრამ მკითხველს რას ვერჩი? ბოლო აღარ უნდა მოეღოს საწყალი მოსახლეობის თავზე ამდენი უბედურებისა და საშინელების უმოწყალოდ დახვავებას, თითქოს საკუთარი საფიქრალ-სატკივარი აკლდეს?

დიახ, გვეყო ვაი-ვაში და ამჯერადაც არცთუ ტრადიციულ ავტობიოგრაფიულ და, ამავე დროს, ექსტრავაგანტულ რომანს შემოგთავაზებთ... სხვა დროს როდის მითქვამს ტყუილი და, როგორც თვით იხილავთ თქვენი ბედნიერი თვალებითა, ამ წიგნშიც სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, ჩემი ვირუკას გრძელ ყურებსა ვფიცავ! ისე კი, ზღაპრების წერა დიახაც მიყვარს – ზღაპრების ორი წიგნი მაქვს გამოქვეყნებული და სურვილი მაქვს, თუ შევძელი, როდისმე მათ მესამეც მივუმატო. "მაგარი მადა გქნიაო, აი!" – შემიძახებს მკითხველი და ცამდე მართალი იქნება: 2008 წელს ოთხი წიგნი დავწერე, 2009 წელს – კიდევ ოთხი და ნუ გეშინიათ, ამ, 2010 წელს, ხუთ წიგნს არ მოვაცოდვილებ – აი, ორისა კი, თუ მშვიდობა იქნა, გუნებაში მაქვს... მათ შორის ერთი მარტის ბოლოს უკვე დავამთავრე – რომანი "ბაია, ნანული, ბოჩია, მინდია"; იმედი მაქვს, წელსვე მეორე რომანსაც მოვერევი, ამჯერად – ავტობიოგრაფიულ რომან-ექსტრავაგანცას: "ვირუკაზე უკუღმა შავჯექ!". სიცოცხლის მიწურულს მეტი რაღა შემიძლია ამქვეყნად? უკვე კარგა ხანია, პენსიონერი გახლავარ, შვილები გაიზარდნენ, თავიანთი საკუთარი ცხოვრებისეული გზით მიდიან, ამხანაგ-მეგობრები ბევრი არასდროს

მყოლია და ვინც მყავდა, მათგან ნაწილს, სამწუხაროდ, უკვე ვეღარასდროს შევხვდები... დიახ, რაღა დამრჩენია – დროსა და სივრცეში მოგზაურობის მეტი? თანაც – წარმოსახვითის...

ავტობიოგრაფია ძალზე საინტერესო (და სახიფათო!) ჟანრია, იგი ბევრ ცნობილ ადამიანს უწერია: ბენვენუტო ჩელინის, ჯოვანი ჯაკომო კაზანოვას, ჟან-ჟაკ რუსოს, ჯოაკინო როსინის, ექტორ ბერლიოზს, მარკ ტვენს და ასობითა და ათასობით სხვა გამოჩენილ პიროვნებას. მე ყველაზე მეტად მომწონს სერბი მწერლის, ბრანისლავ ნუშიჩის სატირული "ავტობიოგრაფია" – ასეთი მხიარული და თან სევდიანი წიგნი ბევრი არ მეგულება!

დიახ, ავტობიოგრაფიის დაწერას დიდი გამბედაობა სჭირდება... მხოლოდ სიცოცხლის მიწურულს გადავწყვიტე, ავტობიოგრაფიის მსგავსი რაღაც მომეხლაფორთებინა და ამისთვის სალაღობო რომანის ფორმა ავირჩიე. ალბათ იგი ყველას არ მოეწონება – სხვა გარემოებებს რომ თავი დავანებოთ, არიან ადამიანები, რომელთაც მხიარული წიგნები არ იზიდავთ. მე ვიცნობდი ერთ მშვენიერ ქალბატონს, ჩემი თანამშრომელი იყო, გეოლოგი, ყოველმხრივ კეთილი თვისებებით შემკული, ლაღი და სიცილის მოყვარულიც, მაგრამ... მაგალითად, თეატრში კომედიურ წარმოდგენაზე ძალით ვერ შეიყვანდი – არ უყვარდა! დრამა ან ტრაგედია – კი!

ავტობიოგრაფია რა არის? გახსენება იმისა, რა გზაც გაგივლია, რა გიმოქმედია, გიფიქრია, გიოცნებია... ჩემს შემთხვევაში კი – ეს ჩემი წიგნებია, ამიტომ ნაღდი ავტობიოგრაფია უკვე დაწერილი მაქვს! მაშ, ეს წიგნი რაღა არის, ახლა რომ ვაცოდვილებ? ალბათ მოცლილი ბებრის ლაქლაქი... აუჰ, რამდენი ადამიანი შემხვედრია, რამდენი სიტყვა იქით დამიხარჯავს და აქეთ გამიგონია, რამდენი ჭიქა ამიწევია და დამილოცია ღვთიური ღვინის შემქმნელი, რამდენი წყაროს წყალი დამილევია, რამდენი შრიალა ხისთვის და მიმჩქეფარე მდინარისთვის გამიშტერებია მზერა, რამდენი ტურფა ქალისთვის გამიყოლებია თვალი... რამდენი, რამდენი, რამდენი... რამდენი ფურცელი შემივსია წარმოსახვის გზით მიმავალს და რამდენ გვერდზე უნდა დავატიო: რამდენი მთვარიანი ღამის ჯადო მათვლევინებდა თვალხუჭუნა ვარსკვლავებს, რამდენი დილა დღესასწაულით დაწყებულა: ღამით უეცრად მოსული თოვლით გადათეთრებული არე-მიდამოს ბრწყინვალება თვალს მაჭუტინებდა და ბედნიერების ღიმილით მიჩენდა ნაოჭებს გახსნილი ტუჩების კუთხეებში... ყველაფერი ეს ხომ ჩემი წარსულია, ამას თუ არ გავიხსენებ, უკეთესს რას ვუამბობ მკითხველს? მავანის ცხოვრების სკივრში არის უთვალავი საგანძური, რომელიც ყველას ხვედრია, თითოეულისა და ყველას კუთვნილებაა და ამიტომ მე მხოლოდ იმას მოვყვები, რაც მხოლოდ ჩემი ხვედრი თუ წყალობა იყო... იქნებ სხვებს უფრო მეტად გაუმართლათ და უკეთესი სუფრა დახვდათ გაშლილი ცხოვრების ტაბლაზე და უფრო ლამაზადაც მოჰყვებიან ამის შესახებ, კი, ბატონო: ჰა – ბურთი და ჰა – მოედანი! ნებისმიერის წარმატება გამიხარდება! მე კი ჩემსას ვიტყვი: როგორც იყო – ჩემი გადასახედიდან და როგორც შევძლებ – საკუთარი ნიჭ-უნარის კვალობაზე... თავიდანვე ვიტყვი: მოკრძალებული ცხოვრებისეული გზა გავიარე – არც ფათერაკები, არც ბრძოლებში ხმლის ქნევა, არც სახიფათო მოგზაურობები...

გავიმეორებ: როგორც მოგახსენეთ, თავიდან ავტობიოგრაფიის დაწერა განვიზრახე (მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ერთი მწერალი ამბობს, იმაზე საშინელი არაფერია, როცა მოხუცი ცხვირს ჰყოფს თავის წარსულშიო) და, ჩხაბვა მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო ჩემთვისაც, დამწერისთვისაც, და ჩემისთანა, არაფრით გამორჩეული, ადამიანის ნაჩხირკიდელავის გაცნობა – წამკითხველისთვისაც, სალაღობო რომანის ფორმის მიცემა ავირჩიე. ჩვეულებრივი ავტობიოგრაფია რომ დამეწერა, მეტისმეტად ბევრი ჩივილ-ვაება გამომივიდოდა, – არცთუ დალხენილი ცხოვრებისეული გზა გამოვიარე, – უგემური საკითხავი კი ვის რად უნდა? თანაც, ამ ჩვენს დღევანდელ ისედაც დუხჭირ დროებაში საკუთარი საწუხარ-საფიქრალი ყველას ჰყოფნის და კიდევ ვიღაც იოსებ ომაძის ბებრული წუწუნით გუნება-განწყობილების დამძიმება აკლია? ან რა ბედენაა ჩემისთანა უჩინარი პიროვნების ავტობიოგრაფიის წაკითხვა? ამიტომ ვიეშმაკე და ჩემი ბიოგრაფიის ფაქტები, ნამდვილად მომხდარი, წარმოსახვით მოგზაურობაში "შევფუთე", – მწარე წამლის აბს რომ გარედან სხვა ნივთიერებით დაფარავენ უფრო ადვილად მოსახმარად, სწორედ იმდაგვარად... მსგავსი ხერხი, დიდაქტიკურ თუ პედაგოგიკურ ლიტერატურაში ფრიად გავრცელებული, თითქმის ორი საუკუნის წინათ, წარმატებით გამოიყენა იოანე ბატონიშვილმა (ბაგრატიონმა) "ხუმარსწავლის" ("კალმასობის") წერისას. წარსულში მოგზაურობა ყოვლად უსაფრთხოა, ამიტომ თავს ნება მივეცი და წარმოსახვით ფრიად სარისკო ფათერაკებშიც გავეხვიე, – მკითხველის გასახალისებლად, – მხოლოდ დამწერმა ხომ არ უნდა მიიღოს სიამოვნება? ასევე, რაც ფრიად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ერთგვარად თანამედროვეობის ასახვის შესაძლებლობაც მომეცა. თუკი შევძელი, მინდა, წიგნში იყოს გამომგონებლობა, ჰუმორი და ლირიზმი – მათი შერწყმა-შეთანადება ძნელი მისაღწევი კი იქნება... დიახ, არაფრით გამორჩეული ცხოვრება მქონდა, ჰოდა, როგორც ლობიოს კერძს გასაგემრიელებლად შეკმაზავენ ხოლმე სხვადასხვა სუნელით, ნიგვზით, ტყემლით და ასე შემდეგ, – ვისაც როგორც გაუხარდება ან რის შეძლებაც აქვს, – ასევე, ჩემს მიერ მომზადებულ ავტობიოგრაფია-კერძს შევალამაზებ სხვადასხვა ამბით... (აქვე მინდა, ღრმა პატივისცემა გამოვხატო ლობიოს მიმართ და განვაცხადო, რომ არამც და არამც

არ მსურდა კირკაჟი ლობიოს და თუნდაც უბრალოდ მოხარშულის, შეუკმაზავის გემოს დამცირება: მარილსა და დაჭრილ ხახვს მოვაყრი და იმასაც დიდი სიამოვნებით შევექცევი ხოლმე! ჩემი განცხადების გულწრფელობასა და ლობიოს ყოველგვარი წესით მომზადებული კერძის სიყვარულში მკითხველი დარწმუნდება, თუკი წაიკითხავს 1994 წელს დაწერილ ნოველას "ქებათა ქება ლობიოსი", რომელიც შესულია ჩემი მოთხრობების წიგნში "ვემშვიდობები XX საუკუნეს").

როგორც ვთქვი, ავტობიოგრაფიის დაწერა სახიფათოა – ადვილი შესაძლებელია, კეკლუცობა დაიწყო, იქნებ უნებურადაც, და საკუთარი თავი პირუთვნელად ვერ წარმოაჩინო... და არცთუ უსაფუძვლოდ მავანს წამოაძახებინო:

რასაც გვიამბობს აგი აბდალი,
ერთიც არ არის ალბათ მართალი!

მართალია, არაფერი მაქვს დასაფარავ-დასამალი, მაგრამ ბუნებით ძალიან "დახურული" პიროვნება ვარ და არ მიყვარს საკუთარი თავის შესახებ საუბარი; ურთიერთობაშიც ფრიად თავშეკავებული ვარ, "ახლოს" არავის ვუშვებ, საკუთარ ცოლსაც კი... ვიცი, ეს ცუდი თვისებაა, მაგრამ რა ვქნა, საკუთარი ბუნების წინააღმდეგ ჯანყი ფუჭია. ზოგადად ავტობიოგრაფიის ჟანრში დაწერილი თხზულებების სანდოობის კოეფიციენტი არასდროს არის 100%: ნებისმიერი ადამიანი ანგელოზობას ვერ დაიჩემებს და მისი ბიოგრაფიის ზოგ ფაქტს გამოტოვებს, ზოგ ამბავს შეალამაზებს – ცხადზე უცხადესია, რომ მავანის მოგონებების ხომალდი ხშირად გვერდს უვლის უსიამოვნოდ გასახსენებელ მეჩეჩებს... ჩემს შემთხვევაში სანდოობის კოეფიციენტი რა სიდიდეს აღწევს, თვითონაც არ ვიცი და, მართალი მოგახსენოთ, არც მაინტერესებს. დიახ, იძულებული გავხდი, ზოგი რამ შემეთხზა და ჩემს მონათხრობში რომელია ტყუილი და რომელი – მართალი, დარწმუნებული ვარ, ამის გარჩევა მკითხველს არ გაუჭირდება. ათასობით ავტობიოგრაფიული ჟანრის და ათიათასობით მოგზაურობის წიგნია დაწერილი და კიდევ ერთის მიმატება იქნებ არც ღირს, მაგრამ, იმედი მაქვს, ამით არც არაფერი დაშავდება! განსაკუთრებით, თუ მთლად ჩვეულებრივი ავტობიოგრაფია და ჩვეულებრივი მოგზაურობა არ იქნება. ამიტომ და კიდევ იმიტომ, ასევე, კვლავ და კვლავ ამიტომ და კიდევ და კიდევ იმიტომ – არაჩვეულებრივი მოგზაურობის აღწერა მინდა, შემოგთავაზოთ! ჩემი სულის ირონიულ-ნოსტალგიური მოგზაურობა დროსა და სივრცეში – წარსულსა და აწმყოში – მიმწუხრის ჟამს... ვინძლო კეთილად დავასრულო და ჩემს მიერ მომზადებული აჯაფსანდალი მთლად უგემური არ გამოდგეს! შესაძლოა, ჩემი ნაჯახირევით სიამოვნებას ბევრი არ მიღებს, მე კი წერით დიდი სიამოვნებას ვიღებ და თუნდაც ეს გარემოება ამართლებს ჩემს მცდელობას, ავტობიოგრაფიის მსგავსი, ჩემი შეხედულებით – არცთუ ჩვეული სახის, არატრადიციული იერის ნაწარმოების შექმნისა. ცნობილია: ესთეტიკური თამაშის თეორიის თანახმად, რომელიც სათავეს იმანუილ კანტის ესთეტიკური კონცეფციიდან იღებს, მხატვრული შემოქმედება თამაშის ერთ-ერთი სახეა; რასაკვირველია, როგორც მწერლობაში, ისე საერთოდ ხელოვნებაში (და ზოგადად – ნებისმიერი სახის საქმიანობაში), რაიმე ღირებულის შექმნა, ამასთანავე, დიდი და დაძაბული, ზოგჯერ – მტანჯველი, შრომაცაა, მაგრამ ამ საქმეს ყველა ნებაყოფლობით შეეჭიდება ხოლმე და წუწუნი თანმდევი სიძნელეების გამო სრულიად უადგილოა.

როგორც იმპრესიონისტების მისამართით უთქვამთ, მხატვრის ცხოვრება სახიფათო საქმიანობაა, განსაკუთრებით, თუ სურათები არ იყიდებაო; ჩემი ეს წამოწყებაც ამ თვალსაზრისით სახიფათოა – წიგნს მყიდველი არ ეყოლება, თუნდაც იმიტომ, რომ სიმბოლური ტირაჟით დაიბეჭდება, მაგრამ მე ეს გარემოება არ მადარდებს – როგორც ვთქვი, ჩემი ფაფხური მესიამოვნება და ფული კი ეშმაკსაც წაუღია!

ეჰ!.. წარსული – მთელი ქვეყანაა! მასში სტუმრიანობის გემოს სრულყოფილად მხოლოდ ხანდაზმულნი თუ გაუგებენ, განსაკუთრებით – ვინც სამოცდაათ წელიწადს გადააბიჯა... წარსულში მოგზაურობა ფრიად წარმტაცია, ამ დროს ერთდროულად სიამეც ეუფლება შენს სულს და ურვაც, წუხილიც – ვაგლახ, ვეღარასდროს იქნები ძალ-ღონით აღსავსე, სახეგადატკეცილი, ქოჩორა, თვალანთებული ბიჭი, სიხარულით, კეთილი ოცნებებითა და მოლოდინებით აღსავსე... ვეღარასდროს გაესაუბრები ზოგირთ შენთვის ახლობელ, ძვირფას ადამიანს, შენი ოჯახის წევრს, მასწავლებლს, მეგობარ-ამხანაგს, კეთილ ნაცნობს – ისინი სამუდმოდ დაგშორდნენ და მხოლოდ მოგონებით თუ წარმოსახავ, თითქოს დავიწყების ბურუსიდან გამოიყვან და სიყვარულით გააცოცხლებ მათ ხატებას... და გამხსენებელს დაგეუფლება ბედნიერების გრძნობა, თითქოს იპოვე შენთვის ძალიან ძვირფასი რამ, შენი სულის ნაწილად რომ ქცეულა...

ჩემს მიერ წამოწყებული საქმე ძალიან გამიადვილდებოდა, მე რომ დღიურები სისტემატურად მეწერა; დღიურის წერა ერთი ასჯერ მაინც მაქვს დაწყებული და ერთ-ორ კვირაზე მეტხანს ვერასდროს გავძელი, მოთმინება არ მყოფნიდა, რომ შეუწყვეტლად გამეგრძელებინა დაწყებული საქმე...

არადა, რამდენი მნიშვნელოვანი რამ, ჩემთვის მაინც, მეხსიერებამ ვერ შემოინახა და უკვალოდ დაიკარგა, მაგრამ რაღას გააწყობ...

წამიკითხავს: ძველ საბერძნეთში უამრავი დღესასწაული იყო – ორმოცდაათზე მეტი! ჩვენს ქვეყანაშიც ბევრი ძველი თუ ახალდაწესებული დღესასწაულია; მათი დიდი უმრავლესობა ნაღდად არ არის "საჩემო" და ჩემში შესაბამის განწყობილებასაც ვერ ბადებს... ამიტომ მე განვიზრახე, ჩემთვის პირადი დღესასწაული მოვიწყო, თანაც გრძელზე გრძელი, მრავალთვიანი – ამ წიგნის შექმნის დრო! მოგზაურობა-დღესასწაული ან დღესასწაული-მოგზაურობა – სანამ ამ წიგნის წერა გაგრძელდება! იქნებ ჩემი მცდელობა იმთავითვე არ გახლავთ გამართლებული, მაგრამ მე მაინც ჩემსას შევეცდები – როგორც შევძლებ, ისე მოვაკვარახჭინებ უჩვეულო მოგზაურობის ამბავს, რადგან, დარწმუნებული ვარ, ამით ზიანს არავის მივაყენებ და თუკი ვინმეს ვაზარალებ – მხოლოდ საკუთარ თავს!

სერვანტესის "დონ კიხოტში" ექვსას სამოცდაცხრა პერსონაჟი დათვალეს, ამ ჩემს ბოლო ნახლაფორთებში ალბათ სულ რამდენიმე იქნება: სწორედ იმიტომ, რომ მთავარი პერსონაჟი მე გახლავარ – მოგზაურობაში ჩემს თანამგზავრთან ერთად... და იქნებ ეს ჯაჯღანა თანამგზავრიც მე ვარ – ჩემი "მედლის" "მეორე მხარე" – კრიტიკულ-პესიმისტური...

ძალიან კარგად ვიცი, რომ ყველაზე მშვენიერი წიგნი ჯერ კიდევ დაუწერელი წიგნია – მწერლის წარმოსახვაში არსებული... და ის იმდენად სრულყოფილი ჩანს, იმდენად მდიდარი, ღრმა, რომ სინამდვილეში მისი განხორციელება შეუძლებელია... და ოდნავ თუ მაინც შესძელი წარმოდგენილ იდეალურ სახესთან მიახლოება, უკვე არცთუ ცუდი წიგნი დაგიწერია. ზოგადად, ამგვარი რამ იშვიათად ხდება და რატომ გგონია, რომ მაინცდამაინც შენ მოახერხებ ამის გაკეთებას? მაგრამ მაინც უნდა სცადო...

"ვირუკაზე შეჯდომა" ჩემი მეთხუთმეტე გასროლაა რომანის ჟანრში. არ ვიცი, ადრე რამდენჯერ მოვარტყი მიზანში; შესაძლოა, ყველა ცდა ფუჭი გამოდგა და წინა მცდელობებიდან ერთიც არ ვარგა. სულ მგონია, რომ მარადი მოწაფე ვარ, სულ იმის იმედი მაქვს: იქნებ ახლა მაინც გავაკეთებ რაღაცას ღირებულს, იქნებ კიდევ ერთმა ცდამ, ამჯერად – იქნებ უკანასკნელმაც, გაამართლოს?..

მაშ, წინ – წარსულისკენ!..

კარი I.
ვირუკაზე უკუღმა უნდა შავჯდე – ქვეყნიერება მოვიარო!

აჰა, გაზაფხულიც შემოგოგმანდა საქართველოში, არემარე მწვანით იმოსება, ჩემი გული კი – მოუთმენლობით ივსება!.. აგერ მერცხლებიც გამოჩნდნენ – ფანჯრის წინ მდგომს არ მომწყინდება ცქერა, მუქად როგორ ხაზავენ ცისფერ ცას...

სული ფორიაქობს: ჩემი "გადაფრენის" დროც დადგა!..

შინ განვაცხადე:

– დღეს პირველი მარტია, გაზაფხული გვესტუმრა; უკვე საკმაოდ დათბა და სამოგზაუროდ მივდივარ!

ჰო-ჰო, რა ცხარე დისკუსია გაიმართა ოჯახში!

– სადა, კაცო? – გაუკვირდა ცოლს.

– ქვეყნიერება უნდა მოვიარო!

– ვის მიყვები?

– მარტოკინა მივდივარ! არა, ვირუკასთან ერთად!

– ვირით მიდიხარ? მერედა, ვირი რომ არ გყავს?

– ვიყიდი! თან – ვირზე უკუღმა შამჯდარმა უნდა ვიმოგზაურო!

– ვაი, ჩემს თავს, ამ სიბერეში სულ მთლად გამოჩერჩეტდი? მარტის გიჟი ხარ! რა დროს შენი წოწიალია, სამოცდათოთხმეტი წელიწადის შესრულებას ბევრი აღარაფერი გიკლია, საიქიოს გამგზავრება ხომ არ მოგენატრა! ბაზარში კი არა, მაღაზიაშიც კი წამოყოლაზე სულ უარს მეუბნები და ახლა მარტომ გინდა, მთა და ბარი შეაჯერო? არ გეყო, ორმოცი წელიწადი და მეტიც რომ დახეტიალობდი გეოლოგიურ ექსპედიციებში, მთაში, ტყე-ღრესა და ტრამალში? – გრძელი, საკმაოდ უგემური მონოლოგი გამოაცხო ცოლმა.

– არ დავმორჩილდები სიბერეს, უძლურებას, უნდა დავამტკიცო, რომ ფრენა ჯერ კიდევ შემიძლია!

– მართლა გააფრინე, შე საწყალო! შენ თუ ჭკუა მოგეთხოვება!

– რა არის სწორი ქცევა? ეს კითხვა კაცობრიობას თან სდევს მისი წარმოშობის დღიდან... და დღემდე ყველასთვის მისაღები პასუხი არ არსებობს – ყველა ცდილობს მასზე საკუთარი პასუხის

გაცემას... ჩინელმა ბრძენმა კონ ფუ-ძიმ ჯერ კიდევ ოცდახუთი საუკუნის წინათ თქვა, რომ ცხოვრებისეული რამდენიმე ეტაპი გავიარე და სამოცდაათი წლისამ კი მივენდე საკუთარ გულისთქმასო, მაშა! მე და კონ ფუ-ძიმ სიცოცხლის ციკლები სხვადასხვაგვარად გავიარეთ, ბოლო კი მსგავსი გამოდგა: სიცოცხლის მიწურულს მაინც უნდა შევისრულო დიდი ხნის ნალოლიავები ოცნება. მე მიმაჩნია, რომ ამგვარად – ვირზე უკუღმა ამხედრებულისა – ჩემი მოგზურობა ყოველმხრივ გამართლებულია, შენ კი ფიქრობ, რომ გავაფრინე და ჩვენს შვილებსაც სასაცილოდაც არ ჰყოფნით... ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანებიც კი ვერ მიგებთ სწორად – ვერ მიმხვდარხართ, რომ ჩემთვის მთავარია, ვიყო სულიერად თავისუფალი, დაუთრგუნავი, ლაღი, გულისხმევის კარნახს მინდობილი...

– რა ფილოსოფოსობა აგიტყდა, დაეტიე შენს ქერქში! რომ გარბიხარ, სად გარბიხარ და რატომ?

– სხვა მხრივ აგიხსნა? კეთილი... წამიკითხავს: ცნობილია იაპონელთა მისწრაფება ნახევარსაუკუნოვანი ასაკის მიღწევისას ან უფრო გვიან განერიდონ საქმეებს და მიეცნენ ბუნების მშვენიერების ჭვრეტით სიამოვნების განცდას... იაპონურ ენაში ყოფილა ესთეტიკური შინაარსის მქონე ცნებები: ჰანამი ანუ ყვავილების ცქერით ტკბობა, ცუკიმი ანუ მთვარის ჭვრეტით ტკბობა, იუკიმი ანუ თოვლის ცქერით ტკბობა...

– ვაიმე, ცუდად არის შენი საქმე, ვირზე პირუკუღმა ჯდომით ტკბობას რაღა ჰქვია? ხომ არ ფიქრობ, რომ შენი წინაპარი ვიღაც იაპონელი იყო? ბარემ ჰარაკირიც გაიკეთე, თუკი პროტესტს აცხადებ... ოჯახში გაწყენინა ვინმემ? ვინ გთრგუნავს? გამაგებინე, რა ბზიკმა გიკბინა, რა მიგარბენინებს?

– ჩვენს ოჯახში რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ გამაქციოთ...

– აბა, რატომ მიჩერჩეტობ? თუ გინდა, ამ გზით ნაცრისფერ ყოველდღიურობასა და ამაო ფუსფუსს გაემიჯნო, სულიერი თავშესაფარი მოძებნო?

– ალბათ ნაწილობრივ ასეა...

– თუ დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფებულ სისასტიკეს, შეუწყნარებლობას, ძალმომრეობას ვერ ეგუები და გსურს, ასეთი ხერხით საყოველთაო სიცრუის, დემაგოგიის, ცინიზმის წინააღმდეგ აღიმაღლო ხმა?

– არა, რა ვაუკაცობაა სიძნელეს გაექცე! პირიქით, მე მინდა, ქვეყნიერება დავიარო და სხვადასხვა ქვეყნის მდგომარეობა უკეთ გავიცნო... უსათუოდ უნდა წავიდე, თანაც – ვირუკასთან ერთად, მაშა!

– მერე, ვირითა, კაცო? რაღა გვეშველება, სიცხე ხომ არ აქვს? აკვიატებული ფსიქოზი სჭირს, ექიმი ხომ არ გამოვიძახოთ?!. – შეიცხადა ცოლმა.

– დიახაც, ვირუკათი ანუ სახედრითა, თანაც – უკუღმა უნდა შავჯდე და ისე ვიმოგზაურო, მაშა!

– "მაშა, მაშა!" – გამომაჯავრა ცოლმა. – ერთი ჩამახედა შენს გოგრაში, ნეტავ რითი გაქვს გამოტენილი? ტვინი გადაგიბრუნდა!

უფროსი შვილი, ბესარიონი, მეკითხება:

– დიდყურაზე ზურგშებრუნებით ფიქრობ ამხედრებას, ყეენი გინდა, გახდე? რა დროს ვირია, რატომ ცხენზე არა?

უმცროსი, დათუნა, ხითხითით ამატებს:

– ცხენზე აფორთხება გაგიჭირდება? მეც წამიყვანე და დაჯდომისას ფეხს დაგიჭერ ხოლმე! ან იქნებ თან პატარა კიბეც წაიღო?

– ჩემი საქმისა მე ვიცი! – ვიგერიებ შინაურთა შემოტევებს. – ცხენი ვის არ უყვარს, მეც – გამორჩეულად; დიდებული პირუტყვია: სხვა თუ არაფერი, სილამაზისა და სისწრაფის განსახიერებაა! ლევ ტოლსტოის მსგავსად, რომელსაც ღრმა სიბერეშიც ხშირად უყვარდა ცხენით გასეირნება იასნაია პოლიანას სანახებში, ამგვარი რამ მეც მიზიდავს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც მამული მაქვს – მუდმივად თბილის-ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში, ვარკეთილის დასახლებაში, თხუთმეტსართულიანი სახლის მეათე სართულზე ვცხოვრობ! – და არც – ფული, ჯიშიანი კი არა, ჩვეულებრივი ცხენის შესაძენი, თუნდაც – ჯაგლაგისა! ტოლსტოი ფიცხი ხასიათისა იყო, თანაც – ბრწყინვალე თავადი! დროდადრო "დემოკრატობა" მოუვლიდა და ვითომ გლეხურ საქმიანობას იწყებდა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ვირზე შეჯდომას ვით იკადრებდა!

– აბა, ვის ბაძავ, მოლა ნასრედინს? – მეკითხება დათუნა. – მართლა საოხუნჯოდ გაიხადე საკუთარი თავი!

მე იხტიბარს არ ვიტეხ:

– მიბაძვა პაროდისტების ან ხელმოცარულთა საქმეა... თანაც, რაღაც არ მახსენდება, რომ ვირუკაზე თავისი ნებით უკუღმა ამხედრებულის მოგზაურობის ამბავი ან სადმე წამეკითხოს, ან გამეგონოს...

— გაგიჟდი? რა დროს ვირით მოგზაურობაა ოცდამეერთე საუკუნეში? თვითმფრინავი, გემი, ავტომობილი — ჯერ არ გამოუგონებიათ შენთვის? აი, რამდენი ცივილიზებული საშუალებაა, კიდევ — მოტოციკლი ან თუნდაც, უკიდურეს შემთხვევაში — ველოსიპედი! ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთა ტრანსპორტი! — მიმტკიცებს უფროსი ვაჟი, უფრო კი — მატრიზავებს.

— მე ყველაფერს მატარებელი მირჩევნია! — ამბობს ცოლი.

— მერე, მატარებლით მთებში აბობღდები? ოკეანეს ან თუნდაც მდინარეს გადაცურავ? — ვეკითხები მე.

— არა, შენი ვირუკათი მოგზაურობა ბევრად აჯობებს! — აგრძელებს ჩემს გაბიაბრუებას ბესარიონი. — ყურებს აფრის მაგივრად გამოიყენებ!

— საკუთარს თუ ვირუკასი? — დაზუსტება სურს დათუნას.

როგორც ოფიციალურ თავყრილობებზე ამბობენ ხოლმე, განსახილველ საკითხზე მე საკუთარი შეხედულება მაქვს:

— ჩემდა თავად, ფეხით მოგზაურობას ყველაფერს ვამჯობინებ: მას ბევრი უპირატესობა და თავისი ხიბლი აქვს! მე კი ვირუკაზე ამხედრებულმა განვიზრახე მოგზაურობა — კაცია და გუნება! თანაც, თქვენს მონა-მორჩილს, სამოცდათხუთმეტი წლის კაცს, ფეხით წანწალი კი მომწონს, მაგრამ ბოლომდე გავუძლებ კი? ისიც ვიცი, რომ ამ წიგნის დაწერისთვის მავანნი მზად იქნებიან, მდუღარე კუპრიან ქვაბში მიკრან თავი, მაგრამ რა ვქნა — ვირუკაზე თავნება და ჯინიანი მე გახლავარ!

— სიბერეში რა ჭირი და ოხრობა გეტაკა, მთელი ქვეყნის დასაცინი უნდა გახდე? — ისევ ჩაერთო ჩემი განზრახვის გაცამტვერებაში ცოლი.

— სიბერეზე მეტად, იცით, რამ შემაწუხა? თქვენმა დაცინვამ და კითხვებმა... ერთი და იგივე კითხვით უკვე მერამდენედ უნდა შემაწუხოთ? ჩემი წასვლა გადაწყვეტილია, ოჯახში ამ საკითხის გამო სადისკუსიო კლუბის ბოლო სხდომას დახურულად ვაცხადებ!

ისე, ჩვენში დარჩეს და, ჩემი ოპონენტების არგუმენტები არ ჩანს მთლად უსაფუძვლო... მაგრამ მეც საკმაოდ მყარი არგუმენტები გამაჩნია ჩემი პოზიციის დასაცავად!

ეჰ, სიბერე, სიბერე!.. მურტალი ვიღაცა არის, დაუნდობელი: ვერ მოთაფლავ, ვერ მოატყუებ, ვერ აჯობებ, ვერც გვერდს აუქცევ და დაემალები! მაგრამ ხომ შეიძლება, შეეწინააღმდეგო, წაეჭიდაო — დროზე ადრე ფარ-ხმალი არ დაყარო!..

ძალიან კარჩკეტილად ვცხოვრობ: ზოგჯერ კვირა გაივლის, ორი კვირაც და მეტიც, და შინიდან ქუჩაშიც კი არ გავალ, არამცთუ თბილისიდან; ოჯახის წევრების გარდა, თითქმის ვეღარავის ვხვდები... იშვიათად პატარა შვილიშვილების სანახავად სამარშუტო ტაქსით მივბრძანდები ვარკეთილი-3-ის დასახლებიდან საბურთალოში და, შინ დაბრუნებული, ისეთი დაღლილი ვარ, თითქოს მთელი დღე მუხლჩაუხრელად ვბარავდი ან ვთოხნიდი... მართალია, ორი წლის შვილიშვილი — ჩემი სეხნია, პატარა სოსო — ისეთი მოძრავი ბავშვია, ახალგაზრდასაც სიქას გააცლის! და რა ძალა მედგა, რომ მარტოკინამ მოგზაურობა ავიტეხე, თანაც — ვირზე ამხედრებულმა? თანაც — უკუღმა?!. სწორედ წადილმა — ჯერ კიდევ საკმარისი ძალა მერჩის!

როგორც მოგახსენეთ, ვცხოვრობ თბილისის გარეუბანში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში — აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა — და მეათე სართულის ჩემი ბუდიდან ყოველდღე, ფანჯარასთან მიმდგარი, გავყურებ სამხრეთით შორეთს: რუსთავის კვარტალებს, მეტალურგიული ქარხნის მილებს, იაღლუჯის მოტიტვლებულ კალთებს... უფრო ახლოს — თაბორის ქედის ღრმა ხევებით დაღარულ ფერდობებს, მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ გზატკეცილზე მიმქროლავ ხოჭოებს-ავტომანქანებს... ვუყურებ მრავალსართულიანი უსახური სახლების ჯგროს ქვემო ვარკეთილის დასახლებისა, ჩემი სახლის წინ გაჭიმულ, მოგუგუნე ფართე ქუჩას, ცაში — თვალმოჭუტვით — ძალამიცემული მზის სიცილს, ჰაერში — მტრედების თამაშს... და ძალაუნებურად როგორ არ მოგინდება შენც თავისუფლად გაფრენა — შენს გემოზე ლაღად განავარდება!

სხვა აღარაფერი შემიძლია: ჩემი სიამოვნება ის არის, რომ, წარმოსახვის ფრთებით მაინც, გავწიო — შორს, შორს! დავლაშქრო დრო და სივრცე — მოვინახულო უცხო, უნახავი ადგილები, შევხვდე ნაირ-ნაირ ადამიანებს... წარმოსახვით მოგზაურობაშიც თავისებური ხიბლია!

დიახ, მეყო მუთაქასავით შინ გდება: ქვეყნიერება უნდა მოვიარო! ბატონო იოსებ, სულ რომ ერთთავად კომპიუტერთან ზიხარ და კლავიშებს უკაკუნებ, ესეც დიაღ კარგი და ფრიად მისასალმებელია, რა თქმა უნდა, მაგრამ ხომ ბევრად ჯობს, გაიარ-გამოიარო, გაიხედ-გამოიხედო — ვაჰ, რამდენ რასმე ნახავ ახალს, თვალგასახარს, რამდენ კეთილსიტყვიან მთხრობელს შეხვდები, გულს გაიხალისებ და გონებას დააპურებ!

რატომ აიტაცებს მავანს მოგზაურობის ჟინი, ამას რა დიდი ახსნა-განმარტება სჭირდება — ხეტიალის მოთხოვნილება იმთავითვე ჩაბუდებულია ყოველი ჩვეულებრივი ადამიანის ბუნებაში და, როგორც კი ფეხს აიდგამს, უნდა, რომ სულ იაროს, იაროს... სანამ სამარის კარს მიადგება! ზოგ პიროვნებაში ბუნების ეს კარნახი, — სიცოცხლე მოძრაობაა! — მოუთოკავია, წუთისოფლის ბოლო დღემდე ვერაფერი აკავებს! — უმრავლესობა კი, ცხოვრებისეული ყოველდღიური ხუნდების გამო,

როცა ბრძოლით დაიღლება, ახლის შეცნობის ჟინს შიგნით ჩადენის, სადღაც სულის სიღრმეში, და გამოამწყვდევს, გასაქანს არ მისცემს... მაგრამ ხშირად ეს ნდომა ფერფლწაყრილი, მინავლული ნაკვერჩხალივით არის, ბოლომდე არ ჩაკვდება ხოლმე და სულის ერთი მცირე შებერვა სჭირდება, რომ გახურდეს, ღველფიდან გამოანათოს – გაცოცხლდეს!.. ჩემში ის გაცოცხლდა სიცოცხლის მიწურულს – წარმოდგენით მაინც...

დიახ, მკითხველო, ჩემო ძმავ და მეგობარო, იმაშიც მინდა, დაგარწმუნო, რომ ამ საქმისთვის ვირუკაზე უკეთეს თანამგზავრს სად იპოვნი! არც ცოლივით ჭიჭყინით და უაზრო ლაილაით გაგიჭირებს საქმეს, არც ავტომობილივით უცებ ჯორივით გაჩერდება, არც დიდი მოფერება და ლოლიავი სჭირდება – ეკლიანი ბალახითაც იოლას გადის, შაჯექ (გინდა – წაღმა, გინდა – უკუღმა!) და გაუტიე!..

მავანი ჩემი შვილებივით იკითხავს: "ვირუკაზე უკუღმა რატომღა შაჯექ, რა გრჯიდა? განა შენს ხელთ არ იყო უამრავი, ბევრად უკეთესი არჩევანი? თუკი ასეთმა ბალღურმა ჟინმა მოგიარა და ვირუკაზე უკუღმა შაჯექ, როგორღა წარმართავ მის მსვლელობას? ვირის იმედად გინდა, დარჩე? როგორ გაარკვევ, საით მიდიხარ, სწორად თუ მიდიხარ, ხიფათს ხომ არ გადაეყრები?".

ნაირ-ნაირი კითხვების ჯგრო ჩემთვისაც იზრდება, იზრდება და გაურკვევლობისა და გაკვირვების ერთ დიდ გორგალად იქცევა...

რაღაცის საძებნელად ხომ არ ვიწყებ წოწიალს? მაინც რის? სრულიად საიდუმლოდ დაფლული ოქროს ფულითა და თვალ-მარგალიტით გავსებული ქოთნის საძებნელად ნაღდად არ წავალ – ფული და სიმდიდრე ეგრერიგად არასდროს მიზიდავდა... ჩემთვის სასიყვარულო ბარათიც არ მოუწერია შორეული ქვეყნის ხალიფასა ან ნავთობით გამდიდრებული მილიარდერი არაბი შეიხის ქალიშვილს, რომ მასთან შესახვედრად მივიჩქაროდე; ახალ ქვეყნებს ან თუნდაც – ახალ მდინარეებს და მწვერვალებსაც ვეღარ აღმოვაჩენ და, როგორც ყველა მეტ-ნაკლებად განათლებული ადამიანი დამეთანხმება, განსაკუთრებით მცირე შანსია ახალი კონტინენტის აღმოჩენისა... არც ნადირობა მიტაცებდა როდისმე და აფრიკაში საფარი ჩემთვის ნაღდად დაგვიანებულია; ჩემთვის არც ჰიმალაის მთებში რვაათასიანი მწვერვალების დასაპყრობად გამგზავრების დრო ჰყივის და არც – ამაზონიის ჯუნგლებში ხეტიალისა... "აბა, რა ჭირი მიგარბენინებს, ვერ დაეტევი შინ?" – ჩემს ცოლს მხარს აუბამს გაჭიანურებული შესავლით გაბეზრებული მკითხველი, რომელსაც 300-გვერდიანი წიგნის წაკითხვა წინდაწინ აშინებს, – რატომ ტოვებ შეჩვეულ გარემოს, ნათესავ-მეგობრებს? რატომ გარბიხარ და, როგორც ჩანს, თვითონაც არ იცი, საით?".

მკითხველს ერთი საიდუმლო უნდა გავანდო: დიახ, ნუ ღელავთ, მე სულაც შინ ვრჩები: ჩემი თბილი ხალათით (ზამთარში), რბილი ფოსტლებით, ტელევიზორით, DVD-ითა და CD-ის დასაკრავი მუსიკალური ცენტრით, ჩემი წიგნებიანი თაროებით, კედლებზე ჩემი მეგობარი მხატვრების სურათებით; დილას – განუყრელი ფაფით, შუადღეზე – სადილს დაყოლებული ერთი ფინჯანი ყავით ან ჭიქა ღვინით (განსაკუთრებით, თუ ლობიოს მივირთმევ!), საღამოს – ერთი ჭიქა მაწვნით... და დილიდან საღამომდე, ხამუშ-ხამუშ, კომპიუტერის კლავიატურაზე დაკვრით – ჩემს თითებს მორიგი რომანის მელოდია გადააქვთ კომპიუტერის ხისტ დისკოზე... როცა დავიღლები ან შევფერხდები, ვერ მივდივარ წინ – გვერდით მაგიდაზე გადავინაცვლებ და ფუნჯს ვკიდებ ხელს (დღეს, მაგალითად, მახსოვრობით ქაღალდის ფურცელზე გუაშით მორიგ სურათს ვხატავ: ჩემი მეგობარი მხატვრის, გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილის არმაზის აგარაკიდან დანახული ხედი: მტკვარი, მის გაღმა პატარა ჭალაკი, უფრო შორს – ჩაწყობილი გორაკ-ქედები რბილად გადაედინებიან)... აკრეფილი ტექსტის უამრავი გასწორება-ჩასწორების, ჩამატება-გამოკლებისა და კიდევ ერთი კორექტურის შემდეგ, დრო მოვა და, ბესარიონის, ჩემი უფროსი ვაჟიშვილის, დახმარებით, ტექსტის საბოლოო ვარიანტი დაკაბადონდება, პრინტერზე ამოიბეჭდება ათამდე ეგზემპლარი; ფურცლებს დავჭრი, დავაწყობ, ავკინძავ; ბოლოს, ჩემი ხელით გაფორმებულ და გაკეთებულ ყდას "ჩავაცმევ" ახალშობილ წიგნს და, უპირველესად, ეროვნულ ბიბლიოთეკას ჩავაბარებ ოთხ ეგზემპლარს...

მიამიტი მკითხველი იკითხავს: "ამდენ ჯახირს გამომცემლობაში მიტანა არ ჯობს?". დიახ, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ უკეთესია – ტირაჟის ოდენობით, ხარისხით, დროის მოგებით და წვალების თავიდან აცილებით, მაგრამ – ფული? ჩემი დღევანდელი პენსია პურის ფულსა და კომუნალურ გადასახადებსაც კი ვერ სწვდება... ჩვენი ევროპულად დიდად განათლებული, კომპიუტერისა და უცხო ენების მცოდნე მთავრობის პატივცემული წევრები სიტყვაკაზმული მწერლობის კლასიკოსებად შერაცხულ გენიოსებს არ კითხულობენ, როგორც ჩანს, დიდად არც პატივს სცემენ და საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდნილ თანამედროვე მწერლებს მიაქცევენ ყურადღებას? მიაჩნიათ, რომ თუკი მავან, თუნდაც ცნობილ ავტორს, წიგნი დაუწერია და სურს, გამოსცეს, კეთილ ინებოს და საკუთარ თავს თვითონ მიხედოს! ასეთი მიდგომა დემოკრატიზმის გამოვლენად მიაჩნიათ – ქვეყნის ამგვარ მამათა ხელში ვაი საზოგადოდ კულტურისა და ხელოვნების მსახურისა და დამფასებლის, კერძოდ კი – მწერლისა და მკითხველის ბედი!..

იქნებ ერთი წელი და მეტიც დამჭირდეს ამ რომანის დასაწერად და შემდეგ – დასახვეწად, ტექსტის დაბეჭდვამდე და აკინძვამდეც ალბათ კარგა დრო გაივლის, ამიტომ უნდა ვიჩქარო და ამ მართლაც გაჭიანურებული შესავალის უხეირო ჯაგლაგიდან ჩამოვხტე, თავისუფლება ვაღირსო და საბალახოდ გავუშვა... დროა, დროა – სამოგზაუროდ ვირუკაზე ავმხედრდე! მით უმეტეს, რომ – ჩუ!.. – შინაგანი სმენით მესმის: ვირუკამ ისევ მოუთმენლად დაიყროყინა – "დააყენე საშველი, რა დროს უთავბოლო ბებრული ლაქლაქიაო!" – და მოუთმენლად აბაკუნებს ჩლიქებს... ახლავე, ახლავე, ჩემო უმცროსო ძმავ და ძვირფასო მეგობარო, მზად გახლავარ, გეახლო და შენზე ავმხედრდე... საიდან გამოტყვრა ეს ვირუკა, რა უნდა ამ ფურცლებზე? ამას მოგვიანებით შეიტყობთ...

ჰო, რაზე შავჯექ? რაღა თქმა უნდა, უპირველესად, – შთაგონების ფრთოსან მერანზე და ქაღალდის თეთრ ფურცლებზე გავაჭენე! როგორც მკითხველი დაინახავს, იმავდროულად, ჩემს მეორე მეგობარზეც შავჯექ, – ვირუკაზე, მაშა! როგორ და რანაირად მოვახერხე ერთდროულად ეს საცირკო საქმე, ერთი ფეხით მერანზე შეხტომა და მეორეთი – ვირუკაზე, და რა წარმატებას მივაღწიე ამ ფრიად გასაკვირველ გზაზე, ამას ქვემოთ დაინახავს საკუთარი ბედნიერი თვალებით მოთმინებითა და ცნობისწადილით აღვსილი ჩემი მკითხველი...

ჰეი, საით გავუტიე! სულ სხვა სახედარზე შავმჯდარვარ, – ლაქლაქ-ლაზღანდარობისა, – დროა, პირდაპირ საქმეს მივხედო!

კარი II.
ბოდბისხევს მივდივარ
ვირუკას საყიდლადა, მაშა!

დღეს თბილისში რას არ იყიდის კაცი – ათასგვარ უმაღლესი ხარისხის საქონელს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან, – მადლობა ღმერთს, საყოველთაო დეფიციტის კომუნისტური ეპოქა წარსულს ჩაბარდა! შენ მხოლოდ ინატრე და ჯადოსნური კვერთხი არ გჭირდება: თუ ფული სამყოფად გიჭყივის ჯიბეში, ყველაფერს იყიდი, ყველაფერს, თუნდაც – ტროპიკული ტყეების მშვენებას, ფერადოვან თუთიყუშს, პატარა ნიანგს, მაიმუნს ან ვეფხვის ბოკვერს! მაგრამ... აი, ცოცხალ ვირუკას კი – ვერა!.. ვერანაირად და ვერასგზით! იმ ახლომახლო სოფლებში, ახლა რომ რატომღაც თბილის-ქალაქს შემოუერთეს, – ტაბახმელაში, კოჯორში, წყნეთში, დიღომში, დიდ და პატარა ლილოში და სხვებში, – წინათ ვირების მეტი რა იყო: რძე-ყველ-მაწონი, ხილი, მწვანილ-ბოსტნეულობა გლეხკაცის ამ ერთგულ "სატრანსპორტო საშუალებას" ჩამოჰქონდა დედაქალაქში, მაგრამ დღეს სადღა ნახავ, დიდი, დიდი ხნის წინათ გაქრა! სამაგიეროდ, "რკინის რაშები" – ავტომომანქანები – ლამის ყველა ოჯახს ჰყავს, ზოგს – ორი-სამიც კი უდგას ეზოში...

ძნელად შესასრულებელი სურვილის დასაკმაყოფილებლად, – კენტჩლიქოსანი ძუძუმწოვრების ქვეგვარის, ცხენისნაირთა რიგის, ჩვენში იშვიათობად გადაქცეული სახეობის, შინაური ვირის შესაძენად, – რა თქმა უნდა, ჯობს, სოფლად გაეშურო, მაგალითად, სამეგრელოს ესტუმრო ან უფრო ახლოს – კახეთს; კახეთში კი ყველაზე უკეთესია, ბოდბისხევის სახელგანთქმულ ბაზარს მიაკითხო!

ჰოდა, ჩემს უფროს ვაუს თავი წავაჭამე თხოვნით: ერთი კარგი ვირუკა მინდა, ვიყიდო და ბოდბისხევის ბაზარს წამიყვანე შენი ავტომანქანით-მეთქი...

ათასჯერ დამპირდა, ათასჯერვე, რაღაც მიზეზის გამო, გადადო პირობის ასრულება...

და აჰა, ათასმეერთეჯერ რომ შევუწუხე გული, ერთ კვირადღეს ჩამსვა ბატონმა ბესარიონმა თავის "ფოლკსვაგენის" ავტოქარხნის "პასატის" მარკის მშვენიერ ავტომანქანაში და დილაადრიან გავუტიეთ კახეთისკენ – ვირუკას საყიდლადა!..

მზის ბრიალა თვალი მხიარულდ დაჰყურებს ქვეყნიერებას და ჩვენსავით ხარობს – გაზაფხულის მშვენიერი დღეა!

გავყურებ გარე კახეთის ასე ნაცნობ და ძალიან მონატრებულ ხედებს: ხელმარცხნივ – ცივ-გომბორის დაბალ, ტყიან ქედს, აქედან რომ ფრიად ქარაფოვან-კლდოვანი ჩანს, მის ძირში კი ზოგან სოფელთა სახლები მიყუჟულან, როგორც კრუხის ფრთებქვეშ შეფარებული წიწილები; ხელმარჯვნივ – რბილად დატალღული მიდამო: ხრიოკ გორაკებს ენაცვლება რუხი ველები, უმეტესად – მიგდებულნი, საძოვრებად გადაქცეულნი... მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ გამოჩნდება მოხნულის შავი ზოლი ან ამოწვერილი ჯეჯილის მწვანე საბანი ახარებს თვალს...

წნორში ხელმარჯვნივ გავუხვიეთ და მიხვეულ-მოხვეულ აღმართს შევუყევით – სოფელ ბოდბისხევისკენ.

ბოდბისხევის ბაზარში – ჰო-ჰო, რა ჟრიამულია, რა ორომტრიალი!.. გასაყიდად გამოტანილს რას არ ნახავს კაცის თვალი, მაგრამ ჩვენ პირდაპირ იმ მხარისკენ ავიღეთ გეზი, საიდანაც განუწყვეტლივ ისმოდა ცხვრების ბღავილი, თხების პეტელი და ხარ-ძროხის ზმუილი.

დავდივართ, ვეძებთ...

რამდენიმე ცხენია გასაყიდად გამოყვანილი, ერთი – ჯორიც, ვირი – ერთიც არა.

– რა დროს ვირია, თუ ძმა ხარ! – ერთს რომ ვკითხე, ეგრე მიპასუხა. – მთელ კახეთში რამდენიმე ვირიღა დარჩა, ლამის "წითელ წიგნში" შეიტანონ!

– არც ეგრეა საქმე, – გულს მიკეთებს მისი მეზობელი ძიაკაცი. – ძაან კი გაიშვიათდა, მაგრამა შოვნა შაიძლება. ამას წინათა ჩვენს სოფელში ზაზა კოლელიშვილი იყო, გაგეგონება, კინორეჟისორი და მსახიობი კაცია. დიდი ხნის წინათა კინოფილმი გადაიღო – "გარიგება" ჰქვიან, კაი სასაცილო რამეა, შენც ნანახი გექნება, ჰოდა, ახლა, ოცი წლის შემდეგა, იმის გაგრძელების გაკეთებას აპირებს. ვირი დასჭირდა, მთელი კახეთი მოიარა, ძაან კი გაუჭირდა შოვნა; უფრო იმიტომა, გამორჩეული ვირი უნდოდა რატომღაცა, ყველა კინომსახიობად ვერ ივარგებსო, მაშა! თქვენ გაიარ-გამაიარეთ, ბაზარია მაინცა, აუცილებლად გადააწყდებით!

მართლაც, მოგვიანებით რამდენიმე ვირიც მოიყვანეს გასაყიდად – შავიც, რუხიც, ნაცარაც, თითქმის სულ მთლად თეთრიც კი.

და აი, ვიყიდეთ ისეთი ყურპარტყუნაი, მე და შენ რომ გაგვიხარდებოდა!

ვაჰ, რა მაგარი ვირუკა შევიძინე! შესახედავად ხომ ერთ რამედ ღირს: კოხტა ვირია, მტრედისფერი, ფერდებდამრგვალებული, დიდყურა და დიდთვალება! ჯერჯერობით თვინიერადა დგას და სანაქებო მოთმინებითაცაა აღვსილი... იფ, რა მშვენიერი ვირუკა შემხვდა! და როგორც ჩემი შემდგომი მონათხრობიდან არაერთგზის დარწმუნდებით, ჭკვიანი ბიჭიცაა ყურპარტყუნა! როგორც იტყვიან, ტუზი დამეცა, რომ ეგეთი განათლებული და ყოველი სიკეთით შემკული თანამგზავრი შევიძინე!

– მომილოცავს, მომილოცავს! რას დაარქმევ? – ღიმილით მეკითხება ბესარიონი.

– მაგაზე დიდი ფიქრი რად მინდა – სოლომონ ბრძენი, მაშა! შეხედე, როგორ დინჯად ჩასცქერის მიწასა ან რა ლამაზი თვალები აქვს, რა ჭკვიანურად იმზირება! ეს სახელი ფრიად მოუხდება!

– ჰო, ვირი კი არა, ნაღდი ფილოსოფოსი შეგხვდა! როგორც ვატყობ, დღეს ფილოსოფოსები ძალიან გაიაფდნენ... შენ თვითონაც სოლომონ ბრძენი ბრძანდები, ჰოდა, ერთი ეს მიბრძანე: იმაზე თუ გიფიქრია, უკანღა როგორ წავიყვანოთ? – ისევ მეკითხება შვილი.

– რას იკრიჭები, შენი დასაცინიც გავხდი? მე ვირუკაზე შავჯდები, შენ ჩემზე წინ დაჯექ ხონთქარივითა და მოვუსვათ თბილისისკენა! იფ, იფ, რა მშვენიერი ვირია! მაგარი ვიღაცა ჩანს, ორივეს სუ თავისუფლად წაგვაჩაქჩაქებს! არა, შენ ჩემზე ბევრად მაღალი ხარ, თუ გინდა, წინ მე დამითმე ადგილი!

– ვატყობ, შენ და შენი ყურდიდა მართლა ერთი ჭკუისანი ჩანხართ, უკვე უკუღმა შეჯექ ვირზე და გაუტიე კიდევაც, აი! მერე, ავტომანქანას რა ვუყოთ?

– მანქანა რაღად გვინდა, ცოცხალი არ სჯობია მკვდარსა? ერთი მაგის გამკეთებლის... გავყიდოთ!

– არა, მართლა? – გაცხარდა ბესარიონი. – შენ შინ როგორც გინდა, ისე დაბრუნდი, გინდა წაღმა შეაჯექი მაგ შენს ახალშეძენილ თანამგზავრს, გინდა – უკუღმა, გინდაც – წაღმა-უკუღმა, გინდაც – ზედ ყირა გაჭიმე და ისე იარე, მე კი მანქანით მივდივარ!.. ნახვამდის, უკუღმა დაჭედილო!

– კარგი, ჰო, რამ გაგაბრაზა, გეხუმრე, ბიჭო! შინ რაღა მინდა, შავჯდები და ახლავე ვიწყებ მოგზაურობასა, მაშ!

– გმირული მოგზაურობის დაწყებასაც გილოცავ! აბა, ჰე, შენ იცი და შენმა ფილოსოფოსმა ვირმა, როგორ ასახელებთ სამშობლოს!

– დაცინვას როგორმე ავიტან!.. დიდ მადლობას მოგახსენებ, ბატონო ბესარიონ და სალამი გადაეცი დედაქალაქს! გულითადი მოკითხვა ჩვენებსაც! ნახვამდის, ჩვენს ადრე თუ გვიან შეხვედრამდე, მაგრად იყავით! და ნურაფრის დარდი გექნებათ!

ბესარიონმა არ შემომხედა, არც მიპასუხა, მხოლოდ რამდენჯერმე თავი გააქნია, – დანანებით თუ გაკვირვებით, – და მანქანა ადგილიდან დაძრა.

კარი III.
მე და ვირუკა ვიწყებთ მოგზაურობას და ვეცნობით ერთმანეთსა. "ჩემი დეკლარაცია"

ჰოდა, ავისრულე ჩანაფიქრი: ლამაზ და თვინიერ ვირზე უკუღმა შავჯექ, მაშა! ვინც გინდა მიძახოს, ტვინი გადაგიბრუნდაო, მე მაინც შავჯექ!.. და შავუძახე კიდეცა:

– აბა ჰე, დღეის იქით, ჩემო ძმავ და მეგობარო, ვიწყებთ მოგზაურობასა! თანაც, როგორ მოგზაურობას – განსაცვიფრებელსა!

ჯერ ყურპარტყუნა ადგილიდან ვერაფრით დავძარი – ვერც მოფერებით და ვერც მუქარითა, – გაჯიქდა და ადგილიდან ფეხი არ მოიცვალა: ვირის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, ესეც ხომ ჩვეულებ-

რივი ვირი იყო და არ გამკვირვებია; მერე მივხვდი, რაც მიშლიდა ხელს და ქუდი შევაბრუნე საჩეხით უკანა!..

– ეგრე რა, შე დალოცვილო! – ჩემკენ მოაბრუნა თავი და მეუბნება ყურპარტყუნა, – თუკი "ანს" იტყვი, "ბანიც" უნდა მიაყოლო! ხომ ხედავ, გარშემო რამდენი ხალხი შაგროვილა, მოლოდინი არ უნდა გაუცრუო!

არც მთლად ჩვეულებრივი ვირი ჩანს, თუნდაც იმით, რომ ჩემი მასზე უკუღმა ამხედრება იქნებ ძალიანაც არ მოეწონა, მაგრამ მხარი ამიბა – ჩემი თამაშის წესებს დათანხმდა!

– კარგი, ეგრე იყოს! – ვეუბნები, – კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა, ამ ბედნიერ დღესა და მარადჟამსაც, ამ მოგზაურობის დასაწყისშიცა და მემრეც, ამინ!.. გავიცნოთ ერთმანეთი! მოდი, ჯერ ამ ხალხის ორომტრიალს დროზე გავეცალოთ... იმედია, შევეწყობით ერთმანეთს და ჩვენი მოგზაურობა ორივესთვის სასიამოვნო და სასარგებლო იქნება. მე, მოლაქლაქე მოქალაქესა, სახელად მქვია სოსო, ჩემი გვარია ომაძე. ნუ გეშინია, გვარი კი მაქვს მქუხარე, მაგრამ საოცრად წყნარი კაცი ვარ, ვისაც გინდა, ჰკითხე! გვარი კი ჩემს წინაპარს ალბათ ასე მიუღია: ვიღაც ძალიან უტეხი, მებრძოლი ხასიათის კაცი ყოფილა და მეტსახელად "ომა" უწოდეს, ჰოდა, იმის შთამომავლებს ომაანთი დაერქვათ ანუ გვარად ომაძეები გახდნენ. ეს ჩემი ვარაუდია, რასაც დაეთანხმა ჩემი მეგობარი, ქართული გვარ-სახელების სპეციალისტი, გურამ ბედოშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ონომასტიკური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, რომელიც ქართული გვარ-სახელების ეტიმოლოგიის ანუ წარმოშობის შესახებ წიგნის გამოცემასაც აპირებს... იმედია, ჩვენი მოგზაურობის დასრულების შემდეგ, როცა დავუბრუნდებით ჩვენს დედაქალაქს, მისი წიგნი უკვე დასტამბული დაგვხვდება და ერთი ცალით ჩვენც დაგვასაჩუქრებს! სხვათა შორის, მე ომაძეთა გვარის წარმომავლობის შესახებ მეორე ვარაუდიც მომისმენია: რაჭველი ომიაძეებიდან ერთ-ერთი რაღაც ხიფათს გამოჰქცევია, ქართლში ჩამოსულა და გზად სიჩქარეში გვარში ერთი ასო დაჰკარგვია...

(გვიანდელი ჩანართი: გურამ ბედოშვილი, – ანანურელი მთიული, ვაჟკაცური აღნაგობის, პირმშვენიერი, ფრიად კეთილმოუბარი, ბუნებით მრავალი სანაქებო თვისებით შემკული, სამაგალითო პიროვნება და ჭეშმარიტი მამულიშვილი, – სამწუხაროდ, ჩემს მიერ ამ რომანის პირველი ვარიანტის დასრულებამდე ნახევარი წლით ადრე გარდაიცვალა... 75 წელს გადაცილებული იყო და ცხოვრებაში ბევრი კეთილი საქმის გაკეთება მოასწრო: დიდად ფასეული სამეცნიერო შრომების გარდა, – მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიაა, – მან დაგვიტოვა, აგრეთვე, ორი მშვენიერი რომანი, მოთხრობებისა და ზღაპრების რამდენიმე წიგნი).

– ბედოვლათი ყოფილა ის შენი წინაპარი, შთამომავლობით შენც ხომ არ გამოგყვა თავმოუბმელობა?

– მაგარი ხასიათისა ჩანხარ, თავიდანვე რომ პატრონს ეგრე აგდებულად ელაპარაკები... ეგ მერე გამოჩნდება, როგორიცა ვარ და რა შემიძლია, ახლა კი დავიჭერ ხელში... არა, სახრეს ან მათრახს კი არა, საწერ-კალამსა და გავუდგეთ გზასა! როგორც გენიოსი ამერიკელი პოეტი ვოტ ვიტმანი ლექსში ამბობს:

"ვინც გინდა იყო, გამოდი და ერთად ვიაროთ!
ჩემთან გზაში არასოდეს არ დაიღლები!".

– სოსო ბატონო, შენი არ ვიცი და მე დაღლისა არ მეშინია; გარდა ამისა, გზაში სასიარულოდ საწერ-კალამი რის მაქნისია, ჯობს, როგორც პილიგრიმებს ეკადრებნათ, მუხის ჯოხი გეპყრას ხელთ ან, კიდევ უკეთესი, – ერთი კარგი კომბალი!

– არა, ჯოხი მე არ დამჭირდება, არც იფნის სახრე, ერთს ან მეორეს როგორ გაკადრებ!

– არც – თავის დასაცავად? მოგზაურობა ყოველთვის სახიფათო საქმეა...

– მოგზაურობას თუ აპირებ, უპირველესად – უნდა განიძარცვო შიშისგან! ჩვენი ცხოვრება ხომ ისედაც მოგზაურობაა და განა უკეთესი არ იქნება, თუ მის შესახებ მხიარულად მოვუთხრობ მკითხველს?

– მართლა არ გეშინია? მოხეტიალეს ყოველთვის ეჭვით უცქერიან და, ხომ გითხარი, არ არის გამორიცხული, ხიფათსაც გადავეყაროთ...

– იქნებ სწორიც ხარ, სოლომონ ბრძენო... რა კარგია, რომ შორეულ მოგზაურობაში შენებრი ჭკვიანი მოსაუბრე მეყოლება! ალბათ ზოგიერთ მკითხველს გაუკვირდება, სად გაგონილა კაცივით მოლაპარაკე ვირიო, იტყვიან: აპულეიოსის "ოქროს ვირისა" და ლუკიანე სამოსატელის "ლუკიუსი ანუ ვირის" სახედრებიც კი მხოლოდ ადამიანივით აზროვნებდნენო; ამგვარ სკეპტიკოსებს ვურჩევ, გადაშალონ "ძველი აღთქმის" წიგნი "რიცხვნი" და იქ წაიკითხონ ოცდამეორე თავში, როგორ დასცხო ბალაამმა თავის სახედარს ჯოხი ურჩობისთვის და შემდგომ კი "გაუხსნა ბაგე უფალმა სახედარს და უთხრა სახედარმა ბალაამს: რა დაგიშავე, რომ უკვე მესამედ მცემ?"... კიდევ მხოლოდ ერთ

მაგალითს მოგახსენებ, სოლომონ ბრძენო: ჰომეროსმა "ილიადაში" ბრძოლაში ჩაბმის წინ აქილევსის ცხენიც აამეტყველა... ბოდიში, ხომ არ გწყინს, სოლომონ ბრძენს რომ გიწოდებ?

— უკეთესი სახელი ვერ შემირჩიე?

— აბა, როგორ გიჯობს, რომ მოგმართო? რომელი მოგწონს? ქვეყნიერებაზე რაც კი ვირებია, ყველას ან ნაცარა ჰქვია ან ლურჯა... დამავიწყდა, შენს წინა პატრონს უნდა დავკითხებოდი, რა გერქვა. "ვირი" რომ დაგიძახო, მეტად პროზაულად მეჩვენება, არც "სახედარი" ვარგა, ბიბლიისა თუ სულხან-საბას "კარაული" ხომ არ გირჩევნია? მაგრამ, დარწმუნებული ვარ, — ერთი შეხედვითვე მივხვდი, — რომ ისეთი საზრიანი გამოხედვა გაქვს, სახელად სოლომონ ბრძენი ნაღდად გიხდება! მშვენიერი სახელია, რატომ ხარ უკმაყოფილო? როგორც ამბობენ: "შენი სახელი — შენი ბედია".

— კეთილი, ყაბულსა ვარ, უფროსს უნდა დაუჯერო... ოღონდ ერთს კი გკითხავ: შენ თუ მე მარქმევ სახელს, მე კი აღარ მეკუთვნის, რომ შენც შეგირჩიო სახელი?

— ჩვენ ერთად ვიმოგზაურებთ, იმედი მაქვს, მეგობრებიც გავხდებით და, რა თქმა უნდა, შენც ჩემთვის სახელის დარქმევის უფლება გეკუთვნის, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ აგერ უკვე თითქმის სამი მეოთხედი საუკუნეა, რაც იოსებ ომაძე მქვია?

— მერე რა, ბებერი კი ხარ, მაგრამ ახალი სახელი რომ დაგარქვა, ამით რა დაშავდება?

— რა უნდა დაშავდეს...

— ჰოდა, მაშინ შენ სილენოსს გიწოდებ! ძველბერძნულ მითოლოგიაში ეს დემონი, მოგეხსენება, დიონისეს აღმზრდელი და ზედამხედველი იყო...

— კითხვაც იცი? მითოლოგიურ ლექსიკონში ამოიკითხე ეგ სახელი?

— არ შეგესაბამება თუ?

— ვითომ რატომ შემფერის?

— მელოტი ხარ?

— ვარ!

— დიდყურა ხარ?

— არა!

— ხარ, ხარ!

— შენოდენა ყურები მაინც არ მაქვს, ვერ შეგეჯიბრები!

— დაბალი ხარ?

— კი, ბატონო! 162 სანტიმეტრის სიმაღლისა ვიყავი ჯეელობაში და მას შემდეგ რა გამზრდიდა!

— ცნობილია: ბატონი სილენოსი სიმთვრალის გამო ისე უზომოდ გასუქდა, რომ სატირებს ხელში აყვანილი დაჰყავდათ ან, უპირატესად, ვირზე შემჯდარი დაიარებოდა... მის მსგავსად, ღიპიანიც ხომ ხარ?

— ამჟამად 64 კილოგრამი ვარ... ბიჭო, ეს რა ღიპია?

— კარგი, ჰო, ღიპიკო იყოს... გულკეთილი ხარ?

— ეგ სხვამ უნდა განსაზღვროს...

— შენ როგორ გგონია?

— ალბათ...

— გიყვარს ცეკვა-თამაში, სიმღერა, მხიარულება?.. ნამდვილად, თუ ქართველი ხარ!

— ერთი ჩემს ცოლ-შვილსა და ნაცნობ-მეგობრებსაც ჰკითხე! იმას ვერ გეტყვიან, დიდი უჟმური ვინმეაო, მაგრამ არც ანეკდოტებისა და თავშესაქცევი ამბების მოყოლის ოსტატობას დამაბრალებს ვინმე... მართალი გითხრა, მარტოდ ყოფნა უფრო მიზიდავს, ვიდრე ერთად თავშეყრილ ხალხში გარევა; მრავალთაგან განსხვავებით, დიდად არც სუფრაზე მოლხენის მოყვარული ვყოფილვარ ოდესმე...

— ანუ მარად შემთვრალი არ ხარ?

— არა!.. ხომ გითხარი, ღვინო-არყის მოტრფიალე არასდროს ვყოფილვარ და არც ხალხმრავალი ლხინი და დროსტარება მიზიდავდა.

— გვარიანი მუდო ყოფილხარ!.. ერთი ეს მითხარი, საგანთა მოუხელთებელი, ფარული არსის შეცნობა თუ შეგიძლია?

— არა!..

— არც მომავლის განჭვრეტა გძალუძს?

— არა!.. და, რა თქმა უნდა, ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი საკუთარი ვირუკა დაკითხვას მომიწყობდა! შენი ზედამხედველი კი ვარ, მაგრამ შენ კი ნაღდად არ გახლავხარ დიონისე და ვერც შენს აღზრდას დავიბრალებ!

— მაშ, არ გსურს, რომ მეტსახელად სილენოსი გიწოდო?

— კი, ბატონო, შემარქვი მეტსახელი, ვერავინ დაგიშლის, თუმცა, ამის საჭიროება რომ არ არსებობს? წინათ მრავალი ხალხის ტრადიციაში იყო, რომ ადამიანს სხვადასხვა მიზეზით სახელს უცვლიდნენ. ბევრ ხალხს ძველად ჰქონდა და ზოგიერთს ახლაც აქვს ასაკობრივი სახელი: ბავშვობაში

ერთი სახელით მიმართავენ, სასკოლო ასაკში – მეორეთი, მოზრდილს – მესამეთი... ჩინეთში, იაპონიაში, კორეაში მწერლობას ახალი სახელით იწყებდნენ. ქართველებში ახალი სახელის დარქმევა წესად არ არის; მით უმეტეს, ამ ხნის კაცისთვის მსგავსი რამ ცოტა დაგვიანებული ხომ არ გგონია – ჩემი დაცინვა ხომ არ იქნება?

– რატომ? ეგნატე ნინოშვილი თუ ვაჟა-ფშაველა შენზე ნაკლები ბიჭები იყვნენ?

– ახლა სხვა დროა...

– მერე რა? ახლაც, თუ ბერ-მონაზვნად აღიკვეცები ან ქურდულ სამყაროს მიუერთდები, ახალ სახელს მოგცემენ!

– მერე, შე კაცო, ერთთან ან მეორესთან მე რა ხელი მაქვს? მე ჩემი ახლანდელი სახელიც მყოფნის და სავსებით მაკმაყოფილებს. გაინტერესებს, რატომ დამარქვეს ეს სახელი – სოსო? მამა-ჩემი, ბესარიონ ომაძე, დაბადებული იყო გორის რაიონის სოფელ ფხვენისში, თბილისში დამთავრებული ჰქონდა რაღაც პარტიული კურსები... მოკლედ რომ ვთქვა, სულითა და გულით იდეური კომუნისტი იყო, და, რა თქმა უნდა, ეთაყვანებოდა "საბჭოთა ხალხისა და მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს", სტალინს, "პატარა გორის დიდ შვილს". დედაჩემიც კომუნისტური პარტიის წევრი იყო და, როცა მე დავიბადე, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის საპატივცემულოდ დამარქვეს იოსები... ასე გავხდი მეც იოსებ ბესარიონის ძე, ოღონდ გვარად – ომაძე. ამჟამად, როცა ამ თემაზე ვსაუბრობთ, დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი გორის მთავარი მოედნიდან სტალინის ძეგლის უეცარი აღების გამო. ეს მოხდა ღამით, მალულად, ისე, რომ არავისთვის არაფერი უკითხავთ, იმ ადგილის სპეციალური დანიშნულების რაზმისა და პოლიციის დაცვის ქვეშ. ამ მოვლენის ასახვის მოსურნე ჟურნალისტებს სცემეს და წაართვეს გადასაღები აპარატურა... როცა ამ მოვლენას ფართე საპროტესტო გამოხმაურება მოჰყვა, საჩქაროდ ჩაატარეს გორის გამგეობის სხდომა და უკანა რიცხვით გააფორმეს ძეგლის აღების გადაწყვეტილება...

– კარგი, შევეშვათ სტალინის ძეგლს, უფრო მაინტერესებს, განაგრძო შემდგომი თხრობა საკუთარი თავის შესახებ.

– არც ჩემს პიროვნებაში და არც ბიოგრაფიაში, მართალი მოგახსენო, საინტერესო არც არაფერია, ვერ გავამართლე მშობლების იმედი, რომ სახელგანთქმული პიროვნება გავხდებოდი და რატომ ავიტეხე ამ წიგნის წერა, თვითონაც არ ვიცი... 1854 წელს შესანიშნავმა ფრანგმა მხატვარმა გუსტავ კურბემ შექმნა ფერწერული ტილო "გამარჯობა, ბატონო კურბე", რომელმაც აღაშფოთა საზოგადოების ერთი ნაწილი – სიუჟეტის უბრალოებით და იმითაც, რომ სურათის დასახელება მიიჩნიეს ავტორის ამპარტავნობად. 1889 წელს მეორე ფრანგმა მხატვარმა და მწერალმა პოლ გოგენმაც შექმნა მსგავსი დასახელების სურათი "გამარჯობა, ბატონო გოგენ". ათზე მეტი წლის წინათ, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში, 1999 წლის იანვარში ჩამიწერია ასეთი ჩანაფიქრი: "გამარჯობა, ბატონო იოსებ!" და თავდაპირველად მინდოდა, ავტობიოგრაფიული წიგნისთვის სათაურადაც ამგვარი სახელი დამერქვა...

– ყოჩაღ, ვაჰ, რა მაგარი ხარ! – ქირქილით მაწყვეტინებს ყურდიდა.

– ღმერთმა დამიფაროს, ფიქრადაც არ გამივლია ამ გენიოსებთან ჩემი პიროვნების შეფარვით მაინც გვერდზე დაყენება: კურბესა და გოგენის სურათების დასახელებამ მხოლოდ მიბიძგა, ჩემი ავტობიოგრაფიული წიგნისთვის მსგავსი სათაური შემერჩია. მერე სხვა სათაური ვამჯობინე... უპრიანია, ავტობიოგრაფია დაიწეროს ორი მიზეზით თუ საბაბით: პირველი – თუ ცნობილი პიროვნება ჰკიდებს ხელს ამ საქმეს და ეს დიდად მისასალმებელია, მისი ცხოვრების წვრილმანებიც კი ფრიად საყურადღებოა საზოგადოებისთვის; და მეორე – მავანის ავტობიოგრაფია საინტერესო უნდა იყოს თავისთავად, თუ გაუვლია უჩვეულო ცხოვრებისეული გზა, თავს გადახდენია ფათერაკები, თავგადასავალი, ჭკუის სასწავლი ამბები... ჩემს შემთხვევაში არცერთი ეს მიზეზი არ გამოდგება კალმის ხელში ასაღებად და ერთხანს ვეჭვობდი: ღირს კი ჩემისთანა უბრალო, უჩინარი ადამიანისთვის ავტობიოგრაფიის, თუნდაც მოკლესი, დაწერა? ვისთვის იქნება საინტერესო ერთი მოხუცი კაცის ბებრული ჩიფჩიფი, რატომ უნდა დაკარგოს მკითხველმა ძვირფასი დრო, რას მისცემს მას ვიღაც იოსებ ომაძის ავტობიოგრაფიის წაკითხვა? მე არც ცნობილი პიროვნება ვარ და არც ავანტიურისტი, არასდროს ვეკუთვნოდი ეგრეთწოდებულ "მაღალ საზოგადოებას", "ნაცნობ სახეებს", "ქალაქის კოლორიტს" და ასე შემდეგ, არც არავითარი ურთიერთობა მქონია ამგვარ პიროვნებებთან ან "ელიტურ" წრეებთან... "ინტელექტუალებთან", "მაღალ საზოგადოებასთან" ურთიერთობას ბევრად ვამჯობინებდი საუბარს ეგრეთწოდებულ "უბრალო" ხალხთან: მუშებთან, შოფრებთან, გამყიდველებთან და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის 14 რომანი, 600-ზე მეტი მოთხრობა და ბევრი სხვა რამეც მაქვს გამოქვეყნებული, მწერლებიდან სულ რამდენიმეს ვიცნობ და არც მწერალთა კავშირის წევრი ვყოფილვარ როდისმე; უფრო მეტი ურთიერთობა მხატვრებთან მქონდა, მათი შემოქმედების შესახებ დაწერილი მაქვს რამდენიმე ათეული წერილი...

– ჰო, კარგი, გასაგებია, რომ ერთგვარად კეკლუცობ – უხეშ, გაუნათლებელ პიროვნებებთან უკეთ გრძნობ ვითომ თავს?

— რა თქმა უნდა, მოსახლეობის ნებისმიერ ფენაში არიან ასეთებიც და ისეთებიც — ნაირგვარი ყაიდის ხალხი... გაუნათლებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს უხეშობას და არც განათლებულად რომ თვლიან თავს, მათთან ყველასთან სასიამოვნო იყოს ურთიერთობა... ერთი დიდი ხნის წინანდელი ამბავი გამახსენდა. ჩვენი სამსახურის ერთ-ერთმა შოფერმა დეკემბრის ბოლოს დიდი ღორი დაკლა სოფელში და ხორცის ნაწილი, დაახლოებით ორმოცდაათი კილოგრამი, მოიტანა ჩვენთან გასაყიდად. მაშინვე დადგა რიგი; თავიდანვე ერთ-ერთმა თანამშრომელმა, ბუხუტიმ, ოცდახუთი კილოგრამი დაითრია. დანარჩენები აღშფოთდნენ, შენ ამდენი მიგაქვს, ოც კაცს კი საერთოდ უხორცოდ ტოვებო, ეჩხუბებოდნენ, მართლა ღორის მადა გქონიაო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ — ბუხუტი ზორბა ტანის, ჯანიანი კაცი იყო, თანაც — ლაბორატორიის გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი... მეც არ მერგო ხორცი და ნაწყენი დავრჩი, უფრო იმით, რომ ამ კაცზე ჩემი შეხედულება სრულიად შეიცვალა — ადრე ვმეგობრობდით, ხშირად გვისაუბრია, მასთან სოფელშიც ვიყავი ნამყოფი და მის ოჯახში გემრიელ სუფრასთან ვმჯდარვარ... არა მგონია, მსგავსი საქციელი ეკადრა ჩვენი სამსახურიდან რომელიმე ლაბორანტს, დამლაგებელს, მეკუჭნავეს... ან ხომ არ გგონია, რომ ჩვენი "ხალხის რჩეულნი", — თუნდაც პარლამენტარები და მთავრობის წევრები, ბოლო მოდის მიხედვით პარიზში ნაყიდ კოსტიუმებში გამოწკეპილნი, ძვირფასი ჰალსტუხებითა და შვეიცარული საათებით მოკეკლუცენი, — დახვეწილი მანერებითა და სანაქებო განათლებით გამოირჩევიან? მათ საჯარო გამოსვლებს რომ ვუსმენ, არცთუ იშვიათად უხერხულობა მიპყრობს... მათი მხრივ დემაგოგიისა და სიცრუის ჭეშმარიტებად გასაღება უკვე აღარ მიკვირს; გარდა ამისა, უწიგნურობას ამჟღავნებენ: ერთმანეთში ურევენ თარიღებს, პიროვნებებს, უშვებენ უამრავ გრამატიკულ შეცდომას; გაუმართავ წინადადებებს თან ერთვის საყოველთაოდ ცნობილ ტერმინთა არცოდნა — სულ სხვა მნიშვნელობით გამოყენება; აღარას ვამბობ იმის შესახებ, რომ ამ ჩვენი დროის "მოწინავეთ", "თანამედროვეობის ფეხის ხმას აყოლილთ" აშკარად აკლიათ უშუალობა და გულწრფელობა. ასე თუ ისე ინგლისურს გაჭირვებით მაინც აცოდვილებენ, სამაგიეროდ, უმაღლეს შეფასებას იმსახურებს მათი დემაგოგია და შავის თეთრად გასაღების უტიფარი მცდელობა...

— გეყო შეფარვით თავის ქება, შენს მომავალ წიგნს დაუბრუნდი.

— მაშ, რატომღა მოვკიდე ხელი ავტობიოგრაფიის წერის ალბათ დიდად უმადურ საქმეს? იმიტომ, რომ მიმაჩნია: ზოგადად, ყოველი ადამიანის მიერ მისი ცხოვრებისეული გზის აღწერა მრავალი თვალსაზრისით დიდად მისასალმებელია და ფრიად საინტერესო...

— ბიჯო, ყველამ რომ ავტობიოგრაფიების წერა და გამოქვეყნება დაიწყოს, მხოლოდ ამ საქმეს არ ეყოფა ქაღალდის მსოფლიო მარაგი! ყოველგვარი სხვა წიგნის დაბეჭდვა შეუძლებელი გახდება... საკითხავად ვისღა ეცლება? ყველა წერს და აღარც გლეხები მუშაობენ ყანებში და მუშები — ქარხნებში, აღარც პური ცხვება, აღარც ტრანსპორტი მოძრაობს, საერთოდ ყოველგვარი საქმიანობა ჩაკვდა, კალმის წრიპინის გარდა, რა კარგია! არ მითხრა ახლა, რა დროს კალმით წერაა, კომპიუტერში ავკრეფ ნებისმიერ ტექსტსო...

— ყველას მომღერლის ხმა არ აქვს, მაგრამ, თუ სიამოვნებს, რატომ არ უნდა იმღეროს?

— მაშ, მეც უნდა ვიმღერო? ჰი-ჰი-ჰი!..

— რატომაც არა? ოღონდ, სხვას თუ არ შეაწუხებ.

— რას ამბობ, ჯო! ყველამ რომ იმღეროს, ხომ შეიშალა კაცობრიობა? ვერ მიხვდი, რასაც გეუბნები? ყველამ რომ წერა დაიწყოს, ალბათ მეორედ მოსვლაზე უარესი იქნება!

— ახლა ელექტრონული წიგნები შემოდის მოდაში და შენი შიში უსაფუძვლო ამიტომაც არის. დიახ, ბევრს მიაჩნია, და მათ შორის მეც, რომ ყოველი ადამიანის ბიოგრაფია საყურადღებოა — რაიმე მხრივ მაინც, განსაკუთრებით, თუ შვიდ ათეულ წელზე მეტხანს უვლია ცხოვრებისეულ გზაზე, თანაც შფოთიან და მოვლენებით მდიდარ დროს. ყოველი ავტობიოგრაფია ამავე დროს ეპოქის დოკუმენტიც არის, ამქვეყნიურ ზოგად სურათში კერძო ბედ-იღბლის ანარეკლის საბუთია. სწორედ ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობ, როცა ვიწყებ ჩემს განვლილ-განცდილის გახსენებას... როცა სიცოცხლის მიწურულს მიუახლოვდები, ბევრი რამ მოგაგონდება ისეთი, რაც ერთი მხრივ, შენს პირად ამბებს შეეხება და მეორე მხრივ კი — შენს ცხოვრებაში აუცილებლად აირეკლება საზოგადოც — ქვეყნის ისტორიული გზის მეტ-ნაკლებად ნათელი სურათი თუ არა, ზოგიერთი დამახასიათებელი შტრიხი მაინც...

— საკუთარი თავის ქება განიზრახე? ყოჩაღ! არ დამიწყო ახლა ფიცი-მტკიცი, რომ თავმდაბლობამ გიკარნახა, რის ჩადენასაც აპირებ! თუკი ავტობიოგრაფიის დაწერა განგიზრახავს, უკვე თავისთავად ცხადია, რომ თავმდაბლობით ვერ დაიკვეხნი, მეტიც — ამპარტავნობის ბუნებითაც დაუსაჩუქრებიხარ ბუნებას!

— ბოლომდე რომ გავალ, მერე შემაქე ან დამძრახე, მე სხვა რამ მაფიქრებს... ჩემი დიდი ფორმის ნაწარმოებების ზოგიერთ ნაკლს ცხადად ვხედავ: კომპოზიციური აგებულების ერთგვარი ამორფულობა, ეკონომიის პრინციპის უგულვებელყოფა... მათ შეძლებისდაგვარად ვებრძვი, მაგრამ კარდინალურად — არა!

— გაუგებარია, ეგ როგორ — ებრძვი კიდეც და თან არც ებრძვი? რატომ?

— იმიტომ, რომ მახსოვს გენიოსი მხატვრის პაბლო რუის პიკასოს ნათქვამი: “დახვეწე, რასაც შენ გსაყვედურობენ, ეს შენ ხარ!”.

— ამ აფორიზმს თუ უერთგულე, კარგი დახლი დაგიდგება — ავტობიოგრაფია კი არა, აჯაფსანდალი გამოგივა!

— იქნებ მართალიც გამოდგე; რა ვიცი, მომავალს დავუცადოთ და ყველაფერი გაცხადდება, როგორი წიგნი გამოცხვება — გემრიელი თუ უგემური.

— ისე ვატყობ, ძალიან სულელური წიგნი გამოგივა!..

— მეც ეს მინდა!

— არ გამაგიჟო! რათა, ვეჟო?

— იმათა, სოლომონ ბრძენო, რომ... აი, ჭკვიანი და ნიჭიერი მწერლები გვასწავლიან, რომა ასე და ასე უნდა კარგი წიგნის დაწერაო — და მერე მათ წიგნებს კი აღარავინ კითხულობს... სამაგიეროდ, ხელიდან ხელში გადადის სულელური, ნამჯასავით უგემური, ქვასავით მოუნელებელი წიგნები — დეტექტივები, პორნოგრაფია, მელოდრამები, უაზრო კოსმოსური ოდისეები, კომიქსები... საშინელებები, მოჩვენებები...

— უფრო კინემატოგრაფის ბაღჩაში ხომ არ ისვრი კენჭებს?

— არც მწერლები აკლებენ... რომ გამოაცხადო, მსოფლიოს უპირველესი ბრძენი, ფილოსოფიის ქურუმთ ქურუმი, გესაუბრებათ სიბრძნის მოყვარულთო, ნუ დააკლდებით უიშვიათეს შესაძლებლობასო — ორი-სამი კაცი თუ მოვა, ხოლო ვიღაც შარახვეტია, თავქარიანი და, შეიძლება თქვას, მსუბუქი აზრებით თავგასიებული უხმო მომღერალი თავისი ჩხავილით უზარმაზარ აუდიტორიას იზიდავს — ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ, ოღონდ მისი სცენაზე უმსგავსი მანჭვა-ბრეხა ნახონ...

— ახლა მუსიკოსებს გადაუჭირე შოლტი... შენს საფიქრალს და გასაჭირს დაუბრუნდი. არ გერჩივნა, ერთი, ყოველმხრივ დახვეწილი, წიგნი დაგეწერა, ვიდრე ათი და ოცი — ბოლომდე დაუმუშავებელი?

— ალბათ ჯობდა, და ასეც მოვიქცეოდი, ჩემი მხრივ მწერლობისთვის სერიოზულად ხელის მოკიდებისას თუნდაც ათი წლით ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი... ძალიან გვიან მომეცა საშუალება, გულდაგულ ჩავჯდომოდი შეთხზვის ხელოვნებას და სულ მეჩქარებოდა, მეშინოდა, უამრავი ჩანაფიქრი დამრჩებოდა განუხორციელებელი.

— ნაღდად შეცდი!

— შესაძლოა, მაგრამ მერჩივნა, და უფრო სახალისოც იყო ჩემთვის, ახალ-ახალ თემებს შევჭიდებოდი! ჩემი ერთ-ერთი რომანის — “ია ანუ ერთგულება” — წინასიტყვაობაში ვწერ, რომ მე ვარ არა დიდი, ხანგრძლივად და თანაბრად მოგუზგუზე კოცონი, არამედ წამიერად აალებული ასანთი, უცებ რომ აბრიალდება და მალევე ჩაინავლება. ასეთი ბუნებისა გახლავარ და რა გაეწყობა...

— მერე, საკმაოდ მოზრდილ ახალ წიგნს როგორ გაუმკლავდები? თანაც, ავტობიოგრაფიის შექმნა, როგორც შენვე აღნიშნე, საკმაოდ უმადური საქმეა.

— ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში, რა თქმა უნდა, ჭარბობს სუბიექტური ხედვა ადამიანებისა თუ მოვლენებისა, მრავალი ამბავი მავანს წვრილმანად მოეჩვენება — ეს ბუნებრივიცაა: რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა, სხვებისთვის იქნებ სრულიად ზედმეტი და არაფრის მთქმელიც იყოს. რას იზამ, ასეთია ამ ჟანრის თავისებურება. სხვა შენს შესახებ იქნებ ბევრად ობიექტურად მოყვება, მხოლოდ საზოგადო ინტერესის მქონეს გამოარჩევს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ შემთხვევაშიც, ისევ და ისევ სუბიექტურობას ვერ ავუვლით გვერდს და მესამეც — არავინ იცის ჩემს შესახებ ჩემზე უკეთ.

— მეტისმეტად თავდაჯერებული ხომ არ ხარ?

— არა მგონია... თუმცა, იქნებ, მე რაც მგონია, ის არ ვარ და ალბათ არც ის, სხვებს რომ ვგონივარ. შესაძლოა, ზემოთ თქმული თავის მართლებადაც ჩამითვალო... ათზე მეტი წლის წინათ დავწერე პაროდიული მოთხრობა “ჩემი დეკლარაცია”, რომელიც რამდენჯერმე გამოქვეყნდა; თუ გინდა, იმ ძველ ნაწარმოებს შენთვის ახლაც გავიხსენებ, ოღონდ ალაგ — ცოტათი შევკვეცავ, ალაგ — ცოტათი განვავრცობ.

— ბიჯო, შენ რომ ცხოვრებაში არაფრის შემძენი ხარ, გარდა წიგნებისა, კოჭებში გეტყობა; მაინც მოგვახსენე ერთი შენი საცოდაობის შესახებ, ნეტავ მაშინ რა ჩაწერე იმ შენს ქონებრივ დეკლარაციაში?

— კეთილი, მაშ, მისმინე:

“ჩემი დეკლარაცია

დღეს 1998 წლის 30 ნოემბერია და ბოლო ვადაც სახელმწიფო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა პირადი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ვინც ამას თავს აარიდებს, მისი საქმე გადაეცემა სასამართლოს და იგი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდება 150 ლარით.

ცხადია, მე არც პრეზიდენტი ვარ, არც – პარლამენტის თავმჯდომარე, არც – მინისტრი, არც – გენერალური პროკურორი და ასე შემდეგ, საერთოდ, არასდროს მჭერია ხელმძღვანელი თანამდებობა, ორი კაცის უფროსიც არ ვყოფილვარ... მერე, რამ აგაღებინა კალამი ხელშიო, იკითხავთ, რა დეკლარაციის წერა აგიტყდა – კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო?

ძველი გაზეთიდან შემთხვევით შევიტყვე, რომ თურმე, არსებობს კანონი ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ 1993 წლის 24 ოქტომბრისა, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქე ვალდებულია, შეავსოს დეკლარაცია ქონებრივი მდგომარეობის შესახებ! ამიტომაც, სანამ სასამართლოს აღმასრულებელი მომდგომია კარს 150 ლარი ჯარიმის ასართმევად, არ ჯობს, საკუთარი ცოდვები თვით აღვნუსხო და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია გამოვაცხადო? ჩვენი ქვეყნის ქრონიკული საბიუჯეტო გასაჭირის ამბავი რომ ვიცი, მისი დეფიციტის დასაფარავად ამჯერადაც ისევ ჩემისთანა გაჭირვებულებს ჩაუყოფენ ჯიბეში ხელს... მაგრამ წარმატებით დასრულდება კი, კერძოდ, ჩემს მიმართ, ამგვარი ეგზეკუცია? ამიტომაც ღირს ალბათ ჩემი დეკლარაციის გამოქვეყნება.

ამრიგად, რა გამაჩნია? რა მატერიალურ სიმდიდრესა და შემოსავლებს ვფლობ?

თორმეტი წელიწადია, გადმოვედი დიდუბიდან საცხოვრებლად ვარკეთილი-3-ის დასახლებაში. ჩემი ბინა მეათე სართულზეა (უჰ, შენი გულისა, რა კარგი გადასახედია, რომ იცოდეთ – შავნაბადის, რუსთავისა და იაღლუჯის ხედებით ყოველდღე დაუბეგრავად ვტკბები!); მაქვს სამოთახიანი, ოდითგანვე შეუკეთებელი ბინა (ძალიან მიყვარს დიდ ოთახში ტახტზე წამოგორება და ჭერზე ნაპრალების სისტემისა და ნაირფერი ლაქების, ასევე, დაუბეგრავად ჭვრეტა – შემოქმედებითად განმაწყობს, ათასგვარ ხილვებსა და ფანტაზიებს მიღვიძებს... ასე რომ, როცა ერთხელ ცოლს წამოსცდა, კარგი იქნებოდა ბინის შეკეთებაო, კინაღამ შევიშალე – მეორედ არ გავიგონო შენგან ასეთი ბრძნული აზრი-მეთქი);

მყავს ცოლი – ერთი (1), საცოლო ვაჟები – ორი (2), ორივე – ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი; ძაღლი – არა, კატა – არა, ვირთხა ან თაგვი – არა მგონია;

მაქვს: ათი წლის წინათ მშვიდობით გადატანილი მოიკარდიუმის ინფარქტი – ერთი (1) და არცერთი ფიზიკური საგანი, რომლის ღირებულებაც მას დეკლარირების ღირსად გახდიდა, სახელდობრ, არ დავმალავ:

არ მაქვს კერძო სახლი;

არ მაქვს აგარაკი (არც აქ და არც საზღვარგარეთ);

არ მაქვს გახსნილი ანგარიში რომელიმე ბანკში (არც აქ და არც საზღვარგარეთ);

არ მაქვს ავტომანქანა (არც საბჭოური და არც უცხოური);

არ მაქვს რაიმე ძვირფასეულობა (თუ არ ჩავთვლით ოქროს საქორწინო ბეჭდებს);

არ გამაჩნია ანტიკვარული ნივთები (ძველებური ავეჯი, საათი, ჭაღი, სტატუეტი და ასე შემდეგ);

არ მაქვს ტელეფონი (არც ჩვეულებრივი და არც მობილური);

არ მაქვს მიღებული სახელმწიფო ჯილდოები (პრემია, ორდენი, მედალი, საპატიო წოდება...); თუმცა, ბოდიშს ვიხდი, გამახსენდა: ერთი ჯილდო კი დავიმსახურე – შრომის ვეტერანის მედალი!

არ ვარ ნასამართლევი;

არ ვყოფილვარ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, არც ამჟამად გახლავარ და თუ შემდგომ დავაპირებ, ალბათ, ეს მოხდება მხოლოდ საიქიოს;

არ ვყოფილვარ დეპუტატი ნებისმიერი დონისა;

მე და ჩემი ოჯახის წევრები არ ვყოფილვართ საზღვარგარეთ (ტურისტადაც კი; რამდენჯერმე ვიყავი სამსახურებრივი მივლინებით მოსკოვსა და ბაქოში, ორი თვე გავატარე პოლარული წრის იქით –კოლის ნახევარკუნძულზე – სამხედრო ნაწილში, სტუდენტობისას ორჯერ დავყავი ორ-ორი თვე ჩრდილო კავკასიაში – ბალყარეთში, ქალაქ თირნიაუზში: ჯერ გეოლოგიური პრაქტიკის გავლის დროს და შემდეგ წელს – სადიპლომო ნაშრომისთვის მასალების შესაგროვებლად);

არ მყავს ნათესავები საზღვარგრეთ;

არ მემსახურება პერსონალური მანქანა;

არ მყავს პირადი მცველი ან მცველები;

არ მყავს პირადი ექიმი, მასაჟისტი, დიეტოლოგი, მზარეული, თერძი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ასტროლოგი და ასე შემდეგ;

არასდროს მყოლია პირადი გადია (ბებიაჩემ რებეკას თუ არ ჩავთვლით!), პირადი მასწავლებელი; არასდროს მყოლია და არც ახლა მყავს: პირადი შოფერი, მდივანი, რეფერენტი, მრჩეველი, თანაშემწე და ასე შემდეგ; ამიტომ, იძულებული ვარ, ჩემი ნაწარმოებები პირადად მოვახლაფორთო;

არ მაქვს აღებული თოთხმეტი (14) თვის ხელფასი – მეცნიერ-მუშაკისა (მეუღლეს ბედმა გაუღიმა – მხოლოდ ოთხი (4) თვის ხელფასი არ მიუციათ – უმცროსი მეცნიერ-მუშაკისა);

გულწრფელად ვაღიარებ, რომ არასდროს მქონია პისტოლეტი, პარაბელუმი, ნაგანი და სხვა ამგვარი, არც – შაშხანა, ავტომატი, ტყვიამფრქვევი, ტანკი, შორეული ფრენის ბომბდამშენი, სატორპედო კატარღა, ავიამზიდი და მისთანანი; სანადირო თოფი და დანაც კი არასდროს მქონია...

ხარჯი – ხარჯია და ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ ბავშვობაში ჩემი თავი გამძღარი არ მახსოვს; ამიტომ დღევანდლამდე მიყვარს ყველანაირი ფაფა და ახლაც ყოველ დილით დიდის სიამოვნებით მივირთმევ რძიან ფაფას (მით უმეტეს, რომ დღითიდღე კბილები ერთიმეორის მიყოლებით სამუდამოდ მემშვიდობებიან): ერთ დღეს – ბრინჯისა, მეორე დღეს – ფეტვის, მესამე დღეს – ვერმიშელის ან მაკარონის, მეოთხე დღეს – შვრიის, მესუთე დღეს – მანანის, მეექვსე დღეს – წიწიბურასი...".

– ალბათ ამის გამოა, რომ მწერლობაშიც – ჯერჯერობით! – ბავშვობის ასაკს ვერ გასცდი, ჰი-ჰი-ჰი!.. – ჩაეჩხირა ჩემს გაჭიანურებულ მონოლოგში დიდყურა.

– ყროყინავ, მაცალე, თუ გინდა, რომ განვაგრძო!..

"ჰო, გარდა ამისა, მრცხვენია, მაგრამ უნდა ვაღიარო:

მეტწილად არ მოდის წყალი ბინაში;

მეტწილად არ გვაქვს ელექტროდენი...

უჰ, ბოდიში, უნებურად სხვა რამეებზე გადავერთე – მოგეხსენებათ: ვისაც სად ექავება, იქ იფხანს.

შე ოჯახაშენებულოო, მკითხველი შემიძახებს, ბარემ ის ჩამოგეთვალა, რაც გაქვს, უფრო იოლად მორჩებოდი საქმესო.

ცამდე მართალი ბრძანდები, ყაბულსა ვარ, ბატონო!

მაქვს: მაცივარი (25 წლის "ორსკი"), სარეცხი მანქანა (22 წლის "ოკა-5"), ტელევიზორი (13 წლის "რადუგა") – ღმერთმა მარჯვენა დაულოცოს მათ შემქმნელებს, დღემდე ერთგულად გვემსახურებიან, თუკი, ცხადია, ელექტროდენი არის... ერთადერთი ფასეული ნივთი, რომელიც გამაჩნია, ალბათ არის პიანინო (16 წლის"რიონიში"), თუ არ ჩავთვლით წიგნების რამდენიმე ათას ტომს, რომლებსაც, აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ვაგროვებ... ასევე, მაქვს ჩემი მეგობარი მხატვრების მიერ ნაჩუქარი სურათები: ტიტე შეყილაძის – ათზე მეტი, გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილის – ცხრა, ლიდია შაბარშინას სამი, ვახტანგ ჯაფარიძის – ერთი, გივი კასრაძის – სამი, ქრისტესია ლებანიძის რამდენიმე ესკიზი სხვადასხვა კინოფილმებისთვის და სხვა; სანამ ცოლს ვითხოვდი, სხვადასხვა დროს ვიყიდე: რობერტ სტურუას "სამი დანი ჭავჭავაძენი", ვერა ბელეცკაიას "ლენჯერი" და ლია სვანიძის "მზექალა". ნაქვს ჩემს მიერ მოხლაფორთებული ბევრი აკვარელი და გუაში, რომელთაც ფასი ალბათ მხოლოდ ჩემი შვილებისთვის აქვს (მათ ხშირად ვჩუქნიდი ხოლმე დაბადების დღის აღსანიშნავად – სხვას ვერაფერს ვახერხებდი!);

ოთახში მიდგას, აგრეთვე, ერთი დღეისთვის ყველაზე ძვირფასი ნივთიც – თუნუქის ღუმელი (მეოთხე წელია, ვხმარობთ); მის გამკეთებელ ჩემთვის უცნობ ოსტატს "ღუმელის ზღაპარი" ვუძღვენი მადლიერების ნიშნად – იმით გვიდგას სული ზამთარში!

კაცო, დეკლარაცია კი არა, მგონი, რომანი გამომდის, ძალიან გამიგრძელდა... მოკლედ მოვჭრი:

წინადადება შემომაქვს, დეკლარაციების შესავსებად მოსახლეობა ორ კატეგორიად გაიყოს – ერთმა ნაწილმა, დაახლოებით 95%-მა, დეკლარაციაში ჩაწეროს, რა აქვს (ვინც ათობით წლების განმავლობაში ნაგროვებ-ნალოლიავებ წიგნებს ჰყიდის პურის ფულის საშოვნელად, ვინც სოფელს შეეხიზნა და წელებზე ფეხებს იდგამს, იქნებ შიმშილით სიკვდილს გადავარჩინო ოჯახიო, ვინც თვეობით ელის მათხოვრული ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, დახმარება-შემწეობების მიღებას და ასე შემდეგ – ჩამონათვალი ძალიან გრძელია!); ხოლო დარჩენილ რამდენიმე პროცენტში შემავალთათვის უპრიანია, აღნიშნონ, რა არ აქვთ – მათი დეკლარაცია თხის კუდზე მოკლე გამოვა!..

რით არის ცუდი აზრი?

ყველანი თავისუფლად ამოვისუნთქავთ: როგორ გაადვილდება თავსატეხი პრობლემის გადაჭრა ("რა მაქვს?" – "რა არ მაქვს?") და რამდენი ენერგია, დრო და დეფიციტური ქაღალდი დაიზოგება!

ალავერდს პარლამენტის საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიასთან გადავდივარ!".

– სულ ეგ არის? მართლა გლახაკი ყოფილხარ!.. – აშკარად დამცინის ყროყინა.

– ბარემ, ჩემო დიდყურავ, ამ დეკლარაციის გამოცხადებიდან თორმეტი წლის შემდეგ, გავაგრძელებ და ჩემს შესახებ დამატებით კიდევ რამდენიმე ცნობას მოგაწვდი:

როგორც ადრეც მოგახსენე, დაბალი გახლავარ, ახალგაზრდობაში – 162 სანტიმეტრი სიმაღლის ვიყავი, საკმაოდ ჩასკვნილი, თუმცა ფიზიკური ძალითა და გამძლეობით ვერ დავიკვეხნიდი; მოკლეფეხება, თან – ფეხები საკმაოდ მრუდე, სახე – ახალგაზრდობისას საკმაოდ სიმპათიური (ამას სხვე-

ბი ამბობდნენ, ღმერთმანი!); თვალები – თაფლისფერი, ცხვირი – ჩვეულებრივი, ტანი – საკმაოდ ბანჯგვლიანი, შუბლი – საშუალო (ახლა, გამელოტების შემდეგ – მაღალი!); ახალგაზრდობაში თმები შავი მქონდა, ჭაღარა ადრე შემერია და ახლა შერჩენილი თმები თითქმის სულ თეთრია.

იმასაც დავძენ, რომ არასდროს ვეწეოდი თამბაქოს, ღვინოს ვსვამ ათასში ერთხელ, იმასაც მხოლოდ ორ-სამ ჭიქას; ნებისმიერი რელიგია ცრურწმენად მიმაჩნია; არ მწამს ასტროლოგების, ქირომანტების, ექსტრასენსების, უფოლოგების, ნათელმხილველების, შემლოცველების, ჯადოს გამკეთებლების თუ მომხსნელებისა და ასე შემდეგ – ყველანი, მეტ-ნაკლებად, ყალთაბანდებია. რატომღაც ძალიან უკვირთ, როცა გაიგებენ, რომ მე არ ვიცი, დაბადებით რომელ ზოდიაქოს მივეკუთვნები – ნუთუ არ გაინტერესებს შენი პიროვნული თვისებები გაიგო ან რა მოგელის, როგორ უნდა მოიქცეო.

როგორც ადრეც ვთქვი, არასდროს მკავებია თუნდაც უმნიშვნელო ხელმძღვანელი თანამდებობა, არასდროს ორი კაცის უფროსიც არ ვყოფილვარ;

არ მაქვს აქციები ან სხვა ფასიანი ქაღალდები, არ ვფლობ წილს რაიმე საქმიან წამოწყებებში, მაგალითად, ბანკებში ან კომპანიებში; არ გამაჩნია უძრავ-მოძრავი ქონება – გემები, კაზინოები, სასტუმროები, სამრეწველო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო ფერმები და ასე შემდეგ;

არასდროს არავისგან მიმიღია ძვირადღირებული საჩუქარი (თუ არ ჩავთვლით ჩემი მეგობარი მხატვრების ნაჩუქარ სურათებს);

არ მიმიღია არასდროს არანაირი ლიტერატურული პრემია თუ ჯილდო;

არასდროს ვყოფილვარ რომელიმე შემოქმედებითი კავშირის წევრი;

არ ვმჯდარვარ ციხეში, სასამართლოშიც არავითარი საქმე არ მქონია, უბრალო მოწმედაც კი არ დავსწრებივარ;

ოთხ ათეულ წელზე მეტხანს სულ ერთ გეოლოგიურ დაწესებულებში ვიმუშავე და ჩემთვის არასდროს გამოუცხადებიათ საყვედური, უბრალო შენიშვნაც კი არ მოუციათ;

არ გამომიცვლია ცოლი (თუმცა, იმ ასაკში დავოჯახდი, როცა ჩემს მეგობრებიდან ზოგიერთს უკვე სტუდენტი შვილები ჰყავდა, ზოგიერთს – შვილიშვილიც!)...

გაკვირვებული, იკითხავ: "მაშ საერთოდ გიცხოვრია კი შენო?".

მეც ხშირად დამბადებია ეს კითხვა... და თავი დამიმშვიდებია: მაშ ვინ დაწერა უამრავი ნაწარმოები, ათ მოზრდილ ტომშიც რომ ვერ ჩაეტევა? კარგია ისინი თუ წყალში გადასაყრელი, ეს კითხვაც დაისმის (იმედი მაქვს, მცირედი მაინც იმსახურებს ყურადღებას!), მაგრამ უკვე თვით ფაქტი ნაყოფიერებისა უეჭველს ხდის ჩემს არსებობას... ისიც ცხადია, რომ ბევრად ნაკლებს დავწერდი, ავტომობილით რომ მესეირნა, სოლიდური თანამდებობა მჭეროდა, ყველაფრით უზრუნველყოფილი ვყოფილიყავი, უამრავი სიძნელე და გაჭირვება არ გადამეტანა...

დიახ, მე ვარ გემი, რომელსაც ჰქვია იოსებ ომაძე და რომელმაც ცხოვრების ოკეანის მშფოთვარე ტალღებში სამოცდათოთხმეტი წელი იბარგანავა და ავად თუ კარგად თავისი გასავლელი გზა თითქმის ბოლომდე გალია... თუმცა, ისიც საკითხავია: სწორი გეზი ჰქონდა აღებული? ან როგორი "საქონლით" იყო დატვირთული – ფუჭით თუ ფასეულით? ამის გარკვევა სხვას მივანდოთ, მე კი შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ, სამწუხაროდ, ბევრი "ცარიელი რეისი" გამიკეთებია, მაგრამ იმას კი ნაღდად ვფიქრობ, რომ "მავნე ტვირთი" – შური, ღვარძლი, ბოროტება, სიხარბე, ხელმრუდობა, გაუტანლობა, მრუშობა, წუწურაქობა და სხვა ასეთები, არასდროს ამიკიდებია... ჩემო დიდყურავ, სამართლიანად შეგიძლია, მისაყვედურო, საკუთარ თავზე ყველა ამასვე იტყვისო, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც სცოდავენ ზემოაღნიშნული და ბევრი სხვა ნაკლითო, მაგრამ რა ვქნა? როგორც ძველად რომაელ მწერალს ტერენციუსს უბრძანებია, მეც ხომ ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის...

– კარგი დამამშვიდებელი წამალია, საკუთარ თავს ინდულგენცია გამოუწერე, ყოჩაღ!

– მაცალე, თუ გინდა, რომ გავაგრძელო!.. დიახ, "ჩემი დეკლარაციის" დაწერიდან თოთხმეტი წელიწადი გავიდა; ეს სატირული მოთხრობა ახლაც შემეძლო, დამეწერა, მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც და ჩემს ყოფაშიც... ოჯახში ტელეფონის დადგმას ვეღირსეთ (ოთხასი ლარი დაგვიჯდა! განვადებით როგორღაც მოვახერხეთ გადახდა...), ახალი სარეცხი მანქანისა და ტელევიზორის შეძენაც მოგვიხდა, იგივე მაცივარი "ორსკი" კი დღესაც მუშაობს! ყოველდღე გულის ფანცქალით ვუსმენ მის აღუღუნებას – ვაითუ თითქმის ოთხი ათეული წლის სამსახურის შემდეგ საბოლოოდ დასვენება გადაწყვიტოს? თუ ახლის შეძენა მომიწია – ჩემი ნახევარი წლის პენსიაც არ ეყოფა! დიახ, უკვე მერამდენე წელიწადია, სამსახურიდან გამოგვყარეს – პენსიონერები გავხდით მე და ჩემი მეუღლე – და, ცხადია, ოჯახის ბიუჯეტს ესეც ძალიან დაეტყო, ფასები კი უზომოდ გაიზარდა... საკმარისია აღვნიშნო, რომ აღარც მახსოვს, ბოლოს ზაფხულში დასასვენებლად ქალაქგარეთ როდის წავედით... დიდ ოთახში ტახტზე წამოგორებული ჭერზე ისევ იმ ძველი ლაქებისა და ნაპრალების ყურებით ვტკბები; ერთი ხეირი ისაა, რომ ბლომად ახლებიც დაემატა...

– მართლა მაგარი ყოფილხარ!.. – ისევ დამცინის ყროყინა. – ბევრს მიაღწიე ცხოვრებაში!

– საკუთარ ბუნებას ვერ ვუღალატე – ბოლომდე იდეალისტად დავრჩი: ახლაც სისულელედ მიმაჩნია თანამდებობრივ კიბეზე სულ უფრო მაღლა-მაღლა ბღოტიალი; ასევე, "ფულის კეთების" ხელოვნება ჩემთვის სრულიად უცხო და მიუღებელია... ნახევარი საუკუნით ახალგაზრდა რომ ვიყო, ისევ ისე მოვიქცეოდი. მახსენდება: რამდენს ჩამჩიჩინებდნენ სამსახურში ჩემი გეოლოგიური პარტიის უფროსი შოთა კიტოვანი, შინ – დედაჩემი და, განსაკუთრებით – ბიძაჩემი გერმანე ცხოიძე: მოკიდე ხელი სადისერტაციო ნაშრომის დამუშავებას, არ გაგიჭირდება მისი გაკეთება, არაფერი გიშლის ხელსო, მაგრამ... რაც არ მიმაჩნდა ჩემს საქმედ, იმას გულს ვერ დავუდებდი, თორემ საკანდიდატო დისერტაციის დაცვა ვინც კი მოინდომა, ყველამ "გაიტანა ლელო"...

– იმიტომაც იყავი მთელი შენი ცხოვრება სულ გაჭირვებული, განსაკუთრებით – ბოლო წლებში...

– მთლად გაჭირვებულიც არ მეთქმოდა, მაგრამ ყოველი კაპიკის თვლა კი მიხდებოდა. ამ რვაცხრა წლის წინათ ქვეყნის ხელისუფლებაში ვითომ "ახალი გუნდი" მოვიდა, დიდი იმედებიც გაჩნდა, მაგრამ ვაგლახ, ხალხის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დიდად არაფერი გაუმჯობესებულა... შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა უარესიც კი გახდა: ჩვენი უმაღლეს ხელისუფალთა უგუნური საშინაო და საგარეო პოლიტიკისა და, საერთოდ, ანტიხალხური ქმედებებისა და რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოს კიდევ ჩამოაჭრეს ტერიტორიები, გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობების გამო ქვეყნიდან საზღვარგარეთ გაქცეულთა, აქ დარჩენილ ღატაკთა და ლტოლვილთა რიცხვმა ბევრად მოიმატა; უზომოდ გაიზარდა, ასევე, საზოგადოების გახლეჩა და ურთიერთდაპირისპირება, მოსახლეობაში უიმედობისა და უსასოობის განცდა... სამაგიეროდ, გარკვეულ დარგებში "წინსვლა" მართლაც შეიმჩნევა: უფრო დახელოვნდნენ დემაგოგიურ დაპირებებსა და არჩევნების გაყალბებაში, გრძელდება გაუთავებელი ტაშ-ფანდური, უაზრო და უყაირათო ხარჯვა ფულადი და ადამიანური სახსრებისა შადრევნების, გრანდიოზული სვეტების, შუშის ნაგებობების ასაშენებლად და ვითომ მიღწეული გრანდიოზული წარმატებებით გაუთავებელი ტრაბახი, შინ და გარეთ თვალებში ნაცრის შეყრისთვის მილიონების წყალში გადაყრა... თუმცა, ვის მოატყუებენ?.. მხოლოდ საკუთარ თავს! დიახ, დღეისთვის ზოგი რამ შეიცვალა და ახლა კიდევ ბევრი რამის დამატება შემეძლო "ჩემი დეკლარაციისთვის"...

– ბიჯო, არ გეყოფა წარსულის ტკივილიან ბინდბუნდში ხელების ფათური და დღევანდელობის მიმართ ჯიჯღინი? – მსაყვედურობს ჩემი გაჭიანურებული თხრობით გულგაწყალებული ყურდიდა.

– მაშ, რა ვქნა? ძალიანაც რომ გინდოდეს, წარსულს ვერსად გაექცევი! მომავალი, მნიშვნელოვანწილად, შეიძლება, განჭვრიტო, დაგეგმო, წარსული კი შენზე უფრო ჯიუტია – ვერაფრით შეცვლი!

– შენ თუკი პირუკუღმა ამხედრებული მიჩაქჩაქებ, სხვებს არ აქვთ უფლება, სულ სხვაგვარად, საწინააღმდეგოდ მოიქცნენ – წინ დროში გადასახლდნენ, თუნდაც დროებით? შენს მოქმედებაზე ჭკვიანური – მომავლის განჭვრეტა ჩანს!

– მათგან განსხვავებით, მე სიყალბეს არ ჩავდივარ და არც არავის არაფერს ვუშავებ...

– შენი ამაყი განცხადება ისევ თავს მართლებას ჰგავს... მაშ, უნდა ძველებურად მდგარიყო გორში შენი სეხნიას ძეგლი?

– მაგ საკითხზე მსჯელობა ხომ უკვე დავამთავრეთ... კარგი, მოგახსენებ, ჩემი შეხედულება როგორიც გახლავს. რა თქმა უნდა, სანამ კულუარულ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, უნდა ეკითხათ ადგილობრივი მოსახლეობისთვის, მაგრამ იცოდნენ, რომ დასტურს ძეგლის ასაღებად ვერ მიიღებდნენ და მათთვის ჩვეული ძალადობრივი ხერხით აისრულეს ჩანაფიქრი. ცხადია, და ამის შესახებ პრესაშიც წერდნენ, რომ თავისთავად სტალინის ძეგლი ჩვენს ხელისუფლებას სრულებით არ ადარდებდა, მისი აღება ასეთი ხმაურით საჭირო იყო მათი ფრიად სავალალო მოღვაწეობის გადასაფარავად, ყურადღების გასატანად დღეისთვის ქვეყნისთვის ამ არცთუ დიდად მნიშვნელოვან საკითხზე... მე თუ მკითხავ, ჩემო დიდყურავ, სტალინის ამაზრზენი პიროვნება ჩემში იოტისოდენა სიყვარულს და მცირეოდენ პატივისცემის გრძნობასაც კი ნამდვილად არ იწვევს: როგორ შეიძლება, მოგწონდეს თუნდაც შენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მომსპობი და დამსამარებელი, რომელმაც წითელი ურდოები შემოუსია მშობლიურ ქვეყანას, რომ აღარაფერი ვთქვათ შემდგომ, ათწლეულების განმავლობაში, ბოლშევიკური დიქტატურის უთვალავ სისხლიან დანაშაულობებზე? მრავალჯერ ვარ ნამყოფი გორში და არასდროს გამჩენია სურვილი, სტალინის სახლ-მუზეუმი მომენახულებინა... რაც შეეხება სტალინის ძეგლს: იქნებ ის უნდა მდგარიყო, როგორც სახსოვარი მისი ზეობის ეპოქისა და, თუკი მართლაც აუცილებელი იყო მისი აღება, ამგვარი ფორმით არ უნდა განეხორციელებინათ... თუმცა, საკვირველი კი არის, რას ერჩოდნენ სტალინის მონუმენტს ჩვენი ხელისუფალნი? თვითონ ხომ არსით ძალადობის მოტრფიალენი, ნამდვილი ნეობოლშევიკები არიან! და ბევრი რამით – მათზე დიდად უარესებიც! ტყუილად კი არ მოანატრა მრავალს კომუნისტების ეპოქა...

– თვითონ რას ერჩი მათ, ასე მწარედ რომ ნათლავ?

– ვტყუი? საოცრად ჰგვანან მამალ ბოლშევიკებს: მოვიდნენ ხელისუფლებაში არსებული, თუმც ყოვლად უვარგისი და ხალხისთვის საძულველი მთავრობის ძალადობრივი დამხობის გზით და, რაც მთავარია, თურმე მათი გამეფებით იწყება ახალი ჭეშმარიტი ეპოქა ქვეყნის ცხოვრებაში, მანამდე მხოლოდ წყვდიადი და უკუნი იყო! ქვეყნის ნამდვილი ისტორია თურმე მხოლოდ 2003 წლიდან იწყება, ამიტომ უნდა შევცვალოთ დროშა, ჰიმნი, ღერბი, თვით ქვეყანასაც ახალი სახელი დავარქვათ: "საქართველოს რესპუბლიკის" მაგივრად – "საქართველო"... რა, საქართველო აღარ არის რესპუბლიკა? იქნებ ფადიშაჰი ან ხონთქარი გვყავს? ფორმალურად – არა, მაგრამ ფაქტობრივად ერთი კაცის ხუშტურით წყდება ყველაფერი – ისეთი წვრილმანებიც კი, რა ფერად შეიღებოს სახლები, რომელ ქუჩას რა სახელი დაერქვას, საერთაშორისო კონკურსზე რომელი მომღერალი გაიგზავნოს... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

– მაშ, გორი არ გიყვარს?

– როგორ გეკადრება! როგორ შეიძლება, საქართველოს ყველა ქალაქი არ მიყვარდეს, მაგრამ რამდენიმე ჩემთვის მაინც განსაკუთრებით გამორჩეულია: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, მცხეთა, თელავი... ერთი პირობა, ვაპირებდი, თითოეულ მათგანში რამდენიმე თვე მეცხოვრა და შემდეგ მათ შესახებ მხატვრული ნარკვევის მსგავსი დამეწერა და ერთ წიგნად შემეკრა... ჯერჯერობით ეს ჩანაფიქრი ვერ განვახორციელე და ვნახოთ, შემდგომში იქნებ მოვახერხო... გორის რაიონშია ჩემი გვარის – ომაძეთა – მშობლიური ბუდე, სოფელი ფხვენისი. გორის მიმართ კიდევ ერთი სურვილი მაქვს: მინდა, იქ სახვითი ხელოვნების მუზეუმი დაარსდეს. მე მგონი, მეგობარ მხატვრებს არ დაენანებათ ამ კეთილი საქმისთვის ერთი-ორი სურათის შემოწირვა.

– იქნებ მომავალში მაგ საქმეს უფრო ახალგაზრდებმა მიხედონ?

– კაცი დავბერდი და სულ უფრო მეტისა და მეტის ნახვის, შეცნობის, გაკეთების სურვილი ჯერ არ ჩამქრალ-ჩანავლულა ჩემში...

– ეკლესიასტეში გაცხადებულ სიბრძნეს წინ აღუდექ? ხომ ნათქვამია იქა, რომ ბევრის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებსო.

– სოლომონ ბრძენს რომ დაუჯერო, ჯობს, საერთოდ არ დაიბადო. ეკლესიასტეში პირველივე სიტყვებია: "ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაოა". რატომ ამბობს ამას სოლომონ ბრძენი? რათა ყველას გული გაუტეხოს ცხოვრებაზე, საერთოდ ხელი ააღებინოს მოქმედებაზე და მით უმეტეს – შემოქმედებაზე?.. დაამწუხროს?.. აკი იგი გვმოძღვრავს: "მწუხარება სჯობს სიცილს, რადგან სახის დაღვრემისას კეთილია გული". სისულელეა! მერე კი სოლომონ ბრძენი, თუკი მას მართლაც ბრძენი შეიძლება, ვუწოდოთ, საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, ამბობს: "წადი, მხიარულად ჭამე შენი პური და გულის სიხარულით სვი შენი ღვინო, რაკი ღმერთმა მოგიწონა ნამოქმედარი".

– ყოჩაღ, დიდო ბრძენო, მეფევ სოლომონ! – წამოიძახა დიდყურამ. – აზროვნებას ვით უწუნებ? რა სჯობს, ჭამა-სმასა და დროსტარებაში გალიო შენი დღენი, სხვას არაფერს აქვს ფასი!

– ტყუილად დასცინი!

– შენ – შეგიძლია, მე – არა?

– ბოდიში, ჩემო ბრძენთმთავარო... ჰო, მეფე სოლომონ ბრძენი ჯერ ბრძანებს, ამაოებაა ამქვეყნად ყველაფერიო, მერე კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს, გაანძრიე ხელიო: "რისი კეთების ძალაც შესწევს შენს ხელებს, აკეთე; რადგან არც საქმე, არც საფიქრალი, ცოდნა, ან სიბრძნე არ გაგყვება შავეთში, სადაც მიდიხარ".

კარი IV.
ჩემი წიგნები

– ამ მხრივ, მისდევ სოლომონ ბრძენის შეგონებას, და აცხობ და აცხობ წიგნებს!

– აბა, არა? ხანდახან მგონია, ნაღდი გრაფომანი გავხდი! თუმცა, ვფიქრობ, დიდი ცოდვა არ მაწევს მხრებზე – ჩემს ნაჯახირევს მაინც არავინ კითხულობს! უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ რუსთაველსა და ილია ჭავჭავაძესაც თითქმის აღარავინ კითხულობს, განსაკუთრებით – ახალგაზრდობა... რომ ჰკითხო, ნიკოლოზ ბარათაშვილის ვინაობა, გიპასუხებენ: "არ ვიცი, ალბათ ახალი მომღერალი რეპერიაო"... ბიბლიური სოლომონ ბრძენის ურთიერთგამომრიცხავ გამონათქვამებს თუ მივუბრუნდები, ჩემი შეხედულებით, ისინი ორივე მართალია, მაგრამ არა აბსოლუტურად: ქვების შესახებ ბიბლიური გამოთქმის მსგავსად, შეიძლება ვთქვათ, რომ, დროისა და გარემოების დარად, არის დრო ლხინისა და დროსტარებისა და არის დრო შრომა-გარჯისა!

– შენთვის სიბერეში დადგა დრო სამწერლო ასპარეზზე შრომა-გარჯისა... საოცარია!

– სახელოვანი ავარიელი პოეტი რასულ ჰამზათოვი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში "ჩემი დაღესტანი" წერს, რომ, როგორც არსებობს, მაგალითად, ვაშლის საადრეო და საგვიანო ჯიშები, ასეა მწერლებშიცო და საკუთარ თავს "შემოდგომის ჯიშად" თვლის – გვიან დავმწიფდი, როგორც პოე-

ტიო... მე შემიძლია, ვთქვა, რომ იქნებ "ზამთრის ჯიშიც" კი ვარ და მთლად "შემოსვლა" ვერც მოვასწრი...

— ხელი რამ შეგიშალა?

— შემიძლია, მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვა. ერთი მხრივ — ბავშვობიდან მოხუცებულობამდე არსებული მძიმე ცხოვრებისეული პირობები და მეორეს მხრივ, — ეს უფრო საფუძვლიანი ვარაუდი მგონია, — ჩემი პიროვნული თვისებები. ზოგი ფრიად ადრე გამოამჟღავნებს თავის შესაძლებლობებს, მაგალითად, ნიჭის ადრეული გამოვლინება ხშირია მოჭადრაკეებში, მათემატიკოსებსა და პოეტებში... ტყუილად კი არ ამბობენ, რომ პოეზია — ჭაბუკთა საქმეაო. ამ გამონათქვამში არის ჭეშმარიტების მარცვალი, მრავალი პოეტის შემოქმედება ახალგაზრდობისას გაიფურჩქნა, გავიხსენოთ ნიკოლოზ ბარათაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ლადო ასათიანი, არტურ რემბო, შანდორ პოტეფი, ალექსანდრ პუშკინი, მიხაილ ლერმონტოვი... მუსიკოსებშიც ჩვეულებრივია ამგვარი რამ, საკმარისია დავასახელოთ ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, რობერტ შუმანი, ფრანც შუბერტი, ფელიქს მენდელსონ-ბარტოლდი, ფრიდერიკ შოპენი, ნიკოლო პაგანინი, ვინჩენცო ბელინი, გაეტანო დონიცეტი... ჯოაკინო როსინი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მთელი ევროპის ყურადღების ცენტრში მოექცა! ყოველ წელს ორ-სამ ოპერას წერდა; 38 წლისამ დაწერა ბოლო ოპერა, სახელგანთქმული "გიიომ ტელი" და, საოცარია, მას შემდეგ კიდევ თითქმის ორმოცი წელი იცხოვრა და თითქმის მთლიანად ჩამოშორდა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას! ასევე დაემართა ფინური მუსიკის ყველაზე დიდ წარმომადგენელს, ფრიად ნაყოფიერ, შესანიშნავ შემოქმედს, იან სიბელიუსს, რომელსაც ცხოვრების ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში აღარაფერი გამოუქვეყნებია... არის საპირისპირო მაგალითებიც, მაგალითად, ჯუზეპე ვერდიმ ბოლო ორი გენიოსური ოპერა "ოტელო" და "ფალსტაფი" სამოცდათოთხმეტი და ოთხმოცი წლის ასაკში შექმნა!

— შენა? შენ როდისღა, რა ასაკში შექმენი ხელთუქმნელი შედევრები?

— შედევრები? ალბათ არც ერთი დამიწერია... მე შედევრებს კი არ ვქმნიდი, შეძლებისდაგვარად, კალამს ვაწრიპინებდი, გულის ჭიას ვახარებდი, სულ ეს იყო. ამის შესაძლებლობა კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ძალიან გვიან მომეცა: პირველი წიგნი "ჩვენი ნიკალა" ნახევარსაუკუნოვან ასაკს კარგა გადაცილებულმა დავბეჭდე, ცხრა წიგნი — სამოცს გადაცილებულმა და თერთმეტი — სამოცდაათი და მეტი წლისამ. იქნებ მოვახერხო და მათ კიდევ ერთი-ორი დავუმატო...

— ბიჯო, ახალგაზრდობიდან რომ დაგეწყო, ახლა ასზე მეტი წიგნი გექნებოდა დაწერილი, წალეკავდი ქვეყანას!

— არა მგონია, მაგრამ, რომც დამეწერა, ვინ გამომიცემდა რო? ყველაზე უფრო საკუთარ თავს ადამიანი სიბერეში ჰგავს, ჩემს შემთხვევაში მაინც, და ალბათ ჩემი სათქმელი სიბერეში უნდა მეთქვა!

— ე რა სისულელე ბრძანა თქვენმა ბრწყინვალებამ? თუ მავანმა სიბერემდე ვერ მიაღწია, მაშ, საკუთარ თავს აღარა ჰგავს, საკუთარი სათქმელი ვერ თქვა? აკი შენვე მოიტანე მაგალითები ახალგაზრდობის ასაკში ნიჭის გაფურჩქვნისა!

— ხომ დავაზუსტე, ჩემს შემთხვევაში-მეთქი...

— მერე, ე ბეხრეკი კაცი, შენ გგონია, სიბერეში გაიფურჩქნე?

— გავიფურჩქნე თუ ფუჭი მცდელობა მქონდა, ამას მკითხველი განსჯის... ისე კი, არ მეგონა, თუ ამდენის დაწერას მოვასწრებდი!

— ვითომ რათა, კაცო, კალმისტრისა და ქაღალდის შოვნას რა უნდა! მეტი რა საქმე გაქვს — დაჯექ და წერე და წერე, სანამ გეწერება!

— ამათ გარდა, ბევრი რამ, ძალიან, ძალიან ბევრი რამ გჭირდება! უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, მწერლური ნიჭი, რომელიც უამრავ კომპონენტს შეიცავს; მეორე — ცხოვრებისეული გამოცდილება, მესამე — ცხოვრებისთვის მინიმალური სახსარი, რათა შემოქმედი შიმშილით არ მოკვდეს; მეოთხე — ჯანმრთელობა... ბავშვობიდანვე ძალიან ჭირიანი ვიყავი და სულ იმის შიში თან მდევდა, არ დავჭლექდე-მეთქი — ფილტვები სუსტი მქონდა. თავიდან ვფიქრობდი, რომ ორმოცდაათ წელიწადს თუ მივაღწევდი, ძალიან კარგი იქნებოდა. ჩემდა გასაკვირველად, ნახევარსაუკუნოვან ასაკს მივუკაკუნე და გადავლახე კიდეც, თანაც — არცთუ დაძაბუნებულმა! მის შემდეგ ყოველი განვლილი წელი ჩემი ცხოვრებისა ბუნების საჩუქრად მიმაჩნია და, ისევ და ისევ ჩემდა გასაკვირვებლად, ეს დაჯილდოება ოცდახუთი წელიწადია, რაც გრძელდება — სამოცდამეთექვსმეტე წელიწადში გადავდექი! არ მეგონა, თუ ბუნება ჩემს მიმართ ასეთ ხელგაშლილობას გამოიჩენდა, განსაკუთრებით, მას შემდეგ, როცა, ორმოცდათორმეტი წლისას, სრულიად მოულოდნელად, მიოკარდუმის ინფარქტი მეწვია... და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ჩემი შემოქმედებითი აქტიურობა, რომელიც, ისევ და ისევ ჩემდა გასაოცრად, სულ უფრო ძლიერდებოდა — განსაკუთრებით, XXI საუკუნეში, როცა სამოც წელიწადს კარგა გადაცილებული ვიყავი! აგერ ამ 2010 წლამდე ათ წელიწადში ორი ათეული წიგნი დავწერე — მე თვითონ ძალიან მიკვირს! ისევ ვიტყვი: არ მეგონა, თუ ამდენის დაწერას შევძლებდი! მერე რა იქნება, არ ვიცი — ალბათ უცილობელი სწრაფი დაღმა სვლა დაიწყება — ფიზიკური მდგო-

მარეობისაც და შემოქმედებითი პროდუქტიულობისაც. კალმის ხელში ასაღებად ზოგნი ელიან შთაგონებას, რომელიც, ყველას მშვენივრად მოეხსენება, ფრიად ჭირვეული ხასიათისა ბრძანდება. საკუთარი გამოცდილება ჩემთვის უეჭველს ხდის იმ მოსაზრების მართებულობას, რომლის თანახმადაც შთაგონება იშვიათად სტუმრობს ზარმაცს! მწერალი და, ზოგადად – შემოქმედი, იგივე მონადირეა: მარად უნდა "დაძრწოდეს" "ნადავლის" მოსაპოვებლად, წარმოსახვით, რასაკვირველია, – საინტერესო თემებს, იდეებს რა გამოლევს, ოღონდ ყველაფერი უნდა გაინტერესებდეს და მარად არ გასვენებდეს ახლის გაგების, შეცნობის, გააზრების სურვილი! ერთ ნაწარმოებს რომ დაასრულებ, უკვე წინდაწინ გააზრებული მეორე და მესამე ჩანაფიქრის ხორცშესხმის შესაძლებლობები უნდა გაღელვებდეს და მაშინვე შეუტიო...

– ყოჩაღ, სიბერეში ძალიან გათამამდი.

– კალამს რომ ხელს მოჰკიდებ, უნდა იყო თამამი!.. მაგრამ – არა თავხედი!.. აი, ახლა, ახალგაზრდა ქართველი მწერლებიდან ზოგიერთი ცდილობს, – დიდად სამწუხაროდ! – საკუთარი ორიგინალობა წარმოაჩინოს გაშიშვლებული ეროტიკული სცენების ასახვით, ქუჩური ბილწისიტყვაობის ჭარბად შემოტანით, ნარკომანთა, მამათმავალთა ყოფის ჩვენებით... ამგვარი ამაზრზენი რამ ჩემთვის სრულიად მიუღებელია და არიან ავტორები, მათ შორის – ქალებიც, რომელთა "მხატვრულ" ნაწარმოებებსაც არასდროს წავიკითხავ, თუნდაც ცნობისმოყვარეობის გამო. ნატურალისტურად ასახული საშინელებებისა და უკიდურესი აღვირახსნილობის ჩვენება, უწმაწური გამოთქმების დახვავება მათ "თანამედროვე სტილად", "ნოვატორობად" მიაჩნიათ და ის კი არ იციან, რომ ეს გზა დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ გაკვალული კი არა, მშვენივრად გატკეპნილიც გახლავს: უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და მრავალ სხვა ქვეყანაში პორნოგრაფიული რომანების ზღვა ნაკადი მოედინებოდა და დღეს კიდევ უფრო უხვია... ამ მიმართულებით რა უნდა თქვან ახალი? და რომც თქვან, ეს მაინც არ იქნება სიტყვაკაზმული მწერლობა, ეს იქნება მხოლოდ, ბოდიში და, ნაგავი. მხატვრული ლიტერატურა ადამიანის სულიერი საზრდოა და როგორ მიირთმევ ისეთ კერძს, რომელშიც სიბინძურეა გარეული? ლიტერატურას თუ "მხატვრული" ჰქვია, ის სიხარულს, სიამოვნებას, სიმხნევეს უნდა განიჭებდეს და არა ამაზრზენის ჩვენებით ადამიანის დათრგუნვას, მასში შიშის, ზიზღის, სასოწარკვეთისა და სხვა უარყოფითი გრძნობების განწყობას წარმოშობდეს. კოტე მარჯანიშვილმა ტყუილად კი არ თქვა: "ხელოვნების მიზანი უბრალოა: მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა". ოქროს სიტყვებია!.. სახვით ხელოვნებაშიც მოგვიმრავლდნენ "ნოვატორები": დახატავენ გაფატრული მუცლის ღრუდან გადმოყრილ ნაწლავებს ან, კიდევ ბოდიში, საკუთარ ექსკრემენტს გამოიტანენ გამოფენაზე და მოდერნისტულ ქანდაკებად გაასაღებენ... ვინც რა უნდა თქვას ჩემი "ჩამორჩენილობის", "ქაჯობის" შესახებ, მე, მაგალითად, სურათის შეფასებისას ერთი კრიტერიუმი მაქვს: დავკიდებდი თუ არა მას ჩემს ბინაში კედელზე? სიმახინჯის, ქაოსის, ანტიესთეტიკურის "ავანგარდისტული" კულტივირება XX საუკუნის ანტილიტერატურასა და ანტიხელოვნებაში მოდად იქცა და ჩვენშიც გამოჩდნენ ვაი-შემოქმედნი, რომელთაც სურთ იოლი გზით სიარულით სახელისა და ფულის მოხვეჭა.

– შენ კი ბევრი ოფლი ღვარე?

– შენი ირონია უსაფუძვლოა: ამას ჩემი ხელით ნაწერი ფურცლები დაგიდასტურებენ, ზოგი ნაწარმოების ვარიანტები და შავი პირები შენახული მაქვს. ყველა ჩანაწერი რომ შემენახა, ალბათ ასამდე და იქნებ მეტიც სქელი საქაღალდე დაგროვდებოდა, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელია, ძირითადად ტექსტს პირდაპირ კომპიუტერის დახმარებით ვწერ, მხოლოდ ზოგჯერ მოსამზადებელ მასალებს ვწერ ხელით და მათ აღარ ვინახავ. ახლა გული მწყდება, რომ სულ პირველი ნაწარმოებების შავი და ვარიანტები არ შემრჩა – ბავშვური ნაცოდვილარი იყო, მაგრამ საკუთარი ბავშვი ხომ გიყვარს? გავრისკე და ზოგიერთი ადრეული მოთხრობა დავბეჭდე: შევიტანე ჩემი კრებულის "ვემშვიდობები XX საუკუნეს" X წიგნში "პირველი თოვლი (ძველი რვეულიდან)"...

– რა ჰქვია შენს სულ პირველ მოთხრობას და როგორ დაწერე ის შედევრი?

– უპრეტენზიო, არცთუ მაღალი დონის გასართობი ჰუმორესკია: "როგორ ჩხუბობენ ზრდილობიანი ადამიანები"; დათარიღებულია 1960 წლით – ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დამიწერია! მაშინ თბილისში სპორტის სასახლეს აშენებდნენ და ხშირად მივდიოდი ხოლმე სანახავად, როგორ თანდათან იზრდებოდა და სრულყოფილ ფორმას იღებდა უზარმაზარი ნაგებობა. არ დამავიწყდეს და ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ახალგაზრდობაში ძალიან მიყვარდა თბილისის ახალი უბნების, ხიდების და ასე შემდეგ მშენებლობებისთვის თვალის მიდევნება; კვირაში ერთ-ორჯერ ჩავჯდებოდი ხოლმე ტრამვაიში და მივდიოდი ავჭალაში, გლდანში, ვაკეში... ჰოდა, ერთხელაც ამ სპორტის სასახლის მშენებლობის წინ ვიდექი და უცებ, სრულიად მოულოდნელად, ჩემს წარმოდგენაში ამოტივტივდა სცენა: მდინარისპირა ფლატის კიდეზე ერთმანეთისგან ათიოდ ნაბიჯში ორი მეგობარი მებადური ზის: ერთი – მაღალი და გამხდარი, მეორე – დაბალი და პუტკუნა... გზა-გზა, სანამ შინისკენ ფეხით მივდიოდი, ფანტაზიით წარმოდგენილი მათ შორის გამართული სიტყვიერი შეხლა-შემოხლით ვერთობოდი, შინ მისულმა კი მაშინვე ჩავიწერე ჩემი პირველი "თხზულება"! არავითარი წინაპირო-

ბა, საბაბი და ასე შემდეგ არ არსებობდა ჩემს წარმოსახვაში ამგვარი სცენის ამოსატივტივებლად და ასე უცებ საიდან მოფრინდა, ღმერთმა უწყის! შემდგომ ხშირად მომსვლია მსგავსი რამ: თითქოსდა უმიზეზოდ წარმოსახვაში ჩემდა დაუკითხავად მომევლინებოდა სიუჟეტი, რომელიც შემდეგ მოთხრობას დამაწერინებდა. ასეთებია, მაგალითად, "ტახზე ნადირობა", "ქურანა ცხენი", "ორი იდეალური მკვლელი" და უამრავი სხვა, როცა ჩანაფიქრი უცებ საიდანღაც მოფრინდებოდა და არ დამეწერა, არ შემეძლო. უმთავრესი "პროდუქცია" კი, რა თქმა უნდა, ასე სპონტანურად ვერ შეიქმნებოდა, მას წინ უძღოდა რაღაც პირველადი "ბიძგი": მოგონება, ასოციაციით გახსენება, განცდილი ან ვინმესგან გაგონილი ამბავი, შემდგომ გადასხვაფერებული, გამდიდრებული და ზოგჯერ ფრიად დაშორებული "პირველწყაროს"; რაიმე მოვლენა, პიროვნების თავისებურება ან ბუნების ხედიც კი – შენს გარშემო არსებული ან მომხდარი ყოველივე, რაიმე "მარცვალი"... ერთი შეხედვით, უმნიშვნელო რომელიმე საგნის ხილვა, ყურს მოხვედრილი ერთი ჩვეულებრივი სიტყვაც კი და ასე შემდეგ, შეიძლება ის "ჩანასახი" გახდეს, რომლისგანაც შემდგომ ზრდას იწყებს ჯერ ბოლომდე ფორმამიუცემელი "რაღაც", შენი წარმოსახვა თავისუფალ თამაშს იწყებს და უცნაურ სვლებს გთავაზობს – ზოგჯერ შეთხზულის საბოლოო შედეგი შენთვისაც მოულოდნელი და გასაკვირველია – იმდენად განსხვავებულია მიღებული საბოლოო "კერძი" "საწყისი მასალებისგან". აი, მაგალითად, მოთხრობა "ასკილი" როგორ დაიწერა, იცი? როცა ჩემი შვილები პატარები იყვნენ, შემოდგომობით ავტობუსით გავემგზავრებოდი ხოლმე წყნეთში ზამთრისთვის ასკილის დასაკრეფად. ერთხელაც ერთ ხევში ვიყავი ჩასული და ასკილის მაღლა აზიდულ ტოტს ვეპოტინებოდი, როცა ზევიდან დაგორებული რაღაც საგნის ხმა მომესმა. უცებ პირდაპირ თავზევით გადამიფრინა ავტომანქანის საბურავმა და ჯლიგინ-ჯლიგინით განაგრძო ქვევით ბუჩქების თელვა... ვიფიქრე: "ის ოხერი რომ მე დამჯახებოდა, ხომ სულს გამაფრთხობინებდა-მეთქი". ეს ფიქრი ამეკვიატა; წარმოვიდგინე ვიღაც ასკილის მკრეფავის დაღუპვის სცენა, შემდეგ – მას წინ რა მოვლენები უსწრებდა... და ნელ-ნელა მოთხრობის სიუჟეტიც დაიბადა. დიდი ფორმის ნაწარმოების შესაქმნელად სხვა სირთულეებიც უნდა დაძლიო; მაგალითად, რომანის დაწერას მიზანმიმართული ყოველდღიური ძალისხმევაც სჭირდება, როგორც გემის აგებას ან დიდი სახლის აშენებას – თვით მწერლები ხშირად ხმარობენ ამგვარ შედარებებს, როცა საკუთარ შრომაზე საუბრობენ. სხვათა შორის, ხშირად მეწვევა ხოლმე მუსიკალური თემები. როცა დრო მაქვს და არავინ მიშლის ხელს, – უმეტესად ლოგინში წოლისას, ღამით ძილის წინ, – მიყვარს თავის გართობა ერთგვარი თამაშით: წარმოვიდგენ პიანოფორტეს ან ორკესტრს, რომელიც უკრავს... უფრო სწორედ, წარმოვიდგენ თვით მუსიკას, რომელიც ჩემში იბადება და ვითარდება... განუწყვეტლივ, ძალიან დიდხანს შემიძლია, მივდიო ფანტაზიით მუსიკის მდინარებას და საოცარი სიამოვნება ვიგრძნო. სამწუხაროა, რომ სინამდვილეში არ შემიძლია ვცადო, იმის ჩაწერა, რაც გამომივა: რა იქნებოდა, რომ მუსიკოსი ვყოფილიყავი? ალბათ უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი! საოცარი უნარი მაქვს, შინაგანი სმენით ფანტაზიის ნიაღვარს მივენდო – შეთხზულ მელოდიას მივყვე, განვავითარო, განვავრცო, შევცვალო, გადავასხვაფერო, ორკესტრის ფერებით შევამკო... და ასე განვაგრძო – დაუსრულებლად! ხშირად მიფიქრია: მე რომ კომპოზიტორი ვყოფილიყავი, აი, მაშინ უნდა გენახათ ჩემი პროდუქტიულობა! წარღვნას მოვუვლენდი ქვეყნიერებას!

– მერე ხარისხი? ვის რად უნდა შენი ნაცოდვილარი, მთქნარებას რომ მოჰგვრის მსმენელს?

– მართალი ხარ, მთავარია, ნამუშევარს "გემო" ჰქონეს კარგი და არა მისი რაოდენობა... ისე, წინდაწინ ვერაფერს იტყვი, როგორი ნაშრომი გამოგივა – და მაინც უნდა სინჯო! ან გაიმარჯვებ, ან ფუჭად ჩაგივლის გარჯა! მაინტერესებს: შეიძლება თუ არა, სიტყვებით მაინც გამოვხატო ის წარმოსახვები, რომლებიც შინაგანი სმენით მომევლინება? რა იქნება, რომ ვცადო, თუნდაც ფორმალიზმში დამადანაშაულონ?

– ჩვეულებისამებრ სულ სხვაგან გაუხვიე... როგორც იტყვიან ხოლმე, დროა, დაუბრუნდე შენს ცხვრებს. პირველი ჰუმორესკი მოახლაფორთე... მერე?

– ჩემი პირველი მოთხრობა იქნებ არც იყო ღირსი გამომზეურებისა, მაგრამ, როგორც გითხარი, მაინც შევიტანე ჩემს წიგნში "ვემშვიდობები XX საუკუნეს" – როგორც მაგალითი, როგორ უსუსურად დავიწყე... მერე ხამუშ-ხამუშ ვწერდი, როცა ამის სურვილი მომივლიდა – არავითარი პროფესიული მიდგომა არ მახასიათებდა. ადრეც აღვნიშნე, რომ ძალიან გვიან "მოვმწიფდი" – ნახევარი საუკუნის ასაკს გვარიანად გადაცილებული ვიყავი!..

– შემდგომში დასერიოზულდი და როგორ წიგნებს წერდი?

– სულ სხვადასხვანაირს. მრავალ სხვა მწერალთა მსგავსად, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ბიოგრაფია – ჩემი წიგნების „ბიოგრაფიაა" და თუ ისინი მწირია, ღარიბია, შინაარსობრივად და უგემურია, ულაზათოა შესრულების მხრივ, რა უნდა გავაწყო? ეს ვარ, რაცა ვარ! არ ვიცი, სხვა დროს ამას მოვახერხებ თუ არა და, ჯობს, ბარემ ახლა მოგიყვები მათ შესახებ...

– ღირს რო?

– მაშ, არ გინდა?

— კარგი, ჰო, აბა, გაიჯირითე შენთვის ფრიად სასიამოვნო თემის ზურგზე ამხედრებულმა! იმედია პირუკუღმა შემჯდარი არ გააჭენებ!

— ზოგადად სამგვარი ნაწარმოებები მაქვს დაწერილი:

1) პირდაპირ "ნატურიდან" გადმოღებული, თითქმის შეუცვლელად, ისე, როგორც ცდილობს "რეალისტი" მხატვარი დანახული ერთგულად გადაიტანოს ტილოზე ("არმაზული ჩანახატები", "მხიარული ზაფხული ბაკურიანში" და სხვა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ასე თუ ისე, ხშირად ვცვლი ბევრ რამეს ნაწარმოების შექმნისას შინაგანი რაღაც "იმპულსების" მეოხებით — "ვაუმჯობესებ": ვარჩევ "სვლებს", ვცვლი სიტყვებს, ვხვეწ ტექსტს);

2) წმინდა წარმოსახვით შექმნილი, რომელთა დასაწერადაც ბიძგი თითქოს არაფერს მოუცია და სუფთა ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენენ ("ერთდროული თამაშის სეანსი", "ქურანა ცხენი", "ორი იდეალური მკვლელი" და სხვა;

3) რაღაც მოვლენა, ფაქტი, ადამიანი, მოგონება და ასე შემდეგ იძლევა ჩანასახს ნაწარმოებისა, პირველად იმპულსს, "მარცვალს" შემდგომი გაღივებისა და განვითარებისთვის და ზოგჯერ სრულიად მოულოდნელ შედეგსაც ვიღებ — თავდაპირველი ჩანაფიქრიდან ძალიან განსხვავებულს; ყველაზე ხშირად სწორედ ამგვარად ვმუშაობ. რა თქმა უნდა, ჩემს მიერ არჩეული გზა ფორმის პირობითობას გულისხმობს, მაგრამ, ზოგადად თუ განვიხილავთ, ყოველგვარი ხელოვნების ფორმა მეტნაკლებად პირობითია და ლიტერატურაც ხომ ხელოვნებაა. ხელოვანმა უნდა გაიაროს ბეწვის ხიდზე: ნატურის ნატურა-ლისტურად პირდაპირ ასახვასა და ფორმის რღვევის გამომწვევ მეტისმეტ პირობითობას შორის, — ოქროს შუალედი მოძებნოს; მაშინაა მისი ნამუშევარი შთამბეჭდავი.

ჩემი პირველი წიგნი იყო "ჩვენი ნიკალა". როგორც მოგახსენე, 1988 წლის თებერვალში მიოკარდიუმის ინფარქტი გადავიტანე. ერთი თვის შემდეგ საავადმყოფოდან გამომწერეს და, მკურნალობის საბოლოო კურსის დასასრულებლად, საგზურით გამაგზავნეს სანატორიუმ "ქართლში", თბილისის წყალსაცავის პირას. იქ ერთი თვე დავყავი; ვწერდი, მიდამოების გრაფიკულ ჩანახატებს ვაკეთებდი... შინ დაბრუნებულმა (სხვათა შორის, ჩემმა მეეგობრმა, მხატვარმა ტიტე შეყილაძემ წამომიყვანა თავისი ავტომანქანით — რახრახა "ზაპოროჟეცით"!), დავიწყე საჩქაროდ თავის მოყრა და დამუშავება, ორი ათეული წლის განმავლობაში თუკი რამ მქონდა დაწერილი ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ: ნაირგვარი სახის მასალა კომპოზიციურად შევკარი, შეძლებისდაგვარად შალაშინიც გავკარი, მანქანაზე გადავბეჭდე და მივიტანე გამომცემლობა "ნაკადულში", სადაც იგი გამოვიდა კიდეც 1990 წელს. წიგნის ჟანრი არ განმისაზღვრავს; მასში გაერთიანებული იყო ჩანახატები, ნარკვევები, კრიტიკული ექსკურსები, ხელოვნებათმცოდნეობითი განსჯა, მოთხრობები... ვცდილობდი, სხვადასხვა ხასიათის ნაწილებს შორის ყოფილიყო შინაგანი გადაძახილი, ემოციურ-ლოგიკური კავშირი, თუმცა ძირითად დამაკავშირებელ ძალას წარმოადგენდა თვით ნიკო ფიროსმანაშვილის პიროვნება და მისი ნაღვაწი.

ჩემი მეორე წიგნი "ბედნიერი ფამფალეთი და სხვა ზღაპრები" რვა წლის შემდეგ, 1998 წელს გამოვიდა. ბარემ დროში წინ ვისკუპებ და აღვნიშნავ, რომ შემდგომში, 2007 წელს, კიდევ ერთი ზღაპრების კრებული დავბეჭდე: "კატათაგვიანი და სხვა ზღაპრები". ზღაპრების წერა ძალიან მიყვარს: დღემდე ორმოცდაათამდე ზღაპარი მაქვს შეთხზული! თუ მოვახერხე, მინდა, ისინი ერთად შევკრა, დავუმატო ახალი ზღაპრებიც და ერთ მოზრდილ კრებულად გამოვცე. მსოფლიოში მწერლების მიერ შექმნილი ლიტერატურული ზღაპრების უთვალავი კრებულია გამოშვებული, საქართველოშიც საკმაოდ ბევრ მწერალს უმუშავია ამ ჟანრში; მიმაჩნია, რომ ჩემი ზღაპრები სხვათა ზღაპრებს არ ჰგავს. ჩემი რომანების უმრავლესობაც ხომ იგივე დიდი ზღაპრებია, ოღონდ მოზრდილთათვის დაწერილი...

— ჰო, ბაქიობითაც გეტყობა, რომ ბავშვობაში ხარ გადავარდნილი, რა გასაკვირველია, რომ ზღაპრებს თხზავდე! — შემაწყვეტინა ჩემმა ვირუკამ.

— თუ ჩემი მონათხრობი გაღიზიანებს, აღარ გავაგრძელებ...

— ბავშვივით ნუ იბღუზები! რაღამც დაგიწყია, ბოლომდე გაუტიე!

— კეთილი და პატიოსანი! მეორე წიგნიდან მოყოლებული, მხოლოდ ერთ გამომცემელს ვანდობ ჩემი წიგნების გამოქვეყნებას... აბა, თუ მიხვდები, ვის?

— ნეტა ვინ არის ის უბედური?

— ერთი ძალიან უბრალო კაცია, ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე და, რაც კი ჩაფიქრებული მაქვს, ზედმიწევნით ზუსტად მისრულებს! არასდროს დამიწყებს დავას, არ ამაჩქარებს, არც გემოვნებას დამიწუნებს — ეს რა სისულელე მოგიჩმახიაო, არც სიმბოლური ტირაჟის გამო მეტყვის უარს — წამგებიანია ჩემთვისო... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, იდეალური გამომცემელია, ყოველ შემთხვევაში — პირადად ჩემთვის!

— არსებობს კი ბუნებაში საერთოდ ასეთი მოვლენა — იდეალური გამომცემელი?

— ზოგადად მაგის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებ, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია, ვთქვა, რომ, კერძოდ, ჩემთვის, ნამდვილად აღმოვაჩინე! მართალია, ძალაუნებურად, მაგრამ მაინც! პატივი დამდო და მხოლოდ ჩემს წიგნებს ბეჭდავს, თანაც — სრულიად უსასყიდლოდ!

— კიდევ გეკითხები: ვინ გახლავს ის უბედურ დღეზე გაჩენილი?

— მე!.. 2006 წელს გამოცემული მეცხრე წიგნიდან — "ოთხი სალაღობო რომანი" — მოყოლებული, ყველაფერს მე ვაკეთებ: წიგნის დაწერიდან — დაბეჭდვის და აკინძვის ჩათვლით... ჯერ ხომ დავწერ, შემდგომ კი — სტილისტიც ვარ, რედაქტორიც, გადამწერიც, კორექტორიც, მხატვარიც, მხატვრული რედაქტორიც, ტექნიკური რედაქტორიც, ამწყობიც და გამომშვებიც... მხოლოდ დაკაბადონებისა და ბეჭდვის საქმეს ვანდობ ჩემს ვაჟს, ბესარიონს! შემდგომ დაბეჭდილს მევე ავკინძავ და ჩემს მიერ გაკეთებულ ყდასაც მე ვუკეთებ... და გავრცელებაზეც მე ვზრუნავ — მხოლოდ საჩუქრად ვარიგებ!

— ყოჩაღ!.. იოლად გამოდიხარ — მაგარი წუწურაქიც ყოფილხარ!

— ამგვარი "უნივერსალიზმი" გაჭირვებამ მაიძულა, ჩემო კარგო, სხვამ არაფერმა... მე რომ ფული არად მიღირს და ჩემი წიგნებით გამდიდრებაზე არასდროს მიფიქრია, იმითაც შემიძლია, დავამტკიცო, რომ მხოლოდ პირველ წიგნში მომცეს ჰონორარი — 3 000 მანეთი. ეს დიდი ხნის წინათ, კომუნისტების ზეობისას მოხდა. მას მერე ჩემი წიგნების გამოცემაში გროშ-კაპიკი არ ამიღია და რამდენი დამეხარჯა, ეს კი არ დამითვლია; საკმაოდ მოზრდილ თანხად რომ დამიჯდებოდა, ეჭვი ხომ არ გეპარება? იქნებ იმ თანხით მსუბუქი მანქანის შეძენაც მომეხერხებინა, თუნდაც — ნახმარის!

— მაშ, შენ მხოლოდ პატივმოყვარეობის ჭიას ახარებდი! კიდევ რას მეტყვი?

— ორი ათეული წიგნი მაქვს გამოქვეყნებული, ერთიმეორეს არ ჰგვანან და ყველა მათგანის შექმნის შესახებ რომ თუნდაც მოკლედ მოვყვე საუბარს, საკმაოდ გამიგრძელდება ლაქლაქი, გამიძლებ?

— რა, შენთვის ახალი ამბავია, რომ სანაქებო ამტანობა მახასიათებს? გააგრძელე!

— კეთილი... წესითა და კანონით ჩემი "პროდუქციის" 90% და მეტი XX საუკუნეში უნდა შექმნილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა — XXI საუკუნის დადგომისთანავე დავიწყე ინტენსიური ჩალიჩი: პირველი რომანი "მხიარული ოთახი" — სალაღობო რომანი 42 წკიპურტად — 2002 წელს დაიბეჭდა, როცა უკვე სამოცდაექვსი წლისა ვიყავი... რომანი დიდხანს, თითქმის ორ ათეულ წელიწადს იწერებოდა — 1983-2000 წლებში. იგი კოლაჟური პრინციპით არის აგებული, ფაქტობრივად — მოთხრობათა კრებულია და რომანად აქცევს საერთო გმირების არსებობა: სამსახურში ერთ ოთახში ზის ოთხი თანამშრომელი: სამი მამაკაცი და ერთი ქალი, ხუმრობა-სიცილის დიდი მოყვარულნი.... პატარ-პატარა მოთხრობებს ვწერდი და ერთხელაც დავინახე, რომ რომანის მასალა გროვდებოდა; ძველ მასალებშიც დავიწყე ქექვა და რაც კი ამ რომანისთვის გამოდგებოდა, მის "ტანში" ვრთავდი, რა თქმა უნდა, გადამუშავებული სახით... მე მგონი, მხიარული წიგნი გამომივიდა. ამ რომანის ხუთ მთავარ პერსონაჟს პროტოტიპები ჰყავდა; ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ისინი არამც და არამც არ უნდა გავაიგივეოთ რომანის პერსონაჟებთან, ნამდვილად მომხდარი ამბავიც მხოლოდ ბიძგს აძლევდა ჩემს წარმოსახვას ამბის ჩემეული განვითარებისთვის და რომანის პერსონაჟთა ხასიათებიც არ არის ზუსტად იგივე, რაც მათი პროტოტიპებისა. იგივე ეხება რომანის სხვა პერსონაჟებსაც — ისინი კიდევ უფრო თავისუფლად "ვათამაშე" ჩემს გემოზე.

იმავე წელს დაიბეჭდა მეორე რომანიც: "ია ანუ ერთგულება", რომელსაც ხუთ წელიწადს ვწერდი და რომლის მთავარი მოქმედი პირებიც მხატვრები არიან.

2003 წელსაც ჩემი ორი წიგნი გამოვიდა. პირველი წიგნი — "ჩვენი ნიკალას" მეორე გამოცემა, საგრძნობლად შევსებული ახალი მასალით, დავბეჭდე შეცვლილი სახელწოდებით "ნიკო ფიროსმანაშვილი" და მას რომანი ვუწოდე. ამონარიდი წიგნის "წინათქმიდან": "ერთი პირობა, ვაპირებდი, ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ტრადიციული რომანის დაწერას, გეგმაც კი შევადგინე, მაგრამ, საკმაო ფიქრის შემდეგ, უარი ვთქვი ამგვარ განზრახვაზე — ვიგრძენი, მოგონილი, ხელოვნური ნიკო ფიროსმანაშვილი გამოვიდოდა... ნიკოს ცხოვრების შესახებ საკმაოდ მწირი დოკუმენტური მასალა არსებობს და იძულებული ვიქნებოდი, უამრავი რამ შემეთხზა, რაც მხატვრის საოცრად უშუალო და მართალ პიროვნებას და მის გულწრფელ ხელოვნებას, ჩემი შეხედულებით, ნაკლებად შეეფერება. წიგნში მე არ განვიხილავ ან უმნიშვნელოდ ვეხები ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ნიკოს ბიოგრაფია, მისი სურათების ატრიბუცია და ასე შემდეგ, რაც ხელოვნების ისტორიკოსთა საქმეა; მე მაინტერესებდა, შეძლებისდაგვარად, გადმომეცა ნიკოს ხასიათის ჩემეული გაგება, მისი ხელოვნების საწყისები, რაობა, მნიშვნელობა... ამასთანავე, მშრალ, აკადემიურ მიდგომას ვარჩიე უშუალო, ემოციური გადმოცემა, ამიტომ ამ მხრივაც გამართლებული მომეჩვენა, წიგნისთვის "რომანი" მეწოდებინა".

მეორე წიგნი, — მოთხრობათა კრებული "მხიარული ზაფხული ბაკურიანში", — ასე წარმოიშვა: 1980-1993 წლებში ბავშვები — ბესო და დათუნა, ჩემი ცოლი ლია და მე ყოველ ზაფხულს დასასვენებლად ბაკურიანს ვესტუმრებოდით ხოლმე; იქ ფიზიკის ინსტიტუტს, სადაც ლია მუშაობდა, ერთი კორპუსი და რამდენიმე კოტეჯი ჰქონდა და ოთახებს იაფად უთმობდა ხოლმე თანამშრომლებს.

მხოლოდ 1988 წელს წავიდა ჩემი ოჯახი ბაკურიანში უჩემოდ – იმ წელს თებერვალში მიოკარდიუმის ინფარქტი გადავიტანე და თბილისში დარჩენა მომიწია. წიგნში შევიდა ორმოცზე მეტი მოთხრობა და ჩანახატი, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ნელ-ნელა იწერებოდა, ამასთანავე, დოკუმენტურ სიზუსტეს არ ვესწრაფოდი: რომელიმე ამბის მოგონება – ხშირად ორი-სამი წლის შემდეგაც – მხოლოდ ბიძგს მაძლევდა თავისუფალი თხრობისთვის. ბაკურიანი და მისი შემოგარენი ამოუწურავი მრავალფეროვნების შემცველი თვალწარმტაცი სამყაროა; იქ არის მთაც, მდელოც, მდინარეც და, რაც მთავარია, ტყე!.. ტყეში ხეტიალს რამე სჯობს განა?..

2004 წლის ბოლოს გამოიცა ახალი რომანი-გროტესკა "გვირაბი", რომლის სრული დასახელება ასეთია: "გვირაბი ანუ პანღურეთის, იგივე საჩალეთის, ზეიმების შესახება, ზოგიც კიდენა – დღესასწაულებისა, მაშა!". ჩემს მეოთხე, არც ისე დიდი ზომის სალაღობო რომანს, უკეთ რომ ვთქვა, პოლიტიკურ რომან-პამფლეტს, ოთხ წელიწადს ვწერდი: ადვილი არ გეგონოს რომანი-გროტესკას, თუ რომან-ბურლესკას, თუ რომან-ცოცხალი ტყუილის მოკვარახჭინება!..

2005 წელს კი დიდი ხნის ოცნება ავისრულე: ერთ უზარმაზარ კრებულად გამოვეცი წიგნი "ვემშვიდობები XX საუკუნეს". შვიდას გვერდზე მეტის შემცველ, თან დიდი ფორმატის ფოლიანტში დაიბეჭდა ოთხას ორმოცდაათამდე სულ სხვადასხვა ჟანრისა და განწყობის მცირე ფორმის ნაწარმოებები. ავტორის წინათქმაში, კერძოდ, აღვნიშნე: "კრებულში შევიდა ოთხი ათეული წლის განმავლობაში დაწერილი მცირე პროზა: მოთხრობები, ნოველები, ნარკვევები, ჩანახატები და ასე შემდეგ, აქედან – მისი სათაურიც. ნაწარმოებები თემატურ-ჟანრობრივი ნიშნებით გავანაწილე ათ წიგნში: I წიგნი "ღრუბელი-ცხენი ქალაქის თავზე" – ყმაწვილთათვის განკუთვნილი მოთხრობებია; II წიგნი "ლილოჭრელო" – ძირითადად ბუნებას ეძღვნება; III წიგნი "სატირული მედალიონები" – ადამიანთა პორტრეტებია (მკითხველს ვთხოვ, გაითვალისწინოს, რომ, თუმცა ცალკეულ პორტრეტს ადამიანის სახელით ვასათაურებ, თითოეული მათგანი არამც და არამც არ არის კონკრეტული პიროვნების ამსახველი; მის შესაქმნელად ცხოვრებისეული პროტოტიპი მხოლოდ თავდაპირველ შემოქმედებით ბიძგს იძლეოდა); IV წიგნი "ლამაზი ქალის პორტრეტი" – ხელოვნებისა და ლიტერატურის თემებზე შექმნილ მოთხრობებს დაეთმო; V წიგნი "თბილისური ბაზრის დღესასწაული" – XX საუკუნის მიწურულის თბილისს ეძღვნება; VI წიგნი "ღორის მოთვინიერება" და VII წიგნი "ლატარიის იღბლიანი ბილეთი" – სალაღობო მოთხრობებია; VIII წიგნში "ესაა ცხოვრება? (მონოლოგები)" გადმოცემულია ჩვენი დროის სახალისო თუ ტრაგიკომედიური ამბები; IX წიგნი "ასკილი" – ძირითადად დრამატული შინაარსის მოთხრობებს შეიცავს; X წიგნში "პირველი თოვლი (ძველი რვეულიდან)" შევიდა ნაწილი ადრეული მოთხრობებისა; მკითხველი ადვილად შენიშნავს მათ უმწიფარობას, მრავალი დამწყები მწერლისთვის დამახასიათებელ "საყმაწვილო სენს" – ეგზოტიკური თემებით გატაცებას, მიდრეკილებას მელოდრამატული სიტუაციებისადმი, სტილურ დაუხვეწაობას და ასე შემდეგ. იქნებ არც ღირდა ამ მოთხრობების (და ზოგიერთი სხვისაც წინა წიგნებიდან) გამოქვეყნება, მეორე მხრივ კი, ვფიქრობ, მათი გამომზეურება ერთხელ მაინც რომ მოხდეს შემაჯამებელ კრებულში, დიდ ცოდვად არ ჩაითვლება, მით უმეტეს – სიმბოლური ტირაჟით გამოცემულში; გარდა ამისა, მათ იმიტომაც ვერ შეველიე, რომ ისინი ჩემი პირველი "შვილებია"".

VI წიგნში "ღორის მოთვინიერება (თუ ხელმეორედ დაბეჭდვა ეღირსა, ამ წიგნს სხვა სახელს დავარქმევ – "ხვრინვის ბრწყინვალე ხელოვნების შესახებ") სხვა მოთხრობებთან ერთად შესულია "ოთხი ვარიაცია". ეს ციკლი შემდეგნაირად წარმოიშვა. როცა მუსიკას ვუსმენ, რომანს ვკითხულობ, გამოფენაზე სურათს ვათვალიერებ, ტელევიზორში ვუყურებ ტანსაცმლის კოლექციისა თუ ავტომობილების ახალი მოდელების ჩვენებას და ასე შემდეგ – ყოველთვის "ორმაგი" განწყობა მეუფლება: ერთის მხრივ – ემოციურად აღვიქვამ და ტკბობას განვიცდი (ცხადია, თუ მომწონს) და მეორეს მხრივ – გონებითაც ვაანალიზებ, როგორ არის შესრულებული და მე თუ შევძლებდი მსგავსის გაკეთებას – ცხადია, არა ზუსტად გამეორებას, არამედ სხვაგვარად, ჩემებურად გათამაშებას... სხვა ასპარეზზე ამგვარი ქმედების მცდელობის საშუალება მე არ მქონია, აი, რამდენჯერმე კი, – ო. ჰენრის, ანატოლ პოტიემკოვსკის, მარკ ტვენისა და რევაზ მიშველაძის მოთხრობების წაკითხვის შემდეგ, – ქაღალდზე გადავიტანე ამ მოთხრობების ჩემს გონებაში წარმოსახვით შესრულებული ახალი, სრულიად განსხვავებული ვარიანტები.

ამ გიგანტურ ტომში შესული მოთხრობებიდან მანამდე ჟურნალ-გაზეთებში მხოლოდ და მხოლოდ ოცდათორმეტი იყო გამოქვეყნებული. კიდევ ერთი თავხედობა გამოვიჩინე და ამ კრებულის ყოველ წიგნს წინ "კამერტონად" წავუმძღვარე შესაბამისი განწყობის გამომხატველი ჩემი ლექსები. რა თქმა უნდა, ისინი "პროზაიკოსის ლექსებია"; პოეტობის პრეტენზია არასდროს მქონია და მანამდე ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მხოლოდ ერთადერთი ლექსი გამოვაქვეყნე:

ზამთარი

გვეძგერა თავნება,
ზარმაცი მხატვარი:
ერთ ფერად შედება
წარმტაცი მთა-ბარი!

სხვათა შორის, ეს ლექსი ძალიან მოეწონა გურამ ბედოშვილს, რომელმაც მითხრა, იგი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში შეტანის ღირსიაო... საზოგადოდ, ლექსები საკმაოდ მაქვს დაწერილი, მაგრამ არასდროს გამჩენია სურვილი, რომ ყოველდღიური ძალისხმევა გამომეჩინა, რაც აუცილებელია პროფესიონალი პოეტის ჩამოსაყალიბებლად... უფრო სწორედ, პოეტის დაბადება და შემდე ყოველი ლექსის შობაც თავისთავად, ბუნებრივად უნდა მოხდეს, ძალდატანებით აქ ვერაფერს გახდები, მაგრამ ჩემთვის ისიც უცილობელია, რომ მელექსეობისადმი განწყობა ერთი წუთითაც არ უნდა ტოვებდეს ჭეშმარიტ პოეტს. მე ამას ვერ შევძლებდი – პოეტი ვერ გავხდებოდი, რადგან, ჩემი შეხედულებით, ვინც ლექსს წერს, თუ ის მართლა პოეტად არის დაბადებული, დაუფარავად აშიშვლებს საკუთარ სულს, – საკუთარ ფიქრებს, აღტაცებას, სიხარულს, შიშს, ძრწოლას, – ყველაფერს იმდენად გულწრფელად გადმოსცემს, რომ ზოგჯერ ტკივილამდე მისულ თვითგვემამდე მიდის... მე კი პიროვნულად იმდენად მორიდებული ვარ, იმდენად შინაგანად ჩაკეტილი, რომ ამგვანი ყაიდის ადამიანი ლირიკოსი პოეტი ვერ იქნება. თუმცა... იქნებ ცოტას ხომ არ ვაბუქებ? პოეზია ათასგვარი არსებობს და ყოველგვარი ყაიდის პიროვნება იპოვის იქ თავის ადგილს, თუკი ნიჭი აქვს...

– შენს წიგნებს არ მიუბრუნდები?

– კეთილი... მოთხრობების წიგნი "ვემშვიდობები XX საუკუნეს" უზომო სიდიდისა გამოვიდა; ჩემი მეგობარი, მხატვარი და მწერალი გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილი გამეხუმრა: "ბიჭო, შენ რა ამბიციური ვიღაცა ყოფილხარ! შენი ნაჩუქარი წიგნი სადაც კი დავდე, ყველგან თვალებში მეჩხირება!". ასეთი ზომის წიგნის გამოცემა მხოლოდ იმით იყო გამართლებული, რომ ცალ-ცალკე ათი წიგნის გამოცემა ძალიან ძვირი დამიჯდებოდა და, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო – სამოცდაათ წელიწადს მივუკაკუნე და სულ მეჩქარებოდა, მეშინოდა: დროში უსაშველოდ გაიწელებოდა და ათივე წიგნის დაბეჭდვას ვერ მოვასწრებდი.

შემდგომ, 2006 წელს, ამავე მოსაზრებით, ადრე დაწერილი, მაგრამ გამოუქვეყნებელი ოთხი რომანი ერთ დიდ წიგნად გამოვეცი. "ოთხი სალაღობო რომანი" შედგებოდა შემდეგი ნაწარმოებებისგან: "გულადი მაწანწალა", "ვეფხია წანწალაურის საქმენი საგმირონია", "მოიტაცეს თავისუფლების ქანდაკება" და "პეპლებზე მონადირე". "მოიტაცეს თავისუფლების ქანდაკება" დიდი ხნით ადრე პიესად მქონდა დაწერილი, შემდგომ იგი საფუძვლიანად გადავამუშავე და რომანად ვაქციე. ორი რომანი – "ვეფხია წანწალაურის საქმენი საგმირონია" და "პეპლებზე მონადირე" – მსგავს სიუჟეტურ თარგებზეა გამოჭრილი, ერთგვარად ერთი თემის ვარიაციებია და შეიძლება, იმის მეტყველ მაგალითად გამოდგეს, თუ ამ დროს ერთი თემის "გათამაშებით" როგორი განსხვავებული ნაწარმოებები შეიძლება, მივიღოთ. "პეპლებზე მონადირის" ჩანაფიქრი ეკუთვნის ჩემს მეგობარს, გამოჩენილ მხატვარსა და ნიჭიერ მწერალს გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილს. ერთხელ შემომთავაზა, ერთობლივად დავწეროთ კინოსცენარიო, მივედი მასთან შინ და დავიწყეთ მუშაობა. ერთ კვირაში მზად იყო პირველი ესკიზური ვარიანტი, დაახლოებით სასკოლო რვეულის მოცულობისა, რომელიც გოგისთან დარჩა. შემდგომ რამდენჯერმე შევთავაზე გოგის, გაგვეგრძელებინა თემის დამუშავება, მაგრამ ეს არ მოხერხდა, უმთავრესად – გოგის მოუცლელობის გამო. რამდენიმე ხნის შემდეგ გადავწყვიტე, მე მარტოს მიმეყვანა ბოლომდე დაწყებული საქმე და, ვინაიდან ორიგინალი ხელთ არ მქონდა, თავიდან მომიხდა დაწერა; ამიტომ მუშაობის პროცესში ბევრი რამ შეიცვალა, ბევრიც დაემატა და მოცულობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა; საბოლოოდ გამოვიდა სალაღობო კინო-რომანი.

იმავე 2006 წელს დაიბეჭდა კიდევ ერთი ჩემი რომანი "ჭადარდიდი". შესაძლოა, ეს "სოფლური" რომანი ჩემი ყველაზე უკეთესი რომანია – ამბავი-კრიალოსანი ამა წუთისოფლისა...

2007 წელს დავბეჭდე ჩემი ზღაპრების მეორე კრებული "კატათაგვიანი" და სალაღობო რომანი "დღეს ფეხბურთია!". ფეხბურთი ძალიან მიყვარს, კარგა ხანს ვფიქრობდი ამ თემაზე რაიმეს დაწერას, ბოლოს, ერთი მაწანწალა ძაღლის მოგონებები გამომივიდა!

– ბიჯო, ტრაბახობ, ორმოცდაათამდე ზღაპარი შემითხზვიაო და ერთი ეს მიბრძანე: ვირს თუ უძღვენი რომელიმე? – ჩემი საკმაოდ გაჭიანურებული მონოლოგი შეკითხვით დაარღვია სოლომონ ბრძენმა.

– უნდა ვაღიარო: ცოდვა მაწევს მხრებზე – დღემდე "ვირის ზღაპარი" არ დამიწერია... რაღა ვქნა? უნდა მაპატიო...

— ამ ხნის კაცმა არ იცი, როგორ უნდა გამოისყიდო დანაშაული? ორმოცდაათი ზღაპარი თუ შეგითხზავს, კიდევ ერთის გამოცხობა გაგიჭირდება?

— კი, კაცო, მაგას დაგზარდები? და დიდი სიამოვნებით მოგიძღვნი.

— მპირდები?

— ნამდვილად, წყალი არ გაუვა! ოღონდ ახლა ჩემი წიგნების შესახებ გავაგრძელებ საუბარს... 2008 წელს გამოვიდა ჩემი ოთხი წიგნი:

1) "ნიკო ფიროსმანაშვილის" მესამე გამოცემა, კვლავ დიდად შევსებული; 2) კრებული "ნამცვრევი" — სამი მოზრდილი მოთხრობა და ოცზე მეტი ნოველა და ჩანახატი, ყველა — მანამდე გამოუქვეყნებელი; 3) კრებული "ფერად-ფერადი" — ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში შექმნილი, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი, ერთად შეკრებილი წერილები გამოფენების, მხატვრებისა და მხატვრობის შესახებ, აგრეთვე — მოგონებები, ესეები, ნაირ-ნაირი ჩანაწერები; 4) რომანი-გროტესკა "შადრევანთ მეფე": ერთი გიგანტური შადრევნის შექმნის იდეის სულისჩამდგმელის ევროპის ქვეყნებში ყველაზე სახელგანთქმული შადრევნების სანახავად მოგზაურობისა, მერე საკუთარი პროექტით საოცარი შადრევნის აგებისა და მისი დამთავრების აღსანიშნავად გამართული დღესასწაულის ამბავი. ამ რომანის კონტრტიტულზე მოვათავსე ფოტო: ხელში მიჭირავს ნახევარი წლის ჩემი შვილიშვილი, პატარა სოსო ომაძე...

რაც შეეხება კრებულს "ფერად-ფერადი". მხატვრობა ბავშვობიდანვე ძალიან მიტაცებდა, იმდენად თვით ხატვა კი არა, რამდენადაც წიგნების კითხვა მხატვრებისა და მხატვრობის შესახებ. ხშირად დავდიოდი მხატვართა პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენების სანახავად, არ გამომიტოვებია სამხატვრო გალერეაში გამართული საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ გამართული არცერთი პერსონალური, საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენა. ერთხელაც, 1978 წლის გაზაფხულზე, ხელოვნების მუშაკთა სახლის საგამოფენო დარბაზში ვნახე ტიტე შეყილაძის ფერწერული ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა; იმ დროს მხატვარი უკვე ორმოცდაორი წლისა იყო. ყოველდღე მივდიოდი მომაჯადოებელი გამოფენის სანახავად; ერთხელაც ტიტეს გავესაუბრე, გავიცანი და, ჩემდა მოულოდნელად, მან მაჩუქა ერთ-ერთი შესანიშნავი ნამუშევარი "დედამიწა". იმდენად მოვიხიბლე მისი ნამუშევრებით, რომ დავწერე ჩემი პირველი წერილი "ტიტე შეყილაძის საოცარი სამყარო", რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ "ცისკრის" იმავე წლის №6-ში. შემდეგ წლებში ტიტე შეყილაძის განუმეორებელ ხელოვნებას კიდევ ორი წერილი მივუძღვენი. ჩვენ დღესაც ვმეგობრობთ, ჩემი ბინის კედლებს ამშვენებს და ხალისს მმატებს ტიტეს ჯადოსნური ფუნჯით შექმნილი სამ ათეულზე მეტი შესანიშნავი სურათი... იმავე 1978 წლის გაზაფხულზე დავწერე მეორე წერილი: "ლიდია შაბარშინას ლირიკულ-დრამატული პეიზაჟები", იგი შემოდგომაზე დაიბეჭდა ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნებაში". და ასე გაგრძელდა შემდგომ წლებშიც — რამდენიმე ათეული წერილი მაქვს გამოქვეყნებული, რომლებიც მივუძღვენი მხატვრებსა და გამოფენებს, დაზგურ და მონუმენტურ ფერწერას, დაზგურ და წიგნის გრაფიკას, ქანდაკებას, დეკორაციულ-გამოყენებით ხელოვნებას, — კერამიკას, ფარდაგს, გობელენს, — კინოსა და თეატრის სცენოგრაფიას... ამ წერილების შექმნისას სპეციალურ ლიტერატურას ბევრს ვკითხულობდი და ბევრსაც ვსწავლობდი; ვცდილობდი, უკეთ გავრკვეულიყავი სახვითი ხელოვნების, ამ უმშვენიერესი და ურთულესი ფენომენის, რაობისა და დანიშნულების, მისი ისტორიის, ტექნოლოგიური საკითხების, გამომსახველობითი ხერხებისა და ასე შემდეგ მრავალფეროვან პრობლემატიკაში. მხატვრობის შესახებ ინტენსიურად ვწერდი 1982 წლამდე, შემდეგ პროზას დავუბრუნდი თითქმის მთლიანად. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ჩემს დაბეჭდილ წერილებს ვეღარ ვცნობდი, იმდენად ასხვაფერებდნენ წარდგენილ ტექსტს. განსაკუთრებული გულმოდგინებით "აუმჯობესებდნენ" ნაწერს ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნების" რედაქციაში (მოკლე ხანში ამ ჟურნალში ჩემი ორი ათეული წერილი გამოქვეყნდა — ერთ-ერთი ყველაზე აქტიური თანამშრომელი ვიყავი): აუცილებლად უნდა შეეცვალათ სათაური, უბოდიშოდ შეეკვეცათ-შეეკრიჭათ, გადაეკეთებინათ თითქმის ყველა ფრაზა, ზოგჯერ ამატებდნენ საკუთარ წინადადებებსაც კი... ამიტომ წიგნში დავბეჭდე ავტორისეული ვერსიები. ბევრი რამ ჩემს ნაწერში აღარ მაკმაყოფილებდა, მაგრამ ტექსტები დავტოვე უცვლელად, როგორც დროის დოკუმენტი. ახლა მიკვირს: მოზრდილი ტომის დაწერა მოვახერხე!

— არ გეშინოდა, რომ, შენს მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების გამო, მავანი გაგინაწყენდებოდა? — მეკითხება სოლომონ ბრძენი.

— არა, არა... ზოგიერთი კრიტიკოსისგან განსხვავებით, მე არ ვცდილობდი თვითდამკვიდრებას; სურვილი, რომ ყურადღება მიმექცია მწვავე ფორმით ვინმეს გაბიაბრუებით, ჩემთვის სრულიად უცხო იყო. მე მხოლოდ იმ მხატვრებზე ვწერდი, რომლებიც მომწონდნენ: ჩემთვის საინტერესო შემოქმედის სამყაროში მოგზაურობა, ახლოს გაცნობა და ჩაღრმავება დიდ სიამოვნებას მანიჭებდა.

— ეს კრიტიკა აღარ არის... რატომ გაურბოდი, ხომ არ გეშინოდა მწვავე შეფასებების?

— ტრადიციული გაგებით, ალბათ მე არ ვყოფილვარ სახვითი ხელოვნების კრიტიკოსი — არასდროს არავინ გამიკრიტიკებია. გულახდილად გეტყვი: არა მგონია, თუნდაც სავსებით სამართლიანი

შენიშვნები გაკრიტიკებულ ას ხელოვანთაგან რამდენიმეს მაინც რაიმე ასწავლოს, დაეხმაროს შემოქმედებით წინსვლაში, გულს კი ატკენს და იქნებ გააბოროტოს კიდეც... რა უნდა ასწავლო შენ მხატვარს? გარდა ამისა, კრიტიკოსის შეფასებები ყოველთვის სუბიექტიურია. ზოგს არ უყვარს ფიროსმანაშვილი, ზოგი ვერ იტანს პიკასოს ან შაგალს... ტოლსტოის არ უყვარდა დოსტოევსკი და ტურგენევი, დოსტოევსკის – ტოლსტოის შემოქმედება... საკმარისია გავიხსენოთ, როგორ ჩაფლავდა "კარმენის", ამჟამად მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ოპერის, პრემიერა, რამაც უდიდესი ტკივილი მიაყენა ბიზეს, რომ მავანნი ფალიაშვილს ღვარძლიანად უწუნებდნენ "აბესალომ და ეთერს"... გავიმეორებ: სწორედ ამიტომ მე ვწერდი მხოლოდ იმ მხატვრების შესახებ, რომლებიც მომწონდნენ და ვცდილობდი, დამესაბუთებინა, რატომაც, მეჩვენებინა მათი გამორჩეული მხატვრული სახე, თვითმყოფობა... თუკი მქონდა რაიმე შენიშვნა, მას რბილად, სურვილის ფორმით გამოვთქვამდი. ალბათ საკუთარი ნამუშევრის საუკეთესო კრიტიკოსი თვით მხატვარია.

– უცნაურად ხომ არ გეჩვენება ამგვარი მიდგომა? როგორ, გაკრიტიკება მხოლოდ ვნების მომტანია? მაშ, რატომ არსებობს კრიტიკა საერთოდ?

– რა ვიცი... იქნებ პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მავანის შემოქმედების მწვავე კრიტიკას სხვა ხელოვანთათვის და მაყურებლისთვის მეტი სარგებლობა მოაქვს. კრიტიკოსთა ამქრის გაუქმება რომ მოითხოვო, სულელი უნდა იყო, იგი ხომ "ექიმია", რომლის "დიაგნოზსაც" ყველა გაკრიტიკებული ვერ აღიქვამს ადეკვატურად...

– შენს მიერ გამოთქმულ შეხედულებებში წინააღმდეგობა შეიმჩნევა, ეს სენი სხვა დროსაც შემინიშნავს... კარგი, თუკი სიამოვნებასა და კმაყოფილებას განიჭებდა სახვითი ხელოვნების შესახებ წერა, რატომღა მიატოვე რამდენიმე წლის ინტენსიური მუშაობის შემდეგ?

– ამ კითხვას უკვე გავეცი პასუხი... შემდგომში შიგადაშიგ მქონდა "რეციდივები" – ვერ ვუძლებდი ცდუნებას და სურათების ხილვით ჩემში წარმოქმნილი გრძნობები და ფიქრები გადამქონდა ქაღალდზე. ბევრი ასეთი ცდა, მიზეზთა გამო, დაუმთავრებელი დარჩა. ფორმის მხრივ ჩემი წერილები უფრო მწერლური თვალით დანახული და შეფასებული ჩანახატები უფრო იყო, ვიდრე ხელოვნებათმცოდნის ნამუშევარი. ცხადია, ყოველი საქმის ჯეროვან დონეზე შესრულება შეუძლებელია სიყვარულისა და ძალისხმევის გარეშე, ძალისხმევას კი დრო და ენერგია სჭირდება, რაიც არ მყოფნიდა... როცა მუშაობ გეოლოგად, დიდი ხნით მოწყვეტილი ხარ არა მხოლოდ სახლსა და ოჯახს, არამედ ქალაქს, გამოფენებს, იმავდროულად, მწერლობაშიც ცდი ძალებს, უკვე ძნელია, შენი ენერგია და უნარი სხვა რამესაც გასწვდეს. ხელოვნების შესახებ სერიოზულად რომ წერო, ამას მთელი ცხოვრება უნდა მიუძღვნა: შესაბამისი განათლების მისაღებად და თანამედროვე თუ ადრე არსებულ პრობლემატიკებში გასარკვევად სრულიად აუცილებელია მინიმუმ ძირითადი ევროპული ენების – ფრანგულის, გერმანულის, ინგლისურის, იტალიურისა და ესპანურის – კარგად დაუფლება; თუ ჩინურს, იაპონურს, ჰინდის, არაბულს, სპარსულს ისწავლი, ხომ მთლად უკეთესი... გინდაც დაეუფლო, მიგიწვდება კი ხელი შესაბამის ლიტერატურაზე, შეგიძლია, საზღვარგარეთ იმოგზაურო, დაათვალიერო მუზეუმები, გამოფენები, დაესწრო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს?.. მაღალი დონის პროფესიონალის ჩამოყალიბება-განვითარებისთვის ზემოაღნიშნული აუცილებელია, ჩვენ კი ხომ რკინის გალიაში ვცხოვრობდით... ახლა – სხვა პირობებში ვართ, ინტერნეტით ზღვა ინფორმაციის მოპოვება შეიძლება, მაგრამ მაშინ ამის შესაძლებლობა სად იყო, თანაც ხელოვნების ნაწარმოებთა ორიგინალების ნახვით მიღებული შთაბეჭდილებები, უცხოელ კოლეგებთან ცოცხალი კონტაქტები, კამათი და აზრთა გაზიარება სულ სხვაა...

– თუ არ გქონდა შესაბამისი განათლება, მაშ რატომ წერდი? – მსაყვედურობს სოლომონ ბრძენი.

– მსიამოვნებდა და იმიტომ! როცა პირველად შევიდოდი საგამოფენო დარბაზში რაიმე გამოფენის დასათვალიერებლად, მაშინვე ვგრძნობდი: "ეს "ჩემი" მხატვარია!.. და მასზე რაიმეს დაწერას შევძლებ!". ქედმაღლობაში ნუ ჩამომართმევ და ჩემი მოკრძალებული ცდა მხატვრის შინაგანი სამყაროს წარმოჩენისა რამდენჯერმე თვით ჩემი წერილის "გმირისაც" მოსწონებია და ჩემთვისაც უთქვამთ, მაგალითად, კოკა იგნატოვს, ვახტანგ ჯაფარიძეს, და ესეც მაძლევდა სტიმულს საწერად. ერთხელ ან თუნდაც ორ-სამჯერ გამოფენაზე მისვლა არ არის საკმარისი, თუკი გსურს შემოქმედი მხატვრის მიერ შექმნილ რთულ სამყაროში საკმარისად ღრმად შეღწევა; ჩვეულებრივი წერილის დაწერასაც კი პროფესიულად უნდა მიუდგე, ეს კი 100%-ით ამ საქმით დაკავებას მოითხოვს... და გაქვს კი ამდენი დრო და საშუალება? ცხადია, თამაშ-თამაშ წერა დილეტანტიზმია, იქნებ თავიც ამიტომ დავანებე, მაგრამ რაც დავწერე, იგი ჩემი სულის ნაწილია და ვერ შეველიე – კრებულად ვაქციე. იქნებ შევცდი კიდეც... მაგრამ თავს იმით ვიმართლებ, რომ არასდროს მქონია პრეტენზია, ხელოვნებათმცოდნე ვარ-მეთქი. ხელოვნების ნაწარმოების არსი სიტყვებით სრულყოფილად ვერ გადმოიცემა, მასზე მხოლოდ მინიშნება შეიძლება, – მისი ხილვით წარმოქმნილი გრძნობების, განცდების, ხილვების, ასოციაციების მეშვეობით... ამიტომ მიმაჩნია: უპრიანია სურათის, ქანდაკების და სხვათა შესახებ მხატვრული სიტყვით საუბარი, ეს კი მწერლის საქმეა. "ფერად-ფერადში" შესული

წერილების დიდი ნაწილი ესეისტიკას მიეკუთვნება და მას ხომ უპირველესად სწორედ მწერლები მისდევდნენ. მწერლების ნაწერი ხელოვნების მოვლენების შესახებ ბევრად ცოცხალი და შთამბეჭდავია, ვიდრე აკადემიურად მშრალი, სპეციალური ტერმინოლოგიით გაჯერებული თხრობა მავანი "სპეციალისტისა".

— ძალიან გაგიტკბა აი, შენი საყვარელი ტაიჭის ჭენებ-ჭენება! შეეშვი მხატვრობას და წიგნებს მიუბრუნდი!

— სოლომონ ბრძენო, შენი საყვედური სამართლიანია... მივადექი 2009 წელს! ამ წელსაც ოთხი წიგნი დავბეჭდე: "არმაზული ჩანახატები", "სობედალია" და ორი რომანი: "მაგიდის რომანი" და "გაქცეული თითების საოცარი თავგადასავალი". ჯერ რომანების შესახებ მოგახსენებ. "მაგიდის რომანი": ერთი ღრმად მოხუცებული მაგიდა მოგვითხრობს, თუ მისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ვინ ისხდნენ მის გარშემო, რა საუბრები იმართებოდა ნაირ-ნაირ თემებზე... კონტრტიტულზე ისევ ფოტოსურათია — ჩემი წამოჩიტული შვილიშვილი უკვე თამამად მიჭირავს ხელში. მეორე რომანის "გაქცეული თითების საოცარი თავგადასავალი" დაწერას რთული წინა ამბები უძღოდა. იყო ასეთი საოცრად ნიჭიერი და საოცარი ბედის მქონე რუსი მწერალი, ეროვნებით — პოლონელი, სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკი, რომელიც სიღარიბეში და სრულიად დაუფასებელი გარდაიცვალა მოსკოვში 1950 წელს; სხვათა შორის, მისი საფლავიც კი დღეს მიუკვლეველია... დიდად განსწავლულმა პიროვნებამ სულ სხვადასხვა სფეროში, — ფიზიკიდან და ფილოსოფიიდან დაწყებული, ხელოვნების ყველა დარგით დამთავრებული, — იცოდა ათამდე უცხო ენა; იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ნარკვევების ავტორი, ესეისტი — ლიტერატურათმცოდნე, მუსიკათმცოდნე, თეატრთმცოდნე... საოცარი პიროვნება და ბრწყინვალე ლექტორიც! მწერლის პროზა ხასიათდება გამორჩეული ბრწყინვალე სტილით, ირონიულობით, ფანტასმაგორიულობით, ფილოსოფიურობით, მაგრამ მისი დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ავტორის სიცოცხლეში მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გამოქვეყნდა, რადგან ვერ ეტეოდა "სოციალისტური რეალიზმის" პროკრუსტეს სარეცელში და თვითონაც მხოლოდ იმიტომ გადაურჩა ცოცხალი საბჭოთა კავშირში 1937 წელს გამეფებულ მძვინვარე რეპრესიებს, რომ მუდამ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. ზოგი ჭირი მარგებელიაო: მრავალი ცდის მიუხედავად, წიგნები არ დაუბეჭდეს და უფრო ცნობილი რომ ყოფილიყო, ვინ იცის, მისი ბედი კიდევ უფრო ცუდად შებრუნებულიყო... მხოლოდ სიგიზმუნდ კრიჟანოვსკის გარდაცვალებიდან თითქმის ორმოცი წლის შემდეგ მოხერხდა მწერლის რამდენიმე კრებულის დაბეჭდვა. როცა წავიკითხე სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკის მოთხრობა "გაქცეული თითები", მომხიბლა ავტორის უჩვეულო ფანტაზიამ, მაგრამ, მეორეს მხრივ, ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც გამიჩნდა და წარმოვიდგინე, რომ სხვანაირადაც შეიძლებოდა თქმა. გადავწყვიტე, "გავჯიბრებოდი" ავტორს და ჩემებურად მომეთხრო გაქცეული თითების ამბავი; 1993 წელს დავწერე კიდეც ზღაპარი "გაქცეული თითები" — ფანტაზია სიგიზმუნდ კრჟიჟანოვსკის თემის მიხედვით... მაშინაც მიმაჩნდა, რომ თემის ყველა შესაძლებლობა არ იყო ამოწურული და აი, თექვსმეტი წლის შემდეგ, მივუბრუნდი ამ თემას და დავწერე ტრაგიკომედიური რომანი-ექსტრავაგანცა! წიგნის კონტრტიტულზე ამჯერადაც ჩემი და ცოტა წამოზრდილი პატარა სოსიკოს ერთობლივი ფოტოსურათია.

— სიუჟეტის მოპარვა რომ დაგაბრალონ?

— სრულებით არ მაღელვებს! პლაგიატორი მაშინ ხარ, როცა დაარღვევ საავტორო უფლებებს — არ მიუთითებ, საიდან და ვისგან "სესხულობ"; ზოგჯერ სალიტერატურო ქურდთა უსინდისობა იქამდე მიდის, რომ საკუთარი სახელით უცვლელად აქვეყნებენ სხვისი ნიჭისა და შრომის ნაყოფს. ცნობილია: საუკუნეების წინათ შთაგონების პოვნა სხვის ნაწარმოებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, არსებობდა ეგრეთწოდებული მოარული სიუჟეტებიც, რომლებიც მრავალჯერ იქნა გამოყენებული და სულ სხვადასხვაგვარად დამუშავებული... მაგალითად, მხოლოდ სპარსული ლიტერატურა, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ფირდოუსიდან მოყოლებული, "ხოსროვ-შირინიანის" ოცამდე ვერსიას იცნობს, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა სხვადასხვა ავტორთა მიერ, მათ შორის იყო ნიზამი განჯევიც. მე რომ მკითხო: რა თქმა უნდა, მხატვრულ ნაწარმოებში სიუჟეტი თავისთავად არ არის მეორეხარისხოვანი რამ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვნია, თუ როგორ განავითარებ, გაამდიდრებ მას და რა სიტყვიერი სამოსელით შემოსავ ანუ რა ფორმას მისცემ! აი, აქ გამოჩნდება შენი სახე და არა მარტოოდენ ამბავში. მასალა ერთია და მისი დამუშავება — მეორე. მხატვრები რომ ჯგუფურად მიდიან პლენერზე სამუშაოდ, ერთსა და იმავე ხედს აკეთებენ ყველანი, მაგრამ სულ სხვადასხვაგვარად და თვითმყოფი, გამოკვეთილი თავისებურებებით აღბეჭდილი ნამუშევრები გამოსდით: განსხვავებული ფეროვანი გადაწყვეტის, კომპოზიციური აგებულების და განწყობისაც კი — თითოეული შემოქმედის ინდივიდუალობის კვალობაზე...

"სებედალია" — ერთგვარად უცნაური წიგნია: ჩემმა მეუღლემ მთხოვა, რომ მისთვის მიმეძღვნა წიგნი, რომელსაც ექნებოდა სათაური "სობედალია"; თან მკითხა, აბა, თუ მიხვდები, რას ნიშნავს ეს სახელიო. მცირე ხნის დაფიქრება დამჭირდა ამ ქარაგმის ამოსახსნელად: სახელი წარმოქმნილია ჩვენი ოჯახის ოთხი წევრის სახელების საწყისი ასოების შეერთებით: სოსო + ბესო + დათო + ლია

= სობედალია... დავპირდი, აბა, რა – კარგი ბიჭი ხარ და ნუ დაჰპირდები! – და გადავწყვიტე, წიგნი შემედგინა ჩემს მიერ მიწერილი წერილებით, რომლებიც ქრონოლოგიურად დავალაგე. ამ წერილებს ხშირად ვწერდი ჩემი შვილების, ბესარიონისა და დავითის, სახელით დედაჩემსა და ჩემს დას.

მეოთხე წიგნი "არმაზული ჩანახატები" მივუძღვენი ჩემი მეგობრის, შესანიშნავი მხატვრისა და ძალიან თავისებური და საინტერესო მწერლის გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილის დაბადებიდან 65 წლისთავს. გოგის აგარაკი აქვს მცხეთაში, არმაზში, სახლის სხვენში სახელოსნოც აქვს მოწყობილი და სამუშაოდ თითქმის ყოველდღე ჩადის მანქანით თბილისიდან. არმაზში გოგის მიწვევით ბევრჯერ ვარ ნამყოფი და ამ საოცრად ლამაზ, რომანტიკული ხიბლით ნათელმოსილ ადგილას სტუმრობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები ნაწილობრივ აისახა წიგნში შესულ ჩანახატებში. ერთი რამ მწყინს: ბევრად მეტის დაწერა შეიძლებოდა, მაგრამ ჩანაწერების გაკეთება ძალიან გვიან მომაფიქრდა...

– "მძიმე" ხარ, ქართლელო, რათ გინდა ლაპარაკი! – ქირქილებს სოლომონ ბრძენი.

– მიმდინარე, 2010 წელს, მარტის ბოლოს, დავასრულე ახალი რომანის "ბაია, ნანული, ბოჩია, მინდია" წერა. ეს რომანი ჩემთვის ერთგვარად უჩვეულოა – სამიჯნურო ამბებს ეძღვნება. მისი თავდაპირველი ესკიზი 35 წელზე მეტი ხნის წინათ, ჯერ კიდევ 1974 წელს მქონდა ჩაწერილი და შევიტანე ძველი – გამოუქვეყნებელი – და ახალი მოთხრობებისა და ჩანახატების კრებულში "ლევანი და ზურიკო"; ეს კრებული ამ რომანთან ერთად ერთი ყდის ქვეშ არის მოქცეული. კონტრტიტულზე – უკვე მეოთხედ! – ჩემი და შვილიშვილის ფოტოსურათია; სოსიკო უკვე დიდი ბიჭია – ორწლინახევრისა! – და ხელში აღარ მიჭირავს, მუხლზე მიზის... და მაშინვე დავიწყე შემდეგ რომანზე მუშაობა, რომელსაც ახლა ვთხზავ: "ვირუკაზე უკუღმა შავჯექ!". დრო ცოტა მაქვს – უკვე სამოცდამეთხუთმეტე წელიწადში გადავდექი...

– ვითომ ავტობიოგრაფიის მსგავსი რაღაც გინდა, მოახლაფორთო?

– ვცდი... ავტობიოგრაფია რა არის? დროის სახედარს უკუღმა შეაჯდები და წარსულის ფერგახუნებულ, მაგრამ მაინც ფრიად ლამაზ ბაღში გაგასეირნებს!

– მერე, შემჯდარიყავი ბედაურზე, ვინ დაგიშალა? თუ ამორჩევაზე მიდგა საქმე, რაღა ჩემისთანა ჩვეულებრივ ვირუკაზე შეაჩერე მზერა? არ ჯობდა განა, ფრთოსან რაშზე ან ჯადოსნურ ფრინველზე ამხედრებულიყავი?

– არც არავინ არაფერი დამიშალა და ვერც დამიშლიდა, მაგრამ მე შენ აგირჩიე! და იცი, რატომ? წარსულში მოგზაურობას სიჩქარე არ უხდება! ჰოდა, შენისთანა დინჯი, ჭკუადამჯდარი ვირუკა ფრიად შესაფერისად მივიჩნიე ამ საქმისთვის: ჩემთვის რაღა დროს თუნდაც სახედრის ჭენებ-ჭენებაა, მაგრამ, ძალიანაც რომ მოვინდომო, შენ, ფილოსოფიურ ფიქრებში ჩაძირულს, ფეხს მაინც ვერ აგაჩქარებინებ, ეგრე არ არი?!. თანაც, იმედი მაქვს, დროდადრო შენს ამბებსაც მიამბობ...

– მუქთად გამოსვლას დაეჩვიე, ვერან, აი! საკუთარი ფანტაზია აღარ გყოფნის და გინდა, ჩემი მონათხრობიც გამოიყენო?

– რატომაც არა?!. შენისთანა ბრძენთა ბრძენის მონათხრობი მოსაწყენ გზასაც შეუმჩნევლად გაგვალევინებს და წიგნის ფურცლებსაც დაამშვენებს!

– ჰოდა, მერე გინდა, ჩემი და შენი ამბები მორიგეობით მოყვე, როგორც პლუტარქეს "პარალელური ბიოგრაფიებია"? არა, ძმაო, ეგ არ გამოგივა: მე მხოლოდ ოთხი წლისა ვარ და შენ ჩემზე თითქმის ოცჯერ უხნესი! არც სხვა მხრივ იქნება უპრიანი ჩვენი დაწყვილება...

– დიდყურავ, ნეტა რამ შეგაშფოთა? რა თქმა უნდა, ჩემი შენთან დროდადრო გამართული საუბრები ვერ შეედრება ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა დიალოგებს; ეს წიგნი ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ მცირე მცდელობა იქნება, უპასუხოს დელფოში აპოლონის ტაძარზე ოდესღაც წარწერილ შეგონებას: "შეიცან თავი შენი"...

– ამ ხნისა მოიყარე და კარგად ყოფილა შენი საქმე, თუ აქამდე კიდევ საკუთარ თავს სწავლობ...

– სოლომონ ბრძენო, საკუთარი თავის შეცნობა დაუსრულებელია!

– ის რატომღა დაგავიწყდა, რომ იმავე ტაძარზე სხვა წარწერაც იყო: "არაფერი ზომას ზევით" ანუ ყველაფერში ზომიერების დაცვაა საჭირო, გადაჭარბებული არაფერი ვარგა... შენ კი, ჩემო სოსო, ზომიერებას უღალატე: ხომ არ გეჩვენება გადამეტებულად და საღ აზრთან შეუთავსებლად ეს შენი ესოდენ უცნაური მოგზაურობის აკვიატება?

– სულაც არა! ჯერ ბოლოში გავიდეთ ამ მოგზაურობისა და დასკვნები მერე გავაკეთოთ, მეტისმეტი მოვინდომე თუ არა... ყოველ შემთხვევაში, თუ რაიმე უაზრობაა ჩემს წამოწყებაში, დაზარალებული მხოლოდ მე ვიქნები... სხვათა ჯიჯღინი და ათვალწუნება კი მე ხელს ვერ შემიშლის!..

– კერკეტი კაკალი ყოფილხარ!

– მაშ, რა გეგონა, ქართლელი ქიზიყელზე ნაკლები რითა ვარ, იქნებ შენზე უფრო ჯიუტიც გახლავარ, მაშა!..

– აბა, შენ იცი და შენმა თავისნათქვამობამ, ჰი-ჰი-ჰი!..

– ხომ იცი, დაცინვა ადამიანს კიდევ უფრო აკერპებს!.. როგორც იქნა, კაცობრიობა საბოლოოდ შეთანხმდა: ადამიანი იბადება თავისუფალი! მეც ხომ ვარ თავისუფალი? ეს უფლება სიტყვით დეკლარირებულია, მაგრამ სინამდვილეში საქმით მისი განხორციელება, ძალიან ხშირად, არ არის უზრუნველყოფილი... მთელი ჩემი ცხოვრება ფორმალურად კი ვიყავი თავისუფალი, მაგრამ ფაქტობრივად – მრავალმხრივ შეზღუდული... და ახლა, როცა ჩემი მხრივ ყველა ვალდებულება სახელმწიფოს, საზოგადოებისა თუ ოჯახის წინაშე მთლიანად და სავსებით შევასრულე, აღარ დადგა დრო, ჩემი სული, ნება მაინც განთავისუფლდეს? თუ მაინცდამაინც უნდა მოვკვდე, რომ, ჩემზეც ითქვას – როგორც ამერიკელი ზანგები მღერიან გარდაცვლილის დატირების დროს: "იგი განთავისუფლდა, განთავისუფლდა, განთავიუფლდა!"?.. ჰო, ერთი აზრი დამებადა: რომან-ავტობიოგრაფიის აგებულება ასე ხომ არ გავაკეთო? თავიდან დავიწყო შედარებით ახალი ამბებით და მერე და მერე – სულ უფრო ძველი მოვათავსო? რაც უფრო წინ მივდივართ ანუ შენ, ვირუკავ, მიჩაქჩაქებ წინ და წინ, მე, პირუკუღმა მჯდომარე, სულ უკან-უკან მივდივარ, ასე არ არის? ამიტომ დროშიც უკუღმა გავისეირნებ ანუ დავიწყებ დღევანდელობით და ნელ-ნელა ჩემი ბიოგრაფიის უფრო და უფრო ძველ ამბებს გავიხსენებ... ანუ ვიმოგზაურებ დროში შებრუნებულად: დღევანდლობიდან – დაბადების დღისკენ! ბოლოსთვის ალბათ ყველაზე გემრიელ ნაწილს დავიტოვებ – ბავშვობის ლამაზ დროს ვესტუმრები... შენც ბევრი რამ გექნება მოსაგონარი... თუმცა, არა, ამგვარი კომპოზიციური წყობა ძნელი განსახორციელებელი იქნება, ჯობს, როგორც მომიხერხდება, ისე გავიხსენებ წარსულის ამბებს – ფრაგმენტულად... ალბათ საყვედურის ღირსიც გავხდები: მკითხველითვის ძნელად აღსაქმელი იქნება მთლიანობაში ჩემი ბიოგრაფია, მაგრამ რა ვქნა – დრო ცოტა მაქვს უფრო სრულყოფილი ფორმის მოსაძებნად... რამდენჯერ ყოფილა: გადავშლი ჩემს რომელიმე რომანს ან იქიდან რომელიმე პასაჟი გამახსენდება და უცებ ახალი კარგი ეპიზოდი ან საინტერესო სვლა ამოტივტივდება – და გული მწყდება, რომ ამ მშვენიერ "მადანს" ვეღარ გამოვიყენებ...

– რატომ? რა გიშლის ხელს, ვინ გიკრძალავს, რომელიმე რომანი ახალი მასალით გაამდიდრო ან გადაამუშავო და გაუმჯობესებული სახით ისევ გამოსცე?

– რა თქმა უნდა, ამას არასდროს არავინ ამიკრძალავს, მაგრამ მხოლოდ ის არის ხელის შემშლელი გარემოება, რომ ვერ მოვახერხებ ახალ ვარიანტზე მუშაობას: ამ დროს ახალი რომანის შექმნაში ვარ თავფეხიანად ჩაფლული, მის ბოლომდე მიყვანას ვჩქარობ – არცთუ იშვიათად, ჩემისთანა ბებრები კი არა, სრულიად ახალგაზრდები მოულოდნელად სამუდამოდ მიდიან... ხანდახან კი გავიფიქრებ: "სოსო ბატონო, ტყუილად ხომ არ ფაფხურობ? ვის რად უნდა შენი ნაცოდვილარი?", მაგრამ მაინც მინდა, მორიგი დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანო...

– შენ ამ წიგნის "წინათქმაშიც" აღნიშნე, რომ ამ ბოლო დროს ფრიად უცნაური რომანების გამოცხობა დაიწყე, მაგრამ ეს შენი ბოლო ნაცოდვილარი, სადაც მეც გამომაჭენე, მეტისმეტად პირობითი ხასიათისა ხომ არ გამოგივიდა? მალაპარაკებ კიდეც...

– ჩემდა გასაკვირველად, ერთმა ცნობილმა მწერალმა საუბარში ასეთი რამ თქვა: "გოდერძი ჩოხელს რაღაც სისულელეები უწერია: კაცს მხარზე ხე ამოუვიდა, მერე უფრთხილდება, რწყავს... ამას რა წამაკითხებსო". ამ ნიჭიერი რომანისტისთვის ამგვარი პირობითობა მიუღებელია, არიან ასეთი ყაიდის შემოქმედებიც. იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ, ზოგადად ხელოვნება პირობითობის გარეშე არ არსებობს, თვით მისი "ენა" არის პირობითი.

– პირობითობასაც გააჩნია.

– აი, მსახიობი სცენაზე ლაპარაკობს, ხომ? თუ ის ცდილობს, ზუსტად ისევე ილაპარაკოს, როგორც ცხოვრებაში, ეს საოცარი სიყალბის შთაბეჭდილებას ახდენს. თუ მეტისმეტად არაბუნებრივად, ხაზგასმულად სტილიზებულად ლაპარაკობს, ესეც არ არის მოსაწონი, ხელოვნურობის იერი აქვს. აი, ოსტატი ის არის, რომელიც ისეთნაირად ლაპარაკობს, რომ სრულიად დაშორებულია ყოფით ნატურალიზმს ანუ მისი სიტყვა ერთგვარად სტილიზებულია თუ ხაზგასმულია, მაგრამ მსმენელზე სრული ბუნებრიობის ანუ შესაბამისობის შთაბეჭდილებას ახდენს – ეს არის ოსტატობა! ეს ეხება სცენურ მოძრაობასაც და სხვა კომპონენტებსაც მსახიობის შემოქმედებისა. იგივეა ფერწერაში: ორი უკიდურესობა: ნატურალისტური მიდგომა, "ფოტოგრაფიულობა" – არ ჩანს შემოქმედი – და ჭარბი ფორმათქმნადობა, სუბიექტური "ძალადობა" ნატურის გარდაქმნისას – არ ჩანს ნატურა... ორივე ერთნაირად უნაყოფოა; ჩემთვის "გემრიელია" ისეთი ნამუშევარი, სადაც მკაფიოდ ვლინდება მხატვრის ინდივიდუალობა, ჩანს მისი ხელწერა და, იმავდროულად, არ იკარგება ასახვის თუ წარმოსახვის "ობიექტიც". "ავანგარდისტთა" აგრესიულობა სახის მიმართ ან ბუნდოვანება, გაურკვევლობა – ემოციურად ცივს მტოვებს. ხელოვნების წყარო რეალობაა, თუ მას მოწყდი – ანტირეალობის ნიმუშს მიიღებ. ასე რომ, თუ მავანს არ მოეწონება, რომ შენ ამ ფურცლებზე საკმაოდ ბევრს ლაპარაკობ, სხვა ყაიდის წიგნი წაიკითხოს.

2011 wl i s mi wur ul i s mi nawer i : ტყუილად ვწუწუნებდი: "ვირუკა" დავასრულე, დავბეჭე კიდეც და ახლა მეორე, გადამუშავებული და შევსებული ვარიანტიც მოვაკვარახჭინე, რომელშიც ფოტომასალაც ჩავრთე.

კარი V.
ვუბრუნდები ჩემს ბიოგრაფიას.
ჩემი დედა, მამა, ბებია

— საოცარია, აზრებიც რომ უკუღმართი გებადება! — მეუბნება სოლომონ ბრძენი. — მე არა ვარ თანახმა, ჩემი მონაყოლი უკუღმა მოყვე! ხმასაც არ ამოვიღებ!

— კი, ბატონო, ჩემო ძმავ და მეგობარო, ნება შენია, მით უმეტეს, რომ შენ, ჩემგან განსხვავებით, პირუკუღმა არ მოძრაობ!

— ეგღა მაკლია სწორედ! აი, ქიზიყელების დასაცინი მაშინ ვიქნებოდი! შენ ეს მითხარ: უკანუკან რომ გაისეირნებ დროში, იმის იმედიც ხომ არ გაქვს, რომ თანდათან მელოტი გაგიქრება, თმა ამოგივა და ნელ-ნელა გაგიშავდება კიდეც?!. სიჭაბუკის გარდასულ დროებას ბევრი ბებერი მისტირის, ზოგს — სევდიან ლექსებსაც კი აწერინებს...

— არა, ჩემო ყურპარტყუნავ, უთმობის დარდი არ მაქვს და რომც მქონდეს, შორს წასვლა არ არის საჭირო: მეცნიერების პროგრესს წინ რა დაუდგება: ახლა თმის გადანერგვას წინ არაფერი უდგას და არც მისი შეღებვაა ძნელი... არც ახალგაზრდობის "დაბრუნებაზე" ვოცნებობ — ბრძენებმა უკვე ბევრჯერ თქვეს, რომ ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვს! და მაინც, ტელევიზორს თუ უყურებ, ადვილად შეამჩნევდი: ამ ბოლო დროს მომრავლებულ თმაშეღებილ მამაკაცებს — მსახიობებს, მომღერლებსა და ფეხბურთელებს — ახლა ბევრი პოლიტიკოსიც ბაძავს. სხვები, შესაძლოა, არ დამეთანხმონ და მე კი კაცების ამგვარი ფერისცვალება ფრიად სასაცილო მეჩვენება! არადა, ძველთაგანვე თმის შეევრცხლვა სიბრძნის ასაკში შესვლის ნიშანი იყო...

— შენც რომ უცებ ფერი იცვალე? დინჯი ვარო, ცვლილებები არ მიყვარსო... და უცებ — შორეული მოგზაურობა აიტეხე ავტობიოგრაფიული წიგნის დასაწერად! სასაცილოდ რატომ იგდებ თავს: სხვა დროს ვერ ივარგე და ახლა, სიცოცხლის მიწურულს, გინდა, შედევრი შექმნა?

— შედევრი, შედევრიო — ძალიან გაიაფდა შედევრის ცნება! წინდაწინ ვერავინ იტყვის, მისი ძალისხმევისგან რა გამოვა — ტრივიალური ნაჯახირევი თუ მართლა ნამდვილი შედევრი...

— რას უწოდებ შენ შედევრს?

— შედევრად მივიჩნევ ნაწარმოებს, რომელიც აღაფრთოვანებს ყველაზე რაფინირებული გემოვნების ინტელექტუალსაც და დაბალი განათლების ადამიანსაც: ეს ფრიად იშვიათად ხდება! კინოხელოვნებაში ამგვარი ფენომენის მაგალითია ჩარლი ჩაპლინის შემოქმედება.

— გატყობ, ძალიან გიყვარს კითხვის ბანზე აგდება, უკუღმართო! ერთი ეს მიბრძანე, რამდენად ბუნებრივად მოეჩვენებათ შენი ახალი რომანი — უცნაური აჯაფსანდალი?

— როცა უყურებ ხელოვნების ნაწარმოებს, გაორებულ მდგომარეობაში ვარდები: ერთის მხრივ, შენ იცი, გააზრებული გაქვს, რომ ეს კინოფილმი, მოთხრობა, სურათი — გაკეთებულია, ახლებურად შექმნილია ანუ არსებულის ნატურალისტური ასლი არ არის და მეორეს მხრივ — ემოციურად განიცდი, თითქოს შენთვის შემოთავაზებული ხელოვნების ნაწარმოები სინამდვილე იყოს. ამ დროს ნაწარმოების შექმნის სუბიექტურობა ხელს არ გიშლის, არ ფიქრობ, რომ იგი "ტყუილია", შეთხზულია, პირიქით — ფორმის პირობითობა ააქტიურებს კიდეც აღქმას, აძლიერებს ემოციურ გამოძახილს...

— მაგრამ ყოველთვის ასე რომ არ ხდება? მაგალითად, ზოგჯერ უყურებ სურათს — და ნაძალადევი, არაბუნებრივი და გამაღიზიანებელიც კი გეჩვენება, ამრეზით აფასებ: "ნაღდი არ არის, ტვინის ფუჭი ჭყლეტაა!".

— ეგ უკვე ნიჭისა და ოსტატობის შერწყმაზეა დამოკიდებული. ცხადია: ნიჭიერ ადამიანს ყველაფრის უფლება აქვს, ის სრულიად თავისუფალია!

— ნებისმიერი "გაფრენის" უფლებაც აქვს?

— დიახ, აქვს, რადგან ნიჭიერს ნიჭი და გემოვნება კარნახობს, სადამდისაც შეუძლია, უჩვეულო ან, პირიქით, მარტივი გადაწყვეტა მოძებნოს ყველაზე უკეთესი შედეგის — შთამბეჭდაობის! — მისაღწევად.

— ამჩატებულხარ, ვირუკაზე შამჯდარხარ, თან პირუკუღმა, ამაზე უჩვეულო რაღა უნდა იყოს? და, იმავდროულად, ამტკიცებ, ცვლილებები არ მიტაცებს, ყველაფერი მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მკვიდრად დაფუძნებული, ტრადიციული მიზიდავსო... ვის ატყუებ, საკუთარ თავსა?

— არა, ნამდვილად ეგრეა, ბუნებით უკიდურესად "კონსერვატორი" ვარ: ვსწავლობდი მხოლოდ ერთ სკოლაში, მხოლოდ ერთ კლასში, მხოლოდ ერთ ინსტიტუტში, მხოლოდ ერთ ჯგუფში; დიპლო-

მის აღების შემდეგ ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს, პენსიაში გასვლამდე, ერთადერთ დაწესებულებაში ვმუშაობდი; ერთხელ დავქორწინდი და მხოლოდ იმით დავარღვიე ეს "ერთფეროვნება", რომ ორი შვილი მყავს... საოცრად არ მიყვარს ახალი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ჩაცმა... ამ ბოლო საკითხს ბარემ ცოტა განვავრცობ. მაქვს თუ არა, რასაც "ჩაცმის კულტურას" უწოდებენ? მე მგონი, არა! და "ჩაცმის კულტურის" ტრფიალთა რიგებს არც არასდროს ვამშვენებდი და ვერც დავამშვენებდი. ამას განაპირობებდა, უპირველეს ყოვლისა, ჩემი პიროვნული ხასიათი, მეორეს მხრივ კი – ჩემი ფიზიკური მონაცემები, "ჰაბიტუსი" და მარად თითქმის ცარიელი ჯიბეც; თუმცა, ფული რომ ჩეჩქივით მქონოდა, ჩემს დამოკიდებულებაში ჩაცმისადმი არაფერი შეიცვლებოდა. როგორც მოგახსენე, საკმაოდ გულგრილი ვიყავი საკუთარი ჩაცმულობის მიმართ ახალგაზრდობაშიც, მოხუცებულობაში კი ეს განურჩევლობა კიდევ უფრო გაიზარდა. იქნებ არ დამიჯერო და კურიოზად ჩათვალო: დღემდე შემომრჩა ჩემი სტუდენტობისდროინდელი იუგოსლავური ფეხსაცმელი – ნახევარი საუკუნის ხნისაა! – და მშვენიერი იერი კი შერჩენილი აქვს! მართალია, იშვიათად ვიცვამ... ათი და მეტი წელი გაივლის და არ ვიყიდი შარვალს, პიჯაკს, ფეხსაცმელსაც კი. როცა ტანსაცმელს ან ფეხსაცმელს საბოლოოდ ყავლი გაუვა, ცოლი და შვილები გაერთიანებული ძალებით ძალისძალათი ჩამაცმევენ ხოლმე ახალს – დიდი დავიდარაბისა და ხვეწნა-მუდარის შემდეგ: "თუ შენ ფეხებზე გკიდია, ჩვენ გვრცხვენია, მათხოვარს რომ დაემსგავსეო"...

– რატომ? ნუთუ შენთვის სულერთია, როგორ გამოიყურები?

– უნდა მოგახსენო, რომ ფართოდ გავრცელებული გამოთქმა: "რა კარგად, თუ ცუდად, გამოიყურები" – აშკარად მცდარია, რუსულის უხეირო კალკია. შეიძლება, კარგი ან ცუდი *იერი* გქონდეს; "გამოყურება", უკეთ – "გამოხედვა", გამიგია მხოლოდ ფანჯრიდან, ეს "მშვენივრად გამოიყურება" ან "რა ცუდად გამოიყურება" რაღა უბედურებაა... მაღიზიანებს ეს გადაჭარბებული ყურადღება ტანსაცმლის მემოდელეების, დიზანერების მიმართ, განსაკუთრებით – ტელეარხების მხრივ: ყოველი საინფორმაციო გამოშვების ბოლოში სავალდებულოდ თვლიან აუცილებლად დიდის ამბით გამოაცხადონ: "სიახლენი მოდის სამყაროში", თითქოს სამყაროს ბედი ამაზე იყოს დამოკიდებული... წაიღეს ტვინი ამ ტიკინების დეფილეებით, თითქოს არ არსებობს ნამდვილი ხელოვნება, მთელ მსოფლიოში მოისპო მწერლობა, მეცნიერება აღარ ვითარდება... ამგვარი მიდგომა მოსახლეობის საყოველთაო გამოთაყვანებას ემსახურება.

– ბიჯო, სხვების კრიტიკას თავი ანებე, ჯობს, საკუთარ თავს მიხედო!

– მართალი ბრძანდები, სოლომონ ბრძენო და ჩემს ჩაცმა-დახურვას დავუბრუნდები. ყმაწვილობაში დედაჩემი და ჩემი და, შემდგომ – მეუღლეც, ამაოდ ცდილობდნენ ჩემს "მორჯულებას"; ქალიშვილი არ მყავს, თორემ ალბათ არც ის დამაკლებდა მეცადინეობას!.. გინდაც თვითონ ძალიან მონდომებული ვყოფილიყავი, ვეჭვობ, ჩემს "ჩაცმის კულტურას" რაიმე შველებოდა: დაბალ ტანს იქნებ თანამედროვე მედიცინის საოცარი მიღწევებით დავიგრძელებდი, არაპროპორციულ აღნაგობასა და მოღრეცილ ფეხებსაც – თანაც, ბრტყელტერფიანს! – რაღაცას მოვუხერხებდი, მაგრამ ამის სურვილი არასდროს გამჩენია: რაცა ვარ, ესა ვარ!

– ამტკიცებ, ცვლილებები არ მიყვარსო და უცებ...

– ბავშვობიდანვე ჩემი აუსრულებელი ოცნების საგანს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს უცხო ქვეყნების მონახულება, უპირველესად – იტალიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის... სპარსეთის, ინდოეთის, ჩინეთის... ყოველი მოგზაურობა ახალ წიგნს დამაწერინებდა, მაგრამ – ვაგლახ!.. ხელმოკლეობა მუდამ თან მდევდა; არასდროს მქონია საშუალება, ვინმე დამეპატიჟნა რესტორანში, არასდროს შემიკერია თერძთან კოსტიუმი და შარვალიც კი, საშუალო სკოლა და პოლიტექნიკური ინსტიტუტი ისე დავამთავრე, ერთი ხეირიანი პალტო არ მღირსებია...

– თუ მოგზაურობა აიჩემე, რაღა ვირზე უკუღმა შაჯდომა და ჯაყჯაყი აირჩიე? შე დალოცვილო, ნატვრისთვალი გეშოვნა და განაღდებული გექნებოდა ბედნიერად მგზავრობა – გაუტიე საითაც გინდა და როგორც გაგიხარდება!

– ნატვრისთვალს მე ვინ მომაშავებს: ცხრათავიან დევსა აქვს პირში საგულდაგულოდ შენახული და რომელ პირში – ვინ იცის! ჰოდა, რამდენი თავის მოჭრა დამჭირდება, სანამ ნატვრისთვალს მივაგნებ? დევი დამაცდის რო?

– ხუმრობას არ იშლი?

– შენი შეხუმრების პასუხია... ჩემს ნაცნობ-მეგობრებს, ვისაც გინდა, ჰკითხო ჩემს შესახებ, ერთხმად იტყვიან: დიდი ცხვირჩამოშვებული ვიღაცა იყო და დარჩა დღემდეო და სიცოცხლის მიწურულს მაინც არ უნდა გამოვსწორდე? რამდენიმე სალაღობო რომანი დავწერე უკვე და ამ ბოლოსაც თუ მოვაცოდვილებ... თანაც, ხომ ცნობილია: ხუმრობა, სიცილი, სილაღე – ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების უპირველესი საწინდარია!..

– კიდევ ის მიკვირს, ფრიად მიკვირს, მარტოკინა რატომ წამოჩანჩალდი?

– შენ ხომ მყევხარ?

— მე რა? ტანსაცმელს გაგირეცხავ თუ კერძებს მოგიმზადებ... ცოლი მაინც წამოგეყვანა: კაცს, თანაც შენი ხნისას, მოვლა-პატრონობა სჭირდება.

— რას ამბობ! ცოლი კი მყავს ჩემზე ათი წლით უმცროსი, მაგრამ ქალია და ჩემდენს ვერ გაუძლებს; მეორეც: ხომ გითხარი, მარტოსული ვარ, ესეც რომ არ იყოს, განსჯა-ფიქრებსა და სულის სიმშვიდეს მარტოობა უხდება, ეგრე არ არი? ხელის შემშლელად კი შენც მეყოფი!

— რას ერჩი, ბიჯო, დარწმუნებული ვარ, მტრედივით ქალია.

— კი, ბატონო, ეგრე გახლავს, მაგრამ მაინც ქალია და რაზეც გინდა, იყოს საუბარი ან თუნდაც უმნიშვნელო გადაწყვეტილება მისაღები, აუცილებლად შეგეკამათება.

— ფილოსოფოსობას ჩემულობ და ის კი არ იცი, რომ კამათში იბადება ჭეშმარიტება?

— მაგას არავინ უარყოფს, დიქტატორებისა და ოჯახის დესპოტების გარდა, მაგრამ დღეში ორმოცდაათჯერ კამათი უკვე მეტისმეტია.

— რატომ გგონია, რომ ყოველთვის შენ ხარ მართალი?

— ყოველთვის მართალი მაღლა ღმერთიც არ არის... არცერთი ვართ თითქოს კონფლიქტური ბუნების, მაგრამ... მე ხშირად ვჩუმდები, ვუთმობ, კამათში არ ჩავერთვები — ცნობილია: ყველას თავისი სიმართლე აქვს, მაგრამ ზოგჯერ, ასმეერთე შემთხვევაში გული ვერ მითმენს და სიჩუმეს ვარღვევ... მერე კი ვნანობ ხოლმე — წვრილმანებზე უაზრო კამათში მოგებული არავინ რჩება.

— აკი დამეთანხმე, კამათში იბადება ჭეშმარიტებაო? რა იცი, რომ სწორი გზით მიდიხარ?

— ბოლოში როცა გავალ, ეგ მერე გამოჩნდება.

— არა, მე იმას გეკითხები, ვინმეს თუ მოეთათბირე, რჩევა თუ ჰკითხე, ღირდა კი შენთვის ამგვარი უცნაური მოგზაურობის დაწყება?

— მერამდენედ მეკითხები და იგივეს გიპასუხებ: ეგეც ბოლოში გამოჩნდება!

— ამ სიბერეში დაგროვილმა ცოდვებმა ხომ არ შეგაწუხა და აღსარების დაფქვას აპირებ?

— არა, ეგ ჩემი საქმე არ არის, ჩვეულებრივი მოგონებები იქნება, შიგადაშიგ ჩანაცვლებული მოცლილი და გლახაკი მთხზველის თუ მჩხაბავის ფანტაზიებით, რათა წამკითხველისთვის მთლად მოსაწყენი არ იყოს...

— შენი ახირება სასაცილოდ არ მყოფნის — ასე როგორ უნდა იმუშაო, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე? ჩემს ზურგზე მჯდომმა, უფრო იმაზე უნდა იფიქრო, არსად გადმოვარდე და მიწას არ დაებერტყო, ვიდრე — რომანი როგორ მიხლართ-მოხლართო... სისულელეა შენი ქმედება, საპასუხოდ ჭკვიანურს ვერაფერს იტყვი!

— რატომაც ვერ გიპასუხებ? მისმინე და კარგად გადაცოხნე ჩემი ნათქვამი, რომ კარგად გაიგო!.. რამდენჯერ მიფიქრია: "ნეტავ ერთი ამომასუნთქა, თავისუფალი დრო მომცა, რომ არავინ მიშლიდეს ხელს და გუნებისად, დინჯად, ნელ-ნელა ვიმუშაო — საკმარისად მოვზილო ჩანაფიქრის ცომი, მერე — ფანტაზიის საფუარით გავაფუმფულო და შთაგონების ნელ ცეცხლზე აუჩქარებლად გამოვაცხო გემრიელი, სურნელოვანი პური ანუ წიგნი!.. ჰოდა, აი, მოვესწარი ამ დროსაც, ხელს არაფერი მიშლის — დაჯექ და წერე! მაგრამ... ეს ოხერი, არაფერი მომდის თავში, სიტყვას სიტყვას ვერ ვაბამ, არაფერი გამომდის... ასეც ხდება: ჩემს გარშემო არის ერთი ორომტრიალი, ათასი საქმე ფეხებში მებლანდება, ორი ათასი ვიღაც კიდევ გამოტყვრება — თითქოს საგანგებოდ შენთვის ხელის შესაშლელად — და მაინც: მოგეძალება წერის ჟინი, არ გასვენებს, საიდანღაც იდეები, აზრები უწყვეტ ნაკადად მოედინება და ცდილობ, სადღაც საჩქაროდ წაჯღაბნო, რომ არ გაგიფრინდეს ჩანაფიქრი, მერე — ისევ რაღაცას აუცილებელს ჩირთიფირთობ, გადაუდებელ საქმეს, ახალი ჩანაწერი კი ისევ იბადება, ღვარივით მოედინება — სხვა საქმიანობაში ჩართული — და ქაღალდის ახალ ნაგლეჯს ეძებ ახალი ნაუცბათევი ჩანაწერის გასაკეთებლად...

— კეთილი, აბა, შენ იცი! ჰო, ისეთი პირი უჩანს ჩვენს მოგზაურობასა, ისე ვატყობ, რომა იგი ადრე თუ გვიან კეთილად დასრულდება, შენ ჩემს ზურგზე ნებივრობისგან განთავისუფლდები, ამ წიგნსაც ავად თუ კარგად მოაცოდვილებ, მემრე რას აპირებ?

— თემები კი მაქვს ჩამოწერილი, მაგრამ ჩემი ხნის კაცისთვის ხანგრძლივი დროისთვის გეგმების შედგენა სათუო საქმეა.

— რაო, კალამი დაგიჩლუნგდა და ამიტომ მოჰყევი წუწუნსა?

— არა, ჩემო ყროყინავ, ჯერჯერობით საღ აზრზე გახლავარ, მაგრამ ფიზიკური ჯანმრთელობა...

— ისევ "მაგრამ"?

— ჰო, ჩემო ყურდიდავ, მოგეხსენება, ასაკს მაინც თავისი გააქვს და ხვალ რა იქნება, არავინ იცის!

— არ მოგბეზრდა გაუთავებელი წუწუნი? ყველაფერი კარგად იქნება და ნუ აჯანჯლეს — მომახსენე ერთი, რა თემები შემოგრჩა დაუმუშავებელი? რა წიგნების გამოცხობას აპირებ შენს "სამზარეულოში"?

— სასაცილო თუ საფიქრალი, იცი, რა არის? ჩემი ბოლო წლებში დაწერილი რამდენიმე რომანის შესავალში სულ ერთსა და იმავეს ვამბობდი, რომ კარგი იქნება, თუ შევძელი ამ წიგნის კეთი-

ლად დასრულება-მეთქი, და თუ ასე მოხდებოდა, შევუდგებოდი ახალ რომანზე მუშაობას... მერამდენედ ვიმეორებ: მეც მიკვირს, რამდენის დაწერა მოვასწარი! მაგრამ ხომ ყველაფერს აქვს დასასრული.

— ნუ გააჭიანურე პასუხის გაცემა, ამოშაქრე, ვერან, მემრე რის დაწერას აპირებ?

— უპირველესად, მინდა, ზღაპრების მესამე წიგნს მოვუარო; ალბათ გზა-გზა მოთხრობებსაც დავწერ... არ ვიცი, ახალი რომანის აწევას თუ შევძლებ, რამდენიმე რომანის თემა კი მაქვს ჩამოწერილი: "კოსმოსური რომანი", "ჯადოსნური რომანი", "სიზმრების ესტაფეტა", "სპირიტული სეანსი", "XX საუკუნის პანორამა"... მინდოდა, დამეწერა მიხეილ ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანი, აგრეთვე, დეტექტური რომანის შექმნაში მომესინჯა ძალა, ასევე — ისტორიული რომანის ჟანრშიც, მაგრამ ეს ბოლო ჩანაფიქრი ძალიან მაშინებს — ურთულესი საქმეა! დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი ყმაწვილთათვის განკუთვნილ წიგნზე "საქართველოს აღწერა" — შევეცდებოდი, დამეწერა ამაღლებულად, ხატოვნად, მხიარულად...

— ვატყობ, წიგნების წერის გარდა, სხვა მნიშვნელობანი შენს ცხოვრებაში თითქმის არაფერია...

— როგორ არა, ათას რასმე ჩამოვთვლიდი, მაგრამ მთავარი მაინც ეს არის... კარგი, გავარძელო ჩემი ცხოვრებისეული ამბების მოყოლა? ამჟამად (ამ სტრიქონებს 2010 წლის აგვისტოში ვწერ) სამოცდათოთხმეტი წლის შესრულებას ერთი თვეღა მაკლია; მყავს მეუღლე, ქალბატონი ლია ომაძე, მისი ქალიშვილობის გვარია ყანაშვილი, და ორი ვაჟი — ოცდათოთხმეტი წლის ბესარიონი (182 სანტიმეტრი სიმაღლისაა!) და ოცდაცამეტი წლის დავითი (ეს შედარებით "პატარაა", მხოლოდ 176 სანტიმეტრი სიმაღლისა გახლავს, სამაგიეროდ — 95 კილოგრამამდე იწონის!). უფროსი ვაჟი დაოჯახებულია და, როგორც იცი, უკვე პაპა ვარ: ჩემი შვილიშვილი, — პატარა ბაცულია, ბაცუნიკო, ბაცაცუნა, კუნკულია, ტუტუნია, ტოტო, პეპე, პეპინო, სოსო, სოსიკო, — გადამდგარია მესამე წელიწადში; როგორც ხედავ, ისიც ჩემსავით იოსებ ბესარიონის ომაძე გახლავს. მის ლამაზ და ჭკვიანურ ტიტინს როცა ვუსმენ, იმედით ვივსები, რომ პაპას ყველაფერში აჯობებს, რა თქმა უნდა, კეთილ საქმეებს ვგულისხმობ... ვარ პენსიონერი, — აგერ თითქმის ათი წელიწადია, 2002 წლის იანვრიდან; თითქმის სულ შინ ვზივარ, ზაფხულშიც კი აღარსად მივდივარ დასასვენებლად, — მეყო, ორმოცი წელზე მეტ ხანს გეოლოგის ცხოვრებით რაც ტყე-ღრესა და მთა-ველში ვიწანწალე! — და ვწერ და ვწერ, ვაცხობ და ვაცხობ რომანებს! შიგადაშიგ მოთხრობებს, ზღაპრებს და სხვა წვრილმანსაც არ ვთაკილობ — "ხოცვას ნადირთა მცირეთა"... და ზოგჯერ მეც კი ეჭვი მიპყრობს: ნუთუ მართლა ნაღდი გრაფომანი გავხდი?

— მერე, მაგისგან განკურნებაზე ადვილი რა არის — შეეშვი საკუთარი თავისა და საცოდავი მკითხველის შეწუხებას, სხვა საქმეს ეწიე!

— სხვა საქმისთვის აღარ ვარგივარ... რასაც ახლა ვწერ, შესაძლოა, ჩემი ბოლო რომანი გამოდგეს — მეთხუთმეტე! — და მეც დავისვენებ და მკითხველიც... თუმცა... ჩემს წიგნებს აქამდეც არავინ კითხულობდა: სულ ოცზე მეტი წიგნი მაქვს გამოცემული და ამათგან ნახევარზე მეტი მხოლოდ ათი-თორმეტი ცალი თუ დავბეჭდე თითოეული. ასე რომ, ამ სიმბოლური ტირაჟით გამოცემულ ჩემი შრომის ნაყოფს შეიძლება, გაეცნოთ მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში — თითოს ოთხ-ოთხ ეგზემპლარს პატიოსნად ვაბარებდი, რათა შთამომავლობამ განსაჯოს, რამდენად ღირდა ჩემი მხრიდან ასეთი თავგამოდებით კალმის წრიპინი, ბოლო დროს კი — კომპიუტერის კლავიშებზე თითების ვარჯიში...

— ჯო, შენს ამ ბოლო ნაცოდვილარსაც, ასევე, თვითონ დაბეჭდავ?

— მაშ, რა ვქნა! და საკუთარი ხელითვე ავკინძავ ათ ცალს, ყდა უკვე დახატული მაქვს და გამზადებულიც.

— მხატვრობაც დაიბრალე?

— გავიმეორებ: მაშ, რა ვქნა! მხოლოდ ჩემი პირველი წიგნი "ჩვენი ნიკალა" გააფორმა პროფესიონალმა მხატვარმა: ჩემი თხოვნით ეს საქმე ითავა ცნობილმა მხატვარმა გრიგოლ ჩირინაშვილმა, რომელიც გავიცანი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გამართულ მის პერსონალურ გამოფენაზე, სადაც მას ჰქონდა გამოტანილი ნიკო ფიროსმანაშვილისადმი და ნიკალას თვალით დანახული ძველი თბილისისადმი მიძღვნილი სამ ათეულზე მეტი სურათისგან შექმნილი მეტად საინტერესო ფერწერული ციკლი "ჩემი თბილისი და ფიროსმანი". ამ გამოფენის შესახებ ჩემი წერილი გამოქვეყნდა გაზეთში "ლიტერატურული საქართველო", მოგვიანებით კი ალმანახ "ფრესკაში" დავბეჭდე წერილი, მიძღვნილი მხატვრის შემოქმედებისადმი. შემდგომ ერთგვარი თავხედობა გამოვიჩინე და მომდევნო ოცი წიგნისთვის ყდათა მხატვრობა თვით მე შევასრულე... ჯერ მხოლოდ ნაწილია დაწერილი რომანისა "ვირუკაზე უკუღმა შავჯექ!", მისი გამოცემისთვის საჭირო ყდის გაფორმება და თვით ყდაც კი, როგორც გითხარი, უკვე მზად მაქვს.

— მანახე!.. ვაჰ, მე რა უზუსტოდ დაგიხატივარ, ჯო!.. მაგრად გამაშარჟე! განსაკუთრებით, ჩემს ყურებს რას ერჩოდი?

— სამაგიეროდ, შეხედე: ოქროს ქანდაკებას არ ჰგევხარ? რატომ ხარ ოქროსფერი, იცი? შენ ჩემი "ოქროს ვირი" ხარ!

— მე ოქროწყალში განბანვა სულ არ მჭირდება, რაც სინამდვილეში ვარ, ისიც სრულებით საკმარისია ჩემთვის! შენ თვითონ კი რა ყინჩად ზიხარ, ყელყელაობ, ხელში წიგნიც რო დაგიჭერია — ჰაერში ატაცებულიც არ იშლი კითხვასა?

— არა, ეგ წიგნი კი არა, საწერი რვეულია...

— ნახატის შექმნაში ხომ ვერ ხარ მაგარი, სხვა მხრივაც იაღლიში მოგსვლია: ბიჯო, გაგანია ზაფხულია, გაიხედ-გამაიხედე, მინდორ-ველად რამდენი ყვავილია, შენ კი თბილისური საჩეხიანი ქუდი რომ დაგიკოსებია თავზე, თანაც — შებრუნებულადა, ეგ რა წესია? პილიგრიმებს ყვავილებით მოწნული გვირგვინი უფრო ეკადრებათ!

— გვირგვინების მოსაწნავად მცალია?

— ჰი-ჰი-ჰი, თან ე რა ხასხასა წითელი ხალათი ჩაგიცვამს, ჯო, ცეცხლი გიკიდია რაღა, რომელი ჯეელი შენა მყევხარ? არ იცი, რომ პილიგრიმებს თალხი ფერის ან შავი სამოსი უხდებათ?

— შავი ტანსაცმელი უპრიანია მათთვის, ვინც ცოდვების მოსანანიებლად მიემგზავრება, მე რა მიგავს მიმლოცველს?

— დავიჯერო, სამოცდაათ წელზე მეტხანს ტკეპნე მიწა ამ ცოდვილ ქვეყნიერებაზე და თვითონ უცოდველი გადარჩი?

— უცოდველი ამქვეყნად ვინ არის? მაგრამ ჩემს რაიმე დიდ შეცოდებას ვერ ვიხსენებ... იქნებ სწორედ ეს არის ჩემი ყველაზე დიდი ცოდვა!

— ან ეს წითელი ლამპასი რომ ჩაუყვება შენს შარვალსა, თავი გენერლად წარმოიდგინე? რომელი დიდი ომები შენ მოგიგია?

— გენერლობა არასდროს მდომებია! არც დიდი თანამდებობის მიღწევა...

— ამ ნახატზე კი ნაღდ გენერლად დაგიხატავს საკუთარი თავი!.. შენი მწერლობა რა ღირებულებას წარმოადგენს, კიდევ საკითხავია და მხატვრობაც სცადე?.. ჰი-ჰი-ჰი!..

— რატომაც არა, რატომ ქირქილებ? ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოსცადო, რისკენაც მიგიწევს გული! უნდა ეცადო, 100%-ით გამოიყენო შენი შესაძლებლობები, რომელთა შესახებაც ხშირად თვითონაც არ იცი. ამერიკაში ერთი ზანგი ქალი იყო, მთელი ცხოვრება დაუღალავად შრომობდა, გაზარდა შვილები, მერე — შვილიშვილებიც... და ერთხელ, უკვე ძლიერ მოხუცებულს, სრულიად შემთხვევით ხელში ჩაუვარდა მაგიდაზე შვილთაშვილების მიერ დატოვებული ფუნჯი და საღებავები და, მისდა უნებურად, დაიწყო ხატვა... ამ ახალმა საქმემ იგი ძლიერ გაიტაცა. შემდგომ ისე მოხდა, რომ მისი ნამუშევრები შეამჩნიეს, გამოფენაზეც მოხვდა და ძალიან დიდი სახელიც მოიხვეჭა: კოლექციონერები დედილო მოზესის — ამ სახელით არის ცნობილი — ნამუშევრებს ერთმანეთს ეცილებოდნენ, მუზეუმები ამაყობენ, თუკი მათ ექსპოზიციაში მისი ნამუშევრები აქვთ... რა თქმა უნდა, მე დიდი მხატვარი ვერ გავხდები, შესაძლოა, ძალიან სუსტი და არაპროფესიულია ჩემი ნაჯახირევი აკვარელები და გუაშები — რამდენიმე ასეული მაინც მოვახლაფორთე! ზეთით მუშაობა არასდროს მიცდია, თუმც მიზიდავდა კი — საღებავები ძვირი ღირს, სუნიც აქვს და შინ ვერ იმუშავებ, აუცილებლად სახელოსნო გჭირდება... მაშ, რატომ ვხარჯავ დროს და ენერგიას, ერთი შეხედვით, "ფუჭი" საქმისთვის? მიზეზი რამდენიმეა. ჯერ ერთი, როცა წერაში შეფერხდები — დაიღლები ან ფანტაზია ამოგეწურება, — ამ დროს (და სხვა დროსაც, როცა ამისთვის მოიცლი!) კარგია გადართვა სხვა სახის სამუშაოზე — განტვირთვისთვის, დასვენებისთვის, სულიერი კმაყოფილების მისაღწევად; მეორე: განავითარებ გემოვნებას, ფანტაზიას, უკეთ "ხედვას" გარემოსი... ნამდვილად დიდად დამეხმარა ეს გატაცება მხატვრობისა და მხატვართა შემოქმედების შესახებ წერილების შექმნის დროსაც. ადრეც მოგახსენე: საკმაოდ ბევრი დავწერე, — გამოუქვეყნებლების ჩათვლით, ორმოცდაათზე მეტი წერილი — და ერთ წიგნად რომ შევკრიბე, საკმაოდ სქელი კრებული გამოვიდა... ერთ დროს ვაპირებდი ხელოვნების სხვადასხვა დარგსა და ლიტერატურაში კოლაჟის გამოყენების საინტერესო პრობლემატიკისადმი მთელი წიგნის მიძღვნას, რაც ბოლომდე ვერ განვახორციელე; მასალის ნაწილი ჩავრთე რომანში "ია ანუ ერთგულება".

— დალოცვილო, რა გრჯიდა, ამ დარგის სპეციალისტები გამოილია თუ რა?

— რა მრჯიდა? მაინტერესებდა, მსიამოვნებდა და იმიტომ ვწერდი! ცნობილია: სიამოვნების მიღება ყოველი სულდგმულის ქცევის წარმმართველ ძალად დაადგინა ბუნებამ. მაგალითები უთვალავია... მხოლოდ ერთს მოვიტან: განაყოფიერება, საჭმლის მიღება და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც კი სიამოვნების განცდის გარეშე ადამიანის მოდგმას გადააშენებდა. საოცარია: საქართველოში ხელოვნებათმცოდნის დიპლომი რამდენიმე ასეულ ადამიანს მაინც აქვს და მათი დიდი უმეტესობა არაფერს წერს, არ აქვს ამის მოთხოვნილება, და ვინც წერს — ძალიან ცოტას! თუმცა, გასაოცარი არაფერია: საქართველოში ხელოვნებათმცოდნეობა "პრესტიჟულ" პროფესიად ითვლება და სამხატვრო აკადემიასა და უნივერსიტეტში ამ სპეციალობაზე სტუდენტები ხდებოდნენ გავლენიანი და ფულიანი მამიკოების — პარტიულ-სამეურნეო "ნომეკლატურის", მილიციის უფროსე-

ბის, რაიკომის მდივნების, კოლმეურნეობის თავმჯდომარეების, პრივილიგირებული ინტელიგენციის წარმომადგენელთა, ცნობილი მხატვრების – შვილები... ბევრნი არიან ისეთნიც, სამხატვრო აკადემიაში ფერმწერის განათლება აქვთ მიღებული, წლები გადის და სულ რამდენიმე ნამუშევარი აქვთ შექმნილი, პერსონალური გამოფენის მოწყობაზე ხომ ზედმეტია საუბარი; როცა საგაზაფხულო, საშემოდგომო ან თემატური გამოფენა იმართებოდა სამხატვრო გალერეაში, მხოლოდ გახსნის წინ დაფაცურდებოდნენ და სადღაც კუთხეში მიგდებულ, დიდი ხნის წინ შექმნილ სურათს მიიტანდნენ გამოსაფენად... არადა, დაუწერელი კანონია: თუ პროფესიონალი ხარ, მუდმივად უნდა მუშაობდე, ნაყოფიერი უნდა იყო! პაბლო რუის პიკასომ ორმოცდაათ ათასამდე ნამუშევარი შექმნა! მოიცვა სახვითი ხელოვნების ყველა დარგი: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, კერამიკა, თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება... ლექსებსაც წერდა!

– შენ რამ გიბიძგა, პირველად როდის დაიჭირე ფუნჯი ხელში?

– ზუსტად შემიძლია, გითხრა: ეს მოხდა 1980 წელს; გაგიკვირდება და მაშინ ორმოცი წლის ასაკს გვარიანად ვიყავი გადაცილებული – ეტყობა, ყველაფერში გვიან "ვმწიფდები". 1980-1992 წლებში ჩემს ოჯახთან ერთად ყოველ ზაფხულს დასასვენებლად ბაკურიანს ვესტუმრებოდი ხოლმე. ჰოდა, 1980 წლის ივლისი იყო, სწორედ ბაკურიანში ვიყავით და ამ დროს იქაურ უნივერმაღში გუაშის სასწავლო საღებავების კომპლექტები და სახატავი ალბომები თვალის დახამხამებაში გაქრა: დამსვენებელ ბავშვებში ხატვის "ეპიდემია" გავრცელდა. რასაკვირველია, ჩემი ვაჟებიც, ბესიკი და დათუნა, აჰყვნენ საყოველთაო გატაცების ტალღას და მაყიდინეს რამდენიმე ყუთი საღებავებისა, ფუნჯები, სახატავი ალბომები და ისინიც დიდი გულმოდგინებით ხატავდნენ თითქმის დილიდან საღამომდე. მაგრამ რამდენიმე დღეში ეს გართობა თუ თამაშობა მათ მობეზრდათ... მე თითქმის ყოველდღე თბილისში დარჩენილ დედაჩემსა და ჩემს დას წერილს ვწერდი ოთხი წლის დათუნასა და ხუთი წლის ბესარიონის სახელით ბიჭების გმირობების ამბების აღწერით და იმ დღის ღირსშესანიშნავი სხვა მოვლენების შესახებ. ერთ გვიან საღამოს, როცა ლიასა და ბავშვებს უკვე ეძინათ, მაგიდას ვუჯექი, მორიგი წერილის დაწერას ვაპრებდი და ამ დროს შევამჩნე ბიჭების მიერ მიტოვებული სახატავი მოწყობილობა. რატომღაც ფუნჯი ავიღე, წყლიან ჭიქაში დავასველე და სუფთა ფურცლის თავში გუაშით დავიწყე რაღაცის ხატვა... თავდაპირველად მეც არ ვიცოდი, რის დახატვას ვაპირებდი, ბოლოს კი გამომივდა პეიზაჟი! იმ პეიზაჟს ქვევით დავწერე წერილი... მომავალ დღეებშიც განვაგრძე წერილის წინ გუაშით შესრულებული სურათის წამძღვარება...

– და გახდი – მამილო იოსები!

– მაცალე, დასაცინი საკუთარი თავი გაბია!.. შემდგომ წლებშიც წერილის თავში ნახატს ვურთავდი, ოღონდ – გრაფიკულს; ამისთვის ყოველთვის თან დამქონდა სახატავი ალბომი და პასტიანი ავტოკალმით წინდაწინ ჩავიხატავდი, თუკი ბაკურიანში ან ტყეში ხეტიალისას რაიმე მომეწონებოდა. ნელ-ნელა ფერწერასაც შევბედე: თბილისიდან საგანგებოდ წაღებული აკვარელით ვმუშაობდი ვატმანის დიდ ფურცლებზე – თითქმის ყოველთვის მხოლოდ პეიზაჟებს ვასრულებდი. რატომღაც აკვარელის ნამუშევრებს გრაფიკას მიაკუთვნებენ ხოლმე, რაც მართებული არ მგონია. გაგახსენებ: 2009 წელს ეს წერილები, ჩემი მეუღლისადმი მიწერილ სხვა წერილებთან ერთად, წიგნად გამოვეცი, ვუწოდე ჩვენი ოჯახის წევრთა წინა ასოებისგან შემდგარი სახელი "სობედალია": სოსო + ბესო + დათუნა + ლია – და ვუძღვენი ლიას. გული მწყდება, რომ ის ძველი ჩანახატები არ დავურთე წერილებს – პასტიანი კალმით ჩანახატების გაკეთება წერილების თავში დავიწყე უფრო ადრე, 1977 წლიდან, როცა ზაფხულში ერთაწმინდაში ვისვენებდით მე, ლია და ერთი წლის ბესარიონი, დათუნა კი ჯერ არ იყო დაბადებული... შემდგომ, 2003 წელს გამოცემულ ჩემს მოთხრობების კრებულში "მხიარული ზაფხული ბაკურიანში", რომელიც შთაგონებული იყო ბაკურიანში გატარებული ზაფხულებით, ყოველ მოთხრობას წინ წავუმძღვარე სწორედ ძველ წერილებში გაკეთებული გრაფიკული ჩანახატები.

– ჰი-ჰი-ჰი!..

– რა იყო დიდყურაც, რა გაცინებს?

– ერთი რაღაც წარმოვიდგინე... წარმოიდგინე, რომ მოხდა სასწაული და შენისთანა დამთხვეულს ძეგლი დაუდგეს – ვითარცა დიდ მოგზაურს ან, შენ თუ უფრო გაგიხარდება, დიდ მწერალს: ვირზე პირუკუღმა მჯდომი მამილო იოსები ამაყად გაჯგიმულ-წამოჭიმულხარ, თითქოს მთელი ქვეყნიერება შენს ფეხქვეშ ეგოს და თან ცხვირი ჩაყოფილი გაქვს წიგნში – მნახველი ვერცკი გაიგებს – კითხულობ თუ წერ რაღაცას ბრძნულს... არ გეშინია, რომ რამდენი ვინმეც შეგხედავს, სიცილით იტყვის: "ცხოვრებაში როგორი უკუღმართიც იყო, ისეთი, ფრიად შესაფერისი ძეგლიც უძღვნიათ მისი ხსოვნის-თვისო", ჰი-ჰი-ჰი!..

– ჰო, გაახარე, გაალაღე დაცინვის ჭია! შენ რაც მოგე-წონება კი ვიცი! მსოფლიოს უამრავ ქალაქში, უფრო კი – დედაქალაქში, უამრავზე უამრავი ცხენოსანი ძეგლია: ჯიშიან ბედაურზე, ხშირად – ყალყზე შემდგარზე, ამხედრებული მეფისა თუ მხედართმთავრის დიდებული ფიგურა: ვარსკვლავ-ორდენებით დახუნძლული, ხმალგაშიშვლებული, კადნიერად თავაღერილი, – სადღაც შო-

რეთს გასცქერის და კვარცხლბეკთან მღოღავ ადამიანებს ვერ ამჩნევს... მე რომ მკითხო, ყეყეჩობის განსახიერებაა!..

— სოსო ბატონო, ჯობს, შენს ბოგრაფიას დაუბრუნდე... რამდენჯერ დაიწყე და თავი ვერ მოაბი, ყოველთვის სადღაც სხვაგან გაუხვევ ხოლმე!

— კეთილი, თუ მაცლი, შევეცდები, გავაგრძელო ჩემი ბიოგრაფიის შესახებ თხრობა... ჯობს, თავიდან დავიწყო... მართალი გითხრა, ღირსშესანიშნავი მასში ბევრი არაფერია. მშობლებისთვის მე პირველი შვილი ვიყავი, დავიბადე 1936 წლის 19 სექტემბერს, ქალაქ ბათუმში, სამშობიაროში, რომელიც მდებარეობდა ეგრეთწოდებულ "გარადოკში", როგორც იქაურები უწოდებენ. შემდგომში იქვე დაიბადა ჩემი დაც — გულიკო, 1938 წლის 19 იანვარს. ბათუმისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გრძნობა მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ თვით ქალაქში არასდროს მიცხოვრია. ყოველი იქ ჩასვლა და მის ქუჩებში გავლა ჩემთვის ნამდვილი დღესასწაულია!

მშობლები იმ დროს ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ბათუმთან ახლოს, მწვანე კონცხზე — მსგავსი სილამაზის ადგილი არსად მეგულება, არადა, გეოლოგის ცხოვრებამ სად არ მატარა; ეს არე-მიდამო ჩემთვის სიცოცხლის ბოლომდე უსაყვარლეს ადგილად დარჩება! ეს გრძნობა აირეკლა ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში "სევდა მსრბოლი დროისა", რომელიც სამი ნაწილისგან შედგება: "მწვანე კონცხი", "გახსენება" და "მეწიეთი". დეიდაჩემმა ანა ცხოიძემ, რომელმაც მწვანე კონცხზე 65 წელიწადი იცხოვრა, მიამბო: როცა 1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ აჭარა ბერლინის ტრაქტატით რუსეთს გადაეცა, მწვანე კონცხის ადგილზე გაუვალი ტყე ყოფილა, იქ გარეულ ღორზე ნადირობდნენ თურმე. შემდგომ რუსმა მოხელეებმა და გენერლებმა დაიწყეს ტყის გაკაფვა და საკუთარი აგარაკების მოწყობა: ბელუცკიმ, ფაშა ზადემ, ბარათოვმა, მუატმა, დევისონმა...

დედაჩემი — ვენერა ილარიონის ასული ცხოიძე (1906-1985 წწ.) დაიბადა მრავალშვილიანი ღარიბი გლეხის ოჯახში, დღევანდელი ჩოხატაურის რაიონის მთის პატარა სოფელ მეწიეთში, რომელიც ბარში გაწოლილ დიდ სოფელს, ხიდისთავს, უშუალოდ ეკვრის... სხვათა შორის, ხიდისთავმა და მისმა შემოგარენმა მრავლად შვა ფირალები, რევოლუციონერები, მწერლები, მხატვრები და მეცნიერები, მათ შორის: მწერლები — ჭოლა ლომთათიძე, ლავროსი კალანდაძე, ანა კალანდაძე, ნოდარ დუმბაძე, ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე, მხატვარი ედმონდ კალანდაძე... დედაჩემი პატარა, შავგვრემანი ქალი იყო, სახის ნატიფი ნაკვთებით (მისი დები და ძმაც სილამაზით გამოირჩეოდნენ; დედაჩემისგან განსხვავებით, თეთრ-ყირმიზნი იყვნენ), ძალიან დაბალი, ახალგაზრდობაში — მეტისმეტად გამხდარი, ხანდაზმულობისას — ძალიან გასუქდა (ამგვარი რამ გენეტიკურად მოსდგამდათ ცხოიძეებს და დედისგან მეც გამომყვა)... ახასიათებდა გასაოცარი ჭირთათმენა, მუყაითობა, მიზანსწრაფულობა და ცხოველი ინტერესი ყველაფრისადმი; თითქმის მთელი ცხოვრება ნივთიერ გაჭირვებასთან ყოველდღიურ ბრძოლაში გაატარა... ბებიაჩემი, დედაჩემის დედა, იყო რებეკა სიმონის ასული სირაძე (1881–1970 წწ.), დაბადებული სოფელ ვანისქედში, ხოლო მამა — ილარიონ ცხოიძე. დედაჩემს მამა ადრე გარდაეცვალა: პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, 1914 წელს, ტიფით, თუ არ ვცდები — ქალაქ ნოვოროსიისკში, სადაც იგი მუშაობდა ცემენტის ქარხანაში მუშად (გაჭირვების გამო, იძულებული გახდა, ასე შორს წასულიყო სამუშაოს საშოვნელად). ამ დროს ბებიაჩემი ფეხმძიმედ იყო მეექვსე შვილზე და ჩემი საყვარელი დეიდა ანიკო მამამისს არ უნახავს. რამდენიმე შტრიხი დედაჩემის გენეალოგიიდან: მის ბაბუას, ილარიონის მამას, გიორგი ცხოიძეს, ჰყავდა ხუთი შვილი და ორმოცდაშვიდი(!) შვილიშვილი! გიორგის უფროს ქალიშვილს ბულბულოს შეეძინა თვრამეტი შვილი, მეორე ქალიშვილს, მაგდანას — ცამეტი! ბაბუაჩემ ილარიონს ექვსი შვილი შეეძინა, ორნი ადრეულ ასაკში გარდაიცვალნენ და დედაჩემს შერჩა ორი და — პასიკო და ანა — და ერთი ძმა — გერმანე. ცხოიძეების გვარის წარმომავლობის შესახებ დეიდაჩემ ანასგან ჩაწერილი მაქვს შემდეგი: "ბავშვობისას მე ასე გამიგონია: ქალი მოუტაცია ვიღაც ჩხეიძეს და გურიაში გადმოხვეწილა, გვარიც შეუცვლია".

მამაჩემი — ბესარიონ დავითის ძე ომაძე (1906-1941 წწ.) — დაიბადა გორის რაიონის სოფელ ფხვენისში, ისიც ღარიბი გლეხის ოჯახში. შიდა ქართლის ვაკეზე, დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე გაშენებული ფხვენისი რომ ძველთაძველი და დიდებული წარსულის სოფელია, ამას ისიც მოწმობს, რომ "ქართლის ცხოვრებაში" არის მოხსენიებული. პაპაჩემ დავითს შვიდი შვილი ჰყავდა — ოთხი ვაჟი და სამი ქალი და ოცზე ბევრად მეტი შვილიშვილი. მეორე მსოფლიო ომის დროს ვაჟები ჯარში გაიწვიეს და ყველანი დაიღუპნენ. უფროსი იყო გუცა, მას დარჩა ოთხი შვილი: ლურსაბი, შოთა, დათიკო და დოდო; კოლასაც (ნიკოლოზს) ოთხი შვილი ჰყავდა: შალვა, ეთერ, ქეთო და ელენე; არჩილმა დაქორწინება ვერ მოასწრო; მამაჩემს, ბესარიონს კი ორნი ვყავდით. ჩემი მამიდები იყვნენ: ნატაშა (ნატალია, არ ვიცი, რამდენი შვილი ჰყავდა), მაშო (მარიამი, ჰყავდა ექვსი შვილი: ვასო, შალიკო, ნოდარი, ნინო, ტერეზა და პელო) და მათიკო (ეყოლა ოთხი შვილი: მანანა, ტასო, გერმანა და ზაქრო). აქვე უნდა ვთქვა დიდად საყურადღებო და ყველასთვის ცნობილი რამ: საქართველო და ქართველი ხალხი მნიშვნელოვანწილად მრავალშვილიანობის ტრადიციამ გადაარჩინა გადაშენებას, რაიც დღეს, დიდად სამწუხაროდ, მივიწყებულია...

მე მამაჩემი ბუნდოვნად მახსოვს – ხუთი წლისაც არ ვიყავი, როცა ფრონტზე წავიდა; დეიდაჩემი ანიკო მას ამგვარად იგონებდა: "ბესარიონი სერიოზული, სოლიდური კაცი იყო, ძალიან გამხდარი და ძალიან კოხტა, თუმცა შეუხედავი: კბილები ჰქონდა მეჩხერი და ცოტა წინ წამოწეული, ამიტომ სიცილს გაურბოდა. კოხტად ჩაცმა უყვარდა, ძალიან კოხტა სიარული იცოდა, კოხტა ხელ-ფეხი ჰქონდა; როცა დადიოდა, თვალები უცინოდა, ძალიან ეშმაკი კაცი იყო". მაშინ არ მიკითხავს დეიდაჩემისთვის და ახლა ვმარჩიელობ: ნეტავ რას გულისხმობდა ამ "ეშმაკობაში"? მამაჩემს ფოტოსურათებში რატომღაც ყველგან მეტად სერიოზული იერი აქვს...

რა განათლება ჰქონდა მამაჩემს, არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ რაღაც პარტიული კურსები ჰქონდა დამთავრებული თბილისში და დედაჩემის გაცნობის დროს მუშაობდა ბათუმის (მწვანე კონცხის) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. ჩემს ოჯახში შემორჩენილია ფოტოსურათი, რომელსაც ზევით აწერია: "საქ.კპ(ბ)-თან არსებული პროპაგანდისტთა რესპუბლიკანური(!) სკოლის მეორე გამოშვება. 1938 წ.", ორმოცდაექვს ოვალურ პორტრეტს შორის ერთი მამაჩემისაც არის. ადრე დედაჩემმა თბილისში დაამთავრა მუშათა ფაკულტეტი (მუშფაკი), შემოგვრჩა ცნობილ ფოტოგრაფ ჟვანიას მიერ გადაღებული ჯგუფური ფოტოსურათი, რომელსაც ქვემოთ ხელით, მელნით აწერია: "სახ. უნივ. არსებ. ქართ. მუშ-ფაკის მსმენელთა და ლექტორთა საერთო სურათი გადაღებული 15/VI 25 წ.". ორასზე მეტ ადამიანს შორის ძლივს მოვძებნე დედაჩემი – მარცხენა ქვედა კუთხეში. შემდეგ დედაჩემი გაემგზავრა ლენინგრადში და სწავლა დაიწყო სამედიცინო ინსტიტუტში, მაგრამ პირველსავე კურსიდან გამოვიდა (ვერ აიტანა "ანატომიური თეატრის" პრაქტიკუმები) და გადავიდა ლენინგრადის უნივერსიტეტში – სწავლა განაგრძო ბიოლოგიური ფაკულტეტის მცენარეთა ფიზიოლოგიის სპეციალობაზე. 1933 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ, მცირე ხანს მუშაობდა ქალაქ ტორჟოკში, მესელეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მეცნიერ მუშაკად. ეს ბაღი მწვანე კონცხზე მდებარეობს, ბათუმთან ახლოს. მწვანე კონცხზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მუშაობდა ამ დროს მამაჩემიც, აქ გაიცნეს ერთმანეთი და შეუღლდნენ 1935 წელს.

ჩვენი მშობლები მუშაობდნენ და პატარები – მე და ჩემი და – ბებია რებეკას თბილ და ტკბილ კალთაში გავიზარდეთ. ადრეც ვთქვი: ბებიას ექვსი შვილი ჰყავდა, ამათგან ერთი ქალიშვილი დაბადებიდან მოკლე ხანში გარდაიცვალა, მეორე, ჩიტო, 10 წლისა იმსხვერპლა რომელიღაც ინფექციურმა ავადმყოფობამ, დანარჩენები სიცოცხლის ხანგრძლივობით გამოირჩეოდნენ, ისევე, როგორც რებეკა ბებია – მან თითქმის ოთხმოცდაათი წლის ასაკს მიაღწია. მისი შვილებიდან ყველაზე უფროსი იყო პასიკო (1904-1989 წწ., ჰყავდა ოთხი შვილი: ვალიდა, ზინა, ნათელა და გიორგი, შინაურობაში – ჟორა), შემდეგ მოდიოდნენ: დედაჩემი ვენერა, გერმანე (1908-1986 წწ., შვილი – თამარ, შინაურობაში – თამილა) და ანიკო (1914-2001 წწ., შვილი – იური; დეიდაჩემის ქმარს, ბენედიქტეს, – შინაურობაში ვენეს ეძახდნენ, – უნდოდა, მამამისის, იუსტინეს სახელი დაერქმია შვილისთვის, მაგრამ რატომღაც ეხამუშათ, პატარა ბავშვს იუსტინე როგორ დავუძახოთო და, ბოლოს, იურიზე შეჩერდნენ – იუსტინეს მაინც ჰგავსო). ძველად გურიაში, ასევე – საქართველოს სხვა კუთხეებშიც, სოფლად ჩვეულებრივი იყო მეტსახელები ანუ თიკუნები. მაგალითად, დედაჩემს ეძახდნენ შატუნას – შავგვრემანი იყო, ანიკო დეიდას – ბათურას, პუტკუნა იყო, გერმანე ბიძიას – ლოთიას... ჩემს დეიდაშვილებს ასეთი თიკუნები ჰქონდათ: ვალიდას – ტუპუა, "ჩატუპუნებული", სავსე ტუჩები ჰქონდა, ზინას – დეფენა, დელფინივით მსუქანი და მკვრივი იყო; ყველას მეტსახელები დაარქვა ბებიაჩემმა რებეკამ. დეიდაჩემ ანას მეუღლე ბენედიქტე ხავთასიც – ვენე ბიძია – ყველას თავისებურად "ნათლავდა"; მაგალითად, მეუღლისთვის მის სიცოცხლეში არასდროს სახელით არ მიუმართავს, ეძახდა კუკის, საკუთარ ვაჟს, იურის, უწოდებდა მუტაფიას, ალბათ – "მუსტაფას" მოფერებით ფორმას, მე – კოსიმელას, ჩემს დას – ეფიზოს... ამ მეტსახელების წარმომავლობა ჩემთვის უცნობია, მეტყველებს კი ვენე ბიძიას ფანტაზიაზე... სხვათა შორის, ოც წელიწადზე მეტხანს სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე და არ დაუმთავრებია! ბარემ აქვე დავძენ, რომ ანიკო დეიდასა და ვენე ბიძიასგან მე და ჩემს დას დიდი სითბო და სიყვარული გვახსოვს – ობლებს, თავისი შვილისგან არ გვანსხვავებდნენ. ძალიან მწყინს, რომ ანიკო დეიდასა და ბიძია ვენეს, ისევე, როგორც უამრავ სხვა კეთილ ადამიანს, რომლებმაც ჩემს ბავშვობაში, საზოგადო გაჭირვების ჟამს, ობლობის სუსხი შეგვიმსუბუქეს, მათ სიცოცხლეში საკმარისი პატივი ვერ მივაგე... ახლა კი ისღა დამრჩენია, რომ ამ წიგნში მაინც გავიხსენო მათი ღვაწლი დიდი სიყვარულით...

1966 წელს, უკვე ოცდაათი წლისამ, ჩავიწერე 84 წლის ბებიის ნაამბობიდან ზოგიერთი რამ (ახლა ვნანობ, ასჯერ მეტი შემეძლო ჩამეწერა – უაღრესად ძვირფასი მოგონებები). აი, ზოგიერთი მათგანი.

სოფელ ვანისქედში ბატონად იყო გოგიბერიძე. ვიღაცამ შინაყმებიდან გააღო სამტრედის კარი და გაიფრინა ხოხბები და მტრედები.

ქალბატონი იჯდა ტახტზე და მოახსენეს:

— ქალბატონო, თქვენი რისხვა ნუ გამიწყრება! შით აფერი აღარაა!

— რაში, ბიჭო?

— სამტრედეში...

— უი, უი, უი!.. — და ქალბატონი ტახტიდან ჩამოცურდა წინ დაგებულ ნოხზე — ეს მის უკიდურეს გულისწყრომას ნიშნავდა.

ბატონს ჰყავდა მასხარა კოსანდილე (ალბათ — კონსტანტინე) ჯაში; ამგვარი გამრთობები სხვა ბატონებსაც ჰყავდათ — ანუსიე, ნიკოლიკე და სხვები. ისინი არ მუშაობდნენ, ბატონებს თავს აქცევიებდნენ, განსაკუთრებით — მოლხინისას დაუძახებდნენ ხოლმე. ბატონები მუდმივად მოილხენდნენ, ერთობოდნენ — ხან ერთთან, ხან მეორესთან და ასე გადადიოდნენ ოჯახიდან ოჯახში ქეიფ-ქეიფობით.

სოფელში იყო ერთი გლეხი, პავლე სეფერთელაძე; მეტსახელად დაარქვეს "კუდრაჭე", რადგან ბატონს მიბაძა და მისი ფასონის ჩოხა-ახალუხი შეაკერინა, ქილები (მასრები) ხის გამოთალა და გაიკეთა; ნამდვილი მასრები ოქროს წყალში ამოვლებული ვერცხლისა იყო.

რებეკოს მამის ბებიას, შარაშიძის ქალს, ოზურგეთიდან მზითევში ყმა მოჰყვა, გვარად რუსეიშვილი და რებეკოს მამის ბაბუამ გაანთავისუფლა — საიდანაც მოხვედი, იქ წადიო, შეეცოდა.

ბავშვობისას რებეკოს მამამ, სიმონმა, მოინდომა სწავლა და დედამისმა თამარმა ქუთაისში გაგზავნა სკოლაში მასწავლებლებთან, მაგრამ იქ ძაღლმა უკბინა და ისევ სახლში დააბრუნა შეშინებულმა დედამ — ეს ერთი შვილი ჰყავდა.

თამარი იყო ბებიაქალი — ასზე მეტი ბავშვი ჰყავდა აყვანილი. მაშინ იცოდნენ "ლოგინის აღება": ქალი რომ მორჩებოდა, ბავშვს ტანს დაბანდნენ და ასე შედეგ. ვინც იქ იყო იმ დამეს და ეხმარებოდა, მათთვის პატარა სუფრას გააწყობდნენ. ბებიაქალს გაატანდნენ კალათით გოჭის ხორცს, ქათამს, ხაჭაპურს ყველზე მოყრილი ბროწეულის მარცვლებით — ბაღანე ფერიანი იქნებაო, ხილს. კალათი მიჰქონდა პატარა ბიჭს, რომელიც ბებიაქალს მიჰყვებოდა. ამ დღეს აცხობდნენ პურებს: მუშტის (მჯიღის), ფეხის ტერფის ფორმების — ბავშვი ღონიერი გამოვაო, დაურიგებდნენ ამ პურებს მეზობლის ბავშვებს; ისინი, გახარებულნი, დახტოდნენ ეზოში და თან ილუკმებოდნენ...

— ბიჯო, გლეხები რომ გყოლია წინაპრები დედის მხრიდანაც და მამის მხრიდანაც, ყველაფერში გეტყობა! — ქირქილებს სოლომონ ბრძენი.

— რა გაცინებს? დიახაც, მეამაყება, რომ ჩემი მამა-პაპანი მიწას ამუშავებდნენ, გადაბმული ქეიფ-დროსტარე-ბისთვის არ ეცალათ და ამის არც საშუალება ჰქონდათ... ბევრი რამ დადგა თავდაყირა ამ ბოლო დროს, აღარ გვიკვირს რეანიმაციის მცდელობა ისტორიის სანაგვეზე კარგა ხნის წინათ გადაყრილი თავადური ბრექიაობისა, მონარქიის აღდგენის მოთხოვნებიც გაისმის.

— თუკი არსებობს ასეთი აზრი, რას ხედავ ამაში ცუდს? ყველას აქვს უფლება, საკუთარი შეხედულება ჰქონდეს!

— რა თქმა უნდა, მე კი ასე ვფიქრობ: XX საუკუნეში უამრავი სახელმწიფო გამოეთხოვა მონარქიას, დღეს ეს ისტორიულად დრომოჭმული ინსტიტუტი მხოლოდ ორ ათეულ ქვეყანასღა თუ შემორჩა მსოფლიოში და რაღა ჩვენ ვიკლავთ თავს მის აღსადგენად? თანაც — ორასი წლის შემდეგ! დღეს სასაცილოდ ჟღერს თავადური გვარის წარმომადგენელთა პრეტენზიებიც მათი რაღაც გამორჩეულობის შესახებ... ბატონყმობის ინსტიტუტიც ხომ არ აღგვედგინა? კი, ბატონო, იამაყე შენი გვარით, რაც სავსებით ბუნებრივია და აუცილებელიც, — "გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!" — მაგრამ ნუ ცდილობ ამა თუ იმ ცნობილი გვარის ტარებით შენი განსაკუთრებულობის მტკიცებას. შენ შეგიძლია, გამოირჩე არა იმდენად სახელოვანი წინაპრის გვარის ტარებით, რამდენადაც საკუთარი ღვაწლით ხალხისა და სამშობლოს წინაშე. ისიც ნუ დაგავიწყდება, რომ დიდგვაროვანი თავადების ამბიციურობა, პირადულის პირველ პლანზე დაყენება ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ მეტისმეტად ძვირად დაუჯდა საქართველოს — ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქვეყნის ერთიანობის რღვევისა, შინა ომებისა, ქვეყნის დაქცევისა და გაჩანაგებისა, დამოუკიდებლობის დაკარგვისა...

— ბიჯო, სხვათა განქიქებას თავი გაანებე, შენს ამბებს აღარ მიუბრუნდები?

— კეთილი, კეთილი... რა მახსოვს ბავშვობის ადრეული წლებიდან? სამწუხაროდ, ბევრი არაფერი, ისიც — ბუნდოვნად. ზოგადად, ჩემი ცხოვრების ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა სრულებით არ მახსოვს; ის კი არა და, მთელი მოზრდილი პერიოდებიც ამოვარდნილია ჩემი მახსოვრობიდან, თითქოს ისინი არც არსებობდნენ, უკვალოდ დაიკარგნენ... ამასთან ერთად, მახსოვრობას შერჩა ფოტოგრაფიული სიზუსტით აღბეჭდილი რაღაც მცირე მომენტები, — წამიერი გაელვება რომ გაანათებს გარემოს, — ზოგი მართლაც დამახსოვრების ღირსი, სხვები — სრულიად უმნიშვნელო... აი, ერთი მათგანი: მწვანე კონცხზე ვცხოვრობთ; ალბათ სამი-ოთხი წლისა ვარ, ზამთარია, დიდი თოვლი მოვიდა და მე ეზოში დავრბივარ; რატომღაც ვცდილობ პალმის ხაოიან მრგვალ ტანზე აცოცებას, რა თქმა უნდა, უშედეგოდ... მამაჩემი ხუმრობით დამეჯაჯგურა, თოვლში სიცილით ერთად გადავკოტრიალდით...

როცა 1941 წელს გერმანიასთან ომი დაიწყო, მამაჩემი ფრონტზე წავიდა. არ მიჰყავდათ: ჯერ ერთი – "ჯავშანი" ჰქონდა, მეორეც – ავადმყოფი კაცი იყო, ფილტვები ჰქონდა სუსტი (ყოველ წელს მიდიოდა სამკურნალოდ: ხან – აბასთუმანში, ხან – ყირიმში). "როგორ, ჩემი სამშობლო განსაცდელშია და მე აქ, ზურგში დავრჩე?" – აღშფოთებული ეუბნებოდა თურმე სამედიცინო კომისიებს და იმდენი ქნა, რომ მაინც წავიდა ჯარში. ომის დასაწყისშივე, 1941 წლის დეკემბერში დაიღუპა – ავად სახსენებელი ქერჩის სადესანტო ოპერაციის ჩატარების დროს. სადესანტო ხომალდები არ ჰყოფნიდათ და მცირე სათევზაო გემებით და ლამის ტივებით გადაჰყავდათ მედესანტეები... თანაც, იმ ზამთრის სუსხიან ღამეს საშინელი შტორმი დაემთხვა და უამრავი გემი ჩაიძირა; ყინულივით წყალში მოხვედრილი მედესანტეები მხოლოდ რამდენიმე წუთს ძლებდნენ წყლის ზედაპირზე, მათი მშველელი კი არავინ ჩანდა... ისედაც შეთხელებული მედესანტეები ყირიმის ღრმად ეშელონირებულ, სამაგალითოდ გამაგრებულ სანაპირო დაცვის ზღუდეს რას დააკლებდნენ? ეს უგუნური, საოცრად არაპროფესიულად, მოუმზადებლად ჩატარებული ოპერაცია სამარცხვინოდ ჩაიფუშა და უამრავი ადამიანის, მათ შორის, უმთავრესად, ქართველის, უაზრო სიკვდილი გამოიწვია... (ქერჩ-ფეოდოსიის ოპერაცია, სხვა ოფიციალურ გამოცემათა კვალად, სულ სხვაგვარად არის აღწერილ-შეფასებული "ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში", ტომი 10, გვ. 503).

ცხადად ვატყობ: უმამობა, უკაცო ოჯახში გაზრდა ძალიან, ძალიან დაეტყო ჩემს პიროვნულად ჩამოყალიბებას. ეჰ, რამდენჯერ მომნატრებია მამაჩემი (თუმც არა მისი კონკრეტული ხატება, როგორც ვთქვი, იგი ბუნდოვნად თუღა მახსოვდა), – მოამაგე, დამცველი, დამრიგებელი და გზაზე დამაკვალიანებელი...

კიდევ რა დამამახსოვრდა ადრეული ბავშვობისა? მწვანე კონცხზე ხანდახან ბათუმის მხრიდან ბათქაბუთქი ისმოდა – ალბათ ფაშისტების ავიაცია პორტს ბომბავდა – და ჩვენი სახლის ფანჯრები ზრიალებდნენ (რომ არ ჩამსხვრეულიყვნენ, ქაღალდის წვრილი ზოლები ჰქონდათ შუშაზე ჯვარედინად დაწებებული)... სტუმართმოყვარე აჭარლების ოჯახი, რომელთა სახლშიც ვცხოვრობდით, მისი დიასახლისი, ხანდაზმული აიშე დეიდა, რაღაც უცხო, სასიამოვნო სუნი, – ყველისა თუ მაწვნისა, – საქონელი ჰყავდათ... ჩემი დიდი მეგობარი – ზღვა, რომლის მოლივლივე ზედაპირიც აივნიდან მოჩანდა... ბებიაჩემ რებეკას თბილი კალთა, სულ რომ დაგვფოფინებდა მე და ჩემს დას (დედაჩემი მთელი დღე სამუშაოდ იყო წასული ბოტანიკურ ბაღში). როცა პლაჟზე გაგვიყვანდა, მე ცალი ფეხის კანჭზე თოკს ჩამაბამდა და ისე გამიშვებდა წყალში საჭყუმპალაოდ. ერთხელ როგორღაც ისე მოხდა, რომ ეს თოკი გაიხსნა და მე საშუალება მომეცა, ჩვეულებრივზე უფრო ღრმად შევდგაფუნებულიყავი წყალში. უნდა გენახათ ბებიაჩემის შიში! გიჟივით შემოვარდა, ამომათრია წყლიდან და თან მეფერებოდა, თან საჯდომზე მირტყამდა გამხდარ ხელისგულს (ბებია ყოველთვის ძალიან გამხდარი მახსოვს), მთათხავდა და მემუქრებოდა, რომ აწი ზღვას თვალით აღარ დამანახვებდა... საოცრად თბილი და მოსიყვარულე მოხუცი იყო; ამ ხნის გავხდი და ვერ ვიხსენებ, რომ შემხვედროდეს მისებრ სათნო და მიმტევებელი ადამიანი. ცუდს არავიზე იტყოდა, როგორი სინდისგარეცხილიც უნდა ყოფილიყო მავანი; ვერ იტანდა ხმამაღალ სიტყვასაც კი, არამცთუ ჩხუბსა და აყალმაყალს, არასდროს დაიჭერდა ერთ-ერთის მხარეს... ყოველთვის ცდილობდა, შეერიგებინებინა ოჯახური კინკლაობის მონაწილენი. მისგან მცირედი წყენაც კი არავის ახსოვს, არადა, საოცრად მძიმე ცხოვრებისეული გზა განვლო. სულ მთლად ახალგაზრდა იყო, როცა დაქვრივდა და იმ ძნელბედობის ჟამს, XX საუკუნის დასაწყისში, ომების, რევოლუციებისა და ქაოსის, წარმოუდგენელი გაჭირვების დროს, გურიის მთის მიყრუებულ, მცირემიწიან, ღარიბ სოფელში, მეწიეთში (როგორც ადრეც აღვნიშნე, დღევანდელი ჩოხატაურის რაიონში, სოფელ ხიდისთავს ზემოთაა), მარტოდმარტოს მოუწია ოთხი შვილის გაზრდა და ფეხზე დაყენება... ამაში ამ რბილი ხასიათის ადამიანს უკიდურესი სიცოცხლის სიყვარული და უდრეკი სული ეხმარებოდა. სხვათა შორის, შემდგომ მისმა ორმა შვილმა უმაღლესი განათლება მიიღო. თვითონ მხოლოდ სოფლის ორკლასიანი სკოლა ჰქონდა დამთავრებული, ჩიფჩიფით, ტუჩების ცმაცუნით კითხულობდა; მახსოვს მისი საოცრად უშუალო და თბილი წერილები: წერდა ბატიფეხურად, დიდი, უსწორმასწორო ასოებით...

მოკლე ხანში დედაჩემი სამუშაოდ გადავიდა ქობულეთში, იქ არსებულ საკავშირო სამკურნალო და არომატულ მცენარეთა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ქობულეთის სადგურში თუ განყოფილებაში. ქობულეთშივე, 1943 წელს, შევედი საშუალო სკოლის I კლასში, რუსულ სექტორზე. ვსწავლობდი სუსტად, განსაკუთრებით არითმეტიკაში; ამის ბრალი ალბათ უფრო ის იყო, რომ უმეტეს დროს ბავშვურ გართობას ვანდომებდი. დედაჩემმა ჩემთვის დაიქირავა რეპეტიტორი, ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი, ძალიან სათნო. მახსოვს, ის ჩემთვის ყიდულობდა მოხალულ თხილს, რომელსაც ჩაის ჭიქით ყიდდნენ ქუჩაში. საერთოდ, საშინელი შიმშილობა იყო, ბავშვები პატარა ღელეში ვიჭერდით ლიფსიტებს, უფრო კი – თავკომბალებს, რომლებსაც შემდეგ ტაფაზე ვწვავდით და მივირთმევდით...

ადრეც აღვნიშნე: საოცარია, ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მეხსიერებას არ შემორჩება ხოლმე, ყოვლად ჩვეულებრივი, არაფრით ღირსშესანიშნავი კი მრავალი ათეული წლის შემდეგაც ისე

ცოცხლად წარმოგვიდგება, თითქოს გუშინ მომხდარიყოს. ახლაც მახსოვს, როგორ შემზარა ერთმა ალბათ ჩვეულებრივმა, მაგრამ პატარა ბიჭისთვის საზარელმა მოვლენამ: ჩვენს სახლთან შორიახლოს ღრმა არხია, მის ზედაპირზე მწვანე წყალმცენარეები ტივტივებენ... ამ არხზე გადებულ ხიდზე ვდგავარ მე, ექვსი-შვიდი წლის პატარა ბიჭი, და შეძრწუნებული, თვალგაფართოებული ვუყურებ: წყლიდან თავამოყოფილი გველის პირში ნახევრად გადაყლაპული ბაყაყი ფეხებს განწირულად აფართხალებს...

ერთხელ დაბნელებამდე გავერთე მეგობრებთან დამალობანას თამაშით, დედაჩემის ძახილს ყურადღებას არ ვაქცევდი. როცა საკმაოდ გვიან შინ დავბრუნდი, დედაჩემმა – ფიცხი ქალი იყო! – გემოზე მიმტყეპა. მე ღრიალით გამოვვარდი გარეთ და გავიქეცი... შემდგომ მეორე სართულიდან ეზოში გამოსული დედაჩემი დიდხანს მეძებდა, მეძახდა, დაბრუნდი შინო, მაგრამ მე ხმა არ გავეცი... უკვე შუაღამე იქნებოდა, როცა ჩუმად ავედი კიბეზე და იქ ბოლო საფეხურზე ჩამოვჯექი... გამეღვიძა, როცა ატირებულმა დედაჩემმა ხელი მომხვია.

მე და ჩემი და მალარიით დაავადდით, – დროდადრო შეგვაციებდა, გავყვითლდით, ძალიან გავხდით; ამის გამო დედაჩემმა გადაწყვიტა, საჩქაროდ დაგვეტოვებინა იქაურობა და გამოვმგზავრებულიყავით თბილისში. შემდგომ რაც მოხდა ჩემს ცხოვრებაში მოგვიანებით გიამბობ.

– სოსო ბატონო, მოკლედ მაინც თქვი რაღაც, დასკვნასავით.

– ძალიან არ შეგაწყენ თავს ჩემი პერსონის შესახებ ლაქლაქით და ორიოდე წინადადებით ვიტყვი, რომ, – ადრეც მოგახსენე, – ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში ვმუშაობდი გეოლოგად, ფეხით მოვლილი მაქვს მთელი საქართველო... ასე რომ, ხეტიალი მე არ მაკლდა და არც ღამის გათევა ღია ცის ქვეშ არის ჩემთვის უცხო ხილი, რაიც ალბათ მე და შენ, ჩემო ყროყინავ, წინაც გველის, თანაც – ბევრჯერ. დღემდე გამოიცა ჩემი ოცდაერთი წიგნი, მათ შორის – თოთხმეტი რომანი (სიმბოლური ტირაჟებისა და ბედუკუღმართი დროის გამო მათ თითქმის არავინ იცნობს – იქნებ სამართლიანადაც!) და, თუ ჩვენი მოგზაურობის შესახებ ამბის დასრულება დამცალდა, მას მეთხუთმეტე რომანად და ოცდამეორე წიგნად ვაქცევ. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მე უფრო ფიქრის კაცი ვარ, ვიდრე მოქმედებისა... ალბათ ამის გამოცაა, რომ ცოლის მოყვანა დამიგვიანდა: როცა ჩემი უფროსი ვაჟი დაიბადა, 40 წლისა ვიყავი.

– რატომ დაოჯახდი ასე გვიან, ნუთუ არავინ მოგწონდა?

– როგორ არა... ჩემს მიერ მოწონებული ყველა ქალიშვილი რომ გავიხსენო, ალბათ რამდენიმე ათეული დაითვლება, მაგრამ... დაოჯახება არც ისე მარტივი საკითხია; ძალიან მორიდებული ვიყავი, ვერ ვახერხებდი პირველი ნაბიჯის გადადგმას... ვერ წარმომედგინა, გოგოსთვის როგორ უნდა მეთქვა, მომწონხარო, მით უმეტეს – მიყვარხარო. რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა თითქოს საქმეს სასიკეთო პირი უჩანდა, მაგრამ ქალის მშობლებს არ მოუვედი თვალში – სიღარიბის გამო.

– რატომ იყავი ღარიბი? უმაღლესი განათლება მიიღე, მუშაობდი...

– მდიდარი ნამდვილად არ მეთქმოდა: როგორც ადრე მოგახსენე, ჩაცმა-დახურვისადმი სრულიად გულგრილი ვიყავი – ერთი ხელი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მქონდა ყოველთვის, ათასგზის შეკეთებული, რომელთაც წლობით ვატარებდი. ჩემი ხელფასი თითქმის მთლიანად მეხარჯებოდა წიგნების და გრამოფონის ფირფიტების შესაძენად – წარმოუდგენლად მიზიდავდა მუსიკა და ლიტერატურა... ნაყიდი წიგნები შინ მალულად მიმქონდა, დედაჩემის საყვედურის ასაცილებლად. არადა, ერთოთახიან ბინაში, სადაც დედასთან და დასთან ერთად ვცხოვრობდი, როგორ გინდა, დამალო მოტანილი წიგნები? აქ შეჩურთავ, იქ შეჩურთავ, მაგრამ სადამდე? ან, ადრე თუ გვიან ცოლი ხომ უნდა ითხოვო, სად მიგყავს? ალბათ ნაქირვებ ბინაში გადავიდოდი, თუკი ჩემისთანა უქონელს ვინმე ცოლობას დასთანხმდებოდა... შვილიშვილსაც ძალიან გვიან მოვესწარი – 2008 წელს უკვე 70 წელს გვარიანად გადაცილებულმა, პატარა სოსო ომაძის დაბადებით გავიხარე. არადა, რამდენიმე ჩემი კბილა მეგობრის შვილთაშვილები(!) უკვე სკოლაშიც დადიან... თუ ამ წიგნის დასრულება შევძელი, ვაპირებ, მისი კონტრტიტულიც დავამშვენო პაპა-შვილიშვილ ომაძეთა ახალი ფოტოპორტრეტით, როგორც ეს ჩემი ბოლო ოთხი რომანის გამოცემისას გავაკეთე.

– ახალგაზრდობაშიც მართლა შერეკილი ყოფილხარ! ბევრია ნეტავ კიდევ შენნაირი?

– წიგნებზე უსაზღვროდ შეყვარებული არც ისეთი იშვიათი ხილია, შენ რომ გგონია... ერთი მათგანი იყო ჩემი სეხნია, სოსო გრიშაშვილი – ბრწყინვალე პიროვნება და ყველასთვის საყვარელი დიდი პოეტი. მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი – მაშინდელ ლენინის ქუჩაზე, ფილარმონიის დარბაზის პირდაპირ მდებარე წიგნის მაღაზიაში. მახსოვს, მრავალ სხვა წიგნთან ერთად, ნაყიდი ჰქონდა ვლადიმერ მაიაკოვსკის ორტომეული – წითელყდიანი, მცირე ფორმატის გამოცემა (მეც ვიყიდე). გამყიდველმა გოგონამ შეძენილი წიგნები ქაღალდში შეუფუთა, თან შეწუხებული სახე ჰქონდა: თუმცა სოსო იმავე სახლში ცხოვრობდა, რომელშიც ეს მაღაზია იყო განთავსებული, მაშინ უკვე საკმაოდ მოხუცებული იყო, ადრეულად ძალიან მოტეხილი და როგორ უნდა წაეღო საკმაოდ მძიმე შენაძენი?.. ერთი რამ ძალზე საოცარია: სოსო ობლობაში გაიზარდა, მისი სულიერი განვითარებისთვის არავის უზრუნია და რა უდიდესი ცნობისწადილი ჰქონდა ბუნებით მომადლებული, რომ მხო-

ლოდ საქვეყნოდ ცნობილი პოეტი კი არ გახდა, რომლის ლექსებზეც დაწერილ სიმღერებს მთელი საქართველო მღეროდა, არამედ ფრიად საინტერესო ლიტერატურათმცოდნეობითი შრომებიც შექმნა, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრადაც აირჩიეს!..

— არ გამოელაპარაკე? ავტოგრაფის მოცემა გეთხოვა...

— ხომ გითხარი, ბავშვობიდანვე მეტისმეტად მორიდებული ვიყავი, ვით გავბედავდი? თუმცა, ისეთი გულთბილი და ყურადღებიანი კაცი იყო ჩვენი ტკბილი სოსო, უარს არ მეტყოდა... სოსო ხომ ყველაფერში გენიოსი იყო — პოეზიაშიც, ბიბლიოფილობაშიც, სასიყვარულო ურთიერთობებშიც, საზოგადო მოღვაწეობაშიც... ოჯახს ხანდაზმულ ასაკში მოეკიდა და ნახევარი საუკუნის განმავლობაში რუდუნებით შეკრებილი წიგნები, აფიშები და სხვა მასალები ანდერძით ქართველ ხალხს დაუტოვა. თავი დაიზღვია: ჩემი სიკვდილის შემდეგ ამდენი ხნის ნაგროვებ და ნალოლიავებ ბიბლიოთეკას მემკვიდრეები გაანიავებენო, არადა, მისი მეუღლე იყო მშვენიერი მანდილისანი და გამოჩენილი მომღერალი ქეთო ჯაფარიძე... მის მუზეუმ-ბიბლიოთეკაში ინახება ისეთი წიგნები, რომლებიც არცერთ სხვა ბიბლიოთეკაში არ არის, ერთადერთი ეგზემპლარებია; ეს ეხება განსაკუთრებით XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ეპოქის სახალხო პოეტების პოეტურ კრებულებს. რა თქმა უნდა, მასთან შედარებას ფიქრადაც ვერ გავივლებ, მაგრამ გავკადნიერდები და, რადგან სიტყვამ მოიტანა, ჩემს შესახებაც ვიტყვი: მეც არავინ მყავდა დამრიგებელი, სულ მარტო ვიყავი და ჩემით ვიკვალავდი გზას.

— მაგარი ბრექია ხომ არ ბრძანდები?

— არა მგონია... რა მაქვს სატრაბახო? ორი ათეული წიგნი რომ დავწერე? სასაცილოა... ალექსანდრე დიუმა-მამის შემოქმედება 300 ტომზე მეტს მოიცავს, ლოპე დე ვეგამ, გარდა რომანებისა და რამდენიმე ათეული პოემისა, ორ ათასზე მეტი პიესა შექმნა, წარმოგიდგენია? პოლონელმა იუზეფ კრაშევსკიმ 300 მხოლოდ რომანი დაწერა... უზარმაზარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დატოვეს კომპოზიტორებმა: ანტონიო ვივალდიმ, იოჰან სებასტიან ბახმა, გეორგ ფრიდრიხ ჰენდელმა, იოზეფ ჰაიდნმა, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტმა და მრავალმა სხვამ, აღარას ვამბობ ნაწარმოებთა უმაღლეს ხარისხზე. ფრანც შუბერტმა მხოლოდ 31 წელი იცოცხლა და გიგანტური რაოდენობის ნაწარმოები შექმნა — ექვსასზე მეტი მხოლოდ სიმღერები! ადრეც ხომ გითხარი: პაბლო რუის პიკასომ ორმოცდაათ ათასამდე ნამუშევარი შექმნა!.. მე თუ მხოლოდ ერთი უცხო ენა ვიცი, რუსული, რომელიც საქართველოში თითქმის ყველამ იცოდა, იყვნენ პოლიგლოტები, რომლებიც უამრავ ენას დაეუფლნენ; ქართველებიდან მხოლოდ ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილისა და გიორგი ახვლედიანის დასახელებაცაა საკმარისი, ამასთანავე, მათ მოცულობით დიდი და ფრიად ღირებული მეცნიერული მემკვიდრეობაც დაგვიტოვეს. დიახ, მე რა მაქვს სატრაბახო? მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ ბევრი რამის სწავლა და ბევრი რამის გაკეთება ვერ შევძელი.

— არა უშავს რა, შენ ისე აიწყვიტე ამ სიბერის ჟამს, კიდევ ბევრის გაკეთებას მოასწრებ!

— შენს პირს შაქარი!

— აკი წყნარი და ჩუმი კაცი ვარო...

— ეგრე მგონია... ბუნებით ძალიან მგრძნობიარე ვარ, მეტისმეტადაც კი, მაგრამ გარეგნულად არ ვამჟღავნებ; ფრიად თავშეკავებული ვარ, რაიც ალბათ მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია სწორედ ჩემი მორიდებულობით... აი, როცა კალამს ვიღებ ხელში, სულ სხვა კაცი ვხდები — თამამი!.. ფანტაზიებში გადავვარდები ხოლმე!

— თამამი კი არა, ბრექია! ეგ შენი თავმოსაწონი სითამამე სინამდვილეში უფრო ჰგავს ბუნებრივი სიმხდალის კომპენსაციის სურვილს! მშიშარა ხომ არ ბრძანდები?

— რა ვიცი, იქნებ ასეც გახლავს... კი, რამდენჯერმე მქონია ისეთი შემთხვევა, როცა უკან დამიხევია და შემდეგ საკუთარ თავს წავჩხუბებივარ სიმხდალის გამო... ბატონო სოლომონ ბრძენო, ახლა კი დროა, შენს შესახებაც მიამბო! ვინ იყვნენ შენი მშობლები? სად დაიბადე და გაიზარდე? ვინ იყო შენი პატრონი, რატომ გაგყიდა? როგორ შეგელია ასეთ დიდყურა საუნჯესა, ჰა? თქვენი უყროყინესობის შესახებ ყველაფერს თუ დაწვრილებით მომახსენებ, დიდად მადლიერი დაგრჩები...

კარი VI.
სოლომონ ბრძენი მიყვება საკუთარ და პაპა სულხანის ამბავსა. შემდგომ ვაგრძელებთ საუბარს

— სად არის ჩემი ფესვები? — ყურები გააპარტყუნა ყურდიდამ, კისერი მოღრიცა და ცერად გამომხედა, — ამის მიხვედრას რა დიდი სოლომონ ბრძენობა სჭირდება, რა თქმა უნდა, ქიზიყში! ერთიც უნდა გისაყვედურო: მოგეხსენება, ქიზიყში ბატონყმობა არასდროს ყოფილა და შენგან ეგეთი

მომართვა – ბატონობითა – მეხამუშა... ჩვენთან ერთმანეთს სხვანაირად მივმართავთ: “ეი, შენ, ვერანა!”. მე ერთ სოფელში დავიბადე, – ბოდბეში, უფრო ზუსტადა – ქვემო ბოდბეში; ჰოდა, მე რო მოვევლინე ქვეყნიერებასა, ათი წლის ყმაწვილს აჩუქეს ჩემი თავი – დავითსა, დათოსა, დათიკოსა, დათუნასა, დათუჩასა... – ვისაც როგოც გაუხარდებოდა, ისე ეძახდა. ჰოდა, ერთად ვიზრდებოდით მხიარულადა, უდარდელადა – ვთამაშობდით, ვერთობოდით, ვიყავით ერთ ამბავში, სანამ ცოტა წამოვიზარდე... მერე წაიყვანეს დედაჩემი ბოდბის ბაზრობასა და გაჰყიდეს, მა რას უზამდნენ – აი, ზუსტად ისე, როგორც რომა მემრე მეც გამყიდეს... ერთი წლისას დამადგეს ლამაზად უნაგირი და დამთავრდა ჩემი უქმად ხეტიალიცა და მწვანე კორდზე უზრუნველი თამაშ-კოტრიალიცა. კოხტა ვირი დავდექ, მაშა, შენც კარგა ხედავ შენი ბედნიერი თვალებითა, ჰოდა, წამიყვანდა ხოლმე მე პაპა სულხან სოფლის გარეთ ნაკვეთში დილაადრიანადა; ის და მისი შვილიშვილი დათიკო ბაღ-ვენახში საქმიანობდნენ, მე კი საბალახოდ გამიშვებდნენ. საღამოს პაპა ეტყოდა, მიდი, ბიჯო, ის ვერანა წამაიყვა, მე დაღლილი ვარო. იმასაც მეტი რა უნდოდა, ჩამაირბენდა ქვევითა, – იქ მცირე ჭალაკი იყო, საცა მე ვნებივრობდი, – შამჯდებოდა და გამაჭენებდა. სახლამდე სულ ასე, ჭენებ-ჭენებით ვატარებდი. ისე შამაჩვია, რო არც შეძახება მჭირდებოდა, არც სახრის მომარჯვება – შამჯდებოდა თუ არა, მე მაშინვე თავისით მოვწყდებოდი ადგილიდანა და გავუტევდით შინისკენა ჭენებ-ჭენებითა. ერთხელაც პაპას ვერ წავყე ვენახში – დათიკომ საფქვავი გადამკიდა ტომრითა, ზედაც შამჯდა და წისქვილში წავედით... ნაფქვავი წამავიღეთ და მემრე ბიჭმა ვენახში ჩამიყვანა, პაპასთანა, თვითონ სადღაც წავიდა. საღამოს პაპამ მოათავა თავისი საქმიანობა, ჩამოვიდა ჭალაში ჩემთანა და შამჯდა თუ არა, გიჟივით გავიჭერ წინა, კინაღამ გადმოვაგდე! გავრბივარ მენა, პაპა თავს ძლივ იმაგრებს, ცალ ხელში ბარი უჭირავ, იღლიაში აქვ ამოჩრილი ტარი შუბივითა, გეგონება, იერიში მიაქვს მტერზეო. ახლა სოფელში რომ შავედით, პაპას ჩამოსვლა უნდა, ვირზე ჯდომა სირცხვილად ითვლება, ბალღი ხო არ არი შვილიშვილივითა... რას ჩამოვა, სახლამდე მე რა გამაჩერებს! ხალხი უცქერის პაპასა, ბებერი რამ გააგიჟაო, თან, ხო იცი, იცინის, რაღაც-რაღაცეებს უყვირიან ქიზიყურადა... შავვარდი ეზოში და მხოლოდ ახლა ვიკადრე გაჩერება... პაპა სულხან აყვირდა, სუ ცეცხლსა ჰყრიდა პირიდანა: “არა, ამ ვერანაზე შაჯდომა რას მიქვიან, მაგას შინაც არ გავაჩერებ, მაგან რო თავი მამჭრა ხალხში, სოფელში რა პირითღა გავალო; არა, ეხლავე წაიყვათ და ვისაც გინდათ, მიჰყიდეთ, მაგის პატრონძაღლის ვერანა სულიცაო, ვისაც გინდათ, მიეციოთო”. ისევა მე და ბიჭი წავედით კვირა დილით ბოდბისხევის ბაზარშია – შამჯდა და სუ ჩაქჩაქით ჩავედით. იქ მეზობელი დათიკოს ეუბნება: “ბიჯო, ოცი თუმანი დაადე ფასი, ხო იცი, რა ვირიცაა ეგა!”. “არ გაიყიდება, – ეს პასუხობს, – ხო ხედავ, ათ თუმანზე ძვირად არავინ აფასებს თავის ვირებსა”. “შენ მე დამიჯერეო, მაზანდას ნუ დაუგდებ, ეგეთი ვირი აქ არ არისო”. კარგი... მაშინვე შენ დამადგი თვალი... ხო გახსოვს, შამაჯდა შენი ბიჭი თუ არა, ეგრევე გიჟივით გავვარდი! შაგხედე – შაგეშინდა! ესეც პაპა სულხანივით არ მოვიმდურო-მეთქი და ნაბიჯს მოვუკელი... მერე შენც ცოტა გამატარ-გამამატარე და ეგრევე ულაპარაკოდ ჩაუთვალე ოცი თუმანი დათიკოსა... ხო არ ნანობ?

– მაშინ ერთადღა ხომ არ ვიქნებოდით? ისე კი, შენმა ნაამბობმა შემაფიქრიანა, ხომ იცი...

– ჰო, ბევრი რამ იცვლება ჩვენს გარშემო; განათლებული კაცი ჩანხარ და წაკითხული გექნება: წინათა, არა, მღვდელი ჯორითა ან ვირით დაიარებოდა. მაშინ რო ვინმეს მღვდელი მანქანაში შოფრად ენახა, მოეწონებოდა? არა, რასაკვირველია. ეგ იგივე იქნებოდა, ჩვენთანა, არა, ქიზიყში, რო დროული კაცი ვირზე შამჯდარიყო და სოფელში გეევლო. ხო მაჰკლავდნენ დაცინვითა: “აღარ ჩამაიხვიდე, ჯო, გიხდება, ვერანა!”. შენა კიდენა არ თაკილობ ჩემისთანა “ჩამორჩენილი ტრანსპორტით” მგზავრობასა, თანაც – უკუღმა შამჯდარი!

– მაშ, კმაყოფილი ხარ?

– რათ გინდა ლაპარაკი!.. წონით დიდი არა ხარ, ძნელი სატარებელი არ იქნები და საუბრითაც მართობ; ერთი ეგ არი, რო ქიზიყურად გინება არ გიყვარს...

– არა უშავს, ჩემს ამ ნაკლსაც შეეჩვევი, ოღონდ შენ მეც იგივე ოინი არ მომიწყო, პაპა სულხანს რომ დამართე! ახლა ის მითხარი, სოფლად სხვას კიდევ რას საქმიანობდი? მხოლოდ ბაღში გასეირნება-გამოსეირნებით არ იქნებოდი დაკავებული.

– ჭეშმარიტებას ღაღადებ, ეგრეა, სოფლად საქმეს რა გამოლევს! წყალიც მამქონდა ბიდონებით წყაროდანა, ფიჩხზე და შეშაზე უფრო შემოდგომობით წამიყვანდნენ ხოლმე, ზოგჯერ – ზამთარშიცა, როცა სათბობი შამააკლდებოდათ... რა ვი, კიდევ ბევრის გახსენება შაიძლება... ხშირად მეზობლებიც მინათხოვრებდნენ ხოლმე: საფქვავის წასაღებად წისქვილში, ღვინოც ბევრჯერ წამიღია ბოდბისხევის ბაზარშია... ერთი მეთუნე გვყავ სოფელში, სიკო ჰქვია, კარგი ოსტატია, მაგის ნახელავი განთქმულია მთელს იმ მხარეში, იმასაც ვეხმარებოდი – თიხა მამქონდა, ნახშირი, საღებავი და სხვა და სხვა, ბოდბისხევის ბაზარშიც დამატარებდა.

– რა მიგქონდა? ალბათ ქვევრები.

– ქვევრებსაც აკეთებდა, მაგრამა იმას მე როგო ვზიდავდი, იმას ურემი და უღელი ხარ-კამეჩი სჭირდება ან სატვირთო მანქანა; ათასგვარი სხვა რამ კი ხშირად მიმქონდა: კოკები, დიდი და პატა-

რა კულები, ხელადები, კოჭობები, დოქები, ჭინჭილები, ქოთნები, ყარყარები, თუნგიანები, თუნგულები, ჯამები, ჯამფილები, სურები, გოზაურები, ჩარექები, ბადიები, ლიტრები, ლარნაკები, მარნები, საღვინეები... ახლა ერთი მეც უნდა გკითხო: მე რატომ ამირჩიე თანამგზავრადა? თუ ხეტიალის ჭია შაგიჩნდა, მარტოკინა წასულიყავ, მე რაღად გჭირდებოდი, ჰა?

– მარტო გემო არ აქვს არაფერს, ხომ გაგიგია: "მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო"; მარტო ვერ დატკბები ამ მთის ცქერით ან მზის ლამაზ ჩასვლას მარტოკინა ხილვით მთელი სისავსით ვერ შეიგრძნობ, სიხარული გიფერმკრთალდება... სიამოვნება გინახევრდება, თუკი სხვას ვერ უზიარებ, ხომ ეგრეა? გაზიარებული სიხარულია ნამდვილი სიხარული! ზოგი შეიძლება, არც დამეთანხმოს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ გაზიარებული სიყვარულია ნამდვილი სიყვარული!.. ჰოდა, მე რომ მკითხო, ფეხით მოგზაურობა არის ნამდვილი მოგზაურობა, მაგრამ, არც ისე ახალგაზრდა გახლავარ, ფეხით წანწალს ვეღარ შევძლებდი და შენ შეგიამხანაგდი... დიახ, მეგობარი გჭირდება ყველგან და ყოველთვის, განსაკუთრებით – მოგზაურს! ხომ ხედავ, არც აღვირი მაქვს შენთვის ბოძებული, არც სადავეებით გმართავ, საცა გინდა, იქით გასწევ! არც სახრე მაქვს, რომ ჩემს ჭკუაზე გმართო, არც მათრახი – შესახურებლად, სამოგზაუროდ შეამხანაგებულს ამას როგორ ვაკადრებ! შენს მრგვალ ფერდზე ხელისგულის მეგობრული მიტყაპუნება სავსებით საკმარისია, რომ მიგანიშნო: "კარგი იქნება, ჩემო დიდთვალებავ, აი, აქეთ გაემართო, ჩვენი საერთო გზის წარმართვა აქეთკენ აჯობებს!".

– კიდევ გეკითხები: რატომ მაინცდამაინც მე? მე რატომ ამომარჩიე?

– შენა, ჩემო ერთგულო ვირუკავ, ფრიად ჭკვიანი ხომ ხარ? მე მიმაჩნია, რომ ყველაზე ლამაზიცა ხარ, მაშ! თუკი იმართება მსოფლიო კონკურსები "მსოფლიოს სილამაზის დედოფალი", "მსოფლიოს სილამაზის მეფე", ძაღლების, კატებისა და სხვათა კონკურსები, ცხენების, ძაღლების რბოლა, შეჯიბრი მგალობელ ჩიტთა, ვირუკებმა რაღა დააშავეს? "მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ვირი!" – აი, ტიტული, რომელიც შენ შეგფერის!

– მხოლოდ ამიტომ ამომარჩიე?

– რა თქმა უნდა, არა, სხვა საფუძველიც მქონდა... ხომ მაგარი ხარ?

– აბა, რა!

– ხომ ძლიერი ხარ?

– რათ გინდა ლაპარაკი!

– ჰო, ეგრეა: შენ ღონე გერჩის, მე კიდევ – ჭკუა-გონება, ერთად მთას გადავაბრუნებთ! როგორც ხუცესმა იაკობ ცურტაველმა უთხრა შუშანიკს: "ჭირი შენი – ჭირი ჩვენი არს და სიხარული შენი – სიხარული ჩვენი არს". ერთად ვიშრომებთ და ვიბრძოლებთ – ვირკაცა ვართ თუ კაცვირა? საკითხავი, აი, ეს არის!

– ჰე, დახე ამ ვერანასა, ჭკუა-გონებას რად მიწუნებ? მე, ბეჩავი, სულ მიწას ჩავცქერი, გზას მივდევ, სუ ვშრომობ, შენ კი ამაყად ზეცისკენ აგიღერია თავი – ღმერთს ესაუბრები? თუ მეტიც – საკუთარი თავი ღმერთი გგონია?

– არაფერს გიწუნებ, ღმერთმანი! ყველაზე ჭკვიანი დიდყურასა და ყველაზე ლამაზი ყროყინას ტიტულები მოგანიჭე, მეტი რაღა გინდა? თუ გინდა, მთელ პოემას მოგიძღვნი და, როგორც არაბი პოეტები აქებდნენ ცხენს ან სპარსელები – ტურფა ქალს, ცალ-ცალე აღვწერ და შევაქებ შენს თავს, თვალებს, შეუდარებელ ყურებს, სწორ ზურგს, მრგვალ ფერდებს, კოხტა ფეხებს – ჩლიქებიანად, კუდსაც არ დავივიწყებ... და, რა თქმა უნდა, შენს განსაკუთრებულად გამორჩეულ ყროყინს საგანგებოდ მივაგებ საკადრისს! ბევრს გაუკვირდება: ვინ ყოფილა ეს სოსო ომაძე, ახირებული კაცია, ვირუკა აალაპარაკო... ადრე კიდევ – მაწანწალა ძაღლი და ძველთაძველი მაგიდაც კი! ამ ბრალდებას ამგვარად ვუპასუხებ: თუ ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნის გენიოსმა ბერძენმა სატირიკოსმა ლუკიანე სამოსატელმა ბუზს უძღვნა პაროდიული ქებათა ქება, ჰოდა, მე რა დამიშლის, რომ შენი ნამდვილი შესხმა-დიდება განვიზრახო? ბუზზე ნაკლები რითა ხარ? იგივე ლუკიანეს აქვს დაწერილი თხზულება "ლუკიოსი ანუ ვირი", რომელშიც ადამიანის ვირად გადაქცევაა მოთხრობილი; მსგავს ამბავს მოგვითხრობს ლუკიანეს თანამედროვე, დიდი რომაელი მწერალი ლუციუს აპულეიუსიც თავის სახელგანთქმულ რომანში "გარდაქმნანი" ანუ "ოქროს ვირი"... სხვათა შორის, ძველ რომაელ კომედიოგრაფ პლავტუსს აქვს დაწერილი პიესა "ვირი" ან "ვირის კომედია"... იქნებ არ გამომიტყდი და შენც წინათ ადამიანი იყავ? მაშინ ძალიან ჯიუტი ვინმე იქნებოდი!

– განა შენ კი არა ხარ ჯიუტი? ალბათ ყველა გირჩევს, შინ დაეტიე, რას ატეხილხარ, ბეხრეკოო, შენ კი მაინც შენსას მიერეკები!

– მაშ, მაშ, ეგეთი გახლავარ! ლუკიანემ ფანტაზიურ-პაროდიულ თხზულებაში "მართალი ამბავი" კარიკატურულად შეასხა ქება მწერლებს, რომლებიც აღწერენ ისეთ ადგილებს, რომლებიც არავის უნახავს; ავტორი თანმხლებებთან ერთად ოკეანეში მოგზაურობისას ქარბორბალას მეშვეობით აიტყორცნება მთვარეზე, იქ იღვწის სელენიტთა და მზის მცხოვრებთა შორის ატეხილი ომის მონაწილეთა შესარიგებლად, შემდეგ მოხვდება სანეტარო კუნძულზე, შემდეგ – ვეშაპის მუცელში, სადაც დაანთებს კოცონს და ამ ხერხით უშველის თავს...

— ისე ვატყობ, იმ ლუკიანეს თვრამეტი საუკუნის წინათ სწორედ შენნაირი შერეკილის შესახებ დაუწერია!

— გინდა, კიდევ უფრო გაგამხიარულო? ლუკიანეს მენიპეურ-სატირულ დიალოგში "მენიპე ანუ მოგზაურობა მიწისქვეშეთის საუფლოში" გარდაცვლილებს გამოაქვთ დადგენილება: მდიდართა სხეულები უნდა მარად იხრუკებობდნენ ჯოჯოხეთში, ხოლო მათი სულები გადასახლდნენ მიწის ზედაპირზე ვირთა ტანებში, რომლებიც უნდა ჯოხის ცემით დევნილ იქნენ 250 ათასი წლის განმავლობაში, სანამ, ბოლოს და ბოლოს, განისვენებენ!

— იფ-იფ, ძალიან კარგია!

— ირონიას შეეშვი!.. უნდა გულახდილად მოგახსენო, არც შენ გაკლია სიჯიუტე, მაგრამ არა უშავს, სხვა კეთილი თვისებები გადასწონის ამ ნაკლს... შენს ყროყინს, მართალი გითხრა, იადონის გალობა მირჩევნია, მაგრამ — კაცია და გუნება! ხომ ხარ ერთგული? ამტანი? უპრეტენზიო?.. თუ გინდა, იადონიც თან წავიყვანოთ! დარწმუნებული ვარ, მე და შენ დავმეგობრდებით. მე უბრალო კაცი ვარ, მცირედითაც ვკმაყოფილდები... არასდროს მიტაცებდა სიმდიდრის დაგროვება, ძალაუფლების მოპოვება, სხვებზე ბატონობა... მერე რა, რომ შენ ვირი ხარ და მე — ადამიანი! შესაძლოა, სხვებს გაეცინოთ — ახირებული, უცნაური კაცი არისო, მაგრამ მე მგონია, ჩვენ ერთმანეთს გავუგებთ: მე შენი მეგობარი ვიქნები, შენ — ჩემი. მე უფრო იოლ ცხოვრებას ვერ დაგპირდები, უფრო საინტერესოს — კი! კერძოდ, რას? წინასწარ ვერ გეტყვი — მეც არ ვიცი! ვიმოგზაურებთ და გზა-გზა გამოჩნდება! თუ გინდა, გაგიმეორებ: ჩემი მეგობარი იქნები, სულ ერთად ვიქნებით, მაშა! ხომ გითხარი: არც სახრე მაქვს მომარჯვებული, არ მათრახი მომიმარაგებია, არც სადავეები — რად მინდა? ჩემს მეგობარს არც აღვირი, დეზები და მისთანანი სჭირდება! მხოლოდ ხელისგულებს მოფერებით მივატყაპუნებ ხოლმე შენს ფერდებზე — არასდროს გიბრძანებ, მხოლოდ გთხოვ!

— წანწალი მოგნატრებია, ბოშები ხომ არ აირჩიე მისაბაძ მაგალითადა, ჰა? ანდა, რადგან ნაღდად საცირკოდ ვართ გამზადებულნი, იქნებ მოხეტიალე დასს შევუერთდეთ — მოცეკვავეთა და ჯამბაზთა, მუშაითთა და მეფოკუსეთა? ხუმარის უტყუარ ნიჭს გატყობ და შენა, ძმაო, ცირკში უნდა დაგეწყო მუშაობა კომიკოს მომთვინიერებლადა — კარგა ხნის წინათ!

— იქნებ ჩემისთანა ჯეელისთვის ეგ მომავლის ამბავია და ამისთვის ჯერ ზოოფსიქოლოგიაში გარკვევა, ვირების ქცევის შესახებ ცოდნის დაუფლება დამჭირდება, მერე კი, შენზე, სოლომონ ბრძენზე დაკვირვებების მეოხებით, რაღაც დასკვნებსაც გამოვიტან და, გარკვეულწილად, ეთოლოგიაშიც ანუ ცხოველთა ქცევის შემსწავლელ მეცნიერებაშიც შევიტან მცირე წვლილს...

— რა დროს შენი ფსიქოლოგობა ან ზოოლოგობაა...

— ვხუმრობ, რასაკვირველია!

— ესე იგი, გარკვეულ მიზეზთა გამო აირჩიე ვირზე ამხედრებულმა და არა სხვაგვარად მოგზაურობა?

— და კიდევ — ნიკოს ხათრითაც!

— ეგ ნიკო ვინღაა?

— ჩვენი ნიკალა — ნიკო ფიროსმანაშვილი! ნიკოს ცხოველ-ფრინველები განსაკუთრებით უყვარდა და მისი მრავალი სურათის "გმირებიც" არიან: კრუხ-წიწილა, ლომი, დათვი, მელა, კურდღელი, ირემი, შველი, ღორი, თხა, ცხვარი, ცხენი, ძროხა... აქლემი და ჟირაფიც კი!

— ვირი?

— და, რასაკვირველია, ვირიც! ვირუკები რამდენიმე სურათში აქვს დახატული, მათ შორის ორს ჰქვია "ვირის ხიდი" და სამ სურათში კი ვირი, შეიძლება ითქვას, თითქმის მთავარი პერსონაჟია! ეს სურათებია: "შეშის გამყიდველი ბიჭი", "ვირზე მჯდომი ბიჭი" და "ვირზე მჯდომი აქიმი"... შესანიშნავი სურათებია! "ვირის ხიდი" მცირედ განხილული მაქვს ჩემს წიგნში "ნიკო ფიროსმანაშვილი"... სხვათა შორის, ვირები ქართველი მწერლების ყურადღებასაც იპყრობდნენ. ეატერინე გაბაშვილის "მაგდანას ლურჯა" ხომ საყოველთაოდაა ცნობილი, რაჟდენ გვეტაძემ დაწერა ლექსების ციკლი "ვირების მესია", ხოლო ნოდარ ალანიამ შეაგროვა უჩვეულო კოლექცია — ვირებისა! ნაღდი, ცოცხალი ვირებისა კი არა, — წარმოიდგინე თბილისურ ბინაში ამგვარი რამ! — არამედ პატარა ქანდაკებები, სათამაშოები, გრავიურები, საფერფლეები, პორტსიგარები ვირუკების გამოსახულებით...

— მაშ, შენ მწერალიცა ხარ?

— არ ვიცი, იქნებ — ვაი მწერალი! ადრე ჩემს წიგნებზე მთელი ლექცია წაგიკითხე. კი, ორი ათეული წიგნი დავწერე და მაინც მრცხვენია ვთქვა, რომ მწერალი ვარ-მეთქი. როცა მეკითხებიან, რას საქმიანობო, რა ხელობის კაცი ხარო, ვპასუხობ: გეოლოგად ვმუშაობდი ძალიან დიდხანს და ამჟამად კი პენსიონერი გახლავარ-მეთქი. ჩემი შეხედულებით, ნამდვილი მწერალი ვინ არის, იცი? თუ უნარი შეგწევს, აი, სულ უბრალო, ერთი შეხედვით, მცირე, უმნიშვნელო რამ გამოიყენო ჩანასახად, მარცვლად, რომლისგანაც, შენი ფანტაზიის, ცოდნის, გემოვნების და სხვა თვისებების მეოხებით, გაზრდი ხეს შეცნობისა და სილამაზისა, ხშირად — უცნაური ყვავილებითა და სრულიად მოულოდნელი ნაყოფით... ზოგიერთს გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ მწერალი მხოლოდ მოპოვებულ ცხოვრე-

ბისეულ მასალას ამუშავებს – სიტყვიერ სამოსელს მოარგებს, ფორმას მისცემს... ამგვარი რამ ეხება მხოლოდ გარკვეული ტიპის შემოქმედთ, უპირატესად – ნარკვევების, რეპორტაჟების, ასევე, მნიშვნელოვანწილად, ბიოგრაფიული რომანების და მსგავს ნაწარმოებთა შემქმნელებს, და ასე შემდეგ; ისინი რეალობას პირდაპირ ასახავენ, გარდაქმნა-ტრანსფორმაციის გარეშე. იცი, ლევ ტოლსტოი რას ამბობდა? ზუსტად მისი სიტყვების ციტირებას ახლა ვერ მოვახერხებ, შევეცდები აზრი გადმოვცე. ის ამბობდა, რომ მე შემრცხვებოდა, მწერალი მერქვას და გამომექვეყნებინა ნაწარმოები, რომელშიც პირდაპირ, მზამზარეულად გადმოვიტანდი მხოლოდ არსებულ ცხოვრებისეულ ტიპებსა და რეალურ ამბებსო... თუმცა, ალბათ ყოველგვარი სახის ნაწარმოები მნიშვნელოვანია, თუკი ის ნიჭიერი შემოქმედის მიერ არის შესრულებული და საკმაოდ მრავალმა მწერალმა სახელი გაითქვა სწორედ რეპორტაჟებითა თუ ნარკვევებით; მაგალითად, ასეთ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთნვებიან: ეგონ ერვინ კიში, ევგენი ოვეჩკინი და უამრავი სხვა. სატირულ, მიმოხილვით, პუბლიცისტურ, ყოფით, სამეურნეო, სამოგზაურო და სხვა სახის ნარკვევებს ხალისით წერდა მრავალი დიდი მწერალიც; მაგალითად, საკმარისია, დავასახელო: ონორე დე ბალზაკი, ჩარლზ დიკენსი, ლორენს სტერნი, ვილიამ თეკერეი, ივან ტურგენევი, მიხაილ სალტიკოვ-შჩედრინი, ერნესტ ჰემინგვეი, ანტუან დე სენტ-ეგზუპერი...

– შენ რას ფიქრობ, ტყუილად ხომ არ იწოწიალებ, ამ შენი მოგზაურობის შესახებ წიგნს დაწერ?

– ადრეც ხომ გითხარი, სწორედ მაგიტომ ვმოგზაურობ! საწყენია, რომ ჩემს ნაჯახირევს საკმაოდ დიდი ძალისხმევა უნდა შეევალიო და მკითხველ-შემფასებელი კი თითქმის არ ეყოლება... მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ სუსტი ნაწარმოები იქნება, არც იმიტომ, რომ სასაცილო ტირაჟით დაიბეჭდება, – სულ ათი ცალი! – სავალალო ის არის, რომ საქართველოში ახლა წიგნისადმი ყურადღება მინავლდა და კლასიკოსებსაც კი ნაკლებად კითხულობენ... მითხარი, რა წიგნებს კითხულობ და გეტყვი, ვინ ხარ შენ! ჩვენი ხელისუფალნი უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში დიდ ძალისხმევას იჩენდნენ, რათა რაც შეიძლებოდა მეტად ჩაეკლათ ხალხში პოეზიის მოთხოვნილება – მრავალთა მსგავსად, მეც პოეზიად მიმაჩნია საერთოდ სიტყვაკაზმული მწერლობა და არა მხოლოდ ლექსები... ჩვენი ძლევამოსილი ხელისუფალნი თვითონ არაფერს კითხულობენ და ამაყობენ კიდეც ამით... ვაი, სირცხვილო!.. ამიტომაც დაარბიეს, გაატიალეს გამომცემლობები, გაყიდეს წიგნის მაღაზიები, დედა უტირეს ბიბლიოთეკებს, შიმშილით სულს ხდიან მწერლებს, გვერდზე მოისროლეს დიდი იაკობის "დედა ენა"... გაიარე რუსთაველის გამზირზე, დავით აღმასენებლის გამზირზე – წამლად ერთი წიგნის მაღაზია მაინც დაეტოვებინათ!.. წიგნიერება, ცოდნა-განათლება არაფრად მიაჩნიათ, მხოლოდ ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა ფასობს! თუ ისინი აითვისე – უკვე კაცი ხარ, წარმატებული კარიერისთვის გზა ყოველმხრივ ხსნილი გაქვს! თუ, რასაკვირველია, ამასთანავე, მმართველი კლანის წევრიც ბრძანდები!

– შეეშვი სხვათა განქიქებასა... შენ ის მითხარ, ორი ათეული წიგნი დაგიწერია და რა წერას აუტანიხარ, რა უნდა შეგექმნა ისეთი, რო უკეთ არ დაეწეროს სხვასა და წასაკითხავად ღირდეს? თანაც, შენ თვითონ ამბობ, დღესდღეობით წიგნის საკითხავად თავს აღარავინ იწუხებსო...

– წიგნს მკითხველი ყოველთვის ეყოლება, შენს სარკაზმით გაჯერებულ კითხვას კი ასე ვუპასუხებ... ერთი ცნობილი რუსი მწერალი, – მგონი, კუპრინი, – ხუმრობით ჩიოდა: "ამ ბებერმა ლომმა ლევ ტოლსტოიმ მწერლებს დედა გვიტირა – ყველა თემა "მოგვპარა"! თან ისეთ დონეზე დაამუშავა, რომ დანარჩენ მწერლებს საქმე აღარაფერი დაგვიტოვაო"... რა თქმა უნდა, ნიჭიერი შემოქმედისთვის ყოველთვის არსებობს აურაცხელი საინტერესო თემა, მხოლოდ მას დანახვა უნდა! ტოლსტოის შემდეგ რამდენი შესანიშნავი რომანი დაიწერა, ვინ მოთვლის?

– მერე, ერთი უდღეური რომანის შემატებისთვის რას იკლავ თავს?

– თუ ამ წიგნს არ დავამთავრებ, დიდ ცოდვას ავიკიდებ და საიქიოს სამოთხეში აღარ მიმიღებენ!

– სულ უნდა ხუმრობდე?

– აბა, როგორ! ჭმუნვა-ვაებაში რა ხეირია?

– ბევრი ილაპარაკე, ვერან, და მე კი მაინც ვერა გავიგე რა: რა გინდოდა, რატომ აიჩემე ვირუკაზე ამხედრებულმა იმოგზაურო, თანაც უკუღმა გადალაჯულმა?

– გატყობ, ძალიან გიყვარს ერთი და იგივე კითხვებით შემოდგომურა აბეზარი ბუზივით სხვისი შეწუხება... კარგი, მოგახსენებ. ავჯანყდი, ავიფოფრე, საღ აზრს სულ წყვილ-წყვილი ტლინკებით გავუმასპინძლდი – მოხდეს, რაც მოსახდენია, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ხომ უნდა გავიჯეჯილო ჩემს გემოზე? ასეთი უზარმაზარი, მრავალფეროვანი სამყაროა ჩემს გარშემო და ისე უნდა წავიდე სამარადჟამოდ, რომ მისი მცირედი ნაწილიც ვერ ვიხილო? არა, ჩემო ძმავ და მეგობარო, არა ვარ თანახმა! რამდენი ლამაზი ადგილი შემხვდება, რამდენ საინტერესო ადამიანსა და სულიერსა თუ უსულოს შევხვდები, რასაც სიზმარშიც ვერ ვიხილავ – რამდენ სიხარულს განვიცდი! რამდენ ამბავს გავიგებ – უცნაურს, ზღაპრულს, წარმოუდგენელს – ნამდვილად ღირს ამისთვის შორეული

ხიფათიანი მგზავრობის დაწყება! რასაკვირველია, შენთან ერთად, ჩემო სოლომონ ბრძენო! და ამას უკუღმა შამჯდარი გავაკეთებ, მაშა! ხომ გითხარი, სიმდიდრეს არასდროს დავხარბებულვარ, არც ამჟამად ვეძებ, ოქროს კვერცხების მდებელი ზღაპრული ფასკუნჯის დაპატრონების სურვილი არ მხერხავდა და ახლა, სიბერეში, რაღა შემცვლის? ან ასე, ხეტიალით, თან პირუკუღმა ამხედრებულმა, რა სიმდიდრეს უნდა ვეწიო?

– მე რომ მკითხო, თავგადასავლების მაძიებელს შენ არ ჰგავხარ... გინდა, კვიცისხელა ჭიანჭველები ნახო? ორთავიანი არწივები? მერე აღწერო შენი მოგზაურობა და ახალი ოდისევსი გახდე?

– ოდისევსს რა მიმიგავს...

– აბა, სიბრძნე გაკლია და ფილოსოფიურ ქვას ეძებ?

– უცნაური კითხვაა, საინტერესოც... დროის მდინარებასთან ერთად გამოცდილება გემატება და, რა თქმა უნდა, სიბრძნეც, საგანგებოდ სიბრძნის ძებნა კი მხოლოდ უჭკუოს მოუვა აზრად... სანამ ცოცხალი ხარ, ცნობისწადილის ცეცხლი არ უნდა მოცელოს ცრიატი დღეების ცოხნამ...

– ნამეტანი მოქარგულად ნათქვამი გამოგივიდა, ჩემი გაკვირვება გინდა? იქნებ სწორედ ცინცხალი დღეების ციბრუტივით ტრიალი აღარ გიზიდავს და სიკვდილის საძებნელად გამოეშურე? თუ საიქიოს გამგზავრება დააპირე, მე რაღად გჭირდები? ვერგილიუსი აირჩიე დანტესავით ან სხვა ვინმე...

– საიქიოსთვის ჯერ არ მცალია, შენ კი იმად მჭირდები, რომ ძველთაძველი წესია: ერთგული თანამგზავრის გარეშე სამოგზაუროდ არ უნდა გაეშურო! თვითონ ამგვარი მოგზაურობის უჩვეულობა მიტაცებს... ცხოვრებაში ერთხელ მაინც ხომ უნდა ამოვხტე ყოველდღური მდინარების ჩვეული კალაპოტიდან – მე ხომ მატარებელი არ ვარ, გაუთავებლად წინ და უკან დავდიოდე ერთსა და იმავე ლიანდაგზე?!. პატივი გეცი: XXI საუკუნეში ვინღა დადის ვირით!

– მადლობა მომიხსენებია, ახლა საით წავჩაქჩაქდე?

– საითაც გინდა! კაცი იყოს ცნობისმოყვარეობით აღსავსე და თვალის სასეიროს და გონების საზრდოს ყველგან დაინახავს! ერთი ქართული ზღაპარი რომ არის, "მზის ასული", და ცოლი ქმარს ოქროს ვაშლს მისცემს – გააგორე და საიქიოს მიგიყვანსო...

– კი იუარე, მაგრამ უნებურად გავიფიქრე: საიქიოს წასვლა გეჩქარება? თუ კისრის მოტეხა გსურს, ოქროს ვაშლი რაღად გჭირდება: ისე გავფრინდები, რომ მიწას აღარ დავაკარებ ფეხსა, თავს ვეღარ შეიმაგრებ და მიწაზე ბრაგვანი არ აგცდება! თუ გინდა, შენს პატივსაცემად, ქვიან ადგილს შეგირჩევ და შენც შეეცადე – თავით წამოდი!

– ვაჰ, ჩემო სოლომონ ბრძენო, მე მსაყვედურობ და შენ თვითონ რა დიდი ხუმარა ვინმე ყოფილხარ!

– გეწყინა? ასე ადვილად ღიზიანდები?

– მთელი ხანგრძლივი ცხოვრების გზა ისე გავლიე, რომ გამორჩეულად გაწონასწორებულ პიროვნებად მიცნობს ყველა – არავითარი ლოთობა და დოლ-გარმონი, მექალთანეობა და ჩხუბისთავობა... უნდა ვაღიარო: ძალიან მოსაწყენი პიროვნება გახლავარ! მაგრამ განსაკუთრებული სიყვარული მახასიათებდა წიგნისადმი, მხატვრობისადმი, მუსიკისადმი... და მოგზაურობისადმი!

– ამ მხრივ გამორჩეული არ ხარ – მოგზაურობა მრავალს იტაცებს.

– მართალი ბრძანდები!.. მეც, რაც თავი მახსოვს, გულსა და სულში სულ ფეთქავდა მოგზაურობის, ახალი ქვეყნების მონახულება-შეცნობის წადილი – ბავშვობიდანვე მესიზმრებოდა თუ მეზმანებოდა უცხო მხარეები... მოწაფეობისას გეოგრაფიულ რუკაზე თითით მოგზაურობა ჩემი საყვარელი საქმიანობა იყო; ვხატავდი, უფრო სწორედ – გადავხატავდი ხოლმე რუკებს, რამდენიმე ახლაც შენახული მაქვს... ფული სად მქონდა, ჩემი თავი მაძღარი სკოლაში სწავლისას თითქმის არ მახსოვს, მაგრამ ვახერხებდი და, თუკი გეოგრაფიის თუ მოგზაურობის შესახებ წიგნი შემხვდებოდა მაღაზიაში, მშიერი დავრჩებოდი და იმ წიგნს აუცილებლად შევიძენდი. გეოგრაფიის მასწავლებელმა ბაბო გარსევანიშვილმა შეამჩნია გეოგრაფიით ჩემი უზომო გატაცება და დამავალა, შინ დამეწერა თემა: "მდინარე ნილოსი", რომელიც შემდეგ ხმამაღლა წამაკითხა გაკვეთილზე. კლასში გაკვეთილს არასდროს მეკითხებოდა, მეოთხედის ბოლოს კი გეოგრაფიაში ყოველთვის "ფრიადი" ნიშანი მეწერა. ხშირად გამიყვანდა ხოლმე დაფასთან და ახალ გაკვეთილს ამახსნევინებდა კლასისთვის; ამასთანავე, ბევრ რასმე წიგნებში წაკითხულ ისეთ წვრილმან-მსხვილმანს მოვყვებოდი, რომელიც სახელმძღვანელოში არ ეწერა... ჩემი სახელი გაზეთში დაბეჭდილი, იცი, პირველად როდის ვნახე? ზუსტად აღარ მახსოვს, ალბათ IV თუ V კლასში ვიქნებოდი, გაზეთ "ნორჩ ლენინელში" დაბეჭდილი კროსვორდის პასუხები გავაგზავნე რედაქციაში და გაზეთის მომდევნო ნომერში, იმ მოწაფეთა შორის, ვინც მათ სწორი პასუხები გაუგზავნა, მე მეორე ვიყავი, ეწერა: "ს. ომაძე"...

– აჰა, აგისრულდა ოცნება, მაგრამ ვეჭვობ, ადრე ჩემისთანასთან ერთად გდომებოდა ქვენიერების დავლა...

– ახლა მხოლოდ შენ კი არ იქნები ჩემი თანამგზავრი: მოგზაურობისას ჩვენი მეგობრები იქნებიან ღრუბლები, წვიმა და ქარი, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, დღე და ღამე... ისინი ჩვენთან ყველგან იქნებიან: მტვრიან შარაზე, ტყის დაჩრდილულ ბილიკზე, თოვლიან უღელტეხილზე, უდაბ-

ნოს ქვიშრობებში, მდინარეთა ფონის გადალახვისას, ზღვის ტალღებზე გემით ყანყალისას... ზღვა თუ მოიღუშა, ქარს დაძმო-ბილებული აიფოფრება და ველურად აცეკვდება, მერე დაშოშმინდება, ნაზად მოჰყვება ლივლივს... მზე – კისკისით გამოგვყვება, გაგვაცილებს გზაზე, მთვარე ნაზად გაგვიღიმებს, იქნებ დაგვცინებს კიდეც – ღამე რას დაბოდიალობთ, ავაზაკ-მპარავნი ხომ არ ხართო...

– რას ამბობ, კაცო, მხოლოდ მკვდარ ბუნებასთან გვექნება ურთიერთობა?

– ვინ მოგახსენა ბუნების სიკვდილი? ხეები ხან მოწ-ყენილები არიან, ხან – მხიარულად აშრიალებენ ფოთლებს, ერთი მთა კუშტად იბღვირება, მუქია, კლდოვანი, ნაპრალ-ნაოჭებით დასერილი, მეორე – ზურმუხტისფერი, მის იალაღ-გულისპირზე ცხვრის ფარა თეთრ მძივებად დაწინწკლულა...

– მერე ვინ გაგიკვალავს გზას, ვინ იქნება ჩვენი მოგზაურობის მესაჭე, მიმართულების მიმცემი? ფრინველები ვერაფერს გირჩევენ, ვერც – პეპლები, შენ რომ ასე გამორჩეულად გიყვარს, ისევ ადამიანების იმედად უნდა იყო.

– კი, ბატონო, ყველასი დიდად მადლიერი ვიქნები დახმარებისთვის, მაგრამ, წინდაწინ გეუბნები, ყველაზე მეტად – შენი, სოლომონ ბრძენო, მაშა!

– მიკვირს, ჩემი ასეთი დიდი იმედი რატომ გაქვს: ხომ კარგად მოგეხსენება, რაც სიარულისას მახასიათებს – ყველაზე მოკლე გზას ვირჩევ!

– მართალი ხარ! ძველად ფერდობზე გასაყვანი არხის ყველაზე ეკონომიური ტრასის დასადგენად უბრალო და გენიოსურ ხერხს იყენებდნენ: ვირს აჰკიდებდნენ წყლიან გახვრეტილ ჭურჭელს და მიერეკებოდნენ ფერდობზე; ნახვრეტიდან გამოსული წყალი იდეალურად თარაზულ კვალს ტოვებდა მიწაზე.

– ჰოდა, იმას გეკითხებოდი, ვერან, რამდენად გაძლევს ხელს ეს ჩემი თვისება? მოგეხსენება, ზოგჯერ უპრიანია, ძნელად გადასალახავ დაბრკოლებას გვერდი აუქციო.

– ყველაზე ხელსაყრელ გზას მე არ ავირჩევ, რადგან რუკა არ წამომიღია და არც მოგზაურობის მარშრუტი და არც საბოლოო წერტილი მაქვს განსაზღვრული.

– მიკვირს, მიკვირს! ვინ გაიგონა გეგმის გარეშე მოგზაურობა?

– ამგვარ ხეტიალს თავისი გემო აქვს! მიმართულების არჩევისას გუმანს უფრო დავეყრდნობი; ამიტომ შეუძლებელი იქნება კიდეც სულ პირდაპირი გეზის მიყოლა; მაგალითად, ძალაუნებურად მოგვიხდება მაღალი მთებისა ან ღრმა ხევისთვის გვერდის აქცევა... ასე რომ, ჩვენი შემდგომი გზა მიხვეულ-მოხვეული იქნება ფრიად. ეს ცუდიცაა და კარგიც. ცუდია იმიტომ, რომ ღმერთმა უწყის, საით გაუტევ, რომელ ხიფათიან ადგილას მოხვდები, შესაძლოა, კისერი მოიტეხო და უარესიც კი დაგემართოს... კარგია იმით, რომ უამრავჯერ გეწვევა სიხარული უცნობ ადამიანებთან შეხვედრისა, ახალი, ლამაზი ხედების, უჩვეულო მოვლენების ხილვისა...

– ბატონო სოსო, როგორც ჩანს, გაუაზრებლად წამოჩერჩეტდი და უპირველესად ეს მიბრძანე: ხვალინდელი ამინდის პროგნოზს მაინც თუ გაეცანი?

– დარი იქნება!

– ღმერთმა გისმინოს, მაგრამ, რა იცი, იქნებ გაწვიმდეს? გაზაფხულია, ჭინჭყლი მარტი...

– ჰო, მოიცა, კაცო, შენ მართალი უნდა იყო... საწვიმარ ღრუბლებს ვერ ვხედავ, მაგრამ როგორც ვატყობ, მალევე გამოჩნდება! იცოდე, წვიმა გვესტუმრება!

– რაზე ატყობ?

– როცა ყველაზე და ყველაფერზე აღრენილი ვარ და უკმეხად ვპასუხობ – უკვე ვიცი, რომ ამინდი გაფუჭდება: როგორც კი ცუდ გუნებაზე დავდგები – ამინდიც აუცილებლად გაუარესდება!.. 22 წლის წინათ მიოკარდიუმის ინფარქტი მაქვს გადატანილი, მიკვირს, ამდენ ხანს როგორ გავძელი. ქარის ამოვარდნისას ან გაავდრების წინ გულში ჩხვლეტა მეწყება...

– მეც მიკვირს – ამქვეყნად რამდენი რამ გიკვირს... მერე, შე დალოცვილო, ქოლგა რად არ წამაიღე?

– ჰო, მართალი ხარ, ჩემო ჭკვიანო დიდყურავ, ხომ იცი! თანაც, მაშინ დავემგვანებოდი ნიკო ფიროსმანაშვილის ვირზე მჯდომ აქიმს!

– თუ აქიმი ხარ, შიმშილის წამალი თუ წამაიღე? არც – წყურვილის წამალი? შენ იკითხე, აზიზი ბრძანდები, თორემა ჩემს სამყოფ ბალახსა ყველგან ვიპოვი! გუბურიდანაც, არხიდანაც, მდინარიდანაც დავლევ ამღვრეულ წყალსა!

– რა, უკვე მოგშივდა?

– მა რა! შენცა?

– შენ სანაქობო ამტანობა გახასიათებს შიმშილისა, და რატომ გგონია, მეც არ მომშივდებოდა?

– შენ ხომ იბრიქები, მწერალი ვარო, მდიდარი წარმოსახვის უნარი გამაჩნიაო, ჰოდა, წარმოიდგინე, რომ სიამოვნებით ურტყამ ღორის მწვადს ჟანგიან ყბაში! შიგადაშიგ სურნელოვან საფერავსაც აყოლებ!

– აგაშენა ღმერთმა!

– ბედოვლათო, ღმერთის იმედზე ხარ? სანამ შორეულ გზას დაადგებოდი, სათანადოდ რატომ არ მოემზადე? მკითხავთან მაინც მისულიყავ! ან რომელიმე ცნობილ ასტროლოგთან, – მათი რჩევები ახლა გაზეთებშიც იბეჭდება, – რატომ არ დაეკითხე, რომელ დღეს ჯობდა მოგზაურობის დაწყება?

– რომ ვიბრიქებით, განათლებული და კულტურული ერი ვართო, მიკვირს, ხომ იცი: ასტროლოგების, მკითხავ-გულთმისნებისა და სხვა ჯურის ყალთაბანდების პარპაშს რატომ არავინ ამხელს?

– სხვების გაბიაბრუებას თავი დაანებე, შენ თვითონ რატომ არ დაიჭირე თადარიგი – საკვებზე რატომ არ იფიქრე? დარწმუნებული ვარ, არც ფარანი გექნება წამოღებული, არც მობილური ტელეფონი – გაჭირვების ჟამს რისი იმედი გაქვს?

– რა ამბავია, სოლომონ ბრძენო, ამდენი "რატომ" რომ დაახვავე, საბავშვო ბაღის აღსაზრდელი ხარ?

მოულოდნელი საფიქრალი გამიჩნდა: ვაჰ, მაგარი ჭკუის მასწავლებელი მე თვითონვე ავიკიდე! თავიდანვე – ჩემი ანტაგონისტია, ყველაფერში მეწინააღმდეგება, მეკამათება, მეურჩება... ვირია რაღა! ჰოდა, როგორ შეეთვისება ერთმანეთს ორი განსხვავებული სამყარო – ჩემი და ვირუკასი? როგორ შერიგდება ორი ურთიერთდაპირისპირებული ცხოვრებისეული ფილოსოფია?!. ზოგადად რომ განვსაზღვრო: მე – ოპტიმისტი! ვირუკა – პესიმისტი! ცეცხლი და წყალი, ცა და მიწა... შეჯახება მსოფლმხედველობებისა: ცხოვრების სწრაფმავლობა, სიკეთე და ბოროტება, და ასე შემდეგ... დიახ, ფრიად მაინტერესებს: როგორ წარიმართება შემდგომ ჩემი და ვირუკას ურთიერთობა, სასიკეთოდ თუ განვითარება? და მაინც დიდი იმედითა ვარ აღვსილი: საბოლოოდ ჩვენ მშვენივრად შევეწყობით ერთმანეთს – რა დაგვიშლის? ალბათ შემდგომ ნელ-ნელა მოვახერხებ მის მოთვინიერებას... რით? არა სახრით ან ლანძღვა-გინებით, არამედ – სითბოს გამოვლენით, პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვით... რაღაცას – მე ვასწავლი, რაღაცას – თვითონაც მასწავლის... ვნახოთ!

– შინაურებმა რა გითხრეს, არ შეშფოთდნენ? ცოლ-შვილს რა უთხარ? – კითხვების მორიგ ულუფას მთავაზობს დიდყურა.

– მაშ არა და თქვენა გგევარ-მეთქი! დიახ, გავაფრინე და მერე როგორ! თქვენ რომ ვერაფრით წარმოდგენდით, ისე და იმგვარად-მეთქი, მაშ!

ვირს რაღას ვერჩი, როცა თვითონ უკუღმა მივაჭენებ აზრებსა... ცოლიც ნაწილობრივ მართალია, ხომ იცი, შენ, მიკიჟინებდა: "კაცო, ავადმყოფობები მოგეძალა – სტენოკარდია ხშირად გიჭირებს საქმეს, მარილების დაგროვება კისრის მალებში და ხერხემალში ყოველ გატოკებაზე ჭრიჭინით გახსენებს თავს, მუხლებში ქარები გაწუხებს... სხვათა შორის, ამ ბოლო დროს თავშიც გიქრის! თუმცა არასდროს ლოთობდი, ღვიძლი გადიდებული გაქვს – ალბათ ბავშვობაში გადატანილი მალარიის შედეგია, მარჯვენა თირკმელში – კისტაა თუ რაღაც ოხრობა ზოგჯერ ნემსის შერჭობასავით მოგივლის... და ასე შემდეგ – რა ძალა გადგია, ასეთ შორეულ გზას რომ შედგომიხარ, შე საწყალო? მართლა სულ გააფრინე ამ სიბერის ჟამს? სად მიჩერჩეტობ, საქმედალეულო?"... ოჯახის სხვა წევრებიც მას უბამდნენ მხარს, მე კი მათ ჯიჯღინს ჩირადაც არ ვაგდებ, თუნდაც მლანძღონ, რამდენიც გაუხარდებათ, სამოგზაუროდ მაინც მივიჩქარი!

სოლომონ ბრძენი კი ისევ მმოძღვრავს:

– სულ იცილებ ერთ მარტივ კითხვაზე პასუხს: სად გარბიხარ, ბიძიკო? მოგბეზრდა ცხოვრებისეული ტკივილები? სისასტიკე, აგრესიულობა? ტყუილად გაურბიხარ, ეგ ყველაფერი შენს შიგნითაა, საკუთარ თავს კი ვერსად გაექცევი! კი არ უნდა დაიბოღმო და დამჩაგრავს სამაგიერო უზღო, მასაც ატკინო – ჯობს, სიკეთე ახარო შენს სულში, გაახარო სხვებიცა... დამიჯერე, ბიჯო, ეგ არის სწორედ კაცობა!

– შენზე უკეთ ეგ მე მომეხსენება, ტყუილად იფხან ენას! ბიჭს მიწოდებ 74 წლის კაცსა, თან ჭკუასაც რომ მარიგებ!

– სიყვარულის გამო გასწავლი, ვერ მიხვდი? ნუ ამპარტავნობ, მეც მინახავს ზოგი რამ ამ ტიალ ქვეყანაზე! შენზე ბევრად ახალგაზრდა ვარ და იქნებ სხვანაირი ვარ, სხვაგვარად ვფიქრობ, მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა ყურადღებით მისმინო და შეეცადო, გამიგო... სხვა სამყაროს უნდა ეზიარო, დიახ!

– ჰოდა, ამიტომაც გამოვწიე, შეცნობისა და ბრძოლის ჟინი ჯერჯერობით არ გამნელებია და სიახლისათვის მაგულიანებს! ადამიანი – მარადი მოწაფეა! შენ ჩემგან არ გესწავლება: ცხოვრება – ეს არის ბრძოლა და ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან, საკუთარ სისუსტეებთან... და რაც მეტს ცხოვრობ, სისუსტეები მატულობს, ბრძოლაც გიძნელდება და ვაუკაცობაც ის არის, რომ ყურები არ ჩამო-ყარო სულ შემართებით იყო – თუნდაც წარმოსახვით... ჩემო დიდყურავ, ვხედავ, ყურები მარად დაცქვეტილი გაქვს, თუ ხარ ბედნიერი?

– გინდა მათქმევინო, რომ ბედნერება მეწვია, რახან შენს ხელში მოვხვდი? მაგას მოგვიანებით გეტყვი, როცა შენთან ურთიერთობის საკმაო გამოცდილება მექნება... შენა? შენ თუ ხარ ბედნიერი?

– მე – კი, და ამის სათქმელად დროის გავლა სულ არ მჭირდება... თუმცა, ვერავინ იტყვის ამომწურავად, რა არის ბედნიერება, რადგან ეს ცნება მოუხელთებელია, თანაც – მისი არსი ყველას თავისებურად ესმის. ბედნიერების არსის განსაზღვრა – მარადიული საკითხია, გვირაბში მოგზაურობის აღწერის დროსაც ვისაუბრე ამის შესახებ. ძველი ბრძნული ნათქვამია: ადამიანი არასდროს არის ისეთი უბედური, როგორიც ჰგონია და არასდროს არის ისეთი ბედნიერი, როგორიც იყოს უნდა. ალბათ ბედნიერება ის არის, თუ ბედნიერად გრძნობ თავს, თუნდაც თავს იტყუებდე. უფრო ადვილია განსაზღვრა, როდის ხარ უბედური...

– ახლა?

– ხომ გითხარი, ახლა ბედნიერი ვარ, მა რა! მოგზაურობა – დიდი ბედნიერებაა! არასდროს მომეცა საშუალება, ფრთა შემესხა ჩემი ოცნებისთვის – მემოგზაურა ჩემს გემოზე, ჰოდა, ახლა წარმოსახვით მაინც გავინავარდო! არაფერი შემიშლის ხელს! ამგვარი მოგზაურობის წამოწყება ახლაც არ არის დაგვიანებული – თუნდაც 70 წელიწადს უკვე გვარიანად იყო გადაცილებული!

სოლომონ ბრძენი ისევ მიჩიჩხინებს:

– ხომ არ მიგაჩნია, რომ ზოგჯერ ბედნიერების განცდა ჭკუასუსტობის ნიშანია?.. ბედნიერო, ასე, მარტოდმარტონი რომ წავჩერჩეტდით, რამე ხიფათს რომ გადავეყაროთ? ფიშტო გაქვს წამოღებული?

– არა!

– ხანჯალი?

– რა დროს ხანჯალია, რა ხანია, XXI საუკუნე დადგა!

– მობილური ტელეფონი მაინც რატომ არ წამაიღე?

– ვინმე ხომ არ წამოგვეყვანა კიდევ – მესამე?!. ჯერ კიდევ ჯერომ ჯერომი წერდა, რომ ორი პიროვნების მოგზაურობისას ერთმანეთი მალევე ბეზრდებათ: სულ ერთსა და იმავესთან ურთიერთობა, იგივე სიფათის ყურება ყოველდღე – ღმერთო, რა მოსაწყენია!

– თუთიყუშის წამოყვანა ხომ არ გიფიქრია?

– უაზროდ ლაპარაკს ვერ ვიტან!

– ძაღლისა? თან – დაგვიცავდა!

– ვისგან?

– მგლებისგან!

– არა, უაზროდ ყეფას ვერ ვიტან!

– შენი მოსაწონი ამქვეყნად არავინაა!

– იცი, ჩემო სოლომონ ბრძენო, ძველთაძველი და უბრალო ჭეშმარიტებაა: ნაკლის გარეშე არავინაა! ჰოდა, ბიბლიური შეგონებისა არ იყოს, პირველმა მან ისროლოს ჩემს ბაღჩაში ქვა, ვისაც თვითონ არ შეუცოდავს. შენ რაღა მოგწონს? ვის ისურვებდი ჩვენს თანამგზავრად?

– შენზე ჭკვიანს!

– შევთანხმდეთ: მოდი, ჩვენ ერთმანეთს ჭიდაობას ნუ დავუწყებთ, არა, მე ვარ აქ უფროსი, არა – მეო, ასე ჩვენი საერთო საქმე წინ ვერ წავა და ვერც ჩვენ წავალთ წინ; მე, შესაძლოა, მიწაზე აღმოვჩნდე ჩამოგდებული და მტვერში ამოგანგლული, სამაგიეროდ, შენ იფნის სახრეს მიიღებ ფერდებზე საჩუქრად... ორივე დავრჩებით წაგებული, ხომ მეთანხმები? როგორც შენ მიგაჩნია, და მეც გეთანხმები, ძალიან ჭკვიანი და განათლებული ყროყინა ბრძანდები, რომელ აკადემიაში სწავლობდი? შენ ფილოსოფოსი ვირუკა ხარ და კარგად მოგეხსენება, რომ აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს; უნდა იცოდე, რომ სუბორდინაცია ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობდა, არსებობს და ყოველთვის იარსებებს! აბსოლუტური თავისუფლება – ფიქციაა, ან თავის მოსაწონებელი თამაში, გასართობი კარნავალების თუ ყეენობა-ბერიკაობის დროსა... ჰოდა, ჩემო ყროყინავ, უნდა შეეგუო შენს მდგომარეობასა, რომა შენ ქვევითა ხარ, მე – ზევითა. იქნებ, როგორც იტყვიან, როდისმე ვირი ხეზე გავიდეს და ისეთ დროებასაც მოესწრო, როცა შენ ზევით იქნები – ჩემზე ამხედრებული და სახრით შემახურებ – "ჰაიტ, შე ვერანავ, ხომ არ ჩაგეძინა?!.", მაგრამ ჯერ მოთმინება გმართებს... მანამდე კი მეგობრებად დავრჩეთ: მე – უფროსი, შენ – უმცროსი!

– რა ლამაზად გალობ! შენ რა, დაგავიწყდა, რომ ქიზიყელი ვარ? კი, ბატონო, პატრონი იყავი, მაგრამ ბატონი – არავითარ შემთხვევაში!

– მერე, ვინ გითხრა, რომ შენზე ბატონობს ვაპირებ? ისიც ნუ დაგავიწყდება, რომ ქიზიყელი კი ხარ, მაგრამ მაინც – ვირი! გენიოსი ესპანელი მხატვრის ფრანსისკო გოიას ოთხმოცსერიიანი ოფორტებიდან "კაპრიჩოს" ერთ-ერთი გამახსენდა: კაცზე ამხედრებულა ვირი – სისულელე, პირუტყვობა ბატონობს ადამიანობაზე, აზროვნებაზე... შენც ამგვარი რამ ხომ არ მოიწადინე? გეწყინა? ბოდიში, დიდი ბოდიში ან, თუ გინდა, პროვინციელი, მეტისმეტად ზრდილობიანი კაცივით გეტყვი: ძვირფასი ბოდიში!

– ძვირფასი მადლობა გამიგია და ეგ ძვირფასი ბოდიში რა უბედურებაა?

— ეგ სისულელე რატომ წამომცდა, იცი? ვერაფრით დავიჯერებ, რომ ჩვენი მეგობრობის თერმომეტრზე ტემპერატურა მკვეთრად ეცემა! ძალიან მინდა, ჩემი უხეშობა როგორმე გავაქარწყლო და ამიტომ შენს შესხმას დავიწყებ: ჩემი ვირუკა ყველაზე ერთგულია! ყველაზე ლამაზია! ყველაზე ჭკვიანია! ყველაზე... ყველაზე... ჰო, ყველაზე უკეთესია!.. სოლომონ ბრძენი ტყუილად ხომ არა ჰქვია? ამიტომაც ვენდობი ვირუკასა, მაშა!

— იაფფასიანი მაამებლობით გინდა, ფონს გახვიდე? მე შენ მმართველი პარტიის ლიდერი ხომ არ გგონივარ?

— არცერთ პარტიას არასდროს ახლოსაც არ გავკარებივარ... გულწრფელად ვამბობ: ვაჰ, რა ლამაზი ხარ! რა ჭკვიანი გამოხედვა გაქვს! ვაჰ, რა გულდინჯი ხარ! შენი სიმართლისა მტკიცედ გწამს და ვერავითარი ყვირილი, მუქარა და მათრახი ვერ აგაჩქარებინებს ფეხს, ვერ შეგაცვლევინებს გეზს! დოვლათით და ოქრო-ვერცხლით კი ვერ დაიკვეხნი — მხოლოდ სულიერი სიმდიდრით!

— რა ლამაზი გალობა გცოდნია, ბარემ სიმღერით გეთქვა... ბიჭო, გიტარა მაინც რათ არ წამაიღე, ჰა? ტყუილად კვეხნულობ, მუსიკის მოტრფიალე გახლავარო?

— ჰო, შევცდი: შენს ყროყინს დიდად მოუხდებოდა გიტარის აკომპანემენტი, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ჩემს ბრწყინვალე დაკვრას — ჩემს დღეში გიტარა ხელში არა მჭერია! გიტარა რამ მოგანატრა, მუსიკა გიყვარს?

— მუსიკა ვის არ უყვარს... ფანდური მაინც წამოგეღო!

— ჰოდა, მე დავუკრავ და შენ კი იმღერებ, რა კარგია! უფანდუროდაც შენი სიმღერა-ყროყინი ყელამდე მეყოფა!

— შენ კი მარიო ლანცას ეცილები ხმის მომაჯადოებელი სილამაზითა? თუ ლუჩანო პავაროტის ან პლასიდო დომინგოს?

— დიახ, სამწუხაროა: სიმღერა არ მეხერხება, არც დაკვრა ვიცი, მაგრამ, მართალი გითხრა, ჩემში, ჩემს შიგნით, როცა კი მოვისურვებ — ზოგჯერ თავისთვადაც აღმოცენდება — ისმის მუსიკა... ხან — დიქსილანდი, ხან სიმფონიური ორკესტრი, ხან — ვიოლინო, ყველაზე ხშირად კი — პიანოფორტე...

— ჩემი სიმღერა არასდროს მოგნატრებია?

— დამცინი? შენთან პაექრობა ისედაც ყელში ამომივიდა და ახლა ყროყი-ყროყი-ყროყინი მოინდომე? მთელი ჩემი ცხოვრება სულ ამაზე ვოცნებობდი!

— ნუ იბღუზები, თუ გინდა, შენი ხათრით დავიყროყინებ კი არა, ხმასაც არ ამოვიღებ! ის მაინც მითხარ, რაზე ოცნებობდი?

— ზოგიერთი ჩემი ნაოცნებარი ადრეც ვახსენე... ოცნებად მქონდა: მომევლო მთელი მსოფლიო, მენახა უცხო ქვეყნების ბუნება, სილამაზით განთქმული ქალაქები... დამეთვალიერებინა ცნობილი მუზეუმების კოლექციები... მყოლოდა ბევრი შვილი, დიდი ოჯახი... რასაც კი შევძლებდი, წამეკითხა ყველა ან თითქმის ყველა დიდი ფილოსოფოსის, დიდი მწერლის, დიდი ადამიანის მიერ დაწერილი წიგნი... ამეშენებინა ჩემი საკუთარი პროექტის მიხედვით სახლი, გამეშენებინა ჩემს გემოზე დეკორაციული ბაღი და ბოსტანიც, რომელშიც ყოველდღიურად ვიჩიჩქნებოდი და გავიხარებდი იმის ხილვით, ჩემი შრომის შედეგად როგორ იცვლება თანდათან ჩემი დარგული მცენარეულობა: გაიხარებს, აყვავილდება, ნაყოფს გამოიღებს, მერე — ნაყოფი დამწიფდება... საღამოობით შეიკრიბებოდა ჩემი სახლის დიდ ოთახში მეზობლობა, გაიმართებოდა ნარდის, ჭადრაკის, ბანქოს თამაში, შემდეგ, მოკრძალებულ სუფრაზე — გაისმებოდა სახუმარო, გასართობი ამბები, ჭკუის სასწავლი სერიოზული საუბრებიც... ვოცნებობდი, მქონოდა მძლავრი ტელესკოპი და ხანდახან ღამღამობით მეცქირა გამაოგნებელი სანახაობებისთვის: სატურნის რგოლებისთვის, ვენერას ფაზებისთვის, მარსის არხებისთვის, იუპიტერის თანამგზავრებისთვის და... აუჰ! რა დათვლის ციურ სასწაულებს!..

ვირუკამ ჩემი სიხარულის ამოწვერილი მწვანე ჯეჯილი მაშინვე დაცინვის კბილებით პირწმინდად გადაძოვა:

— და, უკვე დაჩაჩანაკებულმა, განიზრახე, ჭაბუკობის ერთ-ერთი ოცნება — ქვეყნიერების მოვლა — ვირზე ამხედრებულმა შაისრულო? თანაც — უკუღმა შამჯდარმა?

— შენ, ჩემო კარგო ყროყინავ, ჩემთან ირონიულად ლაპარაკს შეეშვი!

— ჰო, კარგი, ყაბულსა ვარ, ერთი ეს მიბრძანე, საით გავუტიოთ? უპირველესად რომელი კუთხე—მხარის მონახულება გსურს?

— ე-ეჰ, ჩემო კარგო, მადა სანაქებო მაქვს, რომელი ერთი მოგახსენო... ზღაპრული ქვეყანაა — ინდოეთი; მთელი ცხოვრება რომ იქ გაატარო მოგზაურობაში, ყველაზე საინტერესოს მეათედის ნახვასაც ვერ მოასწრებ... ჩინეთი — მთელი კონტინენტის ტოლფასია ყველაფრით... მონღოლეთი, იაპონია...

— სხვები კი, მაგრამ მონღოლეთი?

— რატომ გიკვირს? არ იცი და იმიტომ — მონღოლეთიც მრავალმხრივ საინტერესო ქვეყანაა... ჰო, რაღა შორიდან დავიწყე, ირანი უფრო ახლოს არ არის?.. ისპაჰანი, შირაზი... ცენტრალური აზიის ქვეყნები... ბუხარა, ხივა და სამარყანდი მაინც შემეძლო, ადრე მომენახულებინა, ვაგლახ, ვერ შევძე-

ლი... მაშრიყ-მაღრიბი: ერაყი, პალესტინა, ეგვიპტე, ლიბია, ტუნისი, მაროკო... მერე აქეთ, ევროპაში: საბერძნეთი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, ინგლისი, სკანდინავიის ქვეყნები... რა თქმა უნდა სხვა ქვეყნებიც – ნებისმიერი ქვეყანა რაღაცით გამორჩეულია და განუმეორებელი...

– შენი სიხარბის მიუხედავად, ისე ვატყობ, აფრიკას გვერდი უნდა ავუაროთ, ვერც ამერიკის ქვეყნების მონახულებას შევძლებთ...

– ოცნებით მაინც ვინ დაგვიშლის?.. აფრიკის ნებისმიერი ქვეყანა ჩემთვის მიმზიდველია, მაგრამ, უპირველესად, მაინც ეთიოპიის მონახულებას ვისურვებდი: იგი განსაკუთრებულია ბუნებისა და მობინადრე ხალხთა მრავალფეროვნებით... სხვათ შორის, ეთიოპიაში XIX საუკუნეში ქართველი ექიმი მუშაობდა, – გვარი არ მახსოვს, რომელმაც დიდი სახელი მოიხვეჭა ადგილობრივ მოსახლეობაში. ახლა რა მდგომარეობაა მხატვრობაში, არ ვიცი და XX საუკუნეში რამდენიმე ძალიან საინტერესო ფერმწერი ჰყავდათ... ვინ არ ოცნებობს ეგვიპტის საოცრებათა ხილვას? ან – ძველი კართაგენის და არაბული მაღრიბის ქვეყნების სხვა ანტიკური ქალაქების ნაშთებისა?.. მუსლიმური არქიტექტურის შედევ-რებისა?.. უფრო სამხრეთით ახლა ტროპიკული სნეულებანი და შიდსი, ჭლექი და ქრონიკული შიმშილობისა და სასმელი წყლის პრობლემები და ალაგ – ტომობრივი შეხლა-შემოხლაც შეგხვდება, მაგრამ მე არაფერი შემაშინებს, არც იქ მოგზაურობაზე ვიტყოდი უარს... ტრადიციულმა ქანდაკებამ და ნიღბებმა ხომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მძლავრი გავლენა იქონია დასავლეთევროპულ ფერწერასა და ქანდაკებაზე, ახლა, პირუკუ ხდება: ევროპულის გავლენით აფრიკის მრავალ ქვეყანაში, ყოფილ კოლონიებში, XX საუკუნის განმავლობაში ძალიან თავისებური მხატვრული ლიტერატურა და სახვითი ხელოვნება ჩამოყალიბდა, რამდენიმე სამხატვრო სკოლამ, მრავალმა მხატვარმა და მწერალმა მსოფლიო სახელიც მოიხვეჭა. დიდი სიამოვნებით გავივლიდი გვინეის სანაპიროს ქვეყნების სოფლებში მოხატული სახლების სანახავად, ბაზრებში პროფესიონალთა თუ მოყვარულთა ნახელავის დასათვალიერებლად... კიდევ დიდხანს შემიძლია, ვილაპარაკო, რის ნახვას და შეცნობას ვისურვებდი აფრიკის საოცრად მრავალფეროვან და თავისებურ ქვეყნებში, მაგრამ დროა, მოკლედ მაინც გავიჭრა ამერიკის კონტინენტისკენ... კანადა, ამერიკის შეერთებული შტატები, მექსიკა... მექსიკურ ხალხურ მუსიკაზე შეყვარებული ვარ! ასევე – ზოგადად ლათინოამერიკულზე! ცენტრალური ამერიკა... კარიბის ზღვის კუნძულები... სამხრეთ ამერიკაში: კოლუმბია, ვენესუელა, პერუ, ეკუადორი, ჩილე, არგენტინა, პარაგვაი, განსაკუთრებით – ბრაზილია... ბრაზილია მთელი კონტინენტის ტოლფასია – ჩინეთის, ინდოეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის მსგავსად!

– ყველა ამ ქვეყნის ნახვა-გაცნობა გსურს? ვერან, ძალიან შორს გაუტიე, აი! ნეტავ რამდენ ხანს აპირებ ცხოვრებასა – ორას წლამდე?

– სოლომონ ბრძენო, მართალი ბრძანდები! გულახდილად გამოგიტყდები: თუშეთისა ან სვანეთის კიდევ ერთხელ მონახულება მირჩევნია პარიზებსა და რომებს, ნიუ იორკებსა და რიუ დი ჟანეირუებს!

– მოგზაურობა ვის არ უყვარს, მაგრამ შენ რა ხუშტურმა შეგაწუხა? ჯერ ვირზე შაჯდომა რა არი და მერე – უკუღმა? რა დააშავე ისეთი, რომა შენი საკუთარი ნებით პირუკუღმა ამხედრდი ვირზე და საჯაროდ სიარულს აპირებ ეგრე სოფელ-სოფელ და ქალაქ-ქალაქ? ამ სიბერის ჟამს ტვინი გადაგიბრუნდა და გინდა, ამგვარი ახირებით, უცნაური ხერხით გამოიჩინო თავი? ან იქნებ რომელიღაც ფანატიკურ რელიგიურ მიმდინარეობას შეეკედლე?

– ვაჰ, რამდენი კითხვა დაახვავე ერთად, თქვენო დიდყროყინობავ! რამდენჯერ უნდა მკითხო, რატომ შავჯექ უკუღმა? კი, ზოგიერთი უკუღმართი ქირქილს დაიწყებს: "იმიტომა, ძმისავ, რომა ალბათ შენი ჩოჩორი ჩონჩორიკის ნაცვლად ოქროს ლუიდორებს, ეკიუებს, დუბლონებს, ცეხინებს, დუკატებს ან ნაპოლეონდორებს ხომ არ მოისაქმებს, ჰა? საგანგებოდ შეკერილი ტომარა თუ გაქვს მზად, რომ ვირუკას უკან, კუდქვეშ მოაბა?". ამგვარ ყიამყრალს ვუპასუხებ: "არა, ილუზიებით არ ვცხოვრობ, კარგად ვიცი: მე ამ მოგზაურობით ვერც ახალი კრეზი გავხდები, ვერც – ადამიანთა თანასწორობას მივაღწევ, ვერც – საყოველთაო სამართლიანობას დავაფუძნებ...".

– აბა, რა გსურს, ვინმეს თავი მოაწონო?

– ვის უნდა მოვაწონო? საკუთარ სინდის-ნამუსთან იყავ მუდამ პირნათელი და შენი ქმედება ვინმეს მოეწონება თუ არა, სრულებით ნუ გადარდებს: ყველამ იცის, რომ ყველასთვის მოსაწონი ადამიანი ჯერ არ დაბადებულა და არც არასდროს დაიბადება! იქნებ მე ვარ ასეთი სრულყოფილი და ვერ ვხვდები?

– რა გიხარია, რა გეხუმრება: ყველა ვიგინდარა დაცინვას დაგიწყებს – შექანებულიაო!..

– კი, ჩემო სოლომონ ბრძენო, რომ მიმაჩაქჩაქებ, მეც შევქანდები დროდადრო, აბა, რა იქნება, მაგრამ შექანებულები და შერეკილები სხვაგან მოიკითხე! თუნდაც უმაღლეს თანამდებობრივ სავარძელში მოკალათებული ჩვენი ხელისუფალი, ამგვარად რომ უყვარს "გართობა": გაბრაზებული, უკმაყოფილების გამოსახატავად მთავრობის წევრებს ესვრის იმ დროს რაც კი ხელში მოხვდება – საფერფლეს, მობილურ ტელეფონს... თუ განსაკუთრებით გამოარჩევს ვინმეს და ამ დროს ვერაფერი მოიხელთა, გაქცეულს წამოეწევა და გემრიელ პანჩურს უთავაზებს, რასაკვირველია, სიყვარულით!

ეს “წვრილმანია”, უფრო დიდი გასართობიც აქვს! თავქეიფა “ხონთქარს” ფრენა არ შეუძლია, კედლებსა და ჭერზე ვერ დასეირნობს, დილიჟანსების და ბანკების ძარცვის დრო წარსულს ჩაბარდა, სომალის ნაპირებთან და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მეკობრეობას ერთგვარი ვაჟკაცობა სჭირდება და სახიფათოცაა, ჰოდა, ძალაუნებურად სხვა გასართობს ეძებს... და პოულობს! ყველას ძალიან გვახალისებს ახალ-ახალი ხუშტურებით! აი, რამდენიმე ბოლოდროინდელი: საკუთარი სასახლიდან ხედი გაიუმჯობესა: ერთ-ერთ სახლზე გუმბათი დაადგმევინა – ჩემი სასახლიდან ლამაზად გამოჩნდებაო... არ გამიკვირდება, თუ ამ მიმართულებით შემდეგ ნაბიჯსაც გადადგამს: “მამადავითი მეტისმეტად მაღლაა თავხედურად აზიდული, – ჩემს სასახლეს ზევიდან დაჰყურებს, – დადაბლდეს! ან სულაც – ბოლომდე მოითხაროს!”; მამადავითზე რომ მთელი სატელევიზიო ანძა ილუმინაციით გააჩირაღდნებინა (ამისთვის საჭირო ელექტროდენის რაოდენობა საშუალო სიდიდის ქალაქს ეყოფოდა!), თან დამპროექტებლებს თურმე უთხრა, თუ შეიძლება, რომ მისი სამართავი პულტი მე მქონდეს სასახლეშიო – პირადად უნდა, მის ხოშზე ჩართოს-გამორთოს! ასევე, მისი რეზიდენციის გადასახედზე მდინარე მტკვარზე შუშის(!) ხიდს აშენებს! რა საჭიროა ეს ფეხით სასიარულო ხიდი, რომელიც სრულიად უცხო სხეულად ჩაჯდება ძველი ქალაქის ხედში? მხოლოდ იმიტომ, რომ ზევიდან, მისი სასახლის გუმბათის სამზერი მოედნიდან, ლამაზად ჩანს! ნუ გაგიკვირდებათ, თუკი ეს ხიდი მარადჟამ დაკეტილი იქნება და მხოლოდ მისი უმაღლესობა წელიწადში ერთი-ორჯერ გაისეირნებს მასზე!.. ეგ რა არის: ბატონ ფადიშაჰს ხოში აქვს და პარლამენტის სხდომების ნაწილი გადააქვს ქუთაისში, მაშა! ამისთვის საჭირო იქნება ახალი შენობის აშენება, რისთვისაც ააფეთქეს გამოჩენილი მოქანდაკის მიერ შექმნილი გრანდიოზული მემორიალური ნაგებობა; ამ უზნეო და უაზრო წამოწყებას შეეწირა ორი ადამიანის სიცოცხლე... ახლა მთავრობის იქ გადაყვანის ბრწყინვალე იდეაც მოუვიდა თავში და მთავრობის ახალი სახლის აშენებას აპირებს... ცოტაც აცალეთ და არც დედაქალაქის სადმე ადიშში ან ქვემო ქედში გადატანა გაუჭირდება ჩვენს გმირთა გმირსა, წინ რა დაუდგება!.. აჭარა-თრიალეთის ქედის ძირამდე მოთხრა ხომ ჰქონდა გუნებაში – აჭარის ნესტიან ჰავას გავაუმჯობესებო, ჰოდა, ამ გიგანტურ ჩანაფიქრთან შედარებით დედაქალაქის სხვაგან გადატანა ბევრად იოლია! ჰო, კიდევა: დიდი იმედი მაქვს, რომ ამჟამინდელ დედაქალაქსაც არ დაივიწყებს და ქვეყნის აღმშენებლობისთვის გაწეული მისი გმირული მოღვაწეობის გვირგვინად, წამოჭიმავს საკუთარ ოქროს ქანდაკებას თბილისის მთავარი მოედნის შუაში – თურქმენბაშის ქანდაკებაზე მეტი უნდა იყოს ყოველმხრივ და ყველაფრით! არ დაიმსახურა თუ? ოღონდ მონუმენტი უეჭველად ვირის ყურებიანი უნდა იყოს! სანაქებო მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება არასდროს ღალატობს და ალბათ თავს ოქროსვე გვირგვინითა და ყურებს ბრილიანტის ათასკარატიანი საყურეებითაც დაამშვენებს! ვირის ყურები რომ ვახსენე, ხომ არ გეწყინება? ერთი ძველი თქმულება გამახსენდა: აპოლონმა ვირის ყურები ამოუზარდა ფრიგიელთა მეფე მიდასს, რადგან ამ უკანასკნელმა მუსიკალურ შეჯიბრში აპოლონს კი არა, პანს მიანიჭა გამარჯვება.

– ვატყობ, არ მოგწონს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, შეშფოთებული ხარ და გაქცევა გადაწყვიტე? ქვეყანა არეულია...

– წაიკითხე გაზეთები, უყურე ტელევიზორს – ყოველდღე რაღაც საშინელი ამბავი უნდა გვახარონ და დაგვზაფრონ – საშინელებათა უწყვეტი ჯაჭვია! და ეს ხომ მცირე ანარეკლია რეალურად არსებული მძიმე მდგომარეობისა...

– მაინც ბოლომდე ვერ ჩავწვდი: რატომ გინდა, ვირზე უკუღმა შამჯდარმა მოიარო ქვეყნიერება?

– არაფრის მეშინია, ამ სიბერის ჟამს რიღასი უნდა მეშინოდეს... შინაურებმაც შემიჭამეს გული: “რატომ მიდიხარ? რატომ? რა გინდა? რას გინდა, მიაღწიო?”.

– რაღაცას მალავ, ბოლომდე არ ამჟღავნებ... იქნებ უკუღმა იმიტომ შამაჯექ ქვეყნის დასანახადა, რომ ცოდვილი ხარ, ჰა? სინდისმა ხომ არ შეგაწუხა ამ სიბერის ჟამსა და თვითგვემას მიჰყევ ხელი?

– არა და არა! დამიჯერე, მე ადამიანი ვარ, ჩემი დადებითი და უარყოფითი თვისებები გამაჩნია, შეცდომებიც მქონია, როგორც ყველას, ვინც ბერივით არ შეკეტილა სენაკში, მაგრამ მხოლოდ უნებლიე, ისიც – წვრილ-წვრილი, დანაშაული არასდროს ჩამიდენია... ისე, მე რომ მკითხო, ბერობა, ცხოვრებისგან განდგომა მე დიდ დანაშაულად მიმაჩნია, დიდ ცოდვად... შენ საზოგადოების წევრი ხარ და ნებით არ უნდა გაირიყო.

– შენც ასე არ შვრები? დაგიღერია თავი და მიჩერჩეტობ, თვითონაც არ იცი სად და რისთვის... რა წოწიალი აგიტყდა ამ ცხოვრების მიმწუხრის ჟამს, ალბათ ყმაწვილკაცობაში ვერ მოიკალ მოგზაურობის ჟინი?

– ჩემო სოლომონ ბრძენო, გეოლოგი კაცი ვიყავი, ოთხი ათეული წელიწადი მეტს რას ვაკეთებდი!

– აბა, ახლა შინ ჯდომა მოგწყინდა? ვეღარ ერთობი?

– არა, ჩემო ყურპარტყუნავ, მე არ ვიცი, მოწყენილობა რა ხილია საერთოდ, არც არასდროს ვიცოდი. ბავშვობიდანვე უჩვეულო ცნობისწადილი მახასიათებდა, ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა.

ეს თვისება ერთი ბეწოთი მოხუცებულობის ჟამსაც არ გამნელებია... რატომ გავემგზავრე? მიზეზი გაინტერესებს, რამ მიბიძგა? უბრალოდ გავაფრინე ვითომ? მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მკარნახობდნენ, რა უნდა გამეკეთებინა, რა უნდა მესწავლა, რა უნდა ჩამეცვა-დამეხურა, რა მეჭამა და მესვა, რომელ ქუჩებში მევლო, რა წიგნები წამეკითხა, რა ხელობა შემესწავლა, როგორი ქალი შემერთო ცოლად... ვაჰ, კაცი ვარ თუ გუდურა? მატარებელი ხომ არ ვარ, სულ ერთი და იგივე დაგებულ ლიანდაგზე წინ და უკან ვიარო გაუთავებლად, ერთი გოჯითაც არ გადავუხვიო ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი გზიდან...

– ეგ ადრეც თქვი... არ ჩანხარ მთლად ჭკუადალაგებული კაცი, ვინმეს ხომ არ ემალები?

– რა მჭირს დასამალი, მაგრამ განმარტოვება მიყვარს!

– რატომ, კაცო, ადამიანი საზოგადო ცხოველიაო და შენ კი...

– სულაც არ ვგრძნობ თავს ეულად – წერის დროს ჩემთან მთელი სამყარო მოდის, მთელი მსოფლიო!

– მწერლები ცოტა უცნაური ხალხი ჩანხართ...

– მწერლობა არაფერ შუაშია, დაადე ხელი რომელ ადამიანსაც გინდა, რომელი არ არის უცნაური? მავანი პიროვნება, შენ თუ არ გგავს რაიმეთი, უცნაური გეჩვენება... სხვებისა რა მოგახსენო და მე კი ყველაფერი მაინტერესებს, ყველაფერი მინდა, ვიცოდე!

– ყველაფერი ღმერთმაც არ იცის... რად გინდა?

– თავისთავად ცოდნის შეძენა დიდი სიამოვნებაა, თანაც, არ ვიცი, რა დამჭირდება, რისიპ0 ცოდნა! ერთი შეხედვით წვრილმანს, დეტალებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, არ უნდა შეცდე! თორემ თუ მკითხველმა შენს ნაწერში თუნდაც მცირე უზუსტობა შეამჩნია, საერთოდ აღარაფერს დაგიჯერებს... მთელი შენი შრომა წყალში ჩაგეყრება.

– აქამდე მოწაფე ხარ?

– აბა, რა, მარადი მოწაფე! აი, ხომ ხედავ, ნელ-ნელა გაცნობ ჩემს პიროვნებას. რამდენად პირუთვნელი ვარ, ეს უკვე სხვა საკითხია – შეფასებისას ობიექტური თვით ღმერთიც არ არის, რომლის არსებობაც, მართალი გითხრა, დიდად მეეჭვება... ის რომ მართლა არსებობდეს და მართლა ობიექტური იყოს, მე ადამიანად რომ მაქცია და შენ კი – დიდყურა ყროყინად და მე შენს ზურგზე შემასკუპა, ნეტავ რატომ? რა დააშავე? ზოგადად, ცხოვრების კანონია: რაღაცას უნდა აკეთებდე – შენთვისაც და სხვებისთვისაც... თუ არა და – დამყაყდები, შმორის სუნი დაგედება, როგორც ჭაობს. კეთილი რამ აი, რა არის: შენ თვითონ ისწავლო და სხვას ასწავლო! ამიტომ მივდივარ სამოგზაუროდ – მთა და ბარი უნდა შევაჯერო! მოძრაობა – სიცოცხლეა, სიცოცხლე – მოძრაობაა! ჰოდა, შენ ჩემო კარგო ჩოჩორიკავ, რატომ გაიყინები ზოგჯერ ერთ ადგილას – მართლა ვირივითა, ჰა?

– სოსო ბატონო, თუ გინდა, გავჭენდები კიდეცა, მაგრამ შენა? შენ რამდენად შეგეფერება? ახალგაზრდობა ხომ არ მოგენატრა, ჰა?

– ალბათ არც უმაგისობაა... ჰოდა, მიდი, გაუტიე, ჩემო კეთილო ჩოჩორიკავ! რაც უფრო სწრაფად მიჩაქჩაქობ შენ წინ – მომავლისკენ, მით უფრო სწრაფად მივისწრაფვი მე უკან – წარსულისკენ!

კარი VII.
თავიდანვე რაღა უბედურ გვირაბში შემაყოფინე თავი, დიდყურავ?.. სამწუხაროდ, ჩემგან კარგი გეოლოგი ვერ დადგა...

– ჰო, კარგი, გავიგე, რომ დიდი მოგზაურის სახელის მოხვეჭას აპირებ... – მეუბნება ჩემი ვირუკა. – უკვე საკმაოდ ილაქლაქე და ჯერაც წესიერად არ დაგვიწყია მოგზაურობა. არ ჯობს, ბატონო ჩემო, მკითხველის მოთმინება ბოროტად აღარ გამოიყენო და თავიდან დაიწყო თხრობა?

– მართალი ბრძანდები, სოლომონ ბრძენო, მაგრამ თავის მართლება ნაწილობრივ იმით შემიძლია, რომ ჩემი წიგნების შექმნისა თუ წინაპრების შესახებ თხრობაც ხომ წარსულ დროებაში მოგზაურობაა ჩემი სულისა... ახლა, რაკი ეგრე გსურს, ჩემი და შენი მოგზაურობის ამბავსაც მივხედავ. გსურს, თავიდან დავიწყო? კი ბატონო...

ვირზე შავჯექ, დიახ! და გავუტიე კიდეცა!.. ხომ იცით, რას ნიშნავს, როცა იტყვიან, ვირზე შაჯდაო, ჰოდა, შავჯექ და თანაც – უკუღმა!

წარმოიდგინეთ, ეს რაღა იქნებოდა!

აბა, ახლა გავაფრენ და! ლაგამი ავიწყვიტე, ტლინკები ვყარე, ავჯანყდი, ავმბოხდი, წრეს გადავედი, საღ აზრს ავუმხედრდი, თავს გავედი, გადავამეტე, გადავაჭარბე, გადავამლაშე, ბედისწერას შევაფურთხე, კეთილგონიერებას ზურგი შევაქციე, გავაფრინე, ქოში უკუღმა ვყარე, გავგარეულდი,

წერამ ამიტანა... მოკლედ, ლაღად ავუშვი ხუშტურის იალქანი, ბედის ჩარხი ყირამალა ამოვაბრუნე და უკუღმა დავატრიალე, – რაც იქნება, იქნება, საცა წვრილია, იქ გაწყდეს!

აი, ვირუკაზე ასე და ამგვარად, ასეთნაირად ამხედრებულმა, ერთი ჩვენი უცნაური მოგზაურობის ამბავი უნდა გიამბოთ! ხომ ყაბულსა ხართ?

ხომ არ გგონიათ, უბრალოდ გავჯიქდი, გავკერპდი, ყალყზე დავდექ, გავჯიუტდი და მეტი არაფერი! არა, ნაღდად ნაღდ ვირუკაზე შავსკუპდი, ნაცრისფერ ყურპარტყუნაზე, ჩლიქებბაკუნაზე, მარადჟამ ღრმად ჩაფიქრებულ ფილოსოფოს ყროყინაზე, სოლომონ ბრძენზე – უკუღმა, ხალხო, პირუკუღმა!

ნურც ჩემი ვირუკაი გგონიათ ჩვეულებრივი დიდყურა; არა, ხალხო, განა მხოლოდ ყროყინი, ტლინკების ყრა და გაჯიუტება ეხერხება; ბრძენი ფილოსოფოსიც არის, ამაში მკითხველიც დარწმუნდება, როცა ქვემორე ფურცლებზე ჩემს მასთან საუბრებს გაეცნობა, ხშირად – ფრიად მწვავესაც! პირდაპირია, მოურიდებელი, რასაც ფიქრობს, მაშინვე უბოდიშოდ მაჯახებს – ამ მხრივაც ნაღდი ვირია, მაშ!

ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, გავიჯგიმე, გავიჭიმე, გავიბღინძე, გავზულუქდი, – მიდი, შენ, ჩემო უტეხო, საყვარელო ჩოჩორიკა, მედგრად გაუტიე წინ და წინ! მე კი, პირუკუღმა მჯდარი, იმავდროულად, წავალ უკან და უკან! და რაც უფრო სწრაფად წაჩოჩორდები წინ შენ, ჩემო ლამაზო ყროყინავ, მით უფრო მარდად წავჩაქჩაქდები უკან მე!

მაშ, გკრავ კოხტად გამოყვანილ ფერდებში წარმოსახვის დეზებს და გავფრინდეთ წინ და წინ და მე კი გავჭენდები-გავჯირითდები უკან და უკან!

მაგრამ ნურას უკაცრავად, ვირუკა თურმე სულ სხვაგვარად ფიქრობს... მისდა გუნებისად დინჯად მიბაკუნობს.

შენ ჩემო ბრძენო სახედარო, აჩქარება არ გიყვარს მაინცდამაინც... კეთილი და პატიოსანი, ყაბულსა ვარ – მიდი და გაუტიე, როგორც შენ გაგიხარდება! ვენდობი შენს უბადლო გუმანს, უებრო განჭვრეტის ნიჭს, იცოდე, შენს იმედად ვარ!

რა ნარნარად მიგოგმანობ, რა რბილად მიირწევი, რა აუჩქარებლად მიუყვები გზასა, შენ გენაცვალე – თავი ზღაპარში მგონია! მივქანაობ, მივნანაობ, ირგვლივ ველ-მინდვრები თუ მთა-გორები უკან-უკან მიჩოჩავენ – რა კარგი ყოფილა ვირუკაზე პირუკუღმა შემჯდარი სეირნობა!

უცებ...

უცებ გვირაბში შევრგეთ თავი, ბნელ გვირაბში, ნესტიანში, ცივში, არც სულ მთლად ბნელში – ცოტ-ცოტა წითელიც ურევია იმ სიშავესა, შავ-წითელი არის ის ბნელეთი; ქუშია, ქუში მოქუფრული ღრუბელივითა, უკვე ჩასული მზის უკანასკნელი სხივები რომ ოდნავ შეფაკლავს...

– თავიდანვე საით გაუტიე, ყროყინავ, სადა ვარ, სად ჯანდაბაში მოვხვდი? სოლომონ ბრძენო, სად მომიყვანე ან, უფრო სწორედ, სად შევედით, ამ ჯურღმულში რა დაგვრჩენია? ქვესკნელში საბოდიალოდ გვცალია?

– ჰი-ჰი-ჰი, შაგეშინდა? ჯადოსნურ წყაროთან მიგიყვან. ბებერი კაცი ხარ, შამეცოდე და შენთვის სასიცოცხლო წყალი მისწრება იქნება! ერთი ყლუპიც რომ მოსვა, ხომ ბედნიერი იქნები? ერთი წლის სიცოცხლე მოგემატება და კიდევ ერთ რომანს დაწერ!

ვაჰმე, უფრო და უფრო ბნელდება!.. მხოლოდ ჩემს წინ მოჩანს გვირაბის განათებული პირი, ისიც პატარავდება და პატარავდება ჩემი იმედივითა, მალე სულ დაილია და აჰა, საბოლოოდ დაიკარგა კიდეცა!

ყველაფერს წყვდიადის ხავერდის შავი ფარდა ჩამოეფარა!

არღარა ჩანს, აღარაფერი ჭიატობს, ერთმა ციცინათელამ მაინც გაიციალოს ნაპერწკალივითა!

– შენი ფლოქვების რიტმული პაკიპუკი რომ არ მესმოდეს, მაშინ რაღა მეშველებოდა, გაღმა ნაპირს გასული, საიქიოში მეგონებოდა ჩემი თავი... – ისევ შევეხმიანე საკუთარი გულის გასაკეთებლად სოლომონ ბრძენსა. – თავიდანვე რაღა გვირაბში შემაყოფინე თავი, დიდყურავ?.. ბოროტად ისარგებლე იმით, რომ უკუღმა შეგაჯექ?

ვირუკამ, პირიქით, უკმეხი პასუხით გუნება კიდევ უფრო გამიფუჭა:

– ჩემო ბატონო და მწყალობელო, თუ ასეთ ახირებას უხდი ხარკს, რა შედეგიც შეგიძლია, მიიღო, მაგაზე ადრე უნდა გეფიქრა!

მივდივართ, მივდივართ და ვაჰ, სულ რა უკუნია მიწისქვეშეთში – გრძელ და ბნელ გვირაბს ბოლო არ უჩანს...

– სოლომონ ბრძენო, მოდი რა, ამ სიცივის, სინესტის, სიჩუმისა და იდუმალების საუფლოში შიში საუბრით განვდევნოთ... იქნებ ზღაპრულ სამეფოში შემიყვანე? მართლა ზღაპარში ამომაყოფინე თავი?

– თუკი ამის სურვილი გაგიჩნდა, აბა, ჰე, დაე, ასეც იყოს!

– კეთილი... ვინ ცხოვრობს აქ? შეიძლება, ღამურები დაფრინავენ, თხუნელები დაძვრებიან! იქნებ ვირთხებიც დაშლიგინობენ... კიდევ ვინ არის აქაური მდგმური? მელიები? ქვესკნელის მეფე? ალბათ

უსაშველოდ გრძელი ცხვირი აქვს – სიბნელეში მაინც ვერავინ ხედავს! თუმცა, რატომ სიბნელეში? ხედავ, აქ ციცინათელები გამოჩდნენ, ფრენენ და ანათებენ. ერთი რომ აინთება, კიაფობს ერთხანს და მერე ჩაქრება, მის ჩაქრობამდე ცოტა ხნით ადრე ახლა მეორე აინთება და ასე, ერთიმეორეს გადასცემენ სინათლის "ესტაფეტას"...

– იმ ჯადოსნური წყაროს წყალს ერთი ალქაჯი დარაჯობს, ჩვენ სასიცოცხლო წყალს არ დაგვიჭერს დასალევად, მაგრამ წასაღებად კი – ნურას უკაცრავად, არ გაგვატანს!

– რათა?

– იმათა, რომ, ვისაც სურს, დალიოს ის სასიცოცხლო წყალი, თავისი ფეხით უნდა ეახლოს ალქაჯს და სამ კითხვაზე გასცეს პასუხი. თუ სამივე პასუხი სწორი იქნება, სამ ყლუპ წყალს დაალევინებს და მორჩა!

– რა კითხვებია ისეთი?

– ყველას თავისებურად უდგება, ერთნაირი კითხვები არ უყვარს.

– რა ამბავი ვირთხები დაძრწიან, კოღოების წუილმაც წაიღო ტვინი! რა უნდა ასეთ ადგილას სასიცოცხლო წყაროს? – ვბურტყუნებ. – სასიცოცხლო წყარო წესით მწვანე აყვავებულ მდელოს ნაპირზე უნდა მოსჩქეფდეს გაბარჯღული მუხის ქვეშ! ლამაზი ყვავილების კრეფით, სეირნობა-სეირნობით მიხვალ; ლურჯი ცის გუმბათიდან ცხრათვალა მზე ბრდღვიალებს, ჩიტების ჭიკჭიკი სულს ესალბუნება...

– მაშინ რაღათ გინდა სასიცოცხლო წყალი! დიახ, სასიცოცხლო წყალს მაშინ აქვს ფასი და გემო, როცა ჯურღმულში ივლი – სიცივეში, სინესტესა და სიბნელეში, ფეხები დაგისველდება, სახე და ხელები უთვალავ კოღოთა კბენისგან დაგისივდება, ვირთხები წრიპინით დაშლიგინობენ ფეხებშუა და გულს გიხეთქავენ... ლანგრით მორთმეული ნამცხვარი კარგია, მაგრამ შენი ოფლით მოწეული პური უფრო გემრიელია!

– ძველი ჭეშმარიტებაა, სოლომონ ბრძენო, როგორ არ დაგეთანხმები!..

ბოლოს, მოსახვევში მომწვანოდ მოციმციმე სინათლე გამოჩნდა.

მივედით, როგორც იქნა.

ციცინათელების ჯარი ჯგროდ დაფრინავდა და დავინახეთ კიდეც ალქაჯი, წამოსკუპებული მწვანეხავსიან კლდის ნატეხზე. თვალებში ცეცხლს აკვესებდა, მოკაუჭებულ, ნისკარტა ცხვირს დროდადრო ხმაურით უკაკუნებდა კლდეს, დიდ, შავ ფრთებს აფართქუნებდა და რაღაცას წამოიკნავლებდა ხოლმე.

– სულ ასე ქოთქოთებს? – ალქაჯი რომ დამენახა, ვირუკას ზურგზე შევბრუნდი და ხმადაბლა ვკითხე დიდყურას.

– დიახ, დიახ, წყალს, სასიცოცხლი წყალს ხდის ჩვეულებრივი გამონაჟური წყლიდან და დიდ ჯაფადაც უჯდება. ამიტომ ჰაიჰარად არავის ატანს, მხოლოდ რამდენიმე ყლუპს თუ დაალევინებს.

– აბა, ტყუილად ვიარეთ ამდენი?

– არ ხარ მართალი, სასიცოცხლო წყალი ყველას სჭირდება. შენს შვილიშვილს რომ უამბობ, რა ჯაფადაც დაგიჯდა სამი ყლუპი სასიცოცხლო წყალი, ესეც საქმეა.

ალქაჯმა შემათვალიერა; მწვანე შუქი გიზგიზებდა მის თვალებში, მაგრამ შიში დავძლიე და თვალები არ დამიხრია.

– რა არის შიშზე ძლიერი? – მკითხა ბოხი ხმით და ხახიდან ალისფერი ცეცხლი გადმოაფრქვია. ალმური მეცა, წამით ხელები ავიფარე სახეზე, უკან კი მაინც არ დამიხევია.

– შიშზე ძლიერი? შიშზე ძლიერი გონებაა! არა, შიშზე ძლიერი სიმამაცეა! არა, შიშზე ძლიერი მოვალეობის გრძნობაა! – კისერი მოდრიკა და ჩურჩულით მკარნახობდა ვირუკა; ვაჰ, რა ბრძენი დიდყურა მყავს!

– შიშზე ძლიერი ადამიანია, ძლიერი ადამიანის ნება!

ალქაჯმა თვალები მოხუჭა, მწვანე სინათლე ჩაქრა და მხოლოდ ციცინათელების ციალი ჩანდა. მერე ისევ გაახილა თვალები და გვირაბის კედლები კვლავ მომწვანოდ გამოჩნდა.

– რა არის ბედნიერება? – დაიბუხუნა ალქაჯმა. ამჯერად ცეცხლი არ გადმოუფრქვევია ხახიდან, სამაგიეროდ, ნესტოებიდან ყინულივით ცივი წყლის ჭავლი მომაფრქვია და მე და ვირუკა თხემით ტერფამდე გაგვწუწა. ვირუკამ ალბათ კარგად არ იცოდა ალქაჯის ხრიკები.

– ბედნიერებაა, როცა არაფერი გაწუხებს! – აბუტბუტდა დიდყურა. – როცა უბედობას არ განიცდი! როცა ოცნება გისრულდება!

– ბედნიერება... სიტყვებით ამას ვერ გადმოსცემ. მე მგონი, ბედნიერებაა ის, რომ, სანამ ცოცხალი ხარ, არ იგრძნო თავი უბედურად, მცირედი სიყვარული და სიხარული ყოველთვის უნდა დაინახო ცხოვრებაში, როგორი დუხჭირი და მძიმეც უნდა იყოს იგი შენთვის! აი, ამის უნარი არის ბედნიერება!

ალქაჯმა თვალები მილულა და თავი მოიმკვდარუნა, არ იძროდა, თითქოს არც სუნთქავდა. კარგა ხნის შემდეგ წამოსწია თავი და თვალები მწვანედ დააკვესა.

— რა არის სიბრძნე? — იღრიალა ალქაჯმა.

— სიბრძნე არის თავის გადარჩენა! — აჩურჩულდა დიდყურა. — სიბრძნე სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარია! სიბრძნე წინასწარ განჭვრეტის ნიჭია!

— სიბრძნე... სიბრძნე არის უნარი სიკეთის ქმნისა, მხოლოდ კეთილი ადამიანი არის ბრძენი!

ალქაჯმა ერთი ამოიგმინა, პირი გაასავსავა, თვალები დაახამხამა, კუდი გაატოკა, ტანი გააცახცახა, ფრთები დაკეცა და მოიკუნტა; დაპატარავდა, დაპატარავდა და გაქრა...

უკუნ სიბნელეში აღარც ციცინათელები ციალებდნენ, დიდყურამ საზარლად დაიყროყინა.

უცებ მიწა იძრა ძლიერ, ჩამოიშალა, ჩამოინგრა გრუხუნით ყველაფერი...

მერე განათდა, ცა გამოჩნდა!

— აუჰ, არ დაიქცა ქვეყანა?!. რაღა ახლა მოგესურვილა ყროყინი, გული კი გამიხეთქე და! გვრგვინვასავით დასჭექა შენმა ყროყი-ყროყი-ყროყინმა!

გავიფიქრე: "ვინც კლინიკური სიკვდილი განიცადა და ექიმების ძალისხმევით მოხერხდა მათი გადარჩენა, საიქიოდან მობრუნებულნი, ჰყვებიან, რას გრძნობდნენ: "ბნელ გვირაბში მოვხვდით და ბოლოში კაშკაშა სინათლე გამოჩნდა!", მეც ხომ არ მოვკვდი?", — ვირუკასთის კი არაფერი მითქვამს.

არა, ჯერ ცოცხალი ვარ, რადგან გრიალი მესმის, გამაყრუებელი ტაშისცემა და დამაბრმავებელი სიკაშკაშე იღვრება ყოველი მხრიდან.

გვარიანად შევშინდი, ხომ იცი — განათდა ყველაფერი, მე კი ვერაფერს ვარჩევ...

მერე თვალები ნელ-ნელა ეჩვევა სინათლეს და რას ვხედავ?

ცირკში ვართ, ცირკში და მის მრგვალ, ნახერხმოყრილ ასპარეზზე წრეს წრეზე ვუვლით მე და ჩოჩორიკა!

მე ჩვეულებისამებრ პირუკუღმა ვზივარ და ხალხი ტაშისცემით ხელისგულებს იხეთქავს, სტვენას მიაქვს ყურთასმენა!

ათასი გაღიმებული სახე, ორი ამდენი — გაბრწყინებული თვალი მე და დიდყურას მოგვჩერებია, წრეზე აცუნცრუკებულებს, და ჩვენგან მოელიან რაღაცას ჯერ უნახავს, უჩვეულოს, გულის გასამხიარულებელს, სახალისო თვალის სეირს! ხელის აწევით გვამხნევებენ, გვაგულიანებენ; გვესვრიან ვაშლებს, ბლითებს და ფოჩებიან კანფეტებსაც კი იმეტებენ...

რა იქნება ჩვენი პროგრამის პირველი ნომერი?

რა თქმა უნდა, მალაყი!

თუმცა, ჯერ არა, ჯერ მომგებიანი ილეთი შევთავაზოთ აღგზნებულ მაყურებელს — დიდსა და პატარას ერთნაირად გავახარებთ, განსაკუთრებით კი — პირველ რიგში მსხდომთ!

ჰოდა, გადავიწევი სახედრის ზურგიდან მარცხნივ, თან უკან (ესე იგი, წინ, ვირუკას თავისკენ) ვიყურები... თანაბრად, ნარნარად გაუტიე, ჩემო დიდყურავ, ახლა უნდა ვიმარჯვო! კიდევ უფრო გადავიხრები, გადავწვდები გაფარჩხული თითებით ასპარეზის ნახერხში გაგორებულ ლოყაწითელ ვაშლს... ცხოვრებაში ჩემთვის ვაშლი არავის გაუგორებია და აჰა, ვედირსე! ალბათ, ამ ღიმილით გაცისკროვნებულ პატარა გოგონას უნდა ვუმადლოდე ამ წყალობას, თორემ დიდებისგან არაფერსაც არ ველოდი... დავწვდები კიდეც, ვირუკადან ყირამალა ჩამოვვარდები კიდეც — ჯერ ზურგზე დავეცემი, მერე გადავკოტრიალდები და პირაღმა გავიშოტები ნახერხში...

ღრიანცელ-ხარხარში თავს მაღლა ვწევ — რა გაცინებთ, თქვე კაი დედმამიშვილებო, მოდით ვინმე და მომეხმარეთ წამოდგომაში ამ ხნის კაცს, ის აჯობებს, მე და ჩემმა ღმერთმა!

ვირუკა კი განაგრძობს ჩაქჩაქს ასპარეზის გარშემო; ჩემთან რომ მოაღწევს, დინჯად გადამახტება და გაჩერდება.

ისევ შენ თუ მიშველი, ჩემო ერთგულო დიდყურავ! წამოვიწევი ცალ ხელზე (მეორეთი ვაშლი მიჭირავს!), მინდა, კუდზე ჩავეჭიდო ასადგომად, მაგრამ ვაშლი მივარდება ხელიდან და ვეღარც კუდი შემრჩა — ისევ ნახერხში ვვარდები, ამჯერად — პირაღმა. სახედარი თვინიერად დგას, მე ისევ ვეპოტინები მარჯვენა ხელით, ვაშლი კი წინდახედულად მარცხენაში დავიჭირე და ამ ხელს ვეჭრდნობი წამოწევისას... აჰა, მაგრად ჩავავლე ხელი კუდს და ვირუკაც დაიძრა წინ — მიმათრევს, მიმაფორთხებს — ნახერხს კავივით ვხნავ, მაგრამ ვაშლს ვერაფრით ველევი! ჩავკბეჩ და გაცხარებით ვღეჭავ, ჩავკბეჩ და ვღეჭავ, თან საშველად ვუხმობ... მაყურებლები კი იფხრიწებიან სიცილითა, მამხნევებენ სახალისო შეძახილებით: "გემრიელია? ერთი მეც ჩამაკბეჩინე!", "კიდევ ხომ არ გესროლოთ?", "რომელი ჯიშის ვაშლი გირჩევნია?"... ათასგვარ რჩევას მაძლევენ და ტაშს მიკრავენ... მე ტაში რად მინდა, მოდით, ხალხნო, მომეშველეთ!

— შენ მასხარების მეფე ხარ! — გრგვინავს მთელი ცირკი.

უნდა მიხაროდეს თუ მწყინდეს?

ამოვტრიალდი, ახლა ცას შევცქერი ანუ ცირკის გუმბათსა, სხვადასხვა თოკებით დახლართულ-დაბაგირებულსა, პროჟექტორების ბრიალა თვალებით მოოჭვილსა, ცირკის შენობას რომ დამხობია, ვითარცა უზარმაზარი სამეფო გვირგვინი... ეს გვირგვინი ალბათ ჩემი მეფობის ნიშნად მივიჩნიე!

და უცებ გუმბათ-გვირგვინი იხუვლებს, ათ, ოც, ას ნაწილად იმსხვრევა და ქვევით მოექანება, ყველა ჩემსკენ მოჰქრის... მოღიავებული ციდან ცივი ჰაერის ტალღა ჩანჩქერებად ეშვება და შუბლს მიგრილებს...

დავხუჭე თვალები და უცებ მე და ვირუკა ისევ გვირაბში არ აღმოვჩნდით?

ბნელა, ბნელა ისე, რომ უმთვარო შუაღამისას შავი კატის სტომაქში არ იქნება ეგეთი სიბნელე გადაყლაპული თაგუნასთვის!

ნელ-ნელა გამოკრთა სინათლე, არა, სინათლის მაგივრად რაღაც ბინდბუნდი დავლანდე – მე ხომ პირუკუღმა ვარ ამხედრებული.

თავის გოგრა მოვატრიალე გვირაბის სახისკენა თუ ხახისკენა და გავგოგმანდით კიდეცა ყვავილებით აფერადებულ მწვანე მდელოზედა, რომლის შუაზეც მხიარული ნაკადული მიიჩქარის-მიჩხრიალებს გემოზედა. გარშემო ტყე დგას კედელივითა, არცა რო გასაჭვრეტ-გასაძრომი ამჩნევია არცერთ მხარესა... რაღას იზამს დიდყურაი, ირგვლივ უვლის ამ მდელოს კიდესა, გინდაც რო ცირკში ყოფილხარ. ი ოხერ-ტიალი ტოტები გადმოშვერილა დიდ-დიდი ხეებისა, პატარ-პატარა რტოებიცა მომცრო ხეთა და წვრილიანის ავაზაკი წკეპლები ხო ზურგშიცა მცემენ, თავხედურად ქუდსაც მხდიან და გაფრენილსა უკვე ჰაერშივე ვიჭერ ძლივძლივობითა...

ცირკია თუ რა არის, გამაგებინეთ, ჰა? ეს ვინ იცინის უშნოთა, ან რა აცინებს?

ვხედავ: ტოტზე თუთიყუში ზის შვიდფერი, სავარცხელა-ქოჩორსა ხან აყალყებს და მაშინ აბრიალებს თვალებსა და ჩხავილით დამძახის ზევიდანა: "უკუღმა დაჭედილო!", ხან კი თვალებს მილულავს და ქოჩორიც გაუქრება მომრგვალებულ თავზედა, ვითომც უთო გადაუსვესო – ძალას იკრებს ახალი გინების გადმოსაფრქვევლად!

– უკუღმა შაგსვეს თუ არა ვირზედა! – წიკვინებს ზედ ყურისძირში ვიღაცა... რო გავუსწორდები და ვკიდებ თვალსა, პატარა მაიმუნი არ არი? მოკაუჭებული კუდი ტანზე გრძელი აქვს, მრგვალ თვალებს დურბინდის შუშებივით აბრჭყვიალებს, წყეული! თან სულ იღიმის და ეშვებ-ღრჯოლებ-ღოჯოებსა ეგრევე აკვესებს თეთრადა, ანაოჭებს ცხვირსა განიერსა, ისედაც ნაოჭიანსა; ქვედა ყბასა, ისედაც მონგრეულსა, კიდევ უფრო წინ იშვერს ეგ ვერანა – ეგეც თუ დამცინის?!.

მორიგ წრეს რო ვუვლიდით მინდორსა, დროდადრო, ნაკადულზედ გადახტომისას გულის ხეთქვითა, უცებ რაღაცა დამახტა ზურგზედა, ბანჯგვლიანი მკლავი მომხვია ყელზედა, მემრე კალთას ჩამიჯდა პატარა მაიმუნი, ცუგრუმელა; იცინის და უხარია, მეორე ხელში ეპყრა მცირე წკეპლა, ფერდზე სცემს საწყალ ყურპარტყუნასა და აქეზებს პირუტყვს ნაბიჯის ასაჩქარებლადა. თუმცა, უტყვსა რათა – უცებ ისეთი ხმა დასცა ყროყინამა, რომა ჩვენი მაიმუნი, ერთი ბეწო, ერთ წამში გავარდა ფიშტოსავითა – ყველაზე დიდი ხის კენწეროზედ მოექცა მსწრაფლ; იქიდან დაფეთებული იცქირება, ცახცახებს და თვალებს გიჟისებრ აქეთ-იქით აცეცებს – იქნებ უფრო მაღალი ხე დავინახო გასაქცევადაო.

მე რაღა დამემართა, ვერ დავეტევი ადგილზე? ანუ ვირუკას ზურგზე? და ისევ წრეს ვუვლით ჩლახუნ-ჩაქჩაქით მინდორ-მინდორ! სულ ზევით-ზევით ვიყურები, თვალი მაიმუნს მივაბჯინე, ვერ მომიშორებია... მორიგი ნახტომი გამომრჩა ვირუკასი ნაკადულზე და უცაბედი ბიძგისგანა, ვაიმე, საით მივფრინავ, ბედშავი!

თხლაპ! – ნაკადულის სიგრილეში და სისველეში ვფართხალებ; ჩემი ჭირი არ მეყოფა ვითომ, კბილებში კიდევა თევზი არ გამეჩხირა, ოხერი? თან – კუდს იქნევს! ვინა თქვა, თევზი ხმას არ იღებსო, მელაპარაკება, კაცო, თუ იცი რასა? ვირზე რამ შეგსვა ე დროული კაცი, თანაც – უკუღმა, უარესის ღირსიც ხარო! რა უნდა ვუყო? ვერცა გადმომიფურთხებია, ვერცა სტომაქსა შინა გარდამიყლაპია... ხმასაც ვეღარ ვიღებ, ვარ თევზივითა მუნჯი, ამ თევზსა არ ვგულისხმობ, ვერც საშველად მიხმია. თუმცა, ამ კოჭებამდე წყალში ფეხზე ვეღარ უნდა წამოვდგე? ეგ კი არა, წამოვხტები კიდეცა! მაგას რა უნდა, მაგრამ ხარხარი რო არ მაყენებს ფეხზედა! ვიღაცეები ყროყინებენ ყურისწამღებადა, კარგა გავამხიარულე ვიღაც-ვიღაცეები... ნუთუ აქაც ცირკია? არა, ჯინაზე არ ავდგები, დაე მდინარებამ ნაკადულისა, საცა უნდა, იქ წამიღოს, ყაბულსა ვარ! იქნებ უკეთეს ადგილს მპირდება!

ვწევარ ზურგზე, პირში თევზი მიჭირავს, რას მიშლის, იყოს რა! ხელ-ფეხს არ ვატოკებ – მიმასრიალებს ნაკადული, ნეტა საით? ამ პატარა მდელოს ხომ უნდა გასცდეს, ტყეში როგორ შევა? ეს მაინტერესებს და თვალებადა ვარ ქცეული: ხან ცას ავცქერი, ხან წინ ვაპარებ მზერასა, საცა ტყის კედელი გვიახლოვდება... გვიახლოვდება, გვიახლოვდება...

და უცებ – ბნელდება! ნაკადული სადღაც ხაროში ხომ არ ჩაეშვა, რაღაც მღვიმეში, ასე რომ ჩხრიალებს და სიბნელეც სულ უფრო შავდება?

დარდი ნუ გაქვსო, გუმანი მეუბნება, ბნელზე უარესი რაღა უნდა იქნესო, ჰოდა, სინათლეს ელოდეო...

ელოდე რა, რამდენიც გაგიხარდება, თან ყური უგდე დიდყურას ჩლიქების ჭყაპაჭყუპს...

სოლომონ ბრძენი მეუბნება:

— ჩვენ ხომ წარსულისკენ მივემგზავრებით? შენ მაინცა... ჰოდა, როცა მიწის ქვეშ ვმოგზაურობთ, წინაპრების აჩრდილებთან გასაუბრება ხომ არ მოგინდა?

— ჩემი წინაპარი კარგი ვაჟკაცი იქნებოდა!

— ვითომ?

— აბა, ისე ვინ დაარქმევდა მეტსახელად "ომას"? მერე, მის შთამომავლებს გვარად "ომაძე" ამიტომაც შეერქმეოდა!

— ეგ ზღაპარი ერთხელ უკვე მიამბე, ახალი ვერაფერი მოიგონე? არ გეშინია, რომ შენს შთამომავლებს, — შენი შემხედვარე, — სულ სხვა გვარით მოიხსენიებენ?

— მაინც, რა გვარით?

— არჩევანი დიდია: "ბედოვლათაძე", "უკუღმართაძე", "შექანებული", "ცანცარაული", "ტვინთხელაძე"... შენ რომელს ამჯობინებ? იქნებ "უკუღმადაჭედილაძეს"?

— დიდყურავ, ჯობს, წინ იყურო, ფეხი არაფერს წამოჰკრა!

ჰოდა, უცებ (რა კარგია, რომ ასეთი სიტყვა არსებობს, განსაკუთრებით, — ჩემისთანა უხეირო მთხრობელისთვის!) გრგვინვასავით გაისმის ყროყი-ყროყი-ყროყინი — დიდგულოვანი ფრიად და დიდძალოვანი მეტად — და როცა მისი ექოც კედლებიდან არეკლილ-მოვლენილი მიჩუმდება, თითქოს ყურპარტყუნას მძლავრმა ძახილმა მძიმე კედლები გაარღვიაო, უცებ (ისევ — უცებ!) ფლოქვების ჭყაპაჭყუპიც მიილია, შეწყდა... და ისევ სინათლის ზღვაში აღმოვჩნდით!

რა მოხდა?..

ეს სასწაულია — თურმე ჰაერში მივფრინავთ, ხალხო!

ჰაერის შუილ-წუილიცა მესმის, ქარის ქროლვა თავზე თმებს ყალყზე მიყენებს (საიდუმლოს გაგიმხელთ: გატყუებთ — სადღა მაქვს თმები! 74 წლისა გახლავარ და თმის ცვენა კი თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ დამეწყო!) და შუბლსა და თვალებზეც კი გადმომაფენს... უკან (ესე იგი — წინ, ვირუკას თავისკენ!) გავიხედე და რას ვხედავ ჩემი ბედნიერი თვალებით? ჩემს კოხტა სახედარს ფრთები გამოუბამს, მერე რა ფრთები! დიდრონნი, განიერნი! იქნევს ამ დიდ-დიდ ფრთებს ჩემი სოლომონ ბრძენი და მიმაქანებს-მიმაფრენს-მიმაქროლებს, მაგრამ საით და რატომ, ამას ვერ მოგახსენებთ!

წამით ქვევით ჩავიხედე და გული შემიქანდა: კარგი სანახავი კი იყო ბებიის ნაჭრის საბანივით ჭრელაჭრულა მიწის დანახვა, მაგრამ, ასეთ ყოფაში მყოფი, ამ სილამაზის დამფასებელი ვარ? შიშით ჩავფრენილვარ ვირუკას კუდს და გამჩენს შევთხოვ: ნეტა მალე დავეშვებოდეთ ქვევით-მეთქი! ერთი გემრიელად ფეხი დამადგმევინა მიწაზე, მაგრძნობინა მისი სიმყარე-სიმტკიცე და მერე, ვინც ვირუკას შეხედოს (შაჯდომაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!), თავსლაფი დავასხი, ამინ!

თითქოს სოლომონ ბრძენმა ჩემი აზრები შეიცნოო, უცებ მალაყს გადავიდა — სულ რომ ზევით-ზევით, მზისკენ მიილტვოდა ფრთების გამალებული ფართქუნით, ახლა უცებ (არ მოგწყინდათ ამდენი "უცებ"?) ქვევით არ ჩაყვინთა?!. რა მოენატრა, ან რა ქორფა ბალახი დალანდა იქა, ეგ არ ვიცი, ის კი ნაღდია, რომ ვირუკას ზურგს მოვწყდი, ვერც მის კუდს ჩაჭიდებამ მიშველა — ბიძგით ხელი გამეშვა და წამოვედი ქვევით-ქვევით, მიწისკენა, სულ ტრიალ-ბზრიალითა და კოტრიალ-ყირამალათი!..

ჰოდა, მოვფრინავ — ხელებგაშლილი და ფეხებგაჩაჩხული, ვითარცა პარაშუტისტი დაყოვნებით გადმოხტომისას პარაშუტის გახსნამდე; დავყურებ ზევიდან ქვემოთ ტრიალს დედამიწისა, ნელ-ნელა რომ მიახლოვდება; ხანდახან კიდევა რაღაც ძალას მოვიკრებ, დავჭიმავ კუნთებს და ზევითაც ავსრიალდები მერცხალივითა, აქეთ-იქით გავუხვევ-გამოვუხვევ — მეც ჩიტი ვარ რაღა! ისე გავთამამდი, რომ ჩემს ერთგულ სოლომონ ბრძენსაც ვუსტვენ, ჩემკენ მოვუხმობ — თუ ფრენაა, ბარემ ერთად ვიფრინოთ, ჰაერში სეირნობით ერთად გავიხაროთ-მეთქი; ერთად გადავხედოთ ამ ცოდვილ მიწას ზევიდანა და სანამ მამაზეციერს სულს მივაბარებდეთ, ერთხელ კიდევ დავტკბეთ მისი სილამაზე-სიტურფითა!

ჰოო... სადამდე გინდა, ეგრე იფრინო, ხომ ყველაფერს აქვს დასასრული?!. ჰოდა, სანამ მიწას დავენარცხებოდე, ერთი წამით ადრე დავხუჭე თვალები რაღაცის მოლოდინში...

და ბრახ!.. — მიწას დავეთხლიშე...

ძალიან, ძალიან გამიკვირდა, რომ, ცოტა კი დავიბეგვე, მაგრამ მეტი არც არაფერი მომხდარა, გადავრჩი! არ კი მჯერა და — ნამდვილად გადავრჩი!..

ბარემ იმასაც მოგახსენებ, მკითხველო, რომ დღემდე მთელი წუთისოფელი ისე გავიარე, — შვიდ ათეულ წელიწადზე მეტი! — არაფერი მომტყდომია — ხელი, ფეხი, თითიც კი... არადა, ბევრჯერ ბეწვზე ვარ გადარჩენილი: ბავშვობაში ხიდანაც არაერთხელ ჩამოვვარდნილვარ (მიყვარდა და მეხერხებოდა ხეებზე ძრომიალი!), მერე, გეოლოგად მუშაობისას, ციცაბო კლდოვან კედელზე ბევრჯერ ავმძრალვარ ნიმუშის ასაღებად და ერთი ფეხი რომ დამსხლტომოდა ან ხელის მოსაჭიდი ქანი მომტყდომოდა, ძირამდე სული არ დამყვებოდა... ციცაბო ფერდობზეც ბევრჯერ დავგორებულვარ, განსა-

კუთრებით, როცა საღამოს ბინდბუნდში მეჩქარებოდა ბილიკის გალევა და მიწიდან ამოჩრილი ფესვისთვის ან ქვისთვის ფეხი გამომიდვია...

ჰოდა, ვარ ასე, თვალდახუჭული, მიწაზე გართხმული ერთხანსა, მერე ფრთხილად გავახილე ჯერ ერთი თვალი, მერე – მეორე...

ი!.. ბალახებში ვაგდივარ, გვერდით კი ვირუკა მიბალახობს დინჯადა, მოზომილადა, წყნარადა, გულდაგულადა – ვითომც არაფერი!

რა მოხდა ჩემს თავსა?

თურმე სიზმრებს ვნახულობდი, თანაც – ერთსა კი არა!

დამძინებია, ვირზე შამჯდარს დამძინებია!

მივქანაობდი, მივნანაობდი და... ნელა რომ მიირწეოდა დიდყურა, რბილადა, თვინიერადა, თვალები მიმლულვია, ძილს თავი წაურთმევია და ათასი საოცრება დამსიზმრებია და!

გვირაბიცა,

ცირკიცა,

მინდორიცა და

ცაში ფრენაცა!

მართალია, ნელა და ფრთხილად კი მიგოგმანობდა ჩემი სოლომონ ბრძენი, მაგრამ, ბოლოს, ერთი ბუჩქის მეტიჩრულად გამოშვერილ ტოტს მაინც გადმოვუგდივარ მიწასა ზედა, – ბალახოვანსა, კიდევ კარგი!

– დამძინებია, ჩემო სოლომონ ბრძენო!

– დაბერებულხარ, ბატონო სოსო! მომილოცავს, კარგად გადარჩი!

და ვირუკას ვუამბე, რაც კი სიზმარში თავს გადამხდა. მერე ისევ შავჯექ ვირუკაზე, რა თქმა უნდა, ისევ – უკუღმა...

მივდივართ და მივსაუბრობთ.

– ბატონო სოსო, უკვდავების წყაროს წყალს ვერ დაეწაფე, ჰოდა, გაახალგაზრდავების ხის ნაყოფის დაგემოვნება მაინც ხომ არ მოგესურვილა? – მატრიზავებს სოლომონ ბრძენი. – რაღა გვირაბი დაგესიზმრა, უკეთესი ადგილი ამოგერჩია... თუ ხარ მაინც ნამყოფი გვირაბში?

– ორჯერ... პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლისას სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები წაგვიყვანეს თბილისის მშენებარე მეტროპოლიტენის გვირაბის დასათვალიერებლად. ეს მოხდა, თუ არ ვცდები, 1956 წელს... ჩაგვაცვეს რეზინის ჩექმები, თავზე დავიხურეთ ჩაფხუტები, – გვირაბში ზევიდან წყალი ჩამოდიოდა ჩხრიალ-ჩხრიალით, ქვევით კი გემრიელად საზელი ტალახიც ბლომად იყო, – და, მიწის ქვეშ, ელექტროფარნებით შეიარაღებულებმა, ფეხით ვიარეთ მეტროს "სადგურის მოედნიდან" ახლანდელ სადგურ "ავლაბრამდე"... არ ვიცი, რამდენი კილომეტრი გავიარეთ იმ ნახევრად სიბნელეში და სიცივეში – ალბათ ხუთი-ექვსი საათი მივდიოდით... ზევით რომ ამოვედით, მზის სინათლეზე, თითქოს ხელახლა დავიბადეთ!.. მეორედაც მომიწია გვირაბში ჩასვლა, ოღონდ ამჯერად ამდენი არ მივლია – ჩრდილო კავკასიაში, თირნიაუზის ვოლფრამ-მოლიბდენის საბადოში... იქ, ბალყარეთში, 1959 წელს ვიყავი ჩასული წინასადიპლომო პრაქტიკის გასავლელად. ყველაზე უფრო რამ გამაოცა, იცი?

– ალბათი იქაც გაგიჭირდა...

– რა თქმა უნდა, გვირაბში მუშაობა ყველგან ძალიან რთულია და ძნელი, მაგრამ მე მხოლოდ დასათვალიერებლად ჩავედი. მე კიდევ იმან გამაოცა, რომ მაღაროელთა დაბაში, სადაც მე ვცხოვრობდი, კაპიტალურ, სქელკედლებიან მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებელ სახლს ფანჯრებზე ორმაგი შემინვა ჰქონდა და ამ გაგანია ზაფხულში დღედაღამ გათბობა იყო ჩართული – ეს დასახლება ძალიან მაღლა მთებში იყო გაშენებული...

ამასობაში დიდყურა ბილიკიდან გადავიდა, ფლოქვების პაკიპუკი მიჩუმდა – მინდორს მივდივართ! ქარი მაღალ ბალახებს აქანავებს, რიტმულ ტალღებად აფენს – მზეკაბანი!

დიახ, ბალახოვან ზღვაში მივცურავთ, აღელვებულ ტალღებში მივიკვლევთ გზასა – ქარის სიმღერას ეწვნება ტროლას გალობა, მზერას იტაცებს მწვანე გორაკების რბილი გადადინება... გარე კახეთის ერთი შეხედვით ხრიოკი, ოქროსფერი ნახევარუდაბნოს, ამჟამად, გაზაფხულზე – ამწვანებულის, ხილვას არაფერი სჯობს!

ვიკითხე:

– ნეტავ სადა ვართ?

– ვიცი, რო? საით მივდივართ რომ არ იცი, სადაური მოგზაური ხარ? არც გეგმა გაგაჩნია – სად გინდა, იმოგზაურო, რა გზა გაიარო – არავითარი! და შედეგიც – შესაბამისი! შეიძლება, ასე ბრმად მიენდო ბედს?

– რატომაც არა!

– კიდევ იტრაბახებ, რომ გეოლოგიურ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში 40 წელიწადზე მეტხანს მუშაობდი?

— არასდროს მიტრაბახია ამით! გულახდილად გეტყვი: კარგი მასწავლებლები მყავდა, მაგრამ ჩემგან, სამწუხაროდ, კარგი გეოლოგი ვერ დადგა — ალბათ არ იყო ჩემი ბედ-იღბალი! მიუხედავად იმისა, რომ ასზე მეტი გეოლოგიური საფონდო ნაშრომის ავტორი ვარ, უფრო ზუსტად — თანაავტორი და ორი თუ სამი სტატიაც გამოქვეყნებული მაქვს. თავისთავად გეოლოგია ძალიან საინტერესო დარგია, მაგრამ ჩემი ცხოვრების საქმედ ვერ იქცა... წლობით დადიხარ ექსპედიციებში და სწავლობ, მაგალითად, ამ რაიონში შუა ეოცენის სიმძლავრე 150 სანტიმეტრია თუ 153... ან პალეონტოლოგები იქექებიან ზედაცარცულის დანიური იარუსის ნალექებში, რათა, ბოლოს და ბოლოს, დაასაბუთონ, რომ იგი პალეოგენურ სისტემას განეკუთვნება და არა — ცარცულს... მე რაღაც ვერ დამაინტერესა ამგვარი წვრილმანების შესწავლამ, თუმცა, რა თქმა უნდა, ისინი "წვრილმანებად" მხოლოდ ჩემთვის გახდა და ასეთად დარჩა ბოლომდის — ვერ გამიტაცა... მგონია, ასევეა არქეოლოგიაც: გამოფენებზე ხედავენ გადასარევ ოქროს სამკაულებს, თასებს, სტატუეტებს, — ხელოვნების ნამდვილ შედევრებს, ის კი არ იციან, რომ ამგვარი აღმოჩენები იშვიათზე იშვიათია, დროის 99,99% კი ხმარდება ტყუილად მიწის ჩიჩქნას და დიდი სიხარულია, თუკი უბრალო თიხის ჭურჭლის ნატეხს იპოვნიან... მოსაბეზრებელი სამუშაოა. ცოტა ვაბუქებ, რასაკვირველია, და მრავალი ადამიანისთვის გეოლოგიაზე თუ არქეოლოგიაზე მიმზიდველი ქვეყნად არაფერია.

— მერე, როგორ გაძელი გეოლოგიურ ასპარეზზე ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს? მართლა მაგარი მოთმინების უნარი გქონია...

— აბა, რა მექნა? უმუშევარი ხომ ვერ დავრჩებოდი, თუ მწერლობით გავიტანდი თავს? მოთმინების გარეშე ამქვეყნად ცხოვრება შეუძლებელია. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ გეოლოგიურ ექსპედიციებში ხეტილმა ბევრი სასიამოვნო წუთი, საათი და დღეც მარგუნა! მთელი საქართველო მოვიარე, ხან — ავტომანქანით, ხან — ფეხით, მის ყოველ მხარე-კუნჭულში ვარ ნამყოფი, უამრავ ადამიანს შევხვდი... რა დამავიწყებს თუნდაც აფხაზეთის ცისფერი მდინარეების ხეობებს, ენგურის გიჟურ ბორგვას ხაიშს ზემოთ ხეობის ვიწრო, კლდოვან არტახებში — ახლა იქ ჰესის დიდი წყალსაცავია, სვანეთის ცადაზიდული მთების ზვიად სილამაზეს... ან შუა ქართლის ხან ტყით, ხან ბუჩქნარით შემოსილ გორაკებსა და ქედებს, გარე კახეთის ტრამალების თავისებურ მომხიბვლელობას... მართალია, გეოლოგად ვერ ვივარგე, მაგრამ უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია იმ წლებს — ბევრი რამ ვნახე და განვიცადე: გრიგალშიც მოვხვედრილვარ, თავსხმა წვიმაში თხემით ტერფამდე გავლუმპულვარ, მთა-ველში ღამე ღია ცის ქვეშ უთვალავჯერ გამითევია და ვარსკვლავები მითვლია, თითქმის შვეულ კედელზე გაჭირვებით ავმძვრალვარ ნიმუშის ასაღებად ან ქანთა სიმძლავრის გასაზომად, ბაიდაში, ნახევრად უდაბნოში, დილიდან საღამომდე თაკარა მზის ქვეშ მშიერ-მწყურვალს ფეხით ოცდაათი კილომეტრი გამივლია... სიცივე, შიმშილი, ბუნების წიაღში გაშლილი სუფრა, სტუმარს მონატრებულ უცნობ ოჯახში ლხინი... აუჰ, რამდენი რამის მოგონება შემიძლია! რამდენი ლამაზი ადგილი ვნახე, რამდენ საინტერესო ადამიანს შევხვდი...

— შენ ამბობ, რომ ვერ ვივარგე გეოლოგადო, მჯერა და მომწონს შენი გულწრფელობა... ახლა მწერლობა დაგიჩემებია და ვნახავ ერთი, სიტყვაკაზმულობის მდელოზე რა ვარდ-ყვავილებსაც დაკრეფ!.. მგონია, უფრო ნარ-ეკალს მოიწევ!

— საიდან გაქვს ამდენი ირონიის გრძნობა? ტყუილად კი არ გაქე და გადიდე, სხვა ასეთი ჭკვიანი ყურპარტყუნა ძნელი მოსაძებნია-მეთქი.

— როგორც ჩანს, შენში ბოშებისთვის დამახასიათებელმა თვისებამ გაიღვიძა და ხეტიალის გუნებაზე დაგაყენა... თუ უბრალოდ გარბიხარ? სად გარბიხარ, ბიჯო, რას გინდა, გაექცე? საკუთარ თავს ხომ არა?

— შენ ვარაუდების ბურუსში დაბოდიალობ, სინამდვილე კი ფრიად უბრალოა: როცა ვწერ, ეს არის მოგზაურობა წარმოსახვით სამყაროში, სულ სხვა რეალობაში გადავდივარ... ამ დროს სრულიად მარტო ვარ, საკუთარ თავს ვებრძვი: ვეკამათები, ვეჯიბრები — ვინ ვარ მე, რის შემძლე ვარ?.. ხან კმაყოფილი ვარ, აღტაცებულიც კი და საზეიმო მარშის მსგავს რაღაცას ხმამაღლა წავიმღერებ, ხან — უძლურების გრძნობა დამრევს ხელს, რომ ტყუილად ვფაფხურობ, არაფერი გამომდის და ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაქცევის სურვილიც კი მიჩნდება... ცოტა ხანიც გაივლის, მხნეობის მოსამატებლად ბეთჰოფენის რომელიმე სიმფონიას მოვუსმენ... დავწყნარდები, დავფიქრდები, და განწყობის სასწორზე მკვეთრი ცვლილება დგება: საიდანღაც ისევ მოედინება აღმაფრენის სიხარული — მეუფლება თავისუფლების განცდა, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულობა, ვივსები ბრძოლის ჟინით... შთაგონება მაღლა ამიტაცებს, ფრთები მესხმება! და ეს არის ბედნიერება! უნდა შეეცადო, რაც შეიძლება მაღლა აფრინდე და იმაზე მაღლა, სადამდეც მანამდე ასულხარ!

— რაც შეიძლება მაგრად უნდა გააფრინო!

— რა გაცინებს? დიახაც!.. ყველაფერს ვერ ავხსნი — ალბათ ჩემი ქმედების მეტი წილი ქვეცნობიერის სფეროში იმალება, მას ვერ გავიაზრებ და ვერც სიტყვებით გადმოცემას შევძლებ... ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ კონტრასტი მიზიდავს: ყოფის ჩვეულებრივობა და მონაგონის უჩვეულობა — მკვეთრი სხვაობა!.. ამგვარი, განსაკუთრებით გამძაფრებული განწყობა ალბათ ჩემში გამოიწვია

ხანში შესვლამ... ადრე ბევრს ვმოგზაურობდი, ირგვლივ ბევრი რამ იცვლებოდა, ახლა კი – მთელი კვირა გაივლის, მთელი თვეც და მხოლოდ ეზოში თუ ჩავალ დილით მაწვნის საყიდლად, ისიც – რამდენიმე დღეში ერთხელ...

– როგორც ჩანს, ერთობი...

– დავის სურვილი არ მაქვს.. მაშ, კარგი, თუ თქვენი დიდყროყინობის თანხმობაც იქნება, დავისვენოთ. გაიხარე სოლომონ ბრძენო – გემრიელად იბალახე ამ ტურფა ბალახოვან მდელოსა შინა – სანამ დრო და შესაძლებლობა გაძლევს ამის საშუალებას, აივსე კუჭი და ამოივსე ფერდები!

გავჩერდით, ჩამოვხდი სოლომონ ბრძენიდანა, ის საბალახოდ გავუშვი, მე კი ბალახებში ზურგზე წამოვწექი.

ვიწვები ასე ცოტა ხანს, რა მიჭირს; ყველაფერი მთელი მაქვს, არც მეჩქარება მაინცდამაინცა: ავხედავ ლუჯ ზეცასა და და იქ თეთრი ღრუბლების სეირნობას ვადევნებ თვალსა... იფ, რა კარგია, მშვენიერია ასე გაშოტილი წოლა და ცისთვის თვალის მიშტერება!..

რა სიღრმე აქვს ცასა, ხალხო, რა ნაირ-ნაირი ღრუბლები მისეირნობენ ნებიერდა, თავის გემოზე გაიბერებიან ან გაიწელებიან, გინდ ცხვარს დაემსგავსებიან, გინდ – გველეშაპს ან ზღაპრულ ციხე-სიმაგრესა...

მკითხველს ვეკითხები: ჰო, მართლა, ჩემი სიზმარი თუ მოგეწონათ?

შესაძლოა, მეტყვით: მაინცდამაინც დიდი ვერაფერი შვილიაო...

აბა, რა გინდოდათ, ბაბაია? ვირზე მჯდომი და მით უმეტეს – უკუღმა ამხედრებული, ასეთ უხეირო მდგომარეობაში ჩაძინებული, ხეირიან სიზმარს ვნახავდი?!.

მაგრამ მეყოფა ნეტარება, წინ გზა გველის!

წამოვიწიე ასადგომად და თავს ვირუკა წამომდგომია, მამუნათებს:

– არ დაგღალა ცხოვრებამ? დადექ, ჯო, დაშოშმინდი!

– გავაგრძელოთ ჩვენი მოგზაურობა, სიწყნარე და სიმშვიდე მერეც მეყოფა, როცა გაღმა მხარეს გავალ... ახლა კი ჯერ ცოცხალი გახლავარ და ცოცხალი მკვდარივით ხომ არ ვიქნები?

– რა მიგარბენინებს ბეხრეკსა, ჰა? წერას ხომ არ აუტანიხარ, დაეტიე შენს კანში!

– ისევ შენსას მიერეკები!.. აუჰ! იცი, რა სიამოვნებაა, როცა ზიხარ ვირუკას ზურგზე, როგორც ხონთქარი ტახტზე, – მინანაობ, ბედნიერებას გრძნობ... ვირუკა – მიგოგმანობს, შენ – მიირწევი... გიხარია, რომ ირგვლივ განფენილია სიმშვიდე, მიღელავ წუთისოფლის ზღვაში და ირგვლივ ყველაფერი რა ლამაზია! ეს დღესასწაულია! ეს დიდი სიხარულია! მეტი რაღა გინდა? იყურე ირგვლივ, იღიმილე და აივსე სიამით – თავისუფალი ხარ! სული მაღლა-მაღლა მიფრინავს!..

– შენს მდგომარეობას, იცი, ექიმები როგორ დაახასიათებენ? ზოგადი ხასიათის ბებრული მარაზმი!

– შეეშვი ჯიჯღინსა, შენც ხომ ბებერი არ ხარ! შემთხვევითობას თავისი მომხიბვლელობა აქვს – როცა არ იცი, წინ რა გელის, რას ნახავ, რა მოულოდნელობას გადააწყდები! ხომ გითხარი: წინდაწინ არც გეგმა შემიდგენია, არც გეზს ვირჩევ – ბედს მინდობილნი ვართ!

– მაშ, გწამს ბედისწერისა? აკი არა ვარ ცრურწმენის მონაო?

– როცა რაიმე საქმეს იწყებ, ან გაგიმართლებს, ან – არა, ეგრე არ არის? ბედისწერა აქ არაფერ შუაშია!

– თავის მართლება საქმედალეულისა!

– რა კარგია: ვირუკაზე რომ ამნაირად ზიხარ, უკუღმა, ყველაფერი ხომ უკან-უკან გრჩება, დროც ასევე ხომ არ მიდის?.. შებრუნებულად – ძველისკენა! ვინ მეძახის შორიდან, ვინ და რა მომიხმობს წარსულიდან?

– ჰო, გაერთე, მეტი რაღა დაგრჩენია – გარდასულის ზმანება-მოჩვენებანი დაეპატრონენ შენს სულსა!

– ვაჰ, არა მხოლოდ ჩემს წარსულს თავიდან მივეახლები, ოღონდ შებრუნებულად, იქნებ ჩემი მშობლების და, საერთოდ – წინაპრების, ცხოვრებისეული გზაც გავიარო? ამგვარი რამ ჯერჯერობით მხოლოდ ზღაპრებში ხდება... ჰოდა, ჩემო სოლომონ ბრძენო, თუ ზღაპარია, ზღაპარი იყოს! გავაგრძელოთ ჩვენი ჯირითი!

ბოლო სიტყვა, რა თქმა უნდა, სიტყვასიტყვით არ უნდა გამიგოთ, ჯირითი მხოლოდღა წარმოსახვით თუ შემიძლია! ჰოდა, გავჯირითდები ქაღალდის თეთრ მინდორში და უკან ჩემს მიერ მოგონილი ტყუილ-მართალის გაჭენებული მერნის ფლოქვების ანაბეჭდებს ასოებად გარდაქმნილს დავტოვებ...

კარი VIII.
ვაჰ, რა საშინელ ხაროში ჩაგვაგდეს...
„ვირის არაკი“. „ერთი დიდგულა ვირის ამბავი“.
ჩემი ბიბლიოთეკა

ვიარეთ, ვიარეთ და ვირუკამ სიხარულით დაიყროყინა; უკან მივიხედე: რაღაც დაბა-ქალაქი გამოჩნდა!

უკმური ამინდია, ცრიატი, მზე დამალულია, ალბათ მასაც დიდი სიამოვნებას არ მიანიჭებდა ამ ჩაჟამებული, რუხი სახლებისა და უფერული სახეების ხილვა... ხალხიც უცნაურია ჩემთვის მრავალმხრივ: ყველა დაბღვერილი დადის, თუ შემოგხედეს – ბრაზით, თითქოს მათი დიდი ვალი გქონდეს...

ჰოდა, ქუჩაში გამოვჩნდი ვირზე გადალაჯული, თან – უკუღმა მჯდარი, უცხო სანახაობით ბავშვივით პირდაღებული და ჰოი, რა ალიაქოთი ატყდა!

სოლომონ ბრძენმა იგრძნო უჩვეულო დახვედრის დაძაბულობა და იმანაც რომ დააღო პირი და მორთო ყროყი-ყროყი-ყროყინი!

უცებ სულ სხვა განწყობის ხალხი გამოჩნდა: დიდ-პატარა, სოლომონ ბრძენის მგვრგვინავი მოწოდებით მიზიდული, თავქუდმოგლეჯილი ჩვენსკენ გამორბის – გახარებულნი, თვალებგაბრწყინებულნი, ბავშვები კი – უჩვეულო სანახაობის ხილვით სიხარულით მოღრიალენი... გაკვირვებულმა მზემაც გასწი-გამოსწია ღრუბლები, ცნობისმოყვარე სხივები სტყორცნა ქუჩას: ნეტავ რა მოხდა, ასე რამ შეცვალა ეს პირქუში ქალაქი და მარად მდუმარე ხალხი?

ჩვენთვის ფრიად საამო ღრიანცელს მიაქვს ყურთასმენა:

– გიჟია!

– დაიჭირეთ!

– შეეშვით, ალბათ ცირკის მასხარაა! გაგვართოს!

– მაშინ წარმოდგენის აფიშა რატომ არ მოაქვს?

– ეგ ვირი მოპარულია!

– ჰო, მე მომპარეს, არავის დავუთმობ, ჩემია!

– არა, ჩემია, ჩემი მუშტი დაგიმტკიცებს ამასა!

როგორი შეუწყნარებელნი არიან! აგრესიულები! შეუბრალებელნი!

ერთმანეთს ეჯიკავებიან, ქიმუნჯს უთავაზებენ, ლამის მუშტითაც გაუმასპინძლდნენ...

ერთი პირდაპირ საქმეზე გადადის – ჩემზე მოაქვს იერიში:

– არ გეყო, რაც ჩემი ვირით მუქთად ისეირნე? დამიბრუნე, შე ოხერო, გადმობრძანდი! – ბანჯგვლიან ხელს იშვერს ჩემსკენ, უნდა, საყელოში მწვდეს.

მეორე მუშტს მიმიზნებს ცხვირ-პირში, სურს, ჩემს სახეზე ამ უაზრო აურზაურით გამოწვეული ღიმილი წაშალოს.

ერთი ის არის კარგი, რომ ბევრნი არიან, ამ ძიძგილაობაში ერთმანეთს ხელს უშლიან...

ყაყან-ყვირილის კორიანტელი:

– როგორ გაბედა ვირზე ასე შეჯდომა? და ქუჩაში გამოჩენა?

– გაუშვი, კაცო, თავის ჭია გაახაროს, გიჟი – თავისუფალია!

– დამიხედეთ ერთი მაგის თავხედობასა: უკუღმა შემჯდარა და ვითომც არაფერი! თუ უნდა, ვირზე ყირა გაჭიმოს, მაგრამ ხალხის დასანახად, ქუჩაში გამოსვლა არ გაბედოს!

– რას გიშავებს, უარესი არაფერი ხდება?

– მაშ, მხოლოდ ჩვენს პრეზიდენტს აქვს უავგუსტესი უფლება სისულელეების გაკეთებისა? ეგეთი თავქეიფა და თავნება სხვა რომელია!

– ეს ბეხრეკი ცუდ მაგალითს იძლევა: შეხედეთ, რა მაგარი ვარ, ასეც შემიძლია, გავაკეთოო! ცუდი მაგალითი კი, მოგეხსენებათ, გადამდებია!

– რყვნის ხალხსა!

– უტიფარია, უნდა დაისაჯოს!

– ჩამოვაბრძანოთ და ერთი გემრიელად მივტყიპოთ!

– დავიჭიროთ, ხაროში ჩავაგდოთ! სხვათა ჭკუის სასწავლად!

რამდენიმე ხელი მწვდა: ზოგი – სახელოში, ზოგიც – ქეჩოშია და ჯერ სოლომონ ბრძენიდან ჩამომაბრძანეს, მერე – მიწაზე მათრიეს, მათრიეს, მახოხიალეს, მახოხიალეს და, ბოლოს, ჩამაგდეს ღრმა ორმოში, დილეგში...

რატომ, რისთვის?

სოლომონ ბრძენს კი ვერაფერი დააკლეს, ის ჩემზე ძლიერი გამოდგა – სულ წყვილ-წყვილი ტლინკები ჰყარა, ახლო არვინ გაიკარა!

ბოლოს კი – თვითონ ისკუპა ხაროშია!

საკუთარი ნებითა, მაშ!

აი, ერთგული მეგობარი!

ავიხედე: ზევით, ხაროს კიდეზე, კბილებდაკრეჭილი სახეები ჩარიგებულა – სეირის მაყურებლები ბლომაზე მეტნიც შეგროვილან და ერთმანეთს ეჯიკავებიან, უსტვენენ, იცინიან, ლაზღანდარობენ... ზოგმა არ დაიზარა და კოლბოხი გვესროლა, ზოგმა – კენჭით დაგვასაჩუქრა, ბავშვებმა კანფეტებიც კი გაიმეტეს...

როგორც ჩანს, გართობის მოყვარული, მხიარული ხალხი ცხოვრობს ამ ქალაქში!

ღრმა ხაროში ნახევრად ბნელა, ვერა გვხედავენ და გასართობად ალალბედზე გვტყორცნიან ნაირ-ნაირ ნივთებსა.

– რა წესია ეს? დროზე ადრე დაგვიღამეს! – ვჩივი მე.

– სოსო ბატონო, ამას დარდი გაქვს? ილოცე, რომ სიცოცხლეც არ დაგვასრულებინონ ამ აშმორებულ ორმოში!

– ლოცვა რომ საქმეს არგებდეს...

ბოლოს, მიწყნარდა ყველაფერი, თავზევით ნათელი წრე თანდათან დამუქდა და, ბოლოს, გაშავდა – ეტყობა, ღამე გვესტუმრა.

უკვე კარგა ხანს ვყურყუტებთ ცოცხლად თითქმის დამარხულები: დრო საუბარში გაგვყავს, სხვა რა უნდა ვქნათ?

– ბატონო სოსო, რას იტყვი, ჩადენილი ცოდვების გამო ხომ არ მოვხვდით ამ ბრწყინვალე ჯურღმულშია, ჰა?

– შენ იმის თქმა გინდა, რომ უკვე ჯოჯოხეთში ვართ?

– არა მგონია, იქ უარესი პირობები იყვეს... წარმოიდგინე, რომ შენ მოხვდი საიქიოში და იქ შენს სულს მოუწყვეს უზენაესი სასამართლო... როგორ ფიქრობ, წარსულის რა ცოდვებს ჩამოგიკაკლავდნენ და პასუხს რისთვის მოგთხოვდნენ?

– ჩემო სოლომონ ბრძენო, კარგად მოგეხსენება: საკუთარი ცოდვები ყველას საკმარისი მოგვეძევება, უცოდველი ამქვეყნად მხოლოდ ბავშვია, მაგრამ... შემიძლია, დაბეჯითებით ვამტკიცო, ბატონო მსაჯულო, რომ არასდროს არავისთვის ცუდი არ მდომებია, იმისთვისაც კი, ვინც რაიმე მიზეზით ჩემს მოწონებას არ იმსახურებდა; თუკი ვინმესთვის რაიმე უსამოვნება მიმიყენებია, მხოლოდ და მხოლოდ უნებლიედ... და მერე მთელი კვირა და მეტიც სულ სინანული მღრნიდა, ეს როგორ მომივიდა-მეთქი. არასდროს არავინ დამიჩაგრავს, სხვის ხარჯზე არასდროს არაფერი "მიმითლია"... სრულიად გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ შურიანი არ ვარ, პირიქით – ყოველთვის მიხარია სხვისი წარმატება და მინდა, გახარებული და გალაღებული ადამიანი რაც შეიძლება მეტი იყოს...

– სწორედ მაგისთვის ხომ არ მოხვდი აქა? ხომ იცი, სიკეთე რომ ისჯება! – სარკაზმით მპასუხობს ყურპარტყუნა და ჭიჭყინით აგრძელებს: – რაღაც თუ არ ვიღონეთ, სული ამოგვხდება აქა... – ბიჯო, ათასი ხიფათი გველის წინა და ერთს უკვე გადავეყარეთ ბედნიერადა, ჰოდა, შენი სიცოცხლე და ჯანმრთელობა თუ დააზღვიე? გამიგია, ეს სადაზღვევო კომპანიები თაღლითებით არი სავსეო, მაგრამ მაინცა – შედავათია, შენი ოჯახი მაინც მიიღებდა რაღაც თანხასა...

– ჩემი ხნის ხალხს არ აზღვევენ.. თანაც, რა დაზღვევა მჭირდება: ბებერი კი ვარ, მაგრამ შინიდან გაუსვლელად ვმოგზაურობ! ჩემი კომპიუტერი ხომ არ დავაზღვიო? უკვე ათი წლისაა და თუ გაფუჭდა, მთელი ჩემი ნაწერი წაიშლება და დავრჩები ხახამშრალი... ჩემს ნაჯახირევს იქნებ მხოლოდ ჩემთვის აქვს ფასი, მაგრამ ამ დანაკარგს მილიონიც ვერ ამინაზღაურებს.

– არა, უფრო ნაღდი იქნება, თუკი წარუმატებლობისგან შენს მომავალ წიგნს დააზღვევ! – ხითხითებს ვირუკა. – ნაღდად ჩაფლავდები და გულის მოსაფონად ორიოდე გროში მაინც დაგრჩება!

– ვაჰ, რა მწარე ენა გქონია, ყროყინავ, ამიტომაც არ უყვართ შენი ხმის გაგონება...

– სამაგიეროდ, ეტრფიან ჩემი წიხლის გემოსა, ჰი-ჰი-ჰი!

– ხომ გაგიგონია: ვირის წიხლი არ უნდა გეწყინოსო! კარგად მოგეხსენება, მწარე სიტყვა ვირის წიხლზე მტკივნეულია...

– კარგი, ჰო, რას იბღუზები, საქმე არაფერი გვაქვს და ლაპარაკით მაინც გავერთოთ!

– მართლაც მშვენიერი გართობა გვაქვს: ჯერ ბნელ გვირაბში ვიბღოტიალეთ, მერე ბრბოს გაფთრებას კინაღამ შევეწირეთ და ახლა, – მთლად უკეთესი – ამ ჯურღმულში აღმოვჩნდით...

– არა უშავ რა, ტან-ფეხს მაინც დავასვენებთ...

– მაინც ბედი გვქონია, ძმაო, ამ სიღრმის ხაროში ჩამოგვაგდეს და ხელ-ფეხი არ მოგვტყდომია.

– მე არავის ჩამოვუგდივარ, ჩემით ჩამოვხტი! უტვინო რომ დაიბადები, სწორედ ასე მოიქცევი... შენი არ ვიცი და ჩემს თავს თუ იკითხავ, ბედი თავიდანვე რომ არ გექნება, რა უნდა ქნა? ან რქები გაემეტებინა ჩემთვის ღმერთსა, ან ბასრი ეშვები... ლომად მაინც დავბადებულიყავ!

– ცხოველთა მეფედ მოისურვე ყოფნა?

— ან ლომის ტყავი მაინც მქონებოდა, მოვისხამდი, დავაკრეჭდი კბილებსა და როგორ მომეკარებოდნენ ეს მხდალები, იმასაც ვნახავდი!

— ჩემო სოლომონ ბრძენო, გინდა, ერთ ხალხურ არაკს გიამბობ? სწორედ შენისთანა ყროყინაზეა გამოთქმული.

ვირის არაკი

იყო ერთი დიდგულა ვირი, ჰოდა, იფიქრა: "რას მიქვია, ყველა რომ მე მიბრიყვებს: უზომოდ მტვირთავენ და ნაბიჯის ასაჩქარებლად სახრესაც ხშირ-ხშირად მითავაზებენ ხოლმე, დამცინიან და ჩემს შესახებ ათასგვარ დამამცირებელ ამბებს იგონებენ... დამაცათ, თქვენ გიჩვენებთ თამაშასა!". შეეხვია ეს ჩვენი გმირი ვირუკა ლომის ტყავში და ქვეყანას უნდა გამოუთხაროს ძირი; გამოვარდა და, პირდაფჩენილი, ყროყი--ყროყი-ყროყინით მისდევს ხალხსა. ისე შეაშინა დიდ-პატარა, ყველა თავქუდმოგლეჯილი გარბის: თუ ხელთ მოგვიგდო, დაურღეჭავად არ გადაგვყლაპოს ამ შეჩვენებულმაო. ჰოდა, თურმე პატრონმა ხმით იცნო მისი ვირი: ყროყინი მაინც ვერ მოიშალა, ლომივით ხომ ვერ იღრიალებდა! ჯოხით გამოეკიდა და ცემა დაუწყო, ბლომად მტვერს აყრევინებს ლომის ტყავსა. გარბის ვირი, მაგრამ შორს სად წავა, ლომის ტყავი უშლის!.. დაიჭირეს და იმ ლომის ტყავმაც ვერ უშველა, საკუთარი ცხრაპირი ტყავი გააძვრეს...

— ეს არაკი ჰგავს ეზოპეს იგავს "ლომის ტყავში გახვეული ვირი", ოღონდ უფრო ცხოველხატულია და დინამიური.

— ასეა, ჩემო ძმავ და მეგობარო, ლომობას თუ მოინდომებ, ყროყინს უნდა გადაეჩვიო!

— შენ კიდევ — ყიამყრალობასა და ჭკუის სწავლებასა! აქ, ამ ხაროში, ვსხედვართ, ბნელში, სინესტეში, სიმყრალეში, ვირთხებში, შიმშილი და წყურვილიც გვაწუხებს... შენი გულისთვის ჩამოვხტი აქ, კინაღამ კისერი მოვიტეხე, და შენი საქციელი კი რას ჰგავს? იმის მაგივრად, რომ გამამხიარულო, გული გამიკეთო, სიმხნევე შთამბერო, პირიქით, მიყვები რაღაც საშინელებასა... მეტი დათრგუნვა გვინდა კიდევ ჩვენა?

— ასეთი ნერვებსუსტი ხარ? არ მეგონა...

— აბა, რა გეგონა?

— ღონისა და გამძლეობის გარდა, სხვა მხრივაც ყოველმხრივ მაგარი მეგონე, ჩემო სოლომონ ბრძენო... იცი, რას გისურვებდი, ჩემო ყროყინავ? ვირის გამძლეობას, სახედრის სიდინჯეს, ყროყინას უპრეტენზიობასა და სოლომონის სიბრძნეს!

— ისედაც ხომ კარგ დღეში ვარ და სწორედ შენი დაცინვაღა მაკლდა! ბარემ ჩემთვის ფრთების გამობმაც უნდა გესურვებინა — შენთვისაც ხეირი იქნებოდა: აქედან ამოვფრინდებოდით!

— ლომობა არ გეყო, ახლა პეგასობაც მოინდომე? გეხუმრე, შე კაცო, ფრთების გარდა, ყველაფერი გაქვს! ქარად მაინც გადაიქეცი და თავს დააღწევდი აქაურობასა!

— მაშინ შენ რა გეშველებოდა? დარჩებოდი აქ მარტო, მხოლოდ ვირთხები გეყოლებოდა მოსაუბრეებად! იმდენი ჭკუა მაინც გამოიჩინე, ბატონო ხუმარავ, რომ ლომის ეშვები და მგლის მადა არ მისურვე — ხუთ წუთში შენს ძვლებს თეთრად დავაწყებინებდი ქათქათსა!

— კარგი, ჰო, ნუ იბღუზები, არ გიხდება, სოლომონ ბრძენო; შენ ის მითხარი, მე რას მისურვებდი?

— გისურვებ, სულელური სურვილებით არავის მოაბეზრო თავი — ამგვარი რამ მხოლოდ სუფრაზე გვარიანად შეზარხოშებულთ ეპატიება.

— ძალიან გეწყინა?

— მე შენს დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობ, შენს განწყობაზე, რომ კიდევ უფრო დააბნელო ამჟამინდელი ისედაც ძნელი ჩვენი ყოფა, თორემ ჩემი ნერვიული სისტემა რომ შენსაზე ათჯერ ძლიერია, ამაში ეჭვი გეპარება? მაკვირვებ, ხომ იცი... ჩემს სახელგანთქმულ ჯიუტობაში ნუ ჩამომართმევ და, შენს მონაყოლზე უარესიც მე ვერაფერს დამაკლებს! შენს საკუთარ მდგომარეობას თუ არ უფრთხილდები, მიდი, მოყევი კიდევ უფრო უარესი რამ!

— კარგი, რადგან ასეთია შენი სურვილი, თანაც საქმე მეტი მაინც არაფერი გვაქვს, კიდევ ერთ ამბავს მოგიყვები — მხიარულიცაა და ტრაგიკულიც! ეს არაკიც ხალხურია, ჩემი არ გეგონოს: ხალხის მეხსიერებაში პესიმისტური ამბები არ ინახება — ეს გარემოება დიდი ხანია, ცნობილია, ჩემო ყროყინავ, ამიტომ ამჯერადაც ნურაფერში დამადანაშაულებ!

— წინდაწინ თავს ნუ იმართლებ, მოყევი შენი საშინელი ამბავი, დააყენე საშველი!

— ისევ ვირზე უნდა გიამბო:

ბებერი ვირის ამბავი

ერთ სოფელში ვირი ჰყავდათ, მაგარი ვირი – ღონიერიც იყო, გამძლეცა... მაგრამ გამოხდა ხანი და დაბერდა, საწყალი. პატრონმა თქვა: "ეს ჩემი ერთგული მსახური რომ დავკლათ, ცოდვა იქნება; გადავდენი ქვედა სოფლისკენა, იქ გავუშვებ თავისუფლად საბალახოზე და იქ იყოს, სანამ ბუნებრივი სიკვდილის დრო მოუწევსო". ქვედასოფლელები სანადიროდ ყოფილან გამოსულნი, ვერაფერი მოინადირეს. სოფლის კიდეზე, მინდორში, ახალი წამოთოვილი ყოფილა და ვირის კვალი დაინახეს. "არიქა, შველი ჩამოსულა ტყიდან სოფელშიო!" და სოფელში ვინც კი მონადირეები იყვნენ, დაფაცურდნენ, საჩქაროდ აისხეს თოფ-იარაღი, გაჰყვნენ კვალს. ვირს გაუხარდა მათი დანახვა, ან სად უნდა გაქცეულიყო – ბებერი იყო. მიეჭრნენ ვირს, წამოაქციეს და ყელი გამოჭრეს... გატყავებისას ფეხები მაღლა ააშვერინეს და ნალები დაინახეს. "ბიჭო, შველს ნალები როდის ჰქონდა!" – თქვა ერთმა ჭკვიანმა. სხვები არ დაეთანხმნენ: "ყველაფერი ღვთის ნებაა, თუ მოისურვებდა, შველს როგორ ვერ დაჭედავდა? დაჭედა და ისე გამოგვიგზავნა!". დაკლეს საწყალი ვირი, ხორცი დაინაწილეს და შეჭამეს, მხოლოდ ტყავი და ნალები დარჩა – შიგნეულობა ძაღლებს გადაუყარეს...

– ყოჩაღ, ჩემო სოსო, შენს წინა მონაყოლს კიდევაც აჯობე! ესაა შენი ოპტიმისტური ამბავი? კიდევ ბევრი წიგნი გაქვს წაკითხული, ასეთი სასიამოვნო ამბები რომაა შიგ მოთხრობილი? ალბათ ისეთი ბიბლიოთეკა შეაგროვე, მე ნაღდად არ მომეწონება...

– რატომ არ მოგეწონება? მე სულ სხვადასხვაგვარი წიგნები მაქვს, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ბიბლიოთეკა უნივერსალურია. უმრავლესობას, რასაკვირველია, სიტყვაკაზმული მწერლობა შეადგენს – ქართველი და მსოფლიო კლასიკოსები; მაქვს, აგრეთვე, შედარებით ვიწროდარგობრივი წიგნები: კრიტიკა, ფილოლოგია, ენათმეცნიერება, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ისტორია, მუსიკათმცოდნეობა... მუსიკის გიჟი ვარ! არ გავუშვებდი შეუძენელს, კომპოზიტორებზე რაც კი წიგნი შემხვდებოდა, თუნდაც – პროფესიონალებისთვის განკუთვნილს... ბახი, – ავტორი გიორგი ხუბოვია, თბილისის კონსერვატორიაში ზაქარია ფალიაშვილთან სწავლობდა! – ჰაიდნი, მოცარტი, გლუკი, ბეთჰოფენი (სამი მონოგრაფია მაქვს), შუბერტი, მონტევერდი, ვერდი, მუსორგსკი, ჩაიკოვსკი, რიმსკი-კორსაკოვი, სენ-სანსი, ლისტი, შოპენი, გრიგი და სხვები, ასევე – იოჰან შტრაუსი, ლეჰარი, ჯორჯ გერშვინი, დიუკ ელინგტონი...

– ნამდვილი ფანატიკოსი ყოფილხარ!

– რომ გითხრა, მუსიკის თეორიაში ვერკვევიო, დამიჯერებ? და მაინც ვყიდულობდი სერიოზულ მონოგრაფიებს, კონსერვატორიის სტუდენტებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებს, წიგნებს, მიძღვნილს საფორტეპიანო და სავიოლინო შესრულების, მუსიკალური თეატრის და სადირიჟორო ხელოვნების პრობლემებისადმი მიძღვნილებსაც კი...

– რატომ? დარწმუნებული ვარ, მეტისმეტი მოგდიოდა.

– ხელოვნებას რაც შეეხება, ჩემთვის ყველაფერი განსაკუთრებით საინტერესოა. მშიერი ვიქნებოდი და შევიძენდი! რატომ ვყიდულობდი? წაკითხულიდან რომ თუნდაც მცირედი გამეგო, ესეც სიამოვნებას მანიჭებდა! ახლა მუსიკის მოსმენა! აბონემენტს ვიძენდი და ოპერის თეატრის ხშირი სტუმარი ვიყავი, გრამფირფიტებს თითქმის ყოველდღე ვუსმენდი – ყოველგვარ მუსიკას. ახლა უკეთესი მდგომარეობაა, შეგიძლია, შეიძინო, მაგალითად, მეტროპოლიტანის თეატრის საოპერო სპექტაკლების ვიდეო ვერსიები მსოფლიო ვარსკვლავების შესრულებით. გრამფირფიტები – იცი, რამდენი დამიგროვდა? მათი კატალოგი ალბათ ერთ წიგნს დაიჭერს... ახლა სხვა ეპოქა დადგა: თანამედროვე ელექტრონულ-ციფრული ჩანაწერები – **CD, DVD** – კონცერტები, შემსრულებლები, ისინიც უამრავი... კინო – რამდენიმე ასეული ჩანაწერი – **DVD** კოლექცია: სათავგადასავლო, დეტექტური, დრამა, კომედია, მუსიკალური, ანიმაციური ფილმები... ეს უკანასკნელები ჩემს შვილიშვილთან მიმაქვს. გულჩვილი ვარ: როცა ამას წინათ ტელევიზორში ვუყურებდი რეზო თაბუკაშვილის შესანიშნავ დოკუმენტურ ფილმს (უკვე მერემდენედ!) და მიქელ თამარაშვილის საფლავის აღმოჩენის პერიპეტიებზე და მისი ნეშტის თბილისში გადმოსვენებაზე ჰყვებოდა, თვალებზე ცრემლი მომადგა...

– მაგარი მფლანგველი ჩანხარ, როგორ გიძლებს ცოლი, საოცარია... წიგნების შესახებ განაგრძე საუბარი.

– მედიცინა: ანატომია, ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია – თუ მწერალი ხარ, უპირველესად – "ადამიანთმცოდნეც"; ზოგადად მაინც ყველაფერზე უნდა გქონდეს წარმოდგენა, რაც ადამიანს, როგორც ბიოლოგიურ და საზოგადოებრივ არსებას ეხება... არტურ კონან დოილი, ჩეხოვი, მიხაილ ბულგაკოვი ექიმები იყვნენ... საბავშვო წიგნები – რაც კი მხატვრულად გაფორმებული წიგნი შემხვდებოდა, ყველას ვყიდულობდი! ახლა ჩემს პატარა სოსიკოს ვაძლევ. ახლაც გამოდის წიგ-

ნის ბაზარზე საბავშვო წიგნები, ადრინდელზე პოლიგრაფიულად ბევრად უკეთესად გამოცემულნი, მაგრამ სადღა არის ჩვენი კორიფეების: შალვა ცხადაძის, სოსო გაბაშვილის, ლევან ცუცქირიძის, ალექსანდრე ბანძელაძის, სამეულის, თეიმურაზ ყუბანეიშვილის, ჯემალ ლოლუას, თენგიზ მირზაშვილის, ვახტანგ ონიანის, ზურაბ ფორჩხიძის, დიმიტრი ერისთავის, ზაურ დეისაძის – და სხვა მრავალი ნიჭიერი მხატვრის მიერ გაფორმებილი წიგნები? რაც მუსიკას ეხებოდა, იგივე შემიძლია, გავიმეორო არქიტექტურასა და მხატვრობაზეც... მონოგრაფიები მხატვრების, მსოფლიოში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებში მხატვრული სკოლების, სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და არქიტექტურის ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის შესახებ... ალბომები მხატვრებისა – რამდენიმე ასეული... ფიროსმანაშვილი – ჩემი "მუდმივი" თემა და ყველაზე დიდი სიყვარული! აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა, ვერაფრით ვწყნარდები – ჩემს ერთ-ერთ პირველ და მუდმივ თემას ვუკირკიტებ, სულ ახალ-ახალ თავებს ვწერ დიდი წიგნისა, რომელსაც "ნიკო ფიროსმანაშვილი" ჰქვია. და ალბათ ასე გაგრძელდება, სანამ კალმის ხელში დაჭერა შემეძლება...

– შენ ნაღდი დონ კიხოტი ბრძანდები, სოსო ბატონო, სიცეტეში მისი ფარდი ხარ! ის კი არა, კარგა გვარიანად აჯობებ კიდეც გონებადაბინდულ მწუხარე სახის რაინდს, სენიორო ხოსე გერა, – ასე იქნება ესპანურად შენი სახელი და გვარი, – ახლა აღარ მიკვირს, რომ ამდენი წიგნის წაკითხვის შემდეგ თქვენს აღმატებულებასაც ეღრძო ჭკუა და გადაწყვიტეთ ვირზე პირუკუღმა მჯდომმა იმოგზაუროთ, როგორც ეს სარაინდო რომანების კითხვით უზომო გატაცებამ დამართა დონ კიხოტ ლამანჩელს. და მასაც კი ეყო კეთილგონიერება, რომ მოგზაურობისას ცხენზე ჩვეულებრივად მჯდარიყო და არა პირუკუღმა – ცირკის მასხარათა თუ სოფლის მიერ განკიცხულ-დასჯილთა დარად! თუ სულ შინ იჯექი და კითხულობდი, ფიზიკურად როგორ გაძელი?

– რაც თავი მახსოვს, სულ ფიზიკურად ვვარჯიშობდი... გარდა ამისა, ნახევარი წელიწადი და მეტიც გეოლოგიურ ექსპედიციებში ვიყავი... და 1988 წლის თებერვალში, უკვე ნახევარსაუკუნოვან ასაკს კარგა გადაცილებულს, მოულოდნელად გულმა მიმტყუნა – მიოკარდიუმის ინფარქტი მეწვია... გადავრჩი. საჩქაროდ თავი მოვუყარე ორი ათეული წლის განმავლობაში დროდადრო ნაწერს ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ; ნაირგვარი სახის მასალა დავალაგე, შეძლებისდაგვარად გავაშალაშინე და გამომცემლობა "ნაკადულს" გადავეცი. 1990 წელს გამოვიდა კიდეც ჩემი წიგნი "ჩვენი ნიკალა".

– ამის შესახებ უკვე მიამბე.

– კი, კი, მართალი ხარ... მაგრამ ეს ჩემი პირველი გამოცემული წიგნი იყო, უდიდესი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში და მსიამოვნებს ყველაფრის კვლავ გახსენება... წიგნის ჟანრი არ განმისაზღვრავს; მასში გაერთიანებული იყო ჩანახატები, ნარკვევები, კრიტიკული ექსკურსები, ხელოვნებათმცოდნეობითი განსჯა, მოთხრობები... ვცდილობდი, სხვადასხვა ხასიათის ნაწილებს შორის ყოფილიყო შინაგანი გადაძახილი, ემოციურ-ლოგიკური კავშირი, ამასთანავე, რასაკვირველია, ძირითად დამაკავშირებელ ძალას წარმოადგენდა თვით ნიკო ფიროსმანაშვილის პიროვნება და მისი ნაღვაწი. ეს წიგნი თოვლის ზვავივით იზრდება: თუ I გამოცემაში – 1990 წელს, სათაურით "ჩვენი ნიკალა" – იყო 172 გვერდი; II გამოცემა, 2003 წელს, შეიცავდა 380 გვერდს; III, 2008 წლის გამოცემამ, რომელიც დაბეჭდილია გაზრდილი ფორმატისა, უფრო წვრილი შრიფტით და ილუსტრაციების გარეშე, მიაღწია 422 გვერდს... ეს წიგნი ახლაც არ მიმაჩნია დასრულებულად; თუ დამცალდა და IV გამოცემას თავი მოვაბი, მისი მოცულობა ალბათ 500 გვერდს ბევრად გადააჭარბებს: ხუთი ახალი ნაწილი უკვე მზად მაქვს და, იმედია, რამდენიმეს კიდევ დავწერ. ფიროსმანაშვილის შესახებ სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი უამრავი მასალა მაქვს მოგროვილი საგანგებოდ ამისთვის განკუთვნილ პორტფელში, უმეტესად – საგაზეთო წერილები, აგრეთვე, ღია ბარათები, ბუკლეტები, აღარას ვამბობ მონოგრაფიებსა და ალბომებზე. სამწუხაროდ, საქართველოში ფიროსმანაშვილის ნამუშევრების ერთი ხეირიანი ალბომიც კი არ გამოცემულა, სირცხვილი არ არის? უკვე თითქმის ასი წელი გადის ნიკალას გარდაცვალებიდან, მთავრობები მიდის და მოდის, მისთვის კი ვერავინ მოიცალა, ფიროსმანაშვილის მუზეუმის საქმე, სადაც მისი დღემდე საცავებში შენახული ყველა სურათიც გამოიფინებოდა, ფუჭ ლაქლაქს ვერ გასცილდა...

– ძალიან აღრენილი ლაპარაკობ, ვით გეკადრება?

– ახლა თურმე ფიროსმანაშვილის სიმბოლური საფლავის გაკეთება განუზრახავთ მთაწმინდის პანთეონში... მაძღარი სიფათები გამოჩნდებიან ტელეეკრანებზე, სახეზე რომ ზეთი ჩამოსდით, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით მოიწონებენ თავს... ფუი!

– გუნება გაგიფუჭდა? ჯობს, შენს ბიბლიოთეკას დაუბრუნდე...

– სწორი ბრძანებაა, სოლომონ ბრძენო... გაგიკვირდება და ბევრი წიგნი მაქვს ფიზკულტურის, სპორტის შესახებ, სამედიცინო... განსაკუთრებით მაინტერესებს გაკაჟება, ვარჯიშები: ბავშვობიდანვე, რომ იტყვიან, ჭირიანი ვიყავი, ძალიან გამხდარი; ფრიად სუსტი ფილტვები მქონდა, სულ მეშინოდა, ჭლექი არ დამემართოს-მეთქი... გამუდმებით ვვარჯიშობდი, სკოლაში სწავლისას და სტუდენტობისას დილაობით ცივ წყალს ვივლებდი ტანზე; როცა აბაზანას ვეღირსეთ, ცივ შხაპსაც ვივლებ-

დი. დღესაც ყოველი დილა ჩემთვის იწყება ერთსაათიანი ვარჯიშით და ალბათ ამგვარმა ცხოვრების ნირმა მიმაღწევია დღევანდელ ასაკამდე.

– მეტი, მეტი? თურმე ყველაფერი განსაკუთრებით გაინტერესებს და რაღა დარჩა, შე დალოცვილო, საჯარო ბიბლიოთეკის დარი რაღაც გდომებია, შინ გქონოდა...

– საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი ადამიანთა ცოდნა-გამოცდილება წიგნებშია დაგროვილი, ის თუ არ გამოიყენე, თვითონ რამდენიმე ათას წელს ხომ ვერ იცოცხლებ? მაგრამ ცხოვრებაშიც დაკვირვებული უნდა იყო, ბევრს ისეთ რასმე ნახავ, რასაც ვერცერთ წიგნში ვერ ამოიკითხავ.

– მართლაც საკვირველია, როგორ გიძლებდა ცოლი ან ჯიბე...

– ამჟამად თითქმის აღარაფერს ვყიდულობ, მუსიკალური ჩანაწერების და ქართველ მწერალთა მრავალტომეულების გარდა; მადლობა ღმერთს, ახლა ამისთვის მოიცალეს: XX საუკუნის მეორე ნახევარში მრავალი მშვენიერი მწერალი გვყავდა და ახლაც გვყავს... ჰო, გამომრჩა: განსაკუთრებით მაინტერესებს ნებისმიერი დარგის საცნობარო ლიტერატურა, გეოგრაფიული ატლასები, ლექსიკონების ხომ გიჟი ვარ!

– ისევ – "განსაკუთრებით"!

– ლექსიკონები თუ არ აქვს მწერალს, მე მას ნამდვილ მწერლად ვერ ჩავთვლი! თუ რომელიმე ენციკლოპედიაში რაღაც ცნობა დამჭირდა, – წასულია ჩემი საქმე! ჩავრგავ ცხვირს და თავს ვეღარ ვანებებ კითხვას... ვინ თქვა, დროის მდინარებას ვერაფერი შეაჩერებსო? ჩემთვის ასეთი რამ მაინც ხდება – როცა წიგნს ავიღებ ხელში! სხვათა შორის, წინათ ბევრი მონოგრაფია და პოპულარული ლიტერატურა გამოდიოდა მწერალთა შემოქმედების შესახებ, ბიოგრაფიული რომანები, გამოკვლევები და მწერალთა ნაშრომები მწერლის ოსტატობის შესახებ – დამწყებთათვის და არა მხოლოდ მათთვის, გამოცდილთათვისაც სასარგებლო... ო, მწერლობა – ალბათ ქვეყნიერებაზე ყველაზე წარმტაცი და მიმზიდველი შრომაა, იმავდროულად – ძალზე მძიმეც!

– წიგნების გარდა, შენთვის კიდევ არსებობდა რამე?

– ბავშვობიდანვე კოლექციონერობის ჭია მღრღნიდა: პეპლები, ზღვის კენჭები, ღია ბარათები, სურათები... მუსიკალურ ჩანაწერებზე უკვე გითხარი.

– ისევ გეკითხები: შენ რა, შინ საჯარო ბიბლიოთეკის მსგავს ფონდს ჰქმნიდი?

– ამის შესაძლებლობა ვის აქვს, მაგრამ, თუ მწერლობას აპირებ, აქეთკენ კი უნდა მიისწრაფოდე – შეძლებისდაგვარად. წერის დროს როდის რა მასალა დაგჭირდება, რა საკითხი გახდება დასაზუსტებელი – წინდაწინ ამის განსაზღვრა შეუძლებელია. მაგალითად, თუ დეტექტივს წერ, უცებ შეიძლება, დაგჭირდეს არა მხოლოდ სასროლი იარაღის და კრიმინალისტიკის რაიმე სპეციფიკური საკითხის, მაგალითად, ბალისტიკის ან დაქტილოსკოპიის ზოგადი ცოდნა, არამედ რაღაც ბუღალტრული ანგარიშწარმოების წვრილმანში გარკვევა... ამ დროს კარგია დარგის სპეციალისტთან კონსულტაცია. სხვა დროს ხშირად გჭირდება ცოდნა მცენარეთა თუ ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა გარეგნობის, "ცხოვრებისეული" გზის, ქცევის შესახებ... ზოგადად მაინც უნდა ერკვეოდე იურისპრუდენციაშიც და კინოლოგიაშიც, ასტრონომიაშიც და კოსმოგონიაშიც, ფსიქოლოგიაშიც და ფილოსოფიაშიც, ისტორიაშიც და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებშიც, კლიმატოლოგიაშიც და დედამიწის გეოლოგიურ ისტორიაშიც, კულინარიაშიც და სამხედრო საქმეშიც, სატრანსპორტო საშუალებებშიც და მშენებლობაშიც, კოსმეტიკაშიც და ტანსაცმელშიც... ყველაფერში მეტ-ნაკლებად უნდა იყო გათვითცნობიერებული.

– დიდი კირკიტა ვიღაცა ხარ!

– ჩაკირკიტება აუცილებელია! ადრეც გითხარი: თუ მკითხველმა რაღაც უმნიშვნელო უზუსტობაც კი შეამჩნია შენს ნაწერში, – მას კი სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანი კითხულობს, – მორჩა, შენდამი ნდობას დაჰკარგავს! იფიქრებს: "ღირს კი კითხვის გაგრძელება? კომპეტენცია აკლია ან იქნებ მატყუებს კიდეც...". საწერ მაგიდაზე მუდმივად მიდევს "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", "ორთოგრაფიული ლექსიკონი", "უცხო სიტყვათა ლექსიკონი", "ბოტანიკური ატლასი" და მისთანები... უნებლიე შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ უნდა ეცადო კი, რომ რაც შეიძლება ნაკლებად შეცდე, მცირე უზუსტობაც არ გაგეპაროს. მაგალითად, არ უნდა შეგეშალოს, გარეგნულად რა განსხვავებაა ყვავსა და ყორანს შორის...

– მაშ, შენ ჩემზეც შეკრებდი ცნობებს!..

– რა თქმა უნდა! ჩამოგიკაკლო? შენ ალბათ ეჭვი არ გეპარება, რომ ცხოველთა სამყაროს მიეკუთვნები; შემდეგ, სანამ საკუთრივ შენამდე დავიდოდე, ჩამოვთვლი სისტემატიკის საფეხურებს: შენ მიეკუთვნები ქორდიანთა ტიპის, ხერხემლინთა ქვეტიპის, ძუძუმწოვართა კლასის, კენტჩლიქოსანთა რიგის, ცხენისებრთა ოჯახის, ცხენის გვარის, ვირის ქვეგვარს – შენამდე მოვაღწიე, გამარჯობა!... უჰ, სანამ შენამდე ჩამოვიდოდი და ხელს ჩამოგართმევდი, სული შემიგუბდა!..

– ხელი კი არ მაქვს, მაგრამ წინა მარჯვენა ფეხის ჩლიქს კი მაღლა სიამოვნებით ავწევ მისალმებისა და მადლობის ნიშნად – ენციკლოპედიების მტვრის ყლაპვა უნდა დააფასო!

— მოგახსენებ, რომ ვირი არსებობს ორი სახეობისა: გარეული და შინაური. გამოიყოფა შინაური ვირის ჯიშის ორი ჯგუფი: აფრიკისა და აზიის — ტანმორჩილი, შენ ამ ჯგუფის წარმომადგენელი ბრძანდები! და არსებობს ტანადი ვირიც, მაგალითად, ჩინური — შანდუნის ჯიშისა. შექმნილია ვირთა კულტურული ჯიშებიც — ფრანგული, ესპანური და ამერიკული, რომელთაც უმთავრესად ჯორის გამოსაყვანად იყენებენ... გამიგონია სარდინიული ვირის შესახებაც, მაგრამ მის დახასიათებას ვერსად მივაკვლიე. ვირს ხმარობენ საჯდომად და სასაპალნედ, განსაკუთრებით — უგზოობისას და ძნელად სავალ ადგილებში... ჰო, სამხედრო ჟურნალში წავიკითხე, რომ ვირებს თურმე იყენებენ ტერიტორიის განაღმვის ჩატარებისას... კიდევ რა გაინტერესებს? შემიძლია, კიდევ მოგახსენო, თუ აქამდე არ იცი, რომ კახური ვირი სიმაღლით ერთ მეტრამდეა, გამძლე ხარ და ამტანი, ავადობა ეგრერიგად ადვილად ვერ შეგეყრება, საჭმელ-სასმელს დიდ მოთხოვნილებას არ უყენებ... მეტი რაღა მინდოდა? შენ კი მეკითხები, რატომ ამომარჩიეო... ტყე-ღრეში, უდაბნოში და მთის ბილიკებზე სასიარულოდ შენზე უკეთესს ვის ვნახავდი?

— გარეული ვირი არ გერჩივნა?

— რომელი მომთვინიერებელი მე მნახე? თანაც, გარეული ვირი იშვიათია, გავრცელებულია მხოლოდ აღმოსავლეთ აფრიკაში: ეთიოპიაში, ერითრეაში, სომალიში...

— ვირის შესახებ თემა საკმარისად დაგიმუშავებია... ზოგადად, გინდა, ყველაფერი იცოდე?

— ყველაფერი ღმერთმაც არ იცის... განათლებულმა ადამიანმა შეიძლება, თავისუფლად გაიმეოროს სოკრატეს ბრძნული ნათქვამი: "მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი!". ათჯერ და ასჯერ მეტი რომ მცოდნოდა, მაინც ვიტყოდი, რომ უვიცი ვარ... დიდი სურვილი მქონდა, შემესწავლა პროფესიულად ხელოვნებათმცოდნეობა, ფილოსოფიის ისტორია, ფსიქოლოგია... დავუფლებოდი სულ ცოტა ათ უცხო ენას მაინც, მაგრამ ვაგლახ!.. გუბაზ სანიკიძემ ტელევიზორში საუბრისას თქვა, რომ კახა შარტავამ ცხრა ენა იცისო, მათ შორის: ჩინური, იაპონიური, კორეული... ახალგაზრდა რომ ვიყო, ევროპული ენების გარდა, დიდი სიამოვნებით შევისწავლიდი თურქულს, არაბულს, სპარსულს, ჰინდის, სანსკრიტს, ძველ ბერძნულს, ლათინურს...

— მერე, რატომ იზარმაცე?

— ზარმაცობას ვერ დავიბრალებ. ხშირად მომისმენია: ქართველები ნიჭიერები კი ვართ, მაგრამ ზარმაცებიო... თუკი ისტორიულად ზარმაცი ერი არსებობდა საერთოდ, ის აუცილებლად გადაშენდებოდა. მაშ, ვინ ააშენა საქართველოში — და მის გარეთაც! — ათიათასობით შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლი? ზარმაცმა ერმა შექმნა ბრწყინვალე მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა? ვინ გამოიყვანა ვაზის ხუთასზე მეტი ადგილობრივი ჯიში? ზარმაცმა ხალხმა გადაიტანა აურაცხელი სისხლისმღვრელი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომ დაეცვა საკუთარი მიწა-წყალი, ენა, კულტურა, შეენარჩუნებინა თვითმყოფობა? რაც შეეხება ნიჭს... უნიჭო ერი არ არსებობს, არც ხალხი; ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, იგი გერმანელი ნაცისტების იმ თეორიას უჭერს მხარს, რომლის თანახმადაც ჩრდილო, "ნორდული" რასა კაცობრიობის უმაღლესი რასაა, მთელი ცივილიზაციის შემქმნელი. თუ ამა თუ იმ ერს გამორჩეული მიღწევები აქვს, ვთქვათ, საოპერო ხელოვნებაში, ეს განაპირობა ისტორიული განვითარების თავისებურებებმა და არა — განსაკუთრებულმა ნიჭიერებამ. ვინ შექმნა თანამედროვე სამუსიკო ხელოვნების ერთ-ერთი უშესანიშნავესი დარგი — ჯაზი? ძირითადად, ამერიკელმა ზანგებმა, თუმცა მნიშვნელოვანი იყო თეთრკანიანთა ღვაწლიც. ზანგები ამერიკის კონტინენტზე აფრიკიდან ჩაიყვანეს, მაგრამ აფრიკაში ჯაზის ტოლი მუსიკა მათ არ შეუქმნიათ, რატომ? ამერიკაში სულ სხვა საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოში მოხვდნენ... დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგები არაფრით ჩამოუვარდებიან, თუ ავანგარდული როლი არ უჭირავთ, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, პოლიტიკაში, კულტურისა და ხელოვნების ნებისმიერ დარგში: კინოხელოვნებაში, მუსიკაში, სპორტში... აფროამერიკელები გახდნენ: შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, სახელმწიფო მდივანი, ახლა კი ქვეყნის პრეზიდენტია ბარაკ ობამა — კენიელის შთამომავალი! ნიჭის გამოვლენას სათანადო პირობები სჭირდება, თუნდაც — მინიმალური. მახსენდება ერთი პასაჟი, ვედარ ვიხსენებ, რომელ წიგნში მაქვს წაკითხული, მგონი, კარელ ჩაპეკთან: ღმერთს უბრძანებია, მომახსენეთ, ვინ იყო ისტორიაში ყველაზე დიდი მხედართმთავარიო... ჩამოუთვლიათ უამრავი პირი — ალექსანდრე მაკედონელიდან ნაპოლეონ ბონაპარტამდე... არაო, ღმერთმა ბრძანა თურმე, ყველაზე დიდი მხედართმთავრული ნიჭით იყო დაჯილდოებული ერთი პრაღელი მეჩექმე, რომელმაც მთელი ცხოვრება ჯღანების შეკეთებაში გალიაო... კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ევროპული ცივილიზაცია მთელ მსოფლიოს კარნახობს თითქმის ყველაფერს — საზოგადოებრივი მოწყობიდან დაწყებული და ტანსაცმლით დამთავრებული. რატომ? ევროპულზე ბევრად ძველი, შესანიშნავი ცივილიზაციები შექმნეს ეგვიპტემ, შუამდინარეთმა, ჩინეთმა, ინდოეთმა... და რატომ დომინანტობს დღეს მსოფლიო პოლიტიკაში, ეკონომიკაში და სხვა სფეროებში ევროპა? ახლა ამერიკის შეერთებული შტატები, მისი ეკონომიკური სიძლიერის გამო, ჩემულობს პირველობას, ეცილება ევროპას არა მხოლოდ მსოფლიო წესრიგის განმკარგულებლის როლს, არამედ ყოფითი ქცევის წესებში, ზნეობრივ ფასეულობებსა და ხელოვნებაშიც კი საკუთარ სტანდარტებს,

მოდას ამკვიდრებს; მაგრამ ბებერი ევროპა უძალიანდება, არ ნებდება, მძლავრ გავლენას კი განიცდის... თუმცა, არსებითად, თანამედროვე ამერიკული კულტურა ხომ ძირითადად ევროპული ფესვიდან არის ამოზრდილი.

— შენ, ჩემო ძმავ და მეგობარო, ლაქლაქით ტვინი გამილაყე, ამერიკასაც კი გადაწვდი და იმაზე კი არ ფიქრობ, რა გვეშველება! უთვალავი წიგნი მოგიქუჩებია და მათი ნაწილი მაინც თუ წაგიკითხავს, ჭკვა და გონება თუ გაილესე, როდისმე ხომ უნდა გამოიყენო... ჰოდა, ახლა დროა, რომ მიბრძანო: როგორ უნდა დავიხსნათ თავი?

— სოლომონ ბრძენო, ნურაფრის გეშინია, მაგაზეც ვიფიქრე! სანამ გათენდება, იქნებ მანამდე მოვახერხოთ რამე... აბა ერთი, აქ, კედელთან დადექ და შენი ნაჯაფი ზურგი მომიშვირე! წყნარად იდექი! ეგრე, კარგია! ახლა ავძვრები, ზედ ფეხებით შეგდგები ზურგზე, ბოდიში, დიდი ბოდიში! ახლა... ცოტაც კიდევ... ეჰ, ხაროს კიდეს მაინც ვერ შევწვდი! ზევიდან ხელი მაინც გამომიწვდინოს დასახმარებლად ვინმემ! ჰეი, აქ არავინა ხართ მანდა?

— ერთი ორომტრიალი იდგა და ახლა ყველა როგორ ერთიანად გაწყდა?

— როგორც პოეტს უთქვამს: "არსაიდან ხმა, არსით ძახილი"!

— ნუ დარდობ, მაგას ეშველება!

და სოლომონ ბრძენმა ყროყი-ყროყი-ყროყინი მორთო! ხედავ, თურმე მჭექარე ხმა თუ გაქვს, გაჭირვების ჟამს, შეიძლება, დაგეხმაროს!

ყროყინზე ადამიანები მოგროვდნენ ხაროს თავთან; ყაყანის ხასიათისა და სიძლიერის მიხედვით, უნდა გვევარაუდა, რომ დიდად პატივცემული, ფრიად მოჭირნახულე, გართობა-ენის მოფხანის მოყვარული საკმაოდ მრავალრიცხოვანი საზოგადოება შეგროვილიყო.

გაიმართა ბჭობა: ვინ არიან? რა დააშავეს? რით და როგორ ვუშველოთ გასაჭირში ჩავარდნილთ?

— სოლომონ ბრძენო, ამ შუაღამეს მოცლილნი ბევრნი კი შეგროვდნენ, მაგრამ ჩემს მტერს ჰქონდეს ამათი იმედი: მხოლოდ ქაქანით საქმე არასდროს გაკეთებულა!

— რას ჩივი უმიზეზოდ? აცალე, ხომ ხედავ, ჩვენს გადარჩენაზე ფიქრობენ...

— ეჰ, თქვენო უყროყინესობავ, იმედი იმიტომ გადამეწურა, რომ ჩვენი ხალხის რჩეულთა ლაქლაქსა ჰგავს ამათი ფუჭი დებატები; სრული ანალოგიაა პარლამენტის პლენარულ სხდომასთან — ყველა გაიძახის: "როგორ ვუშველოთ ქვეყანას?" და სინამდვილეში ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ, რა თქმა უნდა, საკუთარი კეთილდღეობის გარდა... ტრიბუნაზე ვიღაც აქტუალურ კანონპროექტზე ლაპარაკით იქაფავს პირს, მისი კოლეგებიდან კი მხოლოდ რამდენიმე თუ უსმენს; დანარჩენები — ჭორაობენ, ახალ ანეგდოტებს უყვებიან ერთმანეთს, გაზეთებს კითხულობენ, ტკბილად თვლემენ, მათთვის საინტერესო საქმიან ან პოლიტიკურ გარიგებებზე ბჭობენ...

— კარგი ერთი, რატომ ხარ ყოველთვის ყველაფრით უკმაყოფილო? წინდაწინ ასხამ ჩემს იმედს ცივ წყალს!

— კარგი, ბატონო, მოვუსმინოთ ხაროს თავზე სეირის საყურებლად შეკრებილ პატივცემულ ორატორებს და თუკი შევცდი, დიდად ბედნიერი ვიქნები და ბოდიშსაც დიდი სიამოვნებით მოვიხდი... დიდ მოწყალებას გაიღებენ, თუკი, უაზრო ლაყბობის მაგივრად, ერთ პურს მაინც ჩამოგვიგდებენ... ამათი იმედი ჩემს მტერს ჰქონდეს და მათი ბრძნული ლაპარაკით მაინც გავხალისდეთ!

ერთი ამბობს:

— ბატონებო, მოვიწვიოთ პარლამეტის უმრავლესობის წევრები, ისინი ყოველი გასაჭირიდან გამოსავლის ძიების დიდი სპეციალისტები არიან! ახლა ქვეყნის დეპრესიიდან გამოყვანის ღონისძიებები შეიმუშავეს და გასაჭირში ჩავარდნილი ორი ბედოვლათის ხაროდან ამოყვანას ვერ შეძლებენ?

— არა, კაცო, ჩვენი ლაქლაქის მოყვარული პარლამენტარები უმაქნისები არიან, ქვეყანას მაგათი გარჯისა რა ეტყობა? მხოლოდ საკუთარი ჯიბეების ფულით გამოტენაში არიან დაოსტატებულნი — სხვა არაფერი აინტერესებთ!

— სწორია! მაგათ უკვე მერამდენე წელია, მარად ასეთი ღონისძიებების დასახვა უწევთ და ქვეყანა სულ უფრო ქრონიკულ გაჭირვებაში ვარდება! ჯობს, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ექსპერტები მოვიწვოთ!

— მათთვის გადასახდელ ფულს ვინ გაიღებს?

— სავალუტო ფონდი ან მსოფლიო ბანკი!

— სანამ მათი ექსპერტები ჩამოვლენ, სანამ აქ არსებულ მდგომარეობას გაეცნობიან, სანამ ღონისძიებებს შეიმუშავებენ, სანამ ამ ღონისძიებათა შემსრულებლებს მონახავენ, სანამ ჩამოიყვანენ — ეს ჩვენი ტუსაღები სულს განუტევებენ!

— ახია მათზე!

— ვირი კი, ბატონო, ჯანდაბას, მაგრამ იმ პატიოსან კაცს რატომ ვწირავთ?

— მაგაზე ორმაგად ახია! ვირს რომ შეუამხანაგდები და მასთან ერთად წახვალ სამოგზაუროდ — უარესის ღირსიც ხარ!

– მართალი ბრძანდები, ერთი ჭკუისანი არიან: “ფერი – ფერსა, მადლი – ღმერთსა!”.

– რას ამბობ, ამ ვიგინდარების ხაროდან ამოყვანა როგორ შეიძლება, დიდი ცოდვა აწევთ!

– რა დააშავეს ისეთი?

– ისა, რომა, როცა ეს ცირკის მასხარები ქალაქს გამოჩნდნენ, დიდ-პატარა ყველა მათ სანახავად გამორბოდა, ჰოდა, ქურდ-ავაზაკთაც მეტი რა უნდოდათ? დრო იხელთეს და სულ გაძარცვეს ქალაქის მოსახლეობის ნახევარი მაინცა... ახლა ხაროში ჩაგდება კი არა, უფრო დიდი სასჯელიც არ უნდა ვაკმაროთ!

– ჯერ იყურყუტონ ხაროში, სანამ საკადრის სასჯელს მოვიფიქრებთ!.. თვითონაც კარგად იფიქრონ, იქ მაინც ისწავლონ ჭკუა – წაღმა სჯობს ვირზე შეჯდომა თუ უკუღმა!

– ამ საწყლებს რას ერჩით, მათთვის ასეთ გაუსაძლის პირობებში ყოფნა ადამიანის უფლებების აშკარა დარღვევაა! შუა საუკუნეების ინკვიზიციას ხომ არ ვაბრუნებთ?

– არავითარი დანდობა ქვეყნის დასაქცევად შემოგზავნილ ჯაშუშებს!

– დავასხათ ნავთი და მივცეთ ცეცხლი!

– კარგად გავერთობით, მშვენიერი სანახაობა იქნება!

– იმ პატიოსანმა ვირუკამ რაღა დააშავა? თუ მისი პატრონი შებრაწვის ღირსია, თვით ვირუკა რატომ უნდა დაისაჯოს? ცხოველთა უფლებების დაცვის საზოგადოების სახელით პროტესტს ვაცხადებ და მოვითხოვ, დაუყონებლივ გათავისუფლდეს უკანონო პატიმარი! დაუშვებელია უდანაშაულო ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობა! ძირს ძალადობა!

– შე დამპალო ოპოზიციონერო, რატომ იყენებ ყოველ შესაფერის თუ შეუფერებელ შემთხვევას მთავრობის გასაშავებლად?

– ქვეყანა დიდი ხანია აყვავდებოდა, ეს ყველა ჯურის ჩასაფრებული ოპოზიციონერები რომ არ გვიდებდნენ კვანტს!

– დედა უნდა ვუტიროთ ყველასა! გაუმარჯოს დემოკრატიას!

– ეგ არის თქვენი დემოკრატია? ყველა მოწინააღმდეგეს უნდა ბურთი ჩასჩაროთ პირში, ციხეში ამოალპოთ, გაწვრთნილი კაცისმკვლელები მიუსიოთ!

ზევით ჩხუბისა და ღრიანცელის ხმები სულ უფრო მატულობს; დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულებებს ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან.

ვიღაც, ეტყობა, კონსერვატორ-მემარჯვენეა, ღრიალებს:

– სრულად მოიხადონ სასჯელი!

მას პროგრესისტ-ლიბერალი უპირისპირდება:

– შენ ავადა ხარ? რა სასჯელი? შენ სულ დასჯაზე და ნულოვან ტოლერანტობაზე ლაყბობ!

ქრისტიან-პაციფისტიც გამოჩნდა:

– მხურვალედ ილოცონ და ღმერთი შეეწევათ!

სოლომონ ბრძენმა სარკაზმი ვერ დამალა:

– საინტერესოა, თვითონ თუ შეიწუხებს თავს, რომ ჩვენი გადარჩენისთვის ილოცოს? თუ მხოლოდ დღეში შვიდჯერ საკუთარი კეთილდღეობის შეთხოვნისთვის ჰყოფნის დრო?

ალბათ მმართველი ძალებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებენ და დასცხებენ ერთმანეთს...

– ვქნათ მადლი, ამოვიყვანოთ, მაგრამ ჩვენი შეწუხებისთვის, სიმშვიდისა და წესიერების დარღვევისთვის, ქალაქში მღელვარების გამოწვევისთვის ვირზე შევსვათ! თანც – უკუღმა! ეგრე იცოდნენ სასირცხვილოდ დასჯა ძველად!

– ეეე, შვილოსა, შენ მაგრად უბერავ, აი! ეგ იგივეა, თევზი რომ წყალში გადააგდო!

– ჯერ თოკი ჩავუგდოთ!

– თოკით ვერ ამოვლენ: ერთი – ბებერია, მეორე – ვერ მოეჭიდება: თითები არ აქვს.

– კიბე, კიბეა საჭირო! იქიდან უკიბოდ ვერ ამოხვალ.

– სად იშოვი იმხელა კიბეს!

– ჯერ გათენდეს და მერე რამეს მოვიფიქრებთ...

როცა ხაროს თავზე ოდნავ განათდა, ისევ თოკმა გვიშველა – ჩამოაგდეს, მერე – ფერად-ფერადი ბუშტები მიაბეს თოკის ზედა ბოლოს: ათასი, – სად იშოვნეს ამდენი? – ათი ათასი!

თოკის ქვედა ბოლო მოვაბი ვირუკასა; მეც მინდოდა წელზე შემომება, მაგრამ თოკის სიგრძე არ იყო საკმარისი... რაღა ვქნა? არადა, ვირუკას უკვე მაღლა ექაჩებიან!

– შამაჯექ, ბიჯო, ჩქარა! – იყვირა სოლომონ ბრძენმა.

ვირუკას ზურგზე აფოფხება ძლივს მოვასწარი, რომ ზევით-ზევით წავედით, წავედით...

და ხაროდან ამოვფრინდით!

ვაშა!..

უცებ – გახარებულმა სოლომონ ბრძენმა დასჭექა!..

ისე მძლავრად დაიყროყი-ყრიყი-ყროყინა, კინაღამ მისი ზურგიდან გადმოვარდი!

ახალი, ნათელი დღე გვესტუმრა და თავისუფლებით დაგვასაჩუქრა – მივფრინავთ, მივფრინავთ!

ქვევით რჩება ნაირფერი, აჟრიამებული ბრბო, მას ენაცვლება სახლები, ბაღები, მერე მდინარეს აც მშვიდობით გადავუფრინეთ...

კარი IX.
მივფრინავთ, მივფრინავთ!..
პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ ასპარეზზე.
ჩემს მეგობართა წიგნებზე მუშაობა

– საით მივფრინავთ? – კითხულობს ყროყინა.

– სოლომონ ბრძენის მეტი ამას არავინ იკითხავდა! სიმაღლის შიში ხომ არ გაქვს?

– რა ვიცი, აბა, მე ხომ ჰაერში ატაცებული პირველადა ვარ! რა ვი, ხაროს სიბნელესა და სიმყრალეში ჯდომას ნამდვილად სჯობს! შენ რას იტყვი?

– უეჭველია, უკეთა ვართ ახლა და შემდგომ, იმედი მაქვს, კიდევ უფრო უკეთეს ადგილას მოვხვდებით...

– მაინც, მაინც, სად მივდივართ? – არ მეშვება სოლომონ ბრძენი.

– მე რა ვიცი, პაპაჩემის მამასთან! ახლა მთავარია, რაც შეიძლება სწრაფად და შორს მოვცილდეთ ამ დალოცვილ ქვეყანას!

– შენ, ბატონო ჩემო, არაფრისა გჯერა, ცრურწმენების წინააღმდეგი ვარო და აგე – ხომ აგიხდა სიზმარი! ხომ გავფრინდით!

– არ თქვა ახლა, მიწისქვეშეთშიც მოგვიწევს ჩასვლაო... ვიყავით უკვე, არ გვეყოფა?

– შეგეშინდა?

– რაღა დროს ჩემი შიშია...

– არც დახურულ სივრცეს უფრთხი?

– კლაუსტროფობია ნამდვილად არ მჭირს და მიწისქვეშეთში სხვა დროსაც რამდენჯერმე ვარ ნამყოფი – მეტროპოლიტენით მგზავრობას არ ვგულისხმობ... პირველად – სტუდენტობისას, ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ. მაშინ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა მიმდინარეობდა და პრაქტიკაზე მყოფინი მიწის ქვეშ ფეხით გაგვატარეს მშენებარე ტრასა – "სადგურის მოედანზე" ჩავძვერით და ახლანდელი "ავლაბრის" სადგურზე ამოვძვერით. წარმოიდგინე, რამხელა გზა გავიარეთ, თანაც – საშინელი ტალახი იყო, ნახევრად სიბნელე... მზის სინათლეზე რომ გამოვედით, მეგონა, მეორედ დავიბადე-მეთქი! გვირაბში მეორედაც სტუდენტობისას მოვხვდი: ჩრდილო კავკასიაში, ბალყარეთში ვიყავი სადიპლომო პრაქტიკაზე ქალაქ ტირნიაუზში – იქ ვოლფრამ-მოლიბდენის საბადო დაგვათვალიერებინეს... გვირაბიდან გარეთ რომ გამოვედით, სიცივისგან მოვიბუზეთ, თუმცა ივლისი იყო – ეს საბადო ძალიან მაღლაა მთებში განლაგებული. მაღაროელთა დაბაში ვცხოვრობდი და იქ ზაფხულშიც სახლებში დღედაღამ ბინების გათბობა იყო ჩართული...

– გულმავიწყობა გჭირს, ამის შესახებ ხომ ადრეც მიამბე, ახალს რას მეტყვი?

– ახლა ჩვენ რომ კიდევ უფრო მაღლა ავფრენილიყავით, ალბათ სიცივისგან გავითოშებოდით!

– მერე, რა გვეშველებოდა?

– რამდენიმე ბუშტს გავხეთქავდით და ქვევით დავეშვებოდით...

– ზედმეტის გახეთქვა რომ მოგვიდეს?

– მაშინ – დროზე ადრე წინაპრებთან შესახვედრად უნდა იყო გამზადებული... თუმცა, ყოველი სულიერი ხომ დიდი თუ პატარა გაბერილი ბუშტია! დაბადებისას, სიცოცხლის სათავეში, ბოლომდე ხარ გაბერილი და ნელ-ნელა, დროის სრბოლას აყოლილი, შენი სიცოცხლის ბუშტი იჩუტება და იჩუტება, სანამ ბოლომდე არ მომჩვარდება და, ბოლოს, სულსაც განუტევებს... ეს ნელთბილად დაჩუტვა, შესაძლოა, უცებ დაჩქარდეს, თუკი ავადობა შეგეყარა ან რაიმე ხიფათი შეგემთხვა, როგორც ჩვენ... ასეა, ჩემო სოლომონ ბრძენო, ჩვენ ცოტა ხნის წინათ კი დავიხსენით თავი, მაგრამ ჩვენი სიცოცხლის ბუშტის სიმრთელისთვის ახლა კიდევ უფრო დიდი საფრთხე არსებობს – თუ ეს ბუშტები რაიმე მიზეზით, მაგალითად, შავი ყორნების შემოსევის გამო, თითქმის ერთდროულად ყველანი დასკდნენ, მიწას დავენარცხებით და ჩვენი სიცოცხლის ბუშტიც უცებ გასკდება!..

– რა საშინელებების მოყოლა მოგინდა! – შეშფოთებულმა, ისე ხმამაღლა დაიყროყინა დიდყურამ, რომ შემეშინდა – ემანდ ჩვენმა მხსნელმა ბუშტებმა უცებ მოვარდნილ მძლავრ ბგერებს რომ ვერ გაუძლონ, სად მიდიხარ მაშინ?

– სოლომონ ბრძენო, რა იქნებოდა, რომ ღმერთს შენთვის მაგ მქუხარე ხმის მაგივრად ფრთები ებოძებინა? მაშინ არ დაგჭირდებოდა ბუშტების მეოხებით ორმოდან თავის დაღწევა, ამასთანავე, შევძლებდით, ჩვენს გემოზე შეგვერჩია ფრენის მიმართულება და სიმაღლე! ახლა კი ქარის ქროლ-

ვას ვართ მინდობილნი: ჩვენი ხაროში უძრავი ტყვეობა შეიცვალა ჰაერში ვითომ თავისუფალი ნავარდით და მაინც – ტყვეობით... თანაც – ხიფათი ბევრად გაიზარდა!

– მაშ, ტყუილად გავნთავისუფლდით?

– არა და არა! თავის დახსნის შესაძლებლობა გამოგვიჩნდა და მისი გამოუყენებლობა დიდი სიშტერე იქნებოდა. შეხედე: უჰ, რა მშვენიერი დღეა!

უღრუბლო, ლურჯ ზეცაში მზე ცეცხლოვან თვალს მხიარულად აბრიალებს; ვხედავ – ქვევითაც, მიწაზე, რასაც კი ჩემი მზერა გასწვდება, ყველაფერი ლაღობს!

– დღე – პოეზიაა! მეუფება სინათლისა! საითაც გაიხედავ – თვალი ხარობს, გინდაც ყოვლად ჩვეულებრივი საგანი იყოს – ძველი სახლის დახავსებული სახურავი ან ბებერი კაცი მიაფრატუნებდეს ფეხებს...

– ბეხრეკი რა კარგი სანახავია, ჰა? განსაკუთრებთ, შენნაირი – სულ მჟავე ხასიათზე ხარ... – ხითხითებს სოლომონ ბრძენი, მაგრამ ჩემს განწყობის გემს მისი დაცინვის ქარიშხალი კურსს ვერ აცვლევინებს და განვაგრძობ:

– ღამეც – პოეზიაა! ოღონდ სხვანაირი! სხვა განწყობისა და ტონალობისა! მეუფება წყვდიადისა!

უცებ თავზევით რაღაცამ ცა შავად გახაზა – ყვავი!

თუ ყორანია?

შავ-ნაცრისფერია – ყვავია!

ზანტად იქნევს ფრთებს, ნათელ ცაში მუქ ლაქად იდღაბნება...

მოგვყვება ყვავი – "ყვა-ყვა!.. ყვა-ყვა!.." – რას აგვეკიდა ნეტავ ყვანჩალა?

– ჩვენგან რა გინდა, ბიჭო, რას დაგვჩხავი? – ავუქნიე ხელი.

– ღამის საგალობელი რომ დაიწყე, ეგეც გამოგვეცხადა! რა იცი, რომ ბიჭია?

– თავხედია და იმიტომ!

– მერე, რა გინდა, რას ერჩი, რას გიშლის? – მსაყვედურობს ყროყინა. – შიში და დარდი გვიჭამს გულს, ცოტას მაინც გავერთობით!

– გასართობად ცირკში უნდა წახვიდე!

– თუკი შეგვიამხანაგდება, რით იქნება ურიგო? იქნებ ორასი ან მეტი წლისაა, ათასი რამ უნახავს, ათას ამბავს მოგვიყვება...

– ყვანჩალა და ყროყინა – შეხმატკბილებულად იგალობებთ!

– რატომაც არა? რა გვაქვს გასაყოფი?

– აბა რა, მშვენივრად შეეწყობით ერთმანეთს! ერთი ნაცრისფერი, მეორეც – ნაცრისფერი... უკეთესს რას ნახავ!.. ერთი – ყროყინებს, მეორე – ჩხავის, უკეთესს რას მოისმენ! ნეტავ რა უნდა ჩვენგან, ამქვეყნად ცხოვრება მოსწყინდა?

– ნამდვილად უცნაურმა სანახაობამ მიიზიდა: ორასი წელი იცხოვრა და ვირზე უკუღმა მჯდომი ბებერი ჯერ არ უნახავს!

– შენისთანა სოლომონ ბრძენიც ალბათ პირველად იხილა! თანაც – ჰაერში კოხტად და ლამაზად გამოკიდებული! სოლომონ ბრძენო, შენ შემთხვევით იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის სერია "A"-ს ერთ-ერთ გუნდში ხომ არ თამაშობ?

– ისევ დამცინი?

– არ იცი, რომ ქალაქ ვერონას საფეხბურთო კლუბ "კიევოს" ფეხბურთელებს "მფრინავ ვირებს" ეძახიან?

– რას არ მოიგონებ, სოსო ბატონო! რომელიმე გუნდის ფეხბურთელებს "მჩხავანა ყვავების" მეტსახელი ხომ არ დაანათლეს?

– ეგ კი არ ვიცი... ახლა ქალთა გუნდებიც მომრავლდა და იქნებ ერთ-ერთს ასეც შეარქვეს. ეს ჩვენი ყვანჩალა ძმობილი რამდენიმე საუკუნე კი დაფრინავს და ჩხავის, მაგრამ რა აზრი აქვს მის ცხოვრებას?

– მაგ შენი უკუღმა ლოგიკით სიცოცხლეს საერთოდ არ აქვს აზრი! თუკი მაინც მოკვდები და ყველაფერი დავიწყებას მიეცემა...

– "უკან მომჩხავის ავბედითი შავი ყორანი"...

– გწამს ბედისწერისა? – მეკითხება ყროყინა.

– ბედისწერა – ცრურწმენაა!

– იქნებ ეს ყვავი გზის მზვერავად გამოვიყენოთ? იქნებ აგვიხსნას, საით მივფრინავთ.

– შენ ორნიტომანტი ხომ არ გგონივარ?

– ეგ რაღა ჯანდაბაა?

– ორნიტომანტია გახლავს ფრინველთა ფრენის მეცნაური ანუ ფრენის მიხედვით წინასწარმეტყველება. საზოგადოდ, ყოველგვარი ცრურწმენის წინააღმდეგი ვარ და, კერძოდ, ეს შავ-ნაცრისფერი გზის გამკვალავი მიზანთან ვერ მიგვიყვანს!

— რა მიზანი გაქვს, აქამდე ვერ გამაგებინე და შენთვის სულერთი არ არის, სადაც მოვხვდებით?..

მთელი დღე ვიფრინეთ, დაღამდა კიდეც...

— სოსო ბატონო, მოგეხსენება, ამგვარი ჩვენი მდგომარეობა, — ჰაერში ჩამოკიდებულების ჩვენი ნება-სურვილის გარეშე გადაადგილება, — დიდ განსაცდელთან არის დაკავშირებული, ჰოდა, წიგნის ჭია ხარ და იქნებ მისნობით, — ღრუბელთა ჭვრეტით და ქართა ქროლვის ჰარმონიაზე დაკვირვებით, — დავძლიოთ საჰაერო მოგზაურობის ხიფათები?!.

— სოლომონ ბრძენო, რა სისულელეს ლაპარაკობ, რომელი მკითხავი და ბედის გამომცნობი მე მნახე! თანაც, ამ სიბნელეში! მთვარე მაინც გამოჩნდებოდეს...

— შეეხმიანე, იქნებ დაგვდოს პატივი, ცოტა ხნით მაინც დაგვანახოს თავისი მშვენერი სახე და რაღაც გვირჩიოს!

— მთვარევ, რატომ იმალები? გამოჩნდი, კაცო, დავილაპარაკოთ! არაფერს დაგიშავებ, მხოლოდ მოგეფერები!..

— რა იცი, რომ მთვარე კაცია? მე უფრო ქალი მგონია... სხვა საქმე მაინც არაფერი გვაქვს, დავიძინოთ და ძილის წინ საძილე ზღაპარი მიამბე... ხომ იბრიქები, ორმოცდაათამდე ზღაპარი მაქვს შეთხზულიო.

— ზღაპრისთვის მცხელა? ან რა დამაძინებს, მშია და მწყურია!

როცა ინათა, მხოლოდ მაშინ ვიხილეთ მთვარის ვერცხლისფერი დისკო; ამოსულმა მზემ მალევე გააფერმკრთალა მისი ნათელი.

მივფრინავთ, მივფრინავთ მე და ვირუკა...

სიცხისგან ენაგადმოგდებული მზე ძლივს მიიზლაზვნება გამოხუნებულ ცაზე.

რა ლამაზია ზევიდან დანახული დედამიწა! ტალახიანი ორღობე, დანგრევამდე მისული სახლი, გავერანებული ბაღი — ყველაფერი მაინც მიმზიდველი მოჩანს.

მიტოვებული სოფლები, სადაც სახლების საკვამურებიდან ბოლი არ ამოდის, ძაღლები არ ჩანან და არც მამლების ყივილი ისმის...

აგერ მისდგომიან ტყეს და ჩეხავენ...

ორნი მიცურავენ მდინარეზე რეზინის გასაბერი ნავით და მათ ირგვლივ დროდადრო თეთრი მუცლებით წყლის ზედაპირზე ამოტივტივდებიან თევზები... ბრაკონიერები წყალში დენს უშვებენ!

— ეჰ, არაფერი გვაქვს ისეთი... ქვების სროლა მაინც შეგვეძლოს ამ არაკაცებისთვის! — წამოვიძახე.

— ფიშტო რომ წამოგეღო, რეზინის ნავს გაუხვრეტდი და წყლის აბაზანას გამოუწერდი გახურებული ტვინების გასაგრილებლად... სამწუხაროდ, არ ვართ ზუსტად მათ ზევით, რომ ქვევით ჩონჩორიკის წვიმით მაინც გავუმასპინძლდე... რა ვქნათ?

— აბა, ერთი გემრიელად დაიყროყინე! იქნებ ამით მაინც შეაშინო, იფიქრონ — ზეციდან ღვთის რისხვა დაატყდათ თავს!

ვიფრინეთ, ვიფრინეთ, ცხრა მთას და ცხრა მდინარეს გადავუფრინეთ — კიდევ ბევრი რამ ვნახეთ!

— სოლომონ ბრძენო, ააღირე თავი და ჩვენს მხსნელ ფერად ბუშტებს შეხედე, გაერთე მათი თამაშით — ისინი რაღაცას გვეუბნებიან! იმედი გვესახება, სიმხნევით ვივსებით!

— მხსნელი კი არა... — ბურტყუნებს დიდყურა. — რა თავში ვიხლი ამგვარ თავისუფლებასა, ჰა? მოველი, ყოველ წუთს გასკდომის ტკაცან-ტკაცანს გავიგონებ და ჩვენი თარაზული, ნელი ფრენა უცებ შეიცვლება შვეული და ჩქარი ფრენით — მიწისკენ და ბრახ!.. ეჰ, რა ოინი მიყო ჩემმა იღბალმა, რაღა შენისთანა შერეკილს გადავეყარე!

— შენ რა იცი, რა არის ჭეშმარიტი თავისუფლება? ახლა თავისუფალი ფრენის რეჟიმში ვიმყოფებით და ეს არ გაკმაყოფლებს, აბა, რა გინდა? ერთ რამეს გკითხავ... ძველბერძნულ მითოლოგიაში არსებობდა პეგასი, ფრთოსანი რაში — პოეზიის სიმბოლო... შენ რომ გქონდეს ფრთები, საით გაფრინდებოდი? ალბათ შენს საყვარელ თავლას მიაშურებდი ბოდბეში... შენ ყოველთვის კმაყოფილი იყავი შენი მდგომარეობით, — გარემოთი, რომელშიც ცხოვრობდი, იმითაც, როგორ გეპყრობოდნენ... და რაღა ახლა ამიჯანყდი? სხვებზე უარესად გეპყრობი? ამას ვერ იტყვი, ერთხელაც არ უგემნია შენს ფერდებს მათრახი ან სახრე... არც მაქვს ისინი! და თუ ზოგჯერ შიმშილობ, მეც ხომ იგივე მაწუხებს ხოლმე? თუ ბნელ ხაროში გამოგამწყვდიეს, განა მეც შენს დღეში არ ვიყავი? იცი, ჩემო ძმავ და მეგობარო, შენ მოგზაურობაში წამოსვლით ბევრი რამ დაკარგე: თბილი ბაგა, დღეში ორჯერ, დილა-საღამოს, ძღომისად ჭამა... მაგრამ მე — ბევრად მეტი: კინო და თეატრი, ტელევიზორში პოლიტიკოსების ღიმილის მომგვრელი კინკლაობა, ჭორიკანა გაზეთები, ჩემი ასაკის ადამიანისთვის დამღლელი წვეულებები... გული არაფერზე მწყდება და შენ რაღა მოგდის? საზოგადოდ, ვირი იმთავითვე მოთმინებითა და გამძლეობითაა ცნობილი, ამით ფასობს და თუ შენ ვირობაზე უარს ამბობ, მითხარი!

— ზოგი ადამიანი ვირზე უკეთესი არაფრით არის!

— შენ იქნებ გაკმაყოფილებს თბილი თავლა და ბლომად ქერი ბაგაში, მე კი მომინდა, მოვწყვეტილიყავი მთვლემარე ყოველდღიურობის ერთფეროვან მდინარებას... ადამიანები კი არა, ლამის რობოტები, დაპროგრამებული მექანიზმები გავხდეთ!.. მომინდა, თავი ვიგრძნო თავისუფალ ადამიანად, შეუზღუდავად სულელური პირობითობებისგან... სამოგზაუროდ სწორედ ამიტომ წამოვედი!

— ჰო, რა თქმა უნდა, თავისუფლების, ღირსების, სიამაყისა და სხვა მაღალი მატერიების შესახებ ადვილია ლაპარაკი, როცა სხვის ზურგზე გემრიელად მოკალათდები!

— აბა, როგორ გინდა, ჩემო ძმავ და მეგობარო, შენ ხომ არ შემაჯდები ზურგზე, ჩემზე ხუთჯერ მეტს მაინც იწონი!

— მით უმეტეს! შენზე ბევრად მეტი წონა თუ მაქვს, შენზე ნაკლები უფლებები რატომ მაქვს? ხუთჯერ ნაკლები კი არა, საერთოდ ჩემს რაიმე უმცირეს უფლებებზეც კი ზედმეტია ლაპარაკი, სულ შენს დაკრულზე უნდა ვიცეკვო! სად არის აქ სამართლიანობა?

— რას იზამ, ძმაო, აბსოლუტური სამართლიანობა ამქვეყნად არ არსებობს...

— რომელ სამართლიანობაზე ლაპარაკობ, როცა, შენი უცნაური აკვიატების გამო, ხათაბალაში გამხვიე, ჩემთვის სრულიად შეუფერებელ გარემოში აღმოვჩნდი? ბიჯო, ვირს ჰაერში რა უნდა, არ იცი, რომ ღმერთმა ჩემთვის ფრთები არ გაიმეტა? ცეკვა არ მეხერხება, თორემ მაცეკვებდი კიდეც!

— სოლომონ ბრძენო, ხომ აგიხსენი, ბუნების კანონს ვერ გაექცევი-მეთქი! ალბათ რამდენიმე ათასწლეულია, რაც ვირი მოაშინაურა ადამიანმა და ახლა შენ გინდა, მე ამიჯანყდე?

— ჰო, როგორ არა, მე შენი ძმა და მეგობარი ვარ, მაგრამ ეს ხელს არ გიშლის, მშვენივრად წამოსკუპდე ჩემს ზურგზე და გამომიყენო, როგორც გინდა! მე შენთვის მხოლოდ საშუალება ვარ შენი ახირებული სურვილების დასაკმაყოფილებლად — შენი აზრით, თავისუფლებას, მოგზაურობის პოეზიას უნდა ვეზიაროთ... ასეთივე შედეგით დასრულდებოდა შენი მოგზაურობა, ჩემს მაგივრად რომ გამოგეყენებინა ველოსიპედი, მოტოციკლი, ავტომანქანა... უკეთესიც იქნებოდა — უტყვთაგან საყვედურებს ვეღარ მოისმენდი. მე კი ჩემი საკუთარი შეხედულებები გამაჩნია და გულახდილად გეტყვი: კაცი დაბერდი და, როგორც ვატყობ, ილუზიებს ვერაფრით მოწყდი... რომელ თავისუფლებაზე ლაპარაკობ? თუ ვიღაცას ჩაგრავ, როგორ იქნები თვითონ თავისუფალი? სანამ ახლანდელ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, მაშინაც ღრუბლებში დაფრინავდი! ბატონო ჩემო, მთელი ცხოვრება წყნარად, უშფოთველად გაგიტარებია, არასდროს ჩაბმულხარ უგუნურთა ჩხუბში, პოლიტიკისგანაც შორს იყავი, ღმერთმა დაგიფარა და არც კარიერიზმის ავანტიურისტული ვნებები გახასიათებდა... ერთი სიტყვით, დალაგებული ჭკუის პატრონს ჰგავდი, ყოველმხრივ მოწესრიგებულ-დავარცხნილ-დაუთოვებულს და ამ სიბერის ჟამს რა ბზიკმა გიკბინა? ვერ დაეტიე შინ — შენს ოჯახთან, მეგობარ-ამხანაგებთან, შენს წიგნებთან, მუსიკასთან, მხატვრობასთან?

— რას ამბობ! შინ ყოფნა მართლაც კარგია, მაგრამ განა ბევრად უკეთესი არ არის ბუშტებით ჰაერში ნავარდი?!. ერთია მხოლოდ ცუდი — ქარს ხარ მინდობილი, საით წახვალ, მხოლოდ ქარების ღმერთმა უწყის!

— აი, ფრთები რომ გვქონდეს...

— უყურე ერთი ამ ჩვენს სოლომონ ბრძენსა — ფრთებიც რომ მოინდომა!

— რატომაც არა!..

— თუ არსებობს ქარების მბრძანებელი ღმერთი, შესთხოვე, ჩემო სოლომონ ბრძენო, დაუბეროს და იქით წარმართოს ჩვენი "ხომალდის" ეკიპაჟი, საითაც გაგიხარდება!

— მერე, რომ არ ვიცი, ჩვენ სადა ვართ და საითაა ქიზიყი?

— ეგრეც ვიცოდი, შენი ხრიოკი ქიზიყი ედემს გირჩევნია.

— ქიზიყია ხრიოკი? და შენი თავი ნასწავლი გგონია?

— ჰო, კარგი, გეთანხმები, ცოტა გადავაჭარბე. ქიზიყი მეც მომწონს — მიყვარს კიდეც მისი კეთილშობილად თავშეკავებული პეიზაჟები — რუხი, ოქროსფერი, ნაცრისფერი ფერები... ხალხიც როგორ შეესაბამება ხასიათით: დინჯია და ბრძოლაში შეუპოვარი, პირდაპირი, ალალი, სამართლიანი... სწორედ ამ მიწამ შვა ნიკო ფიროსმანაშვილის გენია! რაც შეეხება ქართა მბრძანებელს, მან ალბათ მშვენივრად იცის ქიზიყის მდებარეობა — უყვარს ჯეჯილის ზღვის ნიავით ათამაშება-აღაღანება — მზეკაბანი!

— შემდეგმა ღამემაც რომ ასეთ მდგომარეობაში, ცაში გამოკიდებულებს მოგვისწროს?

— რის გეშინია? აქ ციური მგლები არ არიან! რამდენადაც ვიცი, მგლის თანავარსკვლავედი კი არსებობს, მაგრამ სამხრეთ ნახევარსფეროს ცის ბინადარია... რა დროს მაგაზე ფიქრია? შეხედე, რა ლამაზად, დიდებულად ჩადის მზე!

— მიმწუხრის ჟამს ფიქრებიც ნაღვლიანი გვეწვევა...

— შინ მოგინდა, ნახევრადბნელ გომურში?

— შენ ყოველთვის უკან იხედები, ტვინდასეტყვილო, და მე მსაყვედურობ, რომ მზის ჩასვლით ტკბობას მირჩევნია, ამ დროს უკვე გომურში ვიყო და, თოფრაში თავჩაყოფილმა, შვრია ვახრამუნო?

— ვირს რომ ფრთები მისცა, მაინც ვერ იქცევა პეგასად! ვერ გაფრინდები, ვერ აიჭრები ცისფერი ოცნების სიმაღლეში!

— ფრთები რომ გვქონდეს, შენ სად წახვიდოდი? საით გაფრინდებოდი, რომელ მხარეს ეწვეოდი?

— ეჰ, ჩემო სოლომონ ბრძენო, უამრავი ქვეყანა, ქალაქი, ტყე თუ მდინარე, ჩანჩქერი თუ მწვერვალი, კუნძული თუ თუნდაც კლდე მინდა, ვიხილო!

— ფრთები კარგია, მაგრამ... ფრთები რად გვინდა, აგერ რაკეტები უფრთებდაც მშვენივრად დაჰფრენენ!

— მერე, ჩვენ რა?

— ჩვენცა გვაქვს ამგვარი რეაქტიული ძრავა, მაშა!

— არ გამაგიჟო!

— მოიცა, დრო მოვა და მაგაშიც დაგარწმუნებ! თუ გადავრჩით და შუა ზღვაში არ ჩავვარდით ან სალ კლდეს მივენარცხეთ! რა ფერისაა შენი პარაშუტი?

— ხუმრობის ხასიათზე დადექი? ვარდისფერი იყოს!

— ვარდისფერ ოცნებებში და ზმანებებში დაფრინავ, რა გიჭირს! ბიჯო, გზაში ხიფათისგან თავის დასაცავად კისერზე რაიმე ავგაროზი მაინც დაგეკიდა! დაგამძიმებდა თუ საჭმელ-სასმელს მოგთხოვდა, შე კაცო! ავი სულსა და ყაჩაღ-თულებთან შეხვედრას მაინც აგვაცილებდა!

— ცრურწმენის მონად ვერ ვიქცევი.

— "ციური ქვის", საფირონის ავგაროზი დაგვიცავდა ელვისგან! — აგრძელებს სოლომონ ბრძენი. — მუსლიმური სალოცავების გუმბათები ტყულად კი არ არის ცისფერი ჭიქურით მოპირკეთებული! საფირონი — ყველაზე კეთილშობილი ქვა — დიდებულების შესაფერია, ამაგრებს გულს, დაგვიცავს გათვალვისგან, გამარჯვების ქვაა! ამდენი კი უნდა იცოდე!

— ჩემო დიდყურავ, თუ ასე მოგწონს ძვირფასი ქვები, გეთქვა და სამკაულებით მოგრთავდი! უფრო იმპოზანტური იერი გექნებოდა, ყოველი შემხვედრიც მეტი პატივისცემით განიმსჭვალებოდა შენდამი...

— ჩემს მიმართ არ ვიცი და შენს მიმართ როგორი შეხედულება გაუჩნდებათ? ძვირფასად მორთვა-მოკაზმვა რას გვიშველის — შეგხედავენ თუ არა ასე ამხედრებულს, მაშინვე წამოიძახებენ: "ერიჰა, ამას თავში გვარიანად უქრის!" — რომელ პატივისცემასა და კეთილ განწყობაზე შეიძლება საუბარი? ეს ქვეყანა ცირკი კი არ არის!

— ცირკია, აბა რა! — შევეპასუხე მე, მაგრამ კამათის გაგრძელება არ დაგვცალდა — სოლომონ ბრძენმა ყროყინი მორთო.

— ბიჭო, რა ხანია, უკვე ხაროსგან თავდახსნილები, სრულიად თავისუფლები ვართ, რაღა გაყვირებს?

— ვაჰ, შიმშილი არ მასვენებს, როგორ არ ვიყვირო?

— თუ ჰაერში მოგზაურობა მოგწყინდა?

— არა, ოღონდ ძალიან მომშივდა! ამ სიმაღლიდან ყველაფერი ლამაზად ჩანს, მაგრამ ცარიელი ყურებით ვერ გაძღები! ბიჯო, ჟიულ ვერნის რომანის "ხუთი კვირა საჰაერო ბურთზე" გმირებს ვეჯიბრებით?

— ხუთი კი არა, ერთი კვირაც კი ჰაერში გამოკიდებულებს რა გაგვაძლებინებს, შიმშილით სული გაგვძვრება, თუ მანამდე წყურვილით არ დავიხრჩვით... მაგრამ ნურაფრის გვეშინია: ქარიც ჩვენი მეგობარია, წვიმაც... ვარსკვლავებიც, ბალახებიც, ხეებიც, ჩიტებიც, მზეცა და მთვარეც!

— შენი არ ვიცი, ალბათ ილუზიებითა და ლამაზი ოცნებებით გახვალ იოლას, მე კი, სანამ ბალახამდე მივაღწევ, ალბათ სული გამძვრება!

— გინდა, ქვევით დავეშვათ? შენ დიდი თვალები გაქვს, შეარჩიე დასაშვებად მოხერხებული ადგილი!

ბუშტებს თითო-თითოდ ვანთავისუფლებ... ყოველი ამგვარი ბუშტი კიდევ უფრო მაღლა აფრინდება და მზერას ვაყოლებ, სანამ თვალს არ მიეფარება; მე და სოლომონ ბრძენი კი ნელ-ნელა ქვევით-ქვევით ვეშვებით...

— გეყო, გეყო! — ყვირის სოლომონ ბრძენი. — ვერა ხედავ, ზღვაა ჩვენს ქვევითა!

— გესმის?.. ციური მუსიკა!

— ჰალუცინაციები დაგეწყო? — დამცინავად ხვიხვინებს სოლომონ ბრძენი. — იქნებ ისიც მითხრა, სიმფონიურ მუსიკა გესმის თუ საესტრადო, იქნებ ჯაზი?

— დიდყურა კი ბრძანდები, მაგრამ შენ ყროყინის მეტი მუსიკა სხვა არაფერი გგონია! დაბადებით ყრუსთან მუსიკის შესახებ საუბარი ისეთივე უნაყოფოა, უდაბნოში რომ ხორბალი დათესო, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ, რომ მცირედი რამ მაინც არ მოგახსენო... იცოდე: მთლიანად სამყაროში განფენილია მუსიკა! ცნობილია, რომ მუსიკა თავისი ფიზიკური კანონზომიერებებით დაკავშირებულია მათემატიკასთანაც; ძველად ფილოსოფოსები ფიქრობდნენ, რომ ცის სფეროების მოძრაობა მუსიკის კანონებითაა განპირობებული. კომპოზიტორთა მიერ მრავლადაა შეთხზული ფერადოვანი

“სფეროთა მუსიკა”... იცი, სამუსიკო კანონზომიერებების მათემატიკური დასაბუთებისადმი მიძღვნილი რამდენი ტრაქტატია დაწერილი? თუმცა, მე მგონია, რომ მუსიკა მაინც უფრო გრძნობათა ასახვის, სულიერ განცდათა გადმოღვრის სფეროა...

– მე ყოველნაირ ბალახს მივირთმევ, თუმცა, ცხადია, ყველა ერთნაირად არ მიზიდავს. შენ მუსიკა გიყვარს, მაგრამ ყველაფერი ხომ ერთნაირად არ მოგწონს?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა...

– რომელ კომპოზიტორებს გამოვარჩევ, განსაკუთრებით რომელი მუსიკალური ნაწარმოებები გიყვარს?

– უნდა გითხრა, რომ, შენ თუ ყოველგვარ ბალახეულს მიირთმევ, მეც, შენს მსგავსად, “ყოვლისმჭამელი” გახლავარ! ვეთაყვანები ხალხურ მუსიკას, უპირველესად, რასაკვირველია, ქართულს. ყველა კუთხის სიმღერები მიყვარს, განსაკუთრებით მაინც ქართლ-კახურს ვეტრფი, მათი მოსმენისას ტანში სულ ჟრუანტელი მივლის ხოლმე... “შაშვი-კაკაბი”, “შენ ბიჭო ანაგურელო”, “ზამთარია”, “ჩაკრულო”, “წინწყარო”, “ტურფანი სხედან ჩარდახსა”... უცხოეთის ხალხთა მუსიკიდან გამოვარჩევ ესპანურ, უნგრულ და, განსაკუთრებით, რუმინულ ხალხურ მუსიკას. ადრეც გითხარი: ერთ დროს, სანამ თანამედროვე ჩაწერის ახალი ხერხები შემოვიდოდა, ვაგროვებდი ხანგრძლივი დაკვრის გრამოფონის ფირფიტებს; მათ შორის იყო სიმფონიური, კამერული, საესტრადო მუსიკის ჩანაწერები, ჯაზი, როკ და პოპ-მუსიკა, საბავშვო, ოპერეტები, ოპერები – ორასამდე ოპერის სრული ჩანაწერი მაქვს ორიგინალის ენაზე, ზოგიერთი ოპერისა – “რიგოლეტო”, “აიდა”, “ილ ტროვატორე”, “სევილიელი დალაქი” და სხვების – ორი-სამი ჩანაწერიც, სხვადასხვა შემსრულებელთა მონაწილეობით; მაქვს ვენის კლასიკოსთა, რომანტიკოსთა, შემდგომი თაობის კომპოზიტორთა თითქმის ყველა სიმფონიის, მრავალი კამერული ჟანრის ნაწარმოების ჩანაწერი. ჩემი საყვარელი კომპოზიტორები საყოველთაოდ აღიარებული გენიოსებია; უპირველესად, ჩემი ღმერთია დიდი ლუდვიგ ფან ბეთჰოფენი! შემდეგ, რა თქმა უნდა, ვივალდი, ბახი, მოცარტი, შუბერტი, შუმანი, ბიზე, სენ-სანსი, ლისტი, შოპენი, ვერდი, პუჩინი, ჩაიკოვსკი, რიმსკი-კორსაკოვი, რახმანინოვი... და მრავალი, მრავალი სხვა; ფალიაშვილი და დოლიძე – თავისთავად იგულისხმება. რაც შეეხება ცალკეულ ნაწარმოებებს, მათი ჩამოთვლა რომ დავიწყო, რამდენიმე გვერდიც გამოვა, მხოლოდ მათ აღვნიშნავ, რომლებიც სახელდახელოდ გამახსენდება... ვგიჟდები, ისე მომწონს ფრანც შუბერტის სიმღერები, საფორტეპიანო კვინტეტი “კალმახი”, სიმებიანი კვინტეტი “არპეჯონე”, ჟაკ ოფენბახის ბარკაროლა ოპერაში “ჰოფმანის ზღაპრები” – საოცარია, ცეცხლოვანი კანკანის ავტორს, თურმე ასეთი ნაზი, გულში ჩამწვდომი, ბრწყინვალე მელოდიის შექმნაც ხელეწიფებოდა... რობერტ შუმანის საფორტეპიანო ციკლი “კარნავალი” და საფორტეპიანო კონცერტი, ფერენც ლისტის უნგრული რაფსოდიები და საფორტეპიანო კონცერტები, ედვარდ გრიგის საფორტეპიანო კონცერტი და ”პერ გიუნტი”, ვერდის ოპერა “რიგოლეტო”, კამილ სენ-სანსის “ინტროდუქცია და რონდო-კაპრიჩოზო”, ფელიქს მენდელსონისა და პიოტრ ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტები, ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვის “შეჰერაზადა”, ჯორჯ გერშვინის “ცისფერი რაფსოდია”... ახლა გაადვილდა ჯაზის ჩანაწერების მოპოვება და თითქმის ყოველდღე ვუსმენ, განსაკუთრებით – XX საუკუნის ოციან-ოცდაათიანი წლების კლასიკური პერიოდის კორიფეებს... საოცრად მმატებს ტონუსს, მმუხტავს ენერგიით!

– მე ძალ-ღონეს ნამდვილად შემმატებდა, სადმე მდელოზე რომ დავშვებულიყავით და ქორფა ბალახს დავძგერებოდი ტუჩებით!

– უნდა გიყვარდეს მუსიკა და მას დაინახავ, უკეთ – მოისმენ, ყოველგვარ მდგომარეობაში, ყველგან და ყველაფერში: ცაში ღრუბელთა სრბოლაშიც, ამწვანებული მდელოს ბალახთა ზრდაშიც, სავსე ყანის ღაღანში ნიავის ქროლვისას... აგერ მზე რომ ბრდღვიალებს, ასხივოსნებს ირგვლივ მთა-ველს, გახარებულია, რომ ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ეალერსება – განა ის არ მღერის? თუ რესტორანში რომ გამაყრუებლად ღრიალებენ სოლისტებიც და ინსტრუმენტალისტებიც ხმის გამაძლიერებლების მეშვეობით, შენ მხოლოდ ის გგონია მუსიკა? ნუთუ ვერა გრძნობ მუსიკას ჩვენს ქვევით ზღვის სუნთქვაში?

– მე მხოლოდ იმის მეშინია, უფრო ქვევით არ დავეშვათ და უნებლიედ ბანაობა არ მოგვიწიოს შუა ზღვაში... სად წახვალ, ცურვით გააღწევ ნაპირზე თუ რა?

– ბავშვობიდან მიყვარს ზღვა! მისი მოუსვენრობა, სიდიდე და სიდიადე! მისი სიმღერა!.. საიდან არის ამდენი წყალი?!.

– რამ აგაცუნცრუკა ამ ხნის კაცი? დიდი ამბავი – ზღვა, ბევრი წყალია, მეტი ხომ არაფერი!

– აბა, რას ამბობ, დიდყურავ! ზღვა – ცოცხალი მფეთქავი გულია დედამიწისა! მარად ღელავს, შფოთავს, მღერის... ტყუილად კი არ აღაფრთოვანებდა მრავალ ადამიანს, მათ შორის – პოეტებს, მხატვრებს, მომღერლებს... ახლა გამახსენდა ცნობილი ფრანგი შანსონიე, შარლ ტრენე, ახლაც ყურში ჩამესმის მის მიერ შესრულებული სიმღერა “ზღვა”... ყოროყინავ, ადრეც მოგახსენე: ბავშვობიდანვე სულ მოგზაურობებზე ვოცნებობდი და, უპირველესად, მეზღვაურობა მიტაცებდა!

– მეზღვაურობას აპირებდი?

— ვაპირებდი რომელია! მე ხომ ბათუმში დავიბადე, მერე, რამდენიმე წელიწადს მშობლები ცხოვრობდნენ მწვანე კონცხზე და ზღვას გავყურებდი — ყოველდღე! ბებიაჩემი ზღვის პირას რომ ჩამიყვანდა, პლაჟზე, თვითონ იჯდა ქვიშაზე, მე კი კოჭში ჩამაბამდა თოკს, მეორე ბოლოს ხელში დაიჭერდა და ასე შემიშვებდა საბანაოდ წყალში... ერთხელ როგორღაც თოკი შემეხსნა და შევდგა-ფუნდი ღრმა წყალში, ჰოდა, შეშინებული ბებიის კივილმა მთელი სანაპირო შეძრა. მერე, ნაპირზე გამოყვანილს, გამეტებით მომცხო საჯდომზე გამხდარი ხელისგული; თან ტიროდა და თან მეჩხუბე-ბოდა...

— ალბათ გრძნობდა, რომ მეზღვაურად ვერ ივარგებდი! ჰი-ჰი-ჰი!

— გემის გემბანზე ფეხის დადგმის სიხარული, სამწუხაროდ, მართლაც არ განმიცდია. მხოლოდ ერთხელ ვიმოგზაურე სამგზავრო კატარღით მწვანე კონცხიდან ბათუმამდე, — სულ ალბათ 10-15 კი-ლომეტრი, — ერთი საათიც კი არ მომიწია ზღვის ტალღებზე სრიალმა...

— ჰო-ჰო, უდიდესი მოგზაურობაა შენისთანა მეზღვაურისთვის!

— რას იკრიჭები, მეზღვაურობა მართლა ძალიან მინდოდა. როცა საშუალო სკოლა დავამთავრე 1955 წელს, საბუთები გავაგზავნე ოდესის უმაღლეს საზღვაოსნო სასწავლებელში, მაგრამ საბუთები არ მიიღეს... მომწერეს, თუ გნებავს, მომავალი წლისთვის დაგიშვებთ მისაღებ გამოცდებზეო.

— ვაჰ, რა მომავალი დიდი ზღვაოსანი დაღუპეს!

— თურმე, საბუთები ერთი წლით ადრე უნდა გამეგზავნა, შეამოწმებნდნენ, თუ ვიყავი სანდო ბი-ოგრაფიის პიროვნება, საზღვარგარეთ ხომ არ მყავდა ახლობელი ნათესავები, როდისმე მილიციაში ხომ არ მქონდა საქმე...

— არ გაგიმართლა!

— მეზღვაური რომ გავმხდარიყავი, ალბათ ზღვის მეხოტბე გავხდებოდი... პირველი მარინისტი მწერალი ალბათ ჰომეროსი იყო! შემდგომ მსოფლიო მწერლობაში ბლომად იყვნენ მწერლები — ზღვის მომღერლები, განსაკუთრებით, ინგლისში: რამდენიმე ათასი თუ არა, რამდენიმე ასეული მწე-რალი მაინც ჰყავთ, რომლებიც ავანტიურულ, კოლონიურ, სამოკობრეო, სათავგადასავლო და სხვა "საზღვაო" რომანებს წერდნენ; გავიხსენოთ თუნდაც დანიელ დეფო, რობერტ ლუის სტივენსონი, ჯოზეფ კონრადი, რაფაელ საბატინი... სამწუხაროდ, ქართულ მწერლობაში იშვიათია ზღვის თემა და, ვგონებ, ერთადერთი მარინისტი მწერალი გვყავს — ანდრო ლომიძე. ქართულ მხატვრობაშიც მა-რინისტი ვინ უნდა დავასახელოთ? მე მხოლოდ შესანიშნავი ლაზი თვითნასწავლი მხატვარი ხასან ჰელიმიში მახსენდება, რომლის შემოქმედებასაც მცირე წერილი მივუძღვენი. კარგი იქნება, თუკი ვინმე ხელს მოჰკიდებს მისი ცხოვრებისეული გზის აღწერას — საინტერესო რომანის თემას შეი-ცავს, რომელშიც, ბევრ სხვა რამესთან ერთად, იქნება ავანტიურაც, თავგადასავალიც და ტრაგიზ-მიც... მე კი, ვაგლახ! ნამდვილ გემზე ფეხი არასდროს დამიდგამს, მხოლოდ შორიდან, როცა მწვანე კონცხზე ვიყავი ხოლმე — სკოლაში სწავლისა და სტუდენტობის დროს მრავალი წლის განმავლო-ბაში ზაფხულობით ჩავდიოდი დეიდაჩემ ანიკოსთან — ხშირად გავრთობილვარ ბათუმის რეიდზე მდგომი ან ზღვაში მიმავალი გემების სილუეტების ჭვრეტით... აი, თევზის ჭერით დაკავებული მრა-ვალრიცხოვანი სეინერები რომ ჩანდნენ, მათ ბორტზე მყოფთა ბედიც კი მშურდა — ზღვაში იყვნენ გასულნი, მის მარილიან-იოდიან ჰაერს ისუნთქავდნენ... ზღვისადმი სიყვარული კი გამოხატული მაქვს ჩანახატში "მწვანე კონცხი". ეს ჩანახატი შედის ტრიპტიქში "სევდა მსრბოლი დროისა", რომე-ლიც დავწერე 1971 წელს, სრული სახით კი მისი გამოქვეყნება მოხერხდა მხოლოდ მეოთხედი საუ-კუნის შემდეგ — ცნობილმა პოეტმა ოთარ ჭელიძემ 1997 წელს დაბეჭდა "სალიტერატურო გაზეთში", რომელსაც ის რედაქტორობდა.

— მაინც ცასა და წყალს შორის ვართ გამოკიდებულები და სხვა რა საქმე გვაქვს, მოყევი, რო-გორ გამოაქვეყნე...

— ეს ტრიპტიქი დაწერისთანავე მივიტანე ჟურნალ "ცისკარში"; პროზის განყოფილებაში იგი მო-ეწონათ და დამპირდნენ, დავბეჭდავთო. წარმოიდგინე, როგორი გახარებული ვიქნებოდი!.. გულის ფანცქალით ველოდი ჟურნალის ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას, მაგრამ ვაგლახ! არ დამით-ვლია, მაგრამ ალბათ ერთი ოცჯერ მაინც მივედი რედაქციაში და ყოველი სტუმრობის დროს მაიმე-დებდნენ — მომავალ ნომერში უეჭველად ჩავსვამთო... როგორც იქნა, ორი წლის შემდეგ გაიღეს მოწყალება და 1973 წელს "ცისკრის" აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა მხოლოდ ერთი, მესამე ნაწი-ლი — "მეწიეთი", ისიც კარლო კობერიძის, მშვენიერი ნოველისტის, დაჟინებული მოთხოვნით, რომე-ლიც მაშინ ჟურნალის რედაქციაში პროზის განყოფილებაში მუშაობდა. როცა მან "სევდა მსრბოლი დროისა" წაიკითხა, ჩემდა გასაკვირად, მითხრა: ან ამ მოთხრობას დავბეჭდავთ ან მე რედაქციიდან წავალო!.. რა თქმა უნდა, ერთგვერდიანი ლირიკული ჩანახატის გამოქვეყნება მხოლოდ იმ მხრივ იყო მნიშვნელოვანი, რომ ნავსი გატყდა — პირველად ვიხილე ჟურნალის ფურცლებზე ჩემი მოკრძა-ლებული ნამუშევარი, შემდგომი პუბლიკაციების იმედითაც აღვივსე, მაგრამ... ძნელი დასაჯერებე-ლია და ამის შემდეგ, სულ მალე, ჩემი გვარი მოხვდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენ-ტრალური კომიტეტის დადგენილებაში, აბა!.. საოცრება მარტივად აიხსნება: 1972 წლის სექტემბერში

დახელოვნებულმა ინტრიგანმა, კარიერიზმის უკურნებელი სენით დაავადებულმა ედუარდ შევარდნაძემ მიაღწია სანუკვარ მიზანს – გახდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი! საქართველოს უგვირგვინო მეფემ მაშინვე დაიწყო მისთვის ფრიად დამახასიათებელი "სასიკეთო ცვლილებებისა" და "მჩქეფარე აღმშენებლობითი საქმიანობის" იმიტაცია ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში: უპირველესად, დაიჭირა ერთი წყება მექრთამეებისა, მომხვეჭელებისა... და – საკუთარი დამქაშებით მათი ჩანაცვლება! რამდენიმე წელიწადში ყველაფერი დამთავრდა კორუფციისა და სხვა უბედურებების ათჯერ გაზრდით. როცა სამეურნეო-ეკონომიკური საკითხები "მოაგვარა", ბატონმა შევარდნაძემ "იდეოლოგიურ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას" მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება, ხელოვნებისა და ლიტერატურისთვისაც მოიცალა და ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა კიდეც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი ბრძნული დადგენილება, მიძღვნილი, კერძოდ, შემოქმედებით კავშირებში იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებისადმი. რამდენიმე განქიქებულ მწერალთან ერთად, პატივი დამდეს და ამ დადგენილებაში ჩემი გვარიც მოხვდა... კერძოდ, ჟურნალ "ცისკრის" სარედაქციო კოლეგიას უსაყვედურეს, რომ მან გამოიჩინა ნაკლები პასუხისმგებლობა და დაბეჭდა იდეურად და მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები, მათ შორის, კერძოდ, მოხსენიებული იყო იოსებ ომაძის "მეწიეთიც"... ცხადია, ამის შემდეგ ჩემი გამოჩენა ნებისმიერი სალიტერატურო გამოცემის რედაქციაში სრულიად წარმოუდგენელი იყო – კარგა დიდი ხნით... სანამ "მეწიეთი" გამოქვეყნდებოდა, იმავე 1973 წელს კინაღამ მას დაასწრო მეორე მოთხრობამ "თუთა", რომელიც დედაჩემს მივუძღვენი – ძველი მეთუთე იყო, თუთის კალმის მყნობით გამრავლების საკითხებზე მუშაობდა და საკანდიდატო დისერტაციაც ამ თემას მიუძღვნა. თუთის ხისადმი განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება მაქვს: ჩემი ბავშვობისა და ახალგაზრდობის თითქმის ერთადერთი ხილი ის იყო... მაშინ სულ მთლად მოწყვეტილი ვიყავი "მწერლურ გარემოს" და ახლაც ასეა – გაგიკვირდება და მწერლებს, შეიძლება ითქვას, არავის ვიცნობ... ერთ-ერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს შესანიშნავი პიროვნება და ნიჭიერი მწერალი დავით ჯავახიშვილი – დიდი ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილი, რომელსაც ახლო ვიცნობდი. იგი გეოლოგი იყო, ერთ გეოლოგიურ პარტიაში გვიმუშავია, ველზეც ერთად ვყოფილვართ; ჩემი დაქორწინებისას ხელისმომკიდე იყო და შემდეგ – ჩემი უფროსი ვაჟის ნათლიაც... მაშინ ანუ სამოცდაათიან წლებში, როცა მე რამდენჯერმე ვცადე, რამე დამებეჭდა, მე მგონია, მოხდა ერთგვარი "მონოპოლიზაცია" ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნის "ბაზრისა" დიდად ცნობილი "სამოციანელების თაობის" მიერ. სამწერლო ასპარეზზე ერთდროულად გამოვიდა ნიჭიერი პროზაიკოსების, პოეტების, კრიტიკოსების მთელი წყება, რომლებიც ურთიერთ დაკავშირებულნი იყვნენ მეგობრობით, ერთად სწავლით უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, შემდგომ – სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში და გამომცემლობებში მუშაობდნენ და ერთმანეთს მხარში ედგნენ ნაწარმოებების გამოქვეყნების მხრივ... რამდენჯერ "ცისკრის" რედაქციაში ვითომ ხუმრობით ჩემთვის უთქვამთ: "შენ, ძამია, გეოლოგი ყოფილხარ, მშვენიერი პროფესია გქონია და არ ჯობს, შენს საქმეს მიხედო?"; მაგრძნობინებდნენ, რომ არ მოსწონთ, როცა მათ ვიღაც "არაპროფესიონალი", "საზრდოს" წართმევას უპირებს... "გამარჯობა-გაგიმარჯოთი" ვიცნობდი რამდენიმე მწერალს, რომლებიც ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მუშაობდნენ; მათ შორის რევაზ ინანიშვილსა და გიორგი შატბერაშვილს მცირე წერილებიც ვუძღვენი, რომლებიც შეტანილია ჩემს წიგნში "ფერადფერადი", ამიტომ იქ ნათქვამს აღარ გავიმეორებ. ბევრად მეტს მხატვრებს ვიცნობდი და მათი შემოქმედების შესახებ რამდენიმე ათეული წერილიც დავწერე. ყოველთვის ვცდილობდი, მკაფიოდ გამომეკვეთა ესა თუ ის შემოქმედი რით იყო თვითმყოფი, გამორჩეული და რამდენიმეჯერ, მე მგონი, ასე თუ ისე, ეს მოვახერხე. სამ-ოთხ მხატვართან ხანგრძლივი მეგობრობაც მაკავშირებს, დღესაც ხშირად ვხვდები ტიტე შეყილაძეს, გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილს...

– სხვაგან ნუ გაუხვიე, "თუთის" შესახებ მოყევი.

– ეს მოთხრობა 1973 წლის დასაწყისში მივიტანე გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" რედაქციაში, პროზის განყოფილებაში ჩავაბარე გურამ ფანჯიკიძეს, გამგეს. რამდენჯერმე ფუჭად მივედი: ხან გურამი არ დამხვდა, ხან მთხოვა, შემდეგ კვირაში გამოიარეო... ამგვარ გაჭიანურებას მიჩვეული ვიყავი: ერთი დიდი მოთხრობა მქონდა დაწერილი, შთაგონებული ჩემი გეოლოგიური ხეტიალით – "ქებათა ქება კახეთს", რამდენიმე წლის წინათ მიტანილი მქონდა ჟურნალ "მნათობის" რედაქციაში, პროზის განყოფილების გამგე იყო არჩილ სულაკაური. უთვალავჯერ მისვლის შემდეგ, სულაკაურმა, როგორც იქნა, წაიკითხა და მითხრა, დავბეჭდავთო... თითქმის ორ წელიწადს მატარა ასე ფუჭად: შემდეგ კვირას გამოიარე, ერთ თვეში გამოიარე... ახლა – ნომერი გადატვირთულია, ახლა – დღესასწაულსადმი მიძღვნილ ნომერს ვამზადებთ, ახლა – მავანის იუბილეა და მთელი ნომერი მას ეძღვნება, ახლა – 8 მარტია ან 7 ნოემბერი და კიდევ უთვალავი რაღაც მიზეზი აღარ დაილია... ერთხელ რედაქციის დერეფანში ვიდექი და სულაკაურს ველოდებოდი; ამ დროს ჩემთან მოვიდა ედიშერ ყიფიანი – მაღალი, ჭაღარა, თუმც არც ისეთი ხნიერი, მეტად სიმპათიური კაცი. ჩემი მოთხრობა წაუკითხავს და გულახდილად მესაუბრა, რბილად მითხრა: წესისამებრ, ჟურნალში ამ-

გვარ მასალას არ ვბეჭდავთ ხოლმე, თუ გინდა, პატარა ნაწყვეტს გამოვაქვეყნებთო... მივხვდი, რედაქციაში ტყუილად დავდიოდი ამდენ ხანს, იმ დალოცვილიშვილ სულაკაურს დროზე აეხსნა ჩემთვის ყველაფერი, არ ჯობდა? რაღას მკვებავდა ფუჭი დაპირებებით? მეწყინა... ნაწყვეტის გამოქვეყნებაზე უარი ვთქვი და ხელნაწერი წამოვიღე.

– ბიჯო, არ დაუბრუნდები "თუთას"?

– კეთილი... ერთხელაც, თებერვალი თავდებოდა და ისევ მივაკითხე გურამ ფანჯიკიძეს რედაქციაში. "თუთა" არ ჰქონდა წაკითხული, მომიბოდიშა, დაჯდა და იქვე წაიკითხა. მახსოვს, კითხვის დროს შენიშვნები გამოთქვა, არ ვარგა გამოთქმა "ვარსკვლავთა ჯარი" და მისთანანი, ნამეტანი "ტკბილი" სტილის ნიშნებიაო. როცა კითხვა დაამთავრა, თქვა, რომ არ მოველოდი, ისეთი კარგი მოთხრობაა, ოსტატურად არის დაწერილიო; შენ ახალგაზრდა ხარ, ახალგაზრდებისგან კი მოელიან ახალ სიტყვას, ახალ დამოკიდებულებას მოვლენებისადმი, ახალ თემებს, ასეთი მოთხრობა კი უფრო შეეფერება ცნობილ მწერალსო, ტრადიციულიაო. ბოლოს, დაასკვნა, მოთხრობა უდაოდ გამოქვეყნების ღირსია, მაგრამ ჩვენ ახალგაზრდათა მოთხრობებს არ ვბეჭდავთო. მირჩია, წავსულიყავი "ცისკარში" ემზარ კვიტაიშვილთან. ვუთხარი, იქ ჩემი სამი მოთხრობა დევს აგერ უკვე თითქმის ორი წელია, სულ მპირდებიან, ერთ-ერთს გამოვაქვეყნებთო, მაგრამ საშველი მაინც აღარ დააყენეს – ადგილი არ გვყოფნისო. დასასრულ, გურამმა გადაწყვიტა, მოთხრობა შეეტანა რედაქტორთან, რევაზ მარგიანთან; ის ვერ ნახა და მისცა ერთ თანამშრომელ ქალს, ციალას, რომელთანაც ერთ კვირაში უნდა მივსულიყავი საბოლოო პასუხის გასაგებად. მეგონა, ახლაც გამეორდებოდა იგივე ამბავი, რაც უკვე რამდენჯერ გამოვცადე: მეტყოდნენ, დავბეჭდავთო, ერთი ასჯერ მიმიყვნდნენ და, ბოლოს, მაინც პირში ჩალაგამოვლებულს დამტოვებდნენ. ვიფიქრე: "არა უშავს, უკვე მივეჩვიე, თან ახალ ხალხს მაინც გავიცნობ, ესეც საქმეა!".

მახსოვს, 1973 წლის პირველი მარტი იყო, წავედი "ლიტერატურული საქართველოს" რედაქციაში და ავტობუსიდან ჩამოსვლისთანვე ქუჩაში დავინახე გურამ ფანჯიკიძე და ციალა. გურამმა მახარა: შენი მოთხრობა ციალამ მოამზადა და რედაქტორს გადავეცით, მას მოეწონა და უახლოეს ნომერში გამოქვეყნდებაო. ციალამ დაამატა: შემდეგი ნომერი გაზეთისა 8 მარტს ეძღვნება და იქ ვერ მოხვდებაო. ასეთ რამეებს მიჩვეული ვიყავი, ის კი არა, სამ-ოთხ და ხუთ წელსაც მიცდია და, ბოლოს, არაფერი გამოსულა. დათვლილი მქონდა, "ლიტერატურული საქართველოს" რედაციაში შვიდჯერ ვიყავი მისული უკვე; ვფიქრობდი, ნეტავ კიდევ რამდენჯერ მომიწევს-მეთქი... ამ ამბის დასასრული ასეთი გამოდგა. როცა რამდენიმე კვირა გავიდა და ჩემი მოთხრობა გაზეთში დაბეჭდილი ვერ ვიხილე, მერვედ მივედი რედაქციაში. "სასიამოვნო" ამბავი მახარეს: ამას წინათ გაზეთის რედაქტორი რევაზ მარგიანი გადაუყვანიათ ჟურნალ "დროშის" რედაქტორად, ხოლო "ლიტერატურული საქართველოს" ახალ რედაქტორად დაუნიშნავთ ვახტანგ ჭელიძე, რომელსაც უკვე დასაბეჭდად გამზადებული გაზეთის ნომრიდან ჩემი მოთხრობა ამოუღია... მირჩიეს, საქმის გასარკვევად ჭელიძესთან შედი კაბინეტშიო... ბატონმა ვახტანგმა გარკვევით ვერაფერი მითხრა, თუ რატომ დაიწუნა ჩემი მოთხრობა, მხოლოდ რატომღაც რამდენჯერმე ის მოსაზრება გაიმეორა, რომ ვაჟა-ფშაველას გავლენით არის დაწერილიო. ასეც რომ ყოფილიყო, ამას მე ქებად მივიღებდი... დავა აღარ დამიწყია და გულაცრუებული წამოვედი. "თუთა" დავბეჭდე მხოლოდ ოცდათორმეტი წლის შემდეგ, 2005 წელს, ჩემს მოთხრობების კრებულში "ვემშვიდობები XX საუკუნეს"!

– ბოლოს ხომ მაინც დაიბეჭდა "მეწიეთი"...

– ის უწყინარი ჩანახატი რომ არ დაებეჭდათ, იქნებ უკეთესი შედეგით წარმართულიყო შემდგომ ჩემი ნამუშევრების გამოქვეყნების საქმე, მაგრამ მე მაინც კარლო კობერიძის უზომოდ მადლიერი ვარ დღესაც. კარლო კობერიძე ნიჭიერი და ნაყოფიერი პროზაიკოსია, უკვე წლების განმავლობაში ცხოვრობს მშობლიურ კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში – გაექცა უმუშევრობას, გაუსაძლის გაჭირვებას, უიმედობას... სხვათა შორის, მას აქვს დაწერილი ერთი მხიარული და, იმავდროულად, ნაღვლიანი მოთხრობა "სად დავაბათ სახედარი" – მამა-შვილის გაუთავებელ ურთიერთ გაწევ-გამოწევისა და ჩხუბის შესახებ. როგორც ხედავ, ჩემო ძმავ და მეგობარო, შენ არასდროს და არსად დამიბიხარ, მაგას გაკადრებ?.. სახედარი – ჩვენი მეგობარია! რომელ კახელ მწერალს ნახავ, რომ სახედარს გვერდი აუქციოს და არ ახსენოს? გიორგი ლეონიძის "ნატვრის ხეში" სოფლის დედოფალი მარიტა ვითომ ცოლქმრული ღალატისთვის ვირზე შესვეს და სოფელში ჩამოატარეს – ტალახისა და ფუნის სროლით.... მსგავსი ამბავი მოყოლილი აქვს კარლო კობერიძესაც ერთ-ერთი კრებულის – "კაჭკაჭის საგალობელი" – მოთხრობაში "Excuzsus"... მე მგონი, სათაურად უნდა იყოს: "Excursio".

– შენ, შენ რაღა დანაშაული მიგიძღვის? ხომ იცი, ძველად საქართველოში საჯაროდ შერცხვენა, ვირზე შესმა, მძიმე სასჯელის სახეობა იყო. შენ საკუთარი ნებით რატომღა შაჯექ ვირზე, თან – პირუკუღმა, ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა ხომ არ მიგიღია? ან იქნებ მრუში და ავხორცი ხარ? თვითგვემას ხომ არ მიჰყავ ხელი ცოდვების მოსანანიებლად?

– ხუმრობ? ყოველგვარი რელიგიურობისგან შორს ვდგევარ!.. ცოდვების ჩადენას კი ვერავინ დამწამებს...

– უცოდველი არავინ არის!

– კარგი, ჰო, მეც ვზიდავ ტვირთს ჩემი წილი პატარ-პატარა უნებლიე ცოდვებისა... კარლო კობერიძეს დავუბრუნდები. თუ დღესაც დღეგრძელად არის, ახლა უკვე თითქმის ოთხმოცი წლის კაცი იქნება, ორმოცამდე წიგნის ავტორია და არავის მოსვლია აზრად, მისი ნაწარმოებების მრავალტომეული გამოეცა... სხვაც ბევრია ღირსეული მწერალი, დღემდე მათი შემოქმედებითი ნაღვაწი, ერთად თავმოყრილი ტომეულებში, არ ღირსებიათ... მე რომ მქონდეს საკმარისი თანხა, დავიწყებდი იმ ქართველი მწერალების ტომეულების გამოცემას, რომლებიც, სამწუხაროდ, დღესდღეობით უყურადღებოდ არიან მიტოვებულნი. მე მიმაჩნია, რომ ყოველი, დიდი თუ პატარა მწერლის შემოქმედება ერთხელ მაინც სრულად უნდა იყოს გამოცემული, პროზაიკოსთა სიაც კი მაქვს შედგენილი. უამრავი შემთხვევა არსებობს მსოფლიო ლიტერატურაში, როცა თანამედროვეთაგან უმნიშვნელოდ მიჩნეული მწერალი გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდგომ მნიშვნელოვან შემოქმედად უღიარებიათ და მისთვის ძეგლიც დაუდგამთ... კარგია, რომ გამოქვეყნდა ჭაბუა ამირეჯიბის, თამაზ და ოთარ ჭილაძეების, რეზო ჭეიშვილის და ზოგიერთი სხვა თანამედროვე მწერლის მრავალტომეულები, ახლა იბეჭდება რევაზ ინანიშვილის, ოტია იოსელიანის, გოდერძი ჩოხელის ტომეულები, მაგრამ... რატომ არ გამოიცემა თუნდაც უნიჭიერესი მერაბ ელიოზიშვილის მრავალტომეული? ღირსეული შემოქმედი სხვაც ბევრია, თუნდაც მხოლოდ ჩვენგან უკვე წასული პროზაიკოსები: ყარამან კიკვიძე, თეიმურაზ მაღლაფერიძე, აკაკი გეწაძე, აკაკი გაწერელია, დავით ჯავახიშვილი, ლადო მრელაშვილი, ირაკლი უგულავა, ოთარ ჩიჯავაძე, ჯემალ აფციაური, ნუგზარ შატაიძე, ალექანდრე კალანდაძე, თამაზ ბიბილური და სხვანი... დღესაც დღეგრძელნი, თითოეული მრავალი წიგნის ავტორი: ჯემალ მეხრიშვილი, ვანო ჩხიკვაძე, ვაჟა გიგაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, გურამ გეგეშიძე, ბესილ ხარანაული, რევაზ მიშველაძე, ნოდარ წულეისკირი... ალბათ ბევრი გამომრჩა კიდეც პოეტების სია ალბათ პროზაიკოსებზე უფრო დიდიც იქნებოდა, არადა, XX საუკუნის ქართული პოეზია გამოირჩევა მშვენიერი პოეტების სიმრავლით... სხვებზე რაღა უნდა ვთქვათ, როცა უდიდესი პოეტისა და უბრწყინვალესი პროზაიკოსის, გიორგი ლეონიძის მრავალტომეული არ გვაქვს გამოცემული, არადა, თვითონ ბატონი გიორგი როგორი რუდუნებით დაჰკანკალებდა სხვათა ნაღვაწს! თუნდაც მისი ყურადღება და ძალისხმევა ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ ცნობების შესაკრებად, მისი ნამუშევრების გადასარჩენად და მუზეუმში დასაბინავებლად განუზომელია... ან განა არ არიან ღირსნი, ახლა მაინც რომ გამოიცეს შედარებით „ძველების“, თედო რაზიკაშვილის, რაჟდენ გვეტაძის და სხვათა მრავალთა ნაწარმოებნი სრულად?

– ეჰ, რაღა ოცნებებს არ აუტაცნიხარ ცაში! – ამბობს სოლომონ ბრძენი, ვერ მივხვდი, მოწონებით თუ დაწუნებით. – არ მიკვირს, რომ ვირუკაზე პირუკუღმა შამჯდარმა მოგზაურობა გადაწყვიტე, ახლაც კი, ამ მდგომარეობაში, შენსას მიერეკები... საკვირველი იქნებოდა, შენ რომ ლექსები არ დაგეწერა...

– ეს ცოდვა ნაწილობრივ მიმიძღვის... ჩემი გამართლება იმით შეიძლება, რომ მრავალი მათგანი თავისით "მოფრინდა" და ხელს ხომ არ ვკრავდი? მართალია, ისეთი ლექსებიც დავწერე, რომლებიც "დამჭირდა" მოთხრობების, ზღაპრების, რომანების შეთხზვის დროს... ასე რომ, რამდენიმე ათეული ლექსი მართლა მოვაცოდვილე, მათგან პატარა კრებულის შედგენაც კი შეიძლება, მაგრამ ღირს კი? დიახ, ბევრი ოცნება მქონდა ახალგაზრდობაში, მაგრამ პოეტობა არასდროს მდომებია.

– მაინც, სხვას რას ოცნებობდი?

– მაგალითად, ქართულად გამოცემულიყო მსოფლიოს ხალხთა კლასიკური ლიტერატურა. მართალია, გამოიცა ოთხმოცტომეული, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია... ჩამოწერილი მქონდა ლიტერატურის სია, რომელიც უნდა თარგმნილიყო და გამოცემულიყო ქართულად, როგორც ამა თუ იმ ქვეყნის კაზმული სიტყვიერების ბიბლიოთეკა: ჩინური, იაპონური, ინდური, არაბული, სპარსული, ძველბერძნული, ლათინური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, ესპანური, იტალიური კლასიკური ლიტერატურა... ბრწყინვალე ლიტერატურა აქვთ შექმნილი შვედებს, ნორვეგიელებს, ჩეხებს, სერბებს, ბულგარლებს, რუმინელებს... ან ამ მხრივ XX საუკუნეში საოცარი აღმავლობაა ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებული შტატების უმდიდრეს ლიტერატურაზე აღარაფერს ვამბობ...

– ერთხელ კიდევ ვრწმუნდები: ახირებული კაცი ხარ!

– მანახვე ერთი, რომელს არ აქვს რაიმე ახირება? ყველანი თავისებურად ახირებულები ვართ! ნებისმიერ ადამიანს უნებურად საკუთარ თავს ადარებ, ის სხვა კი, რა თქმა უნდა, მთლად შენი მსგავსი ვერ იქნება, გინდაც შენი ტყუპისცალი იყოს, ჰოდა, ამ განსხვავებულობის გამო, მავანის "სხვაგვარობა" გვიკვირს, ხშირად – არ მოგვწონს, ზოგჯერ – ამრეზითაც კი ვუყურებთ... არადა, სწორედ ამით არის თითოეული ადამიანი საინტერესო და ღირებულიც, რომ არავის ჰგავს! ნეტავ რაც შეიძლება ბევრს დაეწერა მოგონებები... ძალზე სამწუხაროა, რომ მრავალმა ქართველმა ხელო-

ვანმა, მეცნიერმა, მწერალმა თუ სხვამ მოგონებები არ დაგვიტოვა... წარმოიდგინე, მიხეილ ჯავახიშვილს ან გრიგოლ რობაქიძეს რომ მოგონებები დაეწერათ! ანა კალანდაძეს, დიმიტრი უზნაძეს, ივანე ბერიტაშვილს... ფალიაშვილს, ალექსი მაჭავარიანს, რევაზ ლაღიძეს, გიორგი ცაბაძეს... აკაკი ხორავას, ვერიკო ანჯაფარიძეს... მიხეილ ჭიაურელს, თენგიზ აბულაძეს... აუჰ, რამდენი ბრწყინვალე პიროვნებაა კიდევ დასასახელებელი... იაკობ ნიკოლაძისა და ლადო გუდიაშვილისთვის რომ მიებაძათ: დავით კაკაბაძეს! ელენე ახვლედიანს! ქეთევან მაღალაშვილს!..

— მხატვრების მოგონებებმაც დაგაინტერესა...

— ძალიან თავისებური ხალხია, თანაც, რატომღაც წერა არ უყვართ და, მართალი მოგახსენო, უმრავლესს არც ეხერხება... მე რამდენიმე ჩემს ნაცნობ მხატვარს შევუჩიჩხინე და იმდენი ვქენი, რომ თითქმის ძალათი დავაწერინე მოგონებები.

— საწყლები! წარმოიდგენია, როგორ აწვალე ისინი! მაინც, ვინ იყვნენ შენი მსხვერპლნი?

— ქრისტესია ლებანიძე, კოკა იგნატოვი, გივი (გიორგი) კასრაძე... ტიტე შეყილაძეს დავაწერინე ავტობიოგრაფიული ნოველები. ქრისტესია ლებანიძე, კოკა იგნატოვი და გივი კასრაძე ნაამბობს მკარნახობდნენ. პირველად ჩავწერე ქრისტესია ლებანიძის მოგონებები. იგი ჩემი დის, გულიკოს, მეზობელი იყო დიღმის დასახლებაში. გულიკო კინოსტუდიაში ძალიან დიდხანს მუშაობდა მემონტაჟედ, მრავალ რეჟისორთან უმუშავია, მათ შორის იყვნენ: გია მატარაძე, სოსო ჩხაიძე, ლია ელიავა, ომარ გვასალია, მანანა ანასაშვილი, გიორგი შენგელაია... იგი იყო თენგიზ აბულაძის ბოლო სამი ფილმის — "სამკაული ჩემი სატრფოსთვის", "ნატვრის ხე" და "მონანიება" — მემონტაჟე.

— როგორც ამბობენ ხოლმე, ჯობს, შენს ცხვრებს დაუბრუნდე...

— კი, ბატონო... როგორც გითხარი, ქრისტესია ლებანიძე ჩემი დის მეზობელი იყო, მაშინ ხშირად დავდიოდი მასთან; ერთოთახიან ბინაში მარტო ცხოვრობდა, საინტერესო მოსაუბრე იყო, უყვარდა წარსულის გახსენება. როგორც კინომხატვარს, ორმოცზე მეტი ქართული კინოფილმის შექმნაში მიუღია მონაწილეობა, მათ შორის იყო: "დაკარგული სამოთხე", "დავით გურამიშვილი", "ქეთო და კოტე", "ბედნიერი შეხვედრა", "თეთრი ქარავანი", "მიქელა", "ლონდრე", "ქვევრი", "მთვარის მოტაცება"... დავით რონდელის ფილმ-შედევრზე "დაკარგული სამოთხე" მუშაობისას, ფილმის მხატვარმა დავით კაკაბაძემ ასისტენტად აიყვანა ქრისტესია ლებანიძე, შემდგომ კი იმდენად მოიხიბლა ახალგაზრდა მხატვრის ნიჭითა და მონდომებით, რომ ფილმის თანადამდგმელი მხატვარი გახადა. სხვათა შორის, "დაკარგული სამოთხე" ჩემი საყვარელი ფილმია, ყოველდღე შემიძლია ვნახო... თითოეული ფილმის შექმნისას მხატვარს უხდებოდა ათეულობითა და ასეულობით ადამიანთან თანამშრომლობა, წარმოგიდგენია, რამდენი საინტერესო ამბავის გახსენება შეეძლო? ჩემს მიერ კარნახით ჩაწერილი ქრისტესია ლებანიძის მოგონებები შემდგომ ჩავასწორე, გადავწერე და ხელნაწერი მხატვარს გადავეცი, რომელმაც იგი ჩააბარა თეატრისა და კინოს მუზეუმს. სურვილი მაქვს, თუ შევძელი, ეს ხელნაწერი წიგნად ვაქციო.

— გატყობ, შენ კინოხელოვნების თაყვანისმცემელიც ხარ...

— ვინ არ არის? გაგიკვირდება: კინოში ჩემი სისუსტეა — პოლიციური ფილმები, ვესტერნი, მუსიკალური კომედიები... მაგრამ არ მიყვარს საშინელებათა ფილმები; ჩემთვის უცხოა თანამედროვე ფანტასტიკური ფილმების ესთეტიკაც — სისასტიკით, სიცივით, უაზრო თავგადასავლებით, თავბრუდამხვევი ტექნიკური ხერხების დახვავებით... ფანტასტიკა ფანტასტიკისთვის, გამომგონებლობა გამომგონებლობისთვის, — სპეც-ეფექტების დახვავება რაღაც იდეის, მიზნის გარეშე, — ფუჭია...

— ზოგადად კინოხელოვნება მწერლობას გირჩევნია?

— მე რომ მკითხო, სისულელეა საერთოდ იმის შესახებ დავა — კაზმული სიტყვიერება სჯობს, მხატვრობა, თეატრი, კინოხელოვნება თუ მუსიკაო... უპასუხე ასეთ კითხვას: თვითმფრინავი სჯობს, ავტომობილი თუ გემი?

— ხომ შეიძლება, ყველაფერი გიყვარდეს, მაგრამ უპირატესობას მაინც ერთ-ერთ მათგანს ანიჭებდე; შენ კინოს ამჯობინებდი თუ მწერლობას?

— ადრეც მაქვს ამის შესახებ დაწერილი, ისევ გავიმეორებ: კინო დღესდღეობით ყველაზე პოპულარული ხელოვნებაა, რატომ? ადვილი აღსაქმელია — რასაც გაწვდიან, პირდაპირ, "დაუღეჭავად" "ყლაპავ", თან ამოსუნთქვის, დაფიქრება-განსჯის დროც არ გაქვს. წიგნის კითხვა კინოფილმთან შედარებით მეტ გონებრივ და ემოციურ აქტივობას მოითხოვს, წარმოსახვას, ფანტაზიას... კინო — მომხმარებლად გაქცევს, წიგნი — შემოქმედად!

— გასაგებია... შენს მიერ ჩაწერილ სხვა მოგონებების შესახებ რას მეტყვი?

— გივი კასრაძეც ჩემი დის მეზობელი იყო. მას შექმნილი აქვს მრავალრიცხოვანი, უაღრესად ორიგინალური პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები; ოცდაათი წელი შეალია ანიმაციურ კინოხელოვნებას, როგორც მხატვარმა და რეჟისორმა. მისი ჯერაც გამოუცემელი წიგნი "მოგონებები, ფიქრები" ამჟღავნებს ორიგინალური აზროვნების შემოქმედსა და პიროვნებას, მასთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა. რაც შეეხება ჩემს მიერ კოკა იგნატოვის 2009 წელს გამოცემულ წიგნს "ზეპირი მოგონებები"... გული მწყდება, რომ კოკა იგნატოვთან ჩაფიქრებული უამრავი თემის ჩაწერა

ვერ მოხერხდა დიდი მხატვრის მოულოდნელი მძიმე ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამო, მაგრამ რაც მოესწრო, ისიც დიდად ფასეულია და მათში იგი წარმოგვიდგება როგორც ჩინებული მთხრობელი, ღრმად განათლებული, ფართო ინტერესების მქონე მოაზროვნე ხელოვანი და სამშობლოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე დაფიქრებული მამულიშვილი. თუ გაინტერესებს, მოკლედ გავიხსენებ ამ მოგონებათა შექმნის ამბავს... 1996 წლის ზაფხულში ცნობილმა ქართველმა პოეტმა, იმ დროს გამომცემლობა "ნაკადულის" დირექტორმა და "ლიტერატურული გაზეთის" მთავარმა რედაქტორმა, ოთარ ჭელიძემ ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ კოკა მხატვრად არის დაბადებულიო. მე დავეთანხმე – ჭეშმარიტად-მეთქი! თან დავძინე, რომ ჯერ კიდევ 1985 წელს დავწერე წერილი კოკა იგნატოვის შემოქმედების შესახებ; ის უნდა გამოქვეყნებულიყო ალმანახ "ფრესკაში", მაგრამ ფინანსური მიზეზების გამო ალმანახის გამოცემა შეწყდა და წერილიც დაუბეჭდავი დარჩა. ბატონი ოთარი დაინტერესდა ამ წერილით და იგი მალე გამოაქვეყნა კიდეც "სალიტერატურო გაზეთში". შემდგომ ბატონმა ოთარმა გადმომცა, რომ კოკა იგნატოვმა გამოთქვა სურვილი ჩემი პირადად გაცნობისა. მხატვარს პირველად შევხვდი მის ბინა-სახელოსნოში 1996 წლის 1 ნოემბერს და საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ. სხვათა შორის, ძალიან გამიკვირდა, როცა მითხრა: ჩემზე ბევრია დაწერილი, მაგრამ თქვენი წერილი ყველაზე ნაღდად წარმომაჩენსო... იმხანად უნდა გამოქვეყნებულიყო ჩემი მოთხრობა-ტეტრაპტიქი "ფიროსმანი", მიძღვნილი კოკა იგნატოვისადმი და მე ვთხოვე კოკას, მისთვის შეესრულებინა ილუსტრაციები. მოთხრობა კოკას შესანიშანავი დასურათხატებით მოკლე ხანში დაიბეჭდა "სალიტერატურო გაზეთში". ჩვენი შეხვედრები შემდგომშიც გაგრძელდა. მე განსაკუთრებით მაინტერესებდა მისი მუშაობის შესახებ სახელგანთქმულ ფრესკაზე "ფიროსმანის მონატრება" და ერთხელ ვთხოვე, ამის შესახებ დაეწერა მოგონება. კოკამ მიპასუხა, საშუალო სკოლა რუსულად მაქვს დამთავრებული და გამიჭირდება ამის გაკეთება, თუ გსურთ, მე მოვყვები და თქვენ ჩაიწერეთო. ჩემი მხრივ, მე შევთავაზე მოეთხრო, აგრეთვე, ბავშვობის წლების შესახებ, როგორ გაიღვიძა მასში მხატვრად გახდომის სურვილმა, რა გავლენა ჰქონდა მისი, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის ჩამოყალიბებაში ოჯახს, სკოლას, სამხატვრო აკადემიას, კოლეგებთან ურთიერთობას, როგორ მუშაობდა თავის სახელგანთქმულ ფრესკებზე, რა შთაბეჭდილებები დარჩა უცხოეთის ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები) ყოფნისგან და ასე შემდეგ. კოკა სიამოვნებით დამთანხმდა. დიქტოფონით სულ გავაკეთეთ შვიდი თემის ჩანაწერი, რომლებიც შემდგომ შინ მიმქონდა დასამუშავებლად. ცნობილია, კასეტიდან საუბრის ქაღალდზე გადატანის შემდგომ აუცილებელია ტექსტის გამართვა, რადგან ჩანაწერში ხშირია დაუმთავრებელი წინადადებები, გამეორებები, აზრობრივი ნახტომები, გრამატიკულად გაუმართავი ფორმები და სხვა. ამიტომ ტექსტს მეტ-ნაკლებად ვასწორებდი, ზოგჯერ ვახდენდი ადგილთა გადაჯგუფებას ამბის ლოგიკური განვითარების გათვალისწინებით და ასე შემდეგ; მზა ტექსტს გადავათეთრებდი, ვასათაურებდი, ვბეჭდავდი საბეჭდ მანქანაზე და მიმქონდა კოკასთან, რათა მას გადაეკითხა და საჭირო შესწორებები შეეტანა. უნდა აღვნიშნო, რომ კოკას ჩემს ნამუშევარზე არც ერთი შენიშვნა არ გამოუთქვამს, მხოლოდ რატომღაც სურდა, ინტერვიუს სახე ჰქონოდა; მე არ დავეთანხმე და, ვგონებ, არ შევმცდარვარ...

– ბარემ მითხარი: შენი საყვარელი მხატვარი რომელია?

– რასაკვირველია, ჩვენი ნიკალა.

– სხვა საქმე მაინც არ გვაქვს და ბლიც-ანკეტაზე მიპასუხე. შენი საყვარელი კომპოზიტორი?

– დიდი ლუდვიგი.

– საყვარელი მწერალი?

– ილია, მიხეილ ჯავახიშვილი.

– საყვარელი პოეტი?

– გალაკტიონი, გოგლა.

– საყვარელი ლიტერატურული ქმნილება?

– ბრანისლავ ნუშიჩის "ავტობიოგრაფია".

– საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები?

– დიდი ლუდვიგის რამდენიმე საფორტეპიანო სონატა, სიმფონიები და საფორტეპიანო კონცერტები, კამილ სენ-სანსის "ინტროდუქცია და რონდო კაპრიჩოზო", რობერტ შუმანის "კარნავალი"...

– საყვარელი მომღერალი ქალი და კაცი?

– დავით გამრეკელი, მარია კალასი, ლუი არმსტრონგი, მარიო ლანცა, დალიდა, ელა ფიტსჯერალდი.

– საყვარელი მუსიკოსი?

– მევიოლინე აიზაკ სტერნი, მესაყვირე ლუი არმ-სტრონგი.

– საყვარელი კინოფილმი?

– "დაკარგული სამოთხე".

– საყვარელი ქალაქი.?
– თბილისი.
– სპორტის საყვარელი სახეობა?
– ფეხბურთი.
– გატაცება?
– წერა, ხატვა, მუსიკის მოსმენა.
– საყვარელი ფერი.?
– ცისფერი.
– საყვარელი სასმელი?
– ყავა, ატენური ღვინო.
– საყვარელი საჭმელი?
– მწვადი.
– ყველაზე დიდი წარმატება?
– არ ვიცი.
– საკუთარი ღირსება?
– არ ვიცი.
– საკუთარი ნაკლი?
– უამრავი ნაკლი მაქვს... ჩემს ღირსებაზეც და ნაკლზეც, ჯობს, სხვამ ილაპარაკოს...

* * *

მივფრინავთ მე და სოლომონ ბრძენი და რაღა არ ვნახეთ! გადავუფრინეთ ქალაქებსა და სოფლებს, მთებსა და ველებს,. მდინარეებსა და ტბებს, მწვერვალები დავლაშქრეთ და ზღვები გადავცურეთ – ზევიდან, ჰაერში მყოფებმა ჩავიდინეთ ეს გმირობები, რაღა თქმა უნდა! ხან – გვციოდა, ხან – გვცხელოდა, ხან – ზევით-ზევით მივფრინავდით, ხან – ქვევით-ქვევით ვეშვებოდით, ხანაც – ქარი-ქარაშოტი მიგვარბენინებდა, ვირუკას დიდი ყურები ნაღდად კარგ აფრად გამოდგა! ხანაც – ერთ ადგილზე ვიყავით დაკიდებულნი და მოწყენილობისგან აღარ ვიცოდით, რა გვექნა...

ახლა ღამეა, ბნელა, საით მიგვაქროლებს ქარი?

დროდადრო ღრუბლების ფუმფულა ბამბაში გავეხვევით და ბრმებს ვემსგავსებით, მერე – თავზევით ციმციმა ვარსკვლავები გვეთამაშებიან, მაგრამ ჩვენს ქვევით კი ვერაფერს ვარჩევთ... თუ ხმელეთია, ხომ კარგი და თუ ზღვაში მოგვიწია ჩადგაფუნება?

ირიურაჟა; აღმოსავლეთით მზის კაშკაშა თვალი ჯერ არ ამოგორებულა; დაბლა-დაბლა მივფრინავთ და ვხედავთ: ოქროსფერ, რბილად ზღვასავით დატალღულ ქვიშის გორაკებს ალაგ-ალაგ ენაცვლება უსწორმასწორო, კლდოვანი რელიეფი, დასახსრული ღრმა, მშრალი ხევებით...

– ბიჯო, ერთი კინოაპარატი ვერ წამაიღე? შეხედე, რა მშვენიერი ხედია! ვაჰ, შენ რომ კინორეჟისორი ყოფილიყავ, ბევრ რასმე განსაცვიფრებელს გადაიღებდი, აი!

– სოლომონ ბრძენო, გეყო ჩემი დაცინვა... იყო ასეთი ცნობილი კინორეჟისორი, რომელიც გატაცებული იყო ჰაერიდან გადაღებებით, მას ალბერ ლამორისი ერქვა. ფრანგი ხელოვანის ყველაზე ცნობილი ფილმებია "თეთრი ფაფარი" და "წითელი ბუშტი". მას ვერტმფრენის დახმარებით ჰაერიდან აქვს გადაღებული რამდენიმე სურათი: "მოგზაურობა საჰაერო ბურთით", "ვერსალი", "პარიზი, რომელიც არასდროს გვინახავს", "შეყვარებულთა ქარი"... ეს ბოლო კინოფილმი მან ირანში გადაიღო, სადაც იგი დაიღუპა ვერტმფრენის ავარიის შედეგად და ფილმის დასრულება მის ვაჟიშვილს მოუწია... ახლა სად ვართ ნეტავი, ჩვენ ირანში ხომ არ გადაგვისროლა ქარმა? ისეთ პეიზაჟს ვხედავ, შესაძლოა, არაბეთის ნახევარკუნძულზეც მოვხვდით?.. როგორი სანახავია ეს ქვეყანა, მოგწონს?

– ზევიდან არა უშავს რა და მიწაზე თუ ფეხის დადგმას ვეღირსეთ, იქნებ სხვა თვალით შევხედოთ...

– ქვიშისა და კლდის მეტს ვერაფერს ვხედავ... აქ, ჰაერში, მარტშიც ასე ცხელა და იქ კი, მიწაზე თუ დავეშვით, ალბათ ღადარში ჩავვარდებით.

– თუ ასეთ ნახევრად უდაბნოში აპირებდი გამომგზავრებას, ჩემს მაგივრად აქლემის ყიდვა ჯობდა! – კბილებს კრეჭს ყროყინა. – შენთვისაც უკეთესი იქნებოდა და ჩემთვისაც!

– აქლემს სად ვიშოვიდი, ზოოპარკში? მეორეც: სულ არ ვაპირებდი აქ მოხვედრას, და ბოლოს – აქლემის ზურგზე აფორთხება არ გინდა? მოიცა, მოიცა, ეს ადგილები არაბეთის ნახევარკუნძულის უდაბნოებს არ ჰგავს, ნუთუ კიდევ უფრო შორს, აფრიკაში ამოვყავით თავი?..

ცოტა ხნის ფრენის შემდეგ ეს უკანასკნელი ვარაუდი მართლდება: უცებ შორს, შორს თვალისმომჭრელად აბჭყვრიალდა თოვლ-ყინული უზარმაზარი მთის მასივის თავზე...

– ეს კილიმანჯაროა, მბრწყინავი მთა! – წამოვიძახე განცვიფრებულმა და აღტაცებულმა.

– ჩემო ბატონო, კარგად დაუკვირდი: მირაჟი ხომ არ არის? დემონმა ხომ არ მოგნუსხა და უცნაური რამ მოგაჩვენა? ფუი ეშმაკს!

– არა, ნაღდია – ბევრჯერ მინახავს აფრიკის ამ უმაღლესი სამმწვერვალიანი მთის გამოსახულება წიგნებშიც და გეოგრაფიულ კინოფილმებშიც... შეხედე, რა ლამაზად ბრწყინავს უზარმაზარი, მაღლა აზიდული თეთრთავიანი, თოვლყინულიანი მასივი! კიდევ კარგი, გვერდი შორს ავუარეთ და მასზე ბევრად დაბლა მივფრინავთ, თორემ თუ სიცივის ღმერთის მთას გადავუფრენდით, ნაღდად გავიყინებოდით!

– ეგღა მაკლდა!

– რაღამც გავარკვიეთ ჩვენი ადგილსამყოფელი, შვებით არ ამოისუნთქე?

– კი, ბატონო, ამოვისუნთქავ და ჩავისუთქავ, ჩავისუნთქავ და ამოვისუნთქავ, თუ შენ გაგიხარდება! მერე რა ვქნათ?

– მოდი, ვიმღეროთ იტალიელი კომპოზიტორისა და მომღერლის ტოტო კუტუნიოს სიმღერა "აფრიკა"! აბა, ერთი გემრიელად დაჰყროყინე და ჩვენი სიხარული ამცნე აქაურობას!

– ჰო, ნაღდად სასიმღეროდ გვაქვს საქმე! – ჯიჯღინებს რატომღაც სოლომონ ბრძენი. – აჰა, ძამა, ხომ ოცნებობდი სხვადასხვა ქვეყნების მონახულებაზე, მეტი რაღა გინდა, პირდაპირ ზებრებს, ჟირაფებს, მარტორქებსა და ლო მებს ესტუმრე! თუ გაგვიმართლა და მდინარეში მოვადინეთ ტყაპანი, ნიანგებსა და ბეჰემოთებსაც გულიანად ჩავეხუტებით!

– წინდაწინ რას ჩხავი ყორანივით, მაინცდამაინც ცუდი უნდა იფიქრო?

– სოსო ბატონო, არ გერჩივნა პარიზში ჩავფრენილიყავით, ეიფელის კოშკზე? იქ რესტორანში იქეიფებდი, თან – ქალაქს გადახედავდი!

– მერე, შენ სად დაგტოვებდი? რამდენადაც ვიცი, ეიფელის კოშკზე ვირებისთვის რესტორანი ჯერ არ გაუხსნიათ!

სოლომონ ბრძენი რომ ყროყინებდა, იმაზე ცუდად აგვიხდა მისი ვარაუდი – ნელ-ნელა ქვევით-ქვევით ვიწყეთ დაშვება და...

კარი X.
ღმერთები გავხდით, მაშა!..

ვხედავ: ქვევით, ტრიალ მინდორზე უამრავი ხალხი, თავზარდაცემული, გარბის, გარბის, გარბის, რათა თავს უშველოს ცით მოვლენილი ორთავიანი და ექვსფეხა რაღაც ურჩხულისგან – ჩვენგან!

– არ მიყვარს ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა... – უკმაყოფილოდ ვბურტყუნებ. – ამ სიშორეზე წამოვსულვართ, წყლის ზღვას გადავურჩით, ქვიშებისა და ტრამალების ზღვასაც და მაინცდამაინც ამ ადამიანების ზღვაში აღმოვჩნდით! რა გვიჭირდა, რიუ დი ჟანეირუში "მარაკანას" სტადიონის მინდორზე რომ დავშვებულიყავით გაგანია საფეხბურთო მაჩის დროს "სანტუშსა" და "კრუზეირუს" შორის, ან თუნდაც მადრიდში "სანტიაგო ბერნაბეუზე" "რეალისა" და "ბარსელონას" შერკინებისას; პოლიციას ჩავბარებოდით – დამშვიდებულნი და დაიმედებულნი, რომ დიდად არ დაგვსჯიდნენ... ისეთი რა უნდა დაგვეშავებინა, მხოლოდ რამდენიმე წუთით შეწყდებოდა მაჩი, ხალხს გავამხიარულებდით, მეტი არაფერი... რამდენჯერმე მსგავსი კაზუსიც მახსოვს ტელევიზორით საფეხბურთო მაჩის ტრანსლაციის დროს: უცებ საიდანღაც გამომტყვრალი ძაღლი გამოვარდნილა მინდორზე და გარბის, უკან კი დასაჭერად სტადიონის დაცვის თანამშრომლები მისდევენ; ისმის მაყურებელთა სტვენა-ღრიანცელი... უარესიც მინახავს, თან არაერთგზის: შუა თამაშში უცებ დედიშობილა მამაკაცი გამოვარდნილა მინდორზე, ხელში დროშა უჭირავს და ცდილობს, როგორმე რაც შეიძლება მეტხანს ირბინოს ასე – დროშის ფრიალით... არ ვიცი, დაჭერის შემდეგ როგორ დასჯიდნენ ამგვარი სანახაობის მომწყობს – ალბათ მისთვის ქიმუნჯებსაც გაიმეტებდნენ და მოზრდილ ფულად ჯარიმასაც არ დაამადლიდნენ!

– მართლაც, ჯობდა, რომელიმე სტადიონის შუაგულში მოვხვედრილიყავით – ვირი ნამდვილად არ უნახავთ ჯერ ფეხბურთის მწვანე მინდორზე! თანაც – მასზე ვიღაც შერეკილი ბებერი პირუკუღმა შამჯდარა! ტელევიზორში მოვხვდებოდით, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეც – გემოზე გავამხიარულებდით ხალხსა!

– და კაი გემრიელი მიბეგვაც არ აგვცდებოდა!

– მე კი ვარ მიჩვეული სახრეს, შენ რაღა გეშველებოდა?

– გამაგრდი! ისე ვატყობ, ახლა ამ ხალხმრავალ ადგილზე თუ მოგვიწია დაშვება, უარესი რამ დაგვემართება!

– შაგვჭამენ და ეგ იქნება... ახია შენზე! ხომ იცოდი, რაც მოგველოდა: შიმშილი და წყურვილი, სიცხე და სიცივე, ძარცვა და ავადობა, წვიმა და ქარიშხალი და ათასი სხვა უბედურება, ჰოდა, წინდაწინ თავი არ უნდა დაგეზღვია? ღმერთი შენ არ გწამს, ხატი შენ არ წამოგიღია, მღვდელს არ

დაულოცინარ და გზის მშვიდობით დასრულება არ უსურვებია, რისი იმედი გქონდა? ბიჯო, რატომ ფიშტო მაინც არ წამაიღე ან დაშნა, ან ხმალი!

— ჯაყვაც კი არ მაქვს...

— ეჰ, მოგზაურს რა გიგავს... უკვე მრავალჯერ დავრწმუნდი: ძალიან თადარიგიანი კაცი ჩანხარ! — ვერ მალავს აშკარა დაცინვას დიდყურა. — პურის, პომიდორის დასაჭრელად ან კიტრის გასათლელად მაინც გამოგადგებოდა!

— რა დროს გასტრონომიული საუბარია, თუ ძმა ხარ, ამ შიმშილობის დროს, მაგისთვის მცხელა? სულ სხვა გუნებაზე დავდექ: როგორც ჩანს, ველურ ტომთან ჩავფრინდით...

— რამე შესაშინებელი ურჩხულებიანი დროშა ან შტანდარტი რომ გვქონოდა...

— რომელი მეფე ან მხედართმთავარი მე ვარ! ბარემ ახლა ჩემთვის ოქროს გვირგვინი, სკიპტრა და ლეოპარდის ჭრელი მოსასხამიც ინატრე!

— ...ზედ დახატული ფრთებგაშლილი არწივით ან პირიდან ცეცხლის მფრქვეველი გველეშაპით, — აგრძელებს ბუტბუტს დიდყურა, — რომ შორიდანვე გიცნონ, ვინა ბრძანდები და რა შეგიძლია... იქნებ მოწიწებით მოგეპყრან — ჯერ შეგბრაწონ და მხოლოდ შემდეგ შეგჭამონ...

ამ ლაილაიში დაბლა-დაბლა ვეშვებოდით, რადგან ისრების სროლა დაგვიწყეს... არა, თურმე ჩვენ არაფერს გვერჩოდნენ — ბუშტებს უმიზნებდნენ, ხეთქავდნენ და მე და ვირუკა მიწას ვუახლოვდებოდით — სულ უფრო სწრაფად და სწრაფად...

და დიდ მინდორზე დავეშვით!

როგორც ჩანს, შევცდით: ადამიანები კი არ გარბოდნენ, ჩვენს შესახვედრად გამორბოდნენ!..

რა უნდათ, რას გვიპირებენ?!.

მეგონა, რომელიღაც ფსევდოეთნოგრაფიული ფილმის გადაღებაში ვმონაწილეობდი...

ჩვენს გარშემო წრე შემოურტყამთ ნახევრადშიშველ, თავზე სირაქლემას ფრთებითა და მინდვირის ყვავილების თაიგულებით შემკულ, მუქკანიან, — შავ და შოკოლადის ფერის, — მამაკაცებსა და ქალებს. ისმის ტამტამების სისხლის ამაჩქროლებელი რიტმული დაგადუგი; ხალხისგან თავისუფალ წრეში ჩვენს გარშემო სიმღერითა და ომახიანი შეძახილებით საბრძოლო ცეკვას ასრულებენ შუბმომარჯვებული, ფარებით აღჭურვილი ნიღბოსნები...

— იაფფასიან ოპერეტაში ხომ არ მოვხვდით? სოლომონ ბრძენო, ვატყობ: ესენი ჩვენს გასამხიარულებლად არ იკლავენ თავს, რაღაც ბევრად მნიშვნელოვანი რიტუალისთვის ემზადებიან!

— სოსო ბატონო, შენ ფიქრობ, რომ კანიბალებს ვესტუმრეთ? — მიმიხვდა ვარაუდს დიდყურა. — რა დროს ველური ტომები და კაციჭამიაობაა, თუ ძმა ხარ, XXI საუკუნის პირველი ათწლეული სადაცაა დასრულდება!

— სოლომონ ბრძენო, თქვენს უდიდყურესობას დაავიწყდა, რომ პირუკუღმა ვმოგზაურობ და, როგორც ჩანს, დროის მდინარებაშიც უკან-უკან გავუტიეთ!

— ძალიან უკან დაწევა ხომ არ მოგვივიდა? ისევ გეუბნები: რაც მოგივა, ახია შენზე, მაგრამ მე რაღა დავაშავე? რასაკვირველია, დიდო ბატონო და მოწყალეო მფარველო ჩემო, დონ კიხოტ ვარკეთილელო, დიდ ბოდიშს კი ვიხდი თქვენი ჭკუა-განათლებისა და გამოცდილების წინაშე, მაგრამ პირადად ჩემზე თქვენი უდიდებულესობა ნაღდად ჭკუანაღრძობის შთაბეჭდილებას ტოვებს: მთელი ქვეყნიერება წინ მიისწრაფვის და რაღა შენ აიტეხე უკან-უკან სიარული? თუ ამგვარი უცნაური ახირება შენი პროტესტის ფორმაა ქვეყნის დღევანდელი სავალალო ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობს გამო? სინამდვილეს გაურბი?

— შესაძლოა, ჩემი ქმედება ბოლომდე თვითონ არ მაქვს გაცნობიერებული... იქნებ საკუთარი შესაძლებლობების ერთხელ კიდევ მოსინჯვა მიტაცებს? ალბათ მეოცნებე რომანტიკოსი დავრჩი სიცოცხლის მიწურულშიც! ხომ იცი, რომანტიკოსები აიდეალებდნენ წარსულს. ზოგიერთი მათი გმირი, ნოვალისის რომანის გმირივით, ჰაინრიხ ფონ ოფტენდინგენივით, ცისფერ ყვავილს ეძებს, ზოგი, — ედგარ პოს ბალადის პერსონაჟივით, — ზღაპრულ ელდორადოს... ზოგი — რას და ზოგი — რას...

— ბარემ დანტესავით საიქიოს გამგზავრებულიყავი და დაგესრულებინა საქმე, ჰი-ჰი-ჰი!.. — უდროო დროს უშნო ხუმრობის ხასიათზეა დიდყურა. — შენ რას ეძებ? ხომ არ გინდა, წმინდა გრაალის თასს დაეუფლო? ამქვეყნად უკვე ყველაფერი აღმოჩენილია, ტყუილად ფაფხურობ!

— არ გეწყინოს და მართლაც ყურდიდა ხარ! ბრძენები გვასწავლიან: სანამ კაცობრიობა იარსებებს, აღმოუჩენელი ყოველთვის მეტი დარჩება!

— ჰო, ეძებე, ეძებე, სანამ იმდენს არ იხტუნავებ, რომ გემრიელად არ შეგახრამუნებენ... იქნებ სულ ღობე-ყორეს ედებოდი და ამ სიბერის ჟამს საკუთარ თავს ეძებ?

— რა ვიცი... იქნებ საკუთარი შესაძლებლობის მოსინჯვა მიტაცებს?

— ვერაფერსაც ვერ იპოვი, რადგან შენი მაძიებელი სული აქ არავის აინტერესებს, შენი ხორცი კი დაკვირვებით განიხილება გასტრონომიული თვალსაზრისით ჩვენი სტუმართმოყვარე მასპინძლების მიერ...

— ჰო, მათ აღგზნებულ სახეებსა და სხარტ ცეკვას თუ დააკვირდები, არ არის გამორიცხული, რომ მათი ზეიმი გემრიელი პურისჭამის პრელუდია იყოს...

— და ეს ცეკვა-თამაში მათ მადის გასაღვიძებლად წამოიწყეს? დიდი შეღავათია! თუ მოგზაურობის ჭია გინდა, გაახარო, არ იცი, რომ მსხვერპლის გაღებისთვისაც მზად უნდა იყო?

— მართალი ხარ, სოლომონ ბრძენო: სახელგანთქმული ინგლისელი მოგზაური კაპიტანი ჯეიმზ კუკი აბორიგენებმა შეახრამუნეს ჰავაის კუნძულებზე, იგივე დაემართა პორტუგალიელ ფერნანდუ მაგელაიშს ფილიპინებზე და კიდევ მრავალ სხვასაც...

— ჩვენ მათზე უკეთესები რითი ვართ?

— ერთი რამით ალბათ მაინც ვჯობივართ: ჩვენი ჩიჩია ბევრად გემრიელია!

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, დიდყურავ ჩემო, რომ კაპიტანი კუკი ზღვის ბებერი მგელი იყო, მისი ძვალ-რბილი გაჟღენთილი იყო ზღვის მარილით! ღმერთს შევევედროთ, რომ ჩვენი მასპინძლები მშივრები არ იყვნენ!

— ამათ ალბათ ტრადიცია აქვთ მტერთა შეჭმისა, დამარცხებული მოწინააღმდეგის შეხრამუნებას განსაკუთრებით ჩაატანენ გემოს, მაგრამ ჩვენ რაღა დავუშავეთ? ვერ გამიგია... XXI საუკუნეში, ტელევიზიისა და კოსმონავტიკის, გენური ინჟენერიისა და კიბერნეტიკის ეპოქაში რატომ განიზრახეს ჩვენი შეჭმა? ყოვლად უწყინარი მოგზაურებისა, რომლებიც მათთან სრულიად შემთხვევით მოვხვდით — სამტროდ და საბრძოლველად ნამდვილად არ მოვსულვართ!

— გგონია, ახლა ცოტაა ცრურწმენის ტყვეობაში დარჩენილი? ნაძლევს დაგიდებ: ამათი ტელევიზიის თითქმის ყველა არხზე ხალხის გამოსაჩერჩეტებლად ნამდვილი დოღია გაჩაღებული: ნათელმხილველები, შემლოცველები, ჯადოს მომხსნელები, ასტროლოგები... ნაირ-ნაირი რელიგიური მოძღვრების მქადაგებელნი — ყველანი ერთ ჰანგზე მღერიან: ვინც მათ მიენდობა, საიქიოს საუკუნო სუფევას ჰპირდებიან!

— შენ გგონია, რომ ტელევიზიის ეპოქამ აქამდისაც მოაღწია?

— რატომ გიკვირს? ერთ-ერთი აფრიკული ქვეყნის პრეზიდენტს, რომელმაც შემდგომ თავი იმპერატორად გამოაცხადა, უმაღლესი განათლება პარიზში ჰქონდა მიღებული და, ამის მიუხედავად, კაციჭამიობა ვერ მოიშალა — დატყვევებულ მსხვერპლს საგანგებოდ ასუქებინებდა, რათა შემდეგ, ნაპატივები, გემრიელად მიერთმია...

— აქაურებს მსხვილფეხა საქონელი და თხა-ცხვარი არ აკლიათ, ვირი ან შენისთანა ბებერი და უგემური რატომ უნდა შეჭამონ?

— მათ რწმენა აქვთ, რომ, თუ ჭკვიანი კაცის ტვინს მიირთმევენ, დაბრძენდებიან, თუ ჯეელის თვალს — ნადირობისას უფრო გამჭრიახები და იღბლიანები იქნებიან, თუ ანტილოპის ფეხს შეჭამენ, ბევრად ფეხმარდები გახდებიან!

— ჰო, ეგრეევე შეგატყვეს, რომ დიდი ბრძენი ბრძანდები! — სარკაზმს ვერ მალავს დიდყურა. — ჩემი შეჭმით რაღა ხეირს ნახავენ?

— ხომ ხარ გამძლე? მომთმენი? ღონიერი? ჰოდა, შეგბრაწავენ, დააგემოვნებენ და აღივსებიან ძალ-ღონით! ან ხმა, შენი უბადლო ყროყინი?!. იერიქონის საყვირივით ხმა ექნებათ, აღარ დასჭირდებათ "დოლების ტელეგრაფის" გამოყენება შორ მანძილზე ამბის გადასაცემად!

— ძველთაძველი საკამათო საკითხია: ჭკუა ჯობს თუ ძალ-ღონე? ესენი რომელს მისცემენ უპირატესობას?

— არ მოველოდი, თუ ასეთი გესლიანი ენა გექნებოდა, ვატყობ, საითაც უმიზნებ — გაინტერესებს, პირველს რომელს შეგვბრაწავენ! ეჭვი რატომ გეპარება? დავითისა და გოლიათის შერკინების შესახებ რაიმე თუ გსმენია?

— ჰი-ჰი-ჰი! — იკრიჭება დიდყურა, არ მეგონა, თუ ასეთი დიდი კბილებიც ჰქონდა, — მაშ, ჭკუა–გონება სჯობს? სოლომონ ბრძენად კი მომნათლე, მაგრამ ამ მხრივ შენთან ახლოსაც ვერ მოვალ, ჰოდა, პირველად ნაღდად შენ შეგჭამენ, თანაც უფრო ნაზი ხორცი გაქვს და გატყავებაც არ დაგჭირდება! ჰი-ჰი-ჰი!..

— ახლახან ბებერი და უგემური მიწოდე, დაგავიწყდა? რა გაცინებს, მერე შენი ჯერიც მოვა!

— ცდები, ბატონო სოსო! სად ჩემი მართლაც ვირის უხეში ხორცი და სად ადამიანის ნაზი ჩიჩია! შენ სხვა მხრივ რაში ვარგიხარ? მუშაობა შენ აღარ შეგიძლია, მხოლოდ ბუზღუნის მწარმოებელი და წამლების მომხმარებელი გახდი, მუქთამჭამელი კი ვის რად უნდა? მე კი მუშა საქონელი ვარ, გამძლე, დაუღლელი, არც ჩემს გამოკვებაზე აიტკივებენ თავს — უდაბნოშიც კი ვიპოვი ჩემ სამყოფ თუნდაც ეკლიან ბალახს!

— ვატყობ: უშნო ხუმრობის ხასიათზე ხარ და ცუდად არ დასრულდეს შენი უყრიყინოსობის ასე აცუნცრუკება...

— მეტი რაღა დაგვრჩენია! ისე, თუ სიმართლე გინდა იცოდე, საფრთხე მართლაც მე უფრო მემუქრება: ნუ გეშინია, შენი სიბრძნის გამო არავინ შეგჭამს — ერთს შეგხედავენ და დიაგნოზსაც მა-

შინვე დაგისვამენ: რომელი ჭკუათმყოფელი აიჩემებს ვირზე უკუღმა მჯდომი მოგზაურობას? ჰი-ჰი–ჰი!.. ახლა კი მივხვდი, რამ აგამჩატა ამ ხნის კაცი! მიხრწნილების ჭკუასუსტობა – აი, რა ჰქვია შენს დაავადებას! ჰო, კაპიტანი კუკი ხარ, ხომ? თუ დეივიდ ლივინგსტონი ან ჰენრი მორტონ სტანლი? იქნებ ფერნანდუ მაგალაიში ან კრისტოფორო კოლომბო? მომილოცავს! აქაურ საგიჟეთს მეტად საინტერესო ეგზემპლარი შეემატება – გამოჩენილი მოგზაური! იქ დაგხვდება ოთხი ნაპოლეონი, სამი სტალინი და ერთი-ორი ალექსანდრე მაკედონელი, მაგრამ გამოჩენილი მოგზაური კი იქ უცხო ხილი იქნება; შენი მოგზაურობების ფერადოვანი აღწერით უამრავ თაყვანისმცემელს გაიჩენ – პირველი კაცი გახდები! მომილოცავს!

შევცდით, თურმე ჩვენი დამხვდურნი სხვა რამეს ზეიმობდნენ!

და იცით რას?

მათთან ზეცით მოვლენილ კაცვირასა თუ ვირკაცას სტუმრობას!

ბედნიერი ხალხი ჩანს – ეტყობა, სხვა აღარაფერი აწუხებთ და მთელი ეს შეხვედრის თეატრალიზებული სპექტაკლი სახელდახელოდ ჩვენს შესახვედრად მოუწყვიათ!

საპატიო სტუმრებს მაშინვე კისერზე ჩამოგვკიდეს ზაფრანისა და სხვა ყვავილებისგან მოწნული სურნელოვანი, ფერად-ფერადი, უზარმაზარი გვირგვინები და ასეთივე, შედარებით მცირე გვირგვინები კი – მოწიწებით თავზე დაგვადგეს!

მიწაზე დაგვიგეს ჭრელი ხალიჩა და მისი გავლით გავემართეთ დიდ-დიდი, ლამაზი ყვავილებითა და მწვანე რტოებით შემკული სამი სავარძლისკენ: ერთი მცირე იყო – ჩემთვის, მეორე, მოზრდილი, დივანივით – ვირუკასთვის! მათ შორის კი და მათზე მაღლა მესამე, ლომის ტყავებით მორთული, მდიდრული სავარძელი, უფრო – ტახტი, იდგა, რომლიდანაც წამოდგა ლეოპარდის ჭრელი ტყავით შემოსილი ბრტყელცხვირა, დაბალი, ჩასუქებულ-ნაპატივები კაცუნა და, ფართე ღიმილით სახეგაბადრულმა, მე და ვირუკას მოგვმართა:

– მოხარული ვარ, ამ გამორჩეულ დღეს, მსოფლიოში ყველაზე განვითარებული და ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის, თითით საჩვენებელი, თავისუფლებისა და სამართლიანობის ურყევი ბურჯის, ტანკენას სახალხო-დემოკრატიული, აყვავებული და ბედნიერი რესპუბლიკის სტუმართმოყვარე ხალხისა და პირადად ჩემი, ტანკენას სახალხო-დემოკრატიული აყვავებული და ბედნიერი რესპუბლიკის ბედნიერი ხალხის საყვარელი და სათაყვანებელი პრეზიდენტის, ალი ბაბა ავლაბრელის, სახელით, პირადად, გულითადად მივესალმო ჩვენს ძვირფას სტუმრებს! ძალიან დიდხანს ველოდით ნაწინასწარმეტყველევ დიდებულ მოვლენას და აი, ჩვენი ლოდინი, როგორც იქნა, დასრულდა და ჩვენი ოცნება – ასრულდა! ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენი მობრძანება ჩვენს აყვავებულ და ბედნიერ, სხვებისთვის ყოველმხრივ სამაგალითო ტურფა ქვეყანაში!

სოლომონ ბრძენს ჩემზე მეტად გაუხარდა, რომ საშიში არაფერი ყოფილა; ბატონ პრეზიდენტის მოქარგულ სიტყვებს ყურს არ უგდებდა, ბევრად საინტერესო და სასარგებლო საქმიანობით იყო გართული: მაშინვე ეცა დაღებული პირით საკუთარი სავარძლის შემკულობას, – არ არჩევდა, ყვავილი იყო თუ ფოთოლი, – და, ფრიად მოშივებული, დაუღეჭავად ერთიანად მიაქანებდა სტომაქში... მერე კი გვერდზე სამოქმედოდაც მოიცალა: ლეოპარდისტყაოსანის ტახტის შემკულობასაც მისწვდა მსხვილი კბილებით – გრძელი კისერი ამაში დიდად უწყობდა ხელს. ადვილი მისახვედრია, რომ ჩვენთვის მოძღვნილი დიდ-პატარა გვირგვინები ადრევე, საპატიო ტრიბუნასთან მისვლამდე, შემოეჭამა – მისთვის სულ ერთი გახლდათ, საკუთარი იყო თუ ჩემი – შიმშილის შემოტევამ ზრდილობა სულ დაავიწყა!

შიში მთლად ჯერ კიდევ არ გამქრალა – რა მოგველის? – და თვალ-ყური კი უკვე ფერადოვანი წარმოდგენით ტკბება: უზარმაზარი დოლების გამაყრუებელი ბათქაბუთქი, ტამტამების გადაძახილი, ზანზალაკების ჟღრიალი, რიტმულ ტაშისცემას აყოლილი სიმღერა და ცეკვა ჩვენს წინ წრედ დატრიალებული ნახევრად შიშველი ტანკენარი ქალებისა და კაცებსა!..

ჩემი და სოლომონ ბრძენის საპატივცემულოდ თეატრალიზებულ-ფოლკლორული დღესასწაულის სახით მოწყობილი საზეიმო შეხვედრა მართლაც მეტად შთამბეჭდავი იყო!

როგორც მოგახსენეთ, მადლობა ღმერთს, დამხვდურნი მშივრები არ იყვნენ და არ შეგვჭამეს, პირიქით, – ცეკვა-თამაშის შემდგომ წაგვიყვანეს პრეზიდენტის, ალი ბაბა ავლაბრელის, ახალაგებულ რეზიდენციაში – ბრწყინვალე სასახლეში მოსასვენებლად...

ბედნიერი და აყვავებული სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ტანკენას პრეზიდენტის საგანგებო დეკრეტით ჩვენი მობრძანების დღე ერთ-ერთ დიდ სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადდა!..

როგორც შემდგომ შევიტყვე, ამ დალოცვილ ქვეყანაში წელიწადში ორასზე მეტი სხვადასხვა დღესასწაული ტარდებოდა და ამ მხრივ მსოფლიოში საამაყოდ ჰქონდათ საქმე, კონკურენციას ვერავინ უწევდა! ზოგიერთი დღესასწაული რამდენიმე დღესაც გრძელდებოდა და, შეიძლება ითქვას, თითქმის მთელ წელიწადს, სრულ ნეტარებაში მყოფი მაცხოვრებელნი ამა ქვეყნისა, ცეკვა-თამაშსა და ტაშ-ფანდურს ანდომებდნენ – ბედნიერი ქვეყანაც ამას ჰქვია! და, ჩვენი მოულოდნელი სტუმრო-

ბის წყალობით, კიდევ ერთი დღესასწაულის დაწესებითაც გაიხარეს! დიახ, მშვენიერი ქვეყანაა, ხალხიც – ფრიად ბედნიერი და ყველაფრით კმაყოფილი!

ცოტა ხნის მერე მეტი საოცრება მოხდა: სასწრაფოდ გამართეს სახალხო-დემოკრატიული, აყვავებული და ბედნიერი რესპუბლიკის ტანკენას პარლამენტის საგანგებო სხდომა და მისმა უდიდებულესობამ, ბატონმა პრეზიდენტმა ალი ბაბა ავლაბრელმა წარადგინა საგანგებო კანონპროექტი, რომელიც მაშინვე, იმავე დღეს, სამივე წაკითხვით კანონის სახე მიიღო და რომლის ძალითაც მე და ვირუკა... ღმერთებად გამოგვაცხადეს! სოლომონ ბერძენი დიდი ღმერთი გახდა, მე – მისი მოადგილე, პატარა ღმერთუკა...

შემდგომ, ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად, პრეზიდენტის სასახლის სადღესასწაულო მიღებათა დიდ დარბაზში გაგვიმართეს ლუკულუსის ნადიმი!

მოშივებულები, – მე უფრო მეტად, სოლომონ ბრძენმა, როგორც მოგახსენეთ, ყვავილ-ბალახებით წახემსება მოასწრო, – დაგვსხეს საუცხოო სუფრასთან, დიდყურამ კი ცხვირი აიბზუა:

– ჩემთვის ეს სამეფო პალატები შეუფერებელია, მთრგუნავს... რჩეული საჭმელ-სასმელი რომ მოაქვთ და მოაქვთ, მართალი გითხრა, ეს შემწვარ-მოხრაკულები დიდად არ მეპიტნავება და, დიდი სიამოვნებით, შენ გადმოგილოცავ... პრეზიდენტის სასახლის წინ მშვენიერი მინდორი შევათვალიერე, იქ ბალახობა და კუნტრუში ბევრად მირჩევნია!

– კაცია და გუნება!

– ჰო, დასტურ ასეა! ისიც უნდა მოგახსენო, რომ, სამწუხაროდ, მე კი ვერ ვნახულობ აქ გაშლილ მდიდრულ სუფრაზე ჩემთვის მოსაწონს, მაგრამ შენ როგორღა მოილხენ?

– ამ სუფრაზე ჩემთვის უცხო მრავალ კერძს ვხედავ, ვითომ რა დამიშლის?

– რა და, შენ თუ პრინციპული კაცი ხარ, სუფრასთან ზურგით უნდა დამჯდარიყავი, ჰი-ჰი-ჰი! – მატრიზავებს სოლომონ ბრძენი.

– ღმერთი თუ ხარ, დაცინვა ვით გეკადრება?

– ჩემი ხუმრობა რატომ გწყინს? შენ არ ამტკიცებდი, რომ ღმერთი არ არსებობს, ყველა ღმერთი ადამიანის მოგონილიაო?

– მაგას ჩემს აღმოჩენად ნუ ასაღებ, ოცდახუთი საუკუნის წინათ იმასვე ფიქრობდნენ ბერძენი ბრძენნი...

დიახ, სოლომონ ბრძენს დახუნძლულ სუფრაზე რა უნდოდა! და ყროყინას, ახალგამომცხვარ ღმერთს, აუსრულეს სურვილი: გაუშვეს საბალახოდ ამწვანებულ მდელოზე – პრეზიდენტის სასახლის წინ საკმაოდ დიდი, საგულდაგულოდ მოვლილ-ნაპატივები, ამწვანებული მოედანი იყო!

* * *

დაუყონებლივ შემუშავდა ახალი ღმერთის თაყვანისცემის დიდებული ცერემონიალი!

მისი უდიდებულესობის, ბატონ პრეზიენტის, ალი ბაბა ავლაბრელის, პირადი განკარგულებით და მისი პირადი ესკიზის მიხედვით, საჩქაროდ დამუშავდა და რამდენიმე დღეში დედაქალაქის მთავარ მოედანზე დაიწყეს უზარმაზარი ქანდაკების მშენებლობა, რომელსაც ექნებოდა ვირის ფორმა და ეს ქანდაკება გახდებოდა საყოველთაო თაყვანისცემის საგანი!

სამწუხაროდ, ვირუკას ქანდაკებაზე ჩემი ამხედრებული ფიგურა ვერ ვიხილე, რის გამოც დიდად დაზარალდა ქანდაკების ესთეტიკური მხარე – რა თქმა უნდა, ბევრად შთამბეჭდავი იქნებოდა, პრეზიდენტ ალი ბაბა ავლაბრელს მე რომ არ დავვიწყებოდი... ამის გამო ხმამაღლა უკმაყოფილება არ გამომითქვამს, მაგრამ ძალიან კი მეწყინა! რამ გაგვყო მე და ვირუკა?

ერთ რამეზე კიდევ უფრო გავბრაზდი: სოლომონ ბრძენი უფროსი ღმერთი გახდა, მე – უმცროსად, მის მოადგილედ, განმაწესეს!

– რატომ? – ვიკითხე, – რატომ პირიქით არა?

– იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ შენზე ბევრად დიდია! – სრულიად საფუძვლიანად მიპასუხა ბატონმა პრეზიდენტმა. – დიდად პატივსაცემი და სათაყვანებელი ბატონი ვირი ნაირ-ნაირ საჭმელსაც არ გვთხოვს, შენ კი, ჩვენ თუ ყოველდღე არ გაჭამეთ, საკუთარ თავს მოუვლი? შიმშილით გაგძვრება სული! ჰოდა, რანაირი ღმერთი ხარ? მუცელღმერთობა არ შეგშვენის! შეირგე, რაც გიწყალობეს – პატარა ღმერთიც ღმერთია!

– მე ღმერთობას არ ვიჩემებ, ღმერთმა დამიფაროს! – შევბედე შეპასუხება, გულში კი გავიფიქრე: “თვითონ რომ ჭამა-სმაში ზომა-წონა არ იცი, მე რა ნამუსით მამუნათებ?”.

– გარდა ამისა, ნახე, ჩვენს ახალ დიდ ღმერთს რა ნამყენი ყურები აქვს! თუ ყურები მაგაზე უფრო დიდი გაგეზრდება, მაშინ – ვნახოთ... ეცადე!

– ღმერთმა დამიფაროს!

– და ისეთი მჭექარე ხმით ყვირის, შენ სად მიხვალ მასთან! ყვირილშიც ივარჯიშე – ცხოვრებაში გამოგადგება, საკუთარი გამოცდილება მალაპარაკებს!

– არა, ყვირილი საერთოდ არ მიყვარს... ღმერთმა დამიმფაროს!

– ჰოდა, ვისაც უყვარს და შეუძლია, იმას რას ეტოლები?

– არავის ვუტოლდები, ღმერთმა დამიფაროს!

სხვა რა გზა დამრჩენია, მინდა თუ არა, უნდა დავყაბულდე, მაგრამ ვირის – თუნდაც ღმერთად შერაცხულის! – ხელქვეითად ყოფნა როგორია?

სოლომონ ბრძენი მეუბნება:

– არ მეგონა, სიზმრადაც არ მინახავს, რომ ოდესმე ღმერთად მაღიარებდნენ!

– მომილოცავს! – ჩვეულად ყბაზე ხელით მოვეფერე დიდყურას, – ალბათ სულ სიზმარში ნახულობდი, რომ ღმერთად გაღიარებდნენ, ოღონდ – ვირებისა, ახლა კი რას ეღირსე? ადამიანების უზენაესი გამგებელი და მფარველი გახდი!

– ბოღმით სკდები? არ ღირს და იცი, რატომ? აქ, როგორც ჩანს, პრეზიდენტი კი ჰყოლიათ, მაგრამ უფრო სულთანად ან ხონთქრად, ზოგიერთნი კი – შაჰინშაჰადაც კი მოიხსენიებენ, ჰოდა, მე თუ ღმერთი ვარ, ჩემი უზენაესი ნებით, შენ დიდ ვაზირად დაგნიშნავ!

– ღმერთმა დამიფაროს!

* * *

დიახ, ახალი რელიგიის მამამთავრები გავხდით, მაშა! ანიმიზმი გავაცოცხლეთ! არა, ანიმიზმი რა შუაშია, ჩვენ... თუმცა, ჰო, ვირუკა ნაღდად ცხოველი გახლავს... და, რა თქმა უნდა, ბიოლოგიურად – მეც!

– რა დავარქვათ ახალ რელიგიასა, ჰა? – მოწიწებით ვეკითხები ახალ დიდ ღმერთსა.

– შენა, ძმაო, აქაოდა ვირიაო, ყველაფერს მე კი ნუღარ ამკიდებ, თვითონაც გაანძრიე ტვინი!

– ბოდიში, თქვენო დიდო უყროყინოსოებავ, იქნებ "ყროყინიზმი" მოუხდეს?

– დამცინი?

– არა, თქვენი უდიდყუროსოებავ, როგორ გეკადრებათ, თქვენმა უმაღლესობამ ხომ უმეტესწილად სწორედ სწორუპოვარი ყროყინის მეშვეობით მიაღწია ახალი რელიგიის პირველი პირის წოდებასა!

– სულ ხუმრობის ხასიათზე უნდა იყო?

– შენ კი გაღიარეს ღმერთად, მაგრამ არასდროს დაივიწყო, რომ მე ვარ ვირუკაზე შემომჯდარი შენი ღმერთი!

– უკუღმა შემომჯდარი უკუღმართი!.. მთელი მსოფლიო ამბობს, რელიგიურები ვართო და ერთი შენ გამოდიხარ მართალი – ყველას ეწინააღმდეგები?

– მე კი არა, უდიდესი მოაზროვნეები ამტკიცებდნენ, რომ ზოგადად რელიგია, ყოველგვარი რელიგია – ცრურწმენაა და სულიერი თავისუფლების მტერია! აქამდე ხომ აღიარებდი, რომ ღმერთმა დამადგინა შენს ბატონად და პატრონად და შენ თვითონ როგორ ბედავ ჩემდამი შეწინააღმდეგებას?

– სოსო ბატონო, წიგნი კი ბევრი წაგიკითხავს, მაგრამ ისინიც უკუღმა ხომ არ გაიგე? ყველანი ამბობენ, ასეაო, შენ კი საწინააღმდეგოს ამტკიცებ!

– კი არ ვამტკიცებ, ჩემს განსხვავებულ შეხედულებას გამოვთქვამ! დაბეჯითებით რომ გიჭედავენ თავში: შენ ხარ მონა ღვთისაო, რატომ – მონა? არ ვიცი, არის თუ არა ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში გამოკვლეული ისეთი მოვლენა, როგორც არის მონობის სიყვარული, ისე კი განწყობა ნებაყოფლობითი მონური მსახურებისადმი საყოველთაოდ არის გავრცელებული მთელს მსოფლიოში. ისტორიამაც იცის უამრავი შემთხვევა, როცა ადამიანს სიამოვნებს უსიტყვო მორჩილება სხვისი ნებისადმი. შესანიშნავ ავსტრიელ მწერალს, შტეფან ცვაიგს, გენიოს მხატვარ-ფსიქოლოგს, აქვს ამ თემისადმი მიძღვნილი მოთხრობა "სიყვარულის მონა". ნებაყოფლობითი მონობა – სირცხვილია, განსაკუთრებით – საკუთარი ვნებებისადმი: ღვინო-არყისადმი, მუცელღმერთობისადმი, პოლიტიკური ლიდერისადმი... მხოლოდ ერთი რამის ყმობა არის სასურველი – შენი ნიჭისადმი! დიახ, მისი მონა უნდა იყო: გაუფრთხილდე, ყველაფერი გააკეთო მის გასაფურჩქნად და განსავითარებლად! ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომელსაც რომელიმე პიროვნების ან სხვა რაიმის მიმართ მონური განწყობა სიამოვნებას ანიჭებს – ამათ ვაკუთვნებ მე, მაგალითად, რელიგიური აღტყინებით შეპყრობილ ადამიანებს, განსაკუთრებით – ბერებს, მონაზვნებს... არავის მონა არ უნდა იყო! რატომ უნდა ვენდო რწმენას და არა გონებას? ბრმა, გაუაზრებელი რწმენა – სიბნელეა, ცოდნა – სინათლეა, ტყუილად კი არ ებრძოდა ქრისტიანობა საუკუნეთა მანძილზე მეცნიერებას, უკიდურეს შეუწყნარებლობას იჩენდა სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ და უამრავი ერეტიკოსიც შეაჩვენა, კოცონზე გაგზავნა... დიახ, მწამს: იწამო ნებისმიერი რელიგია იგივეა, გჯეროდეს ალქიმიისა... დღესაც რა ცრურწმენას არ შეხვდები! ამას წინათ მომიყვა მეზობლის ქალმა: მისი ნათესავის გასვენებაში იყო ჩასული სოფელში – ახალგაზრდა ბიჭს ასაფლავებდნენ, მხოლოდ ოცდასამი წლისა ყოფილა, საწყალი. ვიღაც მთვრალ ყმაწვილს მანქანა გაუტაცია, დადევნებია პოლიცია, გზაზე ეს ახალგაზრდა გადადიოდა

და მანქანის გამტაცებელი დასჯახებია... დასაფლავებისას უცებ წვიმა წამოსულა. მეზობლის მოხუცმა ქალმა, რომელიც მარჩიელობითა და შელოცვებით ირჩენდა თავს, უთხრა თურმე ჭირისუფლებს: "ბიჭის ხალათი თუ გაქვთ? მომიტანეთო". მიურბენინეს ხალათი, ჩადო წყლიან ტაშტში, ამოიღო, გაწურა და თოკზე გადაფინა... და იმ წუთშივე, თურმე, წვიმამ გადაიღო! ჩემი მეზობელი ამ ამბავს სრული სერიოზულობით მიყვებოდა, ღრმად დარწმუნებული, რომ იმ მოხუცმა ქალმა შეძლო წვიმის შეწყვეტა.

— კარგი იქნებოდა, ის მოხუცი ქალიც რომ წამოგვეყვანა სამოგზაუროდ, ბევრ ხიფათს გადაგვარჩენდა!

— მერე, ჩემო ყროყინავ, ერთდროულად ორი მგზავრის ტარება როგორ მოგეწონებოდა? ანდა ჩვენგან ერთ-ერთს ფეხით ჩანჩალი მოუწევდა... მხოლოდ მე კი არა, ყველაფერს უკუღმა ბევრნი ხედავენ: სიკეთეს — ბოროტებად, ბოროტებას — სიკეთედ... აი, აქაც: თურმე ამ ღვთით დალოცვილ ქვეყანაში ყველაფერი ბრწყინვალედ მიდის, რა კარგია! ადგილობრივი სულთანი ფრიად ბრძენი და კეთილია — ოღონდ ტახტზე ჯდომა გაიმყაროს და კუჭი გაიძღოს, ყველაფერზე წამსვლელია! ქვეყანა უკიდურესად გააპარტახა და ხალხი დააჩაჩანაკა, თურმე, რა ბედნიერები ყოფილან!.. ვინმე ხმას აღიმაღლებს და — გასაქცევად ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს, თუ არა და, ციხეში დაალპობენ ან იქამდეც არ მიიყვანენ — ქუჩაში მოკლავენ, რა მშვენიერია! შუა საუკუნეების ინკვიზიციის დრო ხომ არ არის, რომ განსხვავებული შეხედულებისთვის კოცონზე დამწვან! სამწუხაროდ, დღეს შეუწყნარებლობა ძალუმად გაბატონდა და, შესაძლოა, მავანი ხალხის მტრადაც გამოაცხადონ...

* * *

მოხდა მოულოდნელი ამბავი: ჩემთვის გამოყოფილ რეზიდენციაში ღამე მოულოდნელად ორი კაცი მესტუმრა და ფეხებში ჩამივარდა:

— თქვენთან ერთი ფრიად საიდუმლო და მეტად მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს, ბატონო ჩვენო! თქვენი გულისხმიერებისა გვჯერა, თქვენგან შველის იმედად მოვსულვართ!

— გისმენთ, მთლად ყურადღებად ვარ ქცეული!

— დაგვეხმარეთ თქვენი უმაღლესი ჯადოქრობით!

— დიდი სიამოვნებით, თუკი ეს ჩემს ძალებს არ აღემატება და ჩემი ძალისხმევა კეთილ საქმეს მოხმარდება.

— გევედრებით, მოიხმეთ ჩვენი უზენაესი მფარველის და თქვენი მეგობრის — ვირუკას — ღვთიური ძალა და როგორმე თავიდან მოგვაშორეთ ჩვენი ახლანდელი ძალად პრეზიდენტი, სინამდვილეში კი — ხონთქარი, სულთანი, ფაშა, ფადიშაჰი!

— რას ემდურით?

— ვემდურით კი არა... ისეთ გასაჭირში ჩავვარდით, სული კბილით გვიჭირავს! ჩვენმა სულთამხუთავმა სულთანმა, რომელიც საკუთარ თავს კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს უწოდებს, ჩამოაყალიბა პოლიციური მმართველობა, კარგი ბიჭი ხარ და ხმას ამოიღებ! რასაც უნდა, იმას ჩაგიდებენ ჯიბეში, — ნარკოტიკს და ბომბსაც კი... რასაც უნდა, იმას დაგაბრალებენ, დაგიჭერენ, წაგიყვანენ, გაწამებენ... ისე გაწამებენ, რომ მსოფლიოს პირველი ტერორისტი ბინ ლადენი ვარო, გათქმევინებენ! პოლიციას შეუძლია, დაგასახიჩროს და მოგკლას კიდეც, ჩვეულებრივად, ისე, თითქოს ქათამს, წაგაცლიან თავს. არადა, ქვეყანა გაყვლიფეს, ყველაფერი განადგურების პირას არის მისული! მმართველი პარტიის ლიდერებმა სულთანის თამადობით მთელი სიმდიდრე ხელში ჩაიგდეს, ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს: ტყეებს, მიწას, საძოვრებს, მდინარეებს — ყველაფერს უცხოელებზე ჰყიდიან, ხალხს ყველაფერს ართმევენ, არაფერს უტოვებენ და არც არაფერს ეკითხებიან... საკუთრების უფლება ჩვენთან არ არსებობს: თუ ხონთქრის "გუნდის" რომელიმე წევრს შენი სახლი მოუვიდა თვალში ან შენს ხარჯზე მიწის ფართის დაპატრონება მოისურვა, შინ ძალით შემოგივარდებიან, გარეთ გამოგიყრიან ოჯახს, სახლს დაგინგრევენ და მის ადგილზე უზარმაზარ სასტუმროს წამოჭიმავენ... მომგებიანი საწარმო თუ გაქვს, გაიძულებენ "აჩუქო", თუ ბანკში ანგარიშზე განსაზღვრული თანხა გერიცხება, მათი პარტიის — "ჩანჩალეთის საყოველთაო სიხარულისა და კეთილდღეობის სახალხო კავშირის" — ანგარიშზე უნდა გადააფორმო: "ხომ იცი, არჩევნები ახლოვდება და ნებაყოფლობითი შემოწირულებისთვის დიდ მადლობას გადაგიხდით! თუ არა და ჯიუტობა სანანებლად გაგიხდება!". თუ არ დაჰყაბულდი, დაგემუქრებიან: "ავარიაში მოხვდები ან დაგიჭერენ ნარკოზული ნივთიერების გავრცელებისთვის, ან ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისთვის, შვილებს გაიტაცებენ "უცნობები"... და ასე შემდეგ!

— სასამართლოში თუ იჩივლეთ?

— სადღა არის ჩვენში სასამართლო! იჩივლებ და "ცილისწამებისთვის" დაგიჭერენ, გვერდებს გემრიელად დაგიბეჟავენ და თავსაც გაგიტეხენ! მასაც არ გაკმარებენ: ჩაგაგდებენ საკან-ჯურღმულში და იქ ჩაგალპობენ! რამდენიმე წელიწადს მოგისჯიან "პოლიციისთვის წინააღმდეგობის გა-

წევისთვის” და კიდევ ერთი იმდენს დაუმატებენ: “სასამართლოს მიმართ თავხედურად უპატივცემულობის გამოხატვისთვის”!

— მე რა უნდა ვქნა, რის ძალა შემწევს? არჩევნები მოვა და გადაირჩიეთ!

— ხუმრობთ, ბატონო ღმერთის მოციქულო? სულთანის გუნდი ხუთასი წლის განმავლობაში არ აპირებს ხელისუფლების დათმობას, ცოცხალი თავით არ დაუშვებს კონკურენტის გამარჯვებას! ამისთვის ყველა და ყოველგვარ უკანონობას ჩაიდენს — ძალადობით, დაშინებით, მოსყიდვით, გაყალბებით თავისას მაინც გაიტანს... სხვა გზა არ დაგვრჩენია, ჩვენც ნებისმიერი ძალა ან ხერხი უნდა ვიხმაროთ ურჩხულის თავიდან მოსაცილებლად...

— სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას მთავაზობთ?

— მაშ, რა გზას დავადგეთ?

— ცოტა მადროვეთ, კარგად მოვიფიქრებ და...

მეორე ღამეს კიდევ მომადგნენ კარზე; ამჯერად სხვანი იყვნენ, თანაც — სამნი.

მათაც იგივე მთხოვეს:

— დაჩაჩანაკებული ქვეყნის ბედ-იღბალი ბეწვზე ჰკიდია! ფულის გულისთვის ყველაფერს ჰყიდიან, რაც კი შეიძლება გაიყიდოს, ლამის წინაპრების საფლავებიც გაიტანონ აუქციონზე! ეროვნული და სულიერი გადაგვარების რეალური საფრთხის წინაშე ვდგავართ! შეურაცხყოფენ ჩვენს ძირძველ სულიერ ფასეულობებს, აბუჩად იგდებენ მამაპაპისეულ ტრადიციებს... მოითხოვენ ახალ ენაზე ვილაპარაკოთ, ახალი, ჩვენთვის სრულიად უცხო და მიუღებელი ზნე-ჩვეულებები ვიწამოთ! გვიშველეთ, ბატონო ჩვენო, გვიშველეთ! აღარ შეგვიძლია ჩვენი ვითომ პრეზიდენტი სულთანისა და მისი ხროვის პარპაშის ატანა! მთელ ქვეყანაში განუკითხაობა მეფობს, მოსახლეობის ძარცვა-ღლეტაზე არიან გადასულნი... მართლმსაჯულება არ არსებობს — როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ!..

— ჩვენი ღმერთებად გამოცხადება კი მოგწონთ? როგორ გიშველოთ? გაანძრიეთ ხელი — საკუთარ თავს თქვენვე უნდა უშველოთ!

— ვინც ხმის ამოღებას გაბედავს, დედაბუდიანად ამოჟუჟავს! დაქირავებული ჯაშუშებისა და კაცისმკვლელების მთელი არმია ჰყავს! გემუდარებით: შეჰყარეთ რამე ჭირი, მიუგზავნეთ დაქირავებული მკვლელი, დაალევინეთ საუკუნო საძინებელი წამალი... სხვა გზა არ ჩანს!

— რამდენიმე დღეში ამ დროს მოდით, ჩემს პასუხს მოგახსენებთ...

მაშინვე ჩემს ვირუკას მივაკითხე მის სამეუფეო რეზიდენციაში — თავლაში. თავლა თქვი შენ და ბრწყინვალე სამეფო საცხოვრისს არაფრით ჩამოუვარდებოდა, უზარმაზარი საცურაო აუზიც კი ჰქონდა, მაშ! ათზე მეტი კაცი მხოლოდ მას ემსახურებოდა; ინგლისის სამეფო საჯინიბოებიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი გამოცდილი სპეციალისტები რაღაც საუცხოო სურნელის მქონე ნელსაცხებლით ნაზად ზელდნენ.

— ჩემო სოლომონ ბრძენო, ბოდიშს ვიხდი უდროო დროს მოსვლისთვის, მაგრამ საჩქარო საქმე მაიძულებს, შეგაწუხო!.. თქვენო უდიდყურებისობავ თუ უდიდყურებობავ, თუ უდიდყურებავ... ამ წოდებულებიდან ნეტავ რომელია სწორი? ჰო, რამდენიმე დღეა, უფრო სწორედ — რამდენიმე ღამე, ჩემთან მოდიან უცნობი პიროვნებები — ორ-ორნი, სამ-სამნი და მთხოვენ, ჩემი გრძნეული ძალით, რომელიც მე არ გამაჩნია, დავეხმაროო...

— რა მოხდა ისეთი? მადლი არ არის განა, რომ გაჭირვებულს შეეხიდო? კეთილი სიტყვაც ხომ უპირველესი წამალია... ერთს, შორს ქარავნით წასასვლელს, უსურვებ შინ მშვიდობით დაბრუნებას, გამწარებულ ოჯახის ქალს დაჰპირდები, რომ მისი ქმარი თავს დაანებებს უზომო ღვინის სმას, ან — ფულზე თამაშს, ან — ბოზებში გართობას...

— არა, მათ კერძო გასაჭირი კი არ აწუხებთ... სურთ, მხარში ამოვუდგე, რათა როგორმე თავიდან მოიშორონ მათი პრეზიდენტი ალი ბაბა ავლაბრელი, რომელსაც ქვეყანაში უსამართლობის დამკვიდრებას, სისასტიკესა და ათასგვარ სხვა დანაშაულში სდებენ ბრალს...

— გთხოვენ, “განკურნო” ალი ბაბა?

— სოლომონ ბრძენო, კარგად მოგეხსენება, რომ მე არ გახლავარ წინასწარმეტყველი, არ გამოვდგები არც მხსნელად და არც სულიერ მკურნალად; გარდა ამისა, სამწუხაროდ, სიხარბე, პატივმოყვარეობა, ძალაუფლებისკენ ავადმყოფური ლტოლვა, სისასტიკე, — წესისამებრ, — თითქმის განუკურნავია...

— თუ მართლაც ასეა, იქნებ ისე მოვაწყოთ, რომ ცოტათი დავეხმაროთ ბატონ პრეზიდენტს და მოულოდნელად გავიდეს გაღმა მხარეს?

— რას ამბობ, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი, უწყინარი მოგზაურები ვართ! არაფრად გვარგია ხათაბალაში გახვევა, ეგ ჩვენი ბუნებისთვის სრულიად უცხოა!

— ვხუმრობ, გენაცვალე, ვხუმრობ! რა თქმა უნდა, ეს მათი ქვეყნის შინაური საქმეა, ჩვენი ჩარევა არ არის სასურველი და მიუღებელიც კი გახლავს!

— ყოყინავ ჩემო, იქნებ მართლაც არ არსებობს ასეთი შეშფოთების საბაბი? პირიქით, იქნებ არც ისე ცუდად გვაქვს საქმე? ხომ ხედავ, კერძოდ, შენ ასეთი პატივით მიგიღეს...

– დიახ, სწორედ ეს აშფოთებს ალი ბაბას, რომ ახალი, გავლენიანი ძალა გამოვჩნდით მის საუფლოში და, შესაძლოა, ჩვენი მრავალ მხარეში მოგზაურობით გამოწრთობილი სხეულის რბილი ნაწილები შამფურზე წამოცმულიც სიამოვნებით ააშიშხინოს! მანამდე ალბათ ჩვენი ცოტა მოსუქება გადაწყვიტა!

– მაკვირვებ, ხომ იცი! ხან მაშინებ, ლამის კაციჭამიებთან გვაქვს საქმეო, ხან კი მეუბნები, რაღაც ხეირსაც კი ნახავო...

– რატომ გიკვირს? ბატონი პრეზიდენტი, ალი ბაბა ავლაბრელი, ფაქტობრივად – შაჰინშაჰი, ფრიად ექსტრავაგანტური პიროვნებაა და უცნაური გადაწყვეტილობების მიღების დიდი მოტრფიალეა! მაგალითად, საკადრო საკითხებში. ვიცი, ჩვენ დიდ პატივს გვცემს, დიდად გავამხიარულეთ ჩვენი ორიგინალური ფორმით სტუმრობით და, თავის მხრივ, შესაძლოა, არ დაახანებს და საპასუხოდ ფრიად ორიგინალურ სვლას გააკეთებს... დიდ ღმერთად ხომ ინება შენი დანიშნვნა, ამით არ დაკმაყოფილდება და...

– საქველმოქმედო კონცერტზე ჩემი ვოკალური მონაცემების გამოვლინებას ხომ არ მთხოვს?

– არც ეგ არის გამორიცხული, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, უფრო სერიოზულ მისიას დაგაკისრებს!

– მაგალითად, კონსერვატორიაში სოლო სიმღერის კათედრის გამგედ დამნიშნავს?

– რატომაც არა? თუმცა, მე მგონია, მეტად დაგაფასებს და კონსერვატორიის რექტორობას ჩაგაბარებს ან ახალჩამოყალიბებული კულტურის, განათლებისა და კანალიზაციის მინისტრის პორტფელსაც კი შემოგთავაზებს!

– ღმერთი აღარ ვიქნები?

– ღმერთის გაკეთებული საქმე ჯერ არავის უნახავს, ცოცხალი საქმის კეთება არ ჯობს?

– კონსერვატორიის ხელმძღვანელობას ნაღდად შევძლებ, აი, მინისტრობას თუ დავთანხმდები, საკითხავი ეგ არის, ჰი-ჰი-ჰი!..

– რა გაცინებს? ჭყინტი ასაკის ახალგაზრდა, რომელსაც საშუალო განათლებაც არ აქვს მიღებული და მხოლოდ მთიულური ხინკლის გაკეთების გამოცდილების ამარაა, სახინკლედან პირდაპირ ეკონომიკის გიგანტური ტემპებით განვითარებისა და სახალხო მეურნეობის არნახული წარმატებების მინისტრად დანიშნა; შენ რითი ხარ ნაკლები?

– არა, მაგ საქმეს მე ვერ ვიკისრებ! მინისტრობას სხვა საქმეს ვამჯობინებ...

– ჰო, მდელოზე ბალახის ძოვას, კუდით ბუზ-ქინქლის მოცილებას, მგლების ტლინკების ყრით მოგერიებასა და, შიგადაშიგ, გამაყრუებელი ყროყი-ყროყი-ყროყინით ქვეყნიერების გამხიარულებას ამჯობინებ!

– რატომაც არა? მაგის გარდა, იცი, მთელი სიცოცხლე ოცნებად მაქვს გადაქცეული რაღაც დიდის, გრანდიოზულის აშენება... აი, მაგალითად, ალი ბაბა ავლაბრელმა რომ შემომთავაზოს მისი დედაქალაქის მთავარ მოედანზე 500-მეტრიანი სიმაღლის კოშკის აშენება – მსოფლიოში ყველაზე მაღალის! – და მის არქიტექტორად თუ დამამტკიცებს, დიდად ბედნიერი ვიქნები!

– რატომ? იმ სიმაღლიდან ახალი მოძღვრება უნდა იქადაგო, ბატონო ღმერთო?

– წარმოიდგინე, ნახევარი კილომეტრის სიმაღლიდან რომ დავიყროყინებ, რა ეფექტი ექნება! ჰი-ჰი-ჰი!.. ან ჩვენმა საყვარელმა – შაჰია თუ ხონთქარი – უფრო ძნელი საქმე რომ დაგვავალოს, რომელ სოროში შევძვრეთ? აი, მაგალითად, უკვდავების წყალი მომიტანეო, რომ ისურვოს? ჰი-ჰი-ჰი!.. ისევ გვირაბში ხომ არ მოგვიწევს სტუმრობა სასიცოცხლო წყლისთვის და ალქაჯთან გულითადი საუბარი? ჰი-ჰი-ჰი!..

– სასაცილოდ და სახუმაროდ სულ არ გვაქვს საქმე, ჩემო ყროყინავ! ვატყობ, ჩემთან მოგზავნილნი არიან ალი ბაბა ავლაბრელის მსტოვრები, ჩვენი ზრახვების გაგება სურთ! ალბათ კიდევ რამდენიმე ჯგუფს უნდა მოველოდე "სტუმრებისა", რომლებიც წინამორბედებივით დაიწყებენ ქადაგებას, რომ ალი ბაბამ ისეთი ტერორისტულ-პოლიციური სახელმწიფო შექმნა, მის წინააღმდეგ ბრძოლის ყოველი კანონიერი, კონსტიტუციური გზა უნაყოფოა, ამიტომ სხვა გამოსავალი არ დაგვრჩენია, ტერორისტული აქტით უნდა მოვიცილოთ, მით უმეტეს – ალი ბაბამ თავისი წინამორბედი სწორედ ამგვარად, ძალადობრივად ჩამოაგდოო... ალი ბაბას უნდა, გამოიყენოს ჩვენი "ცით მობრძანება" საკუთარი მიზნებისთვის, თორემ ასეთ საბრძანებელს გიბოძებდა?

– როგორ?

– როგორ და სახელი შებღალული აქვს, ძალაუფლების დაკარგვისა ეშინია და ჩვენ უნდა დავადასტუროთ, რომ ბატონი ალი ბაბა ავლაბრელი ჭეშმარიტად გახლავს ღვთის მიერ რჩეული; ის ჩვენს მიერ მოვლენილი და ხელდასმული მხსნელია ამა ქვეყნისა ყოველთა გასაჭირთაგან და ამიტომ ის უნდა იჯდეს ტახტზე მარად, ყველამ უნდა აღიაროს გენიოსად, შეუმცდარ მმართველად, გამოუცხადოს მას სრული მორჩილება და უსაზღვრო ერთგულება... თუ არ დავთანხმდებით, გამოგვაცხადებს პირადად მისი ლიკვიდაციისთვის მოვლენილ და ხალხის სამტროდ მოსულ მზაკვრებად,

რომელთა სასწრაფო განადგურებაც ქვეყნისთვის უპირველეს და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს!

– ჩვენ რა ავი განზრახვა უნდა გვქონდეს? ალი ბაბას ლიკვიდაცია? სისულელეა!

– ამას წყალი არ გაუვა, მშვიდობიანი მოგზაურები ვართ, თანაც – მათთან ხომ სრულიად შემთხვევით მოვხვდით! მაგრამ ახლა სულ სხვა საკითხია ჩვენთვის ფრიად საჭირბოროტო: ხიფათი გველის და რა უნდა ვქნათ?

– რა და... მე მგონი, შენი ვარაუდი საფუძვლიანია: ამ შენთან სათხოვნელად მოსული ჯგუფებიდან ერთ-ერთი მაინც სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შენიღბული წარმომადგენლები არიან... და თუ მხოლოდ ჩვენი ხაროში ჩაგდებით დაკმაყოფილდებიან, დიდად მადლობელი უნდა დავრჩეთ! ჩვენ ახლა არ გვაქვს საკმარისი დრო და არც დიდი სურვილი, რომ გარჩევა დავიწყოთ, რომელი ჯგუფი რას წარმოადგენს, ჰოდა, სანამ არ დაგვიჭირეს, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ავორთქლდეთ აქედან!

– სოლომონ ბრძენო, მართალი ბრძანდები, ხომ იცი: ალი ბაბა ავლაბრელს ხუმრობა არ უყვარს და ალბათ დილეგში ჩაყუდებას არ გვაკმარებენ, შიმშილით სულს ამოგვხდიან და ყოველდღე ცემით დაგვასივებენ... საჩვენებელ სასამართლო პროცესსაც მოგვიწყობენ და იქ რა განაჩენსაც გამოგვიტანენ, ამის წინასწარმეტყველება ჩვენისთანა ღმერთებსაც კი გაუჭირდებათ...

– ამაზე ვოცნებობდით ჩვენ მოგზაურობის დაწყებისას?

– ჰოდა, "საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს!", უკეთესია, დროზე მივხედოთ ჩვენს საქმეს – გავაგრძელოთ მოგზაურობა. თუ შენ აქ ღმერთად ყოფნა გირჩევნია?

– მირჩევნია, დროულად გავიპაროთ აქედან!

– ბიჯო! შენა შეცდი გვარიანადა, ხომ იცი! მოგზაურობას თუ აპირებდი, ჩემისთანა ოთხფეხა კი არა, ბარემ ერთი არწივი აგერჩია ან კონდორი, ან მთლად უკეთესი – ფასკუნჯი! მთელ მსოფლიოს ბედნიერად მოგატარებდა!

– სოლომონ ბრძენო, ბევრი იფიქრე, სანამ ამ სიბრძნეს მიაგნებდი? შენ ბუნების სრულ კმაყოფაზე ხარ, საცა გავჩერდებით, იქ მოსძოვ, მე კი სად მეშოვნა არწივის სამყოფი ხორცი? და თუ უცებ შემოაკლდებოდა ლუკმა, – ხორცის მეტს არაფერს მიირთმევს, – ჩემი ბარძაყიდან უნდა მომეთალა ნაჭერი და მის დაღებულ პირში ჩამედო, როგორც ზღაპარშია მოთხრობილი? მადლობელი გახლავარ! და, თუკი მოგზაურობიდან დაბრუნება შევძელი, როგორ გგონია, ჩემგან რამე დარჩება? მზად იყავ, შესაფერისი დრო შევარჩიოთ აქედან გასაპარავად!

წამოვედი და დავიძინე; სიზმარში შინ მშვიდობით დავბრუნდი და ის იყო, ხელები გავშალე ცოლ-შვილისა და შვილიშვილის გულში ჩასაკრავად, რომ...

– გაიღვიძე, ბატონო ღმერთის მოადგილევ, დროზე წამოდექი!

ვხედავ: ორი ორმეტრიანი ჯეელი მაქანჯალებს... მათ გვერდს უმშვენებს ავტომატებით შეიარაღებული ათეული.

– რა მოხდა, სახლს ცეცხლი ხომ არ უკიდია?

– ნაბრძანები გვაქვს – ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდე!

ვატყობ, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ აქვს, ვირუკაც შორსაა, რომ ტლინკებით მაინც დამეხმაროს...

წავყევი... შიში არ მაქვს – ჯანდაბას ჩემი ბებერი თავი, დარდად მხოლოდ ის მიმყვება, რომ ამ წიგნის დამთავრებას ვერ მოვასწრებ... არა, კიდევ უამრავი რამ მაქვს სადარდებელი: ჩემი უმცროსი ვაჟის დაქორწინება, შვილიშვილის, სოსიკოს, კენტად დარჩენა არ მინდა, კიდევ მისი რამდენიმე და და ძმა მსურს, ვნახო, როგორები იქნებიან...

მანქანით მივდივართ, მგონია, სადღაც ქალაქგარეთ ნაგავსაყრელზე ან მიგდებულ მაღაროში გამიყვანენ...

გარშემო სულ უბადრუკი ქოხმახებია, მათ შუაგულში – ბატონ პრეზიდენტის მარმარილოს დიდებული სასახლე მბრწყინავ კილიმანჯაროს მთასავით ამართულა.

და ჰოი, საკვირველებავ! პრეზიდენტის უზარმაზარი სასახლის უზარმაზარი ბაღის უზარმაზარ რკინის ჭიშკარს გვერდი ავუარეთ, რადგან იქაურობა გადაშავებული იყო ცალკერძ პოლიციელების მუნდირებით და კიდევ მეტი – მოყაყანე უზარმაზარი ბრბოთი. იქვე პატარა ტრიბუნასავით მოეწყოთ და იქიდან მეგაფონით გამხდარი ახალგაზრდა რაღაცას ამცნობდა შეკრებილთ... სიტყვები ვერ გავარჩიე, რადგან მანქანამ სწრაფად ჩაუქროლა იქაურობას, მიუხვია, მოუხვია და სადღაც გვირაბში შევიდა... იქ ცოტა ხანს შევყოვნდით, სანამ დაჯავშნულ კარს გააღებდნენ, შემდეგ გზა განვაგრძეთ... ერთი ორას-სამასი მეტრის გავლის შემდეგ შევგრიალდით დიდ ოთახში, იქ ლიფტში შემიყვანეს და ალბათ ათიოდე სართულით მაღლა ავედით... მატარეს, მატარეს, თანმხლებნი რამდენჯერმე შეიცვალნენ – როგორც ესტაფეტას, ისე გადამცემდნენ მორიგ ორმეტრიან ჯეელებს; შემდეგ რამდენიმე კარი გაგვიღეს, სამი-ოთხი ოთახი და დერეფანიც განვვლეთ და, ბოლოს, უზარმაზარ, შუშისგუმბათიან დარბაზში შემიყვანეს.

“პლანეტარიუმში ხომ არ მოვხვდი? – გავიფიქრე, – ახლა ვარსკვლავთმრიცხველობა არ დამაწყებინონ!”.

გავიხედე: ძვირფასი ჯიშის ხეთაგან გამოხარატებული ნაჭრებისგან მხატვრულად აწყობილ იატაკზე დგას სავარძელი, სავარძელზე ლეოპარდის ტყავია გადაფენილი, ხოლო ამ ტყავზე ალი ბაბა ავლაბრელი გაბღენძილი ზის; სრულიად ჩვეულებრივი სავარძელია, ოღონდ – მასიური, მკვიდრად ნაკეთები, მე კი მეგონა, რომ ბატონი პრეზიდენტი აუცილებლად მეფის შესაფერის ოქროს ტახტზე მჯდარი იღებდა მომაკვდავთ... და თვალებს არ ვუჯერებ: ნიფხვისამარა ალი ბაბა ჩვეულებრივ მოთუთიებულ დიდ ტაშტში ფეხებს ითბილავს! სრულიად ჩვეულებრივში, კაცო!.. წყლის მოლივლივე ზედაპირზე ირეკლება-იკლაკნება მისი ბრტყელი ცხვირი და გაბუშტული ლოყები; იმავდროულად, საზამთროსაც მიირთმევს – გვერდით პატარა მაგიდაზე ბანანი, ატამი და სხვა ხილიც საკმაოდ ლამაზ ნატურმორტს ჰქმნის; იქვე დგას კონიაკის გახსნილი ბოთლი – ნახევრამდე დაყვანილი “ნაპოლეონი”...

მშვენიერი სანახავი იყო ტანკენას ოფიციალურად – პრეზიდენტად წოდებული, ფაქტობრივად კი – შაჰინშაჰი, დიდი ხონთქარი, მეფეთ მეფე, ალი ბაბა ავლაბრელი; დიახ, ჭეშმარიტად ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც ასეთი ლამაზი პრეზიდენტი ჰყავს! ჯერ ერთი, მხოლოდ მისი კარგად შემოსული ღიპი ღირდა ერთ რამედ: სანაქებო მადისა და ჯანმრთელი კუჭის დამსახურება ნათლად აისახებდა მის გაბარიტებზე – ალბათ მის შემხედვარე ბატონ ლუარსაბ თათქარიძეს საკუთარი ლამაზი, ღაჟღაჟა ლოყები შურით ნაღდად გაუნაცრისფრდებოდა; ოქროს უზარმაზარი, ბროლის ნაკეთობებით გაწყობილი, გაკაშკაშებული საუცხოო ჭაღის ანარეკლები მხიარულად ცეკვავდნენ მელოტ თავზე... ეს ჭაღი ალი ბაბას განსაკუთრებული სიამაყის საგანი გახლდათ: მის გასანათებლად ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერგიის ნახევარი იხარჯებოდა, სამაგიეროდ, იგი გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში იყო შეტანილი, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი და ყველაზე ძვირადღირებული – ალი ბაბამ საგანგებო დაკვეთით გააკეთებინა პარიზში, რაზეც ქვეყნის წლიური ბიუჯეტის თითქმის ნახევარი დაიხარჯა! ჰო, არ გამოგვრჩეს: ბატონ პრეზიდენტის წინ ეშვებივით გამოშვერილი მსხვილი კბილებიც სულ ელავს – ალი ბაბა მარად იკრიჭება, ფრიად მხიარული კაცი ჩანს!

ალი ბაბას წინ ქალი და კაცი იდგნენ, მეორე კაცი კი, ცალ ფეხზე ჩამუხლული, ბატონ პრეზიდენტს ფეხებს ჰბანდა; არც იყო გასაკვირი – ალი ბაბას, სანაქებო ღიპის პატრონს, წინ დახრა უჭირდა. იმის მიხედვით, თუ როგორი სიფაქიზითა და სიყვარულით ელოლიავებოდა მხოლოდ თითოეულ ფეხს კი არა, თითსაც კი, დამბანი, როგორი სიამოვნებისა და სიამაყის განცდაც ეწერა პირმრგვალ სახეზე, ცხადად ჩანდა, რომ დაკისრებულ საქმეს ფრიად საპატიო მოვალეობად თვლიდა. სამივე ვიცანი: ჩამუხლული მამაკაცი ტანკენას პარლამენტის თავმჯდომარე დათიკია დევთამძლეველი იყო; თავის რიგს ანუ მეუფის ფეხის გამშრალების საპატიო მოვალეობის შესრულებას, მოწიწებით თავდახრილი პრემიერ-მინისტრი ბერიკა ბერბიჭაული ელოდა – მკლავზე გადაფენილი ჰქონდა ფეხის შესამშრალებელი ფუმფულა ტილო; ხოლო ახალგაზრდა პირმშვენიერი, ტურფა ქალბატონი, მწვანეთვალება მადონა მდივანბეგაძე, პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსი, ცალ ხელში დიქტოფონით იყო შეიარაღებული, ხოლო მეორეთი ბატონ პრეზიდენტის ბანჯგვლიან მკერდს ეფერებოდა ნაზად, ნაზად...

დიდებული სანახაობაა, ღირსია ველასკესის ფუნჯით უკვდავყოფისა! სამწუხაროდ, მე ველასკესის ერთი მეასედიც არ შემიძლია, ამიტომ ფერადი ფოტოთიც დავკმაყოფილდებოდი, მაგრამ აპარატი არ მაქვს და მობილური ტელეფონიც კი ვერ მიშველიდა: ამ დარბაზში შემოყვანამდე ხონთქარის დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა საგულდაგულოდ გამჩხრიკეს და რვეული და ფანქარიც კი ჩამომართვეს...

– ღმერთმა დასწყევლოს ეს დემონსტრატებიცა და ასეთი ფეხის ბანაც! – ალი ბაბამ პირდაპირ კონიაკის ბოთლიდან მოსვა რამდენიმე დიდი ყლუპი. – მაშ, რაზე შევჩერდი?

მადონამ ფირი უკან გადაახვია, შემდეგ ისევ ჩართო დიქტოფონი და ბატონ პრეზიდენტის მიერ ნაკარნახევი უკანასკნელი რამდენიმე წინადადებაც მოვისმინე: “იმედია, ჩვენი ქვეყნის ფართე საზოგადოებრიობა დიდი მოწონებით შეხვდება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უდიდეს მოვლენას – მორიგ ეტაპს რეორგანიზაციისა, რეკონსტრუქციისა და...”

– ეს ვინ არის? – მოულოდნელად ჩემი შვილიშვილის საყვარელი კითხვა წარმოსთქვა ბატონმა პრეზიდენტმა და უგემურად შემათვალიერა.

– თქვენო უბრწყინვალესობავ, ეგ გახლავთ... – წამოიკნავლა პრემიერ-მინისტრმა.

– რეგვენო, რას მასწავლი, შენზე უკეთ ვიცი, ვინც ბრძანდება, მე იმას ვკითხულობ, ვირი რატომ არ მოიყვანეთ? – იგრგვინა შაჰინშაჰმა და ირგვლივ მიმოიხედა; სხვა შესაფერისი საგანი რომ ვერ ნახა, ბოლომდე შეუჭმელი საზამთროს ნაჭერი შიგ შუბლში მარჯვედ სთხლიშა პრემიერ-მინისტრს, შემდეგ სველი ხელისგული მის წინ ჩამუხლული პარლამენტის თავმჯდომარის თმებზე შეიწმინდა. – ვირი აქ გააჩინეთ!.. დაუყონებლივ!

— ახლავე, თქვენო უბრწყინვალესობავ, განკარგულებას გავცემ... — პრემიერ-მინისტრმა ვერ გაბედა ბატონ პრეზიდენტის ფეხის გასამშრალებლის გამოყენება, რომელიც მარცხენა მოხრილ მკლავზე ჰქონდა გადაფენილ-გამზადებული, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და მოთხვრილი სახისა და წითლად შეღებილი ტანსაცმლის წმენდა დაიწყო.

— ალი ბაბა — ერის მამა! — მოისმა უცებ უცნაური მჩხავანა ხმა.

გავიხედე: ბატონ პრეზიდენტის თავზევით გალია ჰკიდია, ეს გამყივანი ხმა კი მასში მჯდომ ნაცრისფერ თუთიყუშს ეკუთვნის, რომელიც მოუსვენრად წრიალებს, დასაჯდომ წკირზე ფეხებს ინაცვლებს და მრგვალ თვალებს აბრიალებს.

ხონთქარი მადონას მიუბრუნდა:

— გავაგრძელოთ! ჩვენი მორიგი კეთილშობილური ინიციატივა, უეჭველია, დიდ კმაყოფილებას და მხურვალე მხარდაჭერას გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ფართე ფენებში, განსაკუთრებით კი იმათ შორის, ვინც ახლა განიცდის განსაზღვრულ უკმაყოფილებას საქმეების მიმდინარეობის გამო...

პრემიერ-მინისტრმა ფეხის სამშრალებელი გამომიწოდა და, როცა ჩემგან მისი გამორთმევის მაგივრად მხოლოდ ღიმილს ეღირსა, დაბნეული აწრიალდა — როგორ მოიქცეს?..

უხერხული მდგომარეობა მშვენიერმა ქალბატონმა განმუხტა — იმ წამსვე მიცქრიალდა და პრემიერ-მინისტრს ფეხის საწმენდი ტილო გამოართვა.

— ...მაგრამ მმართველი პარტიის ამ სამოქმედო პროგრამის სრულყოფილად განხორციელება მოითხოვს მოსახლეობის ფართე მასების მხრივ ფართო და უპირობო მხარდაჭერას, რისი იმედიც ნამდვილად გვაქვს... მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი თქვენი საყვარელი პრეზიდენტის მიერ დასახული ამ გრანდიოზული წამოწყების განხორციელება... ჩვენი მიზანია: უპირველესად, მუშები სრულად დასაქმდნენ, გლეხებმა, წვრილმა და საშუალო მეწარმეებმა მიიღონ იაფი კრედიტები... თითებშუა კარგად გამოასუფთავე, ნუ გეზარება... ბანკირებსა და მსხვილ მეწარმეთ ჩვენ აღვუთქვამთ უფრო მაღალ და სტაბილურ მოგებებს... ფეხისგულზე კიდევ მომფხანე, მეამება... ქვეყანას ვპირდებით დემოკრატიული ინსტიტუტების კიდევ უფრო განმტკიცებას, მდგრად ეკონომიკურ წინსვლას, ყოველგვარი კრიზისების თავიდან აცილებას... ჰი-ჰი-ჰი! — უცებ ჩაიხითხითა ალი ბაბამ, — ქვეყნის მართვა რატომ უნდა გაართულო? მარტივად უნდა მიუდგე: ყველას ყველაფერს დაჰპირდე, ჰი-ჰი-ჰი!.. მოძველებული საპარლამენტო სისტემა კი დავასაჭურისე, მაგრამ ქვეყანაში საბოლოო სიმშვიდისა და სტაბილურობის დასამკვიდრებლად კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ჰი-ჰი-ჰი!.. ეგ არ ჩაწერო!

— ალი ბაბა — დემოკრატიის შუქურა! — გააგრძელა თუთიყუშმა.

ბატონმა პრეზიდენტმა თუთიყუშს მიმართა:

— ჟაკო-მამაძაღლო, მშვენიერი აზრი დამებადა: შენნაირი ნაცრისფერი თუთიყუშებით უნდა დავაკომპლექტო ჩვენი ძლევამოსილი პარლამენტი!

— ალი ბაბა — დიდი მოაზროვნე! — არ დააყოვნა თუთიყუშმა.

— ჰი-ჰი-ჰი! — გაეცინა პრეზიდენტს. — დიდი ჯიბიდან გავარდნილი ვინმე ბრძანდები!

— ალი ბაბა — თავისუფლების ბაირაღი! — არ ისვენებდა ჟაკო.

— ნეტავ რა უნდა? — ვიკითხე.

— გალიიდან გამოშვებას მთხოვს.

— ცოდოა, გამოვუშვათ...

— ჰი-ჰი-ჰი, რომ იცოდე, რა სიმყრალეს ამოუშვებს პირიდან, უფრო სწორედ — ნისკარტიდან! მადონა, ჭირიმე, გამოაღე გალიის კარი, ასეთ ჭკვიან არსებას თავისუფლად განავარდების საშუალება მივცეთ!

პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსმა მეუფის ბრძანება შეასრულა და ჟაკომ ჯერ ოთახში გაიფრინ-გამოიფრინა, მერე ხონთქრის ფერწერული პორტრეტი რომ ეკიდა პირდაპირ კედელზე, იმის ჩარჩოზე ზემოდან ჩამოჯდა.

— ალი ბაბა — დიქტატორი! — დაიჩხავლა ჟაკომ და მოკაუჭებული ნისკარტი ჩარჩოს დაუკაკუნა.

მართლაც დიდებული პორტრეტი გახლდათ: მთელი ტანით გამოსახული ბატონი პრეზიდენტი გენერლის ფორმაშია გამოწკეპილი, მისი მკერდი უთვალავი ორდენ-მედლით არის მოჭედილი, მხარიღლივ გადადებული ფართე წითელი აბრეშუმ-ატლასის ბაფთაც მთლიანად დაფარულია ჩამოკონწიალებული ჯილდოებით.

— ალი ბაბა — ერის მოღალატე!.. ალი ბაბა — ჯალათი! — არ ისვენებდა ჟაკო.

— არ გაგიკვირდეს, მე ვასწავლე — მსიამოვნებს, ხომ იცი, ერთი ვინმე მაინც თუ მიბედავს სიმართლის პირში თქმას, ჰი-ჰი-ჰი!..

ხონთქრის მხიარული განწყობილების გამოყენება სცადა პრემიერ-მინისტრმა ბერიკა ბერბიჭაულმა და წელში მოხრით ალი ბაბას შეჰკადრა:

— ბატონო პრეზიდენტო, ტანკენას სახელმწიფო ხაზინაში თაგვები დავლურს უვლიან, სტერილური სისუფთავეა, არადა, რამდენიმე საგარეო სესხის გასტუმრების ვადაც მოვიდა და ვალის ნაწილის მაინც სასწრაფოდ გადახდა მოგვიწევს, სანამ ახალი სესხის აღებას მოვახერხებდეთ...

— ეგ რა პრობლემაა? — გაუკვირდა ფადიშაჰს, — სახელმწიფო რკინიგზა გავყიდოთ!

— უკვე ორი წელია, გაყიდულია...

— მაშინ — პორტები...

— ყველა — ოთხი წლის წინათ ერთიმეორის მიყოლებით გავასაღეთ...

— მუმბაის პორტიც? მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია, დიდ მაყუთს მოგვიტანს!

პრემიერ-მინისტრი უხერხულად შეიშმუშნა:

— ბატონო პრეზიდენტო, მუმბაი ინდოეთშია, ჩვენ არ გვეკუთვნის...

— მერე რა? გავყიდოთ! და სანამ მეპატრონეები აზრზე მოვიდოდნენ, ჩვენ ჩვენსას გავინაღდებთ! მერე ირბინონ საერთშორისო სასამართლოებში და გვიჩივლონ, როგორც უნდათ და რამდენიც გაუხარდებათ!

— ბატონო პრეზიდენტო, ამ... ამ წამოწყებას განხორციელება არ უწერია, ანკესზე არავინ წამოეგება...

— ალი ბაბა — სინდის-ნამუსის გამყიდველი! — დაიჩხავლა ჟაკომ.

— უყურე ამ თახსირს, ეგ მე არ მისწავლებია! — გაბრაზდა ხონთქარი. — კიდევ რა გვაქვს? სახნავ-სათესი მიწები?

— აღარაფერი დაგვრჩა... რაც სახელმწიფო რეზერვში გვქონდა, ყველა უცხო ინვესტორებს გადავეცით.

— კერძო საკუთრებაში მყოფნი?

— ახლახან ეტაპობრივად მათი ჩამორთმევა დავიწყეთ უცხოელთათვის მისაყიდად, მაგრამ ორ პროვინციაში უკვე გლეხთა და ფერმერთა აჯანყებამ იფეთქა და სამშიც პრობლემებს ველით. ასეთ დაძაბულ ვითარებაში მიწებს უცხოელი აღარავინ იყიდის, ჯერჯერობით მაინც...

— ჰო, საძოვრები?

— აქაც იგივე პრობლემები წამოიჭრა...

— ტყეები?

— ტყეები ხუთი წლის წინათ გავყიდეთ და ახლა ისინი პირწმინდად გაჩეხილია და მასალა საზღვარგარეთაა გატანილი. ასი წელიწადი მაინც უნდა მოვიცადოთ, რომ ტყეები აღდგეს...

— მდინარეები?

— მდინარეებიც უცხოური კერძო კომპანიების ხელშია, ნიანგების ხელჩანთები და ქურთუკები დიდ მოდაშია და ნიანგების მთელი პოპულაცია უკვე თითქმის ამოწყვეტილია... ახლა წამოწყებულია დიდი სარეკლამო კამპანია, რათა ჰიპოპოტამების ტყავის ნაწარმზე გაჩნდეს მოთხოვნილება — ქურთუკებზე, ფეხსაცმელზე, ქუდებზე და ასე შემდეგ.

— ეროვნული პარკები და დაცული ტერიტორიები?

— დიდი ხანია, გავასხვისეთ და იქ მონადირეთა და კინო-ტელეოპერატორთა ჯარია შესეული: უნიკალური კადრები უნდა გადაიღონ — უკანასკნელი სპილოს, უკანასკნელი ჟირაფისა და უკანასკნელი ლომის მონადირების სცენები უკვე გადაღებულია და დარჩა მხოლოდ უკანასკნელი ანტილოპას სიცოცხლის უკანასკნელი წუთების უკვდავყოფა...

ბატონი პრეზიდენტი ფიცხლად მიუბრუნდა პირად მდივანს:

— მადონა, სასწრაფოდ შეატყობინე, რომ მაგ ანტილოპის ხორცს ხელი არავინ ახლოს! მონადირებისთანავე სასწრაფოდ მე გამომიგზავნონ, თორემ ყველას თავებს დავა-ყრევინებ! ახლავე იზრუნე, რომ სასწრაფოდ გაიგზავნოს და სასწრაფოდ აღსრულდეს ჩემი ბრძანება! არ დაგავიწყდეს: როგორც კი ჩემი ფეხის ბანის ცერემონიალს მოვრჩებით, მაშინვე წადი და სასწრაფოდ მოაგვარე ეგ სახელმწიფეობრივი მნიშვნელობის საქმე!

— ალი ბაბა — ხარბი ღორი! — არ ისვენებდა ჟაკო.

— მე არც ეგ მისწავლებია! — წამოიძახა ალი ბაბამ და პრემიერ-მინისტრს მიმართა: — ბერიკა თავგასიებულო, აუცილებლად გამირკვიე, აუცილებლად და სასწრაფოდ მომახსენე, ვინ მითხრის ძირს!.. ჰო, რაღა დაგვრჩა კიდევ გასაყიდი?

— თქვენი საპრეზიდენტო რეზიდენციები ტანკენას რვავე პროვინციაში და დედაქალაქში კი — საპრეზიდენტო სასახლე მიმდებარე ზოოლოგიური პარკით, სახოხბეთი და საფარშევანგეთი, გედებიანი გუბურათი, ღია და დახურული საცურაო აუზებით, საჩოგბურთო კორტებით, კრიკეტის მოედნით, ფინური საუნათი... აგრეთვე: საპრეზიდენტო საჩუქართა მუზეუმი, სურათების გალერეა, პირადად თქვენი კუთვნილი ორი შველი, ოთხი ინგლისური წმინდასისხლიანი ბედაური და სანადირო ძაღლები!

— პარლამენტის შენობა?

— უკვე გასაღებულია, ჩვენო მბრძანებელო! — წამოიკნავლა პარლამენტის თავმჯდომარემ დათიკია დევთამძლეველმა. — უკვე ერთი წელიწადია, პარლამენტის სხდომები არ გამართულა — შენობა აღარ გვაქვს...

— იქ მსხდომი პარლამენტარი მუქთამჭამელები მაინც არაფრის გამკეთებლები იყვნენ და ჩემი ბრძანებულებებიც სავსებით საკმარისია ქვეყნის სამართავად, მაგრამ მაინც სამწუხაროა, რომ პარლამენტის შენობა უკვე გაყიდულია... ჩემს პროვინციულ რეზიდენციებსა და პრეზიდენტის სასახლეს კი ცოცხალი თავით არ დავთმობ! ეს ყოვლად დაუშვებელია, ქვეყნის პრესტიჟს ძირს გამოუთხრის, ვინღა დააბანდებს აქ კერძო ინვესტიციებს!.. კიდევ რა? ჰო, კილიმანჯაროს მთა გაიტანეთ საერთაშორისო აუქციონზე! ამას ხომ არ შეუშლის ხელს რაიმე?

— არა, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ... ამ აქციის ჩატარებას დრო დასჭირდება, ფართე სარეკლამო კამპანიის ჩატარება მსოფლიო მასშტაბით, მანამდე კი რა ვქნათ? ამ კამპანიისთვისაც თანხები მოსაძიებელი იქნება... კრედიტორები უკვე დაბეჯითებით გვიკაკუნებენ კარზე... თავი გაკოტრებულად ხომ არ გამოვაცხადოთ?

— რას ამბობ, დიდებულ და აყვავებულ ტანკენას ეს ვით ეკადრება? — იუკადრისა ალი ბაბამ და მისი წინ გამოშვერილი კბილები მოკუმულმა ტუჩებმა წამით დაატყვევა. — ევრიკა, გამოსავალს მივაგენი: ჩემი ყოველდღიური ფეხის დაბანის გაშუქების ექსკლუზიური უფლების მოსაპოვებლად საერთაშორისო კონკურსი გამოვაცხადოთ! სასწრაფოდ!.. მადონა, ჩაიწერე!

— ამასაც დრო დასჭირდება... — უიმედოდ ჩაიბურტყუნა ბერიკა ბერბიჭაულმა.

— ალი ბაბა — ტაკიმასხარა! — მოგვესმა ჟაკოს კომენტარი.

უცებ ხონთქრის სახე სიხარულით განათდა, გადმოყრილ კბილებშუა დაიჭიხვინასავით:

— ახლავე გვეშველება, ახლავე ამოვისუნთქავთ! — და, ჩემდა გასაკვირველად, დამდო პატივი და პირადად მომმართა: — ჩემი შემწეობით ღმერთის მოადგილე კი გახდი, მაგრამ, ჩემო კარგო და მშვენიერო, უფასოდ გინდა, ჩემი ფეხის ბანის დიდებულ სანახაობას დაესწრო? ახლავე ორი ათასი დოლარი დაყაჭე! არა, ხუთი ათასი!

დამცეცხლა, ძლივს ამოვღერღე:

— უფალო პრეზიდენტო, ფული ვინ მომაშავა? — ჩემდა უნებურად, ქუდი საჩეხით წინ მოვატრიალე.

— უფულო ჩემი თავიც მეჯავრება და შენ ვინა ბრძანდები? ციხეში!.. და სანამ ათი ათას დოლარს არ გადაიხდი, იყურყუტე იქა! ფეხებზე მკიდია, ღმერთის მოადგილე ხარ თუ ვიღაც ხვითო!

— ალი ბაბა — მტარვალი! — დაიჩხავლა ჟაკომ.

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენი უზენაესი ნებით ჩვენი სტუმარი ღვთაების მოადგილედ დაინიშნა, და, რაც მთავარია, მის დაჭერას საერთაშორისო სკანდალი მოჰყვება და მორიგ სესხს ამერიკა აღარ მოგვცემს! — ალი ბაბასკენ დაიხარა და ყურში უჩურჩულა პრემიერ-მინისტრმა, მაგრამ მე გარკვევით გავიგონე და გულს მომეშვა; ქუდი ისევ ჩვეულად — საჩეხით უკან — დავიხურე.

წუთით დარბაზში მხოლოდ ბატონ პრეზიდენტის ყბების ენერგიული მუშაობის შედეგად გადმოღვრილი თქლაფათქლუფი ისმოდა... სხვებისა რა მოგახსენოთ და მე კი ნერწყვი მომადგა: ეტყობა ფრიად გემრიელი ატამი იყო!

— ეს ერთი მიპატიებია, მაგრამ სხვა დროს ამ ცერემონიალის ხილვას ვეღარ ეღირსები! — მოწყალება გაიღო ალი ბაბამ და ატმის კურკა რატომღაც მე კი არა, პარლამენტის თავმჯდომარეს ესროლა: ეტყობა, ჩვეულ მიზანს უფრო ადვილად ახვედრებდა. როგორც ჩანს, უყვარს ხონთქარს ატამი და საუბრის დროს ერთობა იქ მყოფთა მიმართ ატმის კურკების გატყორცნით. ტანკენაში ატამი არ ხარობს და, როგორც ჩანს, ალი ბაბა ავლაბრელისთვის საგანგებოდ ჩამოაქვთ თვითმფრინავით შორეული ქვეყნებიდან...

— აბა, ფული სად ვიშოვოთ? იქნებ ჩვენმა ძვირფასმა სტუმარმა გაგვიწიოს სამსახური და, პატიების სანაცვლოდ, რამე გვირჩიოს? უმცროსი ღმერთი ბრძანდებით და ახლა დროა, დაამტკიცოთ, რომ ტყუილად არ დაგდეთ ესოდენი პატივი... გისმენ!

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ხშირად ამაყობთ იმით, რომ ტანკენაში რეგისტრირებულია 365 პოლიტიკური პარტია და ეს ფაქტი მიგაჩნიათ დემოკრატიის გამარჯვების უტყუარ საბუთად... გამოაცხადეთ საერთაშორისო აუქციონი და გაყიდეთ ისინი: დღეში რომ ერთი პარტია გაასაღოთ, მთელი წლის განმავლობაში ყოველდღიური შემოსავალი გექნებათ!

— ჰი! — მწარედ ჩაიცინა ხონთქარმა. — ამ პარტიებს, ორი-სამის გარდა, ყველას მე ვაფინანსებ და სხვას ვის რად უნდა ისინი, გროშსაც არავინ გაიმეტებს!

ხონთქარმა მორიგი ატამი ჩაკბიჩა და ამჯერად პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა:

— დათიკია ტვინდარეხვილო, შეგვაწიე შენი რჩევა: აბა, რა ვიღონოთ?

— პარლამენტი დავითხოვოთ, მაინც უსაქმოდ დარჩნენ და გამოთავისუფლებული თანხა... — აბლუკუნდა დათიკია.

– ჭკუის კოლოფო, ეგ თანხა უკვე დახარჯულია! – შეაწყვეტინა ხონთქარმა და ატმის კურკა მარჯვედ გასტყორცნა – პირდაპირ შუბლში მოახვედრა პარლამენტის თავმჯდომარეს და მწარედ დაიჩივლა: – ირგვლივ დებილები მარტყია, ვერავის ვენდობი!

“მერე, ჩემი ბრალია მათი დაწინაურება?” – კინაღამ წამომცდა...

კიდევ კარგი, თავი დროულად შევიკავე: ალბათ შაჰინშაჰი ალი ბაბა ავლაბრელი ჩემი მისამართით მხოლოდ ატმის კურკის სროლით არ დაკმაყოფილდებოდა...

კარი XI.
გავიპარეთ...
ალი ბაბა ერთობა – ტბის პირას
მინისტრთა კაბინეტის სხდომას მართავს.
შემოგვეყარნენ ყაჩაღნი.
დავბრუნდით დედაქალაქში

ამ დროიდან იწყება ჩვენი თხრობის სრულიად განსხვავებული ეტაპი! როგორი? და რატომ? ამას ცოტა ხანში მოგახსენებთ...

არ ვიცი, ჩემი ვირუკა მისთვის საგანგებოდ აგებულ საბრძანებელში, – კომფორტულად მოწყობილ თავლა-სასახლეში, – რასა იქმს, მე კი ერთთავად ტელევიზორის ეკრანს ვარ მიჯაჭვული: ტანკენას სახალხო-დემოკრატიულ აყვავებულ და ბედნიერ რესპუბლიკაში ერთ კვირაში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს და გახურებული წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაა! ამ ქვეყანაში პარლამენტს არავითარი უფლებები არ გააჩნია, მხოლოდ მორჩილებითა და სრული მზადყოფნით შეუძლია, ბატონ პრეზიდენტის ანუ ხონთქარის, ანუ ფადიშაჰის, ანუ ტანკენელი ხალხის მამა-მარჩენალის ბრძანებულებები და ფირმანები იმავე დღეს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამტკიცოს და ერთხელ კიდევ თვალნათლივ ამცნოს მთელ მსოფლიოს, როგორი მტკიცეა ტანკენელი ხალხისა და მისი ბელადის ურღვევი და ურყევი ერთიანობა.

სატელევიზიო უკანასკნელი ცნობები...

სატელევიზიო დებატები...

უზრდელობა, ბოლოს – გადაზრდილი ჩხუბში...

რას იზამ – მორიგი არჩევნებისთვის ემზადებიან!

რას იზამ – ტანკენაში დემოკრატია ჰყვავის!

ერთხელაც მომბეზრდა ტელევიზიის ყველა არხზე ერთი და იგივე ტაკმასხარობის ყურება და ჩემს ერთგულ ყროყინას მივაკითხე; მასზე შავჯექ, – რა თქმა უნდა, უკუღმა, – და ქალაქში გავედით. ქუჩა-ქუჩა დვხეტიალობთ და გარშემო არსებულ მდგომარეობას ვაკვირდებით...

– კარგი, ჰო, გეყო ამდენი ოინბაზობა, არ მოგბეზრდა საღი აზრის ასე აბუჩად აგდება? – თავი ჩემკენ მოაბრუნა და დაიყროყინა სოლომონ ბრძენმა. – რა ვაჟკაცობაა ან რა ხეირია სულ უკან ყურება? ახალგაზრდობას მისტირი? თუ კაცი ხარ და ქუდი გხურავს, წაღმა გადმოჯექ და ეგ ქუდიც შეატრიალე – საჩეხით წინ! სულ წინ და წინ ვიაროთ! უკან რა დაგრჩენია?

– მთელი ცხოვრება ისედაც უკან მაქვს მოტოვებული! ეჰ, ჩემო ძმავ და მეგობარო, სიბერეს რაღა ეშველება, გინდა წაღმა დაჯექ და გინდა უკუღმა... ეს ქვეყანა უკუღმა არის მოწყობილი და, ვირუკაზე უკუღმა ამხედრებულმა, ასეთი უჩვეულო თვალთახედვით იქნებ ყველაფერი ბევრად სწორად დავინახო?

– სულ იმას წუწუნებ, შეძლება აღარაფრისა მაქვსო და რაღა ჯანდაბად გინდა შენი ახალი თვალთახედვა? რისთვის გამოიყენებ, რა ხეირს ნახავ?

– სოლომონ ბრძენს კი გიწოდებ, მაგრამ გეტყობა, რომ ვირი ხარ! რა ხნისაც გინდა იყო, თუ ყველაფრის შესახებ საკუთარი შეხედულება არ გაგაჩნია, მაშინ ადამიანად ყოფნასაც აზრი ეკარგება: გინდა კუნძი ყოფილხარ და გინდა – ყოველდღიურ წვრილმან საზრუნავში, უაზრო ყოფაში გამოკეტილი ადამიანი...

– წიგნების კითხვასა და წერას ხარ გადაყოლილი და ნამდვილი საქმე, ნაღდი საქმე კი რა გაგიკეთებია?

– შესაძლოა, ბევრი არაფერი, მაგრამ გაგიკვირდება და არც მთლად ვიყავი ცოცხალ ცხოვრებას მოწყვეტილი, შენ რომ გგონია. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, წიგნებს როგორ დავწერდი?

– უმეტესად უფრო ოცნებებში იყავი გადავარდნილი: შენ თვითონვე ხომ აღიარე, მე უფრო ფიქრისა და განსჯის კაცი ვარ, ვიდრე მოქმედებისაო!

– იქნებ ასეც არის... იცი, ზოგჯერ ფრიად უცნაურ რამეზე ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, ამასვე ფიქრობს მრავალი სხვა ადამიანიც, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკოსები – ნაკლებად... მა-

გალითად, მსოფლიოში რამდენიმე ასეული მილიარდი კი არა, ტრილიონობით დოლარი იხარჯება სამხედრო მიზნით და რა იქნებოდა, რომ ამ გიგანტური თანხის მეათედი მაინც მოხმარებოდა კაცობრიობის წინაშე მდგარი მრავალი მწვავე პრობლემის ნაწილობრივ მაინც მოგვარებას? ეპიდემიები და საავადმყოფოების ნაკლებობა, უწყლობა და საშინელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რომ აღარაფერი ვთქვათ შიმშილობის, უბინაობის, განათლების მიღების შეუძლებლობის და ათას ერთი სხვა პრობლემის შესახებ მსოფლიოს მრავალ კუთხეში... XXI საუკუნის ათი წელი თითქმის მიილია და იგივე აფრიკაში ათეულობით ქვეყანაში შიმშილი მძვინვარებს, ავადმყოფობები მუსრს ავლებს მოსახლეობას... ცნობილია, რომ საჰარა სწრაფად ფართოვდება და უდაბნო ახალ-ახალ ნაყოფიერ ტერიტორიებს იპყრობს მრავალი აფრიკული ქვეყნისა; ხუთივე კონტინენტზე ყოველ წელს დამანგრეველი მიწიძვრების, წყალდიდობების, ტროპიკული ქარიშხლების გამო მილიონობით ადამიანი, დაღუპვას გადარჩენილი, უკიდურეს გასაჭირში ვარდება... რა იქნება, რომ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ძალისხმევითა და დახმარებით დაბანდდეს მნიშვნელოვანი თანხები გაჭირვებაში მყოფ ქვეყნებში განსახორციელებელ პროექტებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდას, მრეწველობის განვითარებას, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა დარგების წინსვლას...

— ძალიან დიდი მეოცნებე ყოფილხარ!

— მე კი არა, ყოველი ნორმალური ადამიანი ოცნებობს, რომ აღარსად იყოს ეს გაუთავებელი, უაზრო ომები...

— შენს გვარს ვერ ამართლებ!

— ზოგადად ომი უგუნურებაა და მასზე ბევრად მეტიც!

— იწუწუნე რამდენიც გინდა, ამ ათასწლეულობით მიმდინარე ჭირს შენ რით უშველი?

— მართალი ბრძანდები: უგუნურება ადამიანთა მოდგმას ოდითგანვე მოსდგამს და ამის დასტურია სწორედ თუნდაც შენს მიერ ჭირად სახელდებული ომების, ამ განუწყვეტელი ძალმომრეობისა და სისასტიკის მეუფება, მკვლელობები, ძარცვა-გლეჯა... რამდენი სიტყვიერების დიდოსტატი უმღეროდა ომს, რამდენი დიდად განსწავლული, სიბრძნეს რომ ჩემულობდა, ომს ხელოვნების დარგადაც კი მიიჩნევდა... რატომღაც არავის ეხამუშება გამოთქმა "ომის ხელოვნება" — განა წარმოსადგენია ამ ორი სიტყვის შეუღლებაზე უფრო საზარელი და შეუსაბამო რამ?!. ეგრეთწოდებული "საგმირო ეპოსები" მრავალი ხალხისა არის მაღალფარდოვანი სიტყვებით შესხმა სისასტიკისა და დაუნდობელი კაცთა კვლისა, "უცხოთა", "მოწინააღმდეგეთა", "მეტოქეთა" მოსპობისა და მათი ადგილ-მამულის, ქონების, ტურფების მისაკუთრებისა... ვატყობ, ტანკენას დღევანდელი ხელისუფალი ამგვარი ტრადიციების მოტრფიალეა და, არ არის გამორიცხული, რომელიმე მეზობელთან თითიდან გამოწოვილი მიზეზით ომიც წამოიწყოს... ამ ნაბიჯით შეეცდება, ქვეყანაში აგორებული უკმაყოფილების ტალღაც დააშოშმინოს.

— ამ ხათაბალაში გახვევაღა გვაკლდა... რატომ აიტკივე აუტკივარი თავი, დავტეულიყავით შინ!

— სოლომონ ბრძენო, ჯერ ოპოზიციასთან საარჩევნო ომი უნდა მოიგოს. უნებლიეთ მოვხვდით ტანკენაში, ძალიან არ მინდოდა ასეთ დაძაბულ დროს ამ ქვეყანაში მოხვედრა... ზეგ აქ არჩევნების დღეა და შეხედე შენი ბედნიერი თვალებით: ყველაფერი საარჩევნო პლაკატებით აუჭრელებიათ! სახ-ლთა კედლები, ღობეები, ბოძები — ყველაფერი, რაზედაც კი შეიძლება ქაღალდი გაიკრას, ბრძოლის ველად არის გადაქცეული!

— მებრძოლებს რა მიუგავთ — შეხედე, პლაკატებიდან როგორ გულითადად იკრიჭებიან დეპუტატობის კანდიდატთა ნასუქ-ნაპატივები, კმაყოფილი სახეები! სიფათებზე ნაღდად აწერიათ ბედნიერება და ამომრჩეველსაც იმავეს ჰპირდებიან მტკაველიანი ასოებითა!

— რა უბედურებაა ამდენი დეპუტატობის კანდიდატი! გაგონილა, ერთ ადგილს თხუთმეტი და ოცი კანდიდატი ეცილებოდეს? დავიჯერო, ყოველი მათგანი დარწმუნებულია საკუთარ გამარჯვებაში? ზოგიერთს საკუთარი ოჯახის წევრების მეტი ხმას არავინ მისცემს და რა რჯის? ამდენ ფულს რატომ ყრიან წყალში... არ ჯობდა, საარჩევნო პლაკატების დასამზადებლად დახარჯული უზარმაზარი თანხები გაჭირვებულთა დასახმარებლად გაეღოთ?

— მეტი დარდი არ აქვთ! თანამდებობის მოპოვების სურვილი ამოძრავებთ, მეტი არაფერი!

— ნეტა რას იფურტკნიან ნერვებს, ხარჯავენ უამრავ ფულს? შეხედე, მართლაც რა კმაყოფილი სიფათები აქვთ!

— კიდევ უფრო გასუქებაზე ოცნებობენ! სოსო ბატონო, შენ ახლა საქმეგამოლეული ჩანხარ და ამა ორომტრიალის აღწერას ხომ არ აპირებ?

— რატომაც არა?!.

— ბიჯო, ნაძლევს ჩამოვდივარ: არ არსებობს ქვეყანა, სადაც არჩევნები ტარდებოდეს და ამ მოვლენისადმი მიძღვნილი სატირული ლიტერატურა არ არსებობდეს! საარჩევნო ბატალიების დროს ათასგვარ მამაძაღლობებზე უამრავი რომანია დაწერილი და შენ ახალი რა უნდა თქვა? ტყუილად იწვალებ თავს!

– არა უშავს, მერე რა? წვალებას მიჩვეული ვარ და ცოტას მაინც გავხალისდები წინასაარჩევნო ოინბაზობების ყურებითა! შეხედე, შეხედე: ალი ბაბას მმართველი პარტიიდან წამოყენებული დეპუტატობის კანდიდატები ყველანი როგორ ერთ ჰანგზე მღერიან! ამომრჩევლებს ჰპირდებიან: კილი–მანჯაროს მთაზე საბაგირო გზას გაიყვანენ და ტურისტთა რაოდენობას გააორმაგებენ! როგორ არ გაგეცინება!

– აქაც და ახლაც ჩემზე პირუკუღმა შამჯდარმა უნდა გააგიჟო ხალხი?

– წინასაარჩევნო პერიოდია და ამ დროს ყველანი ცოტათი ვერ არიან სრულ ჭკუაზე – კიდევ ერთი მათი მსგავსი თუ დაემატებათ, არავის გაუკვირდება, თანაც – ახლა ჩემთვის არავის სცხელა და ზედაც არავინ შემხედავს!

ჩემი ვარაუდი არ გამართლდა...

სენსაცია! ტანკენას დედაქალაქში ვირუკაზე პირუკუღმა შემჯდარი გამოჩნდაო – საყოველთაო ყურადღებას ვიპყრობთ!

დედაქალაქის მთავარ მოედანზე დაგვეხვივნენ საიდანღაც გამომტყვრალი გაზეთების, ფოტო, ტელე, რადიოკორესპონდენტები... ზედმეტია ჩემი თავგამოდებული მტკიცება, რომ არ გახლავარ ამ ბედნიერი ქვეყნის მოქალაქე და ხმის უფლება არ მაქვს... ლამის პირდაპირ ხახაში მჩრიან მიკროფონებს:

– ვინ არის თქვენი რჩეული, რომელ პარტიას უჭერთ მხარს?

– გეტყობათ, მავანი დეპუტატობის კანდიდატის მიერ ხართ დაქირავებული: შექანებულზე უკეთესი აგიტატორი რაღად გინდა! რომელმა დეპუტატობის კანდიდატმა დაგიქირავათ? რამდენი გადაგიხადათ?

თავხედს ვეკითხები:

– თქვენ მეტს მომცემთ? – სოლომონ ბრძენს კი ვეუბნები: – ფრთხილად და ფხიზლად იყავ, ვიღაც-ვიღაცეების შემოტევას უნდა ველოდოთ: შენს ფერდებზედაც მოინდომებენ რეკლამის განთავსებას, რომელიც უფასო და თანაც მოძრავი იქნება!

სოლომონ ბრძენმა დაიყროყინა:

– აბა, ერთი გაბედონ! გპირდები, ჩვენი გაცნობა უფასო არ იქნება: ტლინკებით გადავუხდი თავხედობისთვის საკადრის საფასურსა!

მაგრამ მისი უყურდიდესობის წადილი ფუჭი გამოდგა: უცებ თავს დაგვესხნენ ჯანიანი უცნობი პიროვნებები, თანაც იმდენნი, რომელ ერთს უნდა გამასპინძლებოდი დაპირებული გემრიელი ჭიტლაყით!

ერთი ცხვირის ნესტოში რგოლგაყრილი, ზორბა ყმაწვილი ჩამაფრინდა სახელოში და ისე მექაჩებოდა, კინაღამ ძირს მოვადინე ზღართანი; კიდევ კარგი, მეორე მხრიდანაც მებღაუჭებოდნენ სხვანი და ამ საპირწონე ძალამ დროებით მაინც გადამარჩინა!

– ძიაკაცო, რომელ პარტიას აძლეევ ხმა-ას?!. – შემომბღავლა ყმაწვილმა.

– უეჭველად შენს პარტიას დავდებ პატივს, ოღონდ ხელი გამიშვი!

– აჰა შენ ოცდაცამეტი დოლარი, საარჩევნო ბიულეტენზე აუცილებლად შემოხაზე ნომერი ოცდაცამეტი – ალი ბაბას მმართველი პარტიისა! ხომ არ დაგავიწყდება-ა?!. ოცდაცამეტი-ი!..

– მამის სული ნუ წამიწყდება – არ დამავიწყდება! კიდევ ოცდაცამეტ დოლარს თუ მიწყალობებ, დიდი სიამოვნებით მეორედაც შემოვხაზავ!

– არა, ერთხელ შემოხაზვაც საკმარისია-ა!..

– გენაცვალე, ჩემი მეგობარიც თქვენს ღრმად პატივცემულ პარტიას მისცემს თავის ხმას, თუკი... – უნდა მეთქვა: “თუკი ხელს გამიშვებ-მეთქი”, მან კი სხვაგვარად გაიგო:

– ახლავე, ახლავე! – თავისუფალი ხელი ჯიბეს გაიკრა ყმაწვილმა, – აჰა კიდევ ოცდაცამეტი დოლარი! სხვებს არ დაუჯეროთ, ისინი უეჭველად მოგატყუებენ! მათი საარჩევნო პროგრამები ბლეფია! ნდობისა და მხარდაჭერისთვის წინდაწინ გიხდით ორივეს მადლობას, იმედია, იმედს არ გაგვიცრუეეებთ!..

– რას ამბობ, ჭირიმე! თავფეხიანად თქვენი ღრმად პატივსაცემი და დიაღაც დიდად დასაფასებელი ძვირფასი პარტიის უერთგულეს მომხრეებად გვიგულეთ! ჩვენი უანგარო მხარდაჭერის ნიშნად, ნებას გრთავთ, რათა თქვენს პარტიულ დროშაზე გამოისახოს ჩემი ერთგული მეგობარი – დიდყურა ვირუკა!

– ძვირფასი მადლობა-ა!.. – და ყმაწვილი ჩვენს გარშემო აბობოქრებულმა ხალხის ტალღამ სადღაც მოისროლა.

დანარჩენებიც ცდილობდნენ, ჩემამდე მოეღწიათ, ყველა გაჰყვიროდა: “მხოლოდ ჩვენი პარტიაა შენი ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი, შემოხაზე ნომერი ორასი!..”, “შემოხაზე ნომერი სამას ოცი, მხოლოდ იგია ღირსეული!..”, “არ შეცდე – მხოლოდ ნომერ თხუთმეტს მიეცი ხმა!..”. ჯერ ხელებში მჩრიდნენ რაღაც ბუკლეტებს, სარეკლამო მასალებს, მერე – ჯიბეებში მიტენიდნენ და, იქაც რომ აღარ ეტეოდა, უბეც ამომივსეს...

– “მხოლოდ, მხოლოდ, მხოლოდ”... არ გააჭირეს საქმე? – გაბრაზდა დიდყურა ბრძენი, სარკაზმით განაგრძო: – გულისხმობენ: “ყველა დანარჩენი მატყუარა და თაღლითია! გაინაღდებს თუ არა დეპუტატობის სავარძელს, მაშინვე დაივიწყებს ყველა დაპირებას! მხოლოდ ჩემი პარტია და პირადად მე გაძლევთ გარანტიას, რომ ჩვენი არჩევის შემთხვევაში, არ გაგიწბილებთ იმედს და ყველა ჩვენს დაპირებას აუცილებლად შევასრულებთ!..”.

– რას იზამ, ჩემო სოლომონ ბრძენო, დასაბამიდან, რაც კი არჩევნები შემოიღეს, მასთან ერთად დაიბადა ამომრჩეველთა მოსყიდვაც და ყალბი დაპირებებიც... იცი, რა კარგი იქნებოდა, ბლომად გასაბერი ბუშტები რომ გვქონოდა, ჰოდა, ავფრინდებოდით და უზარმაზარ ციფრს – ოცდაცამეტს – მთელ ქალაქს დავანახვებდით!

– ლამის გადაგვთელონ და მაინც ხუმრობის ხასიათზე ხარ?

ამ დროს მოცვივდნენ პოლიციელები, ხელკეტები დაუშინეს ცხვირ-პირში ყველა ყვირილით ხმაჩახლეჩილს, გარდა ცხვრის ნესტოში რგოლგაყრილისა – ის, როგორც ჩანს, განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა – მითითებებს პირადად ის იძლეოდა!

– რატომ არ ჰკითხე, რა ჰქვიოდა მის პარტიას? – დაინტერესდა დიდყურა.

– ისედაც ვიცი! არა მგონია, დიდად შევცდე... ამ პარტიის სახელწოდება ალბათ დაახლოებით ასე ჟღერს: “სახელმწიფო ჩვენ ვართ!” ან “ჩვენია ყველაფერი!”.

– ორივე დიდებული სახელია, დიდად შესაფერისი: მათ ხელშია ყველაფერი – ფულიც და ხელკეტებიც! როგორ არ მისცემ ხმას? დიდი სიხარულით!

დამატებით მობილიზებულმა პოლიციელების რაზმმა აღტყინებული ბრბოს დასაშოშმინებლად ცრემლსადენი გაზი გაუშვა და წყლის მძლავრი ჭავლიც მიუშვა.

ჩემს ვირუკას შეძახილი არ დასჭირვებია, ისე სწრაფად მოვკურცხლეთ! კიდევ კარგი, ცენტრალური მოედნისგან განტოტვილი ქუჩები ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული იყო და მალე სამშვიდობოს ვიყავით გასულნი.

– სოლომონ ბრძენო, ამ ქვეყნიდან როგორმე დროზე უნდა გავაღწიოთ! შენი არ ვიცი და რაც შეეხება ჩემს თავს, თუ გინდა, მომკალი და არა, არ ვარ დიდად პატივსაცემ ხელმძღვანელ პირად დაბადებული და, მით უმეტეს, ღმერთობასთან, თუნდაც შენთან შედარებით დაბალი თანრიგისა, მე რა მესაქმება?..

– აკი სეირის ნახვა და ამ ორომტრიალის აღწერა გედო გუნებაში?

– ჩემო სოლომონ ბრძენო, ერთი რამ მაწუხებს: ამ დიდად პატივსაცემი ტანკენას სახალხო-დემოკრატიული და ფრიად აყვავებული რესპუბლიკის ფრიად ბრძენმა და ძლევამოსილმა ხონთქარმა ალი ბაბა ავლაბრელმა ქვეყანაში შინაგანი აბურდულ-დაბურდული და საშიში მდგომარეობის გასაქარწყლებლად, მის საპირწონედ, რომ გადაწყვიტოს, გაილაშქროს მეზობელ ტომზე, ჩვენ რა უნდა ვქნათ? მე ასაკოვანი ვარ და ჯარში არ გამიწვევენ, შენ კი, თუ გაუჭირდათ, შენი ღმერთობის მიუხედავად, აგკიდებენ ზურგზე ტყვია-წამალს, ტყვიამფრქვევს, ორი ჯარისკაციც უბოდიშოდ შეგაჯდება და ფრონტის წინა ხაზზე გიკრავენ თავს... ან მტერი რომ დაატყვევონ და მათი შებრაწული ხორცით გაგვიმასპინძლდნენ, სად მიდიხარ? შენ პირს არ დააკარებ, ცხადია, და თავის მართლებაც არ გაგიჭირდება, მე კი რა ვქნა? მის მირთმევაზე თუ უარს ვიტყვი, იქნებ უპატივცემულობად, – და მეტიც, – შეურაცხყოფად მიიღონ და, გაბრაზებულებმა, მეც სამწვადედ გამამზადონ, რა იცი?

– აბა, როგორ გინდა, თუ უზენაესი ქურუმობა გსურს, მათთვის დაწესებულ ადათ-წესებს უნდა იცავდე და სამაგალითოდაც უნდა იქცეოდე!

– არ მსურს არავითარი თანამდებობა! არასდროს ოცნებაც კი არ მქონია, სიზმარშიც არ დამსიზმრებია!

– მართლა? არც რბილი სავარძლისთვის იბრძოდი, არც გავლენა და პატივის მოპოვება გსურდა?

– არა და არა, ღმერთმანი, არასდროს! სოლომონ ბრძენო, დარწმუნებული ვარ, არც შენ დაგსიზმრებია როდისმე ღმერთად ყოფნა, გული ხომ არ დაგწყდება, თუ რაც შეიძლება ადრე ამ საპატიო თანამდებობას გამოეთხოვები?

– გეთანხმები: სასწრაფოდ გაქცევით თავს უნდა ვუშველოთ...

– რამდენჯერ გითხარი: უჭკვიანესი სოლომონ ბრძენი მყევხარ! საღამომდე სადმე მოფარებულში მოცდა მოგვიწევს: ჯერ ერთი, კვალს ადვილად გამოჰყვებიან და დაგვიჭერენ, მეორეც – აქ დღე ძალიან ცხელა, ქოლგაც ვერ გვიშველის... ღრუბლიანი დღეები კი, თავადაც დავრწმუნდით, ტანკენას უდიდეს ნაწილში იშვიათზე იშვიათია და წვიმა ხომ სანატრელია...

– ბიჯო, ამ იშვიათი მოვლენის სანახავად მთელი მსოფლიოდან სასწრაფოდ გამოეშურებიან ცნობისმოყვარე ჟურნალისტები და ფათერაკის მაძიებლები, ჩვენ კი აქა ვართ და ბარემ ცოტა ხნით შევყოვნდეთ – სხვა დროს როდის მოვახერხებთ ამგვარი სახალისო რამ ვიხილოთ? აკი შენც ეგ გსურდა?

— ახლა არ მითხარი, სასწრაფოდ გავიქცეთო? მართალი გითხრა, ჩემი ხასიათისა თუ ქცევისა ზოგი რამ მე თვითონ მიკვირს: თუკი სენსაციური რამ გამოჩნდება და ყველა მის სანახავად მიილტვის, მე უცნაური დამუხრუჭების თუ შინაგანი პროტესტის გრძნობა მიჩნდება — არ მინდა, ჯოგის აღტყინებას ავყვე!

— რა შუაშია აქ ჯოგი? ამპარტავნული ნეგატივიზმის ტყვე ხომ არ ბრძანდები? შენი თავი სხვებზე უკეთესი რით გგონია?

— რა თქმა უნდა, არაფრით, მაგრამ შინაგანად ჩემთვისაც ბოლომდე გაუაზრებელი წინააღმდეგობის გაწევის, "დინების საწინააღმდეგოდ ცურვის" სურვილს თუ რაღაც ამის მსგავსი გრძნობის კარნახს ვემორჩილები.

— ვერ მივხვდი, მაგალითს ხომ არ მოიშველიებ, რათა ჩემთვის გაუგებარი შენი აზრი უფრო ცხადად გამოკვეთო?

— კი, ბატონო... იმასაც ვიტყვი, რომ არა მგონია, ეს ახირება თუ აკვიატება იყოს, უფრო — ქვეცნობიერი რაღაც განწყობაა... აი, მაგალითად, რომელიმე "პრესტიჟულ" კონცერტზე ან საფეხბურთო მაჩზე წასვლა არასდროს მიზიდავდა... კიდევ უფრო უცნაურ რამეს გეტყვი: დაიჯერებ, რომ რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრში არასდროს ვყოფილვარ?.. ან ვახტანგ ჭაბუკიანის ბალეტი "ოტელო" ოპერის თეატრში არ მინახავს?.. ხალხი თავ-პირს ამტვრევდა ერთმანეთს, ოღონდ როგორმე ბილეთი ეშოვა, მე კი ერთხელაც არ გამჩენია სურვილი, რომ ამ წარმოდგენას დავსწრებოდი...

— იქნებ ბალეტი საერთოდ არ გიტაცებს?

— არა, რას ამბობ! ძალიანაც მიყვარს, მაგრამ... ოპერის თეატრის ერთი კი არა, რამდენიმე აბონემენტი მქონდა ხოლმე ნაყიდი და ხშირად ვესწრებოდი სპექტაკლებს, უფრო ხშირად — საოპეროს: "აბესალომ და ეთერი", "დაისი", "ქეთო და კოტე", "რიგოლეტო", "აიდა", "კარმენი" უთვალავჯერ მაქვს ნანახი; მაგრამ როცა რომელიმე სახელგანთქმული გასტროლერი იყო ჩამოსული, არასდროს წავსულვარ... იმიტომ კი არა, რომ აბონემენტით არ შემიშვებდნენ ან ბილეთის ფასი გაზრდილი იყო, ალბათ საყოველთაო აჟიოტაჟი მახევინებდა უკან. რაც კი საბალეტო წარმოდგენები იყო რეპერტუარში, ყოველი რამდენჯერმე მინახავს, მაგრამ, ჩემთვისაც ამოუცნობი მიზეზის გამო, ვახტანგ ჭაბუკიანის მონაწილეობით — ერთიც კი არა, მათ შორის, სახელგანთქმული "ლაურენსიაც"! ვახტანგ ჭაბუკიანი სცენაზე მხოლოდ ერთხელ ვიხილე, ისიც შემთხვევით: მინკუსის "დონ კიხოტში" მასობრივ სცენაში მონაწილეობდა; პროგრამაში მისი გვარი არ იყო გამოცხადებული, მაგრამ მე კი ვიცანი...

— ამ ბუმბერაზ მოცეკვავეს რა უნდოდა მასობრივ სცენაში?

— არ ვიცი... იქნებ სავარჯიშოდ, ფორმის შესანარჩუნებლად, ან დამწყები მოცეკვავეების გასამხნევებლად; უფრო კი ალბათ ისე უყვარდა ცეკვა, რომ ცეკვის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გავიდა სცენაზე ცეცხლოვან ესპანურ ცეკვაში მონაწილეობის მისაღებად... გაგიკვირდება და სუხიშვილების ხალხური ცეკვის ანსამბლის კონცერტზე არასდროს ვყოფილვარ, არც რუსთაველის თეატრში მინახავს ერთი წარმოდგენა მაინც... მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მიხეილ თუმანიშვილის თუ რობერტ სტურუას სპექტაკლებზე დასასწრებად ბილეთის შოვნა პრობლემა იყო...

— თეატრისადმი გულგრილი ხომ არ ხარ?

— არა, რას ამბობ! მარჯანიშვილის თეატრში ხშირად დავდიოდი, საერთოდ, მიტაცებს თეატრალური წარმოდგენის ფორმის სპეციფიკური პირობითობა: მხატვრობისა, მიზანსცენებისა, მეტყველებისა, სცენური მოძრაობისა... მიყვარს ფორმის გამახვილება, განსაკუთრებით, კომედიურ სპექტაკლებში, განუმეორებელი ვასო გოძიაშვილის ხელოვნება ძალიან მიყვარდა... ნაკლებ მიზიდავს "ნატურალისტური", ყოფითობასთან მიახლოებული სტილისტიკა... ეს მხოლოდ თეატრალურ ხელოვნებას ეხება, კინოხელოვნებაში სხვაგვარადაა საქმე — თავიდანვე "ნამდვილობა" იყო მისი ძლიერი მხარე.

— თეატრში ყოფითი სიმართლის რაც შეიძლება ნატურალისტურად გადმოცემის მოყვარულებიც არიან...

— კი, ბატონო, გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ ამგვარი სტილისტიკის მოტრფიალენი ძველი ბერძენი ფილოსოფოსის ჰერაკლიტეს ერთ გამოთქმას მახსენებს: "ვირებს ნამჯა ურჩევნიათ, ვიდრე ოქროო"... ზოგადად, ხელოვნება პირობითობის გარეშე არ არსებობს.

— პირობითობით, ფანტაზიით არის გაჯერებული რობერტ სტურუას სპექტაკლები, ნუთუ ერთხელაც არ გაგიჩნდა სურვილი, რომ რომელიმე მათგანი "ცოცხლად" გენახა? თუნდაც — "კავკასიური ცარცის წრე" ან "რიჩარდ III"...

— შენ წარმოიდგინე, არა... რატომ არ მინდოდა, სცენაზე "ცოცხლად" მენახა ვახტანგ ჭაბუკიანი თუ რამაზ ჩხიკვაძე? არ ვიცი... ერთი, ალბათ ფრიად სუსტი და სხვათათვის ნაკლებ დამაჯერებელი მიზეზი შეიძლება, დავასახელო...

— თავს მართლებას აპირებ?

– შესაძლოა, მიზეზი ისიც იყოს, რომ იმდენჯერ მაქვს ნანახი ფრაგმენტები ან მთლიანადაც ეს სპექტაკლები ტელევიზორში, მოსმენილი რადიოში, რომ ჩემი საკუთარი "წარმოდგენა" გავაკეთე, – წარმოსახვით, რასაკვირველია, – და იგი იმდენად ფერადოვანი და მდიდარი იყო, რომ მეშინოდა: როცა სცენაზე ვიხილავდი, ფერმკრთალი არ მომჩვენებოდა, იმედი არ გამცრუებოდა; ჩემს მიერ წარმოდგენილი მათი ხელოვნება იდეალური გამოჩნდებოდა, მიუწვდომელი.

– ფრიად ახირებული პიროვნება ბრძანდები! რაც ყველას მოსწონს, მაინცდამაინც ის არ უნდა მოგწონდეს?

– არმოწონებას ვერ დავიბრალებ... მეც ვერ გამიაზრებია მიზეზი ბოლომდე. აი, მაგალითად, ვერ ვიტყვი, რომ ჯინსი მეჯავრება, მაგრამ არ დაიჯერებ და ჯინსის შარვალი ერთხელაც არ ჩამიცვამს – დიდიან-პატარიანად და ქალიან-კაციანად ყველა ჯინსებზე იყო გადარეული და დღესაც ყველას ის აცვია, მე კი მისი ქონის სურვილი არასდროს გამჩენია.

– უაზრო საქციელია: ჯინსი ძალიან მოსახერხებელი სამოსია, პრაქტიკული მოსახმარია, იაფიც არის.

– სიიაფისა რა მოგახსენო, ნამდვილი ჯინსის ყიდვა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. გაგიკვირდება და მეჯავრება ყველაფერი ძვირი: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი... მიყვარს გალაკტიონის სიტყვები:

"მიყვარს ყველაფერი სადა,
მიყვარს ყველაფერი ძველი"!

ფუფუნებით მორთულ-მოწყობილ ბინაში თუ მოვხვდი, თავს ფრიად უხერხულად ვგრძნობ! "ამ ოთახის დიზაინი გამოჩენილ მხატვარს გავაკეთებინე!" – ამგვარ ტრაბახზე მეცინება.

– რატომ? რა არის სასაცილო იმაში, რომ სპეციალისტმა გააფორმა მავანის ბინა, თუკი, რასაკვირველია, ამის წელი მოსდევს...

– "ეს მაცივარი, მტვერსასრუტი, კარადა და სხვა და სხვა მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული, წამყვანი "ბრანდის" ნაწარმია!" – ამგვარი თვითკმაყოფილი ტრაბახი ჩემთვის ჭკუასუსტობის ან, უკეთეს შემთხვევაში, არასრულფასოვნების განცდის გამოვლინებაა. "ო, იცი, ეს კაბა კარდენისაა, შანელისაა, რიჩისაა!"; ძვირფასად ჩაცმულ-დახურულ იმპოზანტურ პიროვნებებთან ურთიერთობა, "არისტოკრატიული" მიხრა-მოხრითა და საუბრის ნირით, ჩემთვის წამების ტოლფასია. მართალი გითხრა, უკვე ალერგია მაქვს, ტელევიზიის თითქმის ყველა არხზე რომ ყოველი საინფორმაციო გამოშვება აუცილებლად "მოდის სამყაროს წამყვან ტენდენციებზე", "შემოდგომა-ზამთრის კოლექციებზე" და ამგვარ სისულელეებზე ლაპარაკით მთავრდება – სპორტის ამბებისა და ხელოვნებისა და კულტურის სიახლეების წინ!

– რას ბუზღუნებ, თუ არ მოგწონს, ნუ უყურებ!

– რა მიკვირს, იცი? გადაპრანჭული ხმით გამოაცხადეებენ, რომ გაიმართა "დეფილე" ნიუ იორკში, პარიზში თუ მილანოში, გამოდიან ბატებივით ჩამწკრივებული მოდელები – ფეხებმოღრეცილები, მჭლენი, თოჯინების გაყინული, არაფრისმთქმელი თვალებითა და გახევებული სახეებით... ტანსაცმელი ხომ ისეთი აცვიათ, იმით ქუჩაში რომ გამოვიდეს ვინმე – გიჟად ჩათვლიდნენ...

– ნამდვილი ტყიური ყოფილხარ!

– არ მიყვარს მდიდრული სუფრა, გატყლარჭული სადღეგრძელოები, პირმოთნეობა... დაახვავებენ ოცდაათნაირ კერძებს, ორ-სამ სართულად აკოკოლავებული თეფშებისგან გაღუნული მაგიდა ლამის ჩატყდეს...

– აბა, სიღატაკე და გამხმარი პურის ნატეხის ლოღნა ჯობს?

– არა, არა, არც სიღატაკე ვარგა. სიღარიბე ადამიანს აბეჩავებს, თრგუნავს, როგორ შეიძლება, მომწონდეს? მე იმის თქმა მინდა, რომ ფრანგულ რესტორანში ლხინს მირჩევნია შინ, უბრალო მაგიდასთან მირთმეული ცხელი მჭადი და ყველი, ლობიო და ერთი ჭიქა ატენური, საფერავი ან კახურად დაყენებული რქაწითელი! ამ ბოლო დროს თბილისში ათასგვარი რესტორანი გაიხსნა: ინდური, ჩინური, იაპონური, ტაილანდური, მექსიკური სამზარეულოებით... არასდროს გამჩენია სურვილი, რომ ეგზოტიკური კერძები დამეგემოვნებინა.

– აბა, სულ რას იბრიქები, ცნობისმოყვარე ვარო?.. უცხო ქვეყნების მონახულებას ნატრობ...

– შემთხვევით რომ მოვხვდე ამგვარ რესტორანში, რასაკვირველია, კი გავსინჯავდი უცხო კერძებს; მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ საგანგებოდ არ წავიდოდი-მეთქი – იქ ჩემი ჯიბის მქონე კაცს არ შეესვლება, არც დროის დაკარგვად მიღირს. რაც მთავარია, რესტორანს მე მირჩევნია, საკუთარ ოჯახში ჩვეულებრივი ბორშჩი, მაწვნის შეჭამანდი ან შემწვარი კარტოფილი მივირთვა, აღარას ვამბობ ჩემი ცოლის მიერ გაკეთებულ ხაჭაპურსა და ხინკალზე; თუ ერთი-ორი ჩემი ჭკუის ძველი მეგობარიც იქნება და ერთ-ორ ჭიქას ავწევთ, ძველ დროებას გავიხსენებთ, ერთმანეთს მივესიყვარულებით, რომელ რესტორანში დროსტარება შეედრება?

— ხომ გითხარი, უცნაური ამოჩემება გახასიათებს-მეთქი, ახირებული კაცი ბრძანდები; დიახ, ასეა, ჩემო ბატონო!

— ყველა ადამიანს რაღაც ახირება ახასიათებს, ასეა მოწყობილი ეს სამყარო... ადამიანები კი არა, ვირებიც არ ჰგავხართ ერთიმეორეს, არც გარეგნობით და არც ზნით, ხომ ჭეშმარიტებაა? და ასეც უნდა იყოს: მრავალფეროვნება — სიმდიდრეა! ტყუილად კი არ გეუბნები ხოლმე: შენისთანა ვირუკა მეორე არ მოიძებნება-მეთქი!

— ახლა, ჯობს, დებატები შევწყვიტოთ და თავს დროზე ვუშველოთ! მე არა მიჭირს და შენ, როგორც ჩანს, აქაური საჭმელ-სასმელი დიდად არ გეპიტნავება...

— ყოველმხრივ ჭეშმარიტებას ბრძანებ, სოლომონ ბრძენო!.. ცოტა მუხლებში თუ მოიხრები და დაიწევ, პატივს დასდებ ჩემს ასაკს, კარგი ვირუკა იქნები...

შავჯექ ვირუკაზე და ქალაქგარეთ გავუტიეთ!

მივჩაქჩაქებთ, მივჩაქჩაქებთ, ირგვლივ ერთფეროვანი ხედებია: რუხი, შიშველი კლდეების რიგს ენაცვლება მოყვითალო ქვიშის გორაკები, ალაგ-ალაგ დაფარული იშვიათი, ისიც გამხმარი ბალახით...

— რა ფიქრებში მიცურავ, ჰა? — მეკითხება დიდყურა. — ფიქრშიც მოგზაურობ?

— წარმოიდგინე, სოლომონ ბრძენო, რომ ჩვეულებისამებრ შეგაჯექი, რა თქმა უნდა, პირუკუღმა და განვაგრძეთ გზა — დროში უკუღმა ვმოგზაურობთ... ვიარეთ, ვიარეთ და, ბოლოს, მოვხვდით იურული სისტემის ანუ პერიოდის ტყეში — ამ ადგილებიდან განსხვავებით, სიმწვანის ზღვაში!

— როგორც სახელგანთქმული ამერიკელი კინორეჟისორის სტივენ სპილბერგის ცნობილ ფილმშია? ძალიან შორს გაუტიე, ვერან, აი!

— ფილმში ცოტა სხვაგვარადა: ზოოპარკში ჰყავთ დამწყვდეული იურული სისტემის დროინდელი ცხოველები, დინოზავრები, რომლებიც გაიქცევიან ტყვეობიდან...

— ბიჯო, რაღა თითქმის ორასი მილიონი წლის წინათ უნდა იმოგზაურო, აგერ ორას კილომეტრში, სათაფლიაში წასულიყავ, არ ჯობდა?

ამ დროს ვირუკა გაჩერდა და უკან მოვიხედე — სოლომონ ბრძენი ტბის პირს მისდგომოდა და წყალს სვამდა.

— მოსაღამოვდა, დიდყურავ, მოგწყურდა და ალბათ მოგშივდა კიდეც... ხედავ, ცოტა ზევით, ცარცული პერიოდის დინოზავრის ნაკვალევებია შემორჩენილი... მოგწონს ეს ტბა, ხომ მშვენიერია? ეს უზარმაზარი ცხოველები ალბათ სწორედ ასეთი ტბის ლამიან ნაპირზე დასეირნობდნენ მაშინ და ტოვებდნენ ნაფეხურებს.

— შენ გინდა, მაინცდამაინც დინოზავრებთან, დიპლოდოკებთან და სხვა ურჩხულებთან მოხვდე? თუ უფრო შორს — და გსურს გაიგო, როგორ წარმოიშვა სამყარო?

— ასე შორს გასასეირნებლად მეტისმეტად დიდხანს მოგვიწევს წანწალი, ყროყინავ! შენ კი გახასიათებს სანაქებო მოთმინება, ახალგაზრდაც ხარ, მაგრამ მე? მოვასწრებთ, მივაღწევთ?

— შენ სულ ხუმრობიას ხასიათზე ხარ!

— აბა, რა! მართალი გითხრა, თუკი ამის საშუალება არსებობს, მე უფრო მიტაცებს, წარმოსახვით მაინც ვიმოგზაურო სხვა პლანეტებზე...

— მთვარეზე?

— ძალიან ახლო იყურები ძმობილო, ეგ უკვე დაღეჭილი და გადაღეჭილი თემაა... მხოლოდ ყველაზე ცნობილ ავტორებს ჩამოვთვლი, რომლებიც მთვარეზე მოგზაურობას აღწერენ: ბერძენი — ლუკიანე სამოსატელი; გერმანელი — იოჰან კეპლერი; ფრანგები — სირანო დე ბერჟერაკი, ანდრე ლორი, ჟიულ ვერნი; ინგლისელები — ფრანსის გოდვინი, ჰერბერტ ველზი; ჩეხი — სვატოპლუკ ჩეხი; პოლონელები — იეჟი ჟულავსკი, სტანისლავ ლემი; რუსები — ანდრეი პლატონოვი, ალექსეი ტოლსტოი, ალექსანდრ ბელიაევი; ამერიკელები — ედგარ პო, აიზაკ აზიმოვი; იტალიელები — ლუდოვიკო არიოსტო, იტალო კალვინო... სხვა, წვრილფეხა ფანტასტებს ხომ თვლა არ აქვს! ლუდოვიკო არიოსტოს "შმაგ ორლანდოში" აღწერილია მთვარეზე მოგზაურობა, სადაც თურმე დედამიწაზე დაკარგული ყველა საგანძური, დიდი სიმდიდრე ინახება...

— იცი, რას გეტყვი, სოსო ბატონო? შენთვის მთვარეზე გამგზავრება სწორედ რომ უპრიანი იქნებოდა: იქნებ იქ მაინც გეპოვნა შენი დაკარგული კეთილგონიერება, ჰა? ჰი-ჰი-ჰი!..

— ასე უნდა ელაპარაკო შენზე უფროსს, შენზე მზრუნველსა და მოამაგეს? მე შენი უფალი ვარ, ეს არასდროს დაივიწყო!

— სოსო ბატონო, გაგახსენებ ძველებურ ნათქვამს: "პლატონი ჩემი მეგობრია, მაგრამ ჭეშმარიტება — უფრო ძვირფასია!" არავის სიამოვნებს სიმართლის მოსმენა...

— შენთან პაექრობას ახლა არ ვაპრებ... მთვარე იქით იყოს და, შეხედე, კარგად დააკვირდი, რას ხედავ? ტბის ნაპირას საუცხოო დასასვენებელი ცენტრი გაუხსნიათ, დამიჯერე, მთვარეზე რა მინდა, აქ ყოფნა ბევრად სჯობს!

როგორც ვთქვი, საუბარ-საუბარში, ჩვენდა მოულოდნელად, ამ ქვეყანაში ყოფნისას ჯერ არნახულ საუცხოო ადგილს მივდგომივართ: წინ მოჩანს ტურფა ტბა – ფოთლოვანი ტყით შემოსილ მთებს შორის ჩამჯდარი ფირუზის თვალი...

– რა იცი, რომ ცენტრია?

– ახლა მოდაა, ყველაფერს ცენტრს უწოდებენ: ძველად რომ პოლიკლინკები ერქვა, ახლა სამედიცინო ცენტრებია, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებიც უცებ ცენტრებად გადაიქცნენ... ალი ბაბა ავლაბრელის უზენაესი ნებით, ტანკენაში ყოველივესა და ყველაფრის საყოველთაო გადარქმევის ეპიდემია გავრცელდა: მაღაზიების მაგივრად – მარკეტები, უნივერსიტეტებში კათედრები გააუქმეს და მათ მაგივრად მიმართულებები თუ რაღაც ჯანდაბაა... დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლები ახლა საჯარო სკოლებად მოინათლნენ: ინგლისური **"Public school"** პირდაპირ გადმოიღეს – როგორც ხედავ, საგანმანათლებლო სისტემის ყბადაღებულ რეფორმას ფრიად განათლებული პირები ხელმძღვანელობენ!.. უხეშად რომ ვთქვა, ამგვარი სახელთა უაზროდ, გაუმართლებლად შეცვლის წამომწყები ნაღდად ჭკუა-გონებაზედ "დაცენტრილია", მაგრამ შეკამათებას ვინ გაუბედავს... ასობით არსებულ ძირძველ მშობლიურ ტერმინს რატომღაც ინგლისურით ცვლიან და ტანკენელებს სანახევროდ არც ესმით, რას ლაპარაკობენ რადიო-ტელევიზიაში, ვერ იგებენ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ წერილებს... კი მოთქვამენ: "სიმახინჯეა, გადაგვარებაა, საშინელებაა!", მაგრამ ვინ არის გამკითხავი.

– სოსო ბატონო, შეხედე: ეს რა მილეთის ხალხი ტრიალებს? რადიო-ტელევიზის, ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტები, დაცვის ახმახი, ბრგე თანამშრომლები, ბოხვერა თავებს რომ განუწყვეტლივ აქეთ-იქით ატრიალებენ და თვალებს აცეცებენ...

– იქ ახლოს ვინ მიგვიშვებს, მაგრამ ხომ შეგვიძლია, შორეულ კუნჭულში მაინც მივუსხდეთ ტელევიზორს და იქ ვნახოთ, რაც აქ ხდება?

– რა ხდება, ცირკი ჩამოვიდა თუ უცხოელი პოპ-ვარსკვლავის კონცერტი იწყება?

– როგორც ვატყობ, საგანგებო ღონისძიების პირდაპირი ტრანსლიაციისთვის ემზადებიან! მივხვდი: ბატონი პრეზიდენტი მთავრობის მორიგ გამსვლელ სხდომას ატარებს!

– რით მიხვდი?

– ალი ბაბა ავლაბრელს უყვარს პატარ-პატარა წარმოდგენების დადგმა – ტელემაყურებელთა წინაშე ნაირგვარ ეგზოტიკურ გარემოში ბრძნული აზრების გადმოფრქვევა ბედნიერი და აყვავებული ტანკენას არნახული წარმატებების შესახებ ცხოვრების ყველა სფეროში და, იმავდროულად, მინისტრებისთვის ჭკუის დარიგება! ხომ გახსოვს: ამას წინათ ტელევიზორში ვნახეთ, როგორ გამართა მთავრობის სხდომა კილიმანჯაროს წვერზე!

– ამჯერად მშვენიერი ადგილი შეურჩევია!

– უყურე, უყურე! ჩვეულ ამპლუაშია!

რა თქმა უნდა, სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი მხოლოდ თვითონ ლაპარაკობს; ქაქანებს, ქაქანებს: აქებს და ადიდებს ახალდანიშნულ მინისტრს, ოციოდე წლის დედოფალას მსგავს გოგონას, სახე რომ ფერუმარილის სქელი ფენით კაპიტალურად შეუკეთებია და გრძელ ხელოვნურ წამწამებს წამდაუწუმ აფახულებს...

ცოტა ხანში დარი ავდარმა შეცვალა: ალი ბაბა ხმას უმაღლებს და იქ მყოფთაგან ხან ერთს, ხან მეორეს, ფეხზე წამომხტარს, დორბლების ფრქვევით ემუქრება, პატარა ბავშვივით ტუქსავს!

ერთი მათგანი რაღაცას ლუღლუღებს, ეტყობა, ცდილობს, თავი იმართლოს... ბატონ პრეზიდენტის რეაქცია მყისიერი და ძალიან ეფექტურია: საფერფლეს მარჯვედ სტყორცნის და ზუსტად ახვედრებს – პირდაპირ გულის კოვზში!

– კიდევ ხომ არ არის უაზრო ლაყაფის მსურველი?.. – ალი ბაბამ ორბის თვალი მოავლო მაჩანჩალა მოწაფეებივით თავჩაღუნულ დამსწრეთ.

მეორე განქიქებულმა შეცდომა დაუშვა – დაზარალებულის წამოკვნესებაზე უნებლიედ წამით თავი ასწია...

ალი ბაბას ხელში ამჯერად მობილური ტელეფონი აღმოაჩნდა – კვლავ ტყორცნა!..

ახალმა მსხვერპლობის კანდიდატმა თავის დახრა მოასწრო და ბატონ პრეზიდენტის ბრილიანტისთვლებიანი, ათიათასდოლარიანი აპარატი შორს გაიტყორცნა და ტბაში ჩავარდა.

– ბატონი პრეზიდენტი მეტისმეტად მზრუნველი და ხელგაშლილია თევზების მიმართ, მაგრამ ისინი მხოლოდ მოულოდნელი საჩუქრის ცქერით დატკბებიან, რადგან პირი წყლით აქვთ სავსე და, დიდი სურვილის მიუხედავად, პრეზიდენტს ტელეფონით მადლობას ვერ გადაუხდიან... – თავი ვერ შევიკავე და წავჩურჩულე სოლომონ ბრძენს.

მაგიდასთან მსხდომთ, უფრო სწორედ, დამნაშავე მოწაფეებივით ფეხზე მდგართ, ეგონათ, უკვე გვეშველაო, მაგრამ მოტყუვდნენ – თურმე ბატონ პრეზიდენტს დილიდანვე ჯიბეში ორ ტელეფონს უდებენ – იციან მისი ფიცხი ხასიათი! წარუმატებლობით აღგზნებულმა ბატონმა პრეზიდენტმა მეო-

რედაც ტყორცნა ტელეფონი და ამჯერადაც მიზანს ააცილა – კიდევ ერთი, ფრიად ძვირფასი, თუმც მათთვის სრულიად უსარგებლო, საჩუქარი თევზებს!..

– ბიჯო, მაგიდაზე უამრავი ბოთლია, იმათ რატომ არ იყენებს? – დაინტერესდა სოლომონ ბრძენი.

– ეტყობა, ძალზე მსუბუქი პლასტმასის ცარიელი ბოთლებია; რაც კი "კოკა-კოლა" და მინერალური წყალი იყო, ალი ბაბამ ყველას დალევა მოასწრო!

წარუმატებელი გავარჯიშებით კიდევ უფრო გაბრაზებულმა ბატონმა პრეზიდენტმა ჯიბეებში ფათური დაიწყო მორიგი სატყორცნი იარაღის მოსაძიებლად...

– ათასდოლარიან ნაძლევს ვდებ ერთის წინააღმდეგ, რომ დამსწრეთაგან ერთი-ორი მინისტრის სკამს გამოემშვიდობება – დღესვე! – წავჩურჩულე სოლომონ ბრძენს.

ამასობაში საფერფლის მოხვედრით დასჯილმა მინისტრმა სული მოითქვა; წელში გაიმართა თუ არა, თავის შველას გაქცევით ლამობდა, მაგრამ ბატონი პრეზიდენტი, რაკი ცარიელ ჯიბეებში სასროლი ვეღარაფერი ნახა, ცხვირსახოციც კი, რთული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნის საუცხოო უნარი ერთხელ კიდევ ცხადად გამოავლინა: ლომისებრ დაიღრიალა, დაიხარა, ცალი ფეხიდან ფეხსაცმელი გაიძრო, გაქცეულს დაადევნა და, სამწუხაროდ, ამჯერად ააცილა... შემდეგ ალი ბაბამ ვეფხვისებრ ისკუპა და რამდენიმე ნახტომით თითქმის სამშვიდობოს გასულ მსხვერპლს წამოეწია, გარეთ გავარდნის მსურველს ერთი ლაზათიანი ანუ გემრიელი ჭიტლაყი მიაყოლა, ცხადია, ფეხსაცმლიანი ფეხით, და ამით სისწრაფის მაჩვენებელი დიდად გაუზარდა...

ჟინმობანილი ბატონი პრეზიდენტი თავმჯდომარის ადგილს დაუბრუნდა, თუმც სკამზე არ დამჯდარა; სხდომის სხვა მონაწილეთა დარად ფეხზე მდგომმა, ბოლო წარმატებით ფრიად კმაყოფილმა, ფართედ გაიღიმა და ბრძანა:

– სულ ხომ არ უნდა ვიმუშაოთ, ახლა სალხინო დარბაზში გადავინაცვლოთ! ხომ გაწყობილია ყველაფერი? – და სწრაფი ნაბიჯით საბანკეტო დარბაზისკენ თითქმის გაიქცა.

ვირუკას ვეუბნები:

– სოლომონ ბრძენო, ვუყურებ ყველაფერს და გამკვირვებია: ქვეყანაში ასეთი დაძაბული მდგომარეობაა, წამი-წამზე საყოველთაო უკმაყოფილების ნიაღვარი ყოველგვარ ჯებირებს გაარღვევს და რევოლუცია დაიწყება, ბატონი ალი ბაბა კი ამ დროს დროს ატარებს უზრუნველად და მიზანში სხვადასხვა საგნების სროლით ერთობა, რა დავარქვათ ამგვარ სიმჩატეს?

– ეს უმაქნისი მინისტრები ტბაში გადაგდების ღირსებიც არიან, ხოლო რაც შეეხება ალი ბაბას, მისი გონებისა და მოქმედების სიმჩატე ადრე თუ გვიან ტახტიდან გადააფრენს და, არ არის გამორიცხული, სატუსაღოშიც მიუჩინოს ადგილი. იქ კი როგორი გართობის ხასიათზეც იქნება, ვის და რას ესვრის, მაგასაც ვნახავთ!

– ჩვენ არაფრის ნახვა არ გვჭირდება... დროზე გავასწროთ ამ ქვეყნიდან, სანამ სისხლიანი გადატრიალების წისქვილის დოლაბებში მოვხვდებოდეთ: მშვენივრად მოგვეხსენება, რა სიკეთეც მოაქვს საყოველთაო ძალადობისა და სისასტიკის გამოვლინებას... ისიც მიკვირს: ალი ბაბამ ხალხის მღელვარების ჩასაცხრობად რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დანიშნა და ახლა ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ უთქვამს... ალბათ მოლხენისას, განსაკუთრებით ერთგულ თანაგუნდელთა ვიწრო წრეში, უცხო თვალთაგან და ყურთაგან საგანგებოდ დაცულ გარემოში, მთავარი სასაუბრო თემა მომავალ არჩევნებში უეჭველი გამარჯვებისთვის აუცილებელი კანონიერი თუ უკანონო გზების ძიება იქნება... ახლა კი გვეყოფა სეირნობა და ჯობს, დაღამებამდე დედაქალაქში დავბრუნდეთ... – და მაშინვე ვირუკაზე ავბობღდი.

– ახლა კი მივხვდი, პირუკუღმა შაჯდომა რად აიჩემე! – უადგილოდ ხვიხვინებს სოლომონ ბრძენი.

– აბა, ჰე, წადი, წადი! ათასჯერ მკითხე და ათასჯერ აგიხსენი, თუ გინდა, ათასმეერთეჯერ გაგიმეორებ!

– არა, სულ ტყუილს მეუბნებოდი! ნამდვილი მიზეზი შენი ახირებისა ის არის, რომ მშიშარა ხარ!

– რისი უნდა მეშინოდეს?

– აბა, რატომ გავრბივართ?

– შენ თვითონ არ ბრძანე, ჯობს, საჩქაროდ მოვუსვათ ბაყაყურიო? ან რა კავშირი აქვს ჩემს ვითომ შიშს უკუღმა ჯდომასთან?

– გეშინია, რომ ვიღაცა უკანიდან შემოგახტება! და, უკეთეს შემთხვევაში, გაგძარცვავს!

– რა მაბადია, რომ ვინმეს ხელი წაუცდეს?

– მე არაფრად ვღირვარ? ასე მაფასებ? მოგიჭერს უკანიდან ყელზე ხელს ან ერთს გიბიძგებს და გადმოგაგდებს – ეძებე მერე ჩემი ასავალ-დასავალი!

– შენ კი დამორჩილდები განა მოძალადეს, ტლინკებს არ ჰყრი?

– მე ჩემსას არ დავაკლებ, მაგრამ ხომ იცი, ძალა აღმართსა ხნავს!

— სოლომონ ბრძენო, ახლაც იტყვი, რომ ჩემი ახირება უაზრობაა? იცი, რას ვხედავ? მოგვდევენ ეგ პატრონძაღლები — ბნელსახიანი არსებები გამოჩდნენ მრავალნი, ჩვენზე მონადირენი! თოფებით! თუ კაცი ხარ, როგორც შეგიძლია, ფეხს აუჩქარე!

— ბიჯო, თუ ძალიან შაგეშინდა, თავიდანვე სარბენ აქლემზე დამჯდარიყავ! კიდევ უკეთესი: გირჩევნია, ჟირაფზე გადაჯექ!

— ჟირაფის ზურგზე რა დამრჩენია?

— იცი, რა მაღალი ფეხები აქვს? ქარივით გაგაქროლებს! თანაც — რაც მაღლა იქნები, უფრო შორს დაინახავ!

— მერე იქ ასაფორთხებლად კიბეს შენ მომიცუნცულებ?

— ხეზე აძვერი, გაჭირვების ჟამს ყმაწვილკაცობა გაიხსენე! იქნიდანა კიდენა ჟირაფის ზურგზე ისკუპე!

— მიწას რომ დავენარცხო და საზამთროსავით გავსკდე, ნაწილ-ნაწილად დაშლილს შენ ამაწყობ?

— ადრეც ხომ გითხარი, პარაშუტი უნდა წამოგეღო, ჰი-ჰი-ჰი!

— რა ხუმრობის ხასიათზე დადექ, ყაჩაღებს თოფის სროლაც არ დასჭირდებათ, სადაცაა პირდაპირ ხელს მტაცებენ ქეჩოში!

— ვინ არიან ეს თოფკაცები? ვის რა დავუშავეთ? — სხვა ჰანგზე გადაერთო და მოთქვამს ყროყინა.

— რაც ამქვეყნად გვიცხოვრია, მხოლოდ სიკეთეს ვთესავდით, სწორედ მაგის საზღაურია!

— შორს არიან? — ჩაქჩაქ-ჩაქჩაქში მეკითხება ვირუკა.

— ხომ გითხარი, მათ სუნთქვა უკვე პირდაპირ სახეში მცემს!

— ბიჯო, ერთი თოფი წამოგეღო ან ფიშტო მაინცა, მხოლოდ საწერ-კალამი გიშველის?

— ახლა ჭკუის სწავლების დრო არ გახლავს, სოლომონ ბრძენო, ერთადერთი ხსნა შენს ხმაშია — ერთი გემრიელად დაიყროყინე, ჯო!

დიდყურამ არ დაახანა და ისეთი დასჭექა, მერე — მეორედ, მესამედ, რომა დედა უტირა ყველა ჩვენს მდევარსა!

— ყოჩაღ, ჩემო ყროყინავ!

— გვეშველა?

— გვეშველა!.. მეორედ მოსვლა თუ ეგონათ, ისე დაფრთხნენ და უკუიქცნენ! თუ წინათ მიაჩნდათ, რომ მუსიკა განარიდებდა მავნე სულებს, — ორდანომ განდევნა ნოტრ დამ დე პარის ტაძრიდან მავნე ქიმერები გარეთ, მის ფასადზე არიან მათი ქანდაკებები გამოსახულნი, — ეტყობა, ხმას საერთოდ აქვს ძალა! განსაკუთრებით — შენს განუმეორებელ ყროყინსა, ჩემო ძმავ და მეგობარო!

— მხოლოდ ჩემი ხმის ქებით ამოიწურება შენი მადლიერების გრძნობის გამოხატვა?

— არა, ჯო, ერთ გამარჯვების საზეიმო სიმღერასაც შემოვძახებ, შენდამი მოძღვნილსა, ამ მოვლენის საკადრისსა...

— მართალი გითხრა, მაგარი შიში ვჭამე და აბა, ჰე, იქნებ ცოტა გამამხიარულო!

— მოიცა, ცოტა მოვიცადოთ: რაც შეიძლება წყნარად უნდა ვიაროთ, თუმცა უკვე ბნელდება, მდევრები ამ უტყეო, ხრიოკ მიდამოში ადვილად დაგვინახავენ.

— მთვარეც ჩვენს მხარესაა: ხედავ, ჩვენი დახმარების მიზნით ღრუბელს წაავლო ხელი და პირზე მიიფარა!

ჩვენი სიხარული ნაადრევი გამოდგა, გზად ახლა სხვანი გადაგვიდგნენ, დაგვესივნენ — ბევრნი, ბევრნი...

გინდაც ახალგაზრდა ვყოფილიყავ, წინააღმდეგობის გაწევას რა აზრი ექნებოდა? სოლომონ ბრძენს ტლინკებით გამასპინძლება მაინც შეუძლია, მე კი სრულიად უილაჯო გახლავარ... განუყრელი კალმი კი მედო ჯიბეში, მაგრამ ვეჭვობ, რამენაირად მათი დარწმუნების იარაღად გამომდგარიყო...

ხელის კვრით ჩამომაგდეს ძირსა, დავეძნეყვე ქვასავით მიწასა და, ჩემს ჯიბეებში რომ სახეიროს ვერაფერს მიაგნეს, ახლა ვირუკას დასაპატრონებლად ერთმანეთს დაუწყეს ძიებილაობა.

— ჩემია ვირი, გაუშვი ხელი, შე ვირო! — გაჰყვირის ერთი.

— ვირს გაჩვენებ შენა, ხომ არ გინდა, ხელუკუღმა გტკიცო და გაგახარო, ოხერო! — არ ეპუება მეორე.

— დააყეთ ხელი, თორემა, პაპიჩემის სულსა ვფიცავ, პაპაჩემთან გაგისტუმრებთ მოკლე გზით ბილეთის აუღებლადა! — ჩაერია მესამე.

ამგვარი პრეტენზიების ნაყოფით დახუნძლულნი ორი-სამი სხვაც გამოჩნდა და საწყალი ყურპარტყუნას ერთი კუდი, ორი ყური და ოთხი ფეხი ვერაფრით გაიყვეს...

ყველა მოცილე ცდილობს, მეტოქეს ქიმუნჯი უთავაზოს და ვირუკას მოაჯდეს, თანაც ისეთი თავგამოდებით, თითქოს სამეფო ტახტისთვის იბრძოდეს, მაგრამ, გინდაც სოლომონ ბრძენი თანახმა იყვეს, ორზე მეტი როგორ დაეტევა მის ზურგზე?

შედეგი ზედმიწევნით კანონზომიერია – ზედახორა!

მე ყველას დავავიწყდი...

წამოვხტი ფეხზე – რა ვქნა?

სამაგიეროდ, სოლომონ ბრძენი არ დაიბნა: ზურგზე წამოგორდა და უკანა ფეხებით ხომ მარჯვედ იქნევს ტლინკებსა, არც წინა კიდურებით აკლებს ხელს: ერთს ფერდი ჩაულეწა, მეორეს – ყბა მოუნგრია, მესამეს – მუცელში ჩააზილა გემრელად ჩლიქი...

ეგრე, ჩემო კეთილო ყროყინავ, ეკუთვნით, მაშ! კეთილად შეარგოთ!..

სიბერე არად ჩავაგდე და მეც გამოვიღე ხელი, კვანტის დადება და ხელის კვრა ხომ მაინც ძალმიძს!

ჰოდა, სოლომონ ბრძენს ვუყივი:

– დროულად გავიქცეთ, ბიჭო!...

ვირუკამ დაივიწყა ქიზიყური სიდინჯე, მაშინვე წამოხტა და ჩემთან გაჩნდა:

– აბა, გავუტიოთ, შამაჯექ, ჩქარა!

პირუკუღმა შევახტი, თითქმის გავფრინდით...

როცა მდევართა ღრიანცელი მინელდა, სოლომონ ბრძენმა ბრძანა:

– ბატონო ჩემო, ახლა მაინც დაჯექ წესიერადა, ამ რბოლაში არ გაინტერესებს, საით მივქრივართ?

– რა მნიშვნელობა აქვს, ოღონდ კი აქაურობას დროზე გავეცალოთ!

– როგორ არა აქვს მნიშვნელობა? შენ, ბატონო ჩემო, ყველაფერს უკუღმა ხედავ! ჭკუა ხომ არ გეღრძო?

– რა შემატყვე ასეთი?

– აბა, რომელი ჭკუათმყოფელი შეაჯდებოდა ვირუკას პირუკუღმა თავისი ნებით? წესიერად რომ იჯდე, ისიც საკითხავია, საით გაუტევ და პირუკუღმა შემჯდარმა ჯირითით რაღა ხეირს ნახავ!

– რა დროს ჩემი ჯირითია...

– ამ ხნის კაცი ბრძანდები, ქვეყნიერება ასე უკუღმართად გინდა, მოიარო? შენ, ბატონო სოსო, უკაცრავად კი ვარ და, ცირკის ასპარეზს უნდა ამშვენებდე!

– დიდად პატივცემულო სოლომონ ბრძენო! როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ დიდ მწერლებსა და ბრძენ მოაზროვნეებს, საწუთრო განა ერთი დიდი საერთო და საყოველთაო ცირკი არ არის? ზოგი თეატრადაც მიიჩნევს...

– დიახ, ეგრე ჩანს...

– რატომ შავჯექ უკუღმა? ეგ კითხვა რამდენჯერ დამისვი და მე პირდაპირი პასუხი არ გაგეცი... ამას მიზეზი ჰქონდა: როგორ უნდა ამეხსნა ეს ჩემი ახირება სრულიად უცნობისთვის? ახლა შემიძლია, გითხრა: შენს ზურგზე ამგვარად ამხედრებული, ხედვის უჩვეულო წერტილიდან ახლებურად დამანახვებს ბევრ რასმეს...

– ბევრი რამე არ მაინტერესებს, ჩემს ერთ კითხვას გაეც პასუხი: ამ დალოცვილ ქვეყანაში ყველგან ხიფათი გველის და სად ჯანდაბაში წავიდეთ?

– ყველაფერს აჯობებდა, ფრთები რომ გვქონოდა, მაგრამ ვაგლახ!

– ჰაერში უკვე ვიფრინეთ, გვეყოფა!

– აბა, რა ვქნათ? ეს ველ-მინდორი განსაკუთრებით საში-შია, გესმის ავი ხმები?

– მართლა?

– ეგრეა, ნამდვილად! დაუკვირდი: ლომთა ღრიალი აზანზარებს ჰაერს; მთვარე დამალულია, მაგრამ მაინც შეგიძლია, გაარჩიო, გველები როგორ ეხვევიან ხეთა ჩამოშვებულ ტოტებს; მდინარის ნაპირსაც უნდა ვუფრთხილდეთ – ნიანგი თუ ამოფოფხებულა და საშინელი ხახა დაუღია, რას შვრები მაშინ?

– ჰი, პატარა ბავშვი გგონივარ? მაშინებ?

– ღმერთად კი შეგრაცხეს, მაგრამ თუ ცოფიან სპილოს ან გარეულ კამეჩს გადავეყრებით, ვერაფერი გვიშველის!

– შენს ნათქვამს თუ დავიჯერებ, არსაით ჩანს საშველი, მხოლოდ გაფრენა თუ გადაგვარჩენს... მემრე, როგორ გავფრინდეთ, ჭკუის კოლოფო?

– დაივიწყე გაფერენაზე ოცნება, ისევ საკუთარი ფეხების სიმარდეს უნდა მივენდოთ...

– შენი ართრიტიანი ფეხების იმედი გაქვს?

მხოლოდ შუადამეს დავბრუნდით დედაქალაქში.

კარი XII.
მზადება სილამაზის კონკურსისთვის.
აჯანყება. ისევ გავიპარეთ.
“ოქროსნალლებიანი ვირის ზღაპარი”

როგორ მოვახერხოთ საბოლოოდ გაპარვა? ძნელად გადასალახავი წინაღობა ჩანდა: ჩვენ ხომ დიდად გამოჩენილნი ვბრძანდებოდით, სულ საზოგადოების თვალწინ უნდა ვყოფილიყავით; გარდა ამისა, ცხადი იყო, რომ ჩვენი ქალაქგარეთ გასეირნების შემდეგ ალი ბაბა ავლაბრელის მხრივ მოჩენილი გვყავდა მეთვალყურენი, რომელთა ამოცანაც იყო – ჩვენი ყოველი ნაბიჯი უნდა სცოდნოდათ...

– რა გვეშველება? – წუწუნებდა სოლომონ ბრძენი. – რომც მოვახერხოთ ქალაქიდან გასვლა, თუნდაც საკმაო მანძილით მოცილება და ტრანსპორტისთვის მიუვალ ადგილას თავის შეფარება, სწრაფმავალ აქლემებზე ამხედრდებიან და დაგვედევნებიან, შორს წასვლას ვერ მოვახერხებთ!

– ევრიკა! სოლომონ ჩემო, მომავალ კვირადღეს ხომ ორი კონკურსი ტარდება: ერთი – ოცდახუთ წლამდე ქალიშვილთა სილამაზისა და სიჭკვიანისა და მეორე – ათ წლამდე აქლემთა სილამაზისა და სიმარჯვისა!

– მერე, ჩვენ რა?

– რა და, ორივე კონკურსის ჟიურის საპატიო თავმჯდომარედ ხომ ხარ მიწვეული? მე კიდევ – საპატიო წევრად! და არც ერთზე მივიდეთ – ჩვენს გზას ვეწიოთ! ჩვენთვის არავის ეცლება!

– ალი ბაბა?

– ალი ბაბა ან ერთ კონკურსზე მივა, ან – მეორეზე; მე მგონი, აქლემთა სილამაზის ტრფიალი კი გახლავს, მაგრამ მშვენიერ ქალბატონთა კონკურსს კი დაესწრება უეჭველად! მით უმეტეს, რომ ყველამ იცის: ვინც სილამაზის კონკურსში გაიმარჯვებს, დაინიშნება პრეზიდენტის კანცელარიის უფროსად! გარდა ამისა, დასასრულ, იქ გაიჭრება უზარმაზარი ტორტი, ალი ბაბას ზღვარგადასული მსუნაგობა კი ყველასთვის ცნობილია. ჩვენ კი ხონთქარს ვუთხრათ, რომ ქალთა სილამაზის კონკურსები ჩვენს სამშობლოშიც მოგვყირჭდა – ინტრიგებით, ცრემლებით, სკანდალებით – და უფრო აქლემების რბოლის ხილვა გვაინტერესებს! ჩვენ კი არც იქ მივალთ, თავს ვუშველით!

– მომწონს, მომწონს ეს ჩანაფიქრი: მთელი მეაქლემენიც აქლემთა კონკურსს დაესწრებიან და ჩვენს დასადევნებლად ვისღა ეცლება!

ჩვენი გეგმა თავიდანვე ჩაიშალა: თვით მისმა უმაღლესობამ, ტანკენას პრეზიდენტმა ალი ბაბა ავლაბრელმა დაგვდო პატივი და პირადად გვეახლა, რათა სრულიად ტანკენას მშვენიერ ქალბატონთა სილამაზის კონკურსს დავსწრებოდით და უარი არ გაგვივიდა...

დედაქალაქის ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზი გატენილი იყო ფრიად ლამაზი სახილველის მომლოდინეებით.

ვირუკა ჟიურის საპატიო თავმჯდომარე გახლდათ, მისთვის საგანგებოდ წამოსაწოლი ტახტი გაკეთეს, რომელიც მოჰფინეს ძვირფასი ხალიჩებით და ირგვლივ კი დიდებულად შემკეს ნაირგვარი უტურფესი ყვავილებით, რომელთა მსგავსიც ჯერ არ მენახა! რა თქმა უნდა, დიდყურა დაუყონებლივ შეუდგა ყბებით ენერგიულ საქმიანობას, რომელსაც ჟიურის საპატიო თავმჯდომარეობასთან არაფერი ჰქონდა საერთო, – მისთვის ესოდენ უცხო სასუსნავის დაგემოვნებას... ქალწულთა სილამაზის დაფასებისა რა მოგახსენოთ და გულმხურვალე მოტრფიალე კი გამოდგა ყვავილთა სილამაზისა!..

რასაკვირველია, ჟიურის თავმჯდომარეობა ალი ბაბა ავლაბრელმა არავის დაუთმო, ხოლო მე პატივი მერგო, ჯიურის საპატიო წევრის სტატუსით დავმტკბარიყავი, აგრეთვე, მომეცა შესაძლებლობა, დავმტკბარიყავი ფრიად უცნაური და უცხო კერძების დაგემოვნებითაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხისა: ქალთა სილამაზის კონკურსებზე, ბატონ პრეზიდენტის გენიოსური გადაწყვეტილების თანახმად, წესად შემოღიათ, იმავდროულად, სუფრის გაშლა სცენის წინ – ჟიურის წევრებისა და საპატიო სტუმრებისთვის! მართალი მოგახსენოთ, მხოლოდ ერთი ჩინური კერძის გასინჯვა მოვასწარი, რადგან რამდენიმე წუთში ბატონმა პრეზიდენტმა ჩემთვის ფრიად გასაკვირველი მადა გამოამჟღავნა, სიმარჯვით სოლომონ ბრძენსაც კი გადააჭარბა: ერთიანად გაავლო მუსრი, თუკი რამ ჩვენს წინ დადგმულ მაგადაზე მოიძევებოდა... სანამ ხელმეორედ გააწყობდნენ სუფრას, ალი ბაბა ავლაბრელმა სათითაოდ ყველა იმ თეფშის გალოკვაც მოასწრო, რომელთა მაგიდიდან წაღება ჯერ ვერ მოასწრეს; თან კმაყოფილი ღრუტუნებდა და, ერთი პირობა, შემეშინდა კიდეც – ღორმუცელა ტახად არ გადაიქცეს და იქ მყოფთ არ დაგვერიოს-მეთქი...

ამ დროს დასჭექა სოლომონ ბრძენმაც ომახიანადა – ყროყი-ყროყი-ყროყინით ბატონ პრეზიდენტის კმაყოფილი ღრუ-ღრუ-ღრუტუნი გადაფარა – თურმე დიდად ესიამოვნა იმ ნაირგვარი ყვავილების გემო, რომელთა შემკულობისგანაც საფუძვლიანად გაასუფთავა თავისი ტახტიცა და "ტახის" ტახტიცა, აგრეთვე, ირგვლივ იმის იქეთაც, სადამდისაც გაწვდილი კისრის მეშვეობით ტუჩ-კბილით მისწვდა.

გაისმა ფრიად ბედნიერი და საამოდ აყვავებული ტანკენას სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დიდებული სახელმწიფო ჰიმნი, ყველანი ფეხზე წამოდგნენ და ამღერდნენ; სოლომონ ბრძენმა ჰიმნის სიტყვები არ იცოდა, სამაგიეროდ, საზეიმო განწყობა კიდევ უფრო დაამშვენა – ისევ დააგუგუნა თავისი მძლავრი ყროყი-ყროყი-ყროყინი!.. ეტყობა, მადიანად მირთმეულმა ყვავილებმა ძალ-ღონე შეჰმატა!

ალი ბაბა ავლაბრელისთვის ყველაზე ამაღელვებელი მომენტი კონკურსის მიმდინარეობისა მაშინ დადგა, როცა ტურფა ქალიშვილები საბანაო კოსტიუმებით წარსდგნენ მაყურებელთა წინაშე, დროებით ჭამაც კი შეწყვიტა.

გამარჯვებულად და მთავარი ჯილდოს მფლობელად გამოაცხადეს მადონა მდივანბეგაძე, პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსი, რომელიც ამიერიდან ალი ბაბა ავლაბრელის კანცელარიის უფროსი გახდებოდა – რა თქმა უნდა, უეჭველად ალი ბაბას ფავორიტისთვის უნდა გაეღიმა ფორტუნას... ამის გარდა, მასვე გადაეცა სპეციალური ჯილდო უსახლკაროთა და გაჭირვებულთა დახმარების ფონდისგან – უკანასკნელი მოდელის ძვირფასი ავტომანქანა, საგანგებოდ მთლიანად მოოქროვილი, ასევე – რადიო-ტელევიზიის პრიზი მაყურებელ-მსმენელთა შორის ყველაზე მეტი პოპულარობისთვის და კიდევ ათზე მეტი ჯილდო სხვადასხვა დაწესებულებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციისგან.

ასე ამაღლებულად დასრულდა სილამაზის კონკურსთან დაკავშირებული რამდენიმეთვიანი ვნებათაღელვა...

შემდგომ ამისა, მე და ვირუკა ოფიციალურად ბატონ პრეზიდენტთან ერთად უნდა წავსულიყავით აქლემთა სილამაზისა და სიმარჯვის კონკურსის სანახავად; იმედი გვქონდა, იქნებ იქიდან მაინც მოგვეხერხებინა ქალაქიდან გაპარვა, მაგრამ... ჩვენი გადაწყვეტილების აღსრულება ბევრად დააჩქარა გაუთვალისწინებელმა გარემოებამ: შუადღეზე, ყველასთვის მოულოდნელად, სტიქიური აჯანყება დაიწყო ხონთქრის წინააღმდეგ...

თავიდან მოვლენათა ასეთ მძაფრ განვითარებას არაფერი მოასწავებდა და იგი ასე გაიზარდა– გაფართოვდა:

ჯერ დილიდან, სანამ ქალიშვილთა სილამაზის კონკურსი ტარდებოდა, მერიის შენობის წინ შეიკრიბა უამრავი ხალხი და გაიმართა პენსიონერთა საპროტესტო აქცია.

მოვარდა პოლიცია, დაიწყო ხალხის მიწევ-მოწევა, ამას მოჰყვა ურთიერთ გაწევ-გამოწევაც...

პოლიციელებმა ვერ შეძლეს ხალხის დაშოშმინება და სასწრაფოდ გამოძახებულ იქნა საგანგებო დანიშნულების რაზმი.

ჯანიანი ბიჭები დაერივნენ ხანში შესულ ქალებსა და კაცებს, და ამ დროს იქ მყოფ პროტესტანტებს დაემატნენ მთელი ქალაქიდან მოვარდნილები და ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულებიც.

ამდენი გამძვინვარებული ადამიანის დანახვაზე პოლიცია გაჩერდა, მისი ნაწილი დემონსტრანტებს გამოესარჩლა; ხალხმა გადათელა დარჩენილი მოძალადეები, გაიჭრა ციხისკენ და იქ წინა დღეებში დაჭერილი ადამიანებიც საკნებიდან გაანთავისუფლა.

ალი ბაბა ავლაბრელს აქლემების კონკურსისთვის აღარ სცხელოდა; იძულებული გახდა, უაღრესად საშიში მდგომარეობის განსამუხტად ჯარის რეგულარული შენაერთებისთვისაც მოეხმო, მაგრამ სამხედროებმა მისი ბრძანება არ შეასრულეს, პირიქით, პრეზიდენტის სასახლეს შემოარტყეს ალყა... პრეზიდენტის პირადი დაცვა მათ წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდა და ალი ბაბა შეშინდა: უეცრად გაეთიშა სატელეფონო და რადიოკავშირი. პირადი გვარდიის გამოძახება კი მოასწრო, მაგრამ მოუსწრებდა კი იგი ცოცხალს, მოახერხებდა მის შველას? პრეზიდენტის სასახლეს თავს დაფრენდნენ ვერტმფრენები, ახლომახლო ქუჩები ბლოკირებული იყო ტანკებითა და საბრძოლო ქვეითი მანქანებით. ისმოდა სროლისა და შიგადაშიგ – აფეთქებათა ხმა; ბატონი პრეზიდენტი საშინელმა პანიკამ მოიცვა...

ალი ბაბა ავლაბრელმა სასახლიდან დედაქალაქიდან მოშორებულ ერთ-ერთ სამხედრო ბაზაში გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ პირადი ვერტმფრენის გამოძახება ვერ შეძლო.

ხალხმა იხუვლა, შეანგრია სასახლის ბაღის ჭიშკარი – პრეზიდენტის პირადმა დაცვამ იარაღი დაყარა: შეჭრილნი იმდენნი იყვნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. ნგრევისა და განადგურების ჟინით შეპყრობილი გამძვინვარებული ბრბო შეესია სასახლის ძვირფასად მორთულ-მოწყობილ დარბაზებს, ოთახებს, სათავსებს...

პრეზიდენტი საიდუმლო გვირაბიდან გაპარვას ცდილობდა, მაგრამ სწორედ გვირაბის გასასვლელთან დაიჭირეს, ჯერ ერთი-ორი წაუთაქეს, წააქციეს; ვიღაცამ ბენზინი შეასხა და ცეცხლი წაუკიდა. სხვებმა ეს ვანდალიზმი აღკვეთეს – ცეცხლის სასწრაფოდ ჩაქრობას შეეცადნენ, მაგრამ ალი ბაბას გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო... მერე იქაურობას ყველა გაეცალა – ალი ბაბას ნახევრად დანახშირებული ცხედრისთვის არავის ეცალა – მალე მთელი უზარმაზარი სასახლე ერთ დიდ, აგიზგიზებულ კოცონად გადაიქცა.

დაიწყო სახელმწიფო დაწესებულებების საყოველთაო საშინელი დარბევა. მთავარ ქუჩაზე, რომელსაც, სხვათა შორის, ალი ბაბა ავლაბრელის გამზირი ერქვა, ამსხვრევდნენ მდიდრული მაღაზიების შუშის ვიტრინებს, ცეცხლი ეკიდა საპოლიციო უბნების, პარლამენტის, სამინისტროების, ციხეებისა და სხვა ადმინისტრაციული თუ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებს. ქუჩები სავსე იყო ამოყირავებული და ცეცხლწაკიდებული ავტობუსებითა და მსუბუქი ავტომანქანებით... ქუჩებში დარბოდნენ გაავებულ ადამიანთა ჯგუფები, აღგზნებულები, იქნევდნენ რკინის ჯოხებს, გინებით დასცხებდნენ ყველაფერს, რის დამტვრევაც შეიძლებოდა; ისმოდა სროლა, შავი კვამლი ფარავდა ქალაქს, სუნთქვა ჭირდა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე – ცხედრები, სისხლის გუბეებს მისდგომოდნენ ძაღლები და ლოკავდნენ...

აეროპორტისკენ მიმავალი გზა გაჭედილი იყო გაქცევის მსურველთა ავტომანქანებით, თუმცა თვით აეროპორტის შენობაც ცეცხლის ალში იყო გახვეული; საზღვრებისკენ წასვლაც შეუძლებელი გახდა, რადგან გზებზე ავტომანქანების მრავალკილომეტრიანი საცობები წარმოიშვა.

გამოჩნდნენ მდიდართა ბინებში შეჭრის მოსურნეებიც: გაიძარცვა უამრავი პარლამენტის წევრი, მინისტრი, ბანკირი, საწარმოს მფლობელი...

ყოველივე და ყველაფერი ქაოსმა და ნგრევამ მოიცვა.

– აბა, ჩემო სოლომონ ბრძენო, აქ ჩვენ ადრეც არაფერი გვესაქმებოდა, ახლა ხომ – მით უმეტეს! და ამ ჯოჯოხეთურ გარემოს საჩქაროდ უნდა გავეცალოთ, აბა, ჩქარა! რაც შეიძლება მალე გავაღწიოთ ალმოდებული ქალაქიდან!..

შევაჯექ ჩემს ერთგულ ყურპარტყუნასა და სწრაფად დავტოვეთ ჯანყის აფორიაქებული ბუდე. გზები ყველგან გაუვალი იყო და ბილიკებით მივიკვლევდით გზას.

– რა გვრჯიდა, ასეთ უბედურ ადგილებში რომ გვიწევს წოწიალი? – ბურტყუნებს ყურდიდა. – გიჟი მიუშვი ნებასა...

– აფორიზმების თქმაშიც მაგარი ხარ, ყროყინავ, შენი სიბრძნის იმედი ყოველთვის მაქვს!.. და უფრო – შენი ფეხების გამძლეობისა! ცოტა არ იყოს, უზრდელობა კი გახასიათებს, მაგრამ ვირის კვალობაზე არა გიშავს რა. და გულახდილად გეტყვი: მორიდებული რომ იყო და თავაზიანი სიტყვა-პასუხი თუ ქცევა გახასიათებდეს – კიდევაც მეწყინებოდა!

– ისევ დამცინი? ყოველთვის ასეთ ჭკუამხიარული ბრძანდები? მომილოცავს, კარგად ყოფილა შენი საქმე!

– კარგი, ჰო, რა დაგემართა! მე შენთვის საყვედური მითქვამს? პირიქით, სულ გაქებ!

– პირუკუღმა ჯდომა ვერა და ვერ მოიშალე და ეს ერთი სიკეთე მაინც ჰქენ: ჩემს ვითომ ქებას, გირჩევნია, ფხიზლად იყო, ვინმე უკან ხომ არ მოგვდევს?

– ჩვენს გამოსადევნებლად კარგა ხანს ვერავინ მოიცლის!

– მაშინ აქეთ-იქით გარემო ათვალიერე, თუმცა ამ ხრიოკის ყურებით რა სიამოვნება უნდა მიიღო?

– ჩემთვის უინტერესო ხედი არ არსებობს! შესაძლებლობა რომ მქონდეს, აქაც გავაკეთებდი რამდენიმე ჩანახატს და მერე შინ, მშვიდ გარემოში, მათ საფუძველზე სურათებზე ვიმუშავებდი...

მივდივართ, მივიჩქარით...

– რატომ შენი ხმა არ მესმის, მხოლოდ – ფლოქვთა პაკიპუკი, ისევ ნაწყენი ხარ? თუ მოგწყინდა? ჩემო სოლომონ ბრძენო, წინ გრძელი გზა გველის და სიმღერა ხომ არ ვთქვათ? გზა მალე გაილევა! აბა, ერთი შენებურად შემოსძახე, მთა და ბარი შეაზანზარე!

– ჩემი დაცინვა როგორ არ მოგწყინდა? რატომ ვერ ისვენებ, იცი? შური გხერხავს! შური გკლავს, რომ ასე მჭექარედ არ შეგიძლია დასძახო! რამდენჯერმე ჩემი ხმა უკვე მოგვევლინა მხსნელად, ხომ არ დაგავიწყდა?

– არა, კაცო, როგორ დამავიწყდება, რომ ასეთი ჭკვიანი ყურპარტყუნა მყევხარ! ლამის არის ვიწამო, რომ არსებობს სულთა გადასახლება... ჰა, რას ფიქრობ?

– რას მიანიშნებ, ვისი სული უნდა გადმოსახლებულიყო ჩემში?

– აი, ეგ არის ყველაზე საინტერესო! სოლომონ ბრძენი ისე გიწოდე, სიმბოლურად – პატივისცემის ნიშნად! იქნებ შენში სოკრატეს სული გადმოსახლებულიყო ან იქნებ – პლატონისა! წარმოგიდგენია? ან, შესაძლოა, მე თვით არისტოტელეს სიბრძნეს ვეზიარები შენი ბრძნული აზრების მოსმენით! ჩვენს დროში ვის ხვდა კიდევ ასეთი ბედნიერება, განა საკვირველი არ არის?

– ჰო, დამცინე, დამცინე... თვითონ ხომ ტვინი გადმოგდის...

— კიდევ კარგი, ვირუკაში გადმოსახლდა, თორემ რაღაც ფანტაზიურ ცხოველში ან ფრინველში რომ გადმოსახლებულიყო, რაღა მეშველებოდა?

— შენ ისევ შენსას მიერეკები?

— აბა, რა ვქნა, ცოტა არ უნდა გავერთოთ? ისე, ჩვენში დარჩეს და, რით არ ვართ აკადემიკოსები? ხომ ხედავ, სულ ვდავობთ! არა, კი არ ვდავობთ, ვბჭობთ, მეგობრულად ვმსჯელობთ!

— ჰო, ბატონო სოსო, როგორც ყოველთვის, მართალი ბრძანდები — ჩვენს შემთხვევაში, დიახაც, ნამდვილად ვგავართ სოკრატეს ან პლატონს: ჩვენთვისაც არ არსებობს ავტორიტეტები, ჩვენთვისაც ყველაზე ახლო და დიდად პატივსაცემი ამხანაგია ჭეშმარიტება, მაგრამ ერთი განსხვავებით: ორივე ბრძენი კი ვართ, მაგრამ ერთი მეორეზე არის შემჯდარი და მიერეკება!

ვირუკა გავაჩერე, ჩამოვედი, გზა ფეხით გავაგრძელე და ვუთხარი:

— შენ ამაზე გული ნუ დაგწყდება, იცოდე, ჩემზე მეტი გაქვს სატრაბახო!

— კარგი ერთი, მაინც რა?

— ჩემო დიდყურავ, არ არის გამორიცხული, რომ შენი წინაპარი ფილოსოფოსი კი არა, რომელიმე ღმერთი იყო!

— არ გამაგიჟო, მართლა?

— წარსულში, რამდენიმე ათასწლეულის წინათ, ბევრ ხალხს სწამდა, რომ მათი სათაყვანებელი ღმერთები განიცდიდნენ ინკარნაციას ანუ გარდაიქმნებოდნენ: ქარად, ხარად, ცხენად, ცხვრად, აქლემად, თევზად, თხად... მართალი გითხრა, არსად წამიკითხავს ღმერთის ვირად გარდასახვის შესახებ, მაგრამ ამგვარი რამ არ არის გამორიცხული, იქნებ გამორჩათ?

— აქლემი არ გერჩივნა ან ცხენი ჩემს თავს? მაშინ ხომ ღმერთის შთამომავლით გაჭენდებოდი! აი, მაშინ კი დაიკმაყოფილებდი პატივმოყვარეობას! და უფრო ადვილადაც გახვიდოდი სამშვიდობოს!

— გარწმუნებ, პატივმოყვარეობის ჭიას არასდროს შევუწუხებივარ... თორემ, შენც დამეთანხმები, ჩემო სოლომონ ბრძენო, ცხენს ვამჯობინებდი და არც დღევანდელივით დავა-კამათს გადავყვებოდი... ცხენის მოშინაურება-მოთვინიერების, ჯიშების, გაწვრთნა-ვარჯიშის შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს და შეგიძლია, გაეცნო, აი, ვირების შესახებ კი...

— ჰო, რა თქმა უნდა, ჩვენ ჯერ კიდევ მოურჯულებლები ვართ! შენ თვითონ კი ხარ ზომიერებას ნაზიარები? ვირზე უკუღმა შემჯდარმა მოგზაურობით გინდა, ქვეყანა გააკვირვო! უფრო ჭკვიანური ვერაფერი მოიფიქრე?

— შენ ისე ჭკვიანურად საუბრობ, ნაღდად, ღმერთი თუ არა, ვიღაც დიდი ფილოსოფოსი მაინც გყავდა წინაპარი! შენ თუ გწამს ინკარნაციისა?

— ჰო, ისევ აბუჩად ამიგდე, მეტი რა შეგიძლია! შენში კი, რა თქმა უნდა, სოკრატეს, პლატონის ან არისტოტელეს სული გადმოსახლდა!

— სოლომონ ბრძენო, ის კი უნდა იცოდე, რომ ესენი ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებული მოძღვრებების შემქმნელნი არიან, ერთ-ერთი მაინც აგერჩია.

— შენ რომელს აირჩევდი?

— ჰერაკლიტეს!

— აუჰ, სულ უკან-უკან კი იყურები, მაგრამ ახლა კი მეტისმეტად გაუტიე — რამდენიმე ათასწლეულით უკან და უკან მიჩაქჩაქებ და მიჩაქჩაქებ — ამ სიბერის ჟამს დრომომანია შეგეყარა?

— ეგ რაღა ჯანდაბაა, სოლომონ ბრძენო, დროსთან აქვს კავშირი?

— ჰი-ჰი-ჰი!.. სოსო ბატონო, განათლებულ კაცად მოგაქვს თავი და ეგ არ იცი? დრომომანია გახლავს ერთგვარი ავადობა, რომლით შეპყრობილიც მიდრეკილია უაზრო ხეტიალისადმი, დაუძლეველი სწრაფვა აქვს ადგილმონაცვლეობისადმი, გაიგე? ერთი სიტყვით, თქვენი უდიდებულესობა ჩვეულებრივი მაწანწალა ხომ არ გახდა?

— ამდენი სამედიცინო ცოდნა საიდან გაქვს?

— ვითომ რატომ არ უნდა ვიცოდე?

— შენ ხომ ვირი ხარ! ახლა ყოველ მეორე უმაღლესდამთავრებულს ექიმის დიპლომი კი უდევს ჯიბეში, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აქამდე ვირებს სასწავლებლებში არ იღებდნენ, თუმცა, არ გამიკვირდება, თუ ამ ჩვენს განათლებულ საუკუნეში ვითარება შეიცვალა... შენ რამდენის დახარჯვა მოგიხდა, რომ სტუდენტი გამხდარიყავი?

— ჰო, იქირქილე, მეტი რა იცი! მერე რა, რომ ვირი ვარ? შენ არ ბრძანე, რომ შესაძლოა, წინათ ვიღაც ფილოსოფოსი იყავიო... იმაზე თუ გიფიქრია, რომ, შესაძლოა, შენში დონ კიხოტ ლამანჩელის სული გადმოსახლებულიყო? ბევრსა ვხედავ საერთო თვისებებსაც და განსხვავებასაც... რაინდი რომ არ ხარ, კარგად ვხედავ: არც გარეგნობა გიწყობს ხელს, არც — აზრთა წყობა და შუბისა და მახვილის მაგივრად დღენიადაგ კალამი გიპყრია ხელთ, ამიტომ მეტსახელად თქვენს აღმატებულებას ვუწოდებდი *სისულელეების მჩხიბავს!*

– ყაბულსა ვარ, ოღონდ შენს მიერ ბოძებულ საპატიო ტიტულში ერთ სიტყვას დავამატებდი: *მხიარული სისულელეების მჩხიბავი!* ვინაიდან და რადგანაც, – თუმცა ჩემგან ხუმრობის გაგონება და ატაკამის უდაბნოში შხაპუნა წვიმის მოსვლა ერთი და იგივე ალბათობის მოვლენებია, – ყველაზე უფრო ამქვეყნად სალაღობო მოთხრობებისა და რომანების წერა მეხალისება! სოლომონ ბრძენო, ფილოსოფოსობას მოუკვდა პატრონი, გვეყო აკადემიური ბჭობა; ახლა ის უფრო მაწუხებს, რა უნდა ვჭამოთ? შიმშილია ახლა ჩვენი უპირველესი მტერი, გზად დაგვეწია და კლანჭები მოგვიჭირა!

– მაგასაც ავიტანთ, რაც მთავარია – თავისუფლები ვართ!

– მე ვიკითხო, თორემ შენ ეგ არ გადარდებს – საკუთარ სამყოფს ყველგან იპოვი, გინდაც – ამ ნახევრად უდაბნოში...

– ახია შენზე! ვერ გამიგია, ვირი მე ვარ, თუ შენ? რა ჯინიანი ხარ! თავნება! უხიაგი! ასეთ კლდე-ღრეში სიარულს ჭკუათმყოფელი ფეხითაც მოერიდებოდა!

ერთ შედარებით მოსწორებულზე ვირუკა უცებ შეჩერდა, მერე ზურგზე წამოგორდა და ყროყინი მორთო, თან ფეხებს ჰაერში ათამაშებდა.

– ყოჩაღ, სოლომონ ბრძენო, შენ ცირკში ივარგებ – ანტიპოდისტად! ზურგზე დაწოლილს, გეხერხება ასეთი ნომრის კეთება! სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მაყურებლები არ გვყავს, თორემ, ტაშის გარდა, იქნებ ფუნთუშის სროლითაც დაგვაჯილდოებდნენ! განსაკუთრებით – ბავშვები! ფუნთუშა ხომ გიყვარს?

– რა იცი, რომ ფუნთუშა გაგიყებამდე მიყვარს? შენ რომ კარგი პატრონი იყო, ერთხელ მაინც მაჭმევდი...

– ჩემო ვირუკავ, ახლა გადავრჩეთ და, პატიოსან სიტყვას გაძლევ, რამდენ ფუნთუშასაც მოერევი, იმდენს მოგართმევ!

– მოფერებით გინდ ვირუკა მიწოდე და გინდ – ვირუკელა, მე ნუ მეხუმრები, სიტყვა – სიტყვაა! ხომ იცი, ქიზიყური ხასიათი მაქვს: რამე არ მომეწონება და ეგრევე ტლინკებსა ვყრი, ზურგიდან კოხტად გადმოგაფრენ, მაშა!.. იცი, რატომ გამიხარდა? ბალახის სურნელი მცემს!

ვირუკა წამოხტა, შევაჯექ და გზა განვაგრძეთ. მალე ვიწრო ხეობაში შევედით, რომლის ძირშიც პატარა მდინარე მიიკლაკნებოდა. ორივე ნაპირის გაყოლებით ქორფა ბალახი ახარებდა თვალს. ვირუკიდან ჩამოვხდი და საბალახოდ მივუშვი.

სოლომონ ბრძენი ძოვს და თან მასწავლის:

– აი, ეს ბალახი კარგია, დალურჯებულზე დაიდევი, დაგიამებს! ესა კიდენა, მხალად ვარგა, ხომ მაგრად მაიგშივდა, ჰა? ბლომად დაკრიფე! ხმა გამე, რას გაჩერებულხარ!

– მაცალე, კაცო, ვწერ, ვწერ!

– რა წერამ აგიტანა, მაგის დროა?

– მაშ, სოლომონ ბრძენის ნათქვამი სამუდამოდ უნდა დაიკარგოს? ამ მძიმე ცოდვას ვერ დავიდებ!

– თუ შენ ის უფრო გადარდებს, რომ სრულად აღწერო შენი სწორუპოვარი ფათერაკები და გამოჩენილ მოგზაურთა და სახელგანთქმულ ავანტიურისტთა ავტობიოგრაფიულ თხზულებებს გაეჯიბრო? დაარქვი შენს მომავალ შრომას: "ახალი ოდისევსის, – იოსებ დიდის, – ბრწყინვალე, სწორუპოვარი, ფათერაკებითა და ხიფათით აღსავსე მოგზაურობა ხმელს, მიწისქვეშეთს, ჰაერსა და ზღვასა შინა", ვინ დაგიშლის, კალმის წრიპინს რა უნდა!

– აგერ ნახავ, შენს გმირულ შემართებასაც ავსახავ და არც შენი ბრძნული აზრების უკვდავყოფას დავივიწყებ!

– ჰო, შენ გნდომებია, ბევრი რამ ჩაგეტია ახალ წიგნში...

– ნეტავ იცოდე, რა გაუმაძღარი გახლავარ! ყველაფერი საინტერესო რომ აღმენუსხა, ძალიან დიდი წიგნი გამომივიდოდა, ალბათ ათასგვერდიანი მაინც, და მე ამდენის დაწერის მოთმინება კიდეც რომ მეყოს, მკითხველი ხომ ცოდვაა, ამხელა ფოლიანტის წამკითხველს ალბათ გმირობისთვის ორდენს მიანიჭებდნენ!.. ამიტომ, იძულებული ვარ, მადა დავიოკო.

– სოსო ბატონო, მოსაწონია შენი თვითშეზღუდვა, მაგრამ მე, ერთ გაუნათლებელ ვირუკას, მაინც ცნობისმოყვარეობა დამიკმაყოფილე: მაინც რის შესახებ აპირებდი შენს ავანტიურულ-ფანტაზიურ რომანში ლაქლაქს, შენი ფანტაზიის კარუსელზე რა სახეები, თემები უნდა შემოსკუპებულიყვნენ?

– რადგან მეკითხები, უნდა გიპასუხო, ოღონდ მოთმინებით უნდა აღიჭურვო – მეტისმეტად გრძელი სია გახლავს...

– რამდენჯერ უნდა შეგახსენო, რომ ვირები სანაქებო მოთმინების უნარით ვართ დაჯილდოებულნი?

– კეთილი და პატიოსანი, მაშ, მისმინე... აი, რა მქონდა ამ ახალ წიგნში შესატან-დასამუშავებელ თემებს შორის ჩამოწერილი, ან გზად ვინ უნდა შეგვხვედროდნენ და მათთან ერთად მთელი სცენები უნდა გაგვეთამაშებინა, ან რა სიტუაციებში უნდა მოვხვედრილიყავით...

– ბიჯო, ათასჯერ გითხარ: მომთმენი გახლავარ! მაგრამ უშუალოდ საქმეზე როდის გადახვალ?

– კეთილი, ვიწყებ... აი, რას ვწერდი ხოლმე გზა-გზა, რის შესახებ მსურდა ჩემს მოგზაურობის წიგნში საუბარი:

“ხალხური ზღაპრების გმირები და სიტუაციები – პერიფრაზები.

ბრძოლა, წინაღმდეგობების გადალახვა, თავგადასავალი!

გმირები: ქარი! მიწა! პეიზაჟი! წყალი, მდინარე! ცა, ღრუბლები! ცხოველ-ფრინველი! მცენარეულობა!

ფერთა თამაში!

ზღვის ტალღათა რიტმული დგაფუნი – კლდოვან ნაპირთან შეჯახება-გრგვინვა!.. ან ფშვინვა, სისინ-შიშინი – სილიან-ქვიშიან ნაპირთან ალერსიანი ერთობლივი მუსიკა... ტკბილი სიმღერა სირინოზთა!

სიკეთე – სისასტიკე... სიყვარული – სიძულვილი... ბედნიერება – უბედურება... დანაკარგი – შენაძენი...

შავი ჭირი... არეულობა, ქაოსი... ხანძარი...

აპოკალიფსის მხედრები... მოჩვენებანი – ფუი ეშმაკს!

ხან დინჯად მივუყვებით გზას, ხან – ფეთიანებივით მივქრივათ!

ხეტიალისას უამრავ ვინმეს შევხვდებით: პატარა ბიჭს! პატარა გოგონას! ორივე ცნობისმყვარეა ფრიად და ორივემ უპირველესად ეს გვკითხა: “რა მოგვიტანე?”.

შემდეგ შეგვხვდა ცირკის მასხარა! კარანდაში? არა, ის დიდი ხანია, საიქიოს ცირკში ასპარეზზე გამოჰყავს თავისი პარტნერი – გაწვრთნილი ძაღლი და ორივენი ართობენ ხალხს... აბა, ვინ? ლოთი! მონადირე! გეოლოგები! ღამის მეხრე! მეცხვარე!”. იქნებ დეტექტური ნოველაც მოვა-კვარახჭინო და ჩავრთო თხრობაში! ჰა, რას იტყვი?

სოლომონ ბრძენი მიწუნებს:

– ძალიან ხომ არ დაწვრილმანდები?

– ვაგრძელებ და თვით განსაჯე: “კაცობრიობის მარადი თემები: პატიოსნება და სიყვარული... სიამაყე და ლმობიერება... თანაგრძნობა და თავგანწირვა... ომი და მშვიდობა... დამარცხება და გამარჯვება... სისასტიკე და სიბრალული... მხიარულება და ჭმუნვა... გულოვნება და ღირსება... ყველაფერი ეს არ უნდა დაივიწყო! და სხვასაც შეახსენო! პიროვნება და საზოგადოება; პიროვნების უფლებები და მოვალეობანი... სიცოცხლე და სიკვდილი... სიკეთე და ბოროტება... კეთილზნეობა და მანკიერება... თავისუფლება და პასუხისმგებლობა...”.

სოლომონ ბრძენი მაწყვეტინებს:

– კარგი, კარგი, გეყოფა, შენი უთავბოლო ლაქლაქი ტელეფონების წიგნის კითხვასავით მოსაწყენია! ახლა გამახსენდა: მე რომ დამპირდი, ზღაპარს მოგიძღვნიო, აქამდე რას უცდი, სიტყვის კაცი თუ ხარ? დაპირებული ზღაპარი რა უყავ?

– თუ გინდა, ახლავე მოგახსენებ, დავიწყო?

– როგორ, ეგრევე, იმპროვიზაციულად?

– შევეცდები, ვნახოთ, რა გამომივა!

– შაუბერე! უკუღმა კი ზიხარ ხოლმე, მაგრამ გთხოვ, უკუღმართ ზღაპარში ნუ გამომაჭენებ!

– კეთილი... მთლად კარგად აწყობილი იქნებ არ გამომივიდეს და ნუ დამძრახავ, კარგი?.. მაშ, მისმინე:

o qr o snal ebi ani vi r i s z Rapar i

იყო და არა იყო რა, ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი კეთილი ვირუკა... მაგალითად, ხუთი-ექვსი წლის ბავშვები რომ აებღოტებოდნენ ზურგზე, არ ჰყრიდა ტლინკებს, ზურგიდან მათ ჩამობერტყვას ფიქრადაც არ გაივლებდა. აი, თუკი გაბღენძილი ვინმე მოინდომებდა მასზე შეჯდომას, – ნამღვილად კი არ სჭირდებოდა სადმე წასვლა, ისე, სამაიმუნოდ სურდა ვირუკას მასხრად აგდება: “აცე, ვირო!”, დასჭყივლებდა და ფერდებში ქუსლებს მოსცხებდა, – მაშინ კი გაბრაზდებოდა, გაფხუკიანდებოდა და ადგილიდან ნაბიჯსაც კი არ გადადგამდა, თუგინდ ცას ქუხილი დაეწყო!.

დიახ, კეთილი ვირუკა გახლდათ, მაგრამ ერთი ნაკლი კი ჰქონდა – ამპარტავანი იყო!

– ოქროს ნალები მინდა, არ მეკადრება თუ? – ხმამაღლა გაიძახოდა. – სხვას სადღა ნახავთ ჩემისთანა კოხტა ვირსა!

აითვალწუნა თავისი პატრონი, დააღირა თავი და გაიპარა – აქ მე ოქროს ნალებს ვინ მაღირსებსო. ჩავიდა ქალაქსა და ერთ ვაჭარს გაურიგდა:

– ვაჭარო, ერთ სრულ წელიწადს ერთგულად გემსახურები, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამსახურის ბოლოს ოქროს ნალებით დამაჯილდოებ!”.

შეთანხმდნენ და ერთი წლის შემდეგ ვირი ოქროს ნალებით ამაყობდა!

– ვაჰ, რა კარგია, რა ლამაზია, სწორედ რომ ჩემი შესაფერისია! თავისუფალიც ვარ, წავალ, სადმე ჩემთვის შესაფერის ადგილს მოვძებნი, ჩემთვის ვიქნები, ლაღი ცხოვრებით დავტკბები, გემრიელად გავლევ წუთისოფელს!

მოძებნა ტყეში ყვავილებით გადაპენტილი ტურფა მდელო, იქვე მშვენიერი ნაკადულიც მოჩუხჩუხებდა, უკეთესი რაღა უნდა ენატრა?

გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში იქ ნებივრობდა, ფერდები დაუმრგვალდა. როცა მწვანე ბალახზე წამოკოტრიალდებოდა, ფეხებს მაღლა აიშვერდა: მის ოქროს ნალებზე აციალებული მზის სხივებით სხვებიც უნდა მოხიბლულიყვნენ!..

დადგა შემოდგომა, მას მოჰყვა ზამთარი... მის სამყოფ ბალახს გაჭირვებით კი შოულობდა, მაგრამ საკმაოდ აცივდა, რაღა უნდა ჰქნას? "არა, სხვათა მოსამსახურეობას გადავეჩვიე, თანაც ოქროსნალებიანი გახლავარ!" – ამპარტავნობა ვერ მოიშალა. მაგრამ, როცა მაგარი ყინვები დაიჭირა, ვირუკა იძულებული გახდა, ისევ ადამიანებთან დაბრუნებაზე ეფიქრა; მიდიოდა კიდეც თავისი სოფლისკენ, სადაც ეგულებოდა თბილი თავლა და ბლომად თივა, მაგრამ ამ დროს მშიერი მგლები გადაუდგნენ წინ.

– ბიჭებო, არ გაბედოთ ჩემთვის ხელის ხლება, მე უბრალო ვირი არ გეგონოთ, ოქროს ნალები მამშვენებს!

– ყოჩაღ, როგორ მშვენივრად მოსუქებულხარ! – უპასუხა ხროვის წინამძღოლმა. – ჩვენ ნალები არ გვიყვარს, თუნდაც ოქროსი იყოს. მომილოცავს: მაგ შენს ნაქებ ოქროს ნალებს ვინმე ქუდბედიანი მალე იპოვნის აქ – შენს ძვლებთან ერთად!

– არ მომეკაროთ, თორემ ტლინკების ყრა ვიცი სანაქებო და მაგ დალესილ კბილებს ერთს არ შეგარჩენთ!

– ჰი-ჰი-ჰი!.. – გაიცინა მგლების ბელადმა. – დიდი ხანია, არ დაგიხედია წინა?

ვირმა ფლოქვებს დახედა და – სადღა ჰქონდა ნალები! ზაფხულში ხტუნვა-თამაშში ოქროს ნალები სულ მოცვეთილიყო...

ვირმა ამის გაფიქრებაღა მოასწრო: "ნატავ რკინის მაგარი ნალები მქონებოდა...".

– ბიჯო, ეგეთი ზღაპარი მეკადრებოდა? – მემომწყრა სოლომონ ბრძენი. – უკეთესი ვერაფერი მოიგონე? თუმცა, უკუღმართი კაცისგან სხვას რას მოველოდი... თუკი შენს სხვა ზღაპრებსაც ასეთი საშინელი ბოლო აქვს, ჯობს, საერთოდ ხელი აიღო მათი კრებულად გამოცემაზე.

– არ მოგეწონა? ამ ზღაპარს დასასრული კი აქვს მინორული, სამაგიეროდ, ზოგიერთვისთვის ჭკუის სასწავლია ფრიად!

– სხვების დამოძღვრა რომ გიყვარს, ჭკუის სასწავლი შენ თვითონ ხარ! ახლა კი, ჯობს, ის ბრძანო, საით აპირებს დიდი მოგზაური გზის გაგრძელებასა, რათა რაც შეიძლება ფერადოვნად აღწერო შემდგომ შენი გმირული თავგადასავალი?

არაფერი ვუპასუხე, წინ ფეხით წავედი; ფერდებამოვსებული ვირუკა უკან გამომყვა.

კარი XIII.
ტყის პირას კოცონს ვეფიცხებით...
სკოლაში სწავლისა და სტუდენტობის წლები

ვიარეთ, ვიარეთ და საღამოსპირს ჰოი, რა ბურუსში გავეხვიეთ! წინ არაფერი ჩანს – თეთრი, ფაფუკი ფარდა მოიზლაზვნება-მოედინება და ყველაფერს ფარავს!

– ბუზი რომ რძეში ჩავარდება, ისე არ ვართ? ჩვენი შემდგომი გზაც და ბედიც დიდად გაურკვეველია, ისინიც ბურუსითაა მოცული!

– მგონი, ტყეს მივაღწიეთ...

– ჩემო სოლომონ ბრძენო, დამეთანხმები: დაბურუსებულ ტყეში მხოლოდ გიჟი იწოწიალებს უაზროდ და უგზო-უკვლოდ...

– ჰოდა, დროულად ჩამობრძანდი, შე ოხერო, ფადიშაჰივით გაბღენძილი რომ გამოჭიმულხარ ჩემს ზურგზე!

ვსხედვართ ტყის პირას და ვეფიცხებით გაჩაღებულ კოცონსა; უფრო სწორედ, მე ვზივარ და სოლომონ ბრძენი კი წამოწოლილია – ჯდომა ეგრე რიგად არ ეხერხება.

– მოიწყინე? – მეკითხება ყურდიდა.

– მოსაწყენად სად მცალია, ჩემს დღეში მსგავსი რამ არასდროს განმიცდია! მოწყენა მხოლოდ ღარიბი სულის ადამიანის ხვედრია.

– ჰო, შენ კი დიდად მდიდარი სულის ადამიანი მყევხარ! განსაკუთრებით მდიდრდება შენი სულიერი სალარო, როცა ჩემს ზურგზე შემჯდარი მისეირნობ, თანაც – პირუკუღმა!

– რამდენჯერ უნდა მისაყვედურო? თუ ამგვარ საყვედურებს არ შეეშვები, პირველსავე ქალაქში ბაზარს მივაშურებ და...

– გამყიდი?

– არა, ვინმეს ვაჩუქებ შენს თავსა! ყველაზე გრძელი სახრე ვისაც ექნება!.. გეხუმრები, სოლომონ ბრძენო, გეხუმრები! მაგრამ ჩემს სიტყვებს მაინც ჩაუფიქრდი...

ცეცხლის ალი გველივით იკლანება, თამაშობს, მაღლა აღმართულ წითელ ენებს ათამაშებს, ასარსალებს, ასარსალებს...

ისე გვნუსხავს, თვალს ვერ ვაცილებთ!

– ცეცხლის ენები როგორ მოუღლელად ცეკვავს! მხოლოდ კი არ გვათბობს და გვახალისებს, ცეკვითაც გვესაუბრება, – ვეუბნები ვირუკას, – აბა, თუ მიხვდები, რისი თქმა სურს?

– მიყურეთ და – მხოლოდ კი არ დათბით ჩემი სიმხურვალით, დატკბით კიდეც ჯადოსნური სილამაზითო!.. ახლა მე თქვენი კეთილი ანგელოზი ვარო...

– კეთილი ღმერთი უფროა! თუ მართლა უნდა ვიწამოთ ღმერთი, ის სიცოცხლის წყარო – ცეცხლია! მზეს უნდა ვეთაყვანებოდეთ, ის არის ჩვენი სამყაროს შემქმნელი, დამპურებელი და გამხარებელი! მზე არის სიძლიერის, გამარჯვების სიმბოლო – დღესასწაული! ძველ სპარსელებს ტყუილად კი არ მიაჩნდათ ცეცხლი ღმერთად; ცეცხლთაყვანისმცემლობა, – ზოროასტრიზმი ანუ მაზდეანობა, – ალაგ-ალაგ ახლაც არის შემორჩენილი: ირანში გებრებსა და ინდოეთში გადასახლებულ ამ რელიგიის მიმდევართა – ფარსებს – შორის... ძენი "უსაზღვრო დროისა": აჰურამაზდა – სიკეთის, სითბოს, სამართლიანობის სამყარო და აჰრიმანი – სიბნელის, ბოროტების საუფლო... ამ ურთიერთ დაპირისპირებულ საწყისთა შორის მიმდინარეობს მარადი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა... სხვათა შორის, ძველად საქართველოშიც იყვნენ ცეცხლთაყვანისმცემლები; ძველ თბილისში, ფეთხაინში, შემორჩენილია მათი უძველესი დროიდანვე არსებული საკერპის, სალოცავი დარბაზის, ნაშთი – ათეშგა. მასში დღედაღამ ჩაუქრობლად ენთო ცეცხლი და მუდმივადვე იმყოფებოდა ქურუმი, რომელიც იცავდა ცეცხლს "ავი თვალისგან" და არ აძლევდა ჩაქრობის საშუალებას. რამდენი საუკუნე გავიდა საქართველოში მაზდეანობის გადავარდნიდან და რამდენი რამ დარჩენილა მაზდეანობის გავლენის კვალი, მათ შორის – ჩვენს ენაშიც... სპეციალურ ლიტერატურაში მრავალი ასეთი სიტყვაა ჩამოთვლილი, მათ შორის: ქართული წარმართული პანთეონის უმაღლესი ღვთაების სახელი – არმაზი, ალბათ იგივე აჰურამაზდა, დღემდე მოღწეული პირთა სახელები – ფარნავაზი, ბაგრატი, ბაკური... ასევე: ტაძარი, კერპი, ზვარაკი, ეშმა, ჯოჯოხეთი, მართალი, წარმართი, დროშა, ანდერძი, დასტური...

– დასტურ ასე იქნებოდა, მჯერა, მჯერა!

– ქართველ მხატვრებს განსაკუთრებით უყვართ დეკორაციულ ელემენტად სურათში აყვავებული ბროწეულის ჩართვა, როგორც სილამაზის, ნაყოფიერების, სიცოცხლის სიმბოლოსი. იციან კი, რატომ არის გამჯდარი ქართველი კაცის ესთეტიკურ ცნობიერებაში ბროწეულის ალისფერი ყვავილის ესოდენი სიყვარული? მე მგონი, ეს გამოძახილია ზოროასტრიზმიდან მომავალი ბროწეულის ყვავილის თაყვანისცემისა, როგორც ცეცხლის სახე-ნიშნისა...

– არ ვიცი, რას უწუნებდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობას, რითაა სხვა რელიგიებზე უარესი?

– არც უარესი იყო და არც უკეთესი... გეთანხმები, შენ ძალიან შეგნებული და განათლებული ვირუკა მყავხარ, ტყუილად კი არ აგირჩიე თანამგზავრად! და მიკვირს: სულ იმაზე გვაქვს დავა-საუბარი, რატომ ცხენით მოგზაურობა არ ვარჩიე და საკმაო საბუთებიც მოგახსნე, რატომაც. ყროყინავ, იცი, რომ ძველი ირანელები ცხენებს ეთაყვანებოდნენ? ღმერთები ცხენებად გარდაისახებოდნენ! ბაქტრიის მეფეების სახელებში შემადგენელ ნაწილად შედიოდა სიტყვა "ცხენიც"... ძველად ბაქტრიაში ჭექა-ქუხილისა და გამარჯვების ღმერთის განსახიერებად მიჩნეული იყო ტახი... გველიც კი თაყვანისცემის ღირსად სცნეს ძველმა მიწათმოქმედმა ხალხებმა – უკავშირებდნენ მიწის ნაყოფიერებას. ასევე, პატივს მიაგებდნენ ხარს, ფრთოსან ლომს, ფრთებგაშლილ არწივს – ჩვენს დრომდე მოაღწია ამის გამოძახილმა: რამდენი სახელმწიფოს ღერბს ამშვენებენ ისინი! იქნებ შენც წინათ რაღაც ღმერთს ანსახიერებდი? ნეტავ შენ რომელი ღმერთის ცოცხალი ხატება იყავი? სიბრძნის? სიდინჯის?

– რა აიჩემე ეს გარდასახვა, არ მოგბეზრდა ერთსა და იმავე ჰანგზე ჭიკჭიკი? თუ გინდა, სულით თავისუფალი იყო, სხვაგან და სხვაში არ უნდა ეძებო ღმერთი...

– სავსებით მართალი ბრძანდები, სოლომონ ბრძენო! როგორც კი შეგხედე, მაშინვე ვიფიქრე: "ისეთი ჭკვიანი თვალები აქვს, ნაღდად ის ვირუკაა, როგორსაც ეძებ-მეთქი!". მაგრამ შენ, შენი სიბრძნის მიუხედავად, ფრიდრიხ ნიცშეს წიგნის "ასე ამბობდა ზარათუშტრა" შესახებ არაფერი გეცოდინება...

— და არც მინდა, ვიცოდე! შენ ბრძენს ხშირად მიწოდებ, მაგრამ, მართალი მოგახსენო, სულ არ მიზიდავს ფილოსოფოსობა... ეს ბრძენი ფილოსოფოსები იტანჯებიან, დღე-ღამეს ასწორებენ სამყაროს ამხსნელი წიგნებს წერაში და, ბოლოს, ჯილდოდ რას იღებენ? შიმშილით იხოცებიან! ამ დროს კი "საქმის ხალხი" იტაცებს ძალაუფლებას, იხვეჭს სიმდიდრეს, განცხრომით ატარებს სიცოცხლის დღეებს...

— კი, როგორ არა! ერთმანეთს ათასგვარ ხაფანგს უგებენ, არც ლანძღვა-გინებას აკლებენ, არცთუ იშვიათად — დაქირავებულ მკვლელებს მიუგზავნიან კიდეც და შენ ამას განცხრომით ცხოვრებას უწოდებ? ღამეები არ სძინავთ: სულ ხიფათის მოლოდინში არიან და თვითონაც ათენ-აღამებენ იმის ფიქრში, მოქიშპეს როგორ გაუსწორდნენ... მართალია, მარად დაძაბულ ვითარებაში უწევთ მოღვაწეობა, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ეს იზიდავთ — ბრძოლა, რისკი, — და დიდად სიამოვნებთ მუდმივად აღგზნებულ ატმოსფეროში ცხოვრება.

— ეს განწყობა თუ მიდრეკილება ჩემთვის ნაღდად არ უბოძებია ღმერთსა...

— შენ, ჩემო დიდყურავ, როგორც ჩანს, მიგაჩნია რომ ატარაქსია — სულის სიმშვიდე, უშფოთველობა, დემოკრიტეს მოძღვრების მიხედვით — ცხოვრების უმაღლესი სიკეთეა, რომელიც მხოლოდ ბრძენთა ხვედრია! რატომ გიკვირს, რომ სოლომონ ბრძენს გიწოდებ?

— სოსო ბატონო, შენა? მთელი ცხოვრება რომ უზრუნველობაში არა, მაგრამ უშფოთველობაში კი გაატარე, იყავ ბედნიერი?

— მე სიდინჯე ნამდვილად არ მაკლდა და ფათერაკების მაძიებელი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ სულ უშფოთველი ვიყავი-მეთქი, ნამდვილად ვერ დავიჩემებ... არსებობს კი საერთოდ ისეთი ადამიანი, თუ ჭკუანაკლული არ არის, რომ ცხოვრება უშფოთველობაში გალიოს? თუმცა, როგორც იტყვიან, საზოგადოებრივი აქტივობა არ მიზიდავდა, რაიც იქნებ იმის ბრალიც იყო, რომ ჩემს გარშემო სხვაგვარად მოაზროვნე არავინ იყო — არსებული წესწყობილებისა და გაბატონებული კომუნისტური იდეოლოგიის კრიტიკა ახალგაზრდობისას თითქმის არ მსმენია... მე ბევრს კი ვკითხულობდი — წიგნებსაც და გაზეთებსაც; მაშინ ქუჩებში სტენდები იყო მოწყობილი, სადაც ხუთი-ექვსი ახალი გაზეთი იყო შუშის ქვეშ გამოფენილი; მე ყოველდღე საათობით ვიდექი და ყველას თავიდან ბოლომდე გადავიკითხავდი ხოლმე, — ყველაფერი მაინტერესებდა, ყველაფერი, — პოლიტიკიდან და ეკონომიკიდან დაწყებული და სპორტით დამთავრებული... და შესაბამისი წარმოდგენებიც ჩამომიყალიბდა: "ძირმომპალი კაპიტალიზმის ეპოქა მალე ისტორიის სანაგვეს დაამშვენებს, კომუნიზმის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით გარდუვალია" და მისთანანი. როცა სტალინი გარდაიცვალა, როგორც უდიდესი მოვლენა და პირადი ტრაგედია, ისე განვიცადე. მაშინ X კლასში ვსწავლობდი და, მახსოვს, გაკვეთილზე მთელი კლასი ტიროდა, რა თქმა უნდა, მათ შორის — მეც... 1956 წლის გაზაფხულზე, როცა თბილისში სტალინის ხსოვნის დასაცავად ახალგაზრდობის გამოსვლა მოხდა, — მაშინ უკვე სტუდენტი ვიყავი და ცხარე კამათებში გაზეთების ფრაზებით ვიგერიებდი არსებული წეს-წყობილების მოწინააღმდეგე ჩემს თანაჯგუფელებს... იმ ტრაგიკულ დღეს, როცა მომიტინგეთა სასტიკი დარბევა მოხდა და მრავალი სიცოცხლეც შეიწირა, მეც წავედი სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან, მაგრამ აქტიური მონაწილე არ ვყოფილვარ: ერთხანს ვუსმენდი მგზნებარე გამოსვლებს, მერე შინ წავედი... ხომ ასეთი "მოწამლული" ვიყავი, არასდროს მიფიქრია, კომუნისტურ პარტიაში შევსულიყავი. რატომ? ახლა რომ ვუკვირდები, ალბათ ჩემმა პიროვნულმა თვისებამ თუ ხასიათმა იქონია გადამწყვეტი გავლენა: ყოველთვის განწყობილი ვიყავი მჭვრეტელობისადმი და არა აქტიური ქმედებისადმი... მე არ მქონდა ლიდერის თვისებები და ვერც სხვების გავლენას ვემორჩილებოდი ეგრე ადვილად — წიგნების გარდა!.. მე, როგორც შენც აღნიშნე, საკმაოდ ჯიუტი ვარ, მაგრამ... თუ დავრწმუნდი, რომ რაღაც მეშლება, არ მრცხვენია, ვაღიარო ჩემი შეცდომა, თუნდაც ამ აღიარებას ჩემგან არავინ ითხოვდეს — საკუთარ თავთან უნდა ვიყო მართალი! ეს გრძნობა მიბიძგებს!.. ჰო, რაღა თქმა უნდა, მაშინ მოუმწიფებელი ვიყავი, როგორც მრავალი სხვაც. წიგნების კითხვით უზომო გატაცებამ, — მათ შორის, პოლიტიკურის, — ცუდი ოინი მიყო: რეალობას მოწყვეტილი, ილუზორული წარმოდგენების სრულ ტყვეობაში აღმოვჩნდი. ერჯერ და ორჯერ კი არა, ათ-თხუთმეტჯერ მქონდა წაკითხულ-გადაკითხული სტალინის ტომეულები — რუსულად. როგორც მხატვრულ ლიტერატურას, ისე ვკითხულობდი სტალინის მოხსენებებსა და გამოსვლებს პარტიულ კონფერენციებსა და ყრილობებზე — ბრწყინვალე ორატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო; განსაკუთრებით მხიბლავდა მისი ძალდაუტანებელი, ბუნებრივი მიმართვის ნირი მსმენელებისადმი, გადამდები მახვილსიტყვაობა... გვიან მივხვდი: ნიჭიერება, ჰუმორის გრძნობა — ჯერ კიდევ არ ნიშნავს პიროვნების კეთილშობილებას... გვიან, ძალიან ნელა, ამეხილა თვალები, წვეთ-წვეთობით ვთავისუფლდებოდი ცრუ წარმოდგენებისგან... ძალიან გვიან ჩამოვყალიბდი როგორც მწერალიც, თუმცა, — ჩამოვყალიბდი კი? ჩემი პირველი წიგნი როცა გამოქვეყნდა, — ნიკო ფიროსმანაშვილისადმი მიძღვნილი "ჩვენი ნიკალა", — უკვე 54 წლისა ვიყავი. დანარჩენი ოცი წიგნიდან, ათი გამოქვეყნდა, როცა 60 წლის ასაკს ვიყავი გადაცილებული, კიდევ ათი — როცა 70 წლის ზღურბლს გადავაბიჯე... და საკ-

ვირველია: რაც დრო გადის, მეტს ვაკეთებ! მაგრამ... ადრეც გითხარი: ახლაც, ვინმე რომ მკითხავს, რა პროფესიის ბრძნდებითო, ვერ ვბედავ ვუპასუხო, მწერალი ვარ-მეთქი – მრცხვენია...

– ყველაფერში უკუღმართი ხარ, შენს შესახებ თითქმის ყველაფერს მოყევი და სკოლაში სწავლის წლებს როდისღა გაიხსენებ? ან თბილისში როდის მოხვდი?

– კი, ბატონო... ოცდაათიან-ორმოციან წლებში საქართველოს ბევრ კუთხეში მეტად ვერაგი დაავადება მძვინვარებდა – ციებ-ცხელება ანუ მალარია, განსაკუთრებით – დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობზე. ადრეც გითხარი: მე და ჩემს დას ეს ავადობა შეგვეყარა; დროდადრო შემოგვიტევდა, გავყვითლდით, უსაშველოდ გავხდით... ისეთი გამხდრები ვიყავით, ფერდებზე ნეკნებს დაითვლიდი. დედაჩემმა გადაწყვიტა, საჩქაროდ დაგვეტოვებინა იქაურობა და თბილისს გადავსახლებულიყავით.

თბილისში გურული ნათესავების ოჯახს მივაკითხეთ კალინინის ქუჩაზე (ახლა – ივანე ჯავახიშვილის სახელობისა). ეზოში პატარა, ფიცრული ხუხულა იდგა – ხარახურისა და ძველმანის საწყობი – და, მათი დახმარებით, დროებით იქ დავბინავდით. ჩვენი ნათესავების მეზობლად ცხოვრობდა გულიევების ოჯახი, მათთან ხშირად დავდიოდი ხოლმე და ღრმად მოხუცმა სომეხმა ქალბატონმა სოფომ პირველმა წამახალისა კითხვისკენ – რუსული კედლის მოსახევი კალენდარი მომცა და მიმითითა, რა საინტერესო ამბები შემეძლო, იქიდან შემეტყო. მას შემდეგ კითხვა შეიქნა ჩემს ყველაზე დიდ გატაცებად... სოფოს შვილი, ძველთბილისური სომხური ოჯახის უფროსი, კონსტანტინე გულიევი, ყველანი რომ კოტიკას უწოდებდნენ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, იმ დროს ოფიცერი იყო, მისი რუსი ცოლი, მარია, შემდგომ ჩემი ნათლია გახდა. ჰყავდათ ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი ერთადერთი შვილი – შურიკა, რომელიც საოცრად ნიჭიერი იყო მრავალმხრივ: კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე, პიანინოს მრგვალ სკამზე ადვილად ჭიმავდა ყირას და ამ მდგომარეობაში ატრიალებდა სკამს... რამდენიმე წელიწადში, სკოლის დამთავრებისა და ჯარში სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდგომ, ამ ყმაწვილმა რატომღაც ბალტიისპირეთში ამოყო თავი, მგონი – ქალაქ ლიეპაიაში; იქ საოკეანო თევზჭერის ფლოტილიაში მუშაობდა მებადურად, ცოლიც შეირთო და სამარადჟამოდ იქ დაფუძნდა...

რამდენიმე თვეში საცხოვრებლად გადავედით ახალ ბინაში, – რკინიგზის სადგურთან სულ ახლოს, – გოგოლის ქუჩაზე, №61-ში, რომელიც გამოგვიყო საქალაქო საბჭომ, როგორც ომში დაღუპულის ოჯახს. ბინა ძალიან მაგარი ნათქვამია; ეს იყო დარაბა, უფრო სწორედ, ვიწრო, უფანჯრებო სათავსი, სადაც მანამდე ნახშირის საწყობი იყო განთავსებული; სიგრძით იქნებოდა ექვს მეტრამდე და სიგანით – ორ მეტრამდე. ოთახის კარი პირდაპირ ქუჩაში გადიოდა, რომელსაც მაღლა დატანებული ჰქონდა მცირე სარკმელი – ერთადერთი წყარო ბუნებრივი განათებისა. ცხადია, ოთახში დღისითაც სანახევროდ ბნელოდა და მუდამ ელექტრონათურა გვენთო. გარდა ამისა, დარაბას გვერდზე ესაზღვრებოდა ღვინის ქარხანა და მიმდებარე კედელი მუდმივად ნესტიანი იყო – რამდენჯერაც შპალიერი გავაკარით, იმდენჯერ ჩამოიშალა. წყლის ასაღებად უნდა ქუჩაში გამოვსულიყავით, შემდეგ ამ ორსართულიანი სახლის ეზოში შევსულიყავით "გვირაბით", იქ კი ეზოს შუაგულში დიდი, მამალი თუთის ძირში, წყლის ონკანი იყო, რომლითაც მთელი ეზო სარგებლობდა; გარდა რამდენიმე ოჯახისა, რომლებსაც იმ დროისთვის საოცნებო სააბაზნო და ტუალეტიც ჰქონდათ. ჩვენ კი, მაცხოვრებელთა უმრავლესობას, – ოცამდე ოჯახს, – გვემსახურებოდა ერთადერთი ფეხსალაგი სახლის პირველ სართულზე, ეზოს კუთხეში – მოცუცქნული, აშმორებული...

დროის მნიშვნელოვან ნაწილს სარკმელთან მდგომი ვატარებდი – ვაკვირდებოდი ქუჩის ცხოვრებას. ქუჩის მეორე მხარეს ჩემზე უფრო გატაცებით იგივეს აკეთებდა ერთი ებრაული ოჯახის დიასახლისი – მუთაქაზე დაყრდნობილს, თითქმის მთელი დღე ღია ფანჯარაში ჰქონდა თავი გამოყოფილი და ხშირ-ხშირად გაჰყვიროდა: "კაკული!" – უკვე მოზრდილ ვაჟიშვილს, აკაკის, გამყივანი ხმით უხმობდა. მისი ამგვარი შფოთვა ადვილი გასაგები იყო: ქუჩაში დაძრწოდა ათასგვარი ნაძირალა, ხშირი იყო გამვლელთა ძარცვა... ღამე ხომ მავანი იშვიათად გაივლიდა ჩაბნელებულ ქუჩაში, რომ ტანსაცმელი არ გაეხადათ, საფულე და საათი არ წაერთმიათ. ხშირად ისმოდა ქურდების სირბილის ხმა და მათ დადევნებულ მილიციონერთა ჩექმების ბრაგაბრუგი და სასტვენის გაბმული "გალობა"... ჩვენი ეზო სამი მხრივ სახლებით იყო შემოზღუდული, მეოთხე მხარეს კი მცირე ბექობით ემიჯნებოდა მეორე ეზოს, რომელიც ფიროსმანის ქუჩაზე გადიოდა. რკინიგზის სადგურის ქურდები შემოვარდებოდნენ ამ ეზოში, იქიდან ჩვენს ეზოში ჩამოირბენდნენ, შემდეგ ჩვენი სახლის "გვირაბში" გახსნიდნენ გატაცებულ ჩემოდანს, ფუთას და ასე შემდეგ, საჩქაროდ ამოიღებდნენ ყველაზე ღირებულს, დანარჩენს დაყრიდნენ და გავარდებოდნენ უკვე გოგოლის ქუჩაზე...

სადგურის მიმდებარე მოედანი და ქუჩები, მათ შორის რიყის ქვებით მოკირწყლული გოგოლის ქუჩაც, სავსე იყო მტვრით, ნაგავით, მაწანწალებით, ევაკუირებული ხალხით, დაჭრილებით, ხეიბრებით, მეძავებით, მათხოვრებით; ეზოების მყუდრო კუთხეებში გაჩაღებული იყო ყომარის თამაში... ტრამვაის გაჩერებებზე გაჰყვიროდნენ პაპიროსის გამყიდველი მცირეწლოვანი ცქვიტი ბიჭები, თვით ვაგონებში მგზავრებს უბოდიშოდ უძვრებოდნენ ჯიბეებში ჯიბგირები... და ყოველივე ამას ვაკვირდე-

ბოდი მე, 8-9 წლის ბიჭი; მიკვირს, რომ არ ავყევი ქუჩის ცხოვრებას, მით უმეტეს, რომ მე და ჩემი და მთელი დღე მარტონი ვიყავით – დედაჩემი სამუშაოდან მხოლოდ გვიან საღამოს, უკვე დაბნელებულში ბრუნდებოდა. ამის მიზეზი, ალბათ ის იყო, რომ ამქვეყნად ყველაზე უფრო წიგნების კითხვა მიყვარდა. ახლაც კი, 75 წლისას, მაქვს წიგნისადმი საოცარი სიყვარული და მოწიწება. მსოფლიოს 7 საოცრებას, ერთად აღებულს, აჭარბებს, ჩემი შეხედულებით, ადამიანის გონის მიერ შექმნილი ყველაზე დიდი საოცრება – წიგნი!

1944 წლის აგვისტოს ბოლოს დედაჩემმა სწავლის გასაგრძელებლად მიმიყვანა რკინიგზის ვაჟთა IV საშუალო სკოლაში; მას სურდა, რუსულ სექტორზე II კლასში დავმჯდარიყავი. სკოლის დირექტორმა ალიოშა ცინცაძემ უთხრა: "ქალბატონო, რატომ ამახინჯებთ ბავშვის სულს? დაბეჯითებით გირჩევთ, მშობლიურ ენაზე, ქართულად განაგრძოს სწავლა!". მან შეძლო დედაჩემის დარწმუნება და, უკვე 8 წლისა, გავხდი ქართული სექტორის I კლასის მოსწავლე; ამისთვის ბატონ ალიოშა ცინცაძის სამარადჟამოდ უზომოდ მადლიერი ვარ. შუახნის, ბრგე ტანის მამაკაცი იყო, მელოტი, ყოველთვის სუფთად თავპირგაპარსული, ბოხხმიანი... ზოგადად, საკმაოდ უხეში მოპყრობა ჰქონდა, მასწავლებლების მიმართაც კი – ბიჭები პირსუკან "წიწაკას" ვუწოდებდით; მსხვილი, წითური წარბების ქვეშიდან მისი ერთი გამოხედვაც საკმარისი იყო – დაგვბურძგლავდა და გაგვაციებდა... შემდგომში მან, – თითქმის ორმოცი წლის შემდეგ! – კიდევ ერთხელ კეთილი სამსახური გამიწია: რკინიგზის უწყებისადმი დაქვემდებარებულ საბავშვო ბაღში, რომელიც დიდუბეში, დიდუბის ქუჩაზე, სწორედ ჩემი სახლის წინ მდებარეობდა, ჩემი შვილების მოწყობაში დამეხმარა – "ყველაზე ჰუმანური" საბჭოთა წყობის დროს ერთ-ერთი დიდი პრობლემა ტელეფონის ზარის ერთი დარეკვით მაშინვე გადამიჭრა. მაშინ ის, უკვე 80 წლის ასაკს კარგა გადაცილებული, ყოჩაღად იყო და ისევ იმავე სკოლას დირექტორობდა!

რკინიგზის ვაჟთა IV საშუალო სკოლა, რომელშიც მე ვსწავლობდი, პლეხანოვის გამზირზე მდებარეობდა, – რაიკომისა და რაიაღმასკომის პირისპირ, ქუჩის მეორე მხარეზე, – რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გვერდით, ქუჩის ხაზიდან საკმაოდ უკან დახეულ, ორსართულიან ძველ სახლში. ამ შენობას შიგნით მცირე მოასფალტებული ეზო ჰქონდა, სადაც ფიზკულტურის გაკვეთილები გვიტარდებოდა. მთელ სიგრძეზე შენობას ორივე სართულზე მიუყვებოდა ხის ღია აივანი. შესვენებისას, როგორც ბავშვებს სჩვევიათ, ჟივილ-ხივილით ვიკლებდით იქაურობას, დავდევდით ერთმანეთს, ყველაზე მოხერხებულები კი გადმოეყუდებოდნენ პირველი სართულის მოაჯირზე, მუცლით დაებჯინებოდნენ, თავდაყირა წამოვიდოდნენ; ამავე დროს ცალი ხელით მოაჯირს ეკიდებოდნენ, მეორე ხელს ქვევით ლავგარდანს მიაბჯენდნენ, ყირამალა ამოტრიალდებოდნენ და ეზოში ჩახტებოდნენ. ამგვარ ვარჯიშობაში ძალიან დავხელოვნდი – ეს უკვე მოგვიანებით იყო, ალბათ VI-VII კლასებში ვიქნებოდი, ისე კი განსაკუთრებული სიცელქით არ გამოვირჩეოდი. რამდენიმე წელიწადში ჩვენი სკოლა ტექნიკურ (შემდგომ – ანა ანტონოვსკაიას სახელობის) ქუჩაზე, მტკვართან უშუალო სიახლოვეს, გადავიდა და ნომერიც შეეცვალა – რკინიგზის VII საშუალო სკოლა გახდა. მაშინ იქ ის-ის იყო მარცხენა სანაპიროს ბეტონის საყრდენ კედელს აშენებდნენ; ბიჭები ზაფხულობით ვბანაობდით მტკვარში, გადავცურავდით ხოლმე მეორე ნაპირზე, სადაც იმ დროს საცურაო აუზი მდებარეობდა (ცურვა სოფელში ვისწავლე – ამაზე ქვემოთ მოვყვები).

რა დამავიწყებს ჩემს პირველ კლასის დამრიგებელს, თამარ გოგრიჭიანს – ახლაც ცხადად მიდგას თვალწინ ეს სათნო, უაღრესად თბილი, მშვენიერი ახალგაზრდა ქალი... ჩვენი მეორე დედა იყო – ოცდაათ ბავშვზე თავგადაკლულად მზრუნველი... წარმოუდგენელი მოთმინებით გვასწავლიდა ჩვენი მოუხეშავი თითებით პირველი ასოების გამოყვანას, ჩხირებით რიცხვების მიმატება-გამოკლებას, გულდურად გვამღერებდა, დიდ შესვენებაზე კი ყველას ჩამოგვირიგებდა საუზმეს, უფრო ხშირად – პოვიდლოიან ფუნთუშას...

თითქოს სიზმარში ნახულს ვიხსენებ: მატარებლით მგზავრობა ომისშემდგომ წლებში, – ზაფხულობით არდადეგების დროს ბათუმის ან მახარაძის მატარებლით მივემგზავრებოდით მწვანე კონცხზე ან მახარაძეში, – ეს იყო საშინელება... ჯერ ხომ საშვი გჭირდებოდა, მერე ისე გადატვირთული იყო ვაგონები, შიგ თუ შეაღწევდი, დიდი ბედნიერება იყო! თამბურში შეჭყლეტილნი ძლივს სუნთქავდენ და კიბეებზეც კი იმდენი კაცი ებღაუჭებოდა სახელურს, ფეხის მოკიდება ჭირდა. და ასეთ მდგომრეობაში უნდა გაგეძლო არა ერთი და ორი საათი, მთელი ღამე – ამის გახსენებისას ახლაც ტანში მაზრიალებს და მბურძგლავს...

ომი დამთავრდა. საშინელი გაჭირვება იყო. ჩვენ, ბავშვებს, მარჩენლის დაკარგვის გამო, პენსია გვქონდა დანიშნული, დედაჩემიც მუშაობდა – მეცნიერ-მუშაკად მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში და მცირე, მაგრამ მაინც ხელფასი ჰქონდა; ეს ინსტიტუტი მდებარეობდა "დინამოს" სტადიონსა და მუშტაიდის ბაღს შორის მდებარე ჯერ კიდევ რევოლუციამდე საგანგებოდ მეაბრეშუმეობის სადგურისთვის აგებულ ლამაზ შენობაში. გაზაფხულობით მივდიოდით ამ ინსტიტუტის მეთუთეობის საცდელ ნაკვეთში – მუშტაიდის ბაღის გვერდით – და თუთას გეახლებოდით; იქ მთელი მსოფლიოდან ჩამოტანილი სხვადასხვა ჯიშის თუთის ნარგაობის კოლექცია იყო შეგროვე-

ბული, თუთის ახალი ჯიშები გამოჰყავდათ. უფრო ხშირად მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის მეორე საცდელ ნაკვეთში მივდიოდით ხოლმე – №10 ტრამვაიში ჩავსხდებოდით და დიდუბის ბოლოში გავიდოდით, იქ მტკვარზე ბორნით გადავიდოდით (სადაც ახლა დიღმის ხიდია) და, იქვე, დიდ ფართობზე გადაჭიმულ პლანტაციაში, ნაირგვარი ჯიშის თუთას ვაგემოვნებდით... ხშირად მიგვყავდა ჩვენსავით მშიერი ჩვენი მეგობრებიც და მთელ დღეს იქ ვატარებდით. ყოველი ამგვარი მოგზაურობა ჩვენთვის დიდი მოვლენა იყო – იმის მსგავსი გრძნობა გვქონდა, ახლა რომ საზღვარგარეთ უცხო ქვეყანაში გამგზავრებისას გვაქვს.

უნდა აღვნიშნო, რომ ბავშვობაში ჩემი თავი მაძღარი არ მახსოვს... ალბათ იმ დროიდან დღემდე მომყვა ერთი "არაესთეტიკური" ქცევა: მიყვარს ჭამის შემდეგ თეფშის მოლოკვა! დედაჩემი მეუბნებოდა: "შვილო, მოაკრიალე, თუ გინდა, რომ ლამაზი ცოლი შეგხვდეს!" – შემდგომ ეს ხუმრობით თქმული მართლა ამიხდა!.. ერთ ზაფხულს კიკეთში პიონერთა ბანაკში გამიშვეს. დედაჩემმა იყიდა ორი ცალი უზარმაზარი თეთრი პურის თავი, ჩამიდო ტილოს პარკში და თან გამატანა. იქ ეს პარკი შემნახველ საკანში მქონდა მიბარებული და, როცა ძალიან მომშივდებოდა, გამოვიტანდი ამ პარკს და პურს ცოტას მოვატეხავდი, რომ დიდხანს მყოფნოდა. დროთა განმავლობაში ობიც შეეპარა იმ პურს, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდა! ბიჭებმა საიდანღაც გაიგეს ამ პურის არსებობის შესახებ და დადარაჯებული იყვნენ, რომ ეთხოვათ ან წაერთმიათ, მაგრამ მე მოვატეხავდი ნაჭერს, მორჩენილს ისევ საკუჭნაოში ვაბარებდი და ტანსაცმელში დამალული ამ მონატეხით ვახერხებდი ტყეში გაქცევას ან სადმე მოფარებულში საჩქაროდ თითქმის დაუღეჭავად შევჭამდი...

სკოლაში სწავლა არ მიჭირდა, შეიძლება ითქვას, რომ თამაშ-თამაშ ვსწავლობდი; შინ მხოლოდ მათემატიკურ საგნებში საშინაო დავალებებს ვასრულებდი. მასწავლებელს ყოველთვის ყურადღებით ვუსმენდი, თუმცა უმეტეს წილად მისი მონათხრობი ჩემთვის უკვე ნაცნობი იყო – ბევრს ვკითხულობდი, ამასთანავე, თითქმის ყველაფერს: მხატვრულ ლიტერატურას, სულ სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-პოპულარულ წიგნებს. დედაჩემი სკოლაში მატანდა ცოტაოდენ ფულს საუზმისთვის, მე კი ამ კაპიკებს ვაგროვებდი და წიგნებს ვყიდულობდი. დროთა განმავლობაში უამრავი წიგნი დამიგროვდა, ისინი ამ დრომდე შემომენახა. რა თქმა უნდა, ეს წიგნები საკმაოდ მოძველდა, მეცნიერებამ და ტექნიკამ იმ დროიდან განვლილ ნახევარ საუკუნეზე ბევრად მეტ დროში გიგანტური ნახტომი გააკეთა, მაგრამ რატომღაც ისინი გადასაყრელად არ მემეტება...

კარგი მასწავლებლები მყავდა. უპირველესად მახსენდება მათემატიკის მასწავლებლები თამარ მგელაძე და ნადეჟდა რედკინა (კლასის დამრიგებელი იყო IX-X კლასებში) – ორივე ძალიან ფიცხი ხასითისა, მაგრამ სამართლიანნი, სერგო ბაქრაძე, რომელსაც მეტსახელად "ყორენას" ვეძახდით; ფანცულაია – დირექტორის მოადგილე იყო, მაღალი, კეხიანცხვირიანი, ლამაზი კაცი; ქართული ენისა და ლიტერატურის – თამარ ცაგარეიშვილი და გოგი ჩიქობავა (ერთ დროს გალაკტიონ ტაბიძის მდივანი იყო), რუსულის მასწავლებლები: რაჟდენ სოლომონოვიჩ ჭანტურია (შემდგომში ცნობილი კონფერანსიესა და მომღერლის გია ჭირაქაძის პაპა; გია პარალელურ კლასში სწავლობდა, უკვე XI, დამამთავრებელ კლასში ჩემს კლასში გადმოიყვანეს) და რაჟდენ პავლოვიჩი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, გვარად ნაცვლიშვილი იყო; ქიმიას გვსწავლიდა ლიდა მამუკაშვილი (კლასის დამრიგებელიც იყო), გეოგრაფიას – ბაბო გარსევანიშვილი, ისტორიას – ქველი ჩხატარაიშვილი (შემდგომ – ცნობილი მეცნიერი), საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას – სკოლის დირექტორი ალიოშა ცინცაძე; ფიზკულტურის მასწავლებელი იყო ძველი ტანმოვარჯიშე ვასო დეკანოზიშვილი.

გოგი ჩიქობავა ბოლო კლასში გვასწავლიდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, თვითონ ლიტერატორი იყო, მშვენივრად მოსაუბრე; დაახლოებით 30 წლის კაცი გახლდათ, მეტისმეტად მსუქანი; რატომღაც დამამახსოვრდა – სულ ცხვირს აქსუტუნებდა. ერთხელ გაკვეთილზე დაგვაწერინა თავისუფალი თემა: "ჩემი საყვარელი მწერალი". მე დავწერე ანტონ ჩეხოვის შესახებ, მასწავლებელმა იგი მოიწონა. გამოსაშვებ გამოცდებზეც თავისუფალი თემა ავირჩიე, მახსოვს, მშვიდობას ეძღვნებოდა. სკოლაში საგამოცდო კომისიამ ფრიადი დამიწერა, მაგრამ განათლების რაიონულ განყოფილებაში ერთი ნიშანი დამიკლეს – ძალიან მოკლედ არის დაწერილიო... კომისიის შეფასებას გოგი ჩიქობავა არ ეთანხმებოდა, მაგრამ რას გააწყობდა – "ზევით" გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ მედალი სხვისთვის უნდა მიეცათ...

ვისთან ერთად ვსწავლობდი სკოლაში? დროთა განმავლობაში რიგი ბიჭებისა მიდიოდა ჩვენი კლასიდან, რიგი – მოდიოდა, ყველას გახსენება მიჭირს; ჩემზე უკეთესი მახსოვრობა აღმოაჩნდა ჩემს თანაკლასელს ნუგზარ ყიფშიძეს, რომელმაც ცოტა ხნის წინ გადმომცა მის მიერ შედგენილი იმ ბიჭების სია, რომლებიც როდისმე ჩვენთან ერთ კლასში სწავლობდნენ და რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ (გოგოებთან სწავლა არ მომიწია: ქალთა და ვაჟთა სკოლების გაერთიანება მოხდა 1954/1955 სასწავლო წელს, როცა მე უკვე ბოლო კლასში ვსწავლობდი და ქალთა და ვაჟთა XI კლასები არ გაუერთიანებიათ). რამდენჯერ მომისმენია მასწავლებლების მიერ ამოკითხული ეს სია! ზოგის სახელი ვერ გავიხსენეთ; ვინც ჩემთან ერთად უწყვეტად სწავლობდა თერთმეტი წლის განმავლობაში, – I-XI კლასებში, – იმათ გვარებს * ნიშანი დავუსვი):

აბულაძე ომარ;

არაბიძე;

ართილაყვა ოთარ* (შემდგომ ცნობილი სპორტსმანი, საქართველოს ჩემპიონი უროს ტყორცნაში; მაღალი, ზორბა, ცისფერთვალება, ლამაზი გურული; ნიჭი არ აკლდა, უყვარდა წიგნების კითხვა, მაგრამ სწავლას აგრერიგად გულს ვერ უდებდა; უფრო ქუჩის ცხოვრება იტაცებდა, მაგრამ არა ცუდი გაგებით);

af xaz ava o mar ;

axvl edi ani j umber (“ტურიკო”);

bakur aZe gi vi * (2008 წლის 4 სექტემბერს სამწუხარო ამბავი შემატყობინეს: ტელეფონით დამირეკა ოთარ ართილაყვამ და მითხრა – გივი გარდაიცვალაო... 71 წლის იყო, მაგრამ არაფერი მოასწავებდა ასეთ დასასრულს – თურმე ყოველდღე სეირნობდა, რეჟიმს იცავდა... ბავშვობაში და შემდეგაც კარგა ხანს ძალიან გამხდარი იყო, სპორტული აღნაგობის; საშუალო სიმაღლის, ძალიან ლამაზი; მახსოვს, სკოლაში და ინსტიტუტში სირბილში შეჯიბრებისას სულ იმარჯვებდა. როცა ასაკში შევიდა, შესამჩნევად მოსუქდა... გუშინწინ აბაზანა მიუღია, გამოსულა იქიდან და დარეფანში დაცემულა... იმ ბოლო რამდენიმე კვირაში ქართველებმა იმდენი გულის ხეთქვა გადავიტანეთ, ისეთი ნერვიული დაძაბულობა, რომ არც არის გასაკვირი, მის გულს ვერ გაეძლო... შემიძლია, გადაუჭარბებლად ვთქვა – ბრწყინვალე პიროვნება იყო ჩემი სკოლის მეგობარი. 1944 წლიდან, პირველი კლასიდან მეთერთმეტემდე, სულ ერთ კლასში ვიყავით, შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გეოლოგიურ ფაკულტეტზეც თითქმის სულ ერთად გვქონდა ლექციები: მე გეოლოგიური სპეციალობის ჯგუფში ვიყავი, ის – ჰიდროგეოლოგიის... თავიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით – სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა; ადრევე შეამჩნიეს მისი ორგანიზატორული უნარიც და ჯერ კიდევ სკოლაში სკოლის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი იყო, შემდეგ – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ორჯონიკიძის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი; შემდეგ პარტიულ სამუშაოზე იყო – პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მეორე და პირველი მდივანი, თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე და პირველი მდივანი... იქიდან გადაიყვანეს თბილისის მილიციის უფროსად, მაგრამ ამ სამუშაოზე დიდხანს ვერ გაძლო – შინაგანად უაღრესად პატიოსანი იყო და ვერ მოერგო იქ არსებულ მდგომარეობას. შემდეგ მუშაობდა ოქტომბრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ, საიდანაც გაუშვეს პენსიაში. საწყალს, სულ იმედი ჰქონდა, აი, ახლა მაინც გავახსენდები შევარდნაძეს და დამაბრუნებს რაიმე თანამდებობაზეო... უამრავ საინტერესო ადამიანს შეხვედრია, მრავალი ამბის მომსწრე იყო და მე ვთხოვე, მოგონებები დაეწერა, მაგრამ ვერ დავითანხმე);

ბალიანი (ბალიაშვილი) უშანგ;

ბარბაქაძე;

ბარკალაია;

ბასანიძე რობერტი (“ბროლა”)*;

ბერია გურამ*;

ბახტაძე გურამ;

ბოთერაშვილი;

ბუნტური ოთარ;

გადელია თამაზ (შემდგომ სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი იყო ფოთში);

გელაშვილი ალბერტ (“ტიკო”);

გვარამაძე;

დათუნაშვილი გერონტი*;

დიხამიძე;

ებრალიძე თამაზ*;

ვენეცკი თენგიზ*;

ზურაბიშვილი ზურაბ* (გამოჩენილი ფსიქიატრის, აკადემიკოს ავლიპი ზურაბიშვილის ახლო ნათესავი, შემდგომ თვითონაც ფსიქიატრი გახდა);

თელია ჯემალ;

თვარაძე გივი*;

თოფურიძე გიორგი;

თოფურიძე შოთა;

თხინვალელი ვახტანგ;

იაშვილი ნოდარ* (სკოლაში ხომ I-XI კლასებში ერთად ვიყავით, შემდეგაც, უკვე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზეც ერთ ჯგუფში ვსწავლობდით ხუთ წელიწადს... ინსტიტუტში სწავლისას ხშირად მივდიოდი მასთან შინ, განსაკუთრებით – საგამოცდო სესიების დროს. ორჯონიკიძის ქუჩაზე მის დედასთან – ბაბულიასთან და მამასთან – გოგისთან ერთად ერთსართულიან კერძო ბინაში ცხოვრობდა, რომელსაც მცირე ბაღიც აკრავდა. მასთან ხშირად

ვიკრიბებოდით თანაჯგუფელები: ჯონი კერესელიძე, ჩემი მეზობელი გოგოლის ქუჩიდან – შეიძლება ითქვას, ერთად გავიზარდეთ, მაგრამ ის სხვა საშუალო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ – ჩემთან ერთად პოლიტექნიკური ინსტიტუტში, ზაურ მკურნალიძე, გივი ბაკურაძე, აგრეთვე, ოთარ ართილაყვა, გივი თვარაძე და სხვები. ერთად ვემზადებოდით გამოცდებისთვის, გატაცებით ვთამაშობდით მაგიდის ჩოგბურთს...);

i l ur i Ze uSang;

კალანდია თენგიზ*;

კალანტაროვი (კალანდაძე) აბესალომ*;

კალანტაროვი მიხეილ*;

კარტოზია თენგიზ*;

კინწურაშვილი რომან;

კოპალეიშვილი;

მალაზონია მამია (შემდგომ ცნობილი მხატვარი გახდა);

მანჯგალაძე გურამ;

მეძველია იასონ;

მოსიძე მზეჭაბუკ*;

მურღულია გურამ;

ოდილავაძე გურამ;

ომაძე იოსებ*;

ომიაძე გივი;

რაზმაძე მურმან;

სეფიაშვილი გივი;

ყიფშიძე ნუგზარ ("ყიფშო", ჩვენთან IV კლასში მოვიდა. ხშირად ერთ მერხზე ვისხედით და სკოლიდანაც შინ ერთად მივდიოდით. ის ცხოვრობდა ნაძალადევში, რკინიგზის გადასასვლელ ხიდთან. მახსოვს, უკვე X-XI კლასებში, ის დადიოდა მამამისის ნაქონი რკინიგზელის ფარაჯით და ფორმის ქუდიც ეხურა; მე პალტო არ მქონდა, დაბამბული ქურთუკით – მშენებლობაზე მუშები რომ იცვამდნენ, ისეთით – გავდიოდი იოლას...);

ჭირაქაძე გია (შემდგომ – ცნობილი კონფერანსიე და მომღერალი, ჩვენს კლასში ბოლო წელს გადმოიყვანეს პარალელური კლასიდან);

ჭიჭინაძე ომარ;

ჭრელაშვილი ნოდარ;

ჩილინგაროვი;

ჩიმაკაძე;

ხარატი ლერი;

ჯიბუტი (ჯიმუტია) ბორის;

ჯმუხაძე ჯუმბერ;

წამალაშვილი ვალიკო.

სულ 55 გვარია; შესაძლოა, ვინმე გამოგვრჩა – სკოლის დამთავრებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა! სკოლაში პარალელურ კლასში სწავლობდა შემდგომ ცნობილი კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, რამდენიმე კლასით წინ – თამაზ ცინცაძე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის ვოკალური კვარტეტის წევრი... საზოგადოდ, ეს სკოლა ბევრ სხვა სახელოვან ადამიანსაც აქვს დამთავრებული.

გაკვეთილების შემდეგ ბიჭები მიდიოდნენ გასართობად, უმეტესად ფეხბურთის სათამაშოდ; მე მათ იშვიათად თუ შევუერთდებოდი – შინ ვბრუნდებოდი, სადაც წიგნები მელოდებოდნენ... ყოველდღიურად ვვარჯიშობდი, ერთი პირობა "დინამოს" სტადიონზე ცურვის სექციაში ვმეცადინეობდი, რასაც ერთი წლის შემდეგ თავი დავანებე – არავითარი ფიზიკური მონაცემები მე არ მქონდა... დაბალი ვიყავი, გაჩხინკული, უღონო, მხოლოდ სირბილი მეხერხებოდა – ამ მხრივ ფიზკულტურის გაკვეთილებზე სირბილში შეჯიბრებების დროს კლასში მხოლოდ ორი მჯობნიდა: თენგო კარტოზია და გივი ბაკურაძე. მეთერთმეტე კლასში ვიყავი, როცა იგივე "დინამოს" სპორტდარბაზში კრივში ვმეცადინეობდი; ჩემი მწვრთნელი იყო საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონი გიორგი ვართანოვი, აბა! იმდროინდელი შთაბეჭდილებები დაედო საფუძვლად ჩემს მოთხრობას "დაუმარცხებელი"; ჩავატარე მხოლოდ ერთი ბრძოლა და მოვიგე, ასე რომ, მართლაც დაუმარცხებელი მოკრივე გახლავარ, იქნებ მსოფლიოში ერთადერთიც კი! არც სპორტის ამ სახეობაში ვივარგე, თანაც საშუალო სკოლა დავამთავრე და დედაჩემის რჩევას დავუჯერე – შეეშვი ამ კრივს, თვითონაც ხედავ, არ არის საშენო საქმე, უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას თავისუფალი დროც ნაკლებად გექნებაო.

ადრეც ვთქვი: ბავშვობიდანვე მინდოდა, მეზღვაური გამოვსულიყავი – გეოგრაფია გამორჩეულად მიყვარდა და ვოცნებობდი, შორეული ქვეყნები მომენახულებინა. გეოგრაფიის მასწავლებელი ბაბო

გარსევანიშვილი განსაკუთრებით გამომარჩევდა, ზოგჯერ მის მაგიერ კლასში გაკვეთილის ახსნასაც მანდობდა; დამაწერინა თემა: “მდინარე ნილოსი” – ახლაც მახსოვს, როგორი გატაცებით ვწერდი; შემდეგ – გაკ-ვეთილზე წამაკითხა. საშუალო სკოლის დასრულების შემდგომ საბუთები გავაგზავნე კიდეც ოდესის უმაღლეს საზღვაოსნო სასწავლებელში, იქ მინდოდა სწავლის გაგრძელება, შორეული ცურვის კაპიტნობა მსურდა, მსოფლიოს მოვლა! საბუთები უკანვე დამიბრუნდა: თურმე, იქ სწავლის მსურველთ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი თუ სამინისტრო საგანგებოდ ამოწმებდა კეთილსაიმედოობაზე: ხომ არ ჰყავს მშობლები ყოფილი ვაჭრები, კაპიტალისტები, თავადები, კონტრრევოლუციონერები, მენშევიკური ან სხვა რომელიმე პარტიის ყოფილი წევრები? უახლოესი ნათესავები ხომ არ ცხოვრობენ საზღვარგარეთ?.. და ასე შემდეგ. ამიტომ, თურმე, საბუთები და ცნობა, რომ დამამთავრებელ კლასში გადავედი, უნდა გამეგზავნა სკოლის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე, რომ საფუძვლიანი შემოწმება მოესწროთ და მომავალ წელს გამომიძახებდნენ გამოცდების ჩასაბარებლად, თუ, რასაკვირველია, ამის ღირსად ჩამთვლიდნენ. დავღონდი, მაგრამ რა უნდა მექნა... შემეძლო, საბუთები მომავალი წლის გამოცდებისთვის გამეგზავნა, მაგრამ დედაჩემმა მითხრა: “შვილო, გულს ნუ გაიტეხ! ერთი წელი რატომ უნდა დაკარგო? თუ მაინცდამაინც მოგზაურობა გიტაცებს, აგერ შედი გეოლოგიურ ფაკულტეტზე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ან უნივერსიტეტში, და მოგზაურობის მეტი რა მოგიწევს!”. დედის რჩევა ჭკუაში დამიჯდა. წარმატებით ჩავაბარე მისაღები გამოცდები პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ძებნა-ძიების სპეციალობაზე. ფაკულტეტი “პრესტიჟულად” ითვლებოდა, იქ მოხვედრა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მე გამოცდების დაჭერა არ გამჭირვებია; მედალი არ მქონდა და მომიწია ხუთი გამოცდის ჩაბარება.

ჩვენი გეოლოგიური ჯგუფი იყო და დიდი უმრავლესობა ბიჭები ვიყავით; თავიდან გოგო სულ ოთხი გვყავდა: ნუნუ აბაკელია – ცქრიალა, ხალისიანი, მშვენიერი ქალიშვილი, ოდნავ წითური, ხშირი, ლამაზი თმებით, ამჟამად – ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; ციალა გაბელაია – შავგვრემანი, ეშხიანი ქალიშვილი, შემდგომ მეცნიერებათა დოქტორი, ორი წლის წინათ გარდაიცვალა; ბელა კუბლაშვილი – პირმრგვალი, პუტკუნა, სოფლელი გოგო, რომელიც დიპლომის მიღებისთანავე გათხოვდა, თბილისიდან წავიდა და, ვგონებ, გეოლოგიისკენ აღარც გაუხედავს; მანანა ტოგონიძე – ცნობილი მოჭადრაკე, შემდგომ – გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი... სხვათა შორის, ლექციების უმეტესობა გვიტარდებოდა ჰიდროგეოლოგიის ჯგუფთან ერთად; იქ სწავლობდა ჯანო გიორგაძე – მაღალი, ლამაზი, ძალიან სიტყვამოსწრებული და ყველასთვის საყვარელი ბიჭი; სამწუხაროდ, ინსტიტუტის დამთავრებიდან რამდენიმე წელიწადში სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა და აღმოჩნდა, რომ მშვენიერი პოეტიც ყოფილა – გამოიცა მისი ლექსთა კრებული... ყველანი ძალიან მეგობრულად, და-ძმებივით ვიყავით. ბიჭებში იშვიათად თუ მოხდებოდა წაკინკლავება, უფრო ცხარე კამათი მახსოვს, როცა სტალინის პიროვნების კულტის მავნე შედეგების წინააღმდეგ მთელს საბჭოთა კავშირში მწვავე იდეოლოგიური კამპანია მიმდინარეობდა. ბიჭები გაყოფილნი ვიყავით “სტალინისტთა” და “ანტისტალინისტთა” ურთიერთ დაპირისპირებულ ბანაკებად. ახლა მიკვირს: მე, საბჭოთა კავშირში ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე ცრუ პროპაგანდა-აგიტაციის ერთ-ერთი მსხვერპლი, რა თავგამოდებით ვიცავდი “დიდ ბელადს”...

პედაგოგები? მათთან, ცხადია, ისეთი მჭიდრო ურთიერთობა არ გვქონდა, როგორც საშუალო სკოლის მასწავლებლებთან. შედარებით ახლოს ვიყავით გეოლოგიური საგნების ლექტორებთან. გეოლოგები საერთოდ კოლეგიალობით ხასიათდებიან, მათში განსაკუთრებით ხშირია მჭიდრო მეგობრული კავშირები – ისინი ხომ მრავალთვიან გეოლოგიურ ექსპედიციებში ერთად მოღვაწეობენ ბუნების წიაღში და იზიარებენ ჭირსაც და ლხინსაც; ამიტომ, ზოგადად, გეოლოგებში სუფევს არაჩვეულებრივი განცდა ერთიანი მეგობრული ოჯახისა, თუმცა მათთვის უცხო არ არის მძაფრი კამათიც სხვადასხვა გეოლოგიური საკითხების ირგვლივ.

დიდი სიყვარულით ვიხსენებ ჩვენს ლექტორებს, მათ სითბოსა და მზრუნველობას ჩვენს მიმართ, – რაც შეიძლება, მეტი ცოდნა მოეცათ ჩვენთვის. მრავალი მათი მოწაფე შემდგომ თვალსაჩინო სპეციალისტი გახდა გეოლოგიის სხვადასხვა დარგში, რამდენიმემ დაიცვა მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხები.

გავხსენებ ჩვენს ზოგიერთ აღმზრდელს:

გიორგი ტოგონიძე, – ჩვენი ჯგუფელის, მანანა ტოგონიძის მამა; მოსული ტანის ტიპიური რაჭველი: დინჯი, საქმიანი;

აკადემიკოსი პეტრე გამყრელიძე, – ცნობილი გეოლოგის, ირაკლი გამყრელიძისა და ექიმის, ბიზნესმანისა და პოლიტიკოსის დავით გამყრელიძის პაპა; ისიც ტიპიური რაჭველი;

პროფესორი გიორგი ხარატიშვილი, – გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგე; პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დააარსა პალეონტოლოგიის შესანიშნავი მუზეუმი; აქვს დაწერილი წიგნი ილია ჭავჭავაძის შესახებ;

აკადემიის წევრ-კორესპოდენტი გიორგი ზარიძე, – მე რომ ჩავირიცხე, იმ დროს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი და სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგე იყო. სხვა ლექტორებისგან განსხვავებით, სტუდენტებთან უფრო ოფიციალურად ეჭირა თავი...

ჩვენი პედაგოგები სხვანი მრავალნიც იყვნენ – რამდენიმე ათეული – და აქ მათ ჩამოთვლას აღარ ვეცდები.

პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1960 წელს დავამთავრე. სამთო-გელოგიურ ფაკულტეტზე ორ ჯგუფს – № 150, გელოგებისა და № 152, ჰიდროგეოლოგებისა – თითქმის მთელი ხუთი წლის განმავლობაში ლექციები ერთად გვქონდა. ახლა ხელში მიჭირავს ჩვეულებრივი ფურცელი, გაყვითლებული და ნაკეცებზე გაცვეთილი, რომელზეც ორივე მხრიდან საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილია შემდეგი:

”საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 1960 წლის გამოშვება,
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი,
ჯგუფები № 350, № 352

1. ალიბეგაშვილი ბორია – ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. № 26. IV სადარბ., ბინა 89. ტ. 37-32-58 (სახ.). სამსახური: “გიპროშახტი”, ლენინის მოედანი, ტ. 93-84-90.

2. ამბროლაძე თამაზი – ქ.თბილისი, პავლოვის ქ. № 14, I სად., IV სართ. ტ. 37-25-23. სამსახური: თბილისი, სპი, ტ. 36-74-98.

3. აბაკელია ნუნუ – თბილისი, ლენინის ქ. № 75, XII სად, I სართ. ტ. 36-19-68. სამსახური: სპი, ტ. 37-61-03.

4. ასანიძე გივი – ქ. თბილისი, საირმის ქ. № 8, ბინა № 35; ბორჯომი, მესხეთის ქ. № 39, ბინა 7, ტ. 2-05-66, 2-31-94.

5. ბოჭორიშვილი პატკუ – ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. № 26, IV სადარბ., ბინა 89. ტ. 37-32-58. სამსახური: “გიპროშახტი”, ლენინის მოედანი, ტ. 93-84-90.

6. ბესელია ვაჟა – ქ. თბილის, მშვიდობის გამზ., II კვარტ., კორპ. 9, ბინა 7. ტ. 37-68-61. სამსახური: გეოლოგიური სამმართველო”, გურჯაანის ჰიდროგეოლოგიური ექსპ.

7. ბაკურაძე გივი – ქ. თბილისი, 22-21-21 (სახ.), სამსახური 95-39-64. დაბ დღე 8/II.

8. ბარძიმაშვილი ჯუმბერი – ქ. თბილისი, გურამიშვილის ქ. № 15, II სად., ბინა 42. სამსახური: “საქნავთი”, “გრუზკნიპო” “სევკავნიპინეფთ”, ლენინის ქ. № 65. ტ. 36-16-66, 36-00-39, დაბ. დღე – 18/IV.

9. გოცაძე დალი – თბილისი, კუტუზოვის ქ. № 16, II სადარბ., ბინა 30. ტ. ... დაბ. დღე – 10/VIII. სამსახური: “გეოლოგიური სამმართველო”, მოსაშვილის ქ. № 24, ტ. 22-32-46, 22-41-04.

10. გორდაძე ჯილდა – ქ. თბილისი, კალანდაძის ქ. № 5. ტ. 23-10-70 (სახ)., 93-44-10 (სამს).

11. გოგელია კოტე – ქ. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქ. № 18, კორპ. IV, ბინა 28, ტ. 36-31-43. დაბ. დღე – 26/V. სამსახური: “საქსახკომუნპროექტი”, ტ. 31-55-94”, “ნაპირდაცვა”.

12. გაბელაია ციალა – ქ. თბილისი, გოთუას ქ. № 16, IV სად., ბინა 87, ტ. 37-15-92.

13. ვაშაძე თენგო – ქ. თბილისი, ატენის ქ. № 4, ტ. 22-36-79, 27/IX – დაბ. დღე. სამსახური: 22-32-46, სოხუმი, თბილისის შესახვევი № 113.

14. ზვიადაძე უჩა – ქ. თბილისი, ტ. 22-53-72, სამსახური: სპი, ტ. 36-16-17, 36-65-09. დაბ. დღე – 16/VIII.

15. იაშვილი ნოდარი – ქ. თბილისი, გურამიშვილის ქ. № 1, ბინა 6, ტ. 23-09-97. დაბ. დღე – 14/I,. სამსახური: ტ. 93-34-05.

16. კალანდაძე ნუგზარი – ქ. თბილისი, ატენის ქ. № 4, ტ. 22-34-11. დაბ. დღე – 23/VIII. სამსახური: აღმოსავლეთ საქართველოს კომპლექს. გეოლოგიური ექსპედიცია, ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. № 8.

17. კაციტაძე დალი – ქ. თბილისი, მშვიდობის გამზ., II კვარტ., კორპ. 9, ბინა 7. ტ. 37-68-61. სამსახური: “გიპროვოდხოზი”, მოსაშვილის ქ. № 11, ტ. 22-17-39.

18. კიზირია ზურიკო – “თბილგიპროავტოდორტრანსი”, ტ. 36-01-87 (სამს.), დაბ. დღე – 6/IX.

19. კურტანიძე გოდერძი – ქ. ბორჯომი, კიროვის ქ. № 109. ტ. 2-31-31. . ხაშური, განათლების № 20. დაბ. დღე – 18/I. ტ. 2-30-24 (სახ.), სამსახური: ქ. ბორჯომი, რაიაღმასკომი, ტ. 2-31-88, 2-29-92.

20. კომახიძე რეზო – ქ. თბილისი, სიმ. ჩიქოვანის ქ. № 22, I სად., VI სართ., ბინა 11. ტ. 36-71-65. (23-07-82). სამს. 99-83-65. 93-43-86. დაბ. დღე – 29/III.

21. კერესელიძე ჯონი – ქ. თბილისი, ტ. 23-01-71 (სამს.). დაბ. დღე – 30/VI.

22. კერესელიძე სპარტაკი – ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ.. 30. ტ. 22-44-65. დაბ. დღე – 18/XI. სამსახური: “გიდეპ”, ტ. 31-14-40.

23. მკურნალიძე ზაური – ქ. თბილისი, კამოს ქ. № 19. ტ. 95-67-67. სამსახური: “თბილგაზის სამმართველო”, მიცკევიჩის ქ. № 18. ტ. 37-56-87.

24. მინდიაშვილი გივი – ქ. თბილისი, პეტრე ბაგრატიონის ქ. № 42. სამსახური: “თბილგიპროავ-ტოდორტრანსი”, ტ. 36-01-87 (სამს.), 37-28-85 (სახ.). დაბ. დღე – 19/X.

25. მინაძე შალვა – ქ. თბილისი, დიღმის მასივი, III კვ., 27 კორპ., ბინა 39. ტ. 51-47-54. სამსახური “კავგიპროტრანსი”, პლეხანოვის გამზ. № 154. ტ. 99-33-66, ტ. 95-80-39. დაბ. დღე – 29/V.

26. მოდებაძე ჟუტა – ქ. თბილისი, დეპოს ქ. № 14, ტ. 66-76-(70)-11 (სახ.). სამსახური: “გიპროშახ-ტი”, ტ. 93-84-90.

27. ნინუა რაული – თბილისი, პლეხანოვის გამზ. № 111, კორპ. 3, ბინა 6. სამსახური: “გეოლოგი-ური სამმარველო”, მოსაშვილის ქ. № 24. დაბ. დღე – 23/X. ტ. 22-69-40.

28. პაიჭაძე კონო – ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. № 40, II სად., IV სართ., ბინა 24. ტ. 37-10-06. დაბ. დღე – 29/II. სამსახური: გეოლოგიის ინსტიტუტი, ტ. 36-93-08.

29. რობაქიძე ჯონი – ქ. თბილისი, მე-11 მიკრორაიონი (ზღვაზე), III კვარტ., 49. კორპ., ბინა 48. ტ. 62-05-32. დაბ. დღე – 2/VI. სამსახური: გრუზპიშჩეპროექტი”, ტ. 22-79-17.

30. რატიანი გურამი – ქ. თბილისი, ბოცვაძის ქ. № 14. ტ. 99-34-19; 93-28-03. სამსახური: ტ. 74-40-45.

31. სასანია ზურა – ქ. თბილისი, მშვიდობის გამზ. № 25. სამსახური: “თბილმრეწვმშენი”, ტრეს-ტი 3, ჩელუსკინელების № 14. ტ. 34-18-60, დაბ. დღე – 1/VIII.

32. სოფრომაძე შოთა – ქ. თბილისი, ბახტრიონის ქუჩა, კორპ 7, სად. 5, ბინა 98. სამსახური: ქ. გაგრა, ჩამბას ქუჩა, II შესახვევი № 69, გეოლოგიური ბაზა. ტ. 4-11-79.

33. ტატიშვილი ჯუნა – ქ. თბილისი, მერკვილაძის ქ. № 8, ტ. 95-06-35. სამსახური: “გეოლოგიური სამმართველო”, მოსაშვილის ქ. № 24.

34. ტოგონიძე მანანა და დუდაური ოთარი – ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. № 2. ტ. 22-45-48. სამ-სახური: გეოლოგიის ინსტიტუტი, ტ. 36-93-41.

35. ფთაძე გურამი – ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 58. ტ. 93-32-35. დაბ. დღე – 22/VIII.

36. ღლონტი შალვა – ქ. თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, 27 კორპ., ბინა 25. ტ. 51-45-39. დაბ. დღე – 1/VIII. სამსახური: “კავგიპროტრანსი”, პლეხანოვის გამზ. № 154. ტ. 99-33-66, 95-80-39.

37. ყიფიანი ჟორა – ქ. თბილისი, გურამიშვილის ქ. № 15, პირველი სად., II სართ., ბინა № 6. სამსახური: “თბილგიპროავტოდორტრანსი”, ორჯონიკიძის მოედანი № 2, ტ. 36-01-87.

38. ხულორდავა გურიელი – ქ. თბილისი, შავი ზღვის ქ. № 2, ბინა № 3. სამსახური: “გიპროვოდ-ხოზი”, მოსაშვილის ქ. № 11, ტ. 22-17-39.

39. ხუნდაძე ალვარი – ქ. თბილისი, თემქის დასახლება, II კვარტ., კორპ. 32-ა, სადარბაზო I, სართული V, ბინა 14. ტ. 62-22-13. სამსახური: გეოლოგიური სამმართველო, მოსაშვილის 24, ტ. 22-20-91, ბოლნისის ექსპედიცია. დაბ. დღე – 15/VIII.

40. ხოსიტაშვილი გივი – ქ. თბილისი, ვარკეთილის მასივი, IV კვარტალი, VIII კორპ., ბინა 4, ტ. 73-46-93. ქ. მოსკოვი, 105264, 5 პარკოვაია, 48, კორპ. 14, ბინა 58. ტ. 463-77-57. დაბ. დღე – 1/II.

41. შათირიშვილი მაგული – ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. № 49, ტ. 3-82-84 (სახ.), 3-40-59 (სამ.).

42. ჯორბენაძე ანზორი – ქ. თბილისი, არსენას ქ № 11. სამსახური “თბილგიპროავტოდორტრან-სი”, ორჯონიკიძის მოედანი № 2, ტ. 36-05-65.

43. ჯიქია ოთარი – ქ. თბილისი, ორბელიანის ქ. № 10, ტ. 99-65-59. სამსახური: “საქნავთი”, სოფ. ლილო, ტ. 71-01-11, 2-74-21, 7-58-37.

44. ჯიქია თამაზი – სპი, ტ. 36-16-17, 36-67-15; სახლის ტ. 36-27-65.

45. ჭყონია ალეკო – ქ. თბილისი, მიჩკევიჩის ქ. № 11, ტ. 36-52-74; ბროსეს ქ. № 1, II სართ, ტ. 93-66-21.

46. ჭეიშვილი მურთაზი – ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. № 4, IV სად., III სართ., ტ. 37-28-95. დაბ. დღე – 1/I. სამსახური: “გიდეპი”, ტ. 31-05-79, 31-26-02.

შეხვედრა: ა) ყოველ წელს აპრილის პირველ შაბათს სასტუმრო “ივერიასთან”,
დღის 2 საათზე.
ბ) 25, 30, 35, ... წლისთავზე შეხვედრები სპეციალურად იქნება ორგანიზებული”.

რატომ მოვიტანე სრულად იმ ფურცელზე აღნუსხული მონაცემები, ვის რად დააინტერესებს ჩემი ჯგუფელების მისამართები და ტელეფონის ნომრები? აი, რატომ: ეს არის დროის საბუთი! დამახასიათებელია, რომ იმ დაწესებულებების დასახელებები, სადაც ჩემი მეგობრები მუშაობდნენ ინსტიტუტის დასრულების შემდგომ, უმრავლესისა – რუსულია; ამათგან თითქმის ყველა ორგანიზაცია დღეს აღარ არსებობს, მათი მაღალკვალიფიციური პერსონალი უკვე პენსიონერია ან სულ სხვა საქმიანობას ეწევა, პროფესიიდან ფრიად დაშორებულს... რამდენ ქუჩას შეეცვალა სახელი... დღეისთვის, სამწუხაროდ, ჩვენ სამუდამოდ გამოგვემშვიდობა ათზე მეტი ადამიანი...

№ 352 ჯგუფზე ვერაფერს ვიტყვი და ჩემი, № 350 ჯგუფიდან ამ სიაში რამდენიმე ადამიანი არ არის მოხვედრილი, მაგალითად, ბელა კუბლაშვილი, ნინო ფხაკაძე, ღვამიჩავა და მეც!

აგერ 60 წელზე მეტიც გავიდა ინსტიტუტის კურსის დასრულებიდან და მე ამგვარ "სპეციალურად ორგანიზებულ" შეხვედრაზე მხოლოდ ერთხელ ვიყავი, ყოველწლიურ შეხვედრაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი...

1958 წელს ჩემი ოჯახი – დედაჩემი, მე და ჩემი და – გოგოლის ქუჩიდან საცხოვრებლად დიდუბეში, დიდუბის ქუჩის № 24/26-ში გადავიდა საცხოვრებლად; იმ დროს ინსტიტუტში მესამე კურსზე ვსწავლობდი. ერთოთახიანი ბინა ახალი ოთხსართულიანი სახლის მესამე სართულზე მდებარეობდა; იგი მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის აშენდა, სადაც დედაჩემი მუშაობდა. მართალია, კვლავ ვიწროდ ვიყავით, მაგრამ ადრე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით თავი სამოთხეში ვიგრძენით: გვქონდა ბუნებრივი გაზი, სააბაზანო და ტუალეტი... პალტო ისევ არ მქონდა, მეცვა ერთი გაცვეთილი, იაფფასიანი პიჯაკი. ზამთრობით, დილით, ლექციებზე მიმავალი, გადავიდოდი მტკვარზე გადებულ ფეხით სავალ ხიდზე (ახლა აქ მის მაგივრად ვახუშტის სახელობის საავტომობილო დიდი ხიდია აშენებული) და სულ სირბილით ავივლიდი პოლიტექნიკური ინსტიტუტისკენ მიმავალ ბილიკს და აქოშინებული, გახურებული შევვარდებოდი სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის კორპუსში, რათა პირველ ლექციაზე არ დამგვიანებოდა... ერთხელაც არ გავცივებულვარ; ბუნებით სუსტი ჯანმრთელობისა ვიყავი, ამიტომ მუდმივად ვვარჯიშობდი. როცა ბიჭები სტიპენდიას აიღებდნენ, ხშირად რომელიმე რესტორანში მიდიოდნენ, მე მათში ერთხელაც არ გავრეულვარ: ჩემს სტიპენდიას თითქმის უკლებლივ დედაჩემს ვაძლევდი, შუადღეზე საუზმისთვის ფულსაც კი არ ვიტოვებდი. მხოლოდ წიგნების ყიდვას კი ვერაფრით შეველიე და შინ უჩუმრად მიმქონდა – დედაჩემის საყვედურს ვერიდებოდი. თითქოს ინტელიგენტი ქალი იყო – ლენინგრადის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, დისერტაციაც დაიცვა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა, მაგრამ წიგნებით ჩემს უზომო გატაცებას არ იზიარებდა...

– მართალიც იყო! – შემაწყვეტინა ყურდიდამ. – შენი ნაკითხობა რაში გამოგადგა? სულ გაჭირვებაში ცხოვრობდი და საზღვარგარეთ ერთხელაც ვერ მოახერხე წასვლა... აი, ახლაც: ყოველ მოგზაურობას რაღაც აზრი აქვს, გარკვეული მიზანი – ან საკუთარ თავს არგო, ან სხვას შეეხიდო, დაეხმარო და ამ მოგზაურობის დაწყებას არ გერჩივნა, მარადიული ძრავის პრობლემის გადაწყვეტაზე გემუშავა ან უნივერსალური სამკურნალო ბალზამის, ყველა ავადობის მომრჩენი წამლის შექმნა გეცადა?

– დამცინი?

– არ ხარ სასაცილო? თანამედროვე ხოჯა ნასრედინის სახის შემქმნა წარმატებით შეძლო უზბეკეთის სახალხო არტისტმა, ცირკის მრავალმხრივმა მსახიობმა და ხალიჩის კლოუნმა აქრამ იუსუფოვმა. მას ნაღდად ჰგავხარ, იქნებ აჯობე კიდეც: მას თუ განსხვავებული ფორმის ქუდი, სახრე და ფართხუნა ტანსაცმელი ამშვენებდა, ის მაინც ვერ მოისაზრა, რომ პარტნერ ჩოჩორზე პირუკუღმა შემჯდარიყო! დიახ, ამ მხრივ ნაღდად აჯობე და თუ სასმელ-საჭმელი მოგაკლდება, გავიდეთ რომელიმე ქალაქის საბაზრო მოედანზე, ქუდი მოიხადე და სამათხოვროდ ხელში გაწვდილი დაიჭირე – ერთ წრეს შემოვუვლით და ეგ ქუდი ხურდა ფულით აგევსება, მისი ორი ხელით დაჭერა დაგჭირდება! თუ გინდა, უფრო დიდი ქუდი იყიდე – უფრო სარფიანად ვიჩაქჩაქებთ!

– ისევ დამცინი?

– სხვა შენგან რა ხეირია? არც სიმღერა გეხერხება, არც – ბაგირზე ცეკვა, არც – ეკვილიბრისტიკა, აკრობატიკაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი: ერთი მანახა, მოძრაობის დროს კი არა, თუნდაც ადგილზე ვიდგე, ჩემს ზურგზე ყირას როგორ გაჭიმავდი!.. სხვა რამეზე რაღა უნდა ვთქვა – ჯოხით უბრალო ილეთებს ვერ გააკეთებ!..

– კლოუნებს ჯოხი საკოხტაოდ და სალაღობოდ აქვთ, მე თუ შევიძენ, სხვა რამისთვის გამოვიყენებ – პირდაპირი დანიშნულებით! თუმცა, ვატყობ, შენს მომთვინიერებლად ვერ ვივარგებ, ძალიან მოურჯულებელი ჩანხარ! გველის ან ნიანგის გაწვრთნა უფრო იოლი იქნებოდა...

მოდი, მოგიყვები, დიდუბის ქუჩაზე № 24/26 სახლში ჩემი ცხოვრების ამბავს... იქ ვცხოვრობდი 1958-1985 წლებში. ამ ოთხსართულიანი, ორსადარბაზოიანი სახლის პირველი სადარბაზო განკუთვნილი იყო მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის, რომლებიც ბინის მიღების აღრიცხვაზე იყვნენ აყვანილები, მეორე – მშენებლებისა იყო. რატომღაც ამ პირველ სადარბაზოში სხვა უწყებების ხალხიც "ჩააკვეხეს" – სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები, სამხედროები... ჩვენს სამსულიან ოჯახს წესით ოროთახიანი ბინა ეკუთვნოდა – მე უკვე 22 წლისა ვიყავი, ჩემი და – 21 წლისა, მაგრამ... ჩვენ ერთოთახიანი ბინა გვარგუნეს, ოროთახიანში კი სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლის ორსულიანი ოჯახი შეასახლეს – დედა და

შვილი, ამასთანავე, ბიჭი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო... ჩივილს აზრი არ ჰქონდა, მინისტრის "პროტეჟეს" რას დავაკლებდით?

მგონი, უკვე გიამბე, რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის დროს პალტო არ მქონდა, შემოდგომიდან გაზაფხულამდე ერთი იაფფასიანი პიჯაკით დავდიოდი, მაგრამ არასდროს გავცივებულვარ: დილაობით ეზოში ჩავდიოდი ჩემს მეგობარ ყმაწვილთან, გოგი ჟღენტთან ერთად, – იქ ვვარჯიშობდით, შემდეგ მივდიოდით მტკვრის სანაპიროზე და იქ დავრბოდით – რამდენიმე კილომეტრს. შაბათ-კვირას, როცა ინსტიტუტში წასასვლელი არ ვიყავი, ზოგჯერ დიდუბის ხიდამდეც გვირბენია, შემდეგ მტკვრის მეორე ნაპირზე გადავიდოდით, უკან მეორე სანაპიროთი ვბრუნდებოდით და ვახუშტის ხიდით გადმოვდიოდით მარცხენა სანაპიროზე... გოგი ბრწყინვალე ბიჭი იყო: მაღალი, ლამაზი, დიდად ნიჭიერი; სამწუხაროდ, ერთ-ერთ მწვერვალზე ასვლის დროს კავკასიონის მთებში დაიღუპა...

1960 წელს დავამთავრე პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი სამთო ინჟენერ-გეოლოგის სპეციალობით და დავიწყე მუშაობა ნავთობის სამეცნიერო-საკვლევი საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, რომელსახ შემდგომ მრავალჯერ შეეცვალა სახელი; მე კი ამ დაწესებულებას შევრჩი ბოლომდე, პენსიაში გასვლამდე – ოთხზე მეტი ათეული წლის შემდეგ... ჯერ კოლექტორი ვიყავი გეოლოგიურ პარტიაში, შემდეგ გეოლოგი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი... მონაწილეობა მივიღე ორასამდე ეგრეთწოდებული საფონდო სამეცნიერო-საკვლევი ნაშრომის შექმნაში და რამდენიმე სტატიაც კი გამოვაქვეყნე. მიუხედავად ამისა, ერთგვარად გულგრილი ვიყავი გეოლოგიის მიმართ, მე უფრო მწერლობით, სახვითი ხელოვნებითა და მუსიკით ვიყავი გატაცებული... საღამოობით, ვახშმობის შემდეგ, მივდიოდი მუშტაიდის გვერდით მდებარე მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის თუთის კოლექციურ ნაკვეთში, სადაც რამდენიმე შენობაში მუშაობდნენ ამ ინსტიტუტის თანამშრომლები, გამართული იყო საჭიეები...

სხვათა შორის, რასაც ახლა ვწერ, გამახსენა გიგი ხორნაულის წიგნში "ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი" აღნიშნულმა: ვაჟამ 1877 წელს სწავლა გააგრძელა ტფილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში. დ. ქადაგიძე იგონებს: "ხილიანობის დროს ხილის მოსაპარად დადიოდნენ ბაღებში... ვაჟას უყვარდა თეთრი თუთა. ახლაც ამ თუთას მიეტანა... უცბად ხმა მოგვესმა: "ეი, ჭროღა ფშაველო, თავი დაანებე მაგ თუთას!". ვაჟა თეთრ თუთას ჭროღა თუთას ეძახდა და ის იყო მიზეზი, რომ მას მუშტაიდის ყარაულებმა უწოდეს "ჭროღა ფშაველი". მე უფრო მგონია, რომ ვაჟა და მისი მეგობრები "სტუმრობდნენ" მაშინდელი მეაბრეშუმეობის სადგურის თუთის საკოლექციო ნაკვეთს, რომელიც მუშტაიდის ბაღის გაყოლებაზე იყო განლაგებული. გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ეს საუკუნოვანი ნაკვეთი ამჟამად გაჩანაგებულია, იქ შეიჭრნენ სხვადასხვა ორგანიზაციები, ააშენეს ნაგებობები, ფეხბურთის სავარჯიშო მოედნები... სავარჯიშო მოედანი ცუდი კი არ არის, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ძველი, უძვირფასესი ნარგაობების ხარჯზე? იქ იყო თავმოყრილი მთელი მსოფლიოდან ჩამოტანილი უამრავი სხვადასხვა ჯიშის თუთა და ეს უმდიდრესი კოლექცია საფუძვლად დაედო თუთის მრავალი ახალი ჯიშის გამოყვანას... მერე "დინამოს" სტადიონის მესვეურებმა გადაწყვიტეს, ყოფილი მეაბრეშეუმეობის ინსტიტუტის შენობაში – მუშტაიდის ბაღის შესასვლელსა და სტადიონს შორის მდებარეობს – სპორტსმენთათვის საერთო საცხოვრებლის მოწყობა... ეს ხუროთმოძღვრულად გამორჩეული ნაგებობა ასორმოცდაათი და მეტი ხნის წინ აიგო საგანგებოდ მეაბრეშუმეობის სადგურის განსათავსებლად და მისი დაპროექტების წინ სპეციალისტები გასაცნობად მიავლინეს მსოფლიოს წამყვან მეაბრეშუმეობის ცენტრებში; შედეგად კი აშენდა უნიკალური შენობა, რომელშიც მთელი ავეჯიც კი თუთის ხისგან იყო დამზადებული, კედლები მოხატული იყო მეაბრეშუმეობის თემებზე შექმნილი ფრესკებით... მოწყობილი იყო უნიკალური მეაბრეშუმეობის მუზეუმი, რომელიც ექსპონატთა სიმდიდრით გამოირჩეოდა და თბილისის სტუმართა საექსკურსიო ობიექტიც გახლდათ... რამდენჯერ მინდოდა, მის სანახავად წავსულიყავი – რა მდგომარეობაშია ეს შენობა დღეს? მაგრამ მეშინია, რომ თანამედროვე ვანდალების ნამოქმედარის ნახვა მომიწევს, რომელთაც ყოველივე ძველი სანაგვეზე გადასაყრელი ჰგონიათ, და გული მეტკინება...

იმ მეთუთეობა-მეაბრეშუმეობის საცდელ ნაკვეთში ერთ-ერთი ორსართულიანი ძველი, შეუხედავი შენობის მერე სართულზე ავდიოდი, დედაჩემის მოცემული გასაღებით კარს ვაღებდი და ერთ-ერთ მაგიდას მივუჯდებოდი ხოლმე – დღისით აქ დედაჩემი იჯდა... და ვმუშაობდი – ვწერდი მოთხრობებს და დიდ პიესასაც, რომელსაც ერქვა "მოიტაცეს თავისუფლების ქანდაკება" – უცნაური ახირება ჩემი! სად გარბიხარ, შვილოსა, ოკეანეს გაღმა რა გინდა, რა დაგრჩენია იქა; აგერ შენს გვერდით რა ხდება, იმას დაუკვირდი, იმას მიხედე!.. სწორედ ეს მისაყვედურა ჩვენმა დიდებულმა მწერალმა, განუმეორებელმა პიროვნებამ და დიდმა მამულიშვილმა გიორგი შატბერაშვილმა, რომელსაც ეს პიესა შესაფასებლად მივუტანე ჟურნალ "მნათობის" რედაქციაში 1964 წლის დასაწყისში (მაშინ ჟურნალის რედაქცია ჩემი სამსახურის გვერდით მდებარეობდა – გმირთა მოედანზე). ყველაფერი ეს აღწერილი მაქვს ჩემს გიორგი შატბერაშვილისადმი მიძღვნილ წერილში, იგი ორჯერ გა-

მოქვეყნდა გაზეთებში და შესულია ჩემს წიგნში “ფერად-ფერადი” ამიტომ ამ თემაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ...

ამ ნაკვეთში ხშირად დავდიოდი სკოლაში სწავლის დროსაც; დედაჩემის კოლეგები დიდად მეგობრულად იყვნენ განწყობილი ჩემდამი და ახლა, როცა ისინი აღარ არიან ცოცხალნი, მინდა, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გავიხსენო მათი სახელები: განყოფილების გამგე ალექსანდრე კაფიანი – დახვეწილი ინტელიგენტი, დიდად განათლებული და კეთილმოსურნე; როცა დედაჩემი საკანდიდატო დისერტაციას ამზადებდა მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო; ახალგაზრდობაში გერმანიაში უსწავლია, ბევრი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი, ხშირად მესაუბრებოდა სულ სხვადასხვა საკითხებზე და, სხვათა შორის, უკვე ხანში შესული, იტალიურ ენას სწავლობდა; როცა მას დიდი იტალურ-რუსული ლექსიკონი ვაჩუქე, უნდა გენახათ, როგორ გაიხარა! ელისაბედ (ვეტა) გელოვანი – ხანდაზმულსაც კი ეტყობოდა, რომ ერთ დროს ნამდვილი მზეთუნახავი იქნებოდა; მარია შაბლოვსკაია – მარად გაწონასწორებული და მეთოდური; გრიგოლ ჯაფარიძე – თუთის სახელგანთქმული ჯიშის “გრუზიას” გამომყვანი... დიდი სიყვარულით ვიხსენებ ფრონტგამოვლილ გემრიელ გურულ კაცს – მარკიანე დონდოსოვს (დონაძეს), რომელიც მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის მეორე, დიდ საცდელ-სამეურნეო ნაკვეთს ხელმძღვანელობდა დიღმის ველზე – სადაც ახლა დიღმის მასივია გაშენებული... გაზაფხულზე ხშირად ვსტუმრობდით მე და ჩემი და, ზოგჯერ ჩვენი მეგობრებიც მიგვყავდა, აქ თუთის პლანტაციებს – თუთის გარდა, გეახლებოდით ალუბალსაც და სხვა ხილსაც...

და ამ საუბარში მოხდა საოცრება: ბურუსი გაიფანტა, არემარე განათდა და უცებ დათბა – მზის ცეცხლოვანი თვალი-ბორბალი მიგორავს ლურჯ ზეცაში და გვახალისებს...

კარი XIV.
მდინარე გადავლახეთ...
ყველა მენავეს ნუ ენდობი!
წვიმაში მოვხვდით...
ზაფხულობით გურიას ვსტუმრობ

ვიარეთ, ვიარეთ და არცთუ განიერ, მაგრამ ჩქარ და, როგორც ჩანს, წყალუხვ მდინარეს მივადექით...

– ე-ე-ეჰ!.. – ამოიხვნეშა დიდყურამ, – ახლა საითკენღა გაუტევს თქვენი მაღალკეთილშობილება? სოსო ბატონო, სანამ პასუხის გაცემას ინებებდე, კარგი იქნება, ჩამობრძანდებოდე ჩემი ზურგიდანა!

– სოლომონ ჩემო! ზღვას გადავურჩით და მდინარე ჩვენთვის რა არი! სხვას რომ თავი დავანებოთ, მღვიმე-ქვესკნელში არ ვართ გამომწყვდეულნი და არც ეს არის მიცვალებულთა მდინარე – სტიქსი! აქეთ მხარეს რა დაგვრჩენია, უნდა ვეცადოთ, როგორმე გაღმა მხარეს გავიდეთ...

ჯერ ამღვრეულ მდინარეში ფონს ვეძებთ: ხან აქ ვეცადეთ გაღმა გასვლა, ხან – იქ... სათაგურში მომწყვდეული წრუწუნებივით ვწრიალებთ: დავუყევებით ქვევით, მერე უკან ვბრუნდებით; ყველგან – ძალიან ღრმაა ეს ოხერი წყალი!..

ამ ჭაპანწყვეტაში საკმაოდ დიდი ნავი მოვძებნეთ და მენავეცა, – ერთი შავად სასწაულებრივად სახეგაბანჯგვლული, ცხვრის ტყაპუჭიანი დევკაცი, – მხოლოდ დიდი ცხვირი და წვრილი თვალები უჩანდა, – რომელიც, ჩემდა გასაკვირველად, ხალისით დაგვთანხმდა მდინარის გადალახვაში, თანაც, საფასურის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს! ვყოყმანობდი: ჩემი ვირუკა ხომ არ გაჭირვეულდება? ნავში გაჭირვებით კი დაეტევა, მაგრამ იმან შემაფიქრიანა, იქნებ მაინცდამაინც შუა მდინარეში მოესურვილოს ტლინკების ყრა? რა იცი, სოლომონ ბრძენი კი დავარქვი, მაგრამ მაინც ვირია!

სამწუხაროდ, როგორც ვვარაუდობდი, თავიდანვე მართლაც წინაღობას გადავაწყდი: ყროყინას დაყოლიება ნავში ასასვლელად ძნელზე ძნელი გამოდგა...

ვეხვეწები, ვეფერები, ვემუდარები და ვეპირფერები კიდევაც ყურდიდას, ლამის მუხლებზეც დავუჩოქო:

– შენ ჩემო ლამაზო და მშვენიერო, ჭკვიანო სოლომონ ბრძენო, ნუღარ მაწვალებ, მომყე, რის გეშინია? ფიქრი ნუ გაქვს: ნავი საკმარისად დიდია, ყველანი დავეტევით...

– სოსო ბატონო, ეგ საკენკი სხვას დაუყარე... ჯერ იყო და ცაში ფრენით გამაბედნიერე, რომელი ანგელოზი მე მნახე? ან ახლა: რა ჩემი საქმეა ნავით სეირნობა? ხომ გაგიგია ძველი ანდაზა: არა შეჯდა მწყერი ხესა...

– ნურაფერს უფრთხი, მენავეც გამოცდილი ჩანს ფრიად, მშვიდობიანად გავალთ გაღმა მხარეს, შენი ლამაზი ყროყინი ნუ გამიწყრება!

— არა! — ვირუკამ წინა ფეხები გაფარჩხა, — მაგ მენავესაც ვერ ვენდობი, რაღაც ცუღლუტი თვალები აქვს: წყალქვეშ სიღრმეში სქელ-სქელ, სლიპინა ლოქოებთან არ გაგვისტუმროს, სწორედ მათი საუზმობის დროა!

— მაშინ მე ნავში ჩავჯდები, შენ კი ცურვით მოგიწევს წამოყოლა; ეგ ჯიუტი შუბლიც გაგიგრილდება და თან ფერდებიც დაგიამდება — ქინქლა-ბუზისა და ბორას შემოსევისგან ერთხანს მაინც დაისვენებ!

— ვაჰ, არ მინდა და ძალასა ხარ? მირჩევნია, ბორამ სისხლი მწოვოს, ვიდრე ლოქომ შემახრამუნოს!

— ყველაფერზე რას მეჯიდავები, ყურდიდავ? ვიფიქრე, ცოლისგან ცოტას დავისვენებ-მეთქი და უარესს არ გადავეყარე?

— ჰო, გინდა, ყველაფერზე თავი გიქნიო? ვერ მოგართვი! თავი რომ ბრძენად მოგაქვს, — და სწორედ ამიტომ დაცინვით მიწოდებ სოლომონ ბრძენსა, — ბიჯო, განა ის კი არ უნდა იცოდე, რომ აზრთა სხვადასხვაობა, ბრძოლა, თუნდაც — უშუალო ორთაბრძოლა, კაცობრიობის არსებობის მთელი დროების განმავლობაში იყო, დღესაც არის და იარსებებს კაცობრიობის დასასრულამდე?.. ასე არ არის?

— დიდი დიალექტიკოსი ბრძანდები, სოლომონ ბრძენო, როგორ არ უნდა დაგეთანხმო! — დავუყვავე ჩემს ჯიუტ თანამგზავრსა. — ჭეშმარიტად, ცხოვრება — ბრძოლაა! ბრძოლა, ორთაბრძოლა მეტად გავრცელებული მოტივი იყო ხელოვნებაშიც, მოყოლებული უძველესი დროიდან. მის ასახვას უთვალავჯერ ვხედავთ ძველ ხალხთა მხატვრულ თუ სიტყვიერ შემოქმედებაში და რელიგიებშიც: დღის გამარჯვება ღამეზე, სიცოცხლისა — სიკვდილზე, სიკეთისა — ბოროტებაზე... სახალხო დღესასწაულები: გაზაფხულის გამარჯვება ზამთარზე, სითბოსი — სიცივეზე... გლადატორთა ცირკები, ლაოკოონი, მონუმენტურ ფერწერაში შეიქმნა სამხედრო სიუჟეტების ამსახველი ბატალური ჟანრიც კი... ზოგადად: ბრძოლა კაცობრიობის მიერ ყველა დროში შექმნილი ხელოვნების ნაწარმოებთა უპირველესი თემაა: ადამიანის მიერ მღვიმეებში დახატული პირველი პრიმიტიული ფრესკებიდან — ბეთჰოფენის შემოქმედებამდე და ნიკალას სურათამდე — "არწივი და კურდღელი"... თუმცა, ამ სურათში ბრძოლას კი არა, ტრაგედიას უფრო დაინახავ...

სოლომონ ბრძენის ამგვარად თავის შექცევით, ვცდილობ, მისი გაკერპება როგორმე მოვალბო, თან სადავით წყლისკენ ფრთხილად ვექაჩები:

— ჰო, გვეყო ამდენი ლაილაი, გადავიდეთ ნავში და სულ ათიოდ წუთში გაღმა ვიქნებით მშვიდობით გასულნი!

ყროყინა ისევ უარს იყო და ამ დროს ჩვენმა მშველელმა მენავემ უბიდან პურის მოზრდილი ნაჭერი ამოიღო, გაჯიქებულს დაანახვა:

— დროზე მოეგე ჭკუა-გონებასა, ნავში გადმობრძანდი და ეს პური შენი იქნება!

წანწალით გვარიანად მოშივებული ყურდიდა მხოლოდ ცოტა ხანს ყოყმანობდა, პურის სურნელმა მაგნიტივით მიიზიდა და ჩვენს ნებას დაჰყვა.

შუა მდინარეში ვიყავით გასულნი, როცა ყროყინას პური გაუთავდა, ეტყობა, ჩვენს კეთილისმყოფელ მენავესაც გაუთავდა მოთმინება და უცებ მე ხელი მკრა — მდინარეში მოვადინე ტყაპანი!

მაშინვე მივხვდი: იმ პატრონძაღლს ჩემი ვირუკას დაპატრონება ედო გულში...

ამოვყვინთე და რას ვხედავ: ჩემი სოლომონ ბრძენი, გაბრაზებული, სწვდა კბილებით იმ დევკაცს ტყაპუჭში, მოიქნია და მდინარეში მოისროლა!

მივცურდი ნავთან, ჩემმა ვირუკამ ჩემკენ თავი დახარა და... არა, ახლა მე კი არ მწვდა კბილებით ტყაპუჭში, ტყაპუჭი ჩემს დღეში არა მქონია! არც ქოჩორში — ქოჩორს კარგა ხნის წინათ გამოვეთხოვე! ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მე ვწვდი სოლომონ ბრძენს იმ ნამყენ ყურებში, ამწია და ნავში გადამსვა!

დავცხე ნიჩბებსა და მალე ნაპირსაც მივადექით.

წამოვწექით სილიან ნაპირზე; მანამდე მე ტანთ გავიხადე და სველი ტანსაცმელი იქვე ბუჩქებს მივაფინე გასაშრობად. მე რომ წყალში გადავვარდი, ქუდი მომძვრა და ნავში ჩავარდა, ასე რომ, მხოლოდ ის გადარჩა მშრალი.

— ჩვენმა მენავემ ნეტა ცურვა თუ იცის? — ვიკითხე მე.

— ეგ გადარდებს? თუ არ იცის, აი, დარდი, ახია მასზე! შენ კი კარგი ცურვა გცოდნია! — შემაქო ვირუკამ. — ვინ გასწავლა?

— არავინ, ცურვა ჩემით ვისწავლე, ისევე, როგორც ხატვაც... როცა სკოლაში ვსწავლობდი, საზაფხულო არდადეგების დროს ხშირად ჩავდიოდი დეიდაჩემ პასიკოსთან სოფელში — მეწიეთ'ში. ბარემ მოკლედ მოგიყვები დეიდაჩემის ოჯახის შესახებ. დეიდაჩემის ქმარი, უბრალო გლეხი, მაქსიმე კალანდაძე, შინაურობაში მაქსიმელს უწოდებდნენ, 1937 წელს დააპატიმრეს, როგორც ყოფილი მენშევიკი და გადაასახლეს სადღაც გადასაკარგავში, ალბათ ჩრდილოეთის რომელიღაც ბანაკში, ისე შორს, რომ იქიდან აღარ დაბრუნებულა... ან იქნებ აქვე დახვრიტეს, ოჯახს არავითარი ცნობა მის

შესახებ არ მიუღია. პასიკოს ჰყავდა ოთხი შვილი: სამი ქალიშვილი – ვალიდა, ზინა, ნათელა და ნაბოლარა ვაჟი, გიორგი, რომელსაც შინაურობაში ჟორას ეძახდნენ. ადრეც გითხარი: სოფლად მაშინ თითქმის ყველას სახელით კი არა, მეტსახელით მიმართავდნენ: ვალიდას მეტსახელი იყო ტუპუე, ზინასი – დეფენე... ჟორა ჩემზე ხუთი-ექვსი წლით იქნებოდა უფროსი. მე, ქალაქელი გაუწვრთნელი ბიჭის შესაძლებლობების კვალობაზე, მონდომებით ვეხმარებოდი ჩემს დეიდაშვილს ნაირგვარ გლეხურ საქმიანობაში: სიმინდს ვთოხნიდით, შორს, მთაში, ტყეში მივდიოდით და იქ ლობიოსთვის სარებს ვამზადებდით და ჩამოგვქონდა, წისქვილში საფქვავი მიგვქონდა, ძროხას ვაბალახებდით, ვენახში ვსაქმიანობდით... შუადღეზე, სადილობის შემდეგ, მივდიოდით მდინარეზე საბანაოდ, ეს ყველაზე სასიამოვნო საქმიანობა იყო! დეიდაჩემის სახლიდან უნდა აგვევლო მცირე აღმართი, ავსულიყავით კლდოვანი ქარაფის თავზე მოსწორებულ, ბალახოვან ადგილზე, რომელსაც ვეშაპოურა ჰქვია, – აქ საღამოობით გასართობად იკრიბებოდნენ ხოლმე სოფლის გოგო-ბიჭები, – შემდეგ დაღმართით დავეშვებოდით: გავივლიდით საკმაოდ ციცაბო ფერდზე გაშენებულ კოლმეურნეობის ვენახს, დაქანებული ბილიკით კიდევ ვივლიდით, ვივლიდით, სანამ ჩავიდოდით მდინარესთან... ამ ადგილას ორი მდინარე იყრიდა თავს: კალაშა და საშუალე; ისინი ოდნავ ქვევით, გაერთიანებულნი, მესამე მდინარეს – გუბაზეულს – ერთვოდნენ. კალაშა სწრაფი კი იყო, მაგრამ წყალმარჩხი; ბიჭები "ხელაობდნენ" – ქვების ქვეშ გაყუჩებულ თითის ტოლა ღორჯოებს იჭერდნენ. მარად მოღრიტინე წისქვილს ზემოთ ერთ ადგილას საკმაოდ ღრმა მორევი გვეგულებოდა და სწორედ იქითკენ გავეშურებოდით ხოლმე; ჯერ წელამდე შევიდოდი, ბიჭების მიბაძვით, ვცდილობდი, წყლის ზედაპირზე გაჩერებას; მერე ნელ-ნელა გადაადგილებაც გავბედე და ასე, ჩემდა სასიხარულოდ, დამოუკიდებლად ვისწავლე "ბაყაყურად" ცურვა... მოგვიანებით, ასევე ჩემით, ავითვისე სხვადასხვა სტილით ცურვა: კროლით, ბრასით და ბატერფლაით. ერთი წელი "დინამოს" სტადიონზე საცურაო აუზში დავდიოდი, მაგრამ ჩემგან, დიდი სურვილისა და მონდომების მიუხედავად, ხეირიანი სპორტსმანი ვერ დადგა – სრულიად მოკლებული ვიყავი ამისთვის საჭირო ფიზიკურ მონაცემებს...

მეწიეთში მრავალი ზაფხული მაქვს გატარებული და ამას ვუმადლი, რომ, საზოგადოდ, სოფელი ძალიან მიყვარს. ბავშვობისას ვსტუმრობდი სხვა სოფლებსაც, ვარიანსა და შინდისს, – გორის რაიონში, – იქ ჩემი მამიდები იყვნენ გათხოვილნი. შემდგომ, უკვე ორმოცი წლის ასაკს გადაცილებულმა, ზაფხულობით ოჯახთან ერთად სოფლად ორ-ორი თვე დავყავი: ჯერ არშაში – სტეფანწმინდის რაიონში და შემდეგ წელს – ანანურში, დუშეთის რაიონში... მანამდე კი გეოლოგიურ პარტიაში, საველე სამუშაოების დროს, სად აღარ გვქონდა სოფლად გლეხებთან ბაზისთვის დაქირავებული ბინა: დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, აფხაზეთიდან – კახეთამდე. ასე რომ, ქართულ სოფელს, ასე თუ ისე, გავეცანი და ეს გარემოება რომ არა, ვერ დავწერდი ჩემთვის საყვარელ რომანს "ჭადარდიდი". მეწიეთს მე ვუძღვენი მოთხრობა "მეწიეთი", უფრო – მცირე ეტიუდი, რომელიც ჩემი პირველი დაბეჭდილი ნაწარმოები გახდა და ამ უპრეტენზიო ჩანახატმა, როგორც ადრე აღვნიშნე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ჩემი გვარის დასახელება გამოიწვია, როგორც ფრიად სუსტი ნაწარმოების ავტორისა... ვიღაც ხომ უნდა შეერჩიათ განსაქიქებლად და იოლად იპოვეს კიდეც დაბალი ღობე! ნაღდად ვიღაც მოცლილი იყო ის საცოდავი რეფერენტი, რომელიც იძულებული იყო, დადგენილებისთვის მასალები მოემზადებინა – განა სრული უაზრობა და სისულელე არ იყო, როგორც რუსები იტყვიან, ბეღურასთვის ზარბაზნის სროლა! ახლა ის დიდი ხნის გარდასული ამბის გახსენება ღიმილს მგვრის, მაშინ კი სულ არ მქონდა სასაცილოდ საქმე – ლიტერატურული გამოცემების რედაქციებში კარგა ხნით აღარ მიმესვლებოდა...

– ვინ იფიქრებდა: სოფლის ტკბილმა გახსენებამ ასეთი მწარე ნაყოფი გამოიღო!

– ვერ ვიტყვი, გული საბოლოოდ გამიტყდა-მეთქი, მაგრამ შემოქმედებითი წვა კი შესამჩნევად გამინელდა... სოლომონ ბრძენო, არ გაგიკვირდეს და ერთი რამ განსაკუთრებით მშურს შენი!

– არ გამაგიჟო! ჩემს ყურებზე გიჟდები თუ ჩემი ყროყინი გიტაცებს?

– არა, კაცო! რა თქმა უნდა, ვინ არ ინატრებს შენს გამძლეობას, ამტანობას, ნაკლებ მომთხოვნელობას, სიდინჯესა და სხვა ოქრო თვისებებს, მაგრამ მე სხვა რასმე ვგულისხმობდი – შენ სოფლად გაიზარდე! ბავშვობაში ბუნებასთან, მიწასთან, ცხოველებთან ახლო ყოფნა, ყოველდღიურ გლეხურ საქმიანობაში ჩაბმა ფიზიკურადაც და სულიერადაც წვრთნის მოზარდს, ისეთ მდიდარ შთაბეჭდილებებს აზიარებს, რომელსაც მოკლებულია ქალაქელი ბავშვი... ერთხელ ჩემმა მეგობარმა, მხატვარმა და მწერალმა ტიტე შეყილაძემ ჩემთან საუბარში თქვა, რომ ქალაქელი კაცი მწერლად ვერ ივარგებსო. მე ასე კატეგორიული არ ვიქნები – ბევრი მაგალითია იმისა, რომ ქალაქს გაზრდილი მშვენიერი მწერალი გვყავს, მაგრამ უცილობელია, რომ სოფლად გაზრდა ბევრად მდიდარ და მრავალფეროვან შთაბეჭდილებებს მატებს ადამიანს. მე, მაგალითად, ვხედავ, რა ბევრი რამ დამაკლდა ქალაქელობით, არადა, აშკარად ვგრძნობ, რომ გლეხური ფესვი მაქვს – ძალიან მიყვარს სოფელი, მიწაში ჩიჩქნა – წინაპართა გენები მძლავრობენ!.. შინაურები დამცინიან: X სართულზე, აივანზე, ძველ ტაშტებში ვთესავ ხოლმე ხეთა თესლებს, მერე ამოსულ ნერგს ვაცლი მოღონიერებას

და გადავრგავ ჩემს წინ, ეზოში ან სადმე ქუჩაში – თავისუფალ ადგილას. რამდენიმე წლის წინათ ჩემს მიერ გამოზრდილი ორი თხელნაჭუჭა კაკლის ბაყილო საგარეჯოს რაიონში, სოფელში გავატანე ჩემს მძახალს და ახლა ისინი ალბათ საკმაოდ წამოიზარდნენ, მაინტერესებს მათი ნახვა! ჩემი ოცნებაა: რაკი სოფლად ჩემი ცხოვრება არ ხერხდება, სადმე აქ, გარეუბანში, ვიყიდო კერძო სახლი მცირე ეზოთი. გავაშენებდი ყვავილნარს, ხეხილის ბაღს, პატარა ბოსტანსაც მოვაწყობდი... აუცილებლად მექნებოდა რამდენიმე ძირი იაპონური ალუბლის – საკურასი, ხომ იცი, იაპონელები გაზაფხულობით საგანგებოდ მიდიან მისი ყვავილობის სანახავად. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მაქვს ნახული აყვავებული საკურა – მართლაც ზღაპრული სანახავია!..

– მეტი აღარაფერი გაკლია, ჰი-ჰი-ჰი!.. კინაღამ ავაზაკმა ჩემი თავი მოგტაცა, შენ კი ოცნებებით მიწაზე ვერ დაშვებულხარ, ყვავილების თეთრ ქაფში გახვეული საკურა მოგელანდა! შენს ოცნების მამულში ბაღი და ბოსტანი ხომ გააშენე, კიდევ რას ინატრებს თქვენი ბრწყინვალება?

– ჰო, ჭიშკარის თავზე, იცი, რას მივაჭედებდი? ვირის ნალს! ავი თვალისგან დასაცავად!

– აკი ცრურწმენისა არ მჯერაო?

– ამას შენი ხათრით გავაკეთებდი, ხომ მაჩუქებ ერთ ნალს მაინც?

– კი, ბატონო, უკუღმა დაჭედილო! ვინ ოხერი დაგიჭერს, ერთს კი არა, ოთხივე ნალს სიამოვნებთ დაგითმობ! ოთხივე ოქროს წყალში ამოავლებინე და, ასე გაკეთილშობილებულნი, შენი სახლის ოთხივ მხარეს მიამაგრე, საცა გაგიხარდება: გინდა – კარზევით და გინდა – ფანჯარაზე ან კედელზე. ოღონდ ბრაზიანი ნაგაზიც უნდა გაიჩინო: ბრჭყვიალა ნალები ოქროსი ეგონებათ, ბევრს ცდუნებას აღუძრავს და მოპარვას განიზრახავენ!

ამ დროს წამოწინწკლა. სასწრაფოდ ავკრიფე გასაშრობად გაფენილი ტანსაცმელი და ერთი მსხვილი, უცხო ხის ქვეშ შევვარდი. ცოტა ხანში წვიმის ფარდამ გარემო დააბურუსა.

– სოლომონ ბრძენო, მოდი ჩემთან, გადაიმყუდრე!

– არა, არაფერი მიშავს, ჩემთვის წვიმა არაფერია, მიჩვეული ვარ. წვიმაში ყოფნა მირჩევნია კიდეც – ქინქლა-ბუზი აღარ მაწუხებს! შენც თუ არ შემაწუხებ, მთლად ავშენდები!

გამაყრუებელი გრუხუნ-გრიალი ჭექა-ქუხილისა... მალე ერთნაირად წვიმდა ხის ქვეშაც და მის გარეთაც.

– ბიჯო, რაღას აშრობდი შენს ტანსაცმელსა, ჰა? – დიდ კბილებს აჩენს სოლომონ ბრძენი. – დღეს მეორეჯერ გხვდა ბედნიერება მოგზაურის მტვრის ჩამორეცხვისა!

როგორც იქნა, გადაიღო და...

დასველების ჯილდოდ მოგვევლინა – ცისარტყელა!

გადაიჭიმა შვიდფერი თაღი!

რა ლამაზია!

– გავძვრეთ მის ქვეშა! ვიჩქაროთ, ჩემო ჩოჩორიკავ, მის ქვეშ გაძრომა, – ამბობენ, თუ ამას მოვახერხებთ, ბედნიერებას ვეწევით!

– იმის მიუხედვად, რომ შენ ამაფორთხდი ზურგზედა, სუ ჩაქჩაქით გავუტევდი, მაგრამ უაზრობა მგონია... კიდევ იტყვი, ცრურწმენებისა არა მწამს რაო?

– მაშ, შენ ცისარტყელაზე ასვლის წინააღმდეგიც იქნები...

– აი, კიდევ ერთი სიგიჟე! ისევ გაგახსენებ: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი! ბიჯო, რა დაგიკარგავს და რას ეძებ, ნეტა რა ოქრო-ვერცხლი დაგრჩენია იქა, ჰა?

– მე თუ ბიჭი ვარ და მაშინ შენ მთლად ძუძუმწოვარი ბალღი ყოფილხარ! რა ლამაზი გადასახედი იქნებოდა იქიდანა, იცი?

– ამ ბოლო დროს ისედაც გამოჩერჩეტდი და ახლა კი მეტისმეტად მაგრად გააფრინე, აი! ჰოდა, მიდი, აფრინდი და მოექეც ცისარტყელის ზურგსა, მემრე – გინდა გადმოხედე და გინდა გადახედე, მე კი თავი დამანებე, გაიგე? ჩამობრძანდი, ჩამობრძანდი!

– არ გინდა, რაც კი ოცნება გქონია, აგისრულდეს? ნუთუ არაფერი გიყვარს, რომ ინატრო?

– ამ აყვავებულ მდელოზე თავისუფლად ნავარდსა და ქორფა ბალახის ძოვას რომელი ცისარტყელაზე აძრომა აჯობებს? უკეთესი რაღა უნდა დაინახო იქიდანა?

– შენ ვერ გაიგებ, სოლომონ ბრძენო, შენთვის შორეთს გახედვა არაფრად ღირს... მე კი საზოგადოდ ცქერა, იცი, როგორ მიყვარს?

– განსაკუთრებით მაინც რისი ცქერა გიტაცებს?

– აუჰ, ათას ერთი რამისა! ბავშვებისა, ლამაზი გოგონებისა, მოხუცებისა, ზოგადად – ადამიანებისა... ბუნების ხედებისა... მინდვრის ყვავილებისა, მწერებისა, ცხოველებისა და, რა ვიცი, რისი აღარა... მიყვარს ჩემს შვილიშვილთან თამაში, მისი ცელქობის ყურება, მიყვარს მოხუცებულ ადამიანებთან საუბარი, მიყვარს გაგება, რას ფიქრობენ ახალგაზრდები... რა განუზომელი, წარმოუდგენელი მრავალფეროვნებაა – რამდენი ადამიანიცაა, იმდენი თავისთავადი, განუმეორებელი პიროვნებაა, და ამ ამოუწრავმა პიროვნებათა სიმდიდრემ დამაწერინა ასამდე ადამიანის პორტრეტი, მნიშვნელოვან-

წილად – განზოგადებული; მათი დიდი ნაწილი შევიტანე ჩემი შემაჯამებელი კრებულის "ვემშვიდობები XX საუკუნეს" III წიგნში "სატირული მედალიონები"...

– კიდევ, კიდევ რა გიყვარს?

– მუსიკა, ამის შესახებ უკვე ვისაუბრე... მხატვრობა – ამის შესახებაც... მწერლობა – თავისთავად: პოეზია, პროზა, კრიტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, ლიტერატურის ისტორია... რა თქმა უნდა, ჩემი პირველი სიყვარული იყო და დარჩა დღემდის – წიგნები! სულ სხვადასხვა დარგის ლიტერატურა: ფილოსოფია, ბიოლოგია, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები... ამ თემას ადრეც შეეხე – და მასზე დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო!

– შენმა წიგნებით მეტისმეტმა გატაცებამ ერთგვარად ხომ არ დააზარალა ცხოვრების უშუალო შეცნობა? და მისით ტკბობა!

– ალბათ, ალბათ... ადამიანების საკმაო ნაწილი ბუნებას მხოლოდ წიგნის კითხვის დროს, ბუნების აღწერისას ამჩნევს... ბუნებაზე დაკვირვება არასდროს მომწყინდება: დილას, გავიღვიძებ თუ არა, მაშინვე ლოჯიის ფანჯარას მივაშურებ ხოლმე; რამდენიმე ჩანახატიც დავწერე ფანჯრიდან მზერისას მიღებული შთაბეჭდილებების შთაგონებით; ადრეც – "ორი ხედი მეათე სართულის ფანჯრიდან" – ოცი წლის წინათ და სულ ახლახანაც: 2009 წელს – "გაზაფხულის ჩანახატი" და 2010 წელს – "მტრედები", "შემოდგომის პეპლები". კარგ ამინდში საათობით შემიძლია, გავყურებდე შორეთს: რუსთავის კვარტალებს, იაღლუჯისა და თაბორის ქედების ფერდობებს, შავნაბადას კონუსს... ახლოს: ეზოში – ადამიანების ფუსფუსს, ქუჩაში – მანქანების სრიალს, აფრენილი მტრედების თამაშს ჰაერში, მერცხლების დაუღალავ ქროლვას, ბეღურების მარად ფუსფუსს; ზოგჯერ კაჭკაჭიც გადაფრენს ფრთების ზანტი ქნევით, ქედნები წყვილად გამოჩნდებიან... ლოჭინში, საბაღო ნაკვეთში, მრავალწლიანი სიარულის შედეგად, რამდენიმე ათეული მოთხრობა და ჩანახატი დავწერე: "ჭალა", "ლოჭინი", "კაჭკაჭი", "ბერყენა" "ლეღვი", "მაყვალი", "კუ" და სხვები. მიყვარს მარად მსრბოლი მდინარის პირას ჯდომა და საათობით ნაპირების თვალიერება – რიყის ქვების ნარგვარობის, ხე-ბალახთა ნაირფერობის... ამან დამაწერინა "პატარა მდინარის სიმღერის" ორი ვარიანტი 1993 და 1994 წლებში. ზღვა ხომ თავისი სიდიდითა და სიდიადით პირდაპირ მომნუსხველია და მისი ცქერა არასდროს მოგბეზრდება – ყოველთვის თვალწარმტაცია: მაშინაც, როცა ნაზია მოსაფერებლად გატრუნულ ფისოსავით და მაშინაც, როცა უამინდობისას შფოთავს და ღრიალებს გაავებული ვეფხვივით... მიყვარს ღამის ცის ცქერა, მიყვარს დღისით ღრუბლების ფანტაზიური ფორმების თვალიერება – ძველთაგანვე ადამიანებს იზიდავდა ღრუბელთა ჭვრეტა, მათი ცვალებადობით მარჩიელობდნენ... როგორც გითხარი, მიყვარს მცენარეთა დათესვა, დარგვა, გახარება, მათი ზრდა-განვითარებისთვის თვალის მიდევნება და ჩემი ოცნებაა: მცირე ბაღ-ბოსტანი მქონდეს, რომ იქ გუნებისად შემეძლოს ფუსფუსი... ჯერჯერობით კი, დიდი სახლის X სართულს რომ ზოგჯერ კვირაში ერთხელაც არ ვტოვებ, ჩემს ამგვარ ნოსტალგიას ვიქარვებ აივანზე მცენარეთა მოშენებით... ყვავილების, კაქტუსების, გარდა, აქ დარგული მაქვს ოხრახუში, პიტნა, მწვანე ხახვი, რამდენიმე ძირი პომიდორიც... შინაურები მეჩხუბებიან: უკვე ნოემბერი დადგა, რაღა დროს პომიდორია, დალეული გაქვს საქმე, გადააშენე იქითო, მაგრამ მე მეცოდება მისი ამოთხრა; თუკი მოვახერხე, – და დიდი ჩხუბით ამის შესაძლებლობა მომეცა! – შინ ლოჯიაში მინდა, შემოვიტანო – მართლა ძალიან აცივდა... მიყვარს ჩხირკედელაობა, რაიმეს შენება, – პატარა ბავშვივით!

– მართლა ბავშვობაში ხარ გადავარდნილი! კიდევ, კიდევ რა გიყვარს?

– ადრეც მრავალგზის მითქვამს: მიყვარს ვარჯიში! მხოლოდ ტვინის კი არა, ფიზიკური ვარჯშიც! როცა რაიმე მიზეზის გამო, ერთ დღეს მაინც გამოვტოვებ და არ ვივარჯიშებ, მეორე დილას, ჩემდა უნებურად, ხელების ვარჯიშს ვიწყებ, მერე – ფეხების... ჩემს ორგანიზმს "ახსოვს", ყოველდღურად რომ უნდა ივარჯიშოს...

– აქ რა უნდა ვაკეთოთ, შიმშილით სიკვდილს ველოდოთ ან ვინმე ყაჩაღის სტუმრობასა? მოდი, იცი, რა ვქნათ? ისევ ჩავჯდეთ ნავში და მდინარეს დინებას მივყვეთ – სადმე ნაპირზე სოფელ-ქალაქი აუცილებლად შაგვხვდება!

– ვაჰ, მაგ შენ ნამყენ ყურებს ვენაცვალე, რა ჭკვიანი სოლომონ ბრძენი მყევხარ!

ამჯერად ყროყინა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე თვით ჩახტა ნავში, მოვცილდით ნაპირს და ნიჩბების მოსმაც არ დამჭირვებია, ისე, ჩქარი მდინარის ზედაპირზე სულ სრიალ-სრიალით დავეშვით თავქვე...

და საღამოს პირას დიდ სანავსადგურო ქალაქში ამოვყავით თავი!

– ახლა რა ვიღონოთ? – ყურები ჩამოყარა ყროყინამ. – იქნებ მდიდარი ამ ქალაქს ბაბაშვილ-მამიდაშვილი გეგულება, – სამშობლოდან გაჭირვებას გარიდებული, გადმოხვეწილი და აქ გამდიდრებული?

– ასე რომ ყოფილიყო, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, ქართველი ქართველს ყოველთვის გაუმართავს ხელს, მაგრამ ჩემი ნათესავებიდან საზღვარგარეთ წასული არავინ გამიგია, მით უმეტეს –

ამ ქალაქში ცხოვრობდეს და კიდევ უფრო ზღაპრულია ვარაუდი – გამდიდრებულ-გალაღებული იყოს...

დავწანწალებთ ქალაქში უგზო-უკვლოდ, გამოსავალს ამაოდ ვეძებთ... ერთი-ორჯერ ყაჩაღ-თულეებიც შემოგვხვდნენ, ჩემგან რას გამორჩებოდნენ და სოლომონ ბრძენის წართმევა კი მოინდომეს, მაგრამ ჩემს ერთგულ ვირუკას დაიყოლიებდნენ? არც ჩემი მეგობრისთვის შეთავაზებულმა კარაქწასმულმა პურის ნაჭერმა გაჭრა, არც უხეში ძალის გამოყენების მცდელობამ – ერთი ისეთი წიხლი უთავაზა თავხედს, რომ საკუთარი ფეხით სიარული ვეღარ შეძლო, არამცუ ვირუკაზე ამხედრებულმა გასეირნება...

– აქ, მორიელების ბუდეში, როგორ უნდა გავჩერდეთ?

– მე ვერაფერს დამიშავებენ; თუ დროზე დამიძახებ, შენც გიშველი – ერთი ჩლიქის გემრიელი დაბაკუნება და მიწას მივასრეს!

– უკან უნდა გდიო?

– რათ უნდა მდიო? ბიჯო, ხონთქარივით რო გამოჭიმულხარ ჩემს ზურგზე, რომელი მორიელი ან გველი მოგწვდება!

– ღამითაც შენს ზურგზე უნდა დავიძინო?

– ეგღა მაკლდა!

– ჰოდა, ჩემო ლამაზო და საყვარელო სოლომონ ბრძენო, დროულად უნდა ავიბარგოთ აქედან!.. სასწრაფოდ!

– რანაირად და როგორ, ჩემო ჭკვიანო და განათლებულო იოსებ ბესარიონის ძევ, ხომალდი იშოვე, გემი თუ, უკიდურეს შემთხვევაში, აფრიანი ნავი მაინცა, ჰა?!.

– ცურვა ხომ იცი? შევცურდეთ და შენი ყურები აფრის მაგივრობას გაგვიწევს, ნაღდად!

– შენ ჭკუაზე აფრაკად ხარ, აი!

– აბა, როგორღა გადავურჩეთ ავაზაკებს, სად დავემალოთ?..

– ფრთებს გამოვიბამ, ავფრინდეთ და ზევიდან მოძალადეთ ხელი დავუქნიოთ, გულითადად დავემშვიდობოთ!

– აქ, ამ უცხო გარემოში, ჩვენი მცირე ხნით დარჩენაც კი შეუძლებელია და დროულად ვეწიოთ ჩვენს გზას...

– სათქმელად ადვილია, საქმით რა ვიღონოთ, რას ვშვრებით?

– ერთი გზაღა დაგვრჩენია, ჩემო სოლომონ ბრძენო: რომელიმე საოკეანო ხომალდზე ავძვრეთ ჩუმად... ოღონდ ერთი ხომ იცი, დიდად პატივსაცემი და დასაფასებელი ვირუკა კი მყევხარ, მაგრამ სხვები ჩემს შენით აღტაცებას ალბათ არ გაიზიარებენ და გემით მოგზაურობაზე უარს გეტყვიან, თუკი უდროო დროს ყროყინს მორთავ!

– პირობას გაძლევ: თუკი ყროყინი მომინდა, თავს მოვერევი და მხოლოდ კუდს მოვიქნევ ან ყურებს გავატოკებ!

– მაშ, ნავსადგურისკენ ავიღოთ გეზი!

უზარმაზარი პორტია, უამრავი ნავმისდგომი, უამრავი გემი დგას – სამგზავროც და სატვირთოც, რომელი გვაძლევს ხელს? უამრავზე უამრავი ხალხი ირევა, სატვირთო ურიკები, ავტოამწეები, ავტომობილები ისე არის ათქვეფილი ერთმანეთში, რომ თვალები აგვიჭრელდა და ხმაური ხომ ისეთი დგას, საგიჟეთში გეგონება თავი...

უცებ ვირის გაბმული ყროყინი გაისმა...

– ჩემს დიდ ყურებს გეფიცები, მე ხმაც არ ამომიღია! – ამტკიცებს სოლომონ ბრძენი.

და მისი სიტყვების დასტურად, ყროყინის ხმამ ისევ დაფარა ყველა სხვა ხმაური, ოღონდ ამჯერად სულ სხვა ნირი ჰქონდა ამ ყროყინს: თუ შეიძლება ითქვას, უფრო ნაზი იყო, უფრო მელოდიური...

ამ დროს დავინახე: ორი ვირუკა მოჩაქჩაქებს; ერთი წინაა, ბარგი აქვს აკიდებული და ამ ბარგზე კიდევ პატარა მაიმუნი ზის და იმანჭება; მეორეზე ვიღაც პატარა კაცუნა ამხედრებულა, – სახედანაოჭებული ქონდრისკაცი, რომელსაც თავზე მაღალ-მაღალი, ბრჭყვიალა, შავი ცილინდრი ახურავს; ცალ ხელში ჭრელი ბურთი უპყრია, მეორეში – მათრახი და დროდადრო ატყლაშუნებს. მუშებს ურიკებით მიაქვთ რაღაც უცნარი ნივთები, ქალებს და კაცებს სადავით მიჰყავთ თხები, ძაღლები თავისით მისდევენ პატრონებს, რამდენიმე ულამაზესი ცხენი, ყველანი – ჩალისფერი, ფლოქვების პაკიპუკით ჩაატარეს...

– სოლომონ ბრძენო, შეხედე: საცირკო დასი მოგზაურობს! კარგ დროს გამოჩნდნენ, ჩვენც იმათ ხომ არ მივეკედლოთ?

ჩემმა ყურპარტყუნამ კისერი მოდრიკა:

– კი, ბატონო! გახსოვს, ხომ გეუბნებოდი, წანწალი გიყვარს და იქნებ ცირკის მოხეტიალე დასს შევუერთდეთ-მეთქი, აი, ახლა მოგვეცა ამის შესაძლებლობა!

– და მერე, ცირკის ცნობილი უზბეკი კლოუნივით, აქრამ იუსუფოვივით, გამოვალ ასპარეზზე შენთან ერთად – ახალ ხოჯა ნასრედინად!

– რა ხანია გეუბნები: ნაღდად მასხარას ჰგევხარ ეგრე პირუკუღმა ამხედრებული-მეთქი! ულაპარაკოდ, სიხარულით მიგიღებენ: ახალი კლოუნი, ჯერ არნახული, ფრიად ორიგინალური! მთელი შენი ცხოვრება-წუთისოფელი უნებურად ტაკიმასხარის როლს გასრულებინებდა და ახლა, სიცოცხლის მიწურულს, როგორც იქნა, ოფიციალურად დაიმსახურებ კომიკოსის როლს!

– სოლომონ ბრძენო, ხუმარის როლის შესახებ რა მოგახსენო და შენი მხრივ ირონიული დამოკიდებულება რით დავიმსახურე, ეს მაკვირვებს... ის კი უნდა იცოდე, რომ კლოუნობა სულ არ არის დასაძრახი, განსაკუთრებულ ნიჭსაც მოითხოვს, ასეე რომ, უშნო ოხუნჯობასა და როყიოდ ნასროლ სიტყვებს მოერიდე... ერთ რამესაც გთხოვ, უფრო სწორედ – ორს: პირობა ხომ გახსოვს? უდროო დროს ყროყინი არ ასტეხო! და ყურადღებით იყავი: გემზე ასასვლელი ტრაპი საკმაოდ ვიწროა და არ წაბორძიკდე!..

კარი XV.
ზღვა გვაკლდა კიდევ ჩვენ?!.
ზაფხულობით მწვანე კონცხს ვსტუმრობ

გემზე ჩასხდომისწინა აურზაურ-ორომტრიალში ჩვენ ყურადღება არავინ მოგვაქცია და მშვიდობით მოვხვდით გემბანზე. მართალია, ჩვენთვის გამოყოფილი კაიუტა არ გვეგულებოდა, მაგრამ საუცხოო ამინდი იდგა და გემბანზეც მშვენივრად ვგრძნობდით თავს. ცირკის ცხოველებიც, განსაკუთრებით – დიდტანიანნი: ლომები, აქლემები და ვირები, სწორედ აქ იყვნენ განთავსებულნი, ზოგნი – გალიებში და სხვები – უბრალოდ მოაჯირს მიბმულნი. სხვა მხრივაც გაგვიმართლა: როგორც მზის მდებარეობაზე დაკვირვებამ მიჩვენა, ჩვენდა ბედად, ხომალდს გეზი ჩრდილო-დასავლეთისკენ ანუ ევროპისკენ ჰქონდა აღებული! რა თქმა უნდა, მე სოლომონ ბრძენს გვერდიდან არ მოვშორებივარ, ბორტთან მყუდრო ადგილას ვიყავით მიყუჟულნი და სიხარულით ვუყურებდით, როგორ ვშორდებოდით ნავსადგურს; მალე ქალაქიც აღარ ჩანდა და ირგვლივ მხოლოდ წყლის უკიდეგანო სივრცესა და ტალღებს ზევით მოსრიალე თოლიებს ვხედავდით.

მალე ნიავი ქარად იქცა, გემი აბორგებულ ტალღებზე დაირწა...

ო, ზღვა! რომ წარმოიდგენ, რა მომხიბვლელი ხილვები წამოტივტივდება! მაგრამ ახლა, როცა მე და ვირუკა ნაღდად მოვხვდით აზვირთებულ-აზავთებული ზღვის შუაგულში, რა გვეხალისება – ფათერაკს გადავეყარეთ!

აბორგებული ზღვა ასე ეთამაშებოდეს უზარმაზარ გემს, კინოშიც არ მინახავს!

აგორებული ტალღები დაუღალავად მღერიან, ცეკვავენ, ლაღობენ – ერთი ჩვენიც იკითხონ, რა გუნებაზე დავდექით, გვეთამაშება კი?

სოლომონ ბრძენი კმაყოფილია, რომ გემზე მისმა ზურგმა დაისვენა. გემბანზე ნებიერად წამოწოლილი, მეუბნება:

– აჰა, ასრულდა შენი ოცნება – საზღვაო მოგზაურობას ელირსე! მაგრამ რაღაც ვერ ვატყობ, რომ შენი სიყვარული ზღვისადმი გაზიარებული ყოფილიყოს!

– ზღვის ავადმყოფობის შეტევას ვგრძნობ... ასე დაუსრულებლად სადამდე უნდა ვირწეოდეთ ტალღებზე და ქარის წუილს ვუსმენდეთ? – გაბეზრებულმა წამოვიძახე. – სულ იმის შიშში ვარ, აი, ახლა ამოვყირავდებით და ტალღები ჩანთქავს გემს და ვერც ჩვენ გადავრჩებით... რაღაც ვერ მიდის ჩვენი საქმე რიგიანად!

– რატომ გიკვირს? ჰო, მართალია, შენ პირუკუღმა აღარ ზიხარ ჩემს ზურგზედა, მაგრამ უკუღმართად შეთხზვას კი აგრძელებ და მალე ნახავ – უარესსაც გადავეყრებით! – ჯიჯღინებს სოლომონ ბრძენი.

– ყურები ნუ გაქვს ჩამოყრილი, ჩემო ყროყინავ, ეგენი არიან ახლა ჩვენი აფრა და ჩვენი იმედიც – ვინძლო ამ ნიავმა კეთილი მხარისკენ გაგვაცუროს!

– ზღვის ავადმყოფობამაც ვერ დაგაშოშმინა, სულ უშნო ხუმრობის გუნებაზედ უნდა ბრძანდებოდე? ახირებული თუ არ ხარ, ამას ეძახი შენ ნიავს?

მე პასუხის თავი აღარ მქონდა, ვინაიდან უცაბედმა გულის რევის შეტევამ მაიძულა, მოაჯირს გადავყუდებულიყავი და, როგორც ამ შემთხვევებში დელიკატურად აღნიშნავენ ხოლმე, თევზებისთვის ჩემი კუჭის შემცველობა მიმერთმია...

– ზღვის ავადმყოფობა ნაღდად შენთვის არის ზედგამოჭრილი! – ნიშნის მოგებით მეუბნება სოლომონ ბრძენი. – გვიან მიხვდი, ჭირიმე, რომ მოგზაურობა არ არის შენი საქმე? განსაკუთრებით – საზღვაოს უნდა ერიდო, ჰი-ჰი-ჰი!

მალე სახუმაროდ არ გვქონდა საქმე: გემზე განგაში გამოცხადდა, საჩქაროდ ჩაგვსხეს სამაშველო ნავებში, რომლებიც მაშინვე ზღვაში ჩაუშვეს. აი, რყევა ახლა უნდა გენახათ! ნავი ნაფოტივით ათამაშდა უზარმაზარ ტალღებზე, კიდევ უფრო ცუდად შევიქენი და ნავის ძირზე გავიშოტე...

როცა ცოტა მოვფერიანდი, წამოვჯექი; ნავში მხოლოდ მე და სოლომონ ბრძენი ვიყავით. ზღვა დაწყნარებულიყო, ირგვლივ მხოლოდ წყლის უკიდეგანო ზედაპირს ვხედავდი...

— თოლიები გამოჩდნენ, ალბათ ხმელეთი ახლოსაა, ნამდვილად გადავრჩებით! — იმედი მომეცა.

უცებ ძრავის ღრიალი მოგვესმა და გამოჩნდა კატარღა.

— მართალი ხარ, გადავრჩით! — და სოლომონ ბრძენმა მხიარული ყროყი-ყროყი-ყროყინით ტალღებთან მოთამაშე თოლიები დააფრთხო.

— მეტი არაა ჩვენი მტერი — მეკობრეები ჩანან!

კატარღა ჩვენს ნავს მოადგა და ავტომატმომარჯვებულმა, თეთრ სამოსში გახვეულმა, ახმახმა მამაკაცებმა ჩვენს დასაშნებლად რამდენჯერმე ჰაერში გაისროლეს; მერე გვიბრძანეს, დაუყონებლივ კატარღაზე გადავბარგებულიყავით...

ნაპირზე გასულები ზღვის ყაჩაღთა ბელადთან მიგვიყვანეს, რომელმაც ჩემს განთავისუფლებაში გამოსასყიდი მოითხოვა.

— ინგლისური გესმის? მე მქვია აბდილაჰი, განთავისუფლება თუ გინდა, ერთი მილიონი ამერიკული დოლარი დაყაჭე!

— მილიონი დოლარი! მილიონი კი არა, მაგის მეასედიც კი სიზმარშიც არასდროს მინახავს!

— უხეირო სიზმრების ნახვა გყვარებია! ერთი კვირის ვადაში თუ ეს თანხა არ მივიღე, შენი ჩამოხრჩობის ფოტოსურათს შენს ოჯახს ფეშქაშად გავუგზავნი!

— ერთი წლისა და თუნდაც ერთი საუკუნის ვადა რომ მომცე, მისი მეათასედის გადამხდელი ვარ? მოხეტიალე დერვიშივით არაფერი გამაჩნია, თვითონაც კარგად ხედავ! ეს ერთი ვირი მყავს, ეს ერთი რვეული და კალამი მაქვს და კიდევ — საკუთარი თავი მაბია, ისიც მხოლოდ ერთი... სულ ეს არის ჩემი ავლადიდება.

— შინ?

— შინ რა დავტოვე, ის გაინტერესებს? ჩემს დეკლარაციას წაგიკითხავდი, მაგრამ ცოტა გრძელია, შენი მოთმინება კი — მოკლე... შენთვის საინტერესო არაფერი გამაჩნია: არც ოქრო-ვერცხლი ან ძვირფასი ბინა და არც — ანგარიში ბანკში... რამდენიმე ათასი წიგნი კი მაქვს და რამდენიმე ათეული სურათიც ამშვენებს ჩემი ოდითგანვე გაურემონტებელი ბინის კედლებს, მაგრამ, ვფიქრობ, შენ მხოლოდ ფული გაინტერესებს და ბინაც და დანარჩენი ყველაფერი რომც გაყიდონ, ამონაგები მილიონი დოლარის მეასედსაც ოდნავადაც ვერ მიუახლოვდება; თანაც — გაყიდვას ერთი თვე მაინც დასჭირდება, შენ კი მოუთმენლობა გახასიათებს... ახლა თუ გინდა, წყალში გადამაგდე ზვიგენების ლუკმად, გინდა — გამათავისუფლე!

— შენ თავისუფლებას ეწევი, როცა მე ფულს მივიღებ!

— მითხარი, ინგლისური სად ისწავლე?

— ჰი-ჰი-ჰი, არ დაიჯერებ და ლანდონის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლა მაქვს დამთავრებული! ჩემი საქმიანობისთვის ინგლისურიც სრულიად საკმარისია, მაგრამ კიდევ თხუთმეტი ენა ვიცი!

— მაშ, აქ რა გინდა?

— თავის დროზე ალი ბაბა ავლაბრელს დავეხმარე გაპრეზიდენტებაში და ამ ოლქის მმართველობა მიბოძა — მოქმედების სრული თავისუფლებით!

— სად ვარ?

— ბედნიერება გეწვია — ტანკენაში!

— ბედი არ გინდა? ისევ ტანკენას სახალხო-დემოკრატიულ ყოველმხრივ აყვავებულ რესპუბლიკაში მოვხვდი... არ იცი, რომ ალი ბაბა ჩამოგდებულია?

— ჭურში ზიხარ ჭირიმე! "ფრი სი ოილის" კომპანიამ ორმოცდაათი მილიონი დოლარი მისცა და ალი ბაბამ დაქირავებული მებრძოლები მოიწვია სუდანიდან და ჩადიდან — თვითმფრინავებით გადმოსხეს დესანტი დედაქალაქში და აჯანყებულები გაანადგურეს, აბა!

— ამოდენა თანხა რაში მისცეს? ძალიან კეთილი ბიძიები ყოფილან იმ სანავთობო კომპანიაში! იქნებ დაუკავშირდე და ჩემი გამოსასყიდი თანხაც გადაიხადონ?

— ორმოცდაათი მილიონი დოლარი მათთვის რა თანხაა? ისინი ჩვენც გვაფინანსებენ, სამაგიეროდ, არც ჩვენ ვრჩებით ვალში — მათი კონკურენტი კომპანიების გემებს ვაყაჩაღებთ და დამატებით შემოსავალს ვიღებთ! ტანკერებს აქ რეიდზე ორ-სამ თვეს ვაჩერებთ, ზოგჯერ — მეტ ხანსაც, გამოსასყიდის მიღებამდე, და ნავთობის ფასი საგრძნობლად აიწევს!

— ჩემისთანა უპოვარის ტყვეობაში ყოფნა რაში გარგია, გამიშვი! ერთი უბრალო მოგზაური ვარ!

— თავს ტყუილად იკატუნებ, ეგ საკენკი სხვას დაუყარე — უფულო კაცს მოგზაურობის თავი სად აქვს? მშიერ კუჭზე მოგზაურობა მე არ გამიგია.

წამიყვანეს სოფლის მტვრიან განაპირას, ფეხებზე ბორკილი დამადეს და ჯაჭვით აკაციის ხეს მიმაბეს. ყოველ დილა-საღამოს გვერდით ჩამივლიდნენ თხები, ცხვრები, აქლემები, ვირებიც, მაგრამ ჩემი ვირუკასთვის თვალი არ მომიკრავს... სოლომონ ბრძენო, ნეტავ სადა ხარ?

ასე ვიყავი ღია ცის ქვეშ რამდენიმე დღე და შემდეგ ბელადთან ისევ მიმიყვანეს.

– უნდა გაგახარო: შენს განთავისუფლებაში მხოლოდ ორასი ათასი დოლარის გამოსასყიდს დავყაბულდები!

მე გამეცინა:

– ორას ათას წელს მოგიწევს მოცდა!

დღეში ერთ მუჭა ფინიკებს მაძლევდნენ და ერთ ბოთლ საოცრად უგემურ, მღვრიე და თბილ წყალს...

კიდევ რამდენიმე დღე გაილია; ჩემი განთავისუფლების ფასმა კატასტროფიულად დაიწია – აბდილაჰი ოც ათასზეც ყაბულს იყო...

– კიდევ ცოტა ხანი და, თქვენი სტუმართმოყვარეობის გადამკიდე, ფეხებსაც გავჭიმავ, საჭმელ-სასმელის ხარჯი აღარ გექნება!

ამ დროს მეკობრეებმა უზარმაზარი ტანკერი დაატყვევეს, რომელითაც, როგორც მითხრეს, ასი მილიონი დოლარის ღირებულების ნედლი ნავთობი გადაჰქონდათ სპარსეთის ყურიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში და ჩემისთანა ჯიბეგახვრეტილისთვის აღარავის ეცალა.

მეკობრეთ ბელად აბდილაჰს მოთმინების ძაფი გაუწყდა:

– როგორც ვატყობ, შენგან ხეირს არ უნდა ველოდე... თავისუფლებას გჩუქნით – შენც და შენს გაძვალტყავებულ ვირსაც! და სხვა დროს ისე აღარ შემხვდე, ჯიბეში ასი ათასი დოლარის ნაღდი ფული არ გედოს!

ჩაგვსვეს ჩვენს ნავში, ნავი ბაგირით კატარღას გამოუბეს და ზღვაში გაგვიყვანეს, ისე შორს, რომ ნაპირი თითქმის აღარ მოჩანდა. ბაგირი მოგვხსნეს და ასე, შუა ზღვაში, დაგვტოვეს... არც საჭმელი გვაქვს, არც – სასმელი; ისედაც მშიერ-მწყურვალები მხოლოდღა თითქმის მინავლული გადარჩენის იმედის ნაპერწკლის ანაბარა დავრჩით...

ერთგან ჰორიზონტზე, მეკობრეთა სამყოფელის საპირისპირო მხარეს, რაღაც მუქი ზოლი მოჩანდა.

სუსტად კი ვიყავი, მაგრამ უქმად ყოფნაში რა ხეირი იყო, ნიჩბებს მოვკიდე ხელი და იქითკენ ავიღე გეზი.

მიუჩვევლობისგან ხელისგულებზე ჯერ კოჟრები გამიჩნდა, შემდეგ – სითხით სავსე ბუშტუკები... ცოტა ხანში ისინი დასკდა, მაგრამ, საშინელი ტკივილის მიუხედავად, მაინც განვაგრძნობდი ნიჩბების გამეტებით მოსმას... და, როგორც იქნა, გამოვირიყეთ მცირე უდაბურ, როგორც ჩანს, უკაცრიელ კუნძულზე!

– სოსო ბატონო, სად ვიმყოფებით? რა გვინდოდა ამ სიშორეზე, რა დაგვკარგვია აქ? რა დროს ახალი რობინზონობაა, თუ ძმა ხარ!

– სადღაც აფრიკის რქის აღმოსავლეთით უნდა ვიყოთ...

– სომალის სანაპიროსთან ახლოს ვართ?

– ალბათ...

– სხვა მეკობრეებმა ისევ რომ დაგვატყვევონ? რა უბედურებაა – მეკობრეობა XXI საუკუნეში...

– მეკობრეობას აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროებთან სულ ცოტა ექვსი საუკუნის ისტორია გააჩნია: ჯერ კიდევ XV საუკუნეში აქაურ სანავსადგურო ქალაქ-სახელმწიფოებს თავს ესხმოდნენ პორტუგალიელი მეკობრეები...

– მე არაფერი მიჭირს და შენს განთავისუფლებაში ისევ რომ უზარმაზარი თანხა მოსთხოვონ შენს ოჯახს, რას შვრები მერე?

– არ ვიცი... ალბათ აქ დავლევ სულს. ასე მოხდა, ბაბაია, და რა უნდა ვქნათ? კიდევ კარგად გადავრჩით, იქნებ შენ უკეთესი გამოსავალი გქონდა?

– არ მომწონს აქაურობა... – ჩვეულებისამებრ მღერის ყროყინა.

– საუცხოო სილიანი პლაჟია, სიღრმეში – სიმწვანეს ვხედავ, ეტყობა, მეჩხერი კორომია, იქნებ მსხმოიარე ხეებიც იყოს... ბანანზე ან ანანასზე უარს იტყვი? წყურვილსაც მოგვიკლავს...

– რაო, მადა დაგიბრუნდა? – ქირქილებს სოლომონ ბრძენი. – არც ახლა დაიჯერებ სამოთხის არსებობას? როგორც ჩანს, ნამდვილ სამოთხეს მივაგენით!

– შეეშვი ირონიას... შე კაცო, თუნდაც ასე არ იყოს, წარმოიდგინე, რომ ეს არის სწორედ ის ადგილი, სადაც უცოდველნი მოხვდებიან სასიცოცხლო გზის დასრულების შემდგომ! წამოვგორდეთ ამ მშვენიერ სილაზე გადატანილი ვნებათაღელვის ჯილდოდ და სანამ მოვიფიქრებთ, რა გზას დავადგეთ, ცოტა დავსვენოთ! წარმოვიდგინოთ, რომ აქ, ამ სამოთხეში თუ არა, მის ერთ-ერთ ფილიალში მაინც, საამოდ თუ საამურად განაგრძობენ იმქვეყნიურ არსებობას სამაგალითო, სახელგან-

თქმული ფილოსოფოსები, მოაზროვნეები, მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, ხელოვნების მოღვაწენი...

— და ახლა მათ ჩვენც დავემატეთ? — სარკაზმით კითხულობს სოლომონ ბრძენი.

— არ მოგბეზრდა სულ წუწუნი?

— კარგი, ჰო, მიიჩნიე, რომ გადატანილი ტანჯვა-წვალების შემდეგ სამოთხეში მოვხვდით, რაღა გვაჩხუბებს... სოსო ბატონო, შენ ვისთან ისურვებდი აქ შეხვედრას, ვისთან გაგიხარდებოდა საუბარი? ამოარჩიე ერთი ფილოსოფოსი, ერთი მწერალი, ერთი მხატვარი და ერთი კომპოზიტორი... რას ჰკითხავდი?

— ფილოსოფოსებიდან ამოვირჩევდი ძველ ბერძნებს, მაგრამ არა სოკრატეს, პლატონს ან არისტოტელეს, არამედ — რომელიმეს მილეტის სკოლიდან: თალესს, ანაქსიმანდრეს, ანაქსიმენეს ან ელეელთაგან — ქსენოფანეს, პარმენიდეს, ზენონს... ან ემპედოკლეს, ანაქსაგორეს... ჰერაკლიტეს, დემოკრიტეს, ეპიკურეს... პროტაგორას... კიდევ რამდენი დიდი მოაზროვნე ჰყავდათ ამ ერთი მუჭა ხალხს, ძველ ბერძნებს, გასაკვირველია! ყოველ მათგანთან საუბარი ჩემთვის ბედნიერება იქნებოდა. მაგალითად, ანაქსიმანდრე მილეტელის შეხედულებების შესახებ არსებობს როგორც მატერიალისტური, ისე იდეალისტური ინტერპრეტაციები და განა საინტერესო არ იქნებოდა მასთან საუბარი მისი ფილოსოფიური ნააზრევის ჭეშმარიტი რაობის შესაცნობად? სამწუხაროა, რომ ძველი ბერძენი მატერიალისტი ფილოსოფოსების ნაშრომები ძლიერ დევნას განიცდიდა მათ მოწინააღმდეგეთა მხრივ, განსაკუთრებით — ქრისტიანობის დამკვიდრების დროს, და მათი ნაწარმოებებიდან მხოლოდ ფრაგმენტებია მოღწეული, უმთავრესად — ციტატების სახით გვიანდელ მწერალთა ნაწარმოებებში... ქრისტიანულმა იდეოლოგიამ ანტიკური იდეალი "ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია" შეცვალა სულის მწუხარებისა და სხეულის გვემის მოთხოვნით; მე რომ მკითხო, ამით კაცობრიობის ისტორიაში ტრაგედია მოხდა. ბრმა რწმენის კატეგორიული მოთხოვნის დაპირისპირებამ დამოუკიდებელ აზროვნებასთან, გონებასთან გამოიწვია მეცნიერებისა და საწარმოო ძალების განვითარების ძლიერი შეფერხება საუკუნეთა მანძილზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ახალ მრწამსთან უთანხმოთა ყოველმხრივ დევნასა, სულიერ დათრგუნვასა და პირდაპირ კოცონზე დაწვაზეც კი... თითქოს ბოლო რამდენიმე საუკუნეში ნელ-ნელა საღმა აზრმა იწყო ფესვის გადგმა, მაგრამ ახლა ვითარება მკვეთრად შეიცვალა და დღევანდელი მთელ მსოფლიოს მოდებული რელიგიური შეუწყნარებლობის საყოველთაო აზვირთება მაოცებს და მამწუხრებს...

— ამ თემაზე კამათი შორს წაგვიყვანს — ისევ სხვაგან გაუხვიე და ჯობს, ჩვენს თემას დავუბრუნდეთ.

— კეთილი... მწერლებიდან ვისურვებდი ჩეხ გენიოსთან კარელ ჩაპეკთან შეხვედრას, კომპოზიტორებიდან — დიდ ლუდვიგ ვან ბეთჰოფენთან და მხატვრებიდან, რასაკვირველია, ჩვენს ნიკალასთან...

— უპრიანია, მწერლიდან დაიწყო — ასე თუ ისე, მწერლობასთან საერთო რაღაც მაინც გაქვს...

— კარელ ჩაპეკი 1938 წელს გარდაიცვალა, მხოლოდ ორმოცდარვა წლისა იყო... საოცარი შემოქმედია, საოცარი! მისი პალიტრა ამოუწურავია: ერთნაირად ხელეწიფება მძაფრი სატირა, ირონია, თბილი ჰუმორი, ფანტასტიკა, დრამატიზმი, ტრაგიზმი... სხვათა შორის, ფილოსოფოსიც იყო! განსაკუთრებით მომხიბლავია ჩაპეკის თხრობის ნირი — მკითხველთან უშუალო, გულითადი საუბრის სტილი. აქვს ღრმა ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური ქვეტექსტებით გაჯერებული ნაწარმოებებიც და ყოფითი, ჩვეულებრივი სცენების პოეტურად, თბილი ჰუმორითა და ლირიზმით აღსავსე უპრეტენზიო ჩანახატებიც... შეეძლო, ყოველად ჩვეულებრივში მაღალი პოეზია დაენახა. სხვათა შორის, ასეთი ჯადოქარი მხატვრობაში ჩვენი ნიკალა იყო!.. დიახ, კარელ ჩაპეკი უსასრულოდ შეიძლება გადაიკითხო! და სინანული გიპყრობს: სრული სიმწიფის ხანაში რომ არ გარდაცვლილიყო, კიდევ რამდენ შედევრს შექმნიდა!

— რას ჰკითხავდი? რის შესახებ ესაუბრებოდი?

— ენა ჩამივარდებოდა! კარელ ჩაპეკი ძალიან უბრალო და უშუალო იყო ცხოვრებაში, მაგრამ რიდი და მიწიწება ალბათ ხელ-ფეხს შემიბორკავდა... ასევე მომივიდოდა იმ შემთხვევაშიც, ჩემს მიერ ამორჩეული სხვა დიდ ადამიანებთან შეხვედრის ბედნიერება რომ გამჩენოდა.

— შეგეშინდებოდა?

— რისი უნდა შემშინებოდა? ეს ბუმბერაზი პიროვნებები მხოლოდ სიკეთეს თესავდნენ! საწყენია: ყველანი ნიჭის გაფურჩქვნის ხანაში დაიღუპნენ, რამდენი რამ დარჩათ კიდევ სათქმელი! წარმოგიდგენია, რა უდიდესი მოვლენა იქნებოდა, ბეთჰოფენს თუნდაც კიდევ ერთი ნაწარმოების, ჩაფიქრებული X სიმფონიის დაწერა რომ მოესწრო!

— არ დაგაინტერესებდა, ამ სიმფონიის ჩანაფიქრის შესახებ რომ მოეთხრო?

— ალბათ კითხვებს რვეულში დავუწერდი და ვთხოვდი, პასუხები წერილობით გაეცა... ადრეც ვთქვი: მუსიკა გამორჩეულად მიყვარს. გარდა ყოველდღიური ესთეტიკური ტკბობისა, მუსიკით გატაცებამ ხელი დიდად შეუწყო ჩემი გემოვნების ჩამოყალიბება-დახვეწას და, ზოგადად, — თვალსაწიერის გაფართოებას... მუსიკის სიყვარულმა მრავალ ჩემს ნაწარმოებში გამოჟონა: რომანში "გაქცეუ-

ლი თითების საოცარი თავგადასავალი”, მოთხრობებში: “მუსიკის გაკვეთილი”, “სიმღერა”, “კარი მღერის”, “პატარა მდინარის სიმღერა” – მისი ორი ვარიანტი დავწერე, “Free Jazz Concert”, “მოდი, შვილო, ვიმღეროთ!”... მუსიკის სამყარო – უკიდეგანო ოკეანეა! ასევე – მხატვრობისაც! გამახსენდა: ერთხელ გავკადნიერდი და ნიკო ფიროსმანაშვილთან წარმოსახვითი საუბარი მართლა შევთხზავი. ეს მოხდა კარგა ხნის წინათ – 1998 წელს, ეს ფანტაზია – “ნიკალას რომ ანდერძი დაეტოვებინა...” – შესულია ჩემს წიგნში “ნიკო ფიროსმანაშვილი”.

– დიდ მეზღვაურებიდან არავის გსურს, შეხვდე და მათი გამოცდილება შეისმინო? ნაღდად უფრო გამოგადგებოდა! – მმოძღვრავს სოლომონ ბრძენი. – ბიჯო! კი მსაყვედურობ, აბეზარი ბუზივით თავს დამბზუიო, მაგრამ ეგ შენი ბრალია; ისევ და ისევ შენგან პასუხგაუცემელ კითხვას ვუბრუნდები: გეოგრაფია კი გიყვარს, მოგზაურობები ბავშვობიდანვე გიტაცებდა, მაგრამ ახლა, სიცოცხლის მიწურულს, რატომ აიტკივე აუტკივარი თავი? ჰი-ჰი-ჰი, ზღვის მგელი შენგან თავის დროზე არ გამოვიდა და რაღა ახლა, სიბერის ჟამს განიზრახე ყმაწვილკაცობის ოცნების ასრულება, ჰა? რას მიჩერჩეტობდი, რას ეძებ, სად რა დაგრჩენია? დიდი ხანია, ყველა კონტინენტი აღმოჩენილია, ყველა ტბა, მდინარე, ქედი და სხვა და სხვა უზუსტესად დატანილია რუკაზე... კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოებით ასანთის კოლოფი და წვრილი კენჭიც არ დარჩება აღმოუჩენელი... შენც ხომ იცი: ელდორადოს – ზღაპრული სიმდიდრისა და საოცრებების ქვეყანას – შენამდეც აუცილებლად მიაკვლევდნენ. თუ სამოთხის კარს გინდა, მიაგნო? ან საოცნებო, სანეტარო აღთქმული ქვეყანა მოინახულო და იქ უკვდავების წყაროს დაეწაფო, მერე ბოროტისა და კეთილის შეცნობის ხის ქვეშ ქორფა ბალახზე წამოწვე და ფილოსოფიურ ფიქრებში ჩაიძირო? რა გინდა, რას ეძებ? ჰარმონიას და სიმშვიდეს ამ უსწორმასწორო, დაუწყობელ წუთისოფელში?

– სოლომონ ბრძენო, ბრძენთაგან თქმულია: ჰარმონია გარეთ კი არ უნდა ეძიო, – სამყაროში ჰარმონია და დისჰარმონია მარადიულია და ისინი ურთიერთ ავსებენ ერთმანეთს, – არა, ჰარმონია შენს სულში უნდა დაამკვიდრო... იქნებ შინაგანი ბრძოლით, წინააღმდეგობებითა და დაპირისპირებითაც! დიახ, მე შინ, ტახტზე წამოწოლილიც მშვენივრად ვიძირები ჩემს ფიქრებში და ოცნებებში...

– წინააღმდეგობებში ვარდები! უმიზეზოდ ადამიანი სახლიდან არ წავა საწოწიალოდ... იქნებ შინ შიმშილით გკლავდნენ? იქნებ ვინმემ გაგაბრაზა? გაწყენინეს?

– რა უნდა მეწყინოს?

– რა ვიცი, იქნებ ფოჩიანი კანფეტი მოგინდა და არ მოგცეს, ჰი-ჰი-ჰი! – ისიც კი მომეჩვენა, რომ სოლომონ ბრძენმა ენა გამომიყო. – სიბერეში ბავშვობაში გადავარდი? “რას თამაშობს ეს ბეხრეკი!” – იტყვის შენი შემხედვარე და მართალიც იქნება!

– სოლომონ ბრძენო, საწოწიალოდ, როგორც შენ ბრძანე, ჩემი წასვლის მიზეზი მარტივია: ერთფეროვნება – სულის მიძინებაა!.. სიცოცხლე რომ მოძრაობაა და მოძრაობა კი – სიცოცხლე, ძველთაძველი ჭეშმარიტება გახლავს. ჩვენი ილიაც ხომ ამას ამბობდა “მგზავრის წერილებში” დიდი, დიდი ხნის წინათ: “ნეტავი შენ თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...”. რა თქმა უნდა, იგივე ითქმის ადამიანზეც! ვიჩაქჩაქოთ მე და შენ ნება-ნება – არსად გვეჩქარება! გავიხედ-გამოვიხედოთ, სამყაროს სიტურფით გული გავიხალისოთ! ამ დროს ფიქრის ქარავანი სიბრძნის ძვირფას ქვებს შეგვაბამს ლამაზ მძივებად-ყელსაბამად შთაგონების ყელზე...

– ვაჰ, რა მოქარგულად ლაპარაკი გისწავლია! რომელი ირანელი შაჰის კარზე დაოსტატდი მეხოტბეობაში?

– რა მიგავს მეხოტბეს? ისე, ბევრი გულისხეთქვა კი გადამატანინა, მაგრამ ზღვას ვუძღვნიდი ხოტბას, როგორც ეს უთვალავჯერ გააკეთეს მარინისტმა მწერლებმა, მაგრამ აქამდე ვერ ვბედავდი...

– ვითომ რატომ ვერ ბედავდი? ასეთი და ისეთი ბიჭი ვარო... საკმაოდ კარგად გაგიცანი და, მართალი გითხრა, შენს ლაქლაქში თვალთმაქცობის შხამიანი ყვავილების მძაფრი გაფურჩქვნა დავინახე...

– შენც არანაკლებ ენამზეობ... მე ყველაზე მეტად ადამიანში გულწრფელობას ვაფასებ და ყველაზე მეტად სწორედ თვალთმაქცობა მეჯავრება!

– ვითომ? თუ გულწრფელი ხარ და არა ბაქია, რატომ ამბობ, რომ ასეთი ვარ, ისეთი ვარო; ხომ კარგად მოგეხსენება: საკუთარი თავის რაობას ობიექტურად განსაზღვრა ჭირს: ზოგადად ადამიანი სუბიექტურია, მით უმეტეს, თუ საკუთარ თავზე მსჯელობს, შენ სხვამ უნდა შეგაფასოს!.. მეთანხმები თუ არა? ხომ ასეა?

– ჭეშმარიტად! ნებისმიერ ადამიანს მართლაც უჭირს საკუთარი ნაკლის, ჩრდილოვანი მხარეების დანახვა, დადებით მხარეებს კი პირიქით – აზვიადებს, მაგრამ რა ვუყოთ იმ გარემოებას, რომ ჩემს თავს მე ვიცნობ ყველაზე უკეთ?

— გგონია, რომ იცნობ! საკუთარ თავთან მეტისმეტად ახლო დგახარ, შერწყმული ხარ მასთან, ამიტომ შენს პლუსებს თუ მინუსებს მეტ-ნაკლებად ობიექტურად მხოლოდ ის შეამჩნევს, ვინც შენ გარედან, განსაზღვრული დისტანციიდან გაკვირდება!

— შენი მსჯელობა მართებულია იმ შემთხვევაში, როცა დიდი პიროვნების შეფასებასთან გვაქვს საქმე; თვითონ პიროვნება კი არა, მისი ახლობლები და მეგობარ-ამხანაგებიც კი ვერ აფასებენ მართებულად ამ პიროვნების რაობას, თვისებებს და მათ ამაში სწორედ ეს მეტისმეტი სიახლოვე უშლით. მაგრამ მე ჩემი თავი არ მიმაჩნია იმდენად დიდ ფიგურად, რომ ვინმეს გაუჭირდეს ჩემი სათანადო შეფასება, მათ შორის — თვითონ მეც...

— თუ მართლაც ასეა და ადამიანში ყველაზე უფრო გულწრფელობას აფასებ, ერთ ჩემს კითხვას გაეცი პასუხი... ბიჯო, უამრავი მიზეზი დამისახელე, თუ რატომ წამოხვედი სახეტიალოდ ეს დროული კაცი, ჰოდა, ნამდვილ მიზეზად ის ხომ არ გამოდგა, რომ ცოლს გემრიელად ეჩხუბე? მართალი გითხრა, მიკვირს — საწყალი შენი ცოლი ნეტავ როგორ გიძლებს?

— ჩემო დიდყურავ, ნეტა კაცი მანახა, ცოლთან ათასჯერ მაინც არ ეჩხუბოს! ცხადია, არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ, სანამ შენს პროვოკაციულ და უმართებულო კითხვას დამისვამდი, რატომ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას არ მიაქციე ყურადღება? რაღა იმ დროს მომინდა გაქცევა, როცა, სიცოცხლის მიწურულს, ვნებები დამცხრალია, ყველაფერს ფილოსოფიურად უყურებ და ცხელ გულზე გადაწყვეტილებას აღარ იღებ?

— რა ვიცი, შენი ძვირფასი პიროვნების შესახებ თითქმის ყველაფერი მიამბე და რატომ იმას არ მეტყვი, როგორ დაოჯახდი? ბიჯო, ამ მნიშვნელოვანი ამბით უნდა დაგეწყო, შენ კი, ისე ვატყობ, მოგზაურობას ისე დავასრულებთ, თავს დაიძვრენ ამ თემაზე საუბრისგან!

— კეთილი, ამასაც მოგახსენებ... მაგრამ ნუ გგონია, რომ რაღაც განსაკუთრებულს გეტყვი... ძალიან გვიან დავოჯახდი — ზოგ ჩემს თანაკლასელსა თუ თანაკურსელს უკვე სტუდენტი შვილები ჰყავდა... ისიც უნდა გაითვლისწინო, რომ ისინი ჩემზე ერთი წლით უმცროსები იყვნენ, მე ხომ რვა წლისა შევედი პირველ კლასში. რატომ ვითხოვე ცოლი ასე გვიან? რა ვიცი... ალბათ, შესაფერისი შემთხვევა არ მქონდა, რომ გადამწყვეტი ნაბიჯი გადამედგა. თანაც, გეოლოგის ცხოვრება ისეთია, რომ, ბორბალში მოხტუნავე-მოტრიალე ციყვივით, სულის მოთქმის საშუალება არ გაქვს: ადრე გაზაფხულზე იწყება საველე სამუშაოები, რომლებიც კარგა ხანს გრძელდება, ზოგჯერ — გვიან შემოდგომამდე; მერე ჩამოდიხარ თბილისში და იწყება მოგროვილი მასალის დამუშავება, კონსულტაციები, მივლინებები, ანგარიშის წერა, მისი გაფორმება, დაცვა, გეოლოგიურ ფონდებში ჩაბარება... ხანდახან საქმე მოითხოვს და შვებულების დროსაც დადიხარ სამსახურში და უცებ ხედავ — გაზაფხულიც მოსულა! ისევ იწყება საველე სეზონი... და ისე გარბის წლები, რომ უკან მოხედვას ვერ ასწრებ.

— შენ თავის დაძვრენას ნუ ცდილობ, გირჩევ, ძველ ავადმყოფობას გადაეჩვიო — სულ გინდა, გვერდზე გაუხვიო!

— ხომ გითხარი, დიდად საინტერესოს ვერაფერს მოგიყვები-მეთქი, მაგრამ რადგან დაჟინებით ითხოვ... ჩემი მომავალი მეუღლე დაქორწინებამდე ათი წლით ადრე გავიცანი. ერთ მშვენიერ დღეს, მაშინ დიდუბის ქუჩაზე ვცხოვრობდით, გვესტუმრა ჩემი მამიდის, მათიკოს, შვილი გერმან ხუციშვილი, თან ახლდა გასაცნობად მოყვანილი მისი საცოლე, ვერა ყანაშვილი, წარმოშობით სოფელ ანანურიდან — მეტისმეტად წყნარი, მშვიდი. გერმანე და ვერა ასაკით ტოლები იყვნენ, უკვე ოცდაათს კარგა გადაცილებულნი; მე ვიქნებოდი ამ დროს 28 წლისა. ვერა ოთხ და-ძმებში ყველაზე უფროსი იყო, მისი ნაბოლარა და, ლიანა, მასზე თექვსმეტი წლით პატარა, ამ დროს იქნებოდა თვრამეტი წლისა. საქორწინო სუფრაზე ჩემი მეორე მამიდის, მაშოს, შვილმა, ნოდარ ყასუმაშვილმა, მოინდომა ჩემი და ლიას გარიგება, მაგრამ მაშინ ამ იდეას ჩვენი მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია. გავიდა სრული ათი წელი და მოულოდნელად ნოდარი ისევ გააქტიურდა, მას გულმხურვალე მხარდამჭერი გამოუჩნდა დედაჩემის სახით... ამ დროს უკვე მარტო ვცხოვრობდი: ჩემმა დამ კინოსტუდიიდან ერთოთახიანი ბინა მიიღო დიღმის დასახლებაში და დედაჩემთან ერთად იქ იყო გადასული. ასე რომ, ჩვენი დაქორწინების ამბავი ადვილად გადაწყდა... ეს მოხდა 1975 წლის 6 მარტს. ბრძენი სოკრატესი არ იყოს, ცოლს ითხოვ — ინანებ და არ ითხოვ — მაინც ინანებო...

— ჰო, ნაღდად მეორე სოკრატე მყევხარ, განსაკუთრებით — სიმელოტეში დაემგვანე!

— იცი, ყველაზე უფრო სოკრატეს რომელი გამონათქვამი მომწონს? "მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი"!

— შენც მაგარი ფილოსოფოსი მყევხარ!

— შევეშვათ ფილოსოფოსობას და სხვა თემაზე ვისაუბროთ... ისევ და ისევ მეკითხები: რატომ წამოვედი? მოგზაურობას რა სჯობს: ხომ ხედავ, ცოცხლებია: მთა, ხე, ქვა, კლდე და ასე შემდეგ — ისინი რაღაც ურთიერთობაში არიან ჩემთან და შენთან: გვეკამათებიან, გვეპატიჟებიან, ხელს გვკრავენ, ჩაგვეხუტებიან, რაღაც ამბებს გვიყვებიან — სამხიარულოს, ნაღვლიანს, ჭკუის სასწავლს... საკუთარ წარსულს იხსენებენ, აწმყოს სატკივარს გვიზიარებენ, გვაფრთხილებენ, რჩევას გვაძლევენ

და რჩევას გვთხოვენ, დახმარებას გვთავაზობენ და დახმარებას გვთხოვენ – არ არიან პასიურნი, გულგრილნი: აქტიურად მოქმედებენ, თან ყველას საკუთარი სახე აქვს, განსხვავებული ხასიათი, ისევე, როგორც ადამიანებს: ზოგი ქარი, მაგალითად, ალერსიანია, ზოგი – ბოროტი, ჩემი ჩამოგდება უნდა ვირუკადან, მიძალიანდება, წინ არ გვიშვებს, უნდა, უკან გაგვდენოს... ქარის წუილი, კვნესა, კივილი, ყურების გამხვრეტი სტვენა ან ავი ღრიალი: "ყველაფერს უნდა დავეჯაჯგურო, ჩავეხუტო, თუ ვაჯობე, წავაქცევ კიდეც! თუ მსუბუქია – მოვიტაცებ, წარვიტაცებ! გავიტაცებ! მივიტაცებ! მერე, როცა მისი ფრიალით – თუ ხის ფოთლებია ან ქაღალდის ფურცლები – გულს ვიჯერებ, ან, – თუ მრგვალია და გადაგორებას შევძლებ, – სადმე მოფარებულში მივაგორებ და მივატოვებ!"...

იგივე: მდინარე, მთა, ტყე და ასე შემდეგ: გველაპარაკებიან, გვედავებიან, გვიმღერიან სიმღერას, გვიძღვნიან ლექსს, გვიყვებიან იგავს ან ზღაპრით გვართობენ...

ზოგი – შურიანია, მაგალითად, მთა... ან ხე: "მე რატომ არ შემიძლია, თქვენთან ერთად წამოვიდე?"; "მაგრამ შენ სხვა რამ შეგიძლია, მაგალითად, ლამაზი ყვავილები გამოგაქვს, ნაყოფით იხუნძლები – ეს უნდა გქონდეს საამაყოდ!... მე რატომ მეჯიბრები?" – ამუნათებ; ან აქებ: "შენ, მთაო, იცი, რა ლამაზი ხარ? კალთები იალაღებით დაგიმშვენებია, ზედ ლამაზ ღილებად თუ ორნამენტებად ცხვრის ფარა გაშლილა-გაფენილა, თოვლ-ყინულის ნაჟური ნაკადულები ჩამორბიან; ცოტა ქვევით, ტყეში, რამდენ ხეს ახარებ, რამდენ ნადირ-ფრინველს, რამდენ მწერსა თუ ქვეწარმავალს აძლევ ბინასა და საკვებს...".

ზოგი – უხეშია, სხვა – ალერსიანი: დაგვლოცავს დამშვიდობებისას, კეთილ რჩევას მოგვცემს: "წინ ესა და ეს ხიფათი გელით!", "ამასა და ამას ერიდეთ!"; ზოგი ხაფანგს გვიგებს – მცდარი გზით წაგვმართავს და უსიამოვნებას გადავეყრებით... ზოგს – უხარია ჩვენთან შეხვედრა, ზოგი – ტირის რაღაც მიზეზის გამო და ჩვენგან თანაგრძნობასა და შველას ელის... ზოგი – წუწუნებს, ზოგი – პირქუშად ჩაშავებული ღრუბელივით იმუქრება: "აი, ახლა ხოშკაკალას შემოგისევთ, ყველაფერს დავბეგვავ, დავანიავებ!".

აი, ამიტომ წამოვედი! ყველაფერი უნდა ვნახო, შევიგრძნო, შევითვისო – კარგიცა და ავიც, თვალისა და გულისთვის ამოც და ზოგჯერ – არცთუ სასიამოვნოც... ეს არის ცხოვრება, სხვა კი არაფერი: მოძრაობა, ცვლილება, შუქ-ჩრდილი...

ხანდახან სიზმარს ვნახულობ: მოვხვდით ზღვის შუაგულში – იქ რა მინდოდა, ღმერთმა უწყის, პოსეიდონს ნაღდად არ დავუპატიჟებივარ... მესმის "საზღვაო" მუსიკა: ვაგნერი, დებიუსი, რიმსკი–კორსაკოვი...

– გეყოფა, გეყოფა! უდაბური კუნძულია, ამიტომ თუ გაშალე ფანტაზიის ფრთები, – მაწყვეტინებს სოლომონ ბრძენი. – ზღვის შესახებ საკმაოდ ილაპარაკე, არ მოგბეზრდა?

– რას ლაპარაკობ, სოლომონ ბრძენო! მართალია, მეზღვაური ვერ გამოვედი, მაგრამ სწორედ შავი ზღვის პირას მაქვს გატარებული ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დროება! საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა პროფ-კავშირის მწვანე კონცხის დასასვენებელი სახლი, რომლის დირექტორიც იყო დეიდაჩემი ანიკო ცხოიძე, მუშაობდა შემოდგომასა და გაზაფხულზე და ზაფხულში კი მას ენაც-ვლებოდა პიონერთა ბანაკი. და სკოლაში სწავლის დროს ზაფხულის არდადეგები ისე როგორ ჩაივლიდა, რომ იქ ორი-სამი თვე არ დამესვენა... ახლა რომ ვიხსენებ, ჭეშმარიტად ზღაპრული ზაფხულები იყო! ბავშვებს არ გვაკლდა ათასგვარი გართობა-თამაში, ექსკურსიები ბათუმის ცირკში და იქვე, გვერდით – ბოტანიკურ ბაღში... და, რაც მთავარია, ყოველ მზიან დღეს – ზღვის სტუმრობა: ცურვა, ყვინთვა, ნავებით სეირნობა, კოტრიალი ნაპირის ცხელ ქვიშაზე და ხან რეიდზე მდგომი ტანკერების თუ თევზსაჭრი გემების ჭვრეტა, ხან, ასევე, შორს, ყურის საპირისპირო მხარეს, ბათუმის კონცხის თვალიერება... ეჰ, რა ტკბილი დღეები იყო! ზოგჯერ ზღვაზე წასვლის მაგივრად სხვაგვარად ვერთობოდით: დღე – სპორ-ტული შეჯიბრება რაზმეულებს შორის სირბილში, ხტომაში ან არე-მიდამოში ორიენტიერებაში... საღამოობით – ცეკვა-სიმღერა, ერთ დღესაც ჩაღდებოდა ჭიაკოკონა, იყო ერთი ხუნტრუც-თამაში და მასზე გადახტომ-გადმოხტომა... ჰო-ჰო, რა გარუჯული ვბრუნდებოდი თბილისში აგვისტოს ბოლოს! 1 სექტემბერს რომ მივდიოდი სკოლაში, რა სიხარულით მივკუნტრუშობდი! კლასში ვჩანდი ვითარცა ზანგი – ჩემზე გარუჯული არავინ იყო!

სტუდენტობისას ზოგჯერ ზამთრის არდადეგებზეც ჩავდიოდი მწვანე კონცხზე და მაშინაც რა თვალწარმტაცი იყო მარადმწვანე იქაურობა – თეთრი, ვარდისფერი, ხასხასა წითელი ყვავილებით დახუნძლული კამელიები, ავსტრალიური ვერცხლისფერი აკაციის ხეები ყვითელი ყვავილებით, რომელსაც რატომღაც ყველანი მიმოზას უწოდებდნენ; მყუდრო ადგილებში ჰყვაოდა ია, ნესტიან მდელოებზე – ტყის ჭორტანა და თეთრყვავილა... თუ უღრუბლო დღე იყო, იანვარშიც ისე თბილოდა, რომ წელზევით შიშველი დავდიოდი!.. ზოგიერთ წელს, ძალზე იშვიათად, თოვლიც მოვიდოდა ხოლმე. 1968 წლის 19 იანვარს ჩემმა დეიდაშვილმა იური ხავთასმა გადაიღო ფოტოსურათი: ხე-ბუჩქები თითქმის არ ჩანს, ისეა დაფარული თოვლის სქელი ფენით, მეც მუხლამდე თოვლში ვდგავარ, დოინჯი შემომირტყამს და არც ისე თბილად მაცვია – ეტყობა, მაინცდამაინც არ ცივა... მწვანე კონცხზე თოვლი მეორე დღემდე იშვიათად თუ გაატანს, სწრაფად დნება.

– ბიჯო, ტყუილად ჩივი, შენმა ბავშვობამ შიმშილსა და გაჭირვებაში გაილიაო...

– ტკბილია წარსულის გახსენება, მაგრამ დღევანდელობაში დროულად უნდა დაბრუნდე... ევრიკა! ხომ ხედავ, კუნძულის შუაში რომ ვულკანი აზიდულა?

– მერე, ეს ცეცხლის მფრქვეველი ურჩხული გვიშველის ჩვენ? მაგას ისევ ავაზაკები მიჩევნია: დაველაპარაკები მაინც, იქნებ გადარჩენის შესაძლებლობა გამოჩნდეს!

– დამიჯერე; ეგ მთა-გველეშაპი არც ისე საშიშია! ფერდობს ავუყვეთ, მაღლა-მაღლა ავიდეთ და...

კარი XVI.
ვარსკვლავებისკენ მოგზაურობას გაუმარჯოს!

– კარგი, დაგიჯერებ... და სიარულში იცი, რა გეტყვი?.. ჩემო ერთგულო სოლომონ ბრძენო! ხომ ბევრი გზა-ბილიკი ვტკეპნეთ დედამიწაზე, ცაშიც მოგვიწია განავარდება და მიწისქვეშეთშიც გავისეირნეთ... ხაროშიც ვიყავით დატუსაღებულნი და მაღალ თანამდებობაზეც კი გამოვიჭიმეთ – ზოგიერთებისთვის ღმერთები გავხდით! ჰოდა, ხომ არ გვეყო ამდენი ხეტიალი? ცოტა შევისვენოთ და მერე, თუ შენი სურვილიც იქნება, უფრო შორსაც გავუტიოთ!

– ახირებულ კაცს რა გამოასწორებს! მაინც, სად აპირებ წასვლასა? ზღვა და ხმელი შევაჯერეთ, სადღა დაგვრჩა კიდევ გასათელი გზა?

– კოსმოსში! როგორც გვარწმუნებენ, საიქიო სადღაც ცაშია, კოსმოსში, და რაკი ადრე თუ გვიან იქ მაინც მოგველის გამგზავრება, წინდაწინ იქაც ხომ არ გავისეირნოთ? ასე ვთქვათ, წინასწარ დასაზვერად – იქნებ იქაურობა არ მოგვეწონოს?.. თუმცა... თანამედროვე მეცნიერების წარმო-დგენების მიხედვით, თუკი სამყაროში სადმე კიდევ არსებობს სიცოცხლე, ცივილიზაცია, იმდენად წარმოუდგენლად შორს იმყოფებიან ჩვენგან, რომ სრულიად გამორიცხულია კოსმოსური სტუმრების დედამიწამდე ჩამოღწევა – მარტივი გაანგარიშება ადასტურებს ამას. მაგრამ... ჯერ ერთი, დროისა და სივრცის შესახებ ჩვენი წარმოდგენები სრულად არ ასახავს მათ რაობას, თვისებებს და შემდგომში, მეცნიერების განვითარების კვა-ლობაზე, შესაძლოა, ისეთი ახალი თვისებების აღმოჩენა, რომლებიც შესაძლებელს ხდის ისეთ კოსმოსურ მოგზაურობას, რომელიც ახლა შეუძლებლად მიგვაჩნია... სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ოცნების სფეროს განეკუთვნებოდა, მაგალითად, თბილისში იმ საჩოგბურთო მაჩისთვის თვალის დევნება, რომელიც მრავალი ათასი კილომეტრის დაშორებით, სამხრეთ ნახევარსფეროში, ავსტრალიაში ტარდება. მაშინ რომ ვინმესთვის გეთქვა, რომ როდისმე შესაძლებელი გახდებოდა რიუ დი ჟანეირუში მიმდინარე საფეხბურთო მაჩისთვის ევრო-პაში თვალის დევნება, დაგიჯერებდა ვინმე? ყველა გეტყოდა, ზღაპარიაო...

– ამქვეყნად ყველაფერი იცვლება, მაგრამ მთელ მსოფლიოში ისევ ძალუმად გაბატონებული ამდენი უსამარ-თლობა, შეუწყნარებლობა, სიხარბე, ძალმომრეობა როდემდე დარჩება?

– მაგის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებ, იმას კი ცხადად ვხედავთ, რომ უგუნურება დღესაც საკმაოდ ჰყვავის... და, მე მგონი, მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი არა, მეცნი-ერებაშიც... ხომ გახსოვს, ადრეც ვსაუბრობდით, რომ დრო, მატერია და სივრცე უერთმანეთოდ არ არსებობენ, თანაც – სამივე ფარდობითია! ამიტომ, ახლა რომ ერთი ამბავია ატეხილი, ფრიად მოდური, საწყისი აფეთქების თეორიის გარშემო, ეს თეორია მცდარია! შვეიცარიაში უზარმაზარი დანადგარ-ხელსაწყო მოაწყვეს მიწისქვეშეთში, უნდათ პროტონები ერთმანეთს დააჯახონ – ვნახოთ, რა გამოვაო... ათ მილიარდამდე ევრო დახარჯეს ამ საქმეში და შემდგომ ალბათ კი-დევ ბევრი დაიხარჯება...

– მცდარია? რატომ?

– ღმერთს გულისხმობს!.. თითქმის არაფრიდან უცებ მთელი სამყარო წარმოიქმნას – სისულელეა!..

– ვერან, მეტისმეტად ხომ არ გაუტიე? მაშ, ე მთელი მსოფლიოს მეცნიერები რაღამ ააცუნცრუკა...

– არ ვიცი, არ ვიცი... ხომ გითხარი, ამქვეყნად კიდევ იმდენი უგუნურებაა... იცი, რა თქვა გენიოსმა ირლანდიელმა ჯონათან სვიფტმა? რომ არ არსებობს ისეთი უაზრობა ან ისეთი აბსურდი, რომელზედაც ესა თუ ის ფილოსოფოსები არ ამტკიცებდნენ, თითქოს იგი – ჭეშმარიტებაა!.. კოსმოგონია იმდენად რთული რამ არის, რომ, ძველი ბერძნების, ეგვიპტელების, ბაბილონელთა თუ სხვა ხალხთა წარმოდგენებთან შედარებით, ახლა თითქოს შეუდარებლად მეტი ვიცით, მაგრამ, არსებითად, ჭეშმარიტ ცოდნასთან ამ დარგში ისევ უსასრულოდ შორსა ვართ.

– რას ამბობ, ჯო!

– ასე მგონია... მეტსაც გეტყვი: ზოგ რამეში ძველი ბერძენი მოაზროვნე-მატერიალისტები, მაგალითად, "მცინარი" დემოკრიტე და "მტირალა" ჰერაკლიტე, უფრო მართლები იყვნენ: ზოგიერთ თანამედროვე მეცნიერთაგან განსხვავებით, ისინი თითქმის ორი ათას ხუთასი წლის წინათ ფიქრობ-

დნენ, რომ სამყაროს არ აქვს დასაბამი და არც დასასრული ექნებაო... თანამედროვე "დიდი აფეთქებისა" და "გაფართოებადი სამყაროს" თეორეტიკოსების შეხედულებით კი, მთელი სამყაროს მატერია თავდაპირველად ერთ უმცირეს წერტილში იყო თავმოყრილი და გიგანტური აფეთქების შედეგად დაიწყო გაფართოება... ბოლოს კი სამყაროს ელის სიკვდილი – საყოველთაო უკუნი და სიცივე დაისადგურებსო... მე რომ მკითხო, აბსურდია!

– აბსურდი ის არის, რომ ასე დაბეჯითებით ამტკიცებ – სერიოზულ მეცნიერთა მთელი არმიის თვალსაზრისი მცდარიაო! რა საბუთით? მხოლოდ საკუთარ უვიცობას ამტკიცებ!

– ამის შესახებ ადრეც გითხარი: არ შეიძლება დროის, სივრცისა და მატერიის ერთმანეთისგან განცალკევებულად წარმოდგენა – ისინი ერთიანია, ერთმანეთის არსებობას განაპირობებენ და ამიტომ მარადიულნი არიან! სოლომონ ბრძენო, დღეს პირველი აპრილი ხომ არ არის?

– არა, 2010 წლის სექტემბრის მიწურულია, სოსო ბატონო. რატომ კითხულობ?

– რატომღაც ხუმრობის ხასიათზე დადგნენ ფრიად სერიოზულ საერთაშორისო დაწესებულებაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში! ახლახან ახალი უწყება შექმნეს, რომელსაც ეწოდება: "გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსურ ცივილიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტი"! და მის დირექტორად დაინიშნა მალაიზიელი ქალბატონი – ალბათ სწორედ მალაიზიაშია კომოლოგია ყველაზე საამოდ გაფურჩქნილი და ტურფად აყვავებული, აწი რაღა გვიჭირს! ალბათ მას დაექვემდებარება საკმაოდ დიდი შტატი: მოადგილეები, თანაშემწეები, რეფერენტები, კონსულტანტები, ტექნიკური პერსონალი... საინტერესოა, რა ენაზე უნდა ელაპარაკოს ამ დეპარტამენტის თანამშრომლებმა დედამიწის მიღმა არსებულ ცივილიზაციებს? იქნებ ამ ცივილიზაციების ენა გახლავს მალაიური და ამან განაპირობა ამ ქალბატონის არჩევა? ეტყობა, ასტრონავტებს თუ კოსმონავტებს მოუწევთ სასწრაფოდ დაეუფლონ ამ ენას!

– შენა ხარ მართალი, სოსო ბატონო, და ღრმად პატივცემულ მეცნიერთა მთელი არმია კი ტყუის? ვერ დავიჯერებ! თუმცა, ეს მეცნიერები ზოგჯერ ურევენ კიდეცა, თანაც მაგრადა! აი, ღამის ცას შავხედოთ, რა თანავარსკვლავედები აღარ არის: დიდი ქოფაკიო, პატარა ქოფაკიო, ესეც არ იკმარეს და მეძებარი ძაღლების თანავარსკვლავედი უბოძეს მყეფარებსა...

– მერე, რას ერჩი?

– არც არაფერსა! კიდევ რა თანავარსვლავედებს არ ნახავ: ვერძიო, კუროო – კი, ბატონო, რა მაქვს საწინააღმდეგო, არც მტრედი და გედი დაიწუნება, პეგასიცა, თუნდაც – არწივი, მაგრამა...

– რა, მაგრამ? დიდი წუნია ვიღაცა ხარ!

– მარტორქა, ლომი, პატარა ლომი, მგელი, დიდი დათვი და პატარა დათვი... გველეშაპი და გველიც კი არის თანავარსკვლავედების დასახელებებში! ჟირაფს გრძელი კისრისთვის სცეს პატივი ან ფოცხვერს კიდევ იმისთვის, ხეებზე რომ კარგად დაცოცავს? ზღვის ცხოველებს რა უნდათ ცაში, კაცო? თევზი, ვეშაპი, დელფინი – რა დამსახურებისთვინა, ჰა? ბიჯო, მთელი ზოოპარკი მოუწყვიათ ცაში და რატომ საწყალი ვირი არავის გაახსენდა? თხის რქაც კი არის და ჩვენი ერთი თანავარსკვლავედი რატომ არ არის? მორიელსა თუ ღრიანკალს ვირზე მეტი დამსახურება აქვს ან გველეშაპსა, ჰა? ყველაზე მეტს ჩვენა ვშრომობთ და ასე უნდა ჩვენი ღვაწლის დაფასება? ვინც ამ სახელებს არქმევდა, დიდი ბრიყვი ყოფილა, ჩემგან ერთი გემრიელი ჭიტლაყ-ტლინკი არ ეკუთვნის განა?

– სოლომონ ბრძენო, მაგის გაკეთება ძალიან გაგიჭირდება ანუ, როგორც ითქმის ხოლმე, როცა ვირი ხეზე გავა! წარსულში კი ვმოგზაურობთ, მაგრამ ამ შემთხვევაში შენი სურვილის შესასრულებლად წარსულში უკან დაბრუნება მეტისმეტად შორს მოგვივა: ორი ათასი წლის წინათ უნდა დავიხიოთ – ძველმა ბერძნებმა შეარქვეს თანავარსკვლავედებს ეს სახელები!.. იმაში კი უსათუოდ უნდა დაგეთანხმო, რომ ამქვეყნად უმადურობა და უყურადღებობა ყოველთვის იყო და, სამწუხაროდ, დღესაც არც ისეთი იშვიათი ხილია... მთელი წიგნი გამოვიდოდა, მხოლოდ რომ ჩამოთვალო, რამდენმა გენიოსმა, ღვაწლმოსილმა ადამიანმა, სიკეთისა და სილამაზის მთესველმა მწერალმა, მხატვარმა, მუსიკოსმა, მეცნიერმა, სხვა ხელობის ხალხს რომ თავი დავანებოთ, გაჭირვებაში გალია დღენი და ისე მიიცვალა, არავის შეუმჩნევია. ნიკო ფიროსმანაშვილს შიმშილით ამოხდა სული, მისი საფლავიც კი არ ვიცით... ნიკო სამადაშვილს არ უნახავს დაბეჭდილი მისი ერთი ლექსი მაინც... არადა, XX საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგიაში მისი იმდენი ლექსი შევიდა, უამრავ აღიარებულსა და სახელმწიფო პრემიებითა და ორდენებით განებივრებულ პოეტს აჯობა!

– რთულია ცხოვრება, რთულია ადამიანი!

– მხოლოდ ადამიანი კი არა! აი, შენ ვირი ბრძანდები და დამეთანხმები: ძალიან რთული ვინმე თუ ვიღაცა ხარ – ფრიად ძნელია, ბოლომდე შენი ბუნების შეცნობა! ის კი არა, ერთი ღერი უბრალო ბალახიც კი, თუნდაც ბილიკის პირას ამოსული წიწმატურა რომ აიღო, გარეგნულად არაფრით გამორჩეული, იცი, რა საინტერესოა მისი ცხოვრების გზის, მისი თვისებების შესწავლა? რომ დაუკვირდე, ყვავილების, ნაყოფის ფორმების რა სირთულეა და სინატიფე...

– კარგი, რა! წიწმატურა და – სინატიფე?

– არა გჯერა? მეტსაც გეტყვი: ყოველი ქვა, კენჭიც კი უნიკალურია! ერთი შეხედვით უბრალოში, მარტივში დაინახო სიმდიდრე, მრავალფეროვნება – ეს დიდი ნიჭია! შესანიშნავმა ქართველმა მხატვარმა კოკა იგნატოვმა ტყუილად კი არ შექმნა ქვებისადმი მიძღვნილი მთელი ციკლი ფერწერული ტილოებსა...

– უკვე მერამდენედ გეუბნები: მეტისმეტი ხომ არ მოგდის?

– არა მგონია... მე, როგორც გეოლოგმა, კარგად ვიცი, რა არის ქვა, ქვათა განსხვავება ერთმანეთისგან: მათი ქიმიური ნაირგვარობა, წარმოშობის სხვადასხვა გზა, გამოყენების მრავალფეროვნება და ასე შემდეგ... ზოგადად, ქვამ შეიძლება, დაგვაინტერესოს მრავალი ასპექტით: ისტორიულად მისი მშენებლობაში გამოყენების, გეოლოგიური წარმოშობისა და ფილოსოფიური თვალსაზრისითაც, როგორც სიმყარის, სიმტკიცის და ერთგვარად მარადიულობის სიმბოლომაც კი! ძვირფასი ქვები? სამკაულებად გამოყენების გარდა, მათ მიაწერდნენ ჯადოქრულ, სამედიცინო, სიმბოლურ და სხვა მნიშვნელობებსაც... ტყუილად კი არ ამშვენებდნენ ბრილიანტი, ზურმუხტი, ფირუზი, ლალი მეფის გვირგვინს, სკიპტრას...

– პოეზიაში გადაიჭერი, აი!

– აბა, რა! პოეზიაში ასახვის გარდა, – თუნდაც ფრანგ პარნასელთა მეთაურის თეოფილ გოტიეს ლექსთა კრებულის სახელი "მინანქრები და კამეები" გავიხსენოთ, – ზოგადად, განა ხელოვნება უბრალო ქვასთანაც არ არის დაკავშირებული? არქიტექტურული შედევრები რისგან იგებოდა? პირველი ქანდაკებები ქვისგან არ იკვეთებოდა?

– გაიხარე: შეხედე, რამდენი ქვის ლოდიანი ჰყრია ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ჰი-ჰი-ჰი!

– თუ ცოცხალი ხარ, ყველაფრით გახარება უნდა შეგეძლოს, ყოველი გათენებული დღე დღესასწაულად უნდა აღიქვა! უნდა ეცადო, მაქსიმალურად გამოიყენო, რისი ნიჭ-უნარის გაქვს – ბოლომდე უნდა დაიხარჯო!

– სოსო ბატონო, ამდენი ხნისა მოიყარე და გული ხომ არაფერზე გწყდება?

– ცხოვრებაში სასიხარულოც ბევრია და გულდასაწყვეტიც საკმაოდ ხდება... როგორც ფრანგები ამბობენ: ასეთია ცხოვრება!

– მე იცი, რას ვგულისხმობ? რის გაკეთებას შეძლებდი შენს ცხოვრებაში, რისი უნარი გაგაჩნდა და ვერ გამოიყენე?

– რა ვიცი... ასე უცებ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. გარდა ამისა, კარგად მოგეხსენება, რომ რასაც ადამიანი ფიქრობს საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების შესახებ, ძალიან ხშირად მეტ-ნაკლებად დაშორებულია სინამდვილეს. ეს გარემოება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამბიციური პიროვნებების შემთხვევაში. ამ თემაზე ხომ ადრეც ვსაუბრობდით...

– პასუხისგან თავის დაძვრენა გინდა?

– კეთილი, ჩემი პასუხი ასეთია. მიყვარს ჩხირკედელაობა, ვფიქრობ, კარგი კონსტრუქტორ-გამომგონებელი ვიქნებოდი – მაქვს უნარი, ნებისმიერ მექანიზმში თუ დანადგარში გაუმჯობესების შესაძლებლობა დავინახო... მე მგონი, ჩემმა ფელეტონისტის ნიჭმა ვერ ჰპოვა შესაბამისი პირობები სარეალიზაციოდ... რამდენიმე ათეული წერილი მაქვს გამოქვეყნებული მხატვრობისა და მხატვრების შესახებ, ალბათ ჩემგან რიგიანი კრიტიკოსი ან ხელოვნებათმცოდნე დადგებოდა, შესაბამისი სკოლა რომ გამევლო და პროფესიული გულმოდგინებით მუშაობის საშუალება მქონოდა. იგივეს ვიტყვი კინო ან თეატრთმცოდნეობის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურული კრიტიკის შესახებაც...

– მაგარი მადა გქონია! კოსმონავტ-ასტრონავტობაზე რას იტყვი?

– არა, მაგაზე არ მიოცნებია, სამაგისო არც ფიზიკური და არც სხვა მონაცემები არ გამაჩნია და არც სურვილი გამჩენია.

ვულკანის ციცაბო, კლდოვან ფერდობზე გზას ვაგრძელებთ და უცებ, ფუი, რაღაც მძაფრი, ფინთი სუნი მცემს:

– სოლომონ ბრძენო, ეს ვულკანის სუნთქვის ბრალია თუ შენ გაგეპარა?

– არა, ჩემო მეუფევ და მბრძანებელო, მე არაფერ შუაში ვარ, ვულკანი ასე და ამგვარად გესალმება ძვირფას სტუმარს!

რა დიდებულია ვულკანის აფეთქების სურათი!

კრატერის გაწითლებული ყელის თავი არ ჩანს, შენიღბულია ამოფრქვეული ფერფლით; საშინელი ყომრალი ღრუბელი აჭრილია ჰაერშიც – მაღლა, მაღლა და ქვევითაც ეშვება ციცაბო ფერდობზე, გავარვარებლი ლავის ნიაღვარს და უზარმაზარი ლოდიანების გორვას წინ უსწრებს...

– სოლომონ ბრძენო, მის მხუთავ სუნთქვას როგორმე უნდა გავექცეთ!

– შენ რა მწვერვალების დაპყრობა აიტეხე, თანაც მაინცდამაინც აბობოქრებულ ვულკანს გინდა, დაეჭიდო? ბიჯო, რა მოუსვენარი გახდი ამ სიბერის ჟამსა, ჰა?

– მაშა, მაშა! მეტსაც ვიზამ – დედამიწას ამოვატრიალებ!

– რას ერჩი? როგორ აპირებ ამ გმირობის ჩადენასა?

— წკიპურტს გავკრავ ან შევუბერავ!

— შენ მართლა მაგრა უბერავ, აი! თუ ხუმრობის გუნებაზე დადექ?

— რა მიგავს ხუმარას? უნდა მოგახსენო, რომ ჩემი თვითკრიტიკული შეხედულებით, ოჯახში არცთუ მხიარულ პიროვნებად მიცნობენ, უფრო ჯიჯღინა, ყველაფრით უკმაყოფილო კაცად; საათები ისე გაივლის, ერთს ხმას არ ამოვიღებ, სამაგიეროდ, ჩემი ცოლი ჩემს სალაპარაკო "ლიმიტსაც" წარმატებით ითვისებს და "ნორმასაც" გადაჭარბებით ასრულებს... ჩემი ხუმრობა არ გაუგიათ და რაღა შენთან ამიქავდებოდა საამისოდ ენა?

— ბიჯო, გამიგია, რომა ყველაზე მელანქოლიური ხასიათი კომიკოსებსა აქვთო...

— ამის დასტურია თუნდაც ის, რომ დაწერილი მაქვს ათამდე მხიარული რომანი და რამდენიმე ასეული სალაღობო მოთხრობა...

— ისევ ხუმრობ... აკი სიჩუმისა და სიწყნარის მოყვარული გახლავარო და შენ ცაში და კიდევ უფრო მაღლა აჭრა ხომ არ მოგესურვილა?

— მე რომ მკითხო, გვეყო ამდენი ხეტიალი, შინ დაბრუნება ჯობს: საქართველო მომენატრა, ჩემს ქვეყანაში ყოფნა ყველაფერს მირჩევნია!

— ბიჯო, წიგნს რას უშვრები?

— თითქმის დავამთავრე... თითქმის...

— ჰოდა, ხომ ამბობ, დრო ცოტაღა დამრჩა და გასა-კეთებელი კიდევ ბევრი მაქვსო, კოსმოსური რომანი რომ გინდოდა დაგეწერა, ბარემ ნუღარ გადადებ, მეც მოგეხმა-რები... ტყუილად ხომ არ ილაპარაკე ამდენი კოსმოლოგიაზე.

— არ გამაცინო, შენ როგორ უნდა დამეხმარო?

— თუ ძაან მოგინდა, შაგისრულებ ნანატრსა!.. მაშ, მიყურე!

— რას აპირებ, სოლომონ ბრძენო?.. კაცო, რასა შვრები?.. დაიცა, შე ოხერო!

ვინ გისმინა!.. ყურპარტყუნას გუნება შეეცვალა და გაიქცა, გაიქცა კი არა — გაფრინდა!.. ჰო, მართლა გაფრინდა, კაცო! მართლა ჰაერში აიჭრა ეგ პატრონძაღლი ეგა, ერთი ფუთი შიში კი მაჭამა და!

ვხედავ: მიწას სულ უფრო და უფრო ვშორდებით, მერე — ღრუბლებში შევცურდით და მათზე მაღლაც ავიჭერით... ლურჯი ზეცა სულ უფრო ფერმკრთალდება, მერე — დედამიწას იმდენად დავშორდით, რომ ცა ერთიანად გაშავდა და ვარსკვლავები გამოიჩეკნენ... იმავდროულად — მზის ბრიალა თვალი ისე კაშკაშებს, იძულებულს მხდის, საწინააღმდეგო მხარეს ვიყურო...

— ბიჯო, შავი სათვალე რათ არ წამაიღე, ჰა? — სამართლიანად მსაყვედურობს დიდყურა, რაზეც მე ვპასუხობ:

— შენ კი გამაფრთხილე რო, თუ ასეთნაირად მოულოდნელად გავფრინდებოდით? პატრონს არ უნდა დაეკითხო?

— ხომ აპირებდი გაფრენასა? შენი თავმოუბმელობის ამბავი რომ ვიცი, იქნებ ეს ვერც ვეღარასდროს მოგეხერხებინა და აჰა, ძმაო, შაგისრულე ოცნება!.. ახლა მე გაჩვენებ, როგორ უნდა ტაკიმასხარობა, განახვებ თამაშასა, უცებ მოხვალ ჭკვაზედა!

როგორ გავჩერდი უზანგ-მოსართავის გარეშე ყროყინას ზურგზე, გამოცანად რჩება, უჰაერო სივრცეში კი არაფერი მიბერავს, მაგრამ მაინც...

ვუყურებ და თვალებს არ ვუჯერი: ყროყინას კუდი — საჭეა, ძრავა... ძრავა კიდენა თავისი ჰქონია, თანაც უბრალო კი არა, რეაქტიული — აცუებს და აცუებს!.. მომატყუა, ვულკანს დააბრალა!

— ბიჯო, არც ახლა შემობრუნდები ნორმალურადა? მომბეზრდა შენი უაზრო ოინბაზობა, დაჯექ წესიერადა! თორემა, ზევსსა ვფიცავ, ისეთ ტლინკების ყრას შემოგთავაზებ, ფრიად კოხტად და ლამაზად გაფრინდები მარტოკინა და ვეღარც უკან დაბრუნდები — ხომ ხედავ, დედამიწა ისე დაგვშორდა და დაპატარავდა, მალე ჩვეულებრივ პლანეტასავით — მარსივით ან ვენერასავით — მანათობელ წერტილად გადაიქცევა.

— მოიცა, კაცო, მაცალე — ხომ იცი, მეხსიერებას ეგრერიგად ვეღარ ვენდობი და, რაღამც დაიჟინე, ახალი რომანისთვის ჩანაწერების კეთებას ვიწყებ...

— იწყებ თუ აგრძელებ? მომავალი "კოსმოსური რომანის" შესახებ ადრეც გითქვამს.

— რა ვიცი, უცებ სხვა აზრი დამებადა: ჯერ მინდა, ერთი ჩემი ძველი მოთხრობის საფუძველზე, რომელსაც ასეთი გრძელი სათაური აქვს: „გადათელილი ბუჩქები, გადამტვრეული ხე...", დეტექტიური რომანი გამოვაცხო... ჩემთვის უცხო ხილი იქნება, რაიც, მოგეხსენება, ზოგადად, ფრიად მიმზიდველია!

— კაი დროც ნახე ამისთვისა, ვაი შენს პატრონს!

— მა რა უნდა ვქნა?

— უკუღმართი ხარ და იქნებ იმავდროულად "კოსმოსური რომანის" წერაც გააგრძელო! ამიტომ, სოსო ბატონო, გადმოჯექ, როგორც წესი და რიგია და წინ იყურე: ამგვარად, უკუღმა შამჯდარმა,

რა უნდა დაინახო? აი, ეგრე! ახლა კი დაემშვიდობე მკითხველსა, შვება დროულად მიეც, გული საკმაოდ გაუწყალე და!

– ნახვამდის!

– ნახვამდის კი არა, მშვიდობით!..

2010 წლის 7 მაისი – 15 დეკემბერი.

ტიტემ მითხრა ფერეიდნული ანდაზა: ”ვირმა რომ წიხლი გკრას, მაინც ნუ გაყიდი!” და დაამატა: “ისე მიუდექი, რომ წიხლი არ გითავაზოს, ამუშავე – ვირია და თუ მაინცდამაინც მისი მოშორება მოგინდება, როცა დაბერრდება და დაჩაჩანაკდება, მაშინ გაიმეტე გასაყიდად!”.

ცხოვრება იგივე სიმღერაა, რომელშიც შიგადაშიგ ტირილიც გამოერევა – რა უნდა ქნა, ასეა.

ბუდას შეუძლია გაუჩინარება! ფრენა! წყალზე სიარული! ხელში მზისა და მთვარის დაჭერა!

გამოჩენილმა ბელგიელმა შანსონიემ ჟაკ ბრელმა დაწერა ოპერა “მოგზაურობა მთვარეზე”.

<u>ძველებური ოქროს ფულები:</u>

ესკუდო, ფლორინი, ტალანტი, დუკატი, ცეხინი, კონსტანტინატი, ლუიდორი, აშრაფი, დინარი... აბა ჰე, კიდევ რომელი ოქროს ფული გაგიგონია?

სერბმა მწერალმა მიოდრაგ ბულატოვიჩმა დაწერა რომანი “ვირზე ამხედრებული გმირი” (1964 წ.). მის ავ-კარგზე ვერაფერს მოგახსენებ, მე ის არ წამიკითხავს, რომანი ეძღვნება II მსოფლიო ომში მაშინდელი იუგოსლავიის ხალხთა ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ.

შვედმა მწერალმა სვენ დელბლანკმა XX საუკუნის 70-იან წლებში დაწერა დოკუმენტური რომანი “ვირის ხიდი” (“Звезда", 1974, №10) – არც ის წამიკითხავს, მხოლოდ ის ვიცი, რომ იგი მასში ამტკიცებს: სინამდვილე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ესთეტიკური დავებიო...

სხვათა შორის, ეზოპეს ოცზე მეტ იგავში ვირი არის მოქმედ გმირად გამოყვანილი; ზოგან – ბრძენია, ხანაც – სულელი...

პან ტვარდოვსკი – პოლონელი “ფაუსტი” – ვირზე ხომ არ იჯდა? ეშმაკი იყო – ეშმაკს მიჰყიდა სული, მაგრამ მოატყუა და გაექცა მთვარეზე!

ჩემი სურვილებია ჩემი სიმდიდრე: მიყვარს კითზვა, მუსიკის მოსმენ, თხზვა, მცენარეულობის გახარება-მოვლა, მავანთა კეთის საქმეზე შეგულიანება...